

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი



**კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და
საჯარო სექტორის როლი**

**FRIEDRICH
EBERT 
STIFTUNG**

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და
საჯარო სექტორის როლი

(ანალიტიკური მიმოხილვა და რეკომენდაციები
საქართველოს მთავრობას)



The Centre for Strategic Research and Development of Georgia

**THE ROLE OF GOVERNMENT AND PUBLIC POLICIES IN
PROMOTING CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY - AN
ANALYTICAL OVERVIEW AND RECOMMENDATIONS TO THE
GEORGIAN GOVERNMENT**

by

LELA KHOPERIA

Consultants: Davit Narmania
Nata Goderdzishvili

Tbilisi
2012



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

**კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და
საჯარო სექტორის როლი**
(ანალიტიკური მიმოხილვა და რეკომენდაციები
საქართველოს მთავრობას)

ლელა ხოფერია

კონსულტანტები: დავით ნარმანია
ნატა გოდერძიშვილი

თბილისი
2012

© 2012, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;
ფრიდრიხ ებერტის ფონდი

© Copyright 2012 by:

The Centre for Strategic Research and Development of Georgia
Friedrich-Ebert-Stiftung

ISBN 978-9941-0-4128-0

ყდაზე: ბ. მაცაბერიძის ფოტო
Cover photo by: B. Matsaberidze

გამომცემლობა: პეტიტი
Publishing house: Petite

**FRIEDRICH
EBERT**
STIFTUNG

იბეჭდება ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით
Published with the support of Friedrich-Ebert-Stiftung

შინაარსი

შესავალი	11
თავი I. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი მიმოხილვა	15
თავი II. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და დადებითი შედეგები	28
თავი III. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში	41
თავი IV. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მოსალოდნელი შედეგები საქართველოსთვის	59
1. CSR-ის როლი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაში	60
1.1. CSR და ევროკავშირთან ინტეგრაცია.	61
1.2. ათასწლეულის განვითარების მიზნები და CSR	63
1.3. გაეროს „გლობალური შეთანხმება“ და CSR	64
2. CSR-ის როლი ქვეყნის საერთო განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში	65
2.1. CSR-ის წვლილი ცალკეული სფეროების პრობლემების მოგვარებაში	65
2.2. კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური სტანდარტების დაცვა	68
2.3. ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	68
თავი V. მთავრობის როლი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში	74
1. არის თუ არა CSR-ის ხელშეწყობა მთავრობის ფუნქცია?	74
2. CSR-ის განვითარებაში საჯარო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობის აღიარება დღევანდელ მსოფლიოში	78
3. მთავრობის როლი CSR განვითარებაში — ძირითადი თემები, მიდგომები და ინსტრუმენტები	81
თავი VI. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რეგულირების საერთაშორისო ინსტრუმენტები	99
1. CSR-ის რეგულირების ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტები	106
– <i>OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისათვის</i> “	106
– <i>გაეროს გლობალური შეთანხმება</i> “	111
– <i>გაეროს პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპები</i> “	115

– საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები	116
– ეკვატორის პრინციპები	117
– სალივანის გლობალური პრინციპები	119
– ათასწლეულის განვითარების შეთანხმება	121
– სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო სტანდარტი ISO 26000	123
2. საერთაშორისო სტანდარტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში	126
– ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია	127
– ევროპის სოციალური ქარტია	129
– „ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სხვა ბიზნეს სუბიექტების პასუხისმგებლობის ნორმები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში“	129
– ნებაყოფლობითი პრინციპები უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების შესახებ	131
3. შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტები და ინსტრუმენტები	132
3.1. საერთაშორისო შეთანხმებები, კონვენციები და დეკლარაციები	132
– ILO დეკლარაცია „შრომით საქმიანობაში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ“	133
– ILO-ს 122-ე, 181-ე და 91-ე კონვენციები	136
– „სამმხრივი დეკლარაცია მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობის პრინციპებისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ“	136
– OECD-ის „სახელმძღვანელო მითითებები მულტინაციონალური საწარმოებისთვის“	137
– გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“	138
– ევროპის სოციალური ქარტია	139
– შრომითი საქმიანობის საერთაშორისო ჩარჩო-შეთანხმებები	139
3.2. მენეჯმენტის სისტემების სტანდარტები შრომითი საქმიანობის სფეროში	141
– OHSAS 18001: ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	141
– ILO–OSH 2001 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ სახელმძღვანელო მითითებები	142
– Social Accountability 8000 (SA 8000)	143

4.	საერთაშორისო სტანდარტები გარემოს დაცვის სფეროში	145
4.1.	საერთაშორისო კონვენციები, შეთანხმებები და დეკლარაციები	145
	– ჰაერისა და კლიმატის დაცვა	146
	– ბიომრავალფეროვნების დაცვა	147
	– საშიში ნარჩენები, პროდუქტები და შემადგენლობები	147
	– გარემოსდაცვითი უფლებები და გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შეფასება	148
4.2.	გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების სტანდარტები	149
	– გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტანდარტი <i>ISO 14000</i>	149
	– ეროვნული ეკომენეჯმენტისა და აუდიტის სქემა	151
5.	საერთაშორისო სტანდარტები მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და პროდუქციაზე პასუხისმგებლობის სფეროში	154
5.1.	საერთაშორისო კონვენციები, შეთანხმებები და დეკლარაციები	154
	– მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეროვნული პირველი (წინასწარი) პროგრამა	154
	– გაეროს „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები“	156
	– საერთაშორისო სავაჭრო პალატის (<i>ICC</i>) საერთაშორისო კოდექსი სარეკლამო საქმიანობის შესახებ	157
5.2.	ხარისხის მართვის სისტემების სტანდარტები	158
	– <i>ISO 9000</i>	159
	– ხარისხის მართვის ეროვნული ორგანიზაციის (<i>EFQM</i>) ბიზნესის წარჩინების მოდელი“	162
6.	საერთაშორისო სტანდარტები კორუფციასთან ბრძოლის სფეროში	163
	– ინტერამერიკული კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ	163
	– გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ	164
	– საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპები ბიზნესისათვის	165
	– საერთაშორისო სავაჭრო პალატის (<i>ICC</i>) ქცევის წესები მექრთამეობისა და გამომძალველობის წინააღმდეგ	166
	– <i>OECD</i> კონვენცია საერთაშორისო ბიზნეს ტრანსაქციებში უცხოელი საჯარო მოხელეების მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ	168
7.	მდგრადი განვითარების ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები	169
	– ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (<i>GRI</i>) სტანდარტი	171
	– <i>AA(AccountAbility) 1000</i>	173
	– სოციალური ანგარიშგების სტანდარტი <i>SA 8000</i>	176

თავი VII. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობისაკენ მიმართული ევროკავშირის პოლიტიკა და ძირითადი ინიციატივები 179

თავი VIII. CSR-ის ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკები და სამთავრობო ინიციატივები ევროკავშირის ქვეყნებში 198

1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა 199
 - 1.1. ცნობიერების ამაღლება 199
 - 1.2. კვლევა 206
 - 1.3. საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა 211
 - 1.4. ბიზნესის სტიმულირება 219
 - 1.5. მენეჯმენტის მექანიზმები 227
2. გამჭვირვალობის ხელშეწყობა 231
 - 2.1. ქცევის კოდექსები 231
 - 2.2. ანგარიშგება 236
 - 2.3. მარკირება/ეტიკეტირება და სერტიფიკაციის სქემები 241
 - 2.4. სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება 248
 - 2.5. რეკლამირება 252
3. CSR-ის ხელშეწყობი პოლიტიკის შემუშავება 254
 - 3.1. მდგრადი განვითარება 254
 - 3.2. სოციალური პოლიტიკა 256
 - 3.3. გარემოსდაცვითი პოლიტიკა 264
 - 3.4. სახელმწიფო შესყიდვები 268
 - 3.5. ფისკალური პოლიტიკა 272
 - 3.6. სავაჭრო და საექსპორტო პოლიტიკა 274
 - 3.7. განვითარების პოლიტიკა 277

თავი IX. რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დასანერგად 282

1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის ხელშეწყობი პოლიტიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს შექმნა 283
 - 1.1. ეროვნული პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება 284
 - 1.2. სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორების სისტემის შემუშავება 285
 - 1.3. ყოველწლიური სამთავრობო ანგარიშის გამოქვეყნება CSR სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ 286
 - 1.4. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუციონალიზაცია სამთავრობო სტრუქტურებში 286
 - 1.5. კანონმდებლობის ანალიზი და

შესაბამისი ცვლილებების შემუშავება	289
1.6. CSR-ის ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების, ინიციატივებისა და პროგრამების ხელშემწყობა	292
2. ცნობიერების ამაღლება და ცოდნის მიწოდება	293
2.1. ცნობიერების ამაღლება	293
2.2. კვლევები	295
2.3. დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშემწყობა	296
3. ცოდნისა და უნარების განვითარება	
CSR-ის დანერგვის ხელშესაწყობად	297
3.1. ბიზნეს კომპანიების მიერ CSR-ის დანერგვისათვის საჭირო ცოდნისა და კომპეტენციის შექმნის ხელშემწყობა	297
3.2. მენეჯმენტის მექანიზმების დანერგვის ხელშემწყობა	301
3.3. CSR-ის ხელშემწყობი საზოგადოებრივი და საექსპერტო ორგანიზაციების ხელშემწყობა	302
4. გამჭვირვალობის ხელშემწყობა	303
4.1. ანგარიშგება	303
4.2. სოციალური ინდექსები	307
4.3. პროდუქციის ეკო და სოციალური ეტიკეტირება/ მარკირება	309
4.4. პასუხისმგებელი რეკლამა	313
4.5. ქცევის კოდექსები	313
5. CSR-ის განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა და CSR-ის სტიმულირება	315
5.1. სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ მაგალითის მიცემა	315
5.2. ბიზნესის წახალისება და სტიმულირება	317
5.3. საგარეო ვაჭრობისა და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება	320
5.4. სოციალური პარტნიორობის ხელშემწყობა	321
5.5. ფისკალური (საგადასახადო-საბიუჯეტო) პოლიტიკა	322
5.6. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა	325

The Role of Government and Public Policies in Promoting Corporate Social Responsibility - an Analytical Overview and Recommendations to the Georgian Government (Executive Summary)	331
--	-----

გამოყენებული ლიტერატურა	394
--------------------------------	-----

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გლობალური მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს. ის მიიჩნევა ეფექტურ ინსტრუმენტად მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად, აგრეთვე ქვეყანათა განვითარებისა და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კერძო სექტორი ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და გავლენიან მოთამაშეს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაში. გლობალური თუ ეროვნული პრობლემები ვერ გადაიჭრება ბიზნესის აქტიური მონაწილეობის გარეშე.

კომპანიებს შეუძლიათ იყვნენ უფრო წარმატებულები და იმავდროულად წვლილი შეიტანონ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში, თუ გაითვალისწინებენ და მართავენ იმ ზეგავლენას, რომელსაც მათი საქმიანობა ახდენს ბუნებრივ გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებზე, საკუთარ თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, პარტნიორებზე, ინვესტორებზე, ადგილობრივ თემებსა და ზოგადად საზოგადოებაზე.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს ბიზნესის ნებაყოფლობით არჩევანს, იმოქმედოს ეთიკურად, გაითვალისწინოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მოლოდინები და დადებითი ზეგავლენა მოახდინოს სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე. შესაბამისად, ამ კონცეფციის სიძლიერე, გარდა მისი მორალური ღირებულებისა, მდგომარეობს მრავალფეროვან და გრძელვადიან სარგებელში, რომელიც სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვას მოაქვს ყველა დაინტერესებული მხარისათვის.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას საქართველოში, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის უფრო სტაბილურ განვითარებას, ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებას, მრავალრიცხოვანი შიდა პრობლემების უფრო ეფექტურ მოგვარებასა და საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია და პრაქტიკა ჩვენს ქვეყანაში ნელ-ნელა შემოდის და სულ უფრო მეტად იმკ-

ვიდრებს ადგილს. მსხვილი ბიზნეს კომპანიები და ბიზნეს ასოციაციები, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები სულ უფრო მეტ ინიციატივას ახორციელებენ სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისა და დანერგვის მიზნით. თუმცა, ამ თვალსაზრისით, გადამწვეტი მნიშვნელობა ენიჭება საჯარო სექტორის სათანადო ქმედებებს. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც მკაცრი რეგულირების ალტერნატივას, ყველაზე აქტიურ პროპაგანდას სხვადასხვა დონის მთავრობები უწევენ. საქართველოშიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემდგომი დანერგვისა და განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნება მთავრობის ჩართულობა, შესაბამისი ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავება და სათანადო ღონისძიებათა განხორციელება.

წინამდებარე *ნაშრომის მიზანია* წარმოაჩინოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და მისი დანერგვის შედეგები ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის; საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით გააანალიზოს მთავრობის როლი და შესაძლო ფუნქციები სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში; აგრეთვე საქართველოს კონტექსტის, ჩვენი პრობლემებისა და განვითარების მიზნების გათვალისწინებით საქართველოს ხელისუფლებას მიაწოდოს რეკომენდაციები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების თაობაზე.

ნაშრომი ეფუძნება ამ საკითხზე არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, პრაქტიკული კვლევებისა თუ გამოკითხვების შედეგებს, სხვადასხვა ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტებს, აგრეთვე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე საქართველოში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების მონაცემებს.

ნაშრომში მიმოხილულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსი, ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია; მისი დანერგვის დადებითი შედეგები როგორც გლობალურად და ეროვნულ დონეზე, ისე ცალკეული კომპანიებისათვის; აგრეთვე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების შესაძლო შედეგები საქართველოსათვის და ამ თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა (სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტი და არსებული პოტენციალი სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისთვის; მთავარი მამოძრავებელი ძალები, ხელშემწყობი და ხელის შემშლელი ფაქტორები, დღემდე ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და განხორციელებული ინიციატივები); განხილულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტები — კონვენციები, მემორანდუმები, დეკლარაციები და შეთანხმებები; სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ინიციატივები, მენეჯმენტის სქემები და სტანდარტები; კონკრეტული საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკა მოცემულ სფეროში; წარმოდგენილია კორპორაციული სოცია-

ლური პასუხისმგებლობის ხელშეწყობისაკენ მიმართული სამთავრობო ქმედებების და ინიციატივების შესაძლო დიაპაზონის ანალიზი; აგრეთვე განხილულია როგორც განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება ამ სფეროში, აღნიშნულ ქვეყნებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკათა ძირითადი მიმართულებები, კონკრეტული ინსტრუმენტები და მიდგომები.

განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ნაშრომში ევროკავშირის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის მიმართულებით. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის განვითარების ზოგადი ვექტორი ევროინტეგრაციისაკენ გვიბიძგებს, უფრო აქტიურად გავიზიაროთ და დავნერგოთ ევროპული მოდელები და სტანდარტები, მოვახდინოთ საქართველოს საკანონმდებლო ბაზისა თუ საქმიანობის სტანდარტების ჰარმონიზაცია ევროკავშირის სტანდარტებთან.

მეორე მხრივ, ევროკავშირის ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას. ევროკომისია და ევროპარლამენტი ისევე, როგორც ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების მთავრობები, აქტიურ და ქმედით პოლიტიკას ახორციელებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობისა და შემდგომი დანერგვის მიზნით. ევროკომისიის მიერ შემუშავებულ არაერთ ოფიციალურ დოკუმენტში ხაზგასმულია საჯარო სექტორისა როლი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობისა და სტიმულირების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, ევროკავშირში ახლადგანეწერიანებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება ამ სფეროში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც პოლიტიკურ-ისტორიული კონტექსტისა და სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრების მიხედვით ეს ქვეყნები (რომელთა უმრავლესობა ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს წარმოადგენს) უფრო მეტ საერთოს პოულობს საქართველოსთან, ვიდრე სხვა რეგიონთა განვითარებადი ქვეყნები (მაგ. აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის ქვეყნები). ამდენად, ჩვენს ნაშრომში გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მიმოხილვისას უფრო მეტი ყურადღებას სწორედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა გამოცდილებას ვუთმობთ.

დაბოლოს, *ნაშრომს ერთვის რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის* იმ ძირითადი მიმართულებებისა და კონკრეტული ინიციატივების შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემდგომ დანერგვასა და განვითარებას.

წარმოდგენილი *კვლევა განხორციელდა „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“* მიერ სხვადასხვა პროფილის მონვეულ ექსპერტებთან თანამშრომლობით (კერძოდ, ნაშრომის

მომზადებაში მონაწილეობას იღებდნენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, ეკონომიკის, სამართლის ექსპერტები). ამის შედეგად, წინამდებარე კვლევასა და რეკომენდაციებში სრულად არის წარმოჩენილი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სამართლებრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები.

სამუშაო ჯგუფს კონსულტირება გაუწია აგრეთვე სოციალური პასუხისმგებლობის ექსპერტმა ჰოლანდიიდან, ქ-ნმა ინეკე ლემმენმა (ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტრო, მდგრადი საოპერაციო მენეჯმენტის დეპარტამენტი).¹ აღნიშნული თანამშრომლობა განხორციელდა 2008 წელს, ნიდერლანდების სამეფოს პროგრამის – PUM-ის ფარგლებში.

რეკომენდაციების საბოლოო ვერსია მომზადდა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სექტორისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები (კერძოდ, ბიზნესის, საჯარო სექტორის, სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სხვადასხვა სფეროს ექსპერტები).² მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები გათვალისწინებულია წინამდებარე რეკომენდაციებში.

ვფიქრობთ, ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია სხვადასხვა თვალსაზრისით იქნება საინტერესო და სასარგებლო როგორც საჯარო სექტორის წარმომადგენელთათვის, ასევე ბიზნესისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რომლებიც საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას ისახავენ მიზნად.

ასევე ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე კვლევა და თანდართული რეკომენდაციები დაეხმარება საქართველოს ხელისუფლებას, სრულად გაიაზროს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის, ქმედითი პოლიტიკა შეიმუშაოს მისი ხელშეწყობის მიზნით და სათანადო ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით.

¹ Ineke Lemmen, Ministry of Foreign Affairs of Netherlands (Sustainable operational management department).

² კერძოდ, დაინტერესებულ მხარეებს დაეგზავნათ რეკომენდაციათა სამუშაო ვერსია კომენტარების მიზნით. შემდეგ, 2011 წლის ოქტომბერში ჩატარდა სემინარი, რომელზეც მონვეული იყვნენ სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები და შესაბამისი სფეროს ექსპერტები. მიღებული შენიშვნების, კომენტარებისა და მოსაზრებების კონსოლიდირების და ანალიზის შედეგად მომზადდა რეკომენდაციათა საბოლოო ვერსია.

თავი I

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზოგადი მიმოხილვა (ბანნარტაბა, ჩამოყალიბების წინაპირობები, განვითარების ისტორია)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა³ შედარებით ახალ და ძალიან სწრაფად მზარდ ტენდენციას წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოში.

თუ ვიმსჯელებთ ამ საკითხზე გამართული დისკუსიების, სამეცნიერო პუბლიკაციების და განხორციელებული ინიციატივების მიხედვით, სოციალური პასუხისმგებლობა ამჟამად უპრეცედენტო ყურადღების საგანია სამთავრობო და კერძო სექტორების, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და სხვადასხვა სფეროს ექსპერტების მხრიდან. იგი ქვეყნობრივად შეიძლება ჩაითვალოს გლობალური მნიშვნელობის საკითხად.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კონცეფციას, რომლის თანახმადაც ბიზნეს სექტორი ნებაყოფლობით ითვისებს საკუთარი მომხმარებლების, მომწოდებლების, თანამშრომლების, კოლეგების, ბიზნეს პარტნიორების და ზოგადად საზოგადოების ინტერესებს ბიზნეს ოპერაციების განხორციელებისას. ეს არის კომპანიის კეთილი ნების საფუძველზე აღებული პასუხისმგებლობა და არა სახელმწიფოს სამართლებრივი მექანიზმებით დაკისრებული ვალდებულება.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, არსებითად, არის ბიზნესის კეთილი ნება, საკუთარ თავზე აიღოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა, ვიდრე მას კანონით ეკისრება, შეგნებულად გასცდეს მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და ნებაყოფლობით იზრუნოს აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობაზე, დადებითი წვლილი შეიტანოს სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.

ტერმინს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ მრავალი სინონიმი აქვს, მაგალითად, კორპორაციული ეთიკა“, კორპორაციული მოქალაქეობა“ (რომელთა მიხედვით კომპანია გაიაზრება როგორც საზოგადოების პასუხისმგებელი და ეთიკური წევრი), ასევე კორპორაციული ანგარიშვალდებულება“, პასუხისმგებელი ბიზნესი“ და სხვა. ბიზნეს საქმიანობაში კორპორაციული პასუხისმგებლობის საკითხების მზარდი ინტეგრაციის კვალდაკვალ

³ ინგლისურად: Corporate Social Responsibility (შემოკლებით – CSR).

იგი მოიხსენება აგრეთვე, როგორც „პასუხისმგებელი კონკურენტუნარიანობა“ და „კორპორაციული მდგრადობა“ (ეს სახელწოდებები ხაზს უსვამს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განუყოფელ კავშირს კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობასთან, მის კონკურენტუნარიანობასა და წარმატებულობასთან), თუმცა ყველაზე გავრცელებულ და აღიარებულ ტერმინს მაინც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს.

ქართული ტერმინის შესახებ: ქართული ტერმინი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ ზუსტად ვერ გადმოსცემს ინგლისური ტერმინის Corporate Social Responsibility მნიშვნელობას. ქართულ ენაზე სოციალური პასუხისმგებლობა“ შესაძლოა უფრო სოციალური პრობლემების გადაჭრისკენ მიმართულ ინიციატივებზე იყოს აღქმული და, შესაბამისად, ძალზე დავინროვდეს ცნების მნიშვნელობა. რეალურად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა თანაბარწილად მოიცავს სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ საკითხებს. ამ ცნების აღსანიშნად უფრო ზუსტი ტერმინი, ალბათ, კორპორაციული საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა“ იქნებოდა, რომელიც მიგვითითებდა კორპორაციასთან პასუხისმგებლობაზე სოციუმის, ანუ საზოგადოების წინაშე (“social” ამ შემთხვევაში სოციუმს, საზოგადოებას გულისხმობს), მაგრამ, რადგანაც ტერმინი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ უკვე მეტ-ნაკლებად დამკვიდრებულია ქართულ რეალობაში, გაუგებრობისა და ორაზროვნების თავიდან ასაცილებლად წინამდებარე კვლევაშიც აღნიშნული ტერმინია გამოყენებული.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის“ აღსანიშნად ინგლისურენოვან ლიტერატურაში საყოველთაოდ არის დამკვიდრებული აბრევიატურა CSR. წინამდებარე კვლევაშიც, სიმარტივისათვის, ზოგჯერ ამ ინგლისურ აბრევიატურას გამოვიყენებთ (რადგანაც ქართული ენა აბრევიატურებს ძნელად გუობს და, ამ შემთხვევაშიც, ქართული აბრევიატურა (კსპ) საკმაოდ მოუქნელი და უხეში იქნებოდა).

კონცეფციის ჩამოყალიბებისა და განვითარების წინაპირობები და ისტორია

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მოგების მომტანი საქმიანობის (ანუ ბიზნეს საქმიანობის) ეთიკურ პრინციპებზე დაფუძნების ტრადიცია უძველესი დროიდანვე არსებობს. მევახშეობის, ანუ არაკეთილსინდისიერად მაღალი სარგებლით ვალის გაცემის დაგმობა ეთიკური მოსაზრებებით უძველესი დროიდან ახასიათებდა ინდუიზმის, ბუდიზმის, ისლამისა და ქრისტიანობის კულტურებს. მაგალითად, ჯერ კიდევ მე-4 საუკუნეში ჩვ. წელთაღრიცხვამდე ინდოეთის სახელმწიფო მოხელე და ფილოსოფოსი კაუტილია თავის ტრაქტატში ართამასტრა“ ქადაგებდა სავაჭრო საქმიანობის მორალურ პრინციპებზე დაფუძნების საჭიროებას. ეს საკითხი დარეგულირებული იყო აგრეთვე ძველ მესოპოტამიაში ჰამურაბის კანონებით (მე-18 ს. ჩვ.წ. აღ-მდე) და სხვ.⁴ თუმცა, დღევანდელი გაგებით, კორპორაციული სოციალური პასუ-

⁴ იხ. Visser, W., CSR in developing countries, in: *The Oxford Handbook of Corporate Social Responsibility*, Crane, A., McWilliams, A., Matten, D., Moon, J., and Siegel, D. S., (eds.), Oxford University Press, 2008, p. 481; Frynas, J. G. *Corporate Social Responsibility in Emerging Economies*. Journal of Corporate Citizenship, 2006, 24, winter, pp 16–19.

ხისმგებლობის კონცეფცია დასავლეთის განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში შემუშავდა.

უკვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან საზოგადოების მიმართ ბიზნესის პასუხისმგებლობის ცალკეული ასპექტები დასავლეთის ქვეყნების მთავრობათა და ცალკეულ ორგანიზაციათა ყურადღების საგანი ხდება, ხოლო თანამედროვე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სათავედ მე-20 საუკუნე უნდა მივიჩნიოთ.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა და კერძო კომპანიების ურთიერთობაში ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მთელ მსოფლიოში. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა სწორედ საუკუნის ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. როგორც სპეციალურ გამოკვლევებშია აღნიშნული, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მზარდი ტენდენციები მიგვითითებს ეკონომიკის უფრო ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში ხელახლა განხილვის მცდელობებზე. სოციალური პასუხისმგებლობა არსებითად არის ბიზნესის რეაქცია საზოგადოების ახალ მოთხოვნებზე, კომპანიის ახალი მნიშვნელობისა და როლის აღიარება.

უკანასკნელ წლებში არაერთი სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების წინაპირობებისა და საფუძვლების კვლევას.⁵ ამ ნაშრომთა თანახმად, CSR-ის მნიშვნელობის სწრაფ ზრდას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. მათ შორისაა გლობალიზაცია და მისი თანმხლები კონკურენციის ზრდა, მდგრადი განვითარების საკითხების წინ წამოწევა, კომპანიების ძალაუფლების, ზეგავლენისა და საქმიანობის მასშტაბების გაფართოება, გლობალური სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის ზრდა და არამატერიალური აქტივების მნიშვნელობის გაძლიერება, ახალი საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება და ა. შ.

განვიხილოთ უფრო დანვრილებით ცალკეული ფაქტორები, რომელთა ერთობლიობამაც განაპირობა CSR-ის კონცეფციის ამგვარი აქტუალიზაცია:

- ეკონომიკურმა გლობალიზაციამ (რომლის ფონზეც უფრო დიდი აქცენტი კეთდება საერთაშორისო ვაჭრობაზე, მრავალეროვან საწარმოებსა და გლობალურ მინოდების ჯაჭვებზე) შეცვალა ურთიერთობები მთავრობებსა და კომპანიებს შორის, რასაც მოჰყვა მულტინაციონალური კომპანიების გავლენის ზრდა. ამგვარი კომპანიების ზეგავლენა ხშირად აღემატება კონკრეტულ ეროვნულ მთავრობათა პოლიტიკურ ზეგავლენას. ეს გარემოება ახალ შესაძლებლობებს უხსნის საწარმოებს და

⁵ იხ. მაგალითად: *Corporate Social Responsibility – a Business Contribution to Sustainable Development*, European Commission, Directorate General for Employment and Social Affairs, 2002; Hohnen, P., Potts, J., *Corporate Social Responsibility: An Implementation Guide for Business*, International Institute for Sustainable Development, 2007.

იმავედროულად წინ წამოსწევს ახალ ეთიკურ დილემებს და ახალ გლობალურ პასუხისმგებლობებს, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში (ადამიანური რესურსების მართვასთან, გარემოს დაცვასთან, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან, თემზე ზეგავლენისა და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებით). ამ ახალი სოციალური გამოწვევების ფონზე ქვეყანათა მთავრობები და საერთაშორისო ორგანიზაციები CSR-ს მოიაზრებენ როგორც კომპანიათა პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის, მათი ნებაყოფლობითი ქმედების სტიმულირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს.

- *კორპორაციული სექტორის ზეგავლენა*: კორპორაციათა მზარდი ზომა და რაოდენობა იწვევს პოლიტიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ სისტემებზე მათი საქმიანობით მოხდენილი ზემოქმედების მასშტაბის ზრდას. მცირე და საშუალო სანარმოებიც კი, რომლებიც კოლექტიურად ყველაზე მსხვილ დამსაქმებელს წარმოადგენენ, ძალზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ. ეს კი, თავის მხრივ, წინ წამოსწევს საკითხს კერძო სექტორის ზეგავლენების მართვისა და მათი ანგარიშვალდებულების შესახებ.
- ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკური გლობალიზაცია სერიოზული ეკოლოგიური საფრთხეების წინაშე აყენებს კაცობრიობას. ეს საფრთხეები უკავშირდება გლობალურ დათბობას, კლიმატის ცვლილებას, ბიოტექნოლოგიების განვითარებას, ატომურ ენერჯიას. ცხადია, რომ ამ პრობლემებს დამოუკიდებლად ვერც ერთი სექტორი ვერ მოაგვარებს, მათ გადასაჭრელად საჭიროა ყველა მხარის, მათ შორის ბიზნესის, ერთობლივი ძალისხმევა. იმავედროულად იზრდება შეუფოთება ეკონომიკური საქმიანობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო, რაც წინ წამოსწევს კონკრეტულად კერძო სექტორის გარემოსდაცვითი ანგარიშვალდებულების საკითხს.
- კონკურენციულ ბიზნეს გარემოში იმიჯი და რეპუტაცია სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ხოლო *კომპანიის იმიჯსა და რეპუტაციაზე სულ უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს სოციალური და ეკოლოგიური კრიტიკრიუმები*. ეს უკავშირდება კომპანიების მიმართ ახალი მოთხოვნებისა და მოლოდინების ჩამოყალიბებას საზოგადოების მხრიდან. დღესდღეობით იმისათვის, რომ კომპანიას წარმატებული ბიზნესი ჰქონდეს, აღარაა საკმარისი, რომ მან ეფექტურად შეასრულოს თავისი პირდაპირი ფუნქციები, რაც მდგომარეობს კაპიტალის დაგროვებაში, გადასახადების გადახდაში, ხარისხიანი პროდუქციის წარმოებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში და ა. შ. საზოგადოება ბიზნესისაგან ელის უფრო გლობალურ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას. მომხმარებლები და არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო და უფრო მეტ ინფორმაციას ითხოვენ იმის შესახებ, თუ როგორ იქმნება პროდუქცია და სერვისები; როგორ იხარჯება ბუნებრივი რესურსები;

როგორ ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობა რეგიონის ეკონომიკასა და ბუნებრივ გარემოზე; რამდენად დაცულია წარმოების პროცესში ადამიანისა და შრომითი უფლებები, ეთიკური ბიზნესის პრინციპები; როგორ ურთიერთქმედებს კომპანია საკუთარ თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან, აქციონერებთან, ადგილობრივ საზოგადოებასთან და ა. შ.

- ზემოთქმულის შედეგია ისიც, რომ *ფინანსურად დაინტერესებული მხარეები* (აქციათა მფლობელები, პარტნიორები, ინვესტორები და ა. შ.) მოითხოვენ ინფორმაციას საკითხებზე, რომლებიც ტრადიციულ ფინანსურ ანგარიშგებას სცილდება. მათ სურთ ჰქონდეთ ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სოციალურ და ეკოლოგიურ პარამეტრებზე, რაც საშუალებას მისცემს, უკეთ განსაზღვრონ და შეაფასონ წარმატებისა და რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება კომპანიის უნარს უპასუხოს საზოგადოების შეცვლილ მოთხოვნებს.
- *ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებას* (როგორებიცაა, მაგ. ინტერნეტი და მობილური ტელეფონები) მოჰყვა ბიზნეს საქმიანობის გამჭვირვალობის უპრეცედენტოდ მაღალი ხარისხი. არასამთავრობო ორგანიზაციები, მასმედიის საშუალებები და საზოგადოება ძალიან სწრაფად იღებენ და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ავრცელებენ ინფორმაციას ამა თუ იმ კომპანიის საქმიანობის, მისი დადებითი თუ უარყოფითი ქმედებების შესახებ, რაც მყესეულად აისახება კომპანიის რეპუტაციაზე.
- *ცოდნა და ინოვაციები* სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს კონკურენტუნარიანობისათვის. შესაბამისად, კომპანიებს სულ უფრო მეტად სჭირდებათ, რომ შეინარჩუნონ *კომპეტენტური და მაღალპროფესიული კადრები*; ხოლო დღევანდელ მსოფლიოში პირდაპირი კავშირი არსებობს კომპანიის იმიჯსა და თანამშრომელთა კორპორაციულ ერთგულებას შორის, რაც უკავშირდება საზოგადოების შეცვლილ მოლოდინებს კომპანიათა მიმართ, მდგრადი განვითარების საკითხების გაზრდილ მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთქმული განაპირობებს იმას, რომ უკანასკნელ ხანებში შეინიშნება ორგანიზაციათა სოციალური პასუხისმგებლობისადმი ინტერესის მკვეთრი ზრდა.

სახელმწიფოთა მთავრობებს კერძო სექტორთან ურთიერთობისას ნელ-ნელა აქცენტები ნებაყოფლობითი თვითრეგულირებისაკენ გადააქვთ. კერძო სექტორი, თავის მხრივ, ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან ურთიერთქმედების უფრო რთულ სტრატეგიულ ფორმებზე. ამერიკისა და ევროპის მსხვილი კომპანიები უფრო ცხადად აცნობიერებენ კორპორაციული მართვის ცალკეული სტანდარტების (მაგ., თა-

ნამშრომლებთან ურთიერთობის, კორპორაციული ეთიკის, გარემოს დაცვის სტანდარტების) გაერთიანებისა და საზოგადოებასთან ურთიერთქმედების ერთიანი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას.

უკვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1950-იანი წლებიდან, იწყება ფართო მსჯელობა საზოგადოებაში ბიზნესის როლსა და პასუხისმგებლობებზე, რასაც მოჰყვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობის განხილვა 1972 წელს გაეროს სტოკჰოლმის კონფერენციაზე ჰუმანური გარემოს“ შესახებ, შემდეგ IUCN, UNEP და WWF-ის მიერ 1980 წელს მომზადებულ „მსოფლიოს დაცვის სტრატეგიაში“ (World Conservation Strategy: Living Resource Conservation for Sustainable Development), ასევე გაეროს 1987 წლის ბრუნდტლანდის კომისიის შეხვედრის დროს და ა. შ.⁶ CSR-ის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვან მომენტად მიიჩნევა 1992 წლის მსოფლიო სამიტი რიო დე ჟანეიროში, როდესაც მდგრადი განვითარების მსოფლიო საქმიან საბჭოში“ (World Business Council for Sustainable Development) გაერთიანებულმა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა წარმოადგინეს თვითრეგულირების პროგრამა.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დეფინიციები

მიუხედავად ჩატარებული კვლევების სიუხვისა, დღესდღეობით მაინც არ არსებობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის უნიფიცირებული, ყოვლისმომცველი და ერთადერთი სრულყოფილი განმარტება. CSR-ის დეფინიციის შესახებ დღესაც აქტიური დებატები მიმდინარეობს საერთაშორისო დონეზე.

ევროკომისია თავის დოკუმენტებში ამ ცნების საკმაოდ ფართო გააზრებას გვთავაზობს. ის კორპორაციულ სოციალური პასუხისმგებლობას განსაზღვრავს როგორც კომპანიათა ნებაყოფლობით გადწყვეტილებას გაითვალისწინონ სოციალური და გარემოსდაცვითი ამოცანები თავიანთ ბიზნეს საქმიანობასა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში.⁷ (ევროკავშირის მიდგომა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისადმი აგრეთვე გაზიარებულია მრავალ საერთაშორისო ინიციატივაში, როგორებიცაა ILO შრომითი საქმიანობის სტანდარტები, OECD სახელმძღვანელო მითითებები მულტინაციონალური საწარმოებისთვის“, რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარებაზე, იოჰანესბურგის დეკლარაცია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა, გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპები და სხვ.).

მდგრადი განვითარების მსოფლიო ბიზნეს საბჭოს განსაზღვრების თანახმად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ასახავს

⁶ უფრო დანვრლებით სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფციის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ იხ. Carroll, Archie B., *Corporate Social Responsibility, Evolution of a Definitional Construct*, Business & Society, Vol. 38, No. 3, 268-295 (1999)

⁷ *Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility*. Green Paper. European Commission, Directorate General for Employment and Social Affairs, COM(2001)366 Final, 2001.

კომპანიების სურვილს აწარმოონ ბიზნეს საქმიანობა ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით და წვლილი შეიტანონ მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში მათ მიერ დაქირავებული თანამშრომლებისა და მათი ოჯახების, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის (თემის) და მთელი საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესების გზით“.⁸

აშშ წამყვანი კორპორაციების გაერთიანება *ბიზნესი სოციალური პასუხისმგებლობისათვის*” ამგვარად განმარტავს ამ კონცეფციას: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის წარმოება იმგვარად, რომ კომპანიამ დააკმაყოფილოს და გადააჭარბოს კერძო სექტორის მიმართ წაყენებულ ეთიკურ, სამართლებრივ, კომერციულ და საზოგადოებრივ მოლოდინებს“.⁹

ბიზნეს ლექსიკონში BNET ამგვარი განმარტებაა წარმოდგენილი: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნეს კომპანიის ნებაყოფლობითი ვალდებულება, რომელსაც ის საკუთარ თავზე იღებს, რათა დააკმაყოფილოს და გასცდეს დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებს, საკუთარ საქმიანობაში სოციალური, ეთიკური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით, მოგების, შემოსავლებისა და კანონმორჩილების ტრადიციულ მიზნებთან ერთად.“¹⁰

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სამთავრობო პროგრამა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას განმარტავს, როგორც „ზოგადად ბიზნეს საქმიანობის განხორციელებასა და კომერციული შედეგების მიღებას ეთიკური ნორმების, საზოგადოებისა და გარემოს ინტერესების გათვალისწინებით.“¹¹

ხოლო *სტანდარტიზაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (ISO) CSR* სამუშაო ჯგუფის განმარტების თანახმად, სოციალური პასუხისმგებლობა არის ორგანიზაციის პასუხისმგებლობა იმ ზეგავლენაზე, რომელსაც ორგანიზაცია თავისი გადაწყვეტილებებითა და საქმიანობით ახდენს საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოზე. ეს პასუხისმგებლობა ინტეგრირებულია მთელ ორგანიზაციაში, მისი სტრუქტურისა და საქმიანობის ყველა რგოლსა და ყველა დონეზე და აისახება გამჭვირვალე და ეთიკურ ბიზნეს საქმიანობაში, რომელიც შეესაბამება მდგრადი განვითარების პრინციპებს და საზოგადოების კეთილდღეობას, ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებს, პასუხობს მოქმედ კანონმდებლობასა და ქცევის საერთაშორისო ნორმებს.“¹²

⁸ Holme L., Watts R., *Corporate Social Responsibility: Meeting Changing Expectations*, World Business Council for Sustainable Development, 1999, გვ. 3.

⁹ Business for Social Responsibility (BSR). <http://www.bsr.org/>

¹⁰ <http://www.bnet.com/topics/Corporate+Social+Responsibility>

¹¹ *Corporate Social Responsibility, A UK Government update*, Department of Trade and Industry, 2004 იხ.: www.csr.gov.uk

¹² ISO 26000 სამუშაო ჯგუფი სოციალურ პასუხისმგებლობაზე, 2007. (იხ.: Hohnen, Potts, CSR: an implementation Guide for Business, გვ. 4).

როგორც ვხედავთ, განსაზღვრებები მრავალგვარია, თუმცა ყველა განსაზღვრება არსებითად ერთსა და იმავე პრინციპს ეფუძნება – კომპანიებმა მიზნად უნდა დაისახონ არა მხოლოდ კაპიტალიზაცია და მოგება, არამედ ნებაყოფლობით აიღონ საკუთარ თავზე უფრო მეტი ფუნქცია და პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ბიზნესის წარმოებისას გაითვალისწინონ სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები, გრძელვადიანი სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზნები და დადებითი ზეგავლენა მოახდინონ თავიანთ სამუშაო სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი მახასიათებლები

ათწლეულების მანძილზე სოციალური პასუხისმგებლობის ცნება განვითარდა და დაზუსტდა, გამოიკვეთა საქმიანობათა ტიპები და სფეროები, რომლებსაც მოიცავს ეს კონცეფცია.

ადრეული განსაზღვრებები უფრო ბუნდოვანი და ზოგადი იყო. ისეთი თემები, როგორებიცაა შრომითი საქმიანობა და კეთილსინდისიერი ბიზნეს ოპერაციები, დაახლოებით ერთი საუკუნის წინ გახდა განსაკუთრებით აქტუალური. სხვა საკითხები, მაგალითად, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, კორუფციასთან ბრძოლა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, თანდათანობით შევიდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, მათი აქტუალიზაციის შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ CSR-ისადმი მიდგომები მრავალფეროვანია, მისი ძირითადი მახასიათებლები საყოველთაოდ არის აღიარებული. განვიხილოთ ეს მახასიათებლები:

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არის ბიზნესის ქცევის და საქმიანობის *ნებაყოფლობითი მოდელი*. ეს არის ნებაყოფლობითი ვალდებულება, რომელსაც ბიზნესი იღებს საკუთარ თავზე კანონით დაწესებულ მოთხოვნათა მიღმა, რადგანაც ეს მის გრძელვადიან ინტერესებს შეესაბამება;
- ზემოთქმულს უშუალოდ უკავშირდება CSR-ის მეორე მახასიათებელი – *კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ ენაცვლება საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულებას*. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებობს მრავალგვარი კანონები, რომლებიც არეგულირებს მომხმარებლებთან, თანამშრომლებთან ურთიერთობას, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფას, ადამიანის უფლებათა დაცვას, გარემოს დაცვას, კორპორაციულ მართვას და ა. შ. ეს კანონები სავალდებულო მინიმუმს აწესებს კომპანიებისათვის აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კანონებთან შესაბამისობას და ამის საფუძველზე

დამატებითი, ნებაყოფლობითი ვალდებულებების აღებას. (ხოლო განვითარებად ქვეყნებში, სადაც ამგვარი კანონმდებლობა არ არსებობს, მთავრობებს ურჩევენ მის შემუშავებას, რაც კომპანიებისათვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს, და, შესაბამისად, ხელს უწყობს სოციალურად პასუხისმგებელ საქმიანობათა განვითარებას).

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა მჭიდროდ უკავშირდება მდგრადი განვითარების კონცეფციას. დღევანდელ მსოფლიოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არსებითად გაიაზრება, როგორც ბიზნესის წვლილი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. შესაბამისად, CSR მოიცავს მდგრადი განვითარების სამივე ძირითად ასპექტს – ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. რადგანაც მდგრადი განვითარების ძირითადი მიზნები საერთოა მთელი კაცობრიობისათვის, მიიჩნევა, რომ ეს მიზნები უნდა ამოძრავებდეს პასუხისმგებელ კომპანიასაც, რომელიც ცდილობს საზოგადოების მოთხოვნათა და საჭიროებათა გათვალისწინებას. ამრიგად, ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის ერთიანი საბოლოო მიზანი უნდა იყოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ამდენად, CSR სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მსოფლიო მასშტაბით.

ტერმინი **მდგრადი განვითარება**“ პირველად გამოიყენეს გაეროს კონფერენციამ სტოკჰოლმში 1972 წელს. თუმცა, ამ ცნების საბოლოო დეფინიცია 1987 წელს ჩამოყალიბდა გარემოსა და განვითარების მსოფლიო კომისიის ანგარიშში ჩვენი ერთიანი მომავალი“, რომელიც ცნობილია აგრეთვე “Brundtland Report”-ის სახელით. კომისიის განმარტებით, მდგრადობა მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, არამედ აგრეთვე ღარიბების საჭიროებათა დაკმაყოფილებას და გაცნობიერებას, რომ დედამიწის ფიზიკური რესურსები შეზღუდულია. ეს დეფინიცია, რომელიც ფართოდ იქნა აღიარებული და დღემდე იხმარება, ასე უღერს: *მდგრადი განვითარების მიზანია „დააკმაყოფილოს დღევანდელის მოთხოვნები ისე, რომ არ დააზარალოს მომავალი თაობები და საფრთხის წინაშე არ დააყენოს მათ მიერ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილება.“ (World Commission on Environment and Development. Our Common Future, 1987).*

მდგრად განვითარებას აქვს სამი ძირითადი განზომილება – ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულია და რომელთა ერთობლიობაც ქმნის მდგრად განვითარებას. მრავალრიცხოვანმა საერთაშორისო ფორუმებმა, რომლებიც 1987 წლის შემდეგ ჩატარდა, არაერთხელ დაამტკიცა და გაამყარა ამ მიზნების მნიშვნელობა. ესენია, მაგალითად, 1992 წლის გაეროს კონფერენცია გარემოსა და განვითარების შესახებ; 2002 წლის მსოფლიო სამიტი მდგრადი განვითარების შესახებ და სხვა.

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ წარმოადგენს კომპანიის ძირითადი ბიზნესის დამატებით საქმიანობას. ეს არის ბიზნესის წარმოების ახალი მეთოდი, რომელიც გულისხმობს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ჩართვას როგორც ბიზნეს სტრატეგიაში.

ტეგიაში, ისე კომპანიის საქმიანობის ყველა სფეროსა და კომპონენტში. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერი ბიზნეს გადანყვეტილების მიღებისას ან ბიზნეს ოპერაციის განხორციელებისას, კომპანია ითვალისწინებს მოცემული გადანყვეტილებისა თუ საქმიანობის შესაძლო ზეგავლენას ბუნებრივ გარემოზე, ადგილობრივ საზოგადოებასა და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებზე, ცდილობს შეამციროს უარყოფითი ზეგავლენა და გააძლიეროს დადებითი შედეგები. ამგვარად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გაიაზრება არა როგორც ერთჯერადი აქტი ან კომპანიის მიერ დროდადრო განხორციელებული ინიციატივები (რომლებიც კომპანიის მარკეტინგულ ან PR საქმიანობის ნაწილს წარმოადგენს), არამედ ეს არის კომპანიის სისტემური, კარგად გააზრებული სტრატეგია, ყოველდღიურად გადადგმული ნაბიჯები, მისი ბიზნეს გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ინტეგრირებულია მიმდინარე ბიზნეს ოპერაციებში.

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის ალტრუიზმი. ის შეიძლება განიმარტოს, როგორც გრძელვადიანი წარმატება ბიზნეს საქმიანობაში, რომელიც მიიღწევა არა მხოლოდ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, არამედ სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მიზნების გათვალისწინებით, რაც კეთილმყოფელია როგორც კომპანიისათვის, ისე საზოგადოებისათვის. პასუხისმგებელ კომპანიათა დიდი რიცხვი მიუთითებს, რომ საქმიანობის კარგ სოციალურ და გარემოსდაცვით მაჩვენებლებს შედეგად მოჰყვება უკეთესი ეკონომიკური მაჩვენებლები და შემოსავლების ზრდა.

CSR წარმოადგენს ახალი ბიზნეს მოდელის განუყოფელ ნაწილს. კორპორაციული CSR პოლიტიკის საბოლოო მიზანია შეიმუშაოს ინოვაციური, ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანი და რისკების პრევენციული მიდგომები ძირითადი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში, რათა გააუმჯობესოს გარემოზე მოხდენილი ზეგავლენა და სოციალური პირობები. (*CSR – an implementation Guide for Business, P. Hohnen and Jason Potts, 2007*).

- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა დღევანდელი გაგებით ბევრად უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ქველმოქმედება, სპონსორობა და ფილანთროპია (თუმცა, ეს უკანასკნელები გაიაზრება როგორც CSR-ის შემადგენელი კომპონენტები). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა იმას კი არ გულისხმობს, თუ როგორ ხარჯავს კომპანია მოგებას, არამედ იმას, თუ რა გზებით იღებს ამ მოგებას, როგორ ითვალისწინებს ყოველდღიურ ბიზნეს საქმიანობაში სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ საკითხებს, როგორ ახდენს მათ ინტეგრირებას საკუთარ კორპორაციულ ფასეულობებსა და კულტურაში, გადანყვეტილების მიღების პროცესში, სტრატეგიასა და საქმიანობებში, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპების დაცვით. აღსანიშნავია, რომ CSR-ის ადრეული განსაზღვრებები ძირითადად ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიან-

ნობებზე კონცენტრირდებოდა. დღესდღეობითაც, განვითარებად ქვეყნებში ხშირად CSR კვლავ ძირითადად ქველმოქმედებად არის გააზრებული, თუმცა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში CSR გაცილებით ფართო კონცეფციას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ფილანტროპია/ქველმოქმედება CSR-ის მოძველებული ფორმებია. ეს განასხვავებს CSR-ის დღევანდელ გაგებას წარსულის ინიციატივებისაგან. თანამედროვე გაგებით, CSR გააზრებულია არა როგორც ერთჯერადი აქტი, არამედ როგორც მდგრადი პროცესი, რომელიც ეფუძნება და თანაბრად ითვალისწინებს მდგრადი განვითარების სამ ძირითად ასპექტს – ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და გარემოს დაცვას. ამგვარად, პასუხისმგებელი ბიზნესი განიხილება ეთიკური ფასეულობების, კანონთან შესაბამისობის, საზოგადოებასა და გარემოზე ზრუნვის კონტექსტში.

ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის (2007-2010), გორდონ ბრაუნის, სიტყვით, დღესდღეობით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შორს გასცდა გასული ეპოქის კორპორაციულ ფილანტროპიას, რომელიც ძირითადად მოიაზრებდა საქველმოქმედო საქმიანობაზე თანხის გაღებას ფინანსური წლის ბოლოს. სოციალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს კომპანიის მუდმივ პასუხისმგებლობას გარემოზე, უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნაზე, საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებაზე და იმის გაცნობიერებას ეფუძნება, რომ კომპანიის იმიჯი დამოკიდებულია არა მხოლოდ პროდუქციის ფასსა და ხარისხზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ ურთიერთქმედებს კომპანია თავის თანამშრომლებთან, საზოგადოებასთან და გარემოსთან”.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ კომპანიის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება არ ნიშნავს აუცილებლად ფულადი კონტრიბუციის გაღებას სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად. CSR-ის ფორმები შეიძლება იყოს მრავალფეროვანი და იგი დამოკიდებულია კონკრეტული კომპანიის მიერ არჩეულ მექანიზმებზე.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი კომპონენტები

როგორც დავინახეთ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საკმაოდ კომპლექსური ცნებაა. ის მრავალ სხვადასხვა საკითხსა და თემას მოიცავს, ამასთანავე CSR-ის კომპონენტები ასახავს საზოგადოების მოთხოვნებს კონკრეტულ ეპოქაში და, შესაბამისად, ცვლილებას ექვემდებარება – საზოგადოების ინტერესებისა და საჭიროებების შეცვლასთან ერთად იცვლება მისი მოლოდინები და მოთხოვნები კომპანიის მიმართ.

რადგანაც CSR უშუალოდ უკავშირდება მდგრადი განვითარების კონცეფციას, მისი შემადგენელი კომპონენტები ასევე მდგრადი განვითარების

სამი ძირითადი მიზნის კონტექსტში გაიაზრება. ასევე გასათვალისწინებელია, რომ CSR-თან უშუალოდ არის დაკავშირებული მენეჯმენტის საკითხები, რადგანაც ბიზნესი გადამწყვეტ როლს თამაშობს სამუშაო ადგილებისა და მატერიალური დოვლათის შექმნაში. CSR საშუალებას აძლევს კომპანიებს მართონ და თავიდან აიცილონ რისკები, ასევე ეფექტურად გამოიყენონ ახალი შესაძლებლობები, განსაკუთრებით კორპორაციულ რეპუტაციასა და დაინტერესებულ მხარეებთან კავშირში.

სხვადასხვა ზომის და სხვადასხვა სფეროში მომუშავე კომპანიები განსხვავებულად განსაზღვრავენ საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის პრიორიტეტებსა და მასშტაბებს.

სოციალური პასუხისმგებლობის ყველაზე ფართო გააზრება მოიცავს ძირითად კომპონენტებს, რომლებიც მეტწილად ურთიერთგადაჯახებული და ურთიერთდამოკიდებულია. ესენია:

- კორპორაციული მართვა და ეთიკა;
- ადამიანის უფლებათა დაცვა თანამშრომლებთან, მომწოდებლებსა და მომხმარებლებთან ურთიერთობისას;
- შრომითი საქმიანობის ძირითადი უფლებებისა და სტანდარტების დაცვა
- გარემოს დაცვა და გარემოსდაცვითი ზეგავლენების მართვა;
- სოციალური პოლიტიკა საზოგადოებასთან მიმართებით (საზოგადოების ჩართულობა, განვითარება და ინვესტიციები საზოგადოებრივ საქმიანობათა დასაკმაყოფილებლად);
- მექრთამეობასთან ბრძოლა და ანტიკორუფციული ღონისძიებები;
- დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი;
- ადამიანური რესურსების მართვა და თანამშრომლებთან ურთიერთობის პოლიტიკა (პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, უსაფრთხო სამუშაო პირობებისა და პროფესიულ დაავადებათა პრევენციაზე ზრუნვა, სამუშაო საათები, სახელფასო პოლიტიკა და ა. შ.);
- მომხმარებელთა საკითხები;
- მომწოდებლებთან ურთიერთობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მონოდების ქსელებში;
- კორპორაციული ფილანთროპია და თანამშრომელთა მოხალისეობა;
- გამჭვირვალობა და ანგარიშგება საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი პარამეტრების შესახებ.

ამგვარად, სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს არა მხოლოდ ყველა არსებული კანონის დაცვას, არამედ, ორგანიზაციის საქმიანობით მოხდენილი უფრო ფართო საზოგადოებრივი და ეკოლოგიური ზეგავლენების გათვალისწინებით, დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგს, კანონის მიღმა“ ვალდებულებების აღებასა და დაკმაყოფილებას.

* * *

როგორც ზემოთაღნიშნულთა, სოციალური პასუხისმგებლობა სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობს სანარმოთა, პოლიტიკის განმსაზღვრელთა და დაინტერესებულ მხარეთა შორის, რადგანაც ის წარმოადგენს მმართველობის ახალი მოდელის“ მნიშვნელოვან კომპონენტს. კომპანიები აცნობიერებენ, რომ თანამედროვე მსოფლიოში CSR-ს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი წარმატების მისაღწევად. დღევანდელ დღეს წარმოუდგენელია ნორმალური იმიჯის დასავლური კომპანია, რომელიც არ ითვალისწინებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებსა და ვალდებულებებს.

მართალია, არსებობენ ცალკეული ადამიანები და კომპანიები, რომლებიც უარყოფენ ან ეჭვის ქვეშ აყენებენ CSR-ის იდეას, მაგრამ ბიზნეს კომპანიების, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ქვეყანათა მთავრობების აბსოლუტური უმრავლესობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებას მიიჩნევს ბიზნესის წარმოების ერთადერთ მისაღებ ფორმად.

ამის დამადასტურებელია მრავალი სხვადასხვა CSR ხელშემწყობი ორგანიზაციის შექმნა, როგორებიცაა, მაგალითად, Business for Social Responsibility (BSR) აშშ-ში (შეიქმნა 1992 წელს), The European Academy of Business in Society – ევროპაში, CSR Asia – აზიაში, African Institute of Corporate Citizenship (AICC) აფრიკაში, Ethos Institute ბრაზილიაში და სხვა მრავალი; პასუხისმგებელი ბიზნესის მარეგულირებელი საერთაშორისო ინსტრუმენტების, შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების ინიცირება, რომელთაც მრავალი სხვადასხვა ქვეყანა უერთდება; საერთაშორისოდ აღიარებული CSR სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება; ამ საკითხისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების არაერთი სპეციალური გამოკვლევა; უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში CSR საკითხებისა და პროგრამების შეტანა; ევროკომისიის არაერთი დადგენილება და ოფიციალური დოკუმენტი CSR-ზე; ცალკეული ქვეყნების მიერ შემუშავებული CSR ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკები; მთავრობებისა თუ ბიზნესის და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ინიცირებული ჯილდოები CSR-ში წარჩინებისათვის და სხვ. (ამ საკითხებზე დანვრილებით შემდგომ თავებში გვექნება საუბარი).

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მომავალში CSR -ტენდენციები კიდევ უფრო გაიზრდება და გამოიწვევს საზოგადოებაში კორპორაციათა როლისა და ფუნქციების საფუძვლიან გადახედვასა და გადაფასებას.¹³

სწორედ CSR-ის ამგვარი მნიშვნელობის გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოში მისი დანერგვისა და განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობა.

¹³ იხ. Lydenberg, Steven S. *Corporations and the Public Interest: Guiding the Invisible*, San Fransisco, 2005; *The A to Z of Corporate Social Responsibility: A Complete Reference Guide to Concepts, Codes and Organisations*, Visser, W., Matten, D., Pohl, M., Tolhurst, N. (eds.), London, 2007.

თავი II

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და დადებითი შედეგები

CSR განვითარება დადებით ზეგავლენას ახდენს როგორც თავად კომპანიის საქმიანობაზე, აგრეთვე ქვეყნის წინსვლაზე, საზოგადოების კეთილდღეობაზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური პრობლემების ეფექტურ მოგვარებაში.

21-ე საუკუნეში კაცობრიობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას მდგრადი, დაბალანსებული და სამართლიანი განვითარება წარმოადგენს. ამჟამინდელი და მომავალი თაობების საჭიროებები ვერ დაკმაყოფილდება, თუ პატივს არ ვცემთ ბუნებრივ სისტემებსა და საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც იცავს ფუნდამენტურ სოციალურ და ეკოლოგიურ ფასეულობებს. ამ კონტექსტში უფრო და უფრო მეტად არის აღიარებული ის ფაქტი, რომ ბიზნეს სექტორის როლი გადამწყვეტია.

დღევანდელ მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კერძო სექტორის საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს თანამშრომლებზე, მომხმარებლებზე, პარტნიორებზე, ინვესტორებზე, ზოგადად საზოგადოებაზე, ბუნებრივ გარემოზე, ეკონომიკურ სისტემებზე, მთავრობებზე და ა. შ. ასევე სულ უფრო ცხადი ხდება, რომ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები ვერ გადაიჭრება კერძო სექტორის ჩართულობის გარეშე, რადგანაც კერძო სექტორი ყველაზე ძლიერ და გავლენიან მოთამაშეს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკაში, რომელიც თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის მაფორმირებელი ძალაა. კომპანიებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ როგორც საკუთარი წარმატების, ისე საზოგადოების კეთილდღეობის ზრდაში, თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გაითვალისწინებენ იმ ზეგავლენას, რომელიც მათ აქვთ ირგვლივ არსებულ სამყაროზე.

CSR ეფექტური ინსტრუმენტია კერძო სექტორისათვის, რომ წვლილი შეიტანოს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში (როგორცია სიღარიბის შემცირება, ეკოლოგიური და ჯანდაცვის პრობლემების მოგვარება, თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა და სხვ.), რაც მსოფლიო მასშტაბით დაინტერესებულ მხარეთა მრავალი სხვადასხვა ჯგუფის გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს.

მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად სულ უფრო დიდი

მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სამომხმარებლო ქცევის მოდელებს, რომლებიც, თავის მხრივ, სწრაფად ცვალებადი და არამდგრადია. CSR პასუხისმგებელი სამომხმარებლო ქცევის კატალიზატორს წარმოადგენს. პასუხისმგებელი მოხმარება“ არ გულისხმობს მხოლოდ მომხმარებლის უპირატესობების შეცვლას. იგი დამოკიდებულია აგრეთვე ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა ბაზარზე არსებული საქონელი, ამ საქონლის კავშირი მომხმარებელთა უფლებებთან და მდგრადი განვითარების საკითხებთან, აგრეთვე როგორ არეგულირებენ საკანონმდებლო ორგანოები ურთიერთობას მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. კომპანიები გადამწყვეტ როლს ასრულებენ პასუხისმგებელი სამომხმარებლო ქცევის ჩამოყალიბებაში მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა და სერვისების მეშვეობით.

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას *წვლილი შეაქვს აგრეთვე ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მიღწევაშიც* — საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში, სოციალური თუ ეკოლოგიური პრობლემების ეფექტურ მოგვარებაში და სხვ.

CSR-თან დაკავშირებული კიდევ ერთი თემაა მისი *ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობაზე*. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პასუხისმგებელ ბიზნეს სექტორს წვლილი შეაქვს ქვეყნის ეროვნული კონკურენტუნარიანობის ზრდაში. ევროკავშირი თავის დოკუმენტებში საგანგებოდ აღნიშნავს CSR-ის კავშირს როგორც ცალკეული კომპანიების, ისე ეროვნულ ეკონომიკათა კონკურენტუნარიანობასთან.¹⁴ წამყვანი ინდუსტრიული ასოციაციები, როგორებიცაა, მაგალითად, მდგრადი განვითარების მსოფლიო ბიზნეს-საბჭო, აგრეთვე აცხადებენ, რომ ქვეყნები ისევე, როგორც კომპანიები, საკონკურენტციო უპირატესობას ფლობენ კორპორაციული პასუხისმგებლობის განხორციელების შედეგად.

განვითარებადი ქვეყნების კომპანიებისათვის CSR წარმოადგენს ასევე *საერთაშორისო ბაზარზე გასვლისა და ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას*. მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში საერთაშორისო ბაზარზე საკონკურენტციო უპირატესობის მოპოვება იდენტიფიცირებულია, როგორც CSR-ის მთავარი მამოძრავებელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში.¹⁵ განვითარებადი ქვეყნების მთავრობები და ბიზნესები აცნობიერებენ, რომ მათი საკონკურენტციო პოზიციები ისევე, როგორც უცხოური კაპიტალის ხელმისაწვდომობა, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი გლობალურ სტანდარტებს.¹⁶

¹⁴ იხ. *Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility*, Green Paper, 2001; CSR – A business Contribution to Sustainable Development (2002); *Corporate Social Responsibility - A Business Contribution to Sustainable Development*, European Commission, Directorate General for Employment and Social Affairs, 2002.

¹⁵ Baskin, J., *Corporate Responsibility in Emerging Markets*. Journal of Corporate Citizenship, 24, 2006. (winter), 29–47.

¹⁶ იხ. *Developing Value: The Business Case for Sustainability in Emerging Markets*, SustainAbility, the International Finance Corporation (IFC), and the Ethos Institute of Business and Social Responsibility, 2002.

იმ თვალსაჩინო დადებითი შედეგების გარდა, რომლებიც კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას მოაქვს საზოგადოებისათვის, CSR აგრეთვე დადებითი შედეგების მომტანია თავად კომპანიებისთვისაც.

კომპანიის საქმიანობაზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზეგავლენის საკითხი აქტიურად განიხილება ექსპერტთა დისკუსიებში. უკანასკნელი წლების კვლევები ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა არ არის მხოლოდ საზოგადოების წინაშე მორალური ვალდებულებების შესრულება, ის კეთილმყოფელ გავლენას ახდენს კომპანიის უშუალო ბიზნეს საქმიანობაზეც. ორგანიზაციებს, რომლებიც ითვალისწინებენ გარემოსდაცვით, სოციალურ და მასშტაბურ ეკონომიკურ საკითხებს თავიანთ ძირითად ბიზნეს საქმიანობასთან კავშირში, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვთ. (თუმცა არ დადასტურებულა აბსოლუტური მიზეზ-შედეგობრივი კავშირი CSR-სა და გაუმჯობესებულ ფინანსურ მაჩვენებლებს შორის, კვლევები ცხადყოფს, რომ მათ შორის ნეიტრალური ან უმეტესწილად დადებითი კორელაცია არსებობს. ზოგადად, იმისათვის, რომ CSR-ის ზეგავლენა და შედეგები კომპანიისათვის იყოს დადებითი, აუცილებელი პირობაა სათანადო დაგეგმვა და მონიტორინგი).¹⁷

უკვე ათი წელია, რაც ჩემი ორგანიზაცია იკვლევს სოციალურად პასუხისმგებელი სტრატეგიისა და საქმიანობის ზეგავლენას კომპანიათა ფინანსურ მაჩვენებლებზე. ჩვენი კვლევის შედეგები ცალსახაა: ის კომპანიები, რომელთაც შეუძლიათ რისკების მართვა, აგრეთვე სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების მზარდი მნიშვნელობით წარმოქმნილ ახალ შესაძლებლობათა კაპიტალიზაცია, ასეთი კომპანიები ზოგადად უკეთესად იმართება და, შესაბამისად, ფინანსურადაც სხვებზე უკეთესი მაჩვენებლები აქვთ.“

Dr. Matthew Kiernan, Chief Executive, Innovest Strategic Value Advisors, Toronto
(*Catalyst. Sustainability Report, 2008*)

მდგრადი განვითარების მსოფლიო ბიზნეს-საბჭო აღნიშნავს, რომ თანმიმდევრული CSR სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ჯანსაღ ღირებულებებს, პატიოსნებას და გრძელვადიან მიდგომებს, ცალსახა ბიზნეს უპირატესობებს უზრუნველყოფს *კომპანიებისთვის* და წვლილი შეაქვს საზოგადოების კეთილდღეობაში.¹⁸

მოტოროლას პრეზიდენტი და აღმასრულებელი დირექტორის, ედ ზანდერსის სიტყვით, კარგი ეკონომიკური მაჩვენებლები და საქმიანობის კარგი სოციალური და გარემოსდაცვითი მახასიათებლები ურთიერთგამომრიცხავი არ არის. პირიქით, მე მჯერა, რომ კარგი კორპორაციული მოქალაქეობა ჩვენს შედეგებს აუმჯობესებს. გასაკვირი არაა, რომ მრავალი ბიზნეს

¹⁷ იხ. *The A to Z of Corporate Social Responsibility*.

¹⁸ Hohnen, Potts, *Corporate Social Responsibility: An Implementation Guide for Business*, გვ. 9.

ანალიტიკოსი და ინვესტორი სულ უფრო დიდ ყურადღებას აქცევს კომპანიის კორპორაციული მოქალაქეობის პროგრამებს. კომპანიები, რომელთაც სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით კარგი მაჩვენებლები აქვთ, უდავოდ, უფრო მდგრადი, უკეთესად მართული კომპანიებია და, შესაბამისად, უფრო შესაფერისად მიიჩნევა გრძელვადიანი ინვესტირებისათვის”.¹⁹

ამგვარად, კომპანიები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ CSR-ის დანერგვა მათსავე ინტერესებშია.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სანარმოს ძირითადი ფუნქცია ღირებულების შექმნაა იმ პროდუქციისა და სერვისების წარმოებით, რომლებზეც არსებობს საზოგადოების მოთხოვნა, და ამგვარად მოგების მოტანა თავისი მფლობელებისა და აქციონერებისათვის, აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა, განსაკუთრებით სამუშაო ადგილების შექმნის გზით. თუმცა დღესდღეობით ბიზნეს წრეებში სულ უფრო მეტად აცნობიერებენ, რომ მდგრადი წარმატება ვერ დაეფუძნება მხოლოდ მოკლევადიანი მოგების მაქსიმალური ზრდას, ამისათვის საჭიროა ბაზარზე ორიენტირებული, მაგრამ პასუხისმგებელი საქმიანობის წარმართვა, რომელიც დაზოგავს გარემოს და უპასუხებს დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებს. სოციალური ზენოლა და ბაზრის მოთხოვნები სულ უფრო მეტად მოითხოვს ბიზნეს საქმიანობის ფასეულობათა და დიაპაზონის შეცვლას.

ბიზნესი იმ საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც ფუნქციონირებს. კომპანიის კარგმა დირექტორმა იცის, რომ გრძელვადიანი წარმატება დამოკიდებულია მუდმივ კარგ ურთიერთობაზე მრავალ სხვადასხვა ადამიანთან, ჯგუფთან თუ დაწესებულებასთან. ბიზნესი ვერ იქნება წარმატებული წარუმატებელ და პრობლემურ საზოგადოებაში – ბიზნესისთვის, როგორც საზოგადოების ნაწილისთვის, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება და ეკოსისტემები, რომლებშიც ის ფუნქციონირებს, ჯანსაღი იყოს. ეს ფართო სტრატეგიული მიდგომა ხსნის ბიზნეს კომპანიათა მზარდ დაინტერესებას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობით.

როგორც აღნიშნავს ტონი ფელი, RBC Capital Markets-ის პრეზიდენტი, ჩვენი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა წარმოადგენს როგორც ჩვენს გრძელვადიან ბიზნეს ინტერესს, ასევე ჯანსაღი, განვითარებადი ქვეყნის მიზანს. არც ერთი სანარმო არ ფუნქციონირებს ვაკუუმში”.²⁰

საზოგადოებასაც, თავის მხრივ, დიდი მოლოდინები აქვს კერძო სექტორის მიმართ. მომხმარებლები მოელიან, რომ წარმოებული პროდუქცია და სერვისები დაეფუძნება სოციალურად და ეკოლოგიურად პასუხისმგებელ საქმიანობას. აქციათა მფლობელებისთვისაც სრულიად ნათელია,

¹⁹ იქვე.

²⁰ იქვე.

რომ ეკონომიკური წარმატება მიიღწევა სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხებისა და რისკების გათვალისწინებით.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ფინანსური მოგება, მაგრამ ჩვენთვის სულერთი არ არის, თუ როგორ ვაღწევთ მას... პროგრესული ბიზნეს კომპანია საკონკურენტო უპირატესობას აღწევს საზოგადოებრივ მოთხოვნებზე რეაგირებით... ჩვენ ვაღწევთ წარმატებას იმით, რომ ვეხმარებით საზოგადოებას, იყოს წარმატებული”.

Idar Kreutzer, CEO Storebrand, 2005²¹

დღევანდელ მსოფლიოში კომპანიათა მზარდი რაოდენობა, საზოგადოების ზენოლის საპასუხოდ, ნერგავს და ახორციელებს საკუთარი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიებს. მენარმეები, ზოგადად, აღიარებენ, რომ CSR მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელიც ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს ინოვაციებს, ეხმარება კომპანიას უკეთ მართოს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული სოციალური და ეკოლოგიური რისკები, მოიზიდოს ინვესტორები, გააუმჯობესოს და ხანგრძლივად შეინარჩუნოს კარგი ურთიერთობა თანამშრომლებთან, მომწოდებლებთან, კლიენტებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ზოგადად გააუმჯობესოს კომპანიის რეპუტაცია საზოგადოების თვალში.

ასევე აღიარებულია, რომ შესაძლებლობები და უპირატესობები კომპანიებისათვის, რომლებიც მოჰყვება საერთაშორისო სოციალურ და გარემოსდაცვით კონვენციებსა და ნორმებთან ნებაყოფლობით შესაბამისობას, (ქვეყნის საკანონმდებლო მოთხოვნათა მიღმა) გადანონის ამასთან დაკავშირებულ ხარჯებს. ამგვარად, არაერთ კვლევაშია აღნიშნული, რომ CSR უნდა განვიხილოთ როგორც ინვესტიცია და არა როგორც ხარჯი (როგორც, მაგალითად, ხარისხის მართვის სისტემები), რადგანაც ის წარმოადგენს ბიზნესის მიერ გაკეთებულ ინვესტიციას გრძელვადიანი წარმატებისათვის.

არსებული კვლევებისა და გამოკითხვების მიხედვით, სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი დადებითი შედეგები კომპანიებისათვის მოიცავს შემდეგს:

- ✓ რისკების მუდმივად მზარდი სპექტრის უფრო ეფექტური პრევენცია და მართვა. თანამედროვე მსოფლიოში მუდმივად იზრდება კომპანიის წინაშე არსებული რისკები, რომლებიც უკავშირდება უფრო და უფრო რთულ საბაზრო გარემოს, დაინტერესებულ მხარეთა მალალ მოთხოვნებს კორპორაციული საქმიანობის მიმართ და ა. შ. სოცია-

²¹ იქვე.

ლურად პასუხისმგებელი კომპანია, რომელიც საკუთარ საქმიანობაში ითვალისწინებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა მოლოდინებს, უფრო ეფექტურად იცილებს თავიდან და მართავს მის წინაშე მდებარე სოციალურ, გარემოსდაცვით, სამართლებრივ, ეკონომიკურ და სხვა სახის რისკებს, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს მოწოდების უსაფრთხოებას და ბაზარზე სტაბილურობას.

- ✓ *კომპანიის დადებითი იმიჯი/გაუმჯობესებული რეპუტაცია.* არაერთი კვლევა და გამოკითხვა ადასტურებს, რომ დღევანდელ მსოფლიოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა დადებით ზეგავლენას ახდენს კომპანიის რეპუტაციაზე და პირიქით, კომპანიის უპასუხისმგებლო ქცევა ადვილად აზიანებს მისი ბრენდის იმიჯს. კარგი რეპუტაციის მქონე კომპანიებიც კი სწრაფად დაკარგავენ ძნელად მოპოვებულ რეპუტაციას და სახელს, თუ ვერ მოახერხებენ, დანერგონ სისტემური მიდგომები თავიანთი საქმიანობის დადებითი ზეგავლენის უზრუნველსაყოფად. ამ კომპანიებს შემდგომში დიდი ფულისა და დროის დახარჯვა სჭირდებათ, რომ გამოასწორონ მათი რეპუტაციისათვის მიყენებული ზიანი. სამყაროში, რომელშიც ბრენდი და რეპუტაცია კომპანიის ყველაზე ღირებული ქონებაა, სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიას ნდობასა და ერთგულებას მოაპოვებინებს, რაც მისი წარმატებული და მდგრადი მომავლის გარანტიაა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზაციებისათვის, რომელთაც ძვირად ღირებული სავაჭრო ქსელები აქვთ. ისინი ხშირად ექცევიან მედიისა და აქტივისტების ყურადღების ცენტრში და მომხმარებელთა ზეწოლის ობიექტები ხდებიან. რეპუტაცია და ბრენდი ეფუძნება ისეთ ფასეულობებს, როგორებიცაა სანდოობა, ხარისხი და თანმიმდევრულობა. იმ კომპანიებისთვისაც, რომლებიც არ ფლობენ საკუთარ გასაღების ქსელებს და, შესაბამისად, არ წარმოადგენენ მომხმარებელთა ფოკუსირებული ყურადღების საგანს, კორპორაციული რეპუტაცია სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში გადამწყვეტი შეიძლება იყოს კომერციული თვალსაზრისით.

წამყვანმა ბიზნეს ორგანიზაციებმა შეიმუშავეს სხვადასხვა ჯილდოები კომპანიათა პასუხისმგებელი საქმიანობისათვის. ერთ-ერთი ასეთი ჯილდოა ჟურნალ *Fortune*-ის ყველაზე უფრო კარგი» და ყველაზე უფრო ცუდი რეპუტაციის» კატეგორიები, ხოლო რეპუტაციის განმსაზღვრელი 8 ატრიბუტიდან ერთ-ერთია — სოციალური პასუხისმგებლობა.

- ✓ *მომხმარებელთა ლოიალობის ზრდა.* დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ არსებობს კავშირი კომპანიის რეპუტაციასა და სამომხმარებლო ქცევას შორის – მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამტკიცებს, რომ უპირატესობას ანიჭებს სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის პროდუქციასა და სერვისებს.

- ✓ კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნებისა და პროფესიული განვითარების უკეთესი შესაძლებლობები. ეს უშუალოდ უკავშირდება თანამშრომლების სიამაყეს პასუხისმგებელი და ეთიკური კომპანიის პროდუქციითა და საქმიანობით, რაც აძლიერებს კორპორაციულ ერთგულებას – ადამიანები უფრო ერთგული და ლოიალური არიან იმ კომპანიის მიმართ, რომელში მუშაობაც საამაყოდ მიაჩნიათ. პასუხისმგებელ კომპანიას აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესებული მეთოდები და პროგრამები აქვს დანერგილი (მაგალითად, ოჯახთან თავსებადი სანარმოს” პოლიტიკა და სხვ.), რაც აგრეთვე ხელს უწყობს თანამშრომელთა კმაყოფილებისა და პროდუქტიულობის ზრდას (ასეთ კომპანიებში, პრაქტიკულად, არ იმართება თანამშრომელთა გაფიცვები და არ ხდება საქმიანობის პარალიზება).
- ✓ გაუმჯობესებული კონკურენტუნარიანობა, ინოვაციების შეთვისება და ბაზარზე პოზიციონირება. CSR მნიშვნელოვანწილად წარმოადგენს შესაძლებლობათა ეფექტური გამოყენების მექანიზმს. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთაგან უკუკავშირის მიღება ხელს უწყობს იდეების ჩამოყალიბებას ახალი პროდუქციის, ინოვაციური სანარმოო პროცესებისა თუ ბაზრების შესახებ, რასაც მოსდევს საკონკურენტო უპირატესობები. მაგალითად, კომპანია შეიძლება სერტიფიცირებული იყოს გარკვეული გარემოსდაცვითი ან სოციალური სტანდარტების მიხედვით და, ამის შედეგად, მისაღები მომწოდებელი გახდეს გარკვეული ტიპის სანარმოებისთვის თუ გამსაღებლებისათვის. წარმატებული ბიზნესის ისტორია ყოველთვის უკავშირდება სიახლეების, ახალი მიმართულებების და ტენდენციების მიმართ გახსნილობას, ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებას. მაგალითად, ახალ ბაზრებზე გასვლის საშუალებას იძლევა გარემოსდამზოგი პროდუქცია, როგორცაა ელექტრომობილები, მზის ენერჯიაზე მომუშავე ავტომანქანები, ეთიკურად წარმოებული ყავა, ქარის ენერჯის ტურბინები და ა. შ. გარემოსდამზოგ ტექნოლოგიებში განხორციელებული ინვესტიციების ანალიზი აგრეთვე ცხადად მიგვითითებს, რომ მათ წვლილი შეაქვთ კომპანიის კონკურენტუნარიანობაში.
- ✓ ცვლილებებზე რეაგირების უკეთესი უნარი. კომპანიას, რომელსაც ყურები აქვს დაცქვეტილი“ დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი დიალოგის მეშვეობით, უკეთესი შესაძლებლობა აქვს, რომ წინასწარ განჭვრიტოს და უპასუხოს მოსალოდნელ საკანონმდებლო, ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ცვლილებებს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპანიებისათვის წარმოადგენს ერთგვარ რადარს“ ბაზარზე ახალი მიმდინარეობებისა და მიმართულებების გამოსავლენად.
- ✓ საქმიანობის უფრო მაღალი ეფექტურობა და დანახარჯების შემცირება. კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტების დანერგვას გულისხმობს. მენეჯმენტის

სისტემების უწყვეტ გაუმჯობესებას უშუალოდ მოჰყვება საქმიანობის ეფექტურობის ზრდა და დანახარჯების შემცირება. საქმიანობის გარემოსდაცვითი ასპექტებისა და ენერგომოხმარების შეფასებამ შეიძლება გამოავლინოს ახალი შესაძლებლობა, რათა ნარჩენების ნაკადი შემოსავლების ნაკადად გარდაიქმნას“. მაგალითად, ნარჩენების მინიმიზაცია, რეციკლირება და მეორადი მასალის გამოყენება, გარდა იმისა, რომ გარემოს ზოგავს, დანახარჯებსაც ამცირებს; იგივე ითქმის ენერჯის მოხმარებისა და ენერგოდანახარჯების სისტემური შემცირების შესახებ. სოციალურ სფეროში მინიმალურ საკანონმდებლო მოთხოვნათა მიღმა წასვლა, მაგალითად, ტრენინგი, სამუშაო პირობები, მენეჯმენტისა და პერსონალის ურთიერთობები, ასევე უშუალო დადებით ზეგავლენას ახდენს პროდუქტიულობაზე. ის ხელს უწყობს ცვლილების მართვას და სოციალური განვითარების შერწყმას გაუმჯობესებულ კონკურენტუნარიანობასთან.

- ✓ ეფექტური მიწოდების ქსელების შექმნის უკეთესი შესაძლებლობები. მსგავსი ფასეულობების და მიდგომების მქონე კომპანიებმა შეიძლება დაამყარონ გრძელვადიანი მომგებიანი ბიზნეს ურთიერთობები. ხოლო დიდმა კომპანიებმა შეიძლება მოსთხოვონ საკუთარი მიწოდების ქსელებში ჩართულ მცირე კომპანიებს, რომ მათ დანერგონ CSR მიდგომები. მაგალითად, ზოგიერთი მსხვილი ავტომწარმოებელი მოითხოვს, რომ მათ მიმწოდებლებს ჰქონდეთ დანერგილი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სქემები და სერტიფიცირებული იყვნენ შესაბამისი სტანდარტებით. სამკაულების მაღაზიების ზოგიერთი მსხვილი ქსელი მოითხოვს, რომ მათი მიმწოდებლები შესაბამისობაში იყვნენ შრომით სტანდარტებთან და კოდექსებთან.
- ✓ თემში/რეგიონში საქმიანობის სოციალური ლიცენზია“. დაინტერესებულ მხარეებთან, ადგილობრივ თემთან კარგი ურთიერთობა, საქმიანობაში მათი ინტერესების გათვალისწინება და ანგარიშვალდებულება ეხმარება კომპანიას, შექმნას სოციალური კაპიტალი“. სოციალურად პასუხისმგებელ კომპანიას, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობს, უკეთესი შესაძლებლობები აქვს გააგრძელოს და გააფართოვოს საკუთარი საქმიანობა ან წამოიწყოს ახალი.
- ✓ კაპიტალის ხელმისაწვდომობა. ფინანსური ბაზარზე უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა CSR-ის მნიშვნელობა. ფინანსური ინსტიტუტები სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ თავიანთ შეფასების სისტემებში სოციალურ და გარემოსდაცვით კრიტერიუმებს. ინვესტორები CSR ინდიკატორებს ითვალისწინებენ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას. ბიზნეს-გეგმა, რომელშიც CSR მიდგომებია ინტეგრირებული, ეფექტური მენეჯმენტის მაჩვენებლად მიიჩნევა. შესაბამისად, სოციალურად პასუხისმგებელ კომპანიებს ხელი მიუწვდებათ საკმაოდ მნიშვნელოვან კაპიტალზე, რომლის დაბანდებაც ხორციელდება პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპების მიხედვით.

ბოლო წლებში **სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება** (Socially responsible investment/SRI), რომელიც გულისხმობს კომპანიის საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი მაჩვენებლების გათვალისწინებას საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას, სულ უფრო გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს ინვესტორთა შორის არა მხოლოდ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში, არამედ ლათინურ ამერიკასა და აზიაშიც. შემოღებულია ეთიკური ინვესტიციებისა და მდგრადი განვითარების მრავალი ინდექსი, რომლებიც ასახავენ სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიების საქმიანობას.

მაგალითად, ბოლო ხანების სტატისტიკური მონაცემების თანახმად, კანადელმა ინვესტორებმა 50 მილიარდი დააბანდეს სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპების შესაბამისად. SRI სულ უფრო გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს მსხვილი ინსტიტუციური ინვესტორებისათვის, მაგალითად, საპენსიო ფონდებისათვის, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით ინვესტირებული აქტივების დაახლოებით ერთ მესამედს მოიცავენ.

1999 წლის შემდგომ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, შვედეთში) ამოქმედდა კანონმდებლობა, რომელიც მოითხოვს, რომ საპენსიო ფონდებმა ღიად განაცხადონ, თუ როგორ ითვალისწინებენ საინვესტიციო გადაწყვეტილებებში სოციალურ და გარემოსდაცვით ფაქტორებსა და კორპორაციული მმართველობის საკითხებს. ეს კი, თავის მხრივ, სტიმულირებას უკეთებს საპენსიო ფონდებს, უფრო მეტად გაითვალისწინონ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის მაჩვენებლები ინვესტიციების გაკეთებისას.

შეერთებულ შტატებში საფინანსო ინსტიტუტების მიერ მართული ყოველი 10 დოლარიდან ერთი იხარჯება სოციალურად პასუხისმგებელ ინვესტირებაზე (*იხ. 2005 Report on Socially Responsible Investing Trends in the United States, Social Investment Forum, January 2006*)

ევროპის სოციალური ინვესტირების ფორუმი (European Social Investment Forum – EUROSIF), მისი ასოცირებული წევრების სახით აერთიანებს აქტივებს, რომლებიც 60 მილიარდს უტოლდება (*იხ. <http://www.eurosif.org>*).

კაპიტალის ასეთი დიდი მოცულობის არსებობა, რომელიც იმართება სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპებით (ანუ გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მმართველობის კრიტერიუმების გათვალისწინებით) სტიმულირებას უკეთებს კომპანიებს შეცვალონ თავიანთი პოლიტიკები, რათა საკუთარი აქციები ამ კაპიტალისათვის მისაღები გახადონ.

- ✓ ხელისუფლების კეთილგანწყობა და გაუმჯობესებული ურთიერთობა საკანონმდებლო ორგანოებთან. ზოგიერთი იურისდიქცია ითვალისწინებს ნებართვებისა და ლიცენზიების დამტკიცების დაჩქარებულ ან გაადვილებულ პროცედურებს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ახორციელებენ გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას კანონით დაკისრებული მინიმალური მოთხოვნების მიღმა. მრავალი ქვეყნის მთავრობა კომპანიის საქმიანობის CSR მაჩვენებლებს ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას ან საექსპორტო კრედიტების/გრანტების გაცემისას. არსებობს აგრეთვე საგადასახადო შეღავათები პასუხისმგებელი კომპანიებისათვის. მთავრობები ასე იქცევიან, რადგან აცნობიერებენ, რომ ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა შეუძლებელია კერძო სექტორის მნიშვნელოვანი ჩართულობის გარეშე.

ყოველივე ზემოთქმული, საბოლოოდ, ბიზნეს წარმატებას უწყობს ხელს და გაუმჯობესებულ ეკონომიკურ მაჩვენებლებში აისახება. თუმცა გამოკითხვები ცხადყოფს, რომ, ჩვეულებრივ, კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ფინანსური მოსაზრებებით არ არის ხოლმე განპირობებული. ხშირ შემთხვევაში, ის ეფუძნება აგრეთვე ზნეობრივ-ეთიკურ ღირებულებებს, რწმენას, რომ ასე მოქცევა კარგი და სწორი იქნება, ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვას — ეს ყოველივე უბიძგებს კომპანიას გადახედოს საკუთარ პასუხისმგებლობებს.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით **საქართველოს კონტექსტის** განხილვაც. ქართული ბიზნესისა და მოსახლეობის შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (და შესაბამისად, როგორია ბიზნესის მოტივაცია, განახორციელოს სოციალური პასუხისმგებლობა), წარმოაჩენს 2007 წელს ჩატარებული ორი სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლებშიც ზოგადად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისადმი დამოკიდებულება და პრაქტიკა იყო შესწავლილი როგორც ბიზნეს კომპანიებში, ასევე საზოგადოებაში.²²

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური პასუხისმგებლობა შედარებით ახალ კონცეფციას წარმოადგენს საქართველოსათვის, ქართული კომპანიები, განსაკუთრებით მსხვილი კომპანიები, რომლებსაც ქართული ბიზნესის ლიდერთა როლზე აქვთ პრეტენზია, აცნობიერებენ, რომ წარმატების მისაღწევად და კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად, უნდა იხელმძღვანელონ კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით.

კვლევის შედეგების თანახმად, სოციალური პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, კომპანიისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაზე აისახება დადებითად, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა მომხმარებელთა და თანამშრომელთა ლოიალურობა, კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობა და სხვ. გამოკითხულ კომპანიათა 85% თვლის, რომ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება მნიშვნელოვანია კომპანიის დადებითი იმიჯისა და რეპუტაციის ჩამოყალიბებისათვის.


მო მხმარებელთა თვალში იზრდება ბრენდი და კომპანიის სახელი.”

მო სახლეობა უფრო ენდობა იმას, ვისაც სახელი აქვს, აქტიურია და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს.”

²² იხ.: თ ბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა - დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება”, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2007; კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა“, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, გაეროს გლობალური შეთანხმების“ საქართველოს პროგრამა საქართველოში, თბილისი, 2007. უფრო დანვრილებით ამ კვლევების შესახებ იხილეთ ამავე ნაშრომის შემდეგი თავი.


საზოგადოების ლოიალობა მნიშვნელოვანია კომპანიისათვის, მისი საქმიანობისა და წარმატებისთვის. როცა ლოიალური ხარ რომელიმე კომპანიის მიმართ, მის პროდუქციას უფრო სიამოვნებით ყიდულობ და სიამოვნებით სარგებლობ, თანაბარ პირობებში შეიძლება უპირატესობაც მიანიჭო.²³

სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა კომპანიის დადებითი იმიჯისა და რეპუტაციის ჩამოყალიბებაში – ბიზნესის ხედვა



CSR-ის ზეგავლენის დანარჩენ ასპექტებს ბიზნეს კომპანიათა ხელმძღვანელები ასე აფასებენ ათქულიან სკალაზე – კომპანიის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდა (8,9 ქულა), კომპანიაში პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება (8,5 ქულა), კომპანიის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა (8,5 ქულა).

სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიების უპირატესობები – ბიზნესის ხედვა (შეფასება 10-ქულიან სკალაზე)



²³ იხ. თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა – დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება, გვ. 40. რესპონდენტთა ანონიმურობის შენარჩუნების მიზნით, კვლევაში არ არის მითითებული მათი ვინაობა, არამედ მხოლოდ სექტორი, რომელსაც კომპანია წამოადგენს.

რაც შეეხება სოციალური პასუხისმგებლობის ზეგავლენას კომპანიის ურთიერთობაზე ხელისუფლებასთან, ამ თვალსაზრისით განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა. რესპონდენტებს აქვთ მოლოდინი, რომ ხელისუფლება გარკვეული სტიმულირებისა თუ შეღავათების სისტემის მეშვეობით დააფიქსირებს თავის დამოკიდებულებას სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიების მიმართ, რომ ამგვარი კომპანიები გარკვეული პრივილეგიებით ისარგებლებენ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას. თუმცა, გამოკითხულთა უმრავლესობის სიტყვით, დღესდღეობით ისინი ვერ გრძნობენ ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებრივად აქტიური კომპანიების განსაკუთრებულ მხარდაჭერას (აღნიშნულ ფაქტს კომპანიათა მენეჯერები კორპორაციული პასუხისმგებლობის განხორციელების ერთ-ერთ ხელის შემშლელ ფაქტორად ასახელებენ).²⁴

ეს კიდევ ერთი მიზეზია, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი საქართველოში ხელისუფლების აქტიური ჩართვა CSR განვითარების ხელშეწყობაში და ამ სფეროში ეფექტური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

რაც შეეხება საზოგადოების შეხედულებებს ამ საკითხზე, საგულისხმოა, რომ ინტუიტური, ზოგად ლოგიკაზე დამყარებული ცოდნა, რომელიც საზოგადოებას დღესდღეობით გააჩნია, თითქმის მთლიანად ასახავს კლასიკურ არგუმენტს, თუ რატომ უნდა უნდოდეს კომპანიას ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელება (თუმცა, საქართველოში არ განხორციელებულა რაიმე მნიშვნელოვანი საინფორმაციო კამპანია ამ სფეროში).

მოსახლეობის მიერ მოხმობილი არგუმენტები ორი ძირითადი მოტივის გარშემო შეიძლება გაერთიანდეს.

არგუმენტების ერთი წყება ასახავს, თუ რა დადებითი ზეგავლენას ახდენს კომპანიაზე სოციალური პასუხისმგებლობა, ესენია: საზოგადოების კეთილგანწყობისა და დადებითი იმიჯის მოპოვება (56%), კომპანიის რეკლამა და უკეთესი საზოგადოებრივი ურთიერთობები (37%), თანამშრომელთა ლოიალობა (13%), სახელმწიფოსთან ურთიერთობის გაუმჯობესება (10%).

ასეთი საქმიანობა საზოგადოების მეტ ყურადღებას მიაპყრობს კომპანიას და მომხმარებლებში [კომპანიის მიმართ] დადებით დამოკიდებულებას მოიტანს“ (ფოკუსჯგუფი, ქალი, ასაკი 45, დასაქმებული კერძო სექტორში).

საშუალო მოქალაქის ...ან, თუ გნებავთ, მომხმარებლის თვალში, კომპანია, რომელიც ნამდვილად ზრუნავს თავის თანამშრომლებსა და საზოგადოების პრობლემებზე, პატივისცემასა და მონონებას იმსახურებს“ (ფოკუს ჯგუფი, ქალი, ასაკი 35, დასაქმებული საჯარო სექტორში).

²⁴ იქვე, გვ. 41.

ე ს რეკლამაა თავისთავად. ეს ქმნის კომპანიის იმიჯს, როგორც კომპანიისა, რომელიც დიდი ხნით აპირებს ბიზნესში ყოფნას და საკმაოდ ძლიერია, რომ ადამიანებზე იზრუნოს” (ფოკუსჯგუფი, ქალი, ასაკი 45, დასაქმებული კერძო სექტორში).²⁵

არგუმენტების მეორე ჯგუფი უფრო მეტად ეთიკურ-ზნეობრივი მოტივით, საზოგადოებისათვის კომპენსაციის იდეითაა გაერთიანებული — რადგან ბიზნესი საზოგადოების რესურსებით სარგებლობს (15%), ან გარემოს აზიანებს (10%), რადგან სახელმწიფო რესურსები შეზღუდულია და არასაკმარისია საზოგადოების ყველა საჭიროების მოსაგვარებლად, ხოლო ბიზნესი ფლობს საკმარ რესურსებს (13%), ამიტომ ბიზნესის ზნეობრივი ვალია, რომ ანაზღაუროს მიყენებული ზიანი და დახარჯული რესურსები, აგრეთვე წვლილი შეიტანოს საზოგადოების პრობლემების მოგვარებაში.²⁶

როგორც ზემოთ დავინახეთ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი საზოგადოების თვალში აქვს სოციალური პასუხისმგებლობის დადებით ზეგავლენას კომპანიის იმიჯზე. ამასვე გვიდასტურებს იდეალური ბიზნეს კომპანიის” დახასიათება მოსახლეობის მიერ. იდეალური კომპანიის“ მახასიათებლად ხარისხიანი პროდუქციის წარმოების შემდეგ, სიხშირით მეორე ადგილზე გავიდა საზოგადოებრივად სასიკეთო საქმიანობების განხორციელება”.

კომპანიის დადებითი რეპუტაციის განმსაზღვრელ სხვა ფაქტორთაგან, რომლებიც კორპორაციულ პასუხისმგებლობას უკავშირდება, მართალია, დაბალი სიხშირით, მაგრამ მაინც დასახელდა – თანამშრომლებზე ზრუნვა; გარემოზე ზრუნვა; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია; მომხმარებელთა აზრის გათვალისწინება/დიალოგი მომხმარებლებთან; გამჭვირვალობა და ანგარიშგება; კომპანიის საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება და სხვ.²⁷

²⁵ იხ. კ. ორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა“, გვ. 50.

²⁶ იქვე, გვ. 49.

²⁷ იქვე, გვ. 30.

თავი III

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში (სიტუაციის ანალიზი და განვითარების პერსპექტივები)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, დღევანდელი გაგებით, საქართველოსათვის შედარებით ახალ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა იგი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ახალგაზრდა და დინამიურ ქართულ ბიზნეს სექტორში, რომელიც გახსნილია გლობალური ტენდენციებისა და სიახლეების მიმართადა სურს მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საქართველოს უკეთესი მომავლის ფორმირებაში.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს განეკუთვნება და ცივილური ფორმით ბიზნესის წარმოება ისევე, როგორც სამოქალაქო საზოგადოების არსებობა, აქ სულ თხუთმეტიოდე წელს ითვლის, სიტუაცია საქართველოში CSR-თან დაკავშირებით მნიშვნელოვნად განსხვავდება დასავლეთის განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებისგან, სადაც ეს პროცესები გაცილებით ადრე განვითარდა.

წინამდებარე თავში ჩვენ შევეცდებით პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს:

- როგორია საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტი CSR-ის განვითარებისთვის;
- როგორია ქართული კერძო სექტორისა და მოსახლეობის ხედვა საზოგადოებაში ბიზნესის როლისა და ფუნქციების შესახებ;
- როგორია საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მასშტაბი და თავისებურებები;
- როგორია ქვეყანაში CSR-ის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალები, ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები;
- რა ნაბიჯები გადაიდგა დღემდე საქართველოში CSR-ის განვითარების მიმართულებით.

* * *

ამა თუ იმ ქვეყანაში CSR-ის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი სათანადოდ განვითარებული ბიზნეს სექტორი და საზოგა-

დოებრივი ცნობიერების მაღალი დონეა, ამიტომაც დასავლეთის მაღალ-განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ბევრად უფრო ფართოდ არის დანერგილი და განვითარებული, ხოლო ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და სხვა განვითარებადი ქვეყნები საწყის ნაბიჯებს დგამენ ამ მიმართულებით. ამ მხრივ საქართველოც არ წარმოადგენს გამონაკლისს.

განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განსხვავებას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დონისა და თავისებურებების თვალსაზრისით განაპირობებს ზოგადად პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტექსტის, ბიზნეს სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ისტორიის განსხვავება. თუმცა, კონკრეტულ რეგიონებსა თუ ქვეყნებს ახასიათებს აგრეთვე გარკვეული თავისებურებები, რომლებიც მთელ რიგ კულტურულ-ისტორიულ ფაქტორთა ერთობლიობას ეფუძნება.

ამ მხრივ, ჩვენი ქვეყნის სიტუაცია ბევრ საერთოს პოულობს ზოგადად პოსტსოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან (სადაც გასული საუკუნის განმავლობაში მსგავსი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემა არსებობდა), ხოლო კულტურულ-ისტორიული კონტექსტისა და ქვეყნის განვითარების ამჟამინდელი კურსის გათვალისწინებით, უფრო მეტად — ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

2007 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებულ კვლევაში წარმოდგენილია ამ რეგიონში CSR-ის განვითარების ისტორიისა და კონტექსტის საკმაოდ ღრმა და ამომწურავი ანალიზი.²⁸ აღნიშნული კვლევის თანახმად, რეგიონში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ისტორიაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა სოციალისტურმა სისტემამ და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომმა მძიმე წლებმა.

სოციალისტური სისტემის ფარგლებში სახელმწიფო და მსხვილი სახელმწიფო სანარმოები აწვდიდნენ მოსახლეობას სოციალურ მომსახურებას სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით. ეკონომიკა იყო პოლიტიკური სისტემის ნაწილი, ხოლო კერძო ბიზნესი არ არსებობდა.

სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას თავდაპირველად მოჰყვა ველური კაპიტალიზმი²⁹, რომლის ფარგლებშიც კომპანიებისათვის ერთადერთი მიზანი იყო მოგების მიღება ნებისმიერი საშუალებით. სერიოზული ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ახლდა გარდამავალ პერიოდს, არახელსაყრელ პირობებს უქმნიდა კომპანიებს გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული მიდგომების დასანერგად. მენარმეთათვის მუდმივ საზრუნავს წარმოადგენდა ეკონომიკური სტაბილურობის არარსე-

²⁸ იხ. Line, M., Braun, R., *Baseline Study on CSR Practices in the New Member States and Candidate Countries. Synthesis Report of National Baseline Studies in Eight Countries: Bulgaria, Croatia, Hungary, Lithuania, Macedonia, Poland, Slovak republic and Turkey*. UNDP/EC, 2007. კვლევა განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში: Accelerating CSR practices in the new EU member states and candidate countries as a vehicle for harmonization, competitiveness, and social cohesion in the EU.

ბობა. ადგილობრივ კომპანიებს (როგორც მცირე და საშუალო, ასევე მსხვილ კომპანიებს) არ ჰქონდათ არც დრო და არც რესურსები, რომ დამატებითი ვალდებულებები აეღოთ საკუთარ თავზე და ეფიქრათ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე. გარდა ამისა, კომპანიები ცოდნის, უნარებისა და ინსტრუმენტების მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ – არავინ იცოდა, როგორ ყოფილიყო ეფექტური, მომგებიანი და იმავდროულად სოციალურად პასუხისმგებელი. კომპანიები ფაქტიურად არ იყენებდნენ კარგი კორპორაციული მმართველობის პრინციპებს და ნაკლებად ითვალისწინებდნენ საკუთარი საქმიანობის ზეგავლენებს უფრო ფართო ეკონომიკურ სისტემებზე, ადგილობრივ საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოზე. საზოგადოება კომპანიებისაგან სხვას არაფერს ელოდა, გარდა ეკონომიკური წარმატებისა და მომგებიანობისა. უცხოელი ინვესტორებიც ამ ეტაპზე, ძირითადად, მხოლოდ მოგებაზე იყვნენ ორიენტირებული მინიმალური დანახარჯების ფასად და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ CSR მიდგომებს.

90-იანი წლების შუა ხანებიდან, ეკონომიკური სტაბილიზაციისა და სამართლებრივი სისტემის დახვეწის კვალდაკვალ, კომპანიები ამ რეგიონში ნელ-ნელა აცნობიერებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომებზე გადადიან. ამ პროცესს ხელი შეუწყო აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს ასოციაციების ჩამოყალიბებამ, არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდამ და CSR-ზე ორიენტირებული საერთაშორისო ინიციატივების (მაგ. გლობალური შეთანხმება და ბიზნეს ლიდერთა ფორუმი) ადგილობრივი ქსელების დაარსებამ და ა. შ.

სიტუაციის ზემოთმოტანილი ანალიზი საკმაოდ ადეკვატურია საქართველოსათვისაც, თუმცა ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის წარმოების უფრო ცივილურ მეთოდებზე გადასვლა, გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესი კიდევ უფრო შეაფერხა სამოქალაქო ომმა, შემდგომი პერიოდის პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკურმა სირთულეებმა.

უკანასკნელ წლებში საქართველოში განხორციელებულმა რეფორმებმა და ქვეყნის განვითარების ძირითადმა ვექტორმა ევროინტეგრაციისაკენ დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოს, კერძო სექტორსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის ახალ ფორმებზე გადასვლის აუცილებლობა. ბიზნეს გარემო უფრო ლიბერალური გახდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ბიზნესის წარმოების დამაბრკოლებელი ადმინისტრაციული ბარიერები, შემცირდა გადასახადების სახეობები და განაკვეთები, შემუშავდა შრომის ახალი კანონმდებლობა, ბიზნესის წარმოება გახდა უფრო ლეგალური და ცივილური და ა.შ. ამას შედეგად მოჰყვა ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღება და ინვესტიციების მოცულობის ზრდა. ყოველივე ეს კომპანიების წინაშე ახალ ამოცანებსა და გამოწვევებს აყენებს. კომპანიები, რომელთაც ქართული ბიზნესის ლიდერთა როლზე აქვთ პრეტენზია, აცნობიერებენ, რომ წარმატების მისაღწევად და კონკურენტუნარიანობის

შესანარჩუნებლად უნდა იხელმძღვანელონ ბიზნესის წარმოების თანამედროვე სტანდარტებით, რომელთა შორის არსებითი ადგილი ენიჭება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას. მეორე მხრივ, საქართველოს საზოგადოებაც ნელ-ნელა უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კომპანიებს. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცნება ნელ-ნელა თავის ადგილს იმკვიდრებს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის ცნობიერებასა და ბიზნეს პრაქტიკაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაცია ამ თვალსაზრისით მაინც საგრძნობლად განსხვავდება ევროპისა და ამერიკის განვითარებული ქვეყნებისგან. საქართველოში განუზომლად უფრო მცირეა მედიის, მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების, ასევე პროფკავშირების, ინვესტორების, მომხმარებლებისა და ლეიბორისტული ორგანიზაციების მხრიდან კომპანიებზე ზეწოლა, რათა ისინი უფრო პასუხისმგებელი იყვნენ (ასევე მინიმალურია რეაგირება კომპანიათა უპასუხისმგებლო ქმედებებზე). მეორე მხრივ, სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიების აღიარებისა და წახალისების ხარისხიც (ადგილობრივი მომხმარებლების, მთავრობის, მედიის თუ ინვესტორების მხრიდან) ბევრად ნაკლები და არასაკმარისია. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოში **სხვადასხვა სექტორების, როგორც CSR-ის მამოძრავებელი ძალების, როლი.**

დასავლეთის ქვეყნებში CSR უმეტესწილად წარმოადგენს ბიზნესის რეაქციას საზოგადოების შეცვლილ მოთხოვნებზე კერძო სექტორის მიმართ. ამ ქვეყნებში მედია და არასამთავრობოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ უპასუხისმგებლო კორპორაციული ქცევის გაშუქებისა და ანგარიშგების მოთხოვნის თვალსაზრისით. მომხმარებლები კომპანიებისაგან ითხოვენ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მათი საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენების შემცირებას, პროფკავშირები ზეწოლას ახორციელებენ კომპანიებზე, რომ მათ დაიცვან შრომითი უფლებები და ა. შ. მთავრობებიც აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა მეთოდით ბიზნესის სტიმულირებასა და სათანადო საკანონმდებლო რეგულირების უზრუნველყოფაში.

საქართველოში (და, როგორც მრავალ კვლევაშია აღნიშნული, ზოგადად განვითარებად ქვეყნებში²⁹) ამ მხრივ განსხვავებული მდგომარეობაა. ის სუბიექტები, რომლებიც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ისტორიულად იყვნენ ბიზნესის პასუხისმგებლობის თემის აქტუალიზაციის ინიციატორები, საქართველოში ნაკლებად განვითარებული ან ამ მიმართულებით პასიური არიან.

სამოქალაქო საზოგადოება ზოგადად არასაკმარისად არის განვითარებული. არასამთავრობო ორგანიზაციათა შესაძლებლობა ზეგავლენა

²⁹ იხ. Line, M., Braun, R., *Baseline Study on CSR Practices in the New Member States and Candidate Countries; CSR Implementation Guide: Non-legislative Options for the Polish Government*, The World Bank, 2006; *CSR – readings and cases in global context* (Crane, A., Matten, D., Spence, L., ed.) 2007; Visser, W., *CSR in developing countries*, გვ. 473-494.

მოახდინონ ბიზნესსა და მთავრობაზე ძალზე შეზღუდულია. მათი უმრავლესობა, ერთი მხრივ, მწირ ცოდნას ფლობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ და სათანადოდ ვერ აცნობიერებს მის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ვერ ახერხებს ბიზნესთან თანამშრომლობას და კომპანიების მოტივაციას, რომ მათ უფრო პასუხისმგებელი მიდგომები დანერგონ. ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამჟამად არ შესწევთ უნარი საზოგადოების ყურადღება მიაპყრონ CSR საკითხებს. პროფკავშირები, რომლებიც კომპანიათა პასუხისმგებელი ქცევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მამოძრავებელს წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში, საქართველოში, ფაქტიურად, ნომინალურად არსებობს და რეალურ როლს ვერ თამაშობს მშრომელთა და დამსაქმებელთა ურთიერთობების მოგვარებაში ან შრომითი უფლებების დაცვაში.

მედია კიდევ უფრო ნაკლებად არის გათვითცნობიერებული CSR საკითხებში. ის ვერ ახერხებს კომპანიათა უპასუხისმგებლო ქმედებათა გაშუქებას და მათი ანგარიშვალდებულების სტიმულირებას ისევე, როგორც ზოგადად ამ თემის აქტუალიზაციას.

სამეცნიერო წრეების როლი ძალზე უმნიშვნელოა. ფაქტიურად, არ ხორციელდება კვლევები CSR საკითხებზე (თუ არ ჩავთვლით საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ ჩატარებულ რამდენიმე კვლევას, რომლებიც უშუალოდ ან ირიბად უკავშირდება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას).

მთავრობის ჩართულობა აგრეთვე მინიმალურია. ბიზნესის სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემური, მიზანმიმართული სტიმულირება მთავრობის მხრიდან არ ხორციელდება; CSR საკითხები არ წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის ან მთავრობის სამოქმედო გეგმის ნაწილს, არ არის ასახული არც ერთ ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტში; არ არსებობს მდგრადი განვითარების ოფიციალური ეროვნული სტრატეგია; ქვეყანაში არ არის შემუშავებული სათანადო კანონმდებლობა, რომელიც ქართულ კომპანიებში CSR-ის ფართო დანერგვას შეუწყობდა ხელს; არ არის გამოყოფილი ერთი კონკრეტული სახელმწიფო უწყება, რომელიც CSR საკითხებზე იქნება პასუხისმგებელი; მთავრობა არ მუშაობს კერძო სექტორთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სოციალურ, გარემოსდაცვით და ეთიკურ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მომხმარებლებისა და ზოგადად საზოგადოების მხრიდან კომპანიები აგრეთვე არ გრძნობენ მოთხოვნასა და ზეწოლას, რომ უფრო პასუხისმგებელი მიდგომები დანერგონ და ანგარიშვალდებულები იყვნენ საკუთარი საქმიანობით მოხდენილ სოციალურ თუ ეკოლოგიურ ზეგავლენაზე. (მართალია, მოსახლეობა ბიზნესის ფუნქციად მიიჩნევს საზოგადოების საჭიროებებზე ზრუნვას, მაგრამ მისი მოლოდინი ძირითადად ქველმოქმედებასა და სოციალურ ინვესტიციებს არ სცდება).

ამას ყოველივეს მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს CSR-ის განვითარებაზე საქართველოში. სამოქალაქო საზოგადოების დინამიური პროცესების და აქტიური სამთავრობო ჩართულობის არარსებობა საგრძნობლად ამცირებს CSR-ის განვითარების ტემპს.

საქართველოში CSR-ის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალასა და ცვლილების ინიციატორს წარმოადგენს თავად ბიზნეს სექტორი, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით (მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამის და გაეროს გლობალური შეთანხმების³⁰, ბრიტანეთის საბჭოს, ამერიკის სავაჭრო პალატისა და სხვ.).

თავდაპირველად უცხოური მულტინაციონალური კომპანიები (მაგალითად BP Georgia), რომლებსაც კარგად ესმით პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის მნიშვნელობა გრძელვადიან პერსპექტივაში, ახდენდნენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მოდელის იმპორტირებას და ადგილობრივ დონეზე საკუთარ საქმიანობაში ნერგავდნენ ბიზნესის წარმოების საერთაშორისო სტანდარტებს (როგორცაა ანგარიშვალდებულება, კორპორაციული მმართველობა, მენეჯმენტის სისტემები და ა. შ.).

ნელ-ნელა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა სულ უფრო მნიშვნელოვანი ყურადღების საგანი ხდება მსხვილი ქართული კომპანიებისთვისაც, რომელთაც სურთ კონსტრუქციული პარტნიორული ურთიერთობების დამყარება დასავლურ კომპანიებთან, საკუთარი პროდუქციის გატანა უცხოურ ბაზრებზე და წამყვანი პოზიციების დამკვიდრება ადგილობრივ ბაზრებზე. ამ კომპანიათა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბიზნესის უპირველესი ფუნქცია მოგების მაქსიმიზაცია და ეკონომიკური ეფექტურობაა, თუმცა მათ შეუძლიათ და უნდა შეიტანონ წვლილი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მიზნების განხორციელებაში.


კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ საქართველოში ბიზნეს კომპანიებისა და საზოგადოების დამოკიდებულების შესასწავლად, ასევე ამ სფეროში არსებული გამოცდილების გამოსავლენად, 2007 წელს ჩატარდა ორი სოციოლოგიური კვლევა: თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა³⁰ და საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და მოლოდინის კვლევა³⁰.

³⁰ პირველი კვლევა – თბილისის მსხვილი ბიზნეს კომპანიების ხელმძღვანელთა გამოკითხვა, განახორციელა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა³⁰. მისი ძირითადი მიზანი იყო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ თბილისის მსხვილი კომპანიების მენეჯმენტის დამოკიდებულებისა და საკითხის შესახებ არსებული ცოდნის შესწავლა, აგრეთვე კომპანიათა მიერ სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ფორმებისა და მასშტაბის ანალიზი. მეორე კვლევა — თბილისის მოსახლეობის გამოკითხვა – ერთობლივად განახორციელეს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა³⁰ და გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონალურმა პროექტმა, რომელიც უძღვებოდა საქართველოში გლობალური შეთანხმების³⁰ ინიციატივას. ორივე კვლევა განხორციელდა სოციოლოგიური სააგენტო ACT-Research-ის მონაწილეობით.


აღნიშნული კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს მოსახლეობაც და კერძო სექტორიც ბიზნესის როლს საკმაოდ ფართოდ ხედავს და მას ძალზე მნიშვნელოვან ფუნქციას მიაწერს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში.

ბიზნესის როლი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში

კომპანიების ხედვა



მოსახლეობის ხედვა




საზოგადოებაც და თავად ბიზნეს სექტორიც კომპანიის ფუნქციად მოიაზრებს არა მხოლოდ უშუალო ბიზნეს საქმიანობის ეფექტურ წარმართვასა

ორივე კვლევის გეოგრაფიული არეალი თბილისით შემოიფარგლა. ამგვარი არჩევანი განპირობებული იყო რამდენიმე გარემოებით: ორივე კვლევა გარკვეულწილად საცდელ-სანაშრომო ხასიათს ატარებდა (მსგავსი კვლევები საქართველოში მანამდე არ ჩატარებულა). ამასთანავე, თბილისში თავმოყრილია საქართველოს მსხვილი ბიზნესის უდიდესი ნაწილი. ამდენად, ორგანიზაციული შეზღუდვების გათვალისწინებით, და შედარებით ჰომოგენური მონაცემების მისაღებად, კვლევების არეალი მხოლოდ თბილისით შემოიფარგლა, თუმცა, ზემოხსენებული მიზეზების გამო, ორივე კვლევის შედეგები წარმოდგენას გვიქმნის ზოგადად საქართველოში ამ სფეროში არსებული ძირითადი ტენდენციების შესახებაც. ორივე კვლევა გამოქვეყნებულია. მათი სრული ტექსტი შეგიძლიათ აგრეთვე იხილოთ ვებგვერდზე: <http://www.csr.dg.ge>


და შემოსავლების ზრდაზე ზრუნვას, არამედ აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვას, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თუ გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაში ნებაყოფლობით მონაწილეობას და წვლილის შეტანას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობაცა და ბიზნესიც ამგვარ პასუხისმგებლობას მხოლოდ მსხვილ ბიზნეს კომპანიებს აკისრებს, რადგანაც მცირე კომპანიები სუსტად და განუვითარებლად მიიჩნევა იმისათვის, რომ საკუთარ თავზე დამატებითი პასუხისმგებლობა აიღონ.

საკუთარი საქმიანობის განვითარებისა და შემოსავლების ზრდის გარდა, კომპანიამ უნდა მიიღოს თუ არა მონაწილეობა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებასა და გარემოს დაცვაში?

მოსახლეობის ხედვა



კომპანიების ხედვა



საგულისხმოა, რომ კვლევის ფარგლებში გამოკითხულ მენეჯერთა უმრავლესობა (90%) ისევე, როგორც მოსახლეობის დიდი ნაწილი სახელმწიფოს შემდეგ სწორედ მსხვილ ბიზნესს მოიაზრებს საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებაზე, ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური თუ გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტად.

ქვეყნის მსხვილ, წამყვან კომპანიათა ასეთი მაღალი მოტივაციის ფონზე, რომ საკუთარ თავზე აიღონ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ცოდნისა და ცნობიერების არასაკმარისი დონე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსის, კომპონენტებისა და განხორციელების ინსტრუმენტების შესახებ.

ზემოხსენებული კვლევის ფარგლებში გამოკითხული მსხვილი კომპანიების მენეჯერთა თითქმის მესამედმა განაცხადა, რომ არ იცის მნიშვნელობა ტერმინისა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“. CSR-ის კომპონენტების სპონტანურად დასახელება ვერ შეძლო რესპონდენტთა უმრავლესობამ (თუმცა, დახმარების შემთხვევაში, რესპონდენტები, უმეტესწილად, სწორად ახდენდნენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელი ცალკეული კომპონენტების იდენტიფიცირებას).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რესპონდენტები კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში“ თანაბრად მოიაზრებენ როგორც კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და უშუალოდ ბიზნეს საქმიანობის ხარისხიანად წარმოებას (მაგ., გადასახადების გადახდა, ლეგალური / თეთრი“ ბიზნესი, შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესრულება, მომხმარებლებისთვის ხარისხიანი პროდუქციისა და სერვისების მიწოდება, ინვესტიციების მოზიდვა, ბიზნესის განვითარება და ა. შ.), ასევე საკანონმდებლო მოთხოვნების მიღმა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივად სასიკეთო პროექტებისა და საქმიანობების განხორციელებას. (როგორც ცნობილია, კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და სტანდარტების შესრულება პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს, თუმცა, განვითარებულ ქვეყნებში CSR მოიაზრებს ნებაყოფლობით საქმიანობას კანონით დადგენილი მოთხოვნების მიღმა, უფრო მაღალი პასუხისმგებლობის აღებას საზოგადოებასა და ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და დადებითი ზეგავლენის გაძლიერების მიზნით. ამდენად, ზემოთ განხილული შედეგი მიგვიჩვენებს, ერთი მხრივ, CSR-ის რაობის შესახებ ინფორმირებულობის არასაკმარის დონეზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ფაქტზე, რომ ქვეყანაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობა ჯერ კიდევ სავალდებულო მოცემულობა არ არის და ბიზნესის მიერ შეიძლება საკუთარი ნებაყოფლობითი პასუხისმგებლობის ნაწილად აღიქმებოდეს).

CSR საკითხებზე ინფორმირებულობის არასაკმარის დონეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა აიგივებს ან არაადეკვატურად ხედავს განსხვავებას ქველმოქმედებას/ფილანთროპიასა და CSR-ს შორის.

CSR არ განიხილება როგორც კონცეფცია, მიდგომა, რომელიც უკავშირდება საქმიანობის სტანდარტებს, რისკის მენეჯმენტს, დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობას, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს ძირითადი ბიზნეს საქმიანობის ყველა კომპონენტში – კომპანიის მისია-

ში, სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და ყოველდღიურ ქმედებებში. CSR უმეტესწილად აღიქმება როგორც კომპანიის ძირითადი საქმიანობისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, ძირითადი საქმიანობის დანამატი, ის ხშირად უკავშირდება ქველმოქმედებას, ფილანთროპიას, სპონსორობას, სოციალურ ინვესტიციებს.

ამგვარ ხედვას ეფუძნება მოსაზრება, რომ CSR არის ძვირადღირებული პროცესი, რომელიც მხოლოდ მსხვილ, წამყვან კომპანიებს შეუძლიათ იტვირთონ და ისინიც ხშირად თავისუფალი თანხების ნაკლებობას ასახელებენ, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის დაბრკოლებას.

სა მწუხაროდ, ჩვენ ძალიან ვერ ვაქტიურობთ ამ მიმართულებით. არ ვდგავართ ჩვენ ასე ყოჩაღად ფინანსურად ფეხზე. ეს შეუძლიათ ისეთ მონსტრებს ქართულ ეკონომიკაში, როგორიც კოკა-კოლაა“.

*ჩვენ გვინდა აქტიურობა ... მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს კომპანიის შემოსავლებზეა დამოკიდებული. სხვა მხრივ, ჩემი ორგანიზაცია ამისთვის ყოველთვის მზად არის“.*³¹

ბიზნესს აგრეთვე ძალზე სუსტად ესმის საზოგადოებასთან და სამოქალაქო ორგანიზაციებთან კონსტრუქციული სოციალური დიალოგის, როგორც CSR-ის კომპონენტის მნიშვნელობა.

საგულისხმოა, რომ თავად ბიზნეს კომპანიები საკუთარ საქმიანობაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვისა და განვითარების ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებად ასახელებენ ინფორმირებულობის არასაკმარის ხარისხს, გამოცდილებისა და ცოდნის ნაკლებობას სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ინსტრუმენტების, CSR პროექტების სათანადო დაგეგმვის, მართვისა და შედეგების შეფასების შესახებ.

მეორე მნიშვნელოვან დაბრკოლებად გამოიკვეთა CSR ხელშემწყობი გარემოს არარსებობა. კვლევის შედეგები მიგვანიშნებს, რომ მსხვილი კომპანიები განწყობილი არიან უფრო პასუხისმგებლად იმოქმედონ, მათ უმრავლესობას სწორად და ადეკვატურად ესმის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების მოტივები და დადებითი ზეგავლენა კომპანიის საქმიანობაზე. თუმცა მათ ხშირად აკლიათ ეკონომიკური სტიმულები, ისევე, როგორც სათანადო აღიარება, მხარდაჭერა და წახალისება თავიანთი სოციალურად პასუხისმგებელი საქმიანობების განსავითარებლად. კომპანიათა აზრით, თუ მთავრობა და სხვა დაინტერესებული მხარეები შექმნიან უფრო კეთილმყოფელ გარემოს ამ მიმართულებით, ეს მათ სტიმულს მისცემს. ამ კონტექსტში ბიზნესი გადამწყვეტ

³¹ თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, გვ. 47.

როლს ანიჭებს სახელმწიფო პოლიტიკას ბიზნესის მიმართ, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას, სტიმულებისა თუ შეღავათების სისტემას.

კვლევის შედეგების მიხედვით ამგვარ ხედვას იზიარებს მოსახლეობაც. რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ ძირითადად ხელისუფლებას შეუძლია კომპანიების ნებაყოფლობითი სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სტიმულირება და მისი განვითარების ხელშეწყობა. (მთავრობამ შემოიღოს საგადასახადო შეღავათები პასუხისმგებელი კომპანიებისთვის“; მთავრობამ შექმნას ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო, რომელშიც კომპანიები ნებაყოფლობით აიღებენ საკუთარ თავზე დამატებით პასუხისმგებლობას“ და ა. შ).

[მთავრობა] არავითარ შემთხვევაში პირდაპირ არავის არ უნდა ავალდებულებდეს – უბრალოდ აჩვენოს კეთილი ნება, რომ რაღაც შეღავათები შესთავაზოს, გადასახადები შეამციროს და ამით ხალხისთვის სიკეთის კეთების საშუალება მისცეს – აი, სულ ეს არის, რაც მთავრობამ უნდა გააკეთოს“³²

ნაკლები სიხშირით, მაგრამ მაინც საკმაოდ აქტიურად მოსახლეობა CSR-ის ხელშეწყობ ფაქტორებად ასახელებს აგრეთვე პასუხისმგებელი სამომხმარებლო მოდელების ჩამოყალიბებასა და სამოქალაქო სექტორის როლის გაზრდას (მომხმარებლებმა აირჩიონ პასუხისმგებელი კომპანიების პროდუქცია და მომსახურება“; კომპანიებმა ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან“).

მო სახლეობა უფრო მეტად მომთხოვნი უნდა იყოს – თუ არ მოგვცონს, რასაც კომპანია აკეთებს, არ უნდა ვიყიდოთ მისი პროდუქცია“³³

სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში არსებული გამოცდილებისა და განხორციელებული ინიციატივების ანალიზიც ასახავს, ერთი მხრივ, ბიზნესის მიერ საზოგადოებაში საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებას, ხოლო, მეორე მხრივ, ცოდნისა და ინფორმაციის ნაკლებობას CSR საკითხებზე.

ზემოხსენებული კვლევის შედეგების თანახმად, 200-ვე გამოკითხული მსხვილი კომპანია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ახორციელებდა რაიმე სახის საზოგადოებრივად სასიკეთო საქმიანობას ამა თუ იმ სფეროში. უმეტესწილად ეს იყო სოციალურ სფეროში გაკეთებული ინვესტიციები. ამგვარი ინიციატივები ხშირად არ ეფუძნებოდა კომპანიის ერთიან, გააზრებულ სოციალურ პოლიტიკას და უსისტემო, ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. მეტწილად მათ ერთჯერადი საქველმოქმედო საქმიანობის ფორმა უფრო ჰქონდა, ვიდრე მდგრად შედეგსა და განვითარებაზე

³² საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებისა და მოლოდინის კვლევა, გვ. 52.

³³ იქვე.

ორიენტირებული პროგრამისა. ძალზე დაბალია აგრეთვე ამგვარ საქმიანობათა თუ პროგრამათა სათანადო მენეჯმენტის, განხორციელების მონიტორინგისა და შედეგების შეფასების გამოცდილება.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სოციალურ საკითხებს, ზოგადად, უფრო მეტი ყურადღება ექცევა განვითარებად ქვეყნებში, ვიდრე გარემოსდაცვით, ეთიკურ ან დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის საკითხებს. ამ ქვეყნებში ასევე ძლიერი აქცენტი კეთდება ფილანთროპიულ ტრადიციაზე, რომელიც ძირითადად თემის საჭიროებებზეა კონცენტრირებული. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, მდგომარეობს იმაში, რომ განვითარებად ქვეყნებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები იმდენად სერიოზული და მნიშვნელოვანია, რომ ფილანტროპია ნორმად ითვლება. მეორე მხრივ, კი განვითარებადი ქვეყნების კომპანიები ბიზნესის წარმოების სტანდარტებისა და პრაქტიკის თვალსაზრისით სიმწიფის უფრო ადრეულ სტადიაზე იმყოფებიან და ხშირად აიგივებენ CSR-ს ფილანთროპიასთან ნაცვლად იმისა, რომ დანერგონ CSR-ის უფრო განვითარებული ფორმები და მიდგომები, რომლებიც დასავლეთ ევროპაშია გავრცელებული (იხ. Visser, W., *CSR in developing countries*, გვ. 475).

კომპანიები არ არიან ჩართული სისტემატურ, ღია, ორმხრივ დიალოგში დაინტერესებულ მხარეებთან. ბიზნესის თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მინიმალურია და ისიც შემოიფარგლება ე.წ. სოციალური პროექტებით“, რომელთა ფარგლებშიც, კომპანიები ფინანსურ მხარდაჭერას უწვენ პროექტს.

სოციალური და გარემოსდაცვითი ანგარიშგება აგრეთვე ნაკლებად გავრცელებული პრაქტიკაა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, კომპანიები არ აქვეყნებენ ანგარიშებს საკუთარი CSR სტრატეგიის, პოლიტიკისა და საქმიანობების შესახებ. გლობალური შეთანხმების“ სავალდებულო ანგარიშგების მოთხოვნამ უკანასკნელ წლებში შედარებით გაზარდა იმ კომპანიათა რიცხვი საქართველოში, რომლებიც აქვეყნებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშებს, თუმცა ჯერჯერობით ამ ანგარიშთა უმრავლესობა ზედაპირული, მიმოხილვითი ხასიათისაა და არ ეფუძნება ზეგავლენის შეფასების სტანდარტიზებულ ინდიკატორებს.

აღსანიშნავია, რომ კომპანიები რეალურად არ გრძნობენ ზენოლას დაინტერესებულ მხარეთაგან, რომ საჯაროდ წარმოადგინონ ინფორმაცია საკუთარი CSR სტრატეგიის, პოლიტიკის და საქმიანობების შესახებ. ამდენად, მულტინაციონალურ კომპანიათა უმრავლესობაც სოციალური პასუხისმგებლობის ანგარიშებს მხოლოდ გლობალურ დონეზე აქვეყნებს (მაგ. Pfizer, Coca-Cola).

თუ ზემოთქმულს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში CSR-ის შემდგომი განვითარების სერიოზული წინაპირობები და პოტენციალი არსებობს, რაზეც მიგვანიშნებს ბიზნესის მიერ საზოგადოებაში საკუთარი როლისა და ფუნქციების საკმაოდ ფართო ხედვა; ბიზნესის

მხრიდან ადგილობრივი თემების მხარდაჭერისა და კორპორაციული ფილანთროპიის ხანგრძლივი ტრადიციის არსებობა (რაც კავშირს ამყარებს ბიზნესსა და მოსახლეობას შორის); CSR-ის დადებითი ზეგავლენის გაცნობიერება კომპანიის რეპუტაციასა და იმიჯზე; პასუხისმგებელი მიდგომების დანერგვის, CSR კონცეფციისა და განხორციელების ინსტრუმენტების შესახებ ცოდნის გაღრმავების მოტივაციისა და ენთუზიაზმის არსებობა მსხვილ კომპანიებში ისევე, როგორც მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ მაღალი მოლოდინები ბიზნეს კომპანიების მიმართ.

მეორე მხრივ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას აფერხებს ისეთი სისტემური და ძნელად დასაძლევი სირთულეები, როგორებიცაა CSR ძირითადი მამოძრავებელი ძალებისა და სტიმულების ნაკლებობა, მაგალითად, მოსახლეობის სუსტი სოციალური აქტივობა, მომხმარებელთა უფლებების შესახებ დაბალი ცნობიერების დონე და ამ უფლებების განხორციელების მექანიზმების არაეფექტურობა, არასაკმარისად ძლიერი პროფკავშირები და ზოგადად სამოქალაქო ორგანიზაციების სისუსტე, მედიის არასაკმარისი ყურადღება CSR საკითხებისადმი (მაგალითად, ადამიანის უფლებებისა და შრომითი უფლებების დარღვევებისადმი, გარემოსდაცვითი საკითხებისადმი და ა. შ.), მინიმალური ჩართულობა და მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან, CSR-თან დაკავშირებულ საკითხებზე თანმიმდევრული სამართლებრივი რეგულირების არარსებობა, აგრეთვე ქართულ კომპანიებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცოდნისა და გამოცდილების სერიოზული დეფიციტი, კორპორაციული მმართველობის სისუსტე, სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების არარსებობა და ა. შ.

ამრიგად, საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის გადამწყვეტი როლი ენიჭება, ერთი მხრივ, ბიზნესის პასუხისმგებელი ქცევის სტიმულირებას და მხარდაჭერას, აგრეთვე კომპანიების ინფორმირებულობისა და ცოდნის გაღრმავებას CSR საკითხებზე (კერძოდ, სოციალური პასუხისმგებლობის არსის, მნიშვნელობის, კომპონენტებისა და განხორციელების ინსტრუმენტების შესახებ), ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყანაში CSR ხელშემწყობი გარემოს შექმნას სხვადასხვა სექტორების ცნობიერების ამაღლებისა და CSR კონცეფციის პოპულარიზაციის გზით, ქვეყნის განვითარებისათვის მისი მნიშვნელობის წარმოჩენით, დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშემწყობით, აგრეთვე CSR განვითარებაში მთავრობის აქტიური ჩართულობის, სწორი სახელმწიფო ხელშემწყობი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების გზით.

* * *

დაბოლოს, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ ჩვენს ქვეყანაში CSR განვითარების ხელშემწყობის მიმართულებით უკანასკნელ ხანებში გადადგმული ძირითადი ნაბიჯები და განხორციელებული ინიციატივები. ეს ღონისძიებები ძირითადად განხორციელდა არასამთავრობო და საერ-

თაშორისო ორგანიზაციების, ასევე ბიზნეს ასოციაციების ძალისხმევით და მიზნად ისახავდა CSR კონცეფციის აქტუალიზაციასა და პოპულარიზაციას, ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლებას, კომპანიებისათვის ცოდნის მიწოდებას და დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობას; დიდი ყურადღება დაეთმო აგრეთვე ანგარიშგების პრაქტიკის დანერგვას:

- 2004-2005 წლებში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ რამდენიმე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ჩაატარა საკომუნიკაციო კამპანია ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, რათა დაწყებულიყო დიალოგი საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობისა და სოციალური პარტნიორობის საკითხებზე (ამ კამპანიის ფარგლებში ჩატარდა რამდენიმე მრგვალი მაგიდა მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით; გამოიცა საინფორმაციო ბუკლეტი ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“, ჩატარდა შემაჯამებელი კონფერენცია, რომელშიც მსხვილი ბიზნესის, წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა; კონფერენციაზე ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციასა და ბიზნეს ფედერაციას შორის).
- 2006 წელს დაარსდა გაეროს გლობალური შეთანხმების“ ქართული რეგიონული ქსელი, რაც საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა. ამჟამად ქსელი აერთიანებს 37 ორგანიზაციას, რომელთა შორის უმრავლესობა მსხვილ ბიზნესს წარმოადგენს, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ბიზნეს ასოციაციებს და უმაღლეს სასწავლებლებს. ქსელი წარმოადგენს პასუხისმგებელ კომპანიათა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა დიალოგისა და გამოცდილების გაზიარების პლატფორმას და ქვეყანაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის ეფექტური ინსტრუმენტია (<http://www.globalcompact.ge/>).
- 2006-2007 წლებში ჩატარდა ორი სოციოლოგიური კვლევა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ მოსახლეობისა და მსხვილი ბიზნესის დამოკიდებულებისა ამ სფეროში არსებული გამოცდილების შესწავლის მიზნით, რომელთა შესახებ ამ თავში უკვე გვქონდა საუბარი.
- 2008 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ მოამზადა და გამოაქვეყნა ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) მდგრადი განვითარების ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებების“ ქართული ვერსია (GRI ანგარიშგების ფორმატი წარმოადგენს მდგრადი განვითარების ანგარიშგების/CSR ანგარიშგების ყველაზე ფარ-

თოდ აღიარებულ საერთაშორისო ფორმატს), აგრეთვე GRI ანგარიშგების სახელმძღვანელო დამწყებთათვის მოდით დავინყოთ ანგარიშგება!³⁴

- 2008 წელს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ მოამზადა და გამოაქვეყნა ქართული ვერსია სახელმძღვანელოსი ურთიერთკავშირის დამყარება“, რომელიც გაეროს გლობალური შეთანხმებისა“ და GRI ანგარიშგების ფორმატების ჰარმონიზაციას ისახავს მიზნად, ანუ ეხმარება ანგარიშგებელ კომპანიებს ერთსა და იმავე ანგარიშში შეათანხმონ გლობალური შეთანხმებისა და GRI-ს ანგარიშგების სტანდარტები.³⁵
- 2008 წლის აპრილში შედგა სემინარი თემაზე ბიზნესი და სოციალური სფერო“. სემინარის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“. სემინარს ესწრებოდნენ ბიზნეს კომპანიათა წარმომადგენლები, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე დამსაქმებელთა, მენარმეთა და მრეწველთა საერთაშორისო ორგანიზაციის (IOE) ვიცე-პრეზიდენტი მიშელ ბარდე. სემინარზე საუბარი იყო ზოგადად ბიზნესის კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასა და საქართველოში გაეროს გლობალურ შეთანხმების“ რეგიონული ქსელის საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე, ბიზნესის როლზე შიდსის წინააღმდეგ ბრძოლაში და ა. შ.³⁶
- 2008 წლის ივლისში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა, ბრიტანეთის საბჭომ“ და ფონდმა ღია საზოგადოება – საქართველო“ ჩაატარეს კონფერენცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა – თანამშრომლობის ახალი მოდეელი“. კონფერენციაზე განხილული იყო კორპორაციული მოქალაქეობის გლობალური ტენდენციები და მათი ასახვა ქართულ კონტექსტში, კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორობის მნიშვნელობა, კომპანიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მზარდი როლი სოციალური პრობლემების გადაჭრაში და ა. შ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მოდელები განხილული იყო უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებულ რეფორმებთან მიმართებით.³⁷
- 2009 წლის მარტში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ ჩაატარა რეგიონული მასშტაბის სემინარი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საზოგადოებრი-

³⁴ აღნიშნული ქართული გამოცემები შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ვებ-გვერდზე: <http://csrdg.ge/> ასევე GRI ვებ-გვერდზე: <http://www.globalreporting.org/Home/LanguageBar/Georgian.htm>

³⁵ იხ. წინა სქოლიო.

³⁶ უფრო ვრცლად იხ. <http://www.employer.ge/>

³⁷ უფრო ვრცლად იხ. <http://www.epfound.ge/>

ვი სექტორის როლი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თხუთმეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან. სემინარზე განხილული იყო როგორც კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციათა როლი პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობაში და კავკასიის რეგიონში კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების პერსპექტივები და სირთულეები.

- 2009 წლის მარტში თორმეტმა ადგილობრივმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ ხელი მოაწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, რომლის მიხედვითაც ხელმომწერი ორგანიზაციები შეთანხმდნენ, ხელი შეუწყონ საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებისა და პრაქტიკის გავრცელებას, გაცვალონ ინფორმაცია და განახორციელონ ერთობლივი საქმიანობა.

ჯგუფის შემადგენლობაში შემდეგი ორგანიზაციები შევიდნენ:

1. ამერიკის სავაჭრო პალატა;
2. ბრიტანულ-ქართული სავაჭრო პალატა;
3. ბრიტანეთის საბჭო;
4. გაეროს ინიციატივა გლო ბალური შეთანხმება“;
5. გაეროს განვითარების პროგრამა;
6. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი;
7. საქართველო - საფრანგეთის ბიზნეს საბჭო;
8. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
9. საერთაშორისო სავაჭრო პალატა;
10. საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა;
11. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;
12. ფონდი დ ია საზოგადოება — საქართველო“.

კოალიცია საკმაოდ ეფექტურად შეუდგა მუშაობას და უკვე 2009 წელს ჯგუფში შემავალმა რამდენიმე ორგანიზაციამ ერთობლივად განახორციელა არაერთი ღონისძიება (იხ. ამ ჩამონათვალის შემდეგი პუნქტები).

- 2009 წლის მარტში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ გაეროს გლობალური შეთანხმების“ მხარდაჭერით ჩაატარა დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და სოციალური ანგარიშგება (საერთაშორისო ტენდენციები და საქართველოს რეალობა)“. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს საშუალო და მსხვილმა ბიზნეს-კომპანიებმა, საერთაშორისო

ორგანიზაციებმა, მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ევროპელმა ექსპერტებმა.³⁸

- 2009 წლის ივლისში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გაეროს გლობალური შეთანხმების“ ინიციატივით ჩატარდა პირველი ეროვნული კონფერენცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე. კონფერენციას მხარს უჭერდნენ ის ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაც იმავე წლის მარტში ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს საქართველოში CSR განვითარების მხარდაჭერის შესახებ (იხ. ზემოთ). კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს ქართულმა და საერთაშორისო კომპანიებმა და ბიზნეს ასოციაციებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საერთაშორისო დონორებმა, სამეცნიერო წრეებისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა. მსჯელობა შეეხო სოციალური კორპორაციული პასუხისმგებლობის პრაქტიკის დანერგვას საქართველოში და იმ სარგებელს, რომელსაც ეს მოუტანს როგორც ცალკეულ კომპანიებს, ასევე სახელმწიფოს ეკონომიკას.
- 2009 წლის ივნისში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა” თბილისში ერთობლივად უმასპინძლეს სემინარს, რომელიც მიეძღვნა მდგრადი განვითარების ანგარიშგებას. სემინარის მიზანი იყო ქართული ბიზნეს კომპანიებისათვის მიეწოდებინა ზოგადი ინფორმაცია მდგრადი განვითარების ანგარიშგების საერთაშორისოდ აღიარებული ფორმატის – გლობალური ანგარიშგების“ (GRI) ფორმატის შესახებ. სემინარს უძღვებოდა გლობალური ანგარიშგების ინიციატივის“ (GRI) წამყვანი საერთაშორისო ექსპერტი. ეს სემინარი წარმოადგენდა უფრო ფართომასშტაბიანი პროგრამის ნაწილს, რომლის ფარგლებშიც მსგავსი სემინარები ჩატარდა აგრეთვე სომხეთსა და აზერბაიჯანში და რომელთა მიზანი იყო სოციალური ანგარიშგების პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიის რეგიონში.³⁹
- 2009 წლის ნოემბერში ოთხი ორგანიზაციის – ბრიტანეთის საბჭოს, გაეროს გლობალური შეთანხმების“, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა“ და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ინიციატივით ჩატარდა ტრენინგი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და საზოგადოებასთან კომუნიკაცია“. ტრენინგი გამიზნული იყო ქართული კომპანიებისათვის და მიზნად ისახავდა მიეწოდებინა მათთვის კონკრეტული ცოდნა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რაობისა და ფორმების, კომპანიის იმიჯთან მისი კავშირის, ბიზნეს საქმიანობაზე საზოგადოებასთან

³⁸ იხ. <http://www.csrdg.ge>

³⁹ იხ. <http://www.csrdg.ge>

კომუნიკაციის ფორმების შესახებ. ტრენინგი ჩაატარა ბრიტანეთიდან მონვეულმა ექსპერტმა.⁴⁰

- 2010-2011 წლებში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ შეიმუშავა სასწავლო კურსი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებისათვის: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა”. 2011 წლიდან აღნიშნული კურსი კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის საბაკალავრო პროგრამის ნაწილი გახდა. აღნიშნული კურსის საფუძველზე აგრეთვე მომზადდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

როგორც დავინახეთ, ზემოთ განხილული CSR-ის ხელშემწყობი ღონისძიებები ხორციელდება არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე ბიზნეს ასოციაციებისა და ქსელების მიერ. CSR-ის შემდგომი განვითარებისათვის გადამწყვეტი როლი ენიჭება მთავრობის მიერ აქტიური პოლიტიკის განხორციელებას ამ მიმართულებით, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში და უფრო და უფრო მკვიდრდება გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებშიც. მთავრობის როლის, მისი ჩართულობის მნიშვნელობისა და სამთავრობო ქმედებათა შესაძლო დიაპაზონის შესახებ, ასევე სხვადასხვა ქვეყნის CSR ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკებისა და კონკრეტულად საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი ქმედებების შესახებ შემდეგ თავებში გვექნება საუბარი.

⁴⁰ იხ. <http://www.csr.dg.ge>

თავი IV

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების მოსალოდნელი შედეგები საქართველოსთვის

როგორც კომპანიებს უნდა ესმოდეთ, თუშრა დადებითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია CSR-ს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე მთავრობებსაც გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ CSR-ის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისათვის. ამდენად, წინამდებარე თავში ყურადღებას გავამახვილებთ იმ შედეგებზე, რომლებსაც საქართველოს მოუტანს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება.

როგორც წინა თავებში დავინახეთ, CSR-ის განვითარებას ქვეყანაში მრავალი დადებითი შედეგი მოჰყვება. ის განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდის, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის, აგრეთვე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის მექანიზმი. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში CSR შეიძლება გახდეს მძლავრი იარაღი, რომელიც წვლილს შეიტანს ქვეყნის აღორძინებასა და საზოგადოებრივი მიზნების მიღწევაში.

აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის მიმდინარე ეტაპზე CSR-ის განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და კეთილმყოფელი იქნება.

უკანასკნელი წლებში საქართველოს მთავრობამ წამოიწყო რადიკალური რეფორმების პროგრამა, რომელიც საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაციისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების გზით მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ინვესტიციების მოზიდვას და ჯანსაღი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ამ რეფორმების უფრო ეფექტიანად და დროულად განხორციელებას, უდავოდ, ხელს შეუწყობს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა, ვინაიდან სწორედ ბიზნეს სექტორის აქტიური თანამშრომლობით ქვეყნის მთავრობასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან არის შესაძლებელი წარმატებული რეფორმების განხორციელება და ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

CSR-ის განვითარების მნიშვნელობა საქართველოსათვის და მისი დადებითი ზეგავლენა უნდა განვიხილოთ, ერთი მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის საერთო განვითარებისა და ცალკეული სექტორების განვითარების კონტექსტში.

1. CSR-ის როლი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაში

CSR-ს სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც ევროკავშირის, ასევე მსოფლიო მასშტაბით. დღეისათვის ხელმონწერილია მრავალი მთავრობათაშორისი ხელშეკრულება, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე ხორციელდება სხვადასხვა მთავრობის თანამშრომლობითი პროექტები, შემუშავებული და დანერგილია საერთაშორისოდ შეთანხმებული სახელმძღვანელო მითითებები, რომელთა მთავარ ან ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს CSR-ის განვითარება წარმოადგენს (CSR-ის მარეგულირებელ საერთაშორისო ინსტრუმენტებს უფრო დაწვრილებით ცოტა ქვემოთ, ამ ნაშრომის VI თავში, განვიხილავთ).

როგორც ცნობილია, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები ყოველდღიურად ღრმავდება და განვითარების სულ უფრო ცივილურ ფაზაში შედის. საქართველო რამდენიმე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინიციატივის წევრია, რომელთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს სწორედ CSR-ის, როგორც მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ეფექტური ინსტრუმენტის, განვითარება წარმოადგენს. ასეთ ორგანიზაციათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ევროსაბჭო, გაერო, ეუთო, ხოლო ინიციატივებს ათასწლეულის განვითარების მიზნები (Millennium Development Goals), ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP – European Neighbourhood Policy), ევროკავშირისა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA), ევროკავშირთან “აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა” (Eastern Partnership), გლობალური შეთანხმება“ (Global Compact) და სხვ. საქართველო აგრეთვე მიერთებულია მრავალ საერთაშორისო შეთანხმებას, რომლებიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებს CSR-ის ამა თუ იმ კომპონენტის (მაგ., ადამიანის უფლებები; შრომითი უფლებები; გარემოს დაცვა და ა. შ.) განხორციელებას სხვადასხვა სექტორისა და ინსტიტუტის, მათ შორის ბიზნეს კომპანიის მიერ (ამ შეთანხმებებს მიეკუთვნება, მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; ILO „დეკლარაცია შრომით საქმიანობაში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ“; ორჰუსის კონვენცია და მრავალი სხვა (უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ. VI თავი).

ამდენად საქართველოში CSR-ის განვითარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების უფრო ეფექტურ განხორციელებას (ამ ვალდებულებათა განხორციელებაში ბიზნეს სექტორის ნებაყოფლობითი ჩართვის გზით) და სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციას. ეს აგრეთვე ხელს შეუწყობს საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებას დასავლეთის მრავალ განვითარებულ თუ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანასთან, რომლებშიც დიდი ყურადღება ეთმობა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.

1.1. CSR და ევროკავშირთან ინტეგრაცია

როგორც ცნობილია, ევროკავშირი ეფექტურ პოლიტიკას ახორციელებს CSR-ის განვითარების მიზნით როგორც თავის წევრ ქვეყნებში, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რაც ევროკომისიისა და ევროპარლამენტის არაერთ დადგენილებასა და დეკრეტში აისახა (ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ქვეყანათა ინიციატივების შესახებ ამ სფეროში უფრო დანვრილებით იხ. VII და VIII თავები).

უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყანა აქტიურად ახორციელებს ევროკავშირთან ინტეგრაციის სახელმწიფო კურსს (რაც უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს).

1996 წელს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA), რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა და რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს.⁴¹ PCA-მ განსაზღვრა ევროკავშირის მიერ საქართველოს დახმარების ძირითადი სტრუქტურა და მიმართულებები: ვაჭრობა, ბიზნესი და ინვესტიციები, ეკონომიკა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა და საიმპერაციო პოლიტიკა.

2000 წელს საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა გახდა, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა დიდი ევროპული ოჯახისკენ. ევროინტეგრაციის კურსი, ცხადია, გულისხმობს, რომ ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა სფერო, მათ შორის ბიზნეს საქმიანობაც, სულ უფრო მეტად იყოს შესაბამისობაში ევროკავშირის სტანდარტებთან. ხოლო ამ სტანდარტებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტანდარტი სწორედ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობაა.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირის გაფართოების შემდეგ, 2004 წელს შემუშავდა გაფართოებულ ევროპასა და ახალ მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილებისა და სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

სამეზობლო პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდაახლოების პროცესის მხარდაჭერას. სამეზობლო პოლიტიკის საშუალებით ევროკავშირი თავისი საზღვრების გარშემო დემოკრატიის, სტაბილურობისა და კეთილდღეობის გავრცელებას უწყობს ხელს.

ინიციატივა თავდაპირველად გავრცელდა უკრაინაზე, მოლდოვასა და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროს ქვეყნებზე - ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, ლიბია, მაროკო, სირია, ტუნისი და დე ფაქტო პალესტინა.

⁴¹ შეთანხმების მოქმედების ვადა 2009 წლამდე ვრცელდებოდა და შემდეგ ვტომატურად გაგრძელდა ორივე მხარის თანხმობის პირობით.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP) საქართველოზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე 2004 წლის ივნისიდან გავრცელდა.

ევროკავშირის ახალი სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება ევროკომისიის მიერ, მის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზით მომზადებული, ქვეყნის ან რეგიონის მიმართ შემუშავებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საფუძველზე მიმდინარეობს.

2006 წლის 14 ნოემბერს მიიღეს საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, (ENP AP),⁴² რომელიც განსაზღვრავს საქართველოსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

ENP-ს სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია საქართველოს ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ხოლო ამ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანები მოიცავს თანამშრომლობის ისეთ პრიორიტეტულ სფეროებს, როგორებიცაა დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობა, სიღარიბის დაძლევა და სოციალური სტაბილურობა, გარემოს დაცვა, შრომითი უფლებების დაცვა, ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა, ეკონომიკური კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული წესების დაახლოება ევროკავშირის წესებთან და ა.შ. ყველა აღნიშნული ამოცანის შესრულებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კერძო სექტორის ჩართულობა, ხოლო ეს, თავის მხრივ, სწორედ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიდგომების მეშვეობით იქნება შესაძლებელი. ამრიგად, *CSR-ის* განვითარებით საქართველო ბევრად უფრო ეფექტურად შეძლებს ამ გეგმის საფუძველზე მიღწეული შეთანხმებების განხორციელებას.

* * *

აღსანიშნავია, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება და *NATO-ში საქართველოს ინტეგრაცია*, ერთი შეხედვით, თითქოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ამავე დროს პარალელური პროცესებია. NATO-ს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პუნქტები კანონის უზენაესობის, დემოკრატიული პროცესების შეუქცევადობის, მდგრადობისა და ეკონომიკური რეფორმების მოთხოვნის თვალსაზრისით ევროპის სამეზობლო პოლიტიკის იდენტურია. რადგანაც NATO-ში ინტეგრაცია ქვეყნის მოკლე პერიოდში მისაღწევი ამოცანაა, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის წარმატებით განხორციელება NATO-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი იქნება.

⁴² 2006 წლის ნოემბერში დასრულდა საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიის შორის საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას უწყობს ხელს. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული. მისი განხორციელებისათვის გათვალისწინებული იყო 5 წელი (ანუ 2011 წლის ბოლომდე). შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად მზადდება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიში.

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება

აღმოსავლეთის პარტნიორობის” ფარგლებში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაწყებულია მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. მისი ამოქმედების წინაპირობაა გარკვეული სტანდარტების დაწესება, რომელთა უმრავლესობა CSR-ის კომპონენტებია, მაგ., სურსათის უსაფრთხოების სტანდარტების, შრომითი საქმიანობის სტანდარტების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხების და სხვათა მოგვარება. ამ სტანდარტების დანერგვა შეუძლებელი იქნება ბიზნესის ჩართულობის გარეშე. შესაბამისად, CSR-ის განვითარება ხელს შეუწყობს ბიზნეს კომპანიების მიერ საკუთარ საქმიანობაში ამ სტანდარტების დანერგვას.

ამასთანავე, ევროპულ ბიზნეს თანამეგობრობაში ქართული კომპანიების ინტეგრაციისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა იქნება საქართველოში CSR-ის განვითარება. ევროპულ ბაზარზე მომხმარებელი არა მხოლოდ პროდუქციის ხარისხს ითხოვს, არამედ მისი წარმოებისას გარკვეული სტანდარტების დაცვას, რომლებიც CSR კომპონენტებს წამოადგენს, ესენია: ადამიანისა და შრომის უფლებათა დაცვა, ღირსეული სამუშაო პირობები, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება და ა. შ. ამიტომ ევროპულ ბაზარზე გასასვლელად და ევროპული ინვესტიციების მოსაზიდად, ასევე ევროპულ კომპანიებთან პარტნიორული ურთიერთობების დასამყარებლად CSR-ს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება – ევროპული კომპანიების ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას პარტნიორული პროექტების ფარგლებში სწორედ პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილება წარმოადგენს.

1.2. ათასწლეულის განვითარების მიზნები და CSR

საქართველო აქტიურად არის ჩართული ათასწლეულის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში. ჩვენმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ათასწლეულის დეკლარაციას, რითაც აღნიშნული მიზნების შესრულების ვალდებულება აიღო.

2004 წლის 6 მაისს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის” (Millennium Challenge Corporation (MCC)) დირექტორთა საბჭოზე საქართველო დასახელდა იმ 16 სახელმწიფოთა შორის, რომელთაც შეეძლოთ განაცხადის შეტანა ათასწლეულის გამოწვევის ანგარიშიდან” (Millennium Challenge Account /MCA) დაფინანსების მისაღებად. MCC-ს მთავარი სლოგანი იყო სიღარიბის დაძლევა განვითარების გზით. MCA-ს მიერ შემოთავაზებული დაფინანსების შესაძლებლობების მასშტაბის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს ახალი რესურსების

სახით მიღებული ბერკეტების ამოქმედებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ სიღარიბის დაძლევისა და მდგრადი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას. 2011 წელს კი საქართველომ ათასწლეულის განვითარების კორპორაციის მხრიდან შემდგომი მხარდაჭერის შესახებ განაცხადი მიიღო.

მიიჩნევა, რომ ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ყველა სექტორის, მათ შორის ბიზნეს სექტორის, აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. ამ თვალსაზრისით, ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს CSR-ის განვითარება, რადგანაც CSR განიხლება როგორც ბიზნესის წვლილი მდგრად განვითარებაში. მრავალ ქვეყანაში სახელმწიფო სექტორი აქტიურად იყენებს ბიზნესის პოტენციალს და ეფექტურ პარტნიორულ კავშირებს ამყარებს მდგრადი განვითარების ნაციონალური მიზნების მისაღწევად. ამ თვალსაზრისით, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულების ხელშემწყობ ფაქტორად და ეფექტურ ინსტრუმენტად შეიძლება ვაღიაროთ.

1.3. გაეროს გლობალური შეთანხმება“ და CSR

გაეროს გლობალური შეთანხმება“ კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე მასშტაბურ ნებაყოფლობით ინიციატივას წარმოადგენს მსოფლიოში, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი და სოციალურად პასუხისმგებელი საქმიანობის სტანდარტების დანერგვას საერთაშორისო დონეზე. საქართველოში გლობალური შეთანხმების“ ადგილობრივი ქსელი 2006 წელს დაარსდა. დღეისათვის ის 30-ზე მეტ ორგანიზაციას აერთიანებს, რომელთაგან უმრავლესობა მსხვილ ბიზნეს კომპანიებს წარმოადგენს (იხ. www.globalcompact.ge).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალი წევრი სახელმწიფოს მთავრობა მხარს უჭერს გლობალურ შეთანხმებას“ და თანამშრომლობს რეგიონულ ქსელებთან, თუმცა საქართველოს მთავრობას ოფიციალურ დონეზე არ დაუფიქსირებია საკუთარი პოზიცია ამ ინიციატივის მიმართ. საქართველოს მთავრობის მხრიდან გლობალური შეთანხმების“ ოფიციალური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც კორპორაციული პასუხისმგებლობის შემდგომ განვითარებასა და დანერგვას, ისევე საქართველოს ურთიერთობათა გაღრმავებას ზემოხსენებულ ქვეყნებთან.

2. CSR-ის როლი ქვეყნის საერთო განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში

როგორც არაერთ ნაშრომში არის აღნიშნული, CSR-ის განვითარებას ხშირ შემთხვევაში წვლილი შეაქვს ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში და ცალკეულ სექტორებში (ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით სექტორებში) არსებული პრობლემების

მოგვარებაში. აღნიშნულია, რომ განვითარებადი ქვეყნების მთავრობებისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ყურადღება მიაქციონ და გამოიყენონ CSR ქვეყანაში სიღარიბის შემცირებისა და მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

მთავრობათა შესაძლებლობები, ჩამოაყალიბონ თანამედროვე ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი სამართლებრივი მიდგომები და ეფექტურად განახორციელონ ისინი, ხშირად შემოფარგლულია საბიუჯეტო და სხვა სახის შეზღუდვებით. სოციალური პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი მიდგომების გამოყენება შეიძლება განვიხილოთ, როგორც არსებული სამართლებრივი ინსტრუმენტების შემავსებელი დანამატი, რომელიც ეფუძნება ბაზრისა და საზოგადოებრივ სტიმულებს.

მნიშვნელოვანია, მთავრობებმა სწორად დაინახონ და გამოკვეთონ სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების თანმდევი დადებითი შედეგები.

2.1. CSR-ის წვლილი ცალკეული სფეროების პრობლემების მოგვარებაში

როგორც აღნიშნულია ცალკეულ კვლევებში,⁴³ საზოგადოების მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილება სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებით შეიძლება მთავრობის შესაძლებლობებს სცილდებოდეს. უმეტეს შემთხვევაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი პოლიტიკის გატარება მთავრობის სოციალური და გარემოსდაცვითი პროგრამის შემავსებელია გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად.

ამ თვალსაზრისით, CSR განვითარების პოლიტიკის მეშვეობით საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ისეთი *სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას*, როგორებიცაა ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე, სიღარიბე, უმუშევრობა (განსაკუთრებით, სოციალურად მარგინალიზებული ჯგუფების — ინვალიდების და ა. შ დასაქმების პრობლემა), შემოსავლების არათანაბარი განაწილება, დაბალი შობადობა და მოსახლეობის საშუალო ასაკის ზრდა (მოსახლეობის დაბერება), საჯარო სერვისების მიწოდების არაეფექტურობა, საქმიანობის სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტის დამკვიდრების ხელშეწყობა — ადამიანის უფლებების, შრომითი საქმიანობის, პროდუქციაზე პასუხისმგებლობის სტანდარტებისა და ა. შ.

⁴³ იხ. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული კვლევა: *CSR implementation guide: Non-legislative options for the Polish Government*.

არ არსებობს მთავრობა, რომელიც ყველა პრობლემის მოგვარებას შეძლებს — ასე არ არის? ამიტომ მთავრობამ უნდა ხელი შეუწყოს გარედან ბიზნესის დახმარებას. თუ კომპანიები მოაგვარებენ ზოგიერთ პრობლემას ... მთავრობის საქმის რაღაც ნაწილს გააკეთებენ — მთავრობაც ხომ მიიღებს მადლობას იმისთვის, რაც გააკეთდა” (საქართველოში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებებისა და მოლოდინის კვლევა, თბილისი, 2007, გვ. 50).

მაგალითად, თანაბარი შესაძლებლობები და არადისკრიმინაციული მოპყრობა (რაც ადამიანის უფლებების ერთი ძირითადი თემაა) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. საკუთარ საქმიანობაში თანაბარ შესაძლებლობათა პრინციპის ნებაყოფლობითი დანერგვით ბიზნეს კომპანიები ხელს უწყობენ სხვადასხვა სოციალური პრობლემის მოგვარებას, მაგალითად, სოციალურად მარგინალიზებული ჯგუფებისა და ნაკლებად მომგებიან მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა (ხანგრძლივად დაუსაქმებელი ადამიანების, ინვალიდების, სოციალურად მონყვლადი ჯგუფების, ეთნიკური უმცირესობების) ინტეგრირებას სამუშაო ბაზარზე ასევე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.

შრომითი საქმიანობის მრავალი საერთაშორისო სტანდარტი უფრო მაღალ მოთხოვნებს აყენებს, ვიდრე სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა მოითხოვს. ეს სტანდარტები შეეხება შრომითი საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს, ესენია: სამუშაო პირობები, ღირსეული ანაზღაურება, თანამშრომლებთან ურთიერთობა და მათი პროფესიული ზრდის უზრუნველყოფა, ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის უსაფრთხო სამუშაო, ოჯახთან თავსებადი სამუშაო პირობები და ა. შ. ამ სტანდარტების ნებაყოფლობითი დანერგვით (რაც პასუხისმგებელი ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილია), კომპანიებს აგრეთვე წვლილი შეაქვთ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მრავალი პარამეტრის გაუმჯობესებაში.

პროდუქციაზე პასუხისმგებლობისა და მომხმარებელთა უფლებების სტანდარტების ნებაყოფლობითი დანერგვით (რომლებიც სცდება კანონმდებლობით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს), პასუხისმგებელ ბიზნესს აგრეთვე წვლილი შეაქვს ქვეყანაში პროდუქციისა და სერვისების ხარისხის გაუმჯობესებაში და საზოგადოების კმაყოფილების ზრდაში.

სოციალური ინვესტიციები, რომლებიც შესაბამისობაშია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებთან, ასევე პარტნიორული პროექტები საჯარო სექტორთან (რაც ასევე CSR პოლიტიკის ნაწილს შეადგენს) ძირითადად მიმართულია საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აგრეთვე გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაშიც. როგორც ცნობილია, კორპორაციული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი

წამყვან თემას სწორედ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა წარმოადგენს. CSR ხელს უწყობს გარემოზე კომპანიის საქმიანობით მოხდენილი მავნე ზემოქმედების შემცირებას სხვადასხვა ხერხით: თანამედროვე გარემოს დამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებით, ენერგოეფექტურობის ამაღლებითა და ენერგომომხმარების შემცირებით, განახლებად ენერგიაზე დაფუძნებული პროდუქციისა და სერვისების წარმოების გზით, ნედლეულისა და მასალის, წყლის რესურსების მოხმარების შემცირებით, ნარჩენების რეციკლირების, ნედლეულისა და წყლის მეორადი გამოყენების გზით, გამონაბოლქვის, ოზონდამშლელ ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების, ბიომრავალფეროვნებაზე მოხდენილი მავნე ზეგავლენის შემცირების გზით, გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შეფასებისა და მართვის სისტემების დანერგვის მეშვეობით და სხვა. ამრიგად, CSR-ის განვითარება მრავალი გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარება-რეგულირებას უწყობს ხელს.

დღესდღეობით საქართველოში გარემოს დაცვის თვალსაზრისით არცთუ ისე სახარბიელო ვითარებაა. საწარმოების მიერ გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის საკანონმდებლო რეგულირება არასაკმარისია ან არ არსებობს მისი აღსრულების ქმედითი ბერკეტები. (ეს ერთ-ერთი მიზეზია, რომლის გამოც ინვესტორები ხშირად თავს იკავებენ ისეთ სფეროებში ინვესტიციებისაგან, როგორებიცაა ტურიზმი და დასვენება). CSR-ის განვითარებას მოჰყვება საწარმოების მიერ საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტების ნებაყოფლობითი დანერგვა და არსებული გარემოსდაცვითი კანონების უფრო ეფექტური აღსრულება, რაც ხელს შეუწყობს გარემოს დაცვის ხარისხის გაუმჯობესებას საქართველოში.

ყოველივე ზემოთქმული, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურის თანახმად, საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება არ ნიშნავს მხოლოდ საზოგადოების შემოსავლების ზრდას; ის გულისხმობს ყველა იმ სიკეთის ერთობლიობას, რამაც შესაძლოა საზოგადოების მოცემული მდგომარეობა გააუმჯობესოს და მის შემდგომ განვითარებას შეუწყოს ხელი.

ამ თვალსაზრისით, CSR-ის როლი თვალსაჩინოა. CSR-ის განვითარებას, მოჰყვება გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემების უფრო ეფექტური გადაჭრა, მომხმარებელთა საკითხების გათვალისწინება ბიზნეს საქმიანობაში, ადამიანის უფლებებისა და შრომითი სტანდარტების უფრო ეფექტური დანერგვა, სოციალური ერთიანობის ზრდა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა დიალოგისა და თანამშრომლობითი მიდგომების განვითარება და ა. შ. ყოველივე ეს, ბუნებრივია, შედეგად მოიტანს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას და ამცირებს ქვეყანაში სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილი უკმაყოფილებისა თუ კონფლიქტების რისკს.

2.2. კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური სტანდარტების დაცვა

ცალკე თემას წარმოადგენს CSR-ის წვლილი მინიმალური საკანონმდებლო სტანდარტების შესრულების უზრუნველყოფაში. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, სადაც, ხშირ შემთხვევაში, სახელმწიფო არ ფლობს საკმარის ბერკეტებს, რათა უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული მინიმალური სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების შესრულება. ეს კი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ამ ქვეყნებში – როდესაც ვერ ხერხდება მინიმალური სტანდარტების დაცვა, ზიანი ადგება როგორც საზოგადოებას, ასევე ბუნებრივ გარემოს, ფერხდება ქვეყნის განვითარება და ა. შ. ამრიგად, მინიმალურ სტანდარტებთან შესაბამისობა (მაგ. შრომის უფლებათა, ადამიანის უფლებათა, გარემოს დაცვის სფეროში და ა. შ.) განვითარებად ქვეყნებში შეიძლება CSR პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდეს. ეს არგუმენტი ქმედითია ევროკავშირში ახლად განვერიანებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც კი და იგი ასევე აქტუალურია საქართველოსთვისაც.

მართალია, CSR ნებაყოფლობითი მიდგომაა, მაგრამ მის საფუძველს სწორედ საკანონმდებლო მოთხოვნათა შესრულება წარმოადგენს. კომპანიის პასუხისმგებლობა იწყება საკანონმდებლო მინიმუმის შესრულებითა და შემდეგ ნებაყოფლობით საწყისებზე უფრო მაღალი სტანდარტების დანერგვით.

ამდენად, საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ერთ-ერთი შედეგი იქნება ქვეყანაში მინიმალური სტანდარტების (მაგ. გარემოსდაცვითი, შრომითი საქმიანობის, ადამიანის უფლებების და ა. შ. სტანდარტების) უფრო ეფექტური დანერგვა. ეს კი, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ზოგადად ქვეყნის განვითარებისთვის, ეკოლოგიურ თუ სოციალურ პრობლემათა გადასაჭრელად, ქვეყნის ეკონომიკის ეფექტურობის ასამაღლებლად, ხოლო მეორე მხრივ, კეთილმყოფელ ზეგავლენას მოახდენს საქართველოს უფრო ქმედით ინტეგრირებაზე საერთაშორისო სტრუქტურებში, რადგანაც ამ სტანდარტების დაცვა მოითხოვება საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებსაც საქართველო არის მიერთებული.

2.3. ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა

CSR-ის განვითარება მნიშვნელოვან დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე.

ზოგადად ცნობილია, რომ CSR-ს წვლილი შეაქვს ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, რაც არაერთ დოკუმენტში არის აღ-

ნიშნული.⁴⁴ განვითარებადი ქვეყნების მთავრობებისათვის ინვესტიციების მოზიდვა და საგარეო ვაჭრობა CSR ხელშეწყობის ერთ-ერთ წარმმართველ მოტივს წარმოადგენს (მაგალითად, საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობა და საკონკურენციო უპირატესობის მოპოვება იდენტიფიცირებულია, როგორც CSR-ის მთავარი მამოძრავებელი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში⁴⁵).

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად კურსს აგრეთვე წარმოადგენს ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა და ქართული პროდუქციისა და სერვისების გასვლა ახალ უცხოურ ბაზრებზე. ამ კონტექსტში CSR-ს მნიშვნელოვანი როლი შეუძლია ითამაშოს ხსენებული მიზნების მიღწევაში. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ სწორად გამოიყენოს CSR-ის პოტენციალი, საკონკურენციო უპირატესობა შეუქმნას ქვეყანასა და კონკრეტულ კომპანიებს (რაც შესაძლებელია იმ პირობით, თუ ქვეყანაში სწრაფად და თანმიმდევრულად ყალიბდება CSR ხელშეწყობი გარემო და ინერგება CSR პრაქტიკა).

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

CSR-ის განვითარება საქართველოში ინვესტიციების გაზრდას შეუწყობს ხელს. ამჟამად საქართველოში შექმნილი ლიბერალური ბიზნეს გარემო საკმაოდ ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის ქვეყანაში უცხოელი ინვესტორების მოსაზიდად და შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება ქვეყანაში ინვესტიციების მოცულობა. თუმცა, ინვესტიციების დიდი ნაწილი აღმოსავლეთის ქვეყნებიდანაა, ხოლო დასავლეთის მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებიდან ინვესტიციები შედარებით მოკრძალებულია. მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, ამის მიზეზს ისიც წარმოადგენს, რომ ქართული ბიზნესი ვერ აკმაყოფილებს საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემადგენელ კომპონენტებს წარმოადგენს. ხოლო დასავლეთის ინვესტორები, საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას და ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის შეფასებისას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ქვეყანაში პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის სტანდარტების შესრულებას.

დღევანდელ მსოფლიოში სწრაფად იზრდება ისეთი საინვესტიციო ფონდების რაოდენობა, რომლებიც ფინანსური მიზნების გარდა სოციალურ, ეკოლოგიურ და ეთიკურ მიზნებს ისახავენ. ეს მიდგომა ცნობი-

⁴⁴ იხ. მაგალითად, *Promoting a European Framework for Corporate Social Responsibility*. Green Paper, 2001; *CSR – A business Contribution to Sustainable Development*, 2002.

⁴⁵ *Baskin, J., Corporate Responsibility in Emerging Markets*, გვ. 29-47.

ლია სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების“ სახელით. ეთიკურ მიზეზებთან ერთად, მას საფუძვლად უდევს მოსაზრება, რომ კომპანია, რომელიც ეფექტურად ახორციელებს CSR მიდგომებს, უკეთ იმართება, უფრო ეფექტურად ახერხებს რისკების პრევენციას და, შესაბამისად, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვს. შესაბამისად, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას სულ უფრო მეტად ითვალისწინებენ თავიანთი შეფასების სისტემებში სოციალური პასუხისმგებლობის კრიტერიუმებს, კრედიტებსა და ინვესტიციებს უმტკიცებენ მხოლოდ იმ სანარმოებს, რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობის გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ. ეს მიდგომა გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების (ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის) ინვესტორთა შორის და უკანასკნელ ხანებში სულ უფრო მეტ გავრცელებას პოვებს ლათინურ ამერიკასა და აზიაშიც.⁴⁶

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის პარამეტრების გათვალისწინება სახელმწიფო დონეზეც რეგულირდება. მაგალითად, 2005 წლის ანგარიშში კანადის საგარეო საკითხებსა და საერთაშორისო ვაჭრობის საპარლამენტო კომისიამ (Standing Committee on Foreign Affairs and International Trade) რეკომენდაცია გაუწია კანადის მთავრობას ემუშავა სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობებთან, რათა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები ინტეგრირებული ყოფილიყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (როგორებიცაა მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი) საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტები შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოში დამატებითი ინვესტიციების მოსაზიდად CSR-ის განვითარება მეტად მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ ქართულ კომპანიებს ხელი მიუწვდებოდეთ სოციალურად პასუხისმგებელი საფინანსო ინსტიტუტების თანხებზე, მათ უნდა გარდაქმნან თავიანთი ყოველდღიური საქმიანობა და ჩართონ მასში სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები.

სამომავლოდ საქართველოში ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის სათანადოდ ამოქმედება და იქ მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების ინვესტორების საქმიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული CSR-ის მექანიზმების დანერგვაზე, ამიტომაც ეს საკითხი ქვეყნის ხელისუფლებისთვის მიმდინარე ეტაპზე საკმაოდ მნიშვნელოვანია და დროულად გადაწყვეტას მოითხოვს.

46 უფრო დანვრლებით სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების შესახებ იხ. ამ ნაშრომის VIII თავი, პარაგრაფი 2.4.

საგარეო ვაჭრობის განვითარება და უცხოურ ბაზრებზე გასვლა

ბიზნესის წარმოების ეფექტურობის გაზრდითა და პროდუქციისა და სერვისების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფით CSR-ის განვითარება საქართველოში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საგარეო ვაჭრობის განვითარებასა და ქართული პროდუქციის ახალ ბაზრებზე გასვლას.

დღევანდელ მსოფლიოში მუდმივად იზრდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა. დასავლეთის მომხმარებლებს და, შესაბამისად, გამსაღებელ კომპანიებს, აინტერესებს არა მხოლოდ პროდუქციის ხარისხი, არამედ მისი წარმოების პროცესის სოციალური და ეკოლოგიური პარამეტრები, რაც სწორედ CSR-ის მეშვეობით რეგულირდება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპისა და ამერიკის განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე გასასვლელად, თუმცა ნელ-ნელა ეს პარამეტრი აქტუალური ხდება განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე მრავალი ქვეყნისათვის.

ამდენად, CSR-ის განვითარებას საქართველოში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქართული პროდუქციისათვის უცხოური ბაზრების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

ბევრ განვითარებად ქვეყანაში სახელმწიფო აცნობიერებს CSR-ის განვითარების შესაძლო მნიშვნელობას უცხოურ ბაზრებზე ადგილობრივი პროდუქციის გატანისათვის და შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებს საპასუხოდ. მაგალითად, ტაილანდის შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტრომ 2002 წელს დააარსა შრომითი საქმიანობის სტანდარტების შემუშავების უწყება. მისი მიზანია ხელი შეუწყოს შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნების უფრო ეფექტურ აღსრულებას (რაც პრობლემას წარმოადგენს ტაილანდში) და ასევე შრომითი საქმიანობის სფეროში არსებულ ნებაყოფლობით სტანდარტებთან და ქცევის კოდექსებთან შესაბამისობას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 5 მილიონი პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებდა უფასო ტრენინგების ჩატარებას საწარმოებისათვის, კონსულტირებასა და მონიტორინგის პროცესს.

კოლუმბიის გარემოს დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა მწვანე ბაზრების პროგრამა “რომლის მიზანია მექანიზმების შემუშავება მწვანე პროდუქცია და სერვისების შექმნის წასახალისებლად, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე. (იხ. *Public sector roles in strengthening corporate social responsibility: a baseline study*, გვ. 7. 12).

CSR სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებისთვისაც. დასავლეთის განვითარებული

ქვეყნები ხშირად ამას ერთ-ერთ პირობად დებენ თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებისას. ასე მაგ., კანადის მიერ კოლუმბიასა და პერუსთან ხელმოწერილი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება” (FTA – Free Trade Agreement) მოიცავს CSR-ის განვითარებასთან დაკავშირებულ პირობებს, რომლებიც მიმართულია პარტნიორ ქვეყნებში CSR-ის განვითარებისაკენ და სტიმულს აძლევს ამ ქვეყანათა მთავრობებს ხელი შეუწყონ პასუხისმგებელი ბიზნესის ნებაყოფლობითი პრინციპების დანერგვას ბიზნეს კომპანიებში.

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმის თაობაზე, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედებისათვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში CSR-ის განვითარება. პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის სტანდარტების დანერგვა შეიძლება მომავალში სხვა ქვეყნებთან მსგავსი ხელშეკრულებების გაფორმების წინაპირობა გახდეს.

ქართული კომპანიების ჩართვა მულტინაციონალურ კომპანიათა მოწოდების ჯაჭვებში

CSR-ის განვითარების კიდევ ერთ მამოძრავებელ ძალას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, წარმოადგენს გლობალურ მოწოდების ჯაჭვებში ჩართვის შესაძლებლობა. ეს განსაკუთრებით აქტუალურია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. საქართველოსთვისაც ეს შესაძლებლობა მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მულტინაციონალური კომპანიები თავიანთი მოწოდების ჯაჭვებისათვის პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის გარკვეულ მოთხოვნებს აწესებენ (რომლებიც მოიცავს CSR-ის სხვადასხვა ასპექტს – გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის მართვას, ადამიანის უფლებებისა და შრომითი საქმიანობის სტანდარტების დაცვას, დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგს და ა. შ.). ამასთანავე, მრავალეროვანი საწარმოები სულ უფრო იყენებენ სერტიფიცირებულ სტანდარტებს (მაგ. SA 8000) განვითარებად ქვეყნებში თავიანთი მოწოდებლების შესარჩევად.

ამ შესაძლებლობის გაცნობიერების საპასუხოდ მრავალ განვითარებად ქვეყანაში მთავრობა ახორციელებს სხვადასხვა ინიციატივას, რომლებიც მიმართულია ადგილობრივი მწარმოებლების ცოდნისა და უნარების განვითარებისაკენ, რათა მათ დააკმაყოფილონ CSR-თან დაკავშირებული სტანდარტები, მაგალითად SA8000 (იხ. Public sector roles in strengthening corporate social responsibility: a baseline study, გვ. IV).

საქართველოში CSR-ის განვითარება ქართულ მცირე და საშუალო კომპანიებს შესაძლებლობას გაუხსნის ჩაერთონ მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების მონოდების ჯაჭვებში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან დადებით ზეგავლენას იქონიებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

* * *

როგორც დავინახეთ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა საქართველოში კეთილმყოფელი იქნება ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, ხელს შეუწყობს საგარეო ურთიერთობების გაუმჯობესებასა და ქვეყანაში არსებული მრავალი პრობლემის მოგვარებას. ამიტომაც საქართველოს ხელისუფლებამ მიმდინარე რეფორმების ფონზე აუცილებლად უნდა შეუწყოს ხელი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას.

საქართველოს ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში, როდესაც ბიზნეს საქმიანობისადმი კანონმდებლობით წაყენებული მოთხოვნები საკმაოდ დაბალია, CSR მით უფრო ეფექტური მექანიზმია ბიზნესის საქმიანობის ზეგავლენების მართვის, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა და ქვეყნის სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად.

საქართველოს მთავრობისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სწორად გამოკვეთოს პრიორიტეტები და სტიმულები, რომლებიც ეროვნულ კონტექსტს შეესაბამება. საჯარო სექტორის მართებული ნაბიჯები ხელს შეუწყობს, რომ კერძო სექტორმა საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებასა და ეროვნული პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში.

ან ნაშრომის შემდეგ თავებში უფრო დანვრილებით იქნება განხილული მთავრობის შესაძლო ფუნქციები CSR-ის განვითარების ხელშეწყობაში და ჩამოყალიბებული იქნება კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის.

თავი V

მთავრობის როლი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში

მოცემული თავის მიზანია არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვადასხვა ქვეყანათა გამოცდილების საფუძველზე განვიხილოთ საჯარო სექტორის როლი CSR-ის განვითარების ხელშეწყობაში, ქვეყნების მთავრობების მოტივაცია ჩამოაყალიბონ და აქტიურად დანერგონ CSR ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკები, ასევე ამ პოლიტიკათა ძირითადი თემები, მათი განხორციელებისას გამოყენებული ინსტრუმენტები და მიდგომები.

1. არის თუ არა CSR-ის ხელშეწყობა მთავრობის ფუნქცია?

დებატები CSR-ის განვითარებაში მთავრობის ჩართულობის შესახებ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მიმდინარეობს. CSR-ის ნებაყოფლობითი ხასიათის მიუხედავად, დღესდღეობით თითქმის არავინ აღარ აყენებს ეჭვის ქვეშ იმ როლს, რომელიც მთავრობებმა უნდა შეასრულონ CSR-ის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის თავიანთ ქვეყნებში.

თეორიული ნაშრომები, რომლებიც წინ წამოსწევენ მთავრობის ჩართულობის აუცილებლობას, ამტკიცებენ, რომ მთავრობებმა მნიშვნელოვანი მხარდამჭერი და წამახალისებელი ფუნქცია უნდა შეასრულონ, რათა კომპანიებმა შეიმუშაონ და ეფექტურად დანერგონ თავიანთი CSR პოლიტიკა.

კვლევათა უმრავლესობა CSR-ის აღმავლობას უკავშირებს გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს, როგორებიცაა გლობალიზაცია, სოციალური მმართველობა, მდგრადი განვითარება, ეროვნულ ეკონომიკათა კონკურენტუნარიანობა, ტექნოლოგიური ინოვაციები და სხვ. ამის გამო, მთავრობის როლი განიხილება, ერთი მხრივ, გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების, ხოლო მეორე მხრივ, ნაციონალურ სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის კონტექსტში.

ხსენებული ნაშრომები ხაზს უსვამენ აუცილებლობას, რომ მთავრობებმა ქმედითი ნაბიჯები გადადგან CSR-ის განვითარებისათვის იმ სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების საპასუხოდ, რომლებიც წარმოიქმ-

ნება კორპორაციათა საქმიანობის შედეგად გლობალიზებულ ეკონომიკურ კონტექსტში.⁴⁷

ამ საკითხზე არსებული სპეციალური ლიტერატურის თანახმად, CSR-ის განვითარებაში მთავრობის აქტიური ჩართულობის დასასაბუთებლად რამდენიმე არგუმენტი შეიძლება მოვიხმოთ, რომლებიც მოიცავს როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალური დონის საკითხებს.⁴⁸ განვიხილოთ უფრო დანვრილებით ეს არგუმენტები:

- კორპორაციული პასუხისმგებლობა მხოლოდ კომპანიათა საქმიანობის სფეროს არ წარმოადგენს. სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში გადაწყვეტი როლი უდავოდ თავად კომპანიებს ეკისრება, რადგანაც CSR ბიზნესის ნებაყოფლობით არჩევანს წარმოადგენს და მოიცავს ბიზნესის ურთიერთობის მართვას მრავალ სხვადასხვა დანტერესებულ მხარესთან, მაგრამ იმავდროულად სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა დიდია საზოგადოებისთვისაც, რადგანაც მას წვლილი შეაქვს მდგრად განვითარებასა და საზოგადოების პრობლემების მოგვარებაში. იგი გარდაქმნის არა მხოლოდ კომპანიათა ყოველდღიურ მენეჯმენტს, არამედ ასევე საზოგადოების სამივე ძირითადი სექტორის — ბიზნესის, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების როლებსა და ურთიერთობას. შესაბამისად, CSR არ წარმოადგენს მხოლოდ მენეჯმენტის მიდგომას, რომელიც მხოლოდ ბიზნეს კომპანიების მენეჯერთა საქმედ აღიქმება. ეს მაღალი პოლიტიკური დატვირთვის მქონე კონცეფციაა, რომელიც უკავშირდება საზოგადოებრივ კონფლიქტებსა და ახალი სამთავრობო ინიციატივების ფართო სპექტრს.
- საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულების თანახმად, CSR ნებაყოფლობითია, არ მოითხოვება კანონით, საკანონმდებლო მოთხოვნების მინიმუმს სცდება. მიუხედავად ამისა, სამართლებრივი რეგულირება არასოდეს არ არის მთლიანად განცალკევებული CSR პოლიტიკისაგან. ქვეყანაში არსებული კანონები გარკვეულწილად განსაზღვრავს CSR-ის ფარგლებს. იმავდროულად ქვეყანათა მთავრობები მიმართავენ უფრო რბილ, არა-მაიძულებელ სამართლებრივ ინსტრუმენტებს CSR-ის ხელშეწყობისა და სტიმულირების მიზნით. გარდა ამისა, არსებობს მრავალგვარი არასაკანონმდებლო ინსტრუმენტი და მეთოდი, რომლებიც

⁴⁷ Albareda, L.; Lozano J. M., Buckland H., Tencati A.; Perrini F., Midttun A., *The Changing Role of Government in Corporate Responsibility, Literature overview*, 2006, p. 7.

⁴⁸ იხ. Buckland H., Albareda, L.; Lozano J. M., Tencati A.; Perrini F., Midttun A., *The Changing Role of Government in Corporate Responsibility, A report for practitioners*, 2006; Albareda et alia, *The changing role of government in corporate responsibility, Literature overview*; Steurer, R., Margula S., & Berger, G., *Public Policies on CSR in EU Member States: Overview of Government Initiatives and Selected Cases on Awareness Raising for CSR, Sustainable Public Procurement and Socially Responsible Investment*, ESDN Quarterly Report, June 2008; Fox T., Ward, H., & Howard, B., *Public Sector Roles in Strengthening Corporate Social Responsibility: A Baseline Study*, Washington, The World Bank, 2002 და სხვ. ამ საკითხზე არსებული ლიტერატურის უფრო სრული ჩამონათვალი იხ. ნაშრომის ბოლოს, გამოყენებული ლიტერატურის საძიებელში.

მთავრობამ შეიძლება გამოიყენოს, რათა შექმნას CSR-ის ხელშემწყობი გარემო ქვეყანაში. როგორც აღნიშნულია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთავრობათა ხელშემწყობა *მცირე/საშუალო ან ახლად დაარსებული საწარმოებისათვის*, რომლებიც ხშირად არ ფლობენ საკმარის ადამიანურ ან ფინანსურ რესურსებს და მხარდაჭერის გარეშე ღიან მცირე მასშტაბით შეუძლიათ პასუხისმგებელი მიდგომების დანერგვა.

- დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე CSR ხელშემწყობი სამთავრობო პოლიტიკის გატარებას *განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში*. ფართოდ გაზიარებული შეხედულება იმის შესახებ, რომ CSR ნებაყოფლობითია, არ ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ დასავლეთის განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამები ხშირად დაინტერესებულ მხარეთა ზენოლაზე რეაქციას წარმოადგენს. განვითარებად ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების ზენოლა, რომ ბიზნესმა გააუმჯობესოს საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები, ბევრად უფრო სუსტია. ამ ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის მხრიდან ბიზნესის პასუხისმგებელი საქმიანობის მხარდაჭერას. მაგალითად, ევროკავშირის ახლად განეწიანებულ და კანდიდატ ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ქვეყნებში, რომლებშიც საბაზრო სტიმულები CSR-ის განვითარებისათვის ჯერ კიდევ სუსტია, მთავრობამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს როგორც პასუხისმგებელ ინიციატივათა მხარდაჭერის, ასევე CSR-ისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის თვალსაზრისით).⁴⁹
- დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში CSR ხელშემწყობის პოლიტიკების ჩამოყალიბება შეესაბამება უფრო მასშტაბურ პროცესს, რომელიც გულისხმობს მმართველობის მოდელის გადასვლას დავალდებულებისა და კონტროლის მიდგომებიდან უფრო პარტნიორულ, თანამშრომლობით მიდგომებზე (რაც პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში შეინიშნება). ამ კონტექსტში, ზოგიერთი ავტორის თანახმად, CSR ხელშემწყობის პოლიტიკები შეიძლება გავიაზროთ, როგორც *ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი მმართველობის ახალი მოდელისა*, რომელშიც მთავრობები კომპანიებთან და სხვა სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით მოქმედებენ სხვადასხვა პარტნიორული სისტემისა და პროექტის ფარგლებში, რათა მოაგვარონ მნიშვნელოვანი სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები.⁵⁰
- დოკუმენტებში, რომლებიც უფრო გლობალურ ან თეორიულ მიდგომე-

⁴⁹ Line, M., Braun, R., *Baseline Study on CSR Practices in the new member states and candidate countries.*
⁵⁰ უფრო ღრმა ანალიზი დავალდებულებისა და კონტროლის ტიპის მმართველობიდან თანამშრომლობითი ტიპის მმართველობაზე გადასვლის ტენდენციის შესახებ, იხ. ნაშრომი: Albareda et alia, *The changing role of government in corporate responsibility, Literature overview.*

ბს ეფუძნება, მთავრობის ჩართულობა CSR-ის ხელშეწყობაში განიხილება როგორც გამოსავლის ძიება ეროვნული და საერთაშორისო დონის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ეკონომიკის გლობალიზაციას მოჰყვება. როგორც აღნიშნულია, ეკონომიკური გლობალიზაციის, ახალი კომერციული და ტექნოლოგიური შესაძლებლობების განვითარების ეპოქაში მოხდა პასუხისმგებლობათა გადანაწილება მთავრობებსა და ბიზნეს კომპანიებს შორის. ეროვნულმა მთავრობებმა დაკარგეს ეროვნულ კანონმდებლობაზე დაფუძნებული პოლიტიკური ზეგავლენა. ამ კონტექსტში, CSR მთავრობებისათვის წარმოადგენს კომპანიათა პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების სტიმულირების ინსტრუმენტს, გლობალიზებულ ეკონომიკაში კორპორაციათა საქმიანობის უარყოფითი ზეგავლენის კონტროლის მექანიზმს, რომელსაც იმავდროულად წვლილი შეაქვს გლობალიზაციის დადებითი მხარეების გაძლიერებაში.

- ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე CSR განიხილება როგორც ბიზნესის შენატანი მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში. ეროვნულ დონეზე ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ავსებს საჯარო სექტორის მცდელობებს მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად, არაპოპულარული (და ხშირად ნაკლებად ეფექტური) სამართლებრივი რეგულირების გარეშე. ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, საფრანგეთში) CSR მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს. სხვა ქვეყნებში მთავრობები (მაგალითად, ბრიტანეთის მთავრობა) მკაფიო კავშირს ამყარებენ CSR-სა და მდგრადი განვითარების სტრატეგიას შორის.
- მრავალი ნაშრომი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ცალკეულ ქვეყანათა დონეზე CSR სასარგებლო საშუალება შეიძლება იყოს საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად. როგორც აღნიშნულია, მთავრობები ხშირად ვერ ახერხებენ ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკის ეკონომიკური, სოციალური თუ გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას საკანონმდებლო რეგულირებისა და დავალდებულების მეშვეობით. სწორედ ამ ხარვეზის შევსებას ემსახურება CSR და მისი ხელშეწყობი შესაბამისი საჯარო პოლიტიკა. მაგალითად, ცალკეულ ქვეყანათა დონეზე CSR-ის ხელშეწყობა მთავრობის მხრიდან განიხილება როგორც ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდისა და სოციალური პრობლემების გადაჭრის მექანიზმი. ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა აგრეთვე წარმოადგენს CSR ხელშეწყობის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს საჯარო სექტორისათვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში.

2. CSR-ის განვითარებაში საჯარო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობის აღიარება დღევანდელ მსოფლიოში

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთავრობების ქმედებებსა და შესაბამის სახელმწიფო პოლიტიკას უკანასკნელ წლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის. ევროკომისიის 2001 წლის მწვანე დოკუმენტი⁵¹, 2002 წლის თეთრი დოკუმენტი⁵², 2007 წლის დიდი რვიანის ჰაილიგენდამის სამიტის დეკლარაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ანგარიში საერთაშორისო CSR სტანდარტების შესახებ, აგრეთვე დიდი რვიანის 2008 წლის ტოიაკოს სამიტის განცხადება ამ საკითხისადმი მზარდი ინტერესის ნათელი დადასტურებაა.

ცალკეული მოწინავე ქვეყნების მთავრობების – მაგალითად, დიდი ბრიტანეთის, დანიისა და ავსტრალიის მთავრობების პიონერულმა ქმედებებმა, ასევე ევროკომისიის მცდელობებმა, მოახდინა CSR სახელმწიფო პოლიტიკების შემუშავების და გატარების საჭიროების ლეგიტიმაცია. დღესდღეობით მრავალი განვითარებული თუ განვითარებადი სახელმწიფოს მთავრობა სულ უფრო აქტიურ პოლიტიკას ახორციელებს CSR-ის მხარდაჭერის მიზნით.

ცალკეული სამთავრობო ინიციატივები, რომლებიც მიმართულია სხვადასხვა მეთოდით კომპანიების პასუხისმგებელი ქცევის სტიმულირებისა და მხარდაჭერისაკენ, ნელ-ნელა ყალიბდება სახელმწიფო პოლიტიკის დამოუკიდებელ მიმართულებად. მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია CSR ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, CSR საკითხების წარმართვისა და კოორდინირების მიზნით დაარსებულია სხვადასხვა სამთავრობო უწყება, მთავრობასთან არსებული სპეციალური კომიტეტი და საბჭო (მაგალითად, დიდ ბრიტანეთს ჰყავს CSR მინისტრი; კანადაში არსებობს მომპოვებელი სექტორის CSR მრჩეველის თანამდებობა⁵¹ და ა. შ.).

განვითარებადი ქვეყნების მთავრობებიც ნელ-ნელა იწყებენ მსგავსი პოლიტიკების შემუშავებასა და განხორციელებას.

სახელმწიფო პოლიტიკებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების ინტეგრირებას დიდ ყურადღებას უთმობენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც. მაგალითად, გაეროს განვითარების პროექტისა და გაეროს გლობალური ინიციატივის⁵² მხარდაჭერით ბოლო ხანებში განხორციელდა არაერთი კვლევითი პროექტი თუ კონფერენცია ამ საკითხებზე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობ სახელმწიფო პოლიტიკებს ევროკავშირის ქვეყნებში.

⁵¹ მომპოვებელი სექტორის სოციალურ პასუხისმგებლობას კანადაში საგანგებო ყურადღება ექცევა, რადგანაც იგი კანადის მრეწველობის წამყვან დარგს წარმოადგენს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიმართ ევროკომისიისა და ევროსაბჭოს განსაკუთრებული მოწოდების საპასუხოდ, მხარი დაუჭირონ CSR-ის განვითარებას, ევროკავშირის 8 წევრ და კანდიდატ ქვეყანაში (ბულგარეთში, ხორვატიაში, უნგრეთში, ლიტვაში, მაკედონიაში, პოლონეთში, თურქეთსა და სლოვაკეთის რესპუბლიკაში) მთავრობებმა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით შეიმუშავეს ეროვნული CSR პროგრამები. ამ პროგრამებში ჩამოყალიბებულია CSR-ის ხელშეწყობასთან დაკავშირებით სამთავრობო ქმედებების ძირითადი მიმართულებები მომავალი 2-3 წლისათვის.

იხ. <http://www.acceleratingcsr.eu/en/>

არაერთი სპეციალური კვლევა მიექდვნა როგორც ზოგადად CSR-ის განვითარებაში სახელმწიფოს ჩართულობის მნიშვნელობისა და შესაძლო მიდგომების ანალიზს, ასევე კონკრეტული ქვეყნების (განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებისა და ასევე განვითარებადი ქვეყნების) CSR ხელშეწყობის სამთავრობო ინიციატივებისა და დადებითი მაგალითების შესწავლას.⁵²

ყველაზე ადრეული დოკუმენტები, რომლებიც CSR-ის სტიმულირებისა და ხელშეწყობის საქმეში მთავრობის როლსა და ადგილს განიხილავს, გასული (XX) საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში გამოჩნდა (ეს დოკუმენტები, უმეტესწილად, თავად მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ინიციატივით შეიმუშავდა). მათი უმრავლესობა წინ წამოსწევდა მთავრობის მხრიდან CSR-ის აქტიური ხელშეწყობის საჭიროებას იმ სოციალურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე რეაგირების მიზნით, რომლებიც გამოიწვია კორპორაციების საქმიანობამ გლობალიზებულ ეკონომიკაში. ამ კვლევებს მოჰყვა მრავალი სხვა. ხოლო ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომები ამ საკითხზე XXI საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება.

მრავალი კვლევითი პროექტი ამ სფეროში სხვადასხვა საერთაშორისო და კვლევით ორგანიზაციათა თანამშრომლობით ხორციელდება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 2006 წელს განხორციელებული ერთწლიანი პროექტი: მთავრობის შეცვლილი როლი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში.” (The Changing Role of Government in promoting Corporate Social Responsibility). ის განახორციელა მკვლევართა საერთაშორისო ჯგუფმა სამი ორგანიზაციიდან: ESADE ბიზნესის სკოლა ესპანეთში, SDA Bocconi მენეჯმენტის სკოლა იტალიაში და ნორვეგიის მენეჯმენტის სკოლა. პროექტის ინიციატორი იყო CSR სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთა-

⁵² იხ. მაგალითად ევროკავშირის მიერ 2004 და 2007 წლებში ჩატარებული 2 კვლევა — *Corporate Social Responsibility: National Public Policies in the European Union*, European Commission, Directorate General for Employment, Social Affairs and Equal Opportunities, 2004 და 2007); ასევე მსოფლიო ბანკის მიერ ინიცირებული კვლევა: Fox et alia, *Public Sector Roles in Strengthening Corporate Social Responsibility*. და მრავალი სხვა. (უფრო დანერგილებითი ჩამონათვალი იხ. ნაშრომის ბოლოს, გამოყენებული ლიტერატურის საძიებელში).

შორისო ინიციატივა European Academy of Business in Society (EABIS).⁵³ პროექტის ფარგლებში მომზადდა რამდენიმე კვლევა, რომლებიც უკავშირდებოდა CSR სფეროში მთავრობის როლისა და არსებული სახელმწიფო პოლიტიკების შესწავლას (კერძოდ, ჩატარდა ევროპის რამდენიმე ქვეყნის CSR პოლიტიკების შედარებითი კვლევა, სადაც არსებობს CSR ხელშეწყობის ტიპოლოგიურად მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოდელები; მომზადდა მიმოხილვითი ნაშრომი, რომელშიც განხილულია ამ საკითხზე არსებული სპეციალური ლიტერატურა და სხვა).⁵⁴

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობ სახელმწიფო პოლიტიკებსა და სამთავრობო ინიციატივებს მიეძღვნა აგრეთვე არაერთი თემატური კონფერენცია. ბოლო ხანებში ჩატარებულ კონფერენციათაგან აღსანიშნავია:

2008 წლის სექტემბერში ვილნიუსში (ლიტვა) ჩატარებული რეგიონული კონფერენცია CSR-ის ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში“ (Public policies on Corporate Social Responsibility in Eastern and Central Europe), რომელზეც აღმოსავლეთ ევროპის 13-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი შეიკრიბა. კონფერენცია მოეწყო ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის ფარგლებში;

2009 წლის 13 მაისს გაეროს გლობალური შეთანხმების“ აშშ ქსელის ინიციატივით ვაშინგტონში ჩატარებული კონფერენცია CSR-ის ინტეგრაცია სახელმწიფო პოლიტიკაში“ (Integrating CSR Into Public Policy Initiatives), რომელშიც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. სესიებზე ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: პოლიტიკის შემქმნელთა ჩართულობა CSR-ის განვითარებაში; კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობა; დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა; მდგრადობა და ფინანსები; პასუხისმგებელი ტრანსაქციები და სხვა.⁵⁵

გაეროს გლობალური შეთანხმების დირექტორის მოადგილემ გევინ ფოუერმა აღნიშნა: დღევანდელი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი ტენდენციაა კორპორაციული მდგრადობისა და სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების შეთანხმება. კრიტიკული ეკოლოგიური და სოციალური პრობლემების ეპოქაში კერძო სექტორი აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, როდესაც ის აქტიურად უნდა ჩაერთოს სახელმწიფო პოლიტიკის სფეროში,

⁵³ პროექტი განხორციელდა EABIS-ის კორპორაციულად დაფინანსებული კვლევითი პროგრამის ფარგლებში; მას ფინანსური მხარდაჭერა გაუწიეს დამფუძნებელმა პარტნიორებმა: IBM, Johnson & Johnson, Microsoft, Shell და Unilever.

⁵⁴ იხ.: Albareda et alia., *The changing role of government in corporate responsibility, Literature overview*; Buckland et alia., *The Changing Role of Government in Corporate Responsibility, A report for Practitioners*; Albareda, L.; Tencati A.; Lozano J. M., Perrini F., *The Government's Role in Promoting Corporate Responsibility: A Comparative Analysis of Italy and UK from Relational State Perspective*, Corporate Governance, vol. 6, No 4, 2006, გვ. 386-400. ამ ნაშრომთა სრული ტექსტის ნახვა შეგიძლიათ EABIS ვებ-გვერდზე: <http://www.eabis.org/index.php?id=111&uid=10>

⁵⁵ http://www.unglobalcompact.org/newsandevents/news_archives/2009_06_17.html

რაც ხელს შეუწყობს როგორც მათი კომერციული, ასევე საზოგადოებრივი ამოცანების მიღწევას. მაგრამ ამგვარი თანამშრომლობა საჭიროებს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ძალიან მაღალ ხარისხს. ეს არის ჩვენი კონფერენციის ერთ-ერთი ძირითადი დასკვნა“.

ყველა ზემოთ განხილული ინიციატივა ცხადად მიგვითითებს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღევანდელ მსოფლიოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობი პოლიტიკებისა და ინსტრუმენტების ჩამოყალიბებას.

3. მთავრობის როლი CSR-ის განვითარებაში – ძირითადი თემატიკა, მიდგომები და ინსტრუმენტები

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, CSR-ის განვითარებაში საჯარო სექტორის როლის შესახებ ამჟამად უკვე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა არსებობს. CSR ხელშეწყობის მეთოდები და ინსტრუმენტები განხილულია უშუალოდ სხვადასხვა ქვეყანათა სახელმწიფო პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტებში. არაერთი სპეციალური კვლევა ჩატარდა ამ საკითხზე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების მიერ (მაგ. The Copenhagen Centre, SustainAbility, Accountability, Canadian Business for Social Responsibility, ასევე კვლევითი ორგანიზაციების მიერ, როგორებიცაა National Policy Association (USA), Institute for Public Policy Research (UK) და სხვ.).

ამ ნაშრომთა თანახმად, მთავრობათა ქმედებები CSR-თან მიმართებით მრავალგვარია. აღნიშნულია, რომ სხვადასხვა ქვეყანათა მთავრობებს აქვთ CSR-ის მეტ-ნაკლებად ერთიანი ხედვა, თუმცა განსხვავდება ამ კონცეფციის ასახვა პოლიტიკურ სისტემაში და მისი განხორციელების გზები. შესაბამისად, მთავრობის ინტერესი და ჩართულობა CSR საკითხებში სხვადასხვა თემაზე კონცენტრირდება და განსხვავებული ფორმით ხორციელდება.

არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში CSR სახელმწიფო პოლიტიკები გაანალიზებულია როგორც ცალკეული თემების, ასევე ინსტრუმენტების მიხედვით, რომელთაც მთავრობები მიმართავენ ცალკეული თემების კონტექსტში. ეს მარტივი და სისტემური მიდგომა, რომელიც განასხვავებს შინაარსობრივ და პროცედურულ ასპექტებს (ანუ რა კეთდება და როგორ კეთდება), საშუალებას იძლევა უკეთ წარმოჩნდეს როგორც საერთო ტენდენციები, ისე განსხვავებები ცალკეულ ქვეყანათა შორის.

*CSR ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკების
ძირითადი თემები*

CSR პოლიტიკის შემქმნელთა ზოგჯერ არასისტემური მცდელობების სისტემური ანალიზის შედეგად, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია სხვადასხვა სახელმწიფოთა CSR ხელშემწყობი პოლიტიკების რამდენიმე ძირითადი თემა (თემები შეძლებისდაგვარად გამსხვილებულია ტიპოლოგიური სიცხადისათვის, მაგრამ არა მეტისმეტად, რათა შენარჩუნდეს დიფერენციაცია):

- ცნობიერების ამაღლება CSR საკითხებზე, კომპანიებისა და დაინტერესებული მხარეების ცოდნისა და კომპეტენციის ზრდა ამ სფეროში;
- ფილანთროპიისა და სათემო ინვესტიციების ხელშეწყობა;
- CSR-ის ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება (რაც მოიცავს შესაბამის CSR-ის ხელშემწყობ საკანონმდებლო რეგულირებას, CSR საკითხებზე სხვადასხვა სამთავრობო უწყებათა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრასა და კოორდინირებას და ა. შ.);
- CSR-თან დაკავშირებული მენეჯმენტის სქემების დანერგვის ხელშეწყობა (მაგ. გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და აუდიტის სქემების, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სქემებისა და ა. შ.);
- საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორული პროექტების (Public-Private Partnership) ხელშეწყობა;
- Pro-CSR წარმოებისა და სამომხმარებლო მოდელების განვითარების ხელშეწყობა (ტექნიკური და საექსპერტო დახმარების, შესაბამისი წამახალისებელი ან დამსჯელი კანონმდებლობისა და სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით);
- კორპორაციული მართვის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა;
- კომპანიათა საქმიანობის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ასპექტების და ზეგავლენების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშგების ხელშეწყობა (ქცევის კოდექსების, ეტიკეტირების/მარკირების სქემების, ანგარიშგების ხელშეწყობის გზით);
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და დიალოგის ხელშეწყობა (ფორუმების, მრგვალი მაგიდების, პარტნიორული პროექტების ინიცირების გზით);
- სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების ხელშეწყობა (რომელიც გულისხმობს ინვესტირებას სოციალური, ეკოლოგიური და ეთიკური კრიტერიუმების გათვალისწინებით);

- მთავრობის მიერ პასუხისმგებელი საქმიანობის მაგალითის მიცემა (სამთავრობო ფონდებში, სახელმწიფო კომპანიებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში — მაგ., სამინისტროებსა და დეპარტამენტებში, სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვით).

ცალკეულ თემებთან დაკავშირებული ინიციატივების კოორდინირების მიზნით, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მრავალ ქვეყანაში შემუშავებულია ერთიანი CSR პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები, დაარსებულია სპეციალური სამთავრობო უწყებები ან მთავრობასთან არსებული კომიტეტები და საბჭოები და ა. შ.

მთავრობის მხრიდან CSR ხელშეწყობის ძირითადი მიდგომები და ინსტრუმენტები

ზემოთ ჩამოთვლილი თემების ფარგლებში დასახული მიზნების განსახორციელებლად მთავრობები მრავალგვარ მიდგომასა და ინსტრუმენტს მიმართავენ.

როგორც ცნობილია, პოლიტიკის ინსტრუმენტების ტრადიციული ტიპოლოგია მოიცავს ინფორმატიულ, ფინანსურ და იძულების ინსტრუმენტებს, რომელთაც მეტაფორულად მოიხსენებენ როგორც „ქადაგებებს“, „სტაფილოს“ და „მათრახს“.⁵⁶ ქვეყანათა მთავრობები CSR კონტექსტშიც, არსებითად, იმავე ტრადიციულ ინსტრუმენტებს ეყრდნობიან, რასაც ემატება კიდევ ერთი, შედარებით ახალი ინსტრუმენტი, რომელიც ქსელურ მუშაობასა და პარტნიორობას ეფუძნება.⁵⁷

სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილია CSR კონტექსტში მთავრობათა მიერ გამოყენებული შესაძლო მიდგომების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია,⁵⁸ მაგრამ, არსებითად, ყველა კლასიფიკაცია მსგავსი ქმედებებისა და ინსტრუმენტების განსხვავებული დაჯგუფების მცდელობას წარმოადგენს. ყველა კლასიფიკაციაში ხაზგასმულია მთავრობის, როგორც ხელშეწყობის, ფასილიტატორის, დიალოგისა და პარტნიორობის მასტიმულირებლის, ინსტიტუციური სტრუქტურის შემქმნელის როლი. აგრეთვე თითქმის ყველგან აღნიშნულია, რომ სახელმწიფო პოლიტიკები და მთა-

⁵⁶ Jordan, A.; Wurzel, R., Zito, A.R. & Brückner, L., *European Governance and the Transfer of New Environmental Policy Instruments (NEPIs) in the European Union*, in: *Public Administration*, 81/3, 555-574, 2003

⁵⁷ Fox et alia, *Public Sector Roles in Strengthening Corporate Social Responsibility*.

⁵⁸ Fox et alia, *Public Sector Roles in Strengthening Corporate Social Responsibility*; Albareda et alia, *The changing role of government in corporate responsibility, Literature overview*, გვ. 32-36; Lepoutre, J.; Dentchev, N.; Heene, A., *On the Role of the Government in the Corporate Social Responsibility Debate*, Paper presented at the research track 7: “Policy Making and the Role of Government” in the 3rd Annual Colloquium of the European Academy of Business in Society: “The Challenge of Sustainable Growth: Integrating Societal Expectations in Business”. Brussels, 2004; Zappal, G. *Corporate Citizenship and the Role of Government: The Public Policy Case*. Australia, Research Paper n. 4, 2003-2004.

ვრობათა ქმედებები ძირითადად უნდა მიმართავდეს ზომიერ/რბილ ფორმებს“, რაც გულისხმობს ბიზნესის ნებაყოფლობითი ქმედებების სტიმულირებას და მხარდაჭერას და არა დავალდებულებასა და იძულებას.

ყველაზე უფრო დასაბუთებულად და ამომწურავად გვეჩვენება კლასიფიკაცია, რომელიც გაზიარებულია მრავალ ნაშრომში და რომლის თანახმადაც CSR-თან კავშირში მთავრობის მიერ გამოყენებული მიდგომები შემდეგ ოთხ ძირითად კატეგორიად ჯგუფდება: *დავალდებულება*; *ფასილიტაცია*; *პარტნიორობა*; *ოფიციალური მხარდაჭერა და სტიმულირება*.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით თითოეული მიდგომა და მის ფარგლებში მთავრობათა მიერ განხორციელებული შესაძლო ქმედებები.

1. დავალდებულება (სავალდებულო მოთხოვნების დაწესება/საკანონმდებლო რეგულირება)

ეს მიდგომა მოიცავს მთავრობის მხრიდან ბიზნეს საქმიანობის მიმართ მინიმალური სავალდებულო მოთხოვნების დაწესებას და მათი შესრულების უზრუნველყოფას შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების გზით, აგრეთვე ცალკეული CSR ნებაყოფლობითი სტანდარტების სავალდებულო შესრულებას კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში (მაგ. ზოგიერთი ნებაყოფლობითი CSR სტანდარტის სავალდებულო დაწესება საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიებისთვის, საპენსიო ფონდებისთვის, გარკვეული ზომის ან გარკვეულ სფეროში დასაქმებული კომპანიებისთვის, სახელმწიფო კონტრაქტების ფარგლებში და ა. შ.).

აკადემიურ და სამთავრობო წრეებში დიდი კამათი მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ როგორია მიმართება *ნებაყოფლობით მიდგომასა და სავალდებულო მოთხოვნებს* შორის CSR-ის კონტექსტში.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ CSR-ის ფუძემდებლური პრინციპი მისი ნებაყოფლობითობაა. ამდენად, საკანონმდებლო რეგულირების მეშვეობით დავალდებულება შეიძლება განიხილებოდეს, როგორც CSR პოლიტიკის მიღმა მყოფი და შეუთავსებელი CSR-ის ნებაყოფლობით ხასიათთან. მიუხედავად ამისა, საყოველთაოდ აღიარებულია ის ფაქტიც, რომ CSR-სა და კანონს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს.

კანონი ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია, რომელსაც მთავრობა იყენებს კომპანიების საქმიანობით მოხდენილი სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ზეგავლენის სამართავად. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში არსებობს მრავალგვარი კანონები, რომლებიც არეგულირებს კომპანიათა საქმიანობის ცალკეულ ეკონომიკურ, სოციალურ თუ გარემოსდაცვით ასპექტებს (მაგ., საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც შეეხება მომხმარებლებს, მშრომელთა უფლებებს, ადამიანის უფლებებს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას სამუშაო ადგილზე, გარემოს დაცვას, მექრთამეობასა და კორუფციას, კორპორატიულ მმართველობას, დაბეგვრას და ა. შ.). კომპანიის კორპორაციუ-

ლი სოციალური პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს არსებულ სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით კანონებთან სრულ შესაბამისობას და ამის საფუძველზე დამატებითი, ნებაყოფლობითი ვალდებულებების აღებას.

როგორც აღნიშნულია, ბიზნეს საქმიანობის მინიმალური სავალდებულო სტანდარტების დანესება კეთილმყოფელია CSR-ის განვითარებისათვის, რადგანაც ეს თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს კომპანიებისათვის და შესაძლებლობას აძლევს მათ დამატებითი საკონკურენციო უპირატესობა მოიპოვონ ნებაყოფლობითი CSR სტანდარტების დანერგვით.

კომპანიების საქმიანობის სოციალური თუ ეკოლოგიური ზეგავლენების მარეგულირებელი კანონმდებლობა შეიძლება იყოს ნამახალისებელი (მაგ., საგადასახადო შეღავათები და ა. შ.) ან დამსჯელი (ჯარიმები). ხშირ შემთხვევაში, ბიზნეს საქმიანობის ცალკეული ასპექტების მარეგულირებელი კანონმდებლობა იმავდროულად ხელს უწყობს CSR-ის განვითარებას. მაგ., გარემოს დაბინძურების გადასახადი, რომელიც ეფუძნება პრინციპს: ვინც აბინძურებს, ის იხდის“, ხელს უწყობს pro-CSR ინდუსტრიულ ინვესტიციებს. როგორც აჩვენა 1999 წელს მსოფლიო ბანკის ჩატარებულმა კვლევამ (კვლევა შეეხებოდა ჩინეთის ყველაზე მსხვილ დამაბინძურებელ კომპანიებს), ჩინეთის დაბინძურების გადასახადი თუმცა არ არის დიდი, მისმა დანესებამ მაინც საგრძნობლად გაზარდა ინვესტიციები გამწმენდ დანადგარებში.⁵⁹

ცალკეულ ნაშრომებში აგრეთვე აღნიშნულია, რომ მიუხედავად CSR-ის ტრადიციული განმარტებისა, რომლის თანახმადაც ეს კომპანიათა ნებაყოფლობითი ინიციატივაა და სცდება საკანონმდებლო მინიმუმს, ტრადიციული დაყოფა კანონმდებლობით დარეგულირებულ და ნებაყოფლობით მიდგომებს შორის არ არის ყოველთვის ერთნაირად პროდუქტიული. მაგალითად, განვითარებად ქვეყნებში ხშირად საკანონმდებლო მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფაც პრობლემურია. ამდენად, საკანონმდებლო მინიმუმის შესრულებაც CSR-ის ნაწილად აღიქმება, ხოლო საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის ნახალისება მთავრობის მხრიდან CSR ხელშემწყობი პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს.

მინიმალური სავალდებულო სტანდარტების გარდა, რომლებიც კანონმდებლობით რეგულირდება და ყველა ტიპის კომპანიაზე ვრცელდება, საკანონმდებლო რეგულირების საგანს ზოგჯერ წარმოადგენს უფრო მაღალი მოთხოვნები CSR-ის ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით, ანუ ცალკეული ნებაყოფლობითი CSR სტანდარტების სავალდებულო დანერგ-

⁵⁹ Wang Hua and Chen Ming, *How the Chinese System of Charges and Subsidies affects pollution control efforts in China's top industrial polluters*. Working paper 2198. World Bank, Washington D.C., 1999. http://www.worldbank.org/nipr/work_paper/wps2198.htm

ვის მოთხოვნები, რომლებიც მხოლოდ გარკვეული ტიპის კომპანიებსა და საქმიანობებზე ვრცელდება და არა ყველაზე.

ამისი მაგალითია ატმოსფეროში გაფრქვევების ზღვრული მოცულობის დანესება გარკვეული ტიპის საწარმოო დანადგარებისათვის; გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის დანერგვის ან გარემოსდაცვითი ანგარიშის გამოქვეყნების სავალდებულო მოთხოვნა გარკვეული საწარმოებისათვის (რომლებშიც, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მაღალია გარემოს დაბინძურების რისკი); ინფორმაციის გახსნა კომპანიის საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენის შესახებ, რაც სავალდებულოა გარკვეული ტიპის კომპანიებისთვის (მაგ. საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიებისათვის) და ა. შ.

მაგალითად, დანიის გარემოს დაცვის სამინისტრომ 1995 წელს გამოსცა ნორმატიული აქტი, რომლის თანახმად ცალკეულ სექტორებში დასაქმებული კომპანიები, რომელთა საქმიანობაც განსაკუთრებით სარისკოა გარემოსათვის (მაგ. ქიმიური ქარხნები და ა. შ.), ვალდებული არიან ყოველწლიურად გამოაქვეყნონ გარემოსდაცვითი ანგარიში.

დიდ ბრიტანეთში 2006 წელს მიღებული კანონის (აქტი კომპანიების შესახებ“) თანახმად, საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულ კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ ანგარიში გარემოსდაცვით საკითხებზე, კომპანიის თანამშრომელთა პოლიტიკასა და სოციალურ საკითხებზე. მსგავსი მოთხოვნა არსებობს საფრანგეთშიც.

ბევრ ევროპულ ქვეყანაში (მაგ., დიდი ბრიტანეთი, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი და ა. შ.) კანონმდებლობა ავალდებულებს საპენსიო ფონდებს, საჯაროდ გამოაქვეყნონ ინფორმაცია საკუთარ საინვესტიციო პოლიტიკაში ეთიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების გათვალისწინების შესახებ.

2001 წელს საფრანგეთის პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომლის თანახმად ფრანგული კორპორაციები, რომლებიც შესული არიან ჩამონათვალში “Premier Marche” (ყველაზე დიდი საბაზრო კაპიტალიზაციის მქონე კომპანიების ჩამონათვალი), ვალდებული არიან საკუთარ წლიურ ანგარიშებში წარმოადგინონ ინფორმაცია საქმიანობის გარკვეული სოციალური და გარემოსდაცვითი ინდიკატორების შესახებ (რაც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ინდიკატორებს, საზოგადოებასთან/თემთან ურთიერთობის საკითხებს, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და შრომითი საქმიანობის სხვა სტანდარტებს, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებს).

ცალკეული მოთხოვნები, რომლებიც CSR სტანდარტების შესრულებას უკავშირდება, სავალდებულო შეიძლება იყოს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში. ეს მიდგომა, საბოლოოდ, ხელს უწყობს CSR-ის განვითარებას. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედი კანონმდე-

ბლობის თანახმად, საჯარო შესყიდვებისას ყურადღება ექცევა და უპირატესობა ენიჭება მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებს (ანუ pro-CSR პროდუქციასა და სერვისებს). კომპანია არ არის ვალდებული წარმოების პროცესში დანერგოს ეს პრინციპები, მას შეუძლია უბრალოდ არ მიიღონ მონაწილეობა ტენდერში.

კერძო კომპანიასთან დადებულ სახელმწიფო კონტრაქტებში აგრეთვე აუცილებელ პირობას შეიძლება წარმოადგენდეს ამა თუ იმ CSR სტანდარტის დაკმაყოფილება, რომელიც ჩვეულებრივ ნებაყოფლობითია კომპანიებისათვის, მაგალითად: ქცევის კოდექსის დაცვა, შრომითი საქმიანობის გარკვეული სტანდარტების დაკმაყოფილება, კონტრაქტით განსაზღვრულ საქმიანობაში სოციალურად დაუცველი ჯგუფების ან უნარშეზღუდული ადამიანების ჩართვა და ა. შ.

იტალიაში, ტოსკანას რეგიონში, ზოგიერთი ტიპის სახელმწიფო შესყიდვებისათვის (მაგ., საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში) სავალდებულო მოთხოვნაა, რომ მომწოდებელს ჰქონდეს SA 8000 სერტიფიკატი (ნებაყოფლობითი სტანდარტი სამუშაო პირობებისა და ანგარიშების სფეროში).

დანის პარლამენტმა 2001 წელს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უწყებებს შეუძლიათ გარკვეული სოციალური ვალდებულებების შესრულება ნაუყენონ პირობად იმ საწარმოებს, რომლებიც ან რაიმე სერვისებს აწვდიან სახელისუფლებო უწყებებს, ან სახელმწიფო გრანტებს იღებენ.

ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული CSR მოთხოვნების შესრულება ამა თუ იმ ლიცენზიის მიღების პირობაა.

განაში 1990-იან წლებში სატყეო პოლიტიკის გადახედვის შედეგად შემოიღეს ახალი საკანონმდებლო მოთხოვნა. ამ მოთხოვნის თანახმად, კომპანიები, რომლებიც ტყის ჭრის ნებართვას ითხოვენ, უნდა შეფასდნენ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და გარემოსდაცვითი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. 1998 წელს მიღებული კანონის თანახმად კი ტყის მჭრელ კომპანიებს მოეთხოვებათ შეასრულონ მინის მფლობელებთან დადებული ე.წ. სოციალური პასუხისმგებლობის შეთანხმება“. ეს შეთანხმება გულისხმობს ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსის შესრულებას, რომელიც შეეხება გარემოსდაცვით, დასაქმებისა და კულტურულ საკითხებს, ასევე შეიცავს სოციალურ მუხლებს, რომლებიც მოიაზრებს კონკრეტულ შენატანს ადგილობრივ განვითარებაში. არსებობს შეთანხმების შემუშავების მკაცრი პროცედურა. ყოველი ამგვარი შეთანხმება აუცილებლად განხილული უნდა იყოს ადგილობრივ თემთან, აგრეთვე რეგიონის სატყეო უწყებასთან, სანამ მას ცენტრალურ შემფასებელ კომისიას წარუდგენენ.

2. ფასილიტაცია/ხელშეწყობა

ამ მიდგომის ფარგლებში საჯარო სექტორი ტექნიკურ და საექსპერტო დახმარებას უწევს კომპანიებს, რომ მათ ეფექტურად დანერგონ CSR სტანდარტები და სქემები, აგრეთვე ხელს უწყობს ისეთ ორგანიზაციათა საქმიანობას, რომლებიც CSR-ის განვითარებაზე მუშაობენ (ესენია: არასამთავრობო ორგანიზაციები, საკონსულტაციო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვ.).

ამ შემთხვევაში საჯარო სექტორი კატალიზატორის, მხარდამჭერის ან ფასილიტატორის როლს ასრულებს.

ეს მიდგომა მოიცავს ისეთ საინფორმაციო ინსტრუმენტებს, როგორებიცაა CSR საკითხებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიები სხვადასხვა სექტორისათვის, ცოდნის მიწოდება და კომპანიათა უნარების განვითარება ტრენინგების, კონსულტაციების, სემინარებისა და კონფერენციების მეშვეობით, CSR საკითხებზე კვლევების ინიცირება და დაფინანსება, სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება CSR-ის ცალკეულ ასპექტებზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ვებ-გვერდების, მონაცემთა ბაზების და რესურს-ცენტრების მეშვეობით.

ამ მიდგომის ფარგლებში სახელმწიფო უწყებები ხშირად სხვადასხვა სახის ტექნიკურ და საექსპერტო მხარდაჭერასაც უწევენ კომპანიებს, რათა მათ დააკმაყოფილონ CSR-თან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები, აგრეთვე დანერგონ CSR-თან დაკავშირებული მენეჯმენტის სქემები (მაგ., გარემოსდაცვითი მენეჯმენტის ან შრომითი საქმიანობის მენეჯმენტის სქემები და სხვ.). ეს დახმარება შეიძლება გამოიხატოს ინფორმაციის მიწოდებით, უფასო კონსულტირებითა და ტრენინგებით, საგრანტო სქემებით, რომლებიც ნაწილობრივ ფარავს მენეჯმენტის სისტემების დანერგვის ხარჯებს განსაკუთრებით მცირე და საშუალო სანარმოებისათვის და ა. შ.

ინდოეთის ტექსტილის სამინისტრომ ვაჭრობის სამინისტროსთან, ადგილობრივ მთავრობებთან და ადგილობრივ სამრეწველო და სავაჭრო ასოციაციებთან თანამშრომლობით ჩაატარა ეროვნული საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანი იყო ტექსტილისა და ტანსაცმლის მრეწველობის კომპანიების, განსაკუთრებით კი დეცენტრალიზებული მცირე და საშუალო ბიზნესის“ ცნობიერების ამაღლება იმ პრობლემებისა და საკითხების შესახებ, რომლებიც მოჰყვება ინდოეთის ტექსტილისა და ტანსაცმლის მრეწველობის ლიბერალიზაციას. ამ კამპანიის ფარგლებში გაიმართა 25 სემინარი, რომელშიც დაახლოებით 7500 კომპანიის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. სემინარების მიზანი იყო ინფორმაციის გავრცელება ისეთი სტანდარტების შესახებ, როგორებიცაა ISO 9000 QMS, ISO 14000 EMS, SA 8000 სტანდარტები, აგრეთვე მათთან შესაბამისობის მექანიზმების შესახებ. კომპანიებს ასევე სთავაზობდნენ პროფესიულ დახმარებას ამ სტანდარტების დასანერგად.

2005 წელს ბელგიის დასაქმებისა და განათლების მინისტრის, სოციალური ეკონომიკისა და თანაბარი შესაძლებლობების მინისტრის ინიციატივით შეიქმნა დიგიტალური რესურს-ცენტრი, რომლის მეშვეობითაც კომპანიებს შეუძლიათ მოიძიონ CSR-თან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია მათი დასაქმების სექტორისა და მოთხოვნების შესაბამისად.

დანის ეკონომიკისა და ბიზნესის სამინისტროს ინიციატივით 2005-2007 წლებში განხორციელდა პროგრამა, რომლის მიზანი იყო დანიის მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა მათ საქმიანობაში CSR სტანდარტების დასაწერად ტრენინგების ჩატარებისა და ინსტრუმენტების მიწოდებით გზით, აგრეთვე CSR-სა და კონკურენტუნარიანობას შორის არსებული უშუალო კავშირის წარმოჩენა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა, რომელშიც შესწავლილი იყო დანიის მცირე და საშუალო კომპანიათა დამოკიდებულება CSR-ის მიმართ და არსებული გამოცდილება. მცირე და საშუალო საწარმოების 12000 მენეჯერსა და თანამშრომელს მთელი ქვეყნის მასშტაბით აგრეთვე უფასოდ ჩაუტარდა ტრენინგი CSR საკითხებზე და CSR-ის კავშირის შესახებ გაუმჯობესებულ ფინანსურ მაჩვენებლებთან.

2001 წელს სამხრეთ აფრიკის გარემოს დაცვისა და ტურიზმის დეპარტამენტმა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან საკონსულტაციო პროცესის შედეგად შეიმუშავა სახელმძღვანელო მითითებები პასუხისმგებელი ტურიზმის შესახებ. სავაჭრო პალატები და ასოციაციები ამ სახელმძღვანელო მითითებებს იყენებენ ქცევის კოდექსების შესამუშავებლად, ხოლო ინდივიდუალური კომპანიები სახელმძღვანელო მითითებებზე დაყრდნობით შეიმუშავებენ საკუთარ პოლიტიკას პასუხისმგებელი ტურიზმის სფეროში, განსაზღვრავენ შესაბამის სტანდარტებსა და მიზნებს და ანგარიშს წარმოადგენენ მიღწეული შედეგების შესახებ.

ამავე მიდგომის ფარგლებში შემოდის პროდუქციის ნებაყოფლობითი გარემოსდაცვითი და სოციალური მარკირების/სერტიფიცირების სქემების მხარდაჭერა. ამის მიზანია პასუხისმგებელი მოხმარების, ანუ pro-CSR ბაზრის ჩამოყალიბების სტიმულირება. სერტიფიცირებისა და მარკირების ამგვარი სქემების ინიციატორი ხშირად სწორედ საჯარო სექტორია.

ტაივანის გარემოს დაცვის სამინისტრო 1992 წლიდან ახორციელებს ეკომარკირების სქემას მწვანე ეტიკეტი“. 1998 წელს მთავრობამ დაამტკიცა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი, რომელიც შეიცავს პარაგრაფს ხსენებული ეკომარკირების სქემის მხარდაჭერის შესახებ.

ინდოეთის პარლამენტმა 1991 წელს შემოიღო ნებაყოფლობითი ეკომარკირების სქემა. მის ადმინისტრირებაში ჩართული იყო რამდენიმე სახელმწიფო უწყება (გარემოს დაცვისა და ტყეების სამინისტრო, დაბინძურების კონტროლის საბჭო, ინდოეთის სტანდარტების ბიურო). 16 კატეგორიის სხვადასხვა ტიპის პროდუქციის შეფასება (ისეთი განსხვავებული კატეგორიების მიხედვით, როგორებიცაა, მაგალითად, კვების პროდუქტები და ცეცხლსაქრობი აღჭურვილობა) ითვალისწინებდა პროდუქციის მთელ სასიცოცხლო ციკლს (მასალები, წარმოება და ნარჩენების უტილიზაცია).

2002 წლიდან ბელგიის ეკონომიკის სამინისტრო, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული დამოუკიდებელი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ანიჭებს სოციალურ ეტიკეტს. ეტიკეტი მიენიჭება იმ პროდუქციას, რომლის მთელი წარმოების ჯაჭვი აკმაყოფილებს საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) 8 ფუნდამენტურ კონვენციას.

ავსტრიის სოციალური უსაფრთხოების, თაობებისა და მომხმარებელთა დაცვის სამინისტრო ტურიზმის სექტორში დასაქმებულ კომპანიებს ანიჭებს გარემოსდაცვით სერტიფიკატს გარემოს დამზოგი საქმიანობისათვის.

კოსტა-რიკას ტურიზმის ინსტიტუტმა შეიმუშავა მდგრადი ტურიზმის პროგრამა, რომელსაც კოსტა-რიკის მთავრობა აფინანსებს მდგრადი ტურიზმის განვითარების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში. პროგრამა მოიცავს საქმიანობის სტანდარტებს გარემოს დაცვის სფეროში, კომპანიის შიდა მენეჯმენტის სისტემების სტანდარტებს, ადგილობრივ თემთან ურთიერთობისა და მომხმარებელთან ურთიერთობის სტანდარტებს და ყველა ტიპის სასტუმროებზე ვრცელდება. პროგრამას ადმინისტრირებას უწევს ნებაყოფლობითი კომიტეტი, რომელშიც შედიან სხვადასხვა მხარეების — არასამთავრობო ორგანიზაციების, საწარმოების, მთავრობის, სამეცნიერო წრეების – წარმომადგენლები. წახალისების მიზნით პროგრამაში რეგისტრირება, მონაწილეობა და ასევე პირველი შეფასება უფასოა, ხოლო სერტიფიცირებული სასტუმროები იღებენ ‘მდგრადი ტურიზმის სერტიფიკატს’, რომელშიც ხუთსაფეხურიან სკალაზე მითითებულია, რომელ დონეს აკმაყოფილებს სასტუმრო. ამ სქემას ხშირად მიუთითებენ, როგორც ტურიზმის სერტიფიცირების ერთ-ერთ საუკეთესო მოდელს. 2001 წლიდან სამხრეთ ამერიკის კიდევ ექვსმა ქვეყანამ დაიწყო მსგავსი სქემების დანერგვა.

3. პარტნიორობა

პარტნიორობა ასევე ეფექტურ მიდგომას წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან CSR-ის განვითარების ხელშეწყობისათვის.

პარტნიორობის ცნება ზოგადად ცენტრალურია CSR-ისათვის. სტრატეგიული პარტნიორობა სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორების რესურსებსა და პოტენციალს მიმართავს რთული სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტისაკენ და, იმავდროულად, ხელს უწყობს ბიზნესის გრძელვადიანი მიზნების მიღწევას სტაბილური სოციალური და ფინანსური გარემოს შექმნის გზით.

პარტნიორული მიდგომა მოიცავს ისეთ საქმიანობებს, როგორებიცაა სახელმწიფო და კერძო სექტორების ერთობლივი პროექტები (PPP); სახელმწიფოსა და საწარმოების ერთობლივი ინიციატივები CSR-ის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საქმიანობაში, მაგალითად, CSR სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებაში, ქცევის კოდექსების შემუშავებაში და მისთ.; სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობა მრგვალი მაგიდების, დებატებისა და ფორუმების ორგანიზებით; ქსელების შექმნა; ნებაყოფლობითი შეთანხმებები; ერთობლივი მონიტორინგი; კომპანიების ჩართვა მდგრადი განვითარების ცალკეულ საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში და სხვ.

გერმანიაში ყავის წარმოების, დამუშავების და გასაღების სფეროში დასაქმებული კომპანიების ქცევის კოდექსის პროექტი შემუშავდა ევროპის ყავის ფედერაციასთან, შვედეთის მთავრობასთან, მულტინაციონალურ კომპანიებთან, მწარმოებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებთან თანამშრომლობით. კოდექსის განხორციელებას მეთვალყურეობას უწევს აგრეთვე მრავალი სხვადასხვა დაინტერესებული მხარე.

2006 წელს ესპანეთში ხანგრძლივი დიალოგის შედეგად საწარმოების, პროფესიული კავშირებისა და მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიზანია დასაქმების სტაბილურობის ამაღლება და სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება. ხოლო საბერძნეთის შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მმართველობისა და დეცენტრალიზაციის სამინისტრომ და საბერძნეთის CSR ქსელმა 2006 წელს ხელი მოაწერეს თანამშრომლობის შეთანხმებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საწარმოებში გენდერულ თანასწორობას. შეთანხმება მიზნად ისახავს განხორციელებს ერთობლივი ქმედებები (მაგ., კვლევები და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობები) შრომით ბაზარსა და სამუშაო ადგილზე უთანასწორობის დასაძლევად.

ფინეთში 2001 წლიდან მოქმედებს კომპანიების, ორგანიზაციების, პროფკავშირების, ეკლესიისა და მთავრობის ერთობლივი ფორუმი – ფინეთის ეთიკური ფორუმი, რომელზეც ხდება ბიზნეს ეთიკისა და CSR საკითხების განხილვა.

დანიის სოციალური საკითხების სამინისტროს ინიციატივით დაარსდა ბიზნეს კომპანიათა აღმასრულებელი დირექტორების ნაციონალური ქსელი, რომელიც აერთიანებს 16 მაღალი რანგის ბიზნეს ლიდერს კერძო და სახელმწიფო კომპანიებიდან, რომლებიც დასაქმების სამინისტროსთან მრჩეველთა ფუნქციას ასრულებენ და ხელს უწყობენ CSR-ის განვითარებას.

ლიტვაში დაარსდა CSR განვითარების კოორდინაციის მუდმივმოქმედი კომისია, რომლის მიზანია კოორდინირება გაუწიოს, განხორციელოს და შეაფასოს ლიტვაში CSR-ის განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები. კომისია შედგება სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისაგან – მთავრობის, სოციალურ საკითხთა და დასაქმების სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების, პროფკავშირების, დამსაქმებელთა ასოციაციების, კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან და ა. შ.

სახელმწიფო უწყებები შეიძლება მოგვევლინონ პარტნიორული პროექტის მონაწილის, ინიციატორის ან მედიატორის როლში. ხშირ შემთხვევაში საჯარო სექტორს გადამწყვეტი როლი ეკისრება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ინიცირებისა და ფასილიტაციის საქმეში.

დიდ ბრიტანეთში 1998 წელს მთავრობის მხარდაჭერით დაარსდა ეთიკური ვაჭრობის ინიციატივა. მას შემდეგ მთავრობა მხარს უჭერს მის ფუნქციონირებას. ეს ინიციატივა წარმოადგენს სამი სექტორის – კომპანიების, არასამთავრობოებისა და პროფესიული კავშირების ალიანსს, რომლის მიზანია გააუმჯობესოს სამუშაო პირობები თავისი კორპორაციული წევრების მონაწილეების ქსელებში.

1998 წელს ნორვეგიის მთავრობამ დააარსა საკონსულტაციო საბჭო ადამიანის უფლებებსა და ნორვეგიის საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის საკითხებზე (KOMpakt), რომლის მიზანი იყო დიალოგის ხელშეწყობა, ინფორმაციის გაცვლა და ურთიერთგაგების გაღრმავება ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს, ნორვეგიის ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის. ამ საკონსულტაციო საბჭოს წევრები ხუთ სხვადასხვა სექტორს წარმოადგენდნენ – ბიზნეს ასოციაციები (და ასევე კონკრეტული კომპანიების წარმომადგენლები), პროფესიული კავშირები, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები და მთავრობა. ამ ინიციატივას კოორდინირებას უწევს საგარეო საქმეთა სამინისტრო. სამუშაო ჯგუფში ჩართულია ასევე სხვა სამინისტროებიც (მაგ. ვაჭრობისა და მრეწველობის, ნავთობისა და ენერჯეტიკის სამინისტრო, თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო). საბჭო განიხილავს CSR-ის ნორმატიულ, პოლიტიკურ და კერძო სექტორთან დაკავშირებულ ასპექტებს.

იტალიის დასაქმებისა და სოციალური საკითხების სამინისტრომ 2004 წელს დააარსა იტალიის დაინტერესებულ მხარეთა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფორუმი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სექტორისა და ჯგუფის წარმომადგენლებს (დამსაქმებლებს, პროფკავშირებს, სამოქალაქო საზოგადოებას, კვლევით ინსტიტუტებს). მისი მიზანია დიალოგის პლატფორმის შექმნა და CSR საკითხების განვითარების ხელშეწყობა. ფორუმს თავმჯდომარეობს იტალიის დასაქმებისა და სოციალური საკითხების სამინისტრო.

პარტნიორული მიდგომის ფარგლებში მთავრობას შეუძლია აგრეთვე ბიზნესი ჩართოს ადგილობრივ თუ საერთაშორისო პოლიტიკურ დონის დიპლომატიასა და საჯარო ფორუმებში, რომელთა მიზანია სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი დოკუმენტების განხილვა. თუმცა ამ შემთხვევებში მნიშვნელოვანია, რომ სწორად განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკის საკითხებში ბიზნესის ჩართულობის საზღვრები.

სამხრეთ აფრიკის მთავრობის ინიციატივით 1995 წელს დარსდა ეკონომიკური განვითარებისა და შრომითი საქმიანობის ეროვნული საბჭო, რომელიც წარმოადგენს საკონსულტაციო ორგანოს და შედგება საჯარო სექტორის, ბიზნესის, პროფკავშირებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. მისი მიზანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა მხარეთა ჩართულობისა და კონსენსუსის უზრუნველყოფა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე.

მრავალი განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნის მთავრობამ ბიზნესის წარმომადგენლები ჩართო თავიანთ დელეგაციებში 2002 წელს მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე.

4. CSR-ის ოფიციალური მხარდაჭერა და ბიზნესის სტიმულირება

მეოთხე მიდგომას წარმოადგენს მთავრობის მიერ CSR-ის ოფიციალური მხარდაჭერა და ბიზნესის სტიმულირება.

ამ მიდგომამ მრავალგვარი სახე შეიძლება მიიღოს, ასეთებია, მაგალითად: CSR-ის ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება; CSR საკითხების დაფიქსირება სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში; სამთავრობო დეპარტამენტებისა და კომიტეტების შექმნა CSR-ის ხელშეწყობისათვის; რბილი სამართლებრივი (არა-დამავალდებულებელი) ინსტრუმენტების შემუშავება, როგორებიცაა დირექტივები, დეკრეტები; პასუხისმგებელი კომპანიების მიმართ დადებითი დამოკიდებულების დემონსტრირება და კონკრეტული კომპანიების ნებაყოფლობითი პასუხისმგებელი ინიციატივების ოფიციალური აღიარება და წახალისება; ასევე საჯარო გამოსვლებში ყურადღების გამახვილება CSR საკითხებზე.

ფილიპინების პრეზიდენტმა გლორია არიომ 2002 წელს წარმოთქვა სიტყვა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისადმი მიძღვნილ აზიის ფორუმზე. მან ხაზი გაუსვა მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის მნიშვნელობას ფილიპინებზე სიღარიბის შემცირების სტრატეგიის განსახორციელებლად. პრეზიდენტის დეკრეტით აგრეთვე ივლისის პირველი კვირა ქვეყანაში CSR-ის კვირად გამოცხადდა.

1996 წელს სამხრეთ აფრიკის მთავრობამ გამოუშვა სამთავრობო დოკუმენტი, ე.წ. თეთრი დოკუმენტი“ (White Paper), რომელშიც განსაზღვრული იყო ტურიზმის განვითარების ძირითადი მიმართულებები და განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ‘ პასუხისმგებელი ტურიზმის“ ცნებას, რაც სამხრეთ აფრიკის ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. როგორც აღნიშნულია ამ დოკუმენტში, პასუხისმგებელი ტურიზმი“ სამხრეთ აფრიკისათვის არ წარმოადგენს ფუფუნებას. ეს არის აბსოლუტური აუცილებლობა, თუ ქვეყანას სურს წარმატებული და კონკურენტუნარიანი იყოს საერთაშორისო ბაზარზე.

2009 წელს *ნორვეგიის* მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური დოკუმენტი (White paper) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ გლობალიზებულ ეკონომიკაში. დოკუმენტში განმარტებულია ის პასუხისმგებლობა, რომელიც კომპანიებს ეკისრებათ ადამიანის უფლებებთან, ღირსეულ სამუშაო პირობებთან, კორუფციის აღმოფხვრასა და გარემოს დაცვასთან მიმართებით, აგრეთვე აღნიშნულია, რომ მთავრობა უფრო აქტიურად წარმართავს ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობასა და დიალოგს და ხელს შეუწყობს ეფექტური საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფას.

ეს მიდგომა მოიცავს აგრეთვე CSR-თან დაკავშირებული მთავრობათაშორისი და საერთაშორისო ინიციატივების მხარდაჭერას, როგორებიცაა, მაგალითად, გაეროს გლობალური შეთანხმება, ანგარიშგების გლობალური ინიციატივა, OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები“ და ა. შ.; მთავრობის ჩართულობას რეგიონულ და საერთაშორისო შეთანხმებებში; CSR ასპექტებზე შემუშავებულ მემორანდუმებთან მიერთებას; სხვადასხვა მთავრობათა ერთობლივ ინიციატივებს CSR-ზე და ა. შ.

გერმანიის ფედერალური მთავრობა ოფიციალურ მხარდაჭერას უცხადებს გაეროს გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას. 2002 წელს მან თანადაფინანსება გაუნია გლობალური შეთანხმების“ მიერ მოწყობილ მეორე სასწავლო ფორუმს ბერლინში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბიზნესის, სამეცნიერო წრეებისა და გაეროს წარმომადგენლებმა მთელი მსოფლიოდან.

მრავალი ევროპული ქვეყნის მთავრობა ოფიციალურად მხარს უჭერს ანგარიშგების გლობალურ ინიციატივას“ (GRI). მაგალითად, *ჰოლანდიის* მთავრობამ დააფინანსა ცალკეული GRI სასწავლო გამოცემების მომზადება. 2009 წელს *შვედეთისა* და *ნორვეგიის* საგარეო საქმეთა სამინისტროებმაც განაცხადეს, რომ ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევენ ანგარიშგების გლობალურ ინიციატივას“. ამ ქვეყნებს აგრეთვე საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ GRI სამთავრობო მრჩეველთა საბჭოში.

პასუხისმგებელი ბიზნესის ოფიციალური მხარდაჭერის დეკლარირებას ემსახურება აგრეთვე სხვადასხვა ფინანსური თუ არაფინანსური მეთოდებით CSR-ის სტიმულირება. არაფინანსური სტიმულირების ინსტრუმენტს წარმოადგენს პრესტიჟული კონკურსებისა და ჯილდოების მეშვეობით კონკრეტულ პასუხისმგებელ ინიციატივათა და საწარმოთა დაფასება და ნახალისება.

მაგალითად, *ბულგარეთში* რამდენიმე სახელმწიფო უწყება (დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო, მცირე და საშუალო საწარმოების სააგენტო და დასაქმების ინსპექტორატი) სხვადასხვა სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად აწყობს კონკურსს სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის ეროვნული ჯილდოს მისაღებად, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის ტერიტორიაზე მოქმედი როგორც ბულგარული, ასევე საერთაშორისო კომპანიები.

ტაივანის გარემოს დაცვის სამინისტრომ 1992 წელს დააარსა ყოველწლიური მწვანე ბიზნესის ჯილდო“. ჯილდოს მიზანია წაახალისოს და მხარი დაუჭიროს სანარმოებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ტაივანის გარემოს დაცვაში“. სამინისტრო აგრეთვე წარმოაჩენს გამარჯვებული კომპანიის საქმიანობას, რათა სხვა კომპანიებისათვის მისაბაძი მაგალითი შექმნას. კერძოდ, სამინისტრო ატარებს ძალიან ფართოდ გაშუქებულ დაჯილდოების ცერემონიას და გამარჯვებულ კომპანიებს უწყობს შეხვედრას პრეზიდენტთან, რომელიც პირადად გამოხატავს მხარდაჭერასა და წახალისებას.

კომპანიებს, რომლებსაც პრევენციული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემები აქვთ დანერგული, *კორეის მთავრობა* ანიჭებს გარემოს დამზოგი“ კომპანიების წოდებას, რადგანაც ეს კომპანიები პასუხისმგებლობით ეკიდებიან დამაბინძურებლებს და საგრძნობი წვლილი შეაქვთ გარემოს დაცვაში. სისტემა 1995 წელს მიიღეს. მას შემდეგ მრავალი კომპანია დასახელდა, როგორც გარემოს დამზოგი“ კომპანია. ეს კომპანიები ერთიანდებიან ეროვნულ გარემოსდაცვით ქსელში - ქსელის მიზანია ხელი შეუწყოს გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციის გაცვლას კომპანიებს შორის, ტექნიკური და საკონსულტაციო დახმარება გაუწიოს მცირე და საშუალო სანარმოებს და განავითაროს ქმედითი გარემოსდაცვითი ინსტრუმენტები.

მთავრობები აგრეთვე CSR სტიმულირების ისეთ ფინანსურ ან ეკონომიკურ ინსტრუმენტებს მიმართავენ, როგორებიცაა საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები, საგრანტო სქემები (რომლებიც, როგორც წესი, კანონმდებლობით რეგულირდება).

ჩილეს მთავრობა კორპორაციებს მრავალრიცხოვან საგადასახადო შეღავათებს უწევს საქველმოქმედო საქმიანობისთვის. ამ შემოწმებისათა უმრავლესობა მიმართულია განათლების სისტემის – სკოლების, უნივერსიტეტებისა და პროფესიული სასწავლებლების – ფინანსური მხარდაჭერისაკენ.

ირლანდიაში მცირე და საშუალო სანარმოებს შეუძლიათ მიიღონ გრანტები, რათა ჩაატარონ უკვე არსებული ან ახალი პროდუქციის შეფასება ნარჩენების მენეჯმენტის, წყლის განმენდის, ლაბორატორიული პროცედურების მიხედვით.

ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა ფინანსური წახალისების სქემა და საგადასახადო შეღავათი არსებობს კომპანიების წასახალისებლად, უნარ-შეზღუდული ადამიანების ან სხვა მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლების დასაქმებისათვის.

დიდ ბრიტანეთში კი არსებობს თემში/საზოგადოებრივ საქროებებზე ინვესტირების საგადასახადო შეღავათი. გარკვეული პირობების დაცვით, ეს შეღავათი ვრცელდება როგორც კერძო პირებზე, ასევე კომპანიებზე, რომლებიც კრედიტის, ფასიანი ქაღალდების ან სააქციო კაპიტალის მეშვეობით ინვესტირებას ახდენენ აკრედიტებულ თემის განვითარების საფინანსო ინსტიტუტებში.“

ფინანსური სტიმულირების მაგალითია აგრეთვე pro-CSR საკითხების ჩართვა საექსპორტო პოლიტიკაში, ასევე CSR სტანდარტების დაკავშირება

სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკასთან (ანუ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გადანყვეტილების მიღებისას ტენდერში მონაწილე კომპანიათა საქმიანობის CSR მაჩვენებლების გათვალისწინება).

ევროპარლამენტმა 2004 წლის დირექტივებში ევროპის წევრ ქვეყნებს ურჩია, რომ სახელმწიფო შესყიდვებისას გადანყვეტილების მიღების ერთ-ერთ კრიტერიუმს შრომითი სტანდარტების დაცვა, კერძოდ, საერთაშორისო შრომის ასოციაციის (ILO) 8 ფუნდამენტური კონვენციის დაცვა წარმოადგენდეს. ეს მოთხოვნა ევროკავშირის მრავალ ქვეყანას აქვს ინტეგრირებული სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკაში.

მრავალ ევროპულ ქვეყანაში აგრეთვე არსებობს მწვანე სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა (ანუ სახელმწიფო შესყიდვებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ პროდუქციას/სერვისებს, რომელთაც ნაკლებად მავნე ზემოქმედება აქვს ბუნებრივ გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე).

ბიზნესის სტიმულირებისა და CSR-ის ოფიციალური მხარდაჭერის მეტოქედ წარმოადგენს აგრეთვე *მთავრობის მიერ მაგალითის მიცემა* კერძო სექტორისათვის. ეს შეიძლება გამოიხატოს სამთავრობო უწყებების საქმიანობაში CSR სტანდარტების დანერგვით, მაგალითად, სხვადასხვა მენეჯმენტისა და აუდიტის სქემების დანერგვით (EMAS გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სქემისა და მისთ.), ან ოჯახთან თავსებადი სამუშაოს პრინციპების დანერგვით, მდგრადი განვითარების ანგარიშების გამოქვეყნებით, რომლებიც ასახავს სამთავრობო უწყებათა საქმიანობის გარემოსდაცვით და სოციალურ მაჩვენებლებს და სხვ.

მაგალითად, *ჰოლანდიის* ეკონომიკის სამინისტრომ 2004 წელს გამოაქვეყნა პირველი ანგარიში საკუთარი საქმიანობის სოციალური პარამეტრების შესახებ. ამის შემდეგ სხვა სამინისტროებმაც (მაგ., სოფლის მეურნეობის სამინისტრომ) ასევე დაიწყეს სოციალური ანგარიშების გამოქვეყნება.

შვედეთის სამთავრობო უწყებებს 1997 წლიდან ევალებათ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემები დანერგონ და ყოველწლიური ანგარიში წარმოადგინონ მიღწეული შედეგების შესახებ.

გერმანიის მთავრობა სახელმწიფო უწყებებში ნერგავს ოჯახთან თავსებად სამუშაო პირობებს, რითიც მაგალითს აძლევს და ნაახალისებ ბიზნეს კომპანიებს, იგივე გააკეთონ.

ესპანეთში შეიმუშავეს პროგრამა «Plan Concilia», ოჯახთან თავსებადი სამუშაო პირობების დანერგვისთვის საჯარო სექტორში. მთავრობის მიზანია, რომ ეს მოდელი მისაბაძი გახდეს კერძო სექტორისთვის.

დიდი ბრიტანეთის რამდენიმე სამთავრობო დეპარტამენტში თანამშრომელთა სასაბედოებში მხოლოდ Fair Trade პროდუქციას (ანუ სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებით წარმოებულ და იმპორტირებულ პროდუქციას) მოიხმარენ.

* * *

ზემოთ განხილული მიდგომები ხშირად კომბინირებულია და მათი გამოიყენება კონკრეტულ ინიციატივებსა და საქმიანობებში ძნელია. მაგალითად, ქცევის კოდექსებთან მიმართებით მთავრობამ შეიძლება შეასრულოს ფასილიტატორის ფუნქცია ტრენინგებისა და შესაძლებლობების გაძლიერების სხვადასხვა საქმიანობათა მეშვეობით; გამოიყენოს პარტნიორული მიდგომა კოდექსის შემუშავების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ინიცირებით; ასევე ოფიციალურად წახალისოს კომპანიები, რომლებსაც საუკეთესო შედეგები აქვთ ქცევის კოდექსების დანერგვის თვალსაზრისით.

მდგრადი განვითარების ანგარიშგების დანერგვის მიზნით მთავრობები ასევე ახდენენ სხვადასხვა მიდგომათა კომბინირებას, მაგალითად, მიმართავენ საკანონმდებლო რეგულირებას, სხვადასხვა მეთოდით წახალისებას (მათ შორის პირადი მაგალითის მიცემისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მხარდაჭერის გზით), ასევე ფასილიტაციას სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების, საექსპერტო და საკონსულტაციო დახმარების მიწოდების გზით.

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ შემუშავებული ნებაყოფლობითი პრინციპები უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებზე ათავსებს პარტნიორულ მიდგომას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფით, მთავრობის, როგორც ფასილიტატორის როლს და მთავრობის მხრიდან ამ საკითხების მნიშვნელობის აშკარა დეკლარირებას.

შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა, მომპოვებელი და ენერგეტიკული სექტორების კომპანიებმა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა წამოიწყეს დიალოგი უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებზე, რასაც მოჰყვა 2000 წლის დეკემბერში ნებაყოფლობითი პრინციპების გამოქვეყნება, რომლებიც კომპანიებს დაეხმარება თავიანთ საქმიანობაში თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და დაცულობის უზრუნველყოფაში. 2001 წელს ამ პროცესს ნორვეგიის მთავრობაც შეუერთდა.

კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სავალდებულო სტანდარტების დანესების შემთხვევაში დავალდებულების მიდგომა შეიძლება შეთავსებული იყოს ფასილიტაციისა და სტიმულირების მიდგომებთან (რომლებიც გამოიხატება ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსებისა და სტანდარტების წახალისებასა და ხელშეწყობაში).

* * *

ხელისუფლების იმ ინიციატივების გარდა, რომლებიც მიზანმიმართულად CSR-ის განვითარებას ემსახურება, ხშირად სხვა მიზნებისაკენ მიმართულ სამთავრობო ინიციატივათა მეორადი შედეგი ასევე CSR-ის განვითარება შეიძლება იყოს.

ასე მაგალითად, pro-CSR სამომხმარებლო ქცევის ხელშეწყობის მიზანია მდგრადი სამომხმარებლო მოდელების დამკვიდრებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, მაგრამ, იმავდროულად ეს ხელს უწყობს მოთხოვნის ზრდას pro-CSR პროდუქციაზე და, შესაბამისად, CSR-ის განვითარებას.

დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში აგრეთვე აქტუალურია მთავრობის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და შრომითი საქმიანობის ფუნდამენტური უფლებების მხარდაჭერა (როგორცაა, მაგ. ასოციაციებში განვერიანების თავისუფლება), რაც ირიბად აგრეთვე CSR-ის განვითარებას უწყობს ხელს.

როდესაც მთავრობა ხელს უწყობს მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად წარმოებული პროდუქციისა და სერვისების ექსპორტს, მის მთავარ მიზანს წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის ხელშეწყობა და უცხოური ბაზრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (რათა მიწოდების კონტრაქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც მდგრად განვითარებას უკავშირდება, არ აფერხებდეს ქვეყნის პროდუქციის გასვლას უცხოურ ბაზრებზე); თუმცა იმავდროულად ეს ხელს უწყობს CSR-ის განვითარებას. ეს უკანასკნელი არგუმენტი განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც პროდუქციისა თუ სერვისების არასათანადო სოციალური და გარემოსდაცვითი პარამეტრები შეიძლება განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე გასვლის შესაძლებლობებს ზღუდავდეს.

ამრიგად, მთავრობის როლი მდგომარეობს, ერთი მხრივ, არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფაში (რაც კომპანიებისათვის თანაბარი პირობების გარანტი იქნება) და, მეორე მხრივ, ბიზნესის მხრიდან ნებაყოფლობითი CSR სტანდარტების და ინიციატივების სხვადასხვა მეთოდით ნახალისებასა და მხარდაჭერაში.

2005-2006 წლებში ევროპის სამ ქვეყანაში – იტალიაში, ბრიტანეთსა და ნორვეგიაში ჩატარებული კვლევის თანახმად, ბიზნეს კომპანიები მიიჩნევენ, რომ მთავრობამ წამყვანი როლი უნდა ითამაშოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში, განსაზღვროს სამოქმედო მიმართულებები, სტიმული მისცეს, ბიზნეს კომპანიებს, ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობას, ფასილიტატორისა და მედიატორის ფუნქციები შეასრულოს. ამავე კვლევის თანახმად, კომპანიები უპირატესობას სწორედ მთავრობის მხრიდან ნებაყოფლობითი საქმიანობის ნახალისებას და სტიმულირებას ანიჭებენ.

*The changing role of government in corporate responsibility,
A report for practitioners, 2006, გვ. 23-24*

თავი VI

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რეგულირების საერთაშორისო ინსტრუმენტები

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონცეფცია ისევე, როგორც მისი პრაქტიკული განხორციელების ფარგლები და ფორმები, წლების განმავლობაში ყალიბდებოდა სხვადასხვა სექტორის – მთავრობათა, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ფართო სპექტრის მონაწილეობით.

საერთაშორისო დონეზე CSR-ის მარეგულირებელი ინსტრუმენტები მრავალრიცხოვანია. თვისობრივად ეს ინსტრუმენტები ორი ტიპისაა – მატერიალური ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს პასუხისმგებელი ქცევის წესებს და პროცესზე ორიენტირებული ინსტრუმენტები, რომელთა მიზანია ნორმატიული მოთხოვნების შესრულების პროცესის რეგულირება. მატერიალური ნორმები უმეტესწილად მთავრობათა მიერ არის შეთანხმებული, თუმცა მათ ხშირად ავსებს კერძო სექტორისა და სამოქალაქო ორგანიზაციათა მიერ შემუშავებული ნორმატიული ინსტრუმენტები. ხოლო პროცესზე ორიენტირებული ინსტრუმენტები ძირითადად შემუშავებულია არა მთავრობათა, არამედ კერძო და სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციათა მიერ. ამრიგად, წარმომავლობის მიხედვით CSR ინსტრუმენტები შეიძლება სამთავრობო და არასამთავრობო ინსტრუმენტებად დავაჯგუფოთ.

წინამდებარე თავში წარმოდგენილია სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ინსტრუმენტების ზოგადი ტიპოლოგიური მიმოხილვა, ხოლო შემდეგ უფრო დანვრილებით არის განხილული CSR რეგულირების ყველაზე მნიშვნელოვანი და საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო ინსტრუმენტები (მენეჯმენტის სტანდარტების ჩათვლით), დაჯგუფებული იმ სფეროების მიხედვით, რომელთაც ისინი შეეხება.

* * *

როგორც ზემოთ აღინიშნა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი საერთაშორისო ინსტრუმენტები შეიძლება დავაჯგუფოთ სამთავრობო ინსტრუმენტებად და კერძო და სამოქალაქო სექტორის მიერ შემუშავებულ ინსტრუმენტებად.

სამთავრობო ნორმატიული ინსტრუმენტები

მთავრობებმა და მთავრობათაშორისმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, მდგრადი განვითარებისა და სხვა მათთან დაკავშირებული კონცეფციების ჩამოყალიბებასა ამოქმედებაში.

გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყანათა მთავრობებმა შეიმუშავეს საერთაშორისო რეგულირების მრავალი ინსტრუმენტი, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ბიზნეს სექტორის და სხვა ორგანიზაციების საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი ნორმები.

ერთ-ერთ პირველ მაგალითს, როდესაც ქვეყნების მთავრობები ერთად შეიკრიბნენ და კერძო სექტორსა და პროფესიულ კავშირებთან თანამშრომლობით შეეცადნენ შეემუშავებინათ გლობალური ნებაყოფლობითი მარეგულირებელი დოკუმენტი კორპორაციული პასუხისმგებლობის სფეროში, წარმოადგენდა მულტინაციონალური საწარმოებისთვის OECD-ის სახელმძღვანელო მითითებების“ პირველი ვერსია (1976 წელს). 1977 წლის ILO სამმხრივი დეკლარაცია აგრეთვე ერთ-ერთი ადრეული მაგალითია მთავრობების, ბიზნესის და შრომითი ორგანიზაციების ერთობლივი მცდელობის შედეგად შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი გლობალური ნებაყოფლობითი ინსტრუმენტის შემუშავებისა.

1992 წელს გაეროს დედამიწის სამიტზე“ მთავრობების მიერ შეთანხმებულ 21-ე საუკუნის დღის წესრიგში“ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პასუხისმგებელი ბიზნესისა“ და გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელობას (*UN Agenda 21, თავი 30, სექცია B*), ხოლო ათი წლის შემდეგ, 2002 წლის გაეროს მსოფლიო სამიტმა მდგრადი განვითარების შესახებ (WSSD) ერთობლივი ძალისხმევისაკენ მოუწოდა სხვადასხვა სექტორს მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად. ამ კონტექსტში სხვადასხვა ქვეყანათა მთავრობებმა გარკვევით აღნიშნეს კორპორაციული გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერების აუცილებლობა» (*WSSD, სამოქმედო გეგმა, პარაგრაფი 18*).

2000 წელს OECD-ში შემავალი ქვეყნების თაოსნობით მომზადდა მულტინაციონალური საწარმოებისთვის სახელმძღვანელო მითითებების ახალი, შესწორებული რედაქცია, რომლის მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი მულტინაციონალური კომპანიებისთვის მითითებების მიწოდება პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის ძირითადი სტანდარტების შესახებ.

სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი სამთავრობო ინსტრუმენტების მიზანია სოციალური და გარემოსდაცვითი მატერიალური ნორმების განსაზღვრა. ეს ინსტრუმენტები, რომლებიც მთავრობათა მონაწილეობით არის შემუშავებული, საერთაშორისოდ შეთანხმებულ სტანდარტებს ეფუძნება, რაც მათ სანდოობისა და ლეგიტიმურობის უფრო მაღალ ხარისხს ანიჭებს.

სამთავრობო ინსტრუმენტები, თავის მხრივ, შეიძლება დავაჯგუფოთ საერთაშორისო, რეგიონული და ნაციონალური დონის ინსტრუმენტებად.

საერთაშორისო სამთავრობო ინსტრუმენტები – კონვენციები, დეკლარაციები, სახელმძღვანელო მითითებები

საერთაშორისო დონის ინსტრუმენტებს წარმოადგენს საერთაშორისო კონვენციები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, შრომითი უფლებები, გარემოს დაცვა. ამ კონვენციების ხელმოწერითა და რატიფიცირებით, ხელმოწერი მთავრობები, ჩვეულებრივ, გარკვეულ ვალდებულებებს იღებენ. ამგვარ კონვენციათაგან კორპორაციულ პასუხისმგებლობას უშუალოდ უკავშირდება გაეროს კონვენციები შრომითი უფლებებისა (მაგ. ILO) და გარემოს დაცვის სფეროში (მაგ., კლიმატის ცვლილებაზე), ასევე კორუფციისა და მექრთამეობის აღმოფხვრის შესახებ.

კონვენციების მომდევნო დონეს წარმოადგენს ასამბლეებსა და კონფერენციებზე მთავრობათაშორის პროცესების შედეგად შემუშავებული დეკლარაციები, რომლებიც არ საჭიროებს ფორმალურ ხელმოწერასა და რატიფიცირებას. კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ამგვარი ინსტრუმენტებია, მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ILO სამმხრივი დეკლარაცია მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობის პრინციპებისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ (რომელიც შეთანხმებულია მთავრობების, ბიზნესისა და პროფესიული კავშირების მიერ), 1992 წლის რიოს დეკლარაცია და 21-ე საუკუნის დღის წესრიგი, ასევე 2002 წლის მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტის (WSSD) სამოქმედო გეგმა.

შემდეგია სამთავრობო დონეზე შეთანხმებული და დამტკიცებული სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუქციები. მათგან კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო მითითებები მულტინაციონალური საწარმოებისთვის“. სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუქციები, ჩვეულებრივ, ეფუძნება საერთაშორისო კონვენციებსა და დეკლარაციებს და მოიცავს მთავრობათა მიერ შეთანხმებულ განხორციელების პროცედურებს.

რეგიონული დონის სამთავრობო ინსტრუმენტები

რეგიონულ დონეზე მრავალგვარი ინსტრუმენტებია შემუშავებული ადამიანის უფლებათა, სოციალურ და შრომით უფლებათა, ასევე გარემოს დაცვის სფეროებში. რეგიონულ დონეზე განსაკუთრებით აქტიურია ევროკავშირი, რომელმაც არა ერთი კანონი და მარეგულირებელი ინსტრუმენტი შეიმუშავა CSR-თან მიმართებით. ევროკავშირის კანონების გარდა, რომლებიც შეეხება შრომით საქმიანობას, სოციალურ საკითხებსა

და გარემოს დაცვას, აღსანიშნავია ევროკომისიის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტები (როგორებიცაა, მაგ., 2001 წლის ე.წ. მწვანე დოკუმენტი“ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, 2002 წლის თეთრი დოკუმენტი“: კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა — ბიზნესის ნვლილი მდგრად განვითარებაში და სხვ.)

ეროვნული დონის სამთავრობო ინსტრუმენტები

ეროვნულ მთავრობებს, თავის მხრივ, შემუშავებული აქვთ მრავალგვარი ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ისინი ხელს უწყობენ CSR-ის განვითარებას. ეს მოიცავს როგორც დავალდებულების ინსტრუმენტებს (კანონებსა და დირექტივებს), ისე სტიმულირების სხვადასხვაგვარ ინსტრუმენტებს (მაგ., საგადასახადო შეღავათებს, სუბსიდიებს და ა. შ.), აგრეთვე სახელმძღვანელო მითითებებს, პოლიტიკურ პროგრამებს, სადისკუსიო ფორუმებსა და საინფორმაციო მასალებს.

ყველა ქვეყანაში არსებობს გარკვეული სახის კანონმდებლობა ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, მომხმარებელთა უფლებებისა და გარემოს დაცვის შესახებ, რომლის დაცვაც სავალდებულოა ამ ქვეყანაში მოქმედი ორგანიზაციებისათვის. ზოგიერთ ქვეყანაში ნელ-ნელა მკვიდრდება კანონმდებლობა, რომელიც კომპანიებისაგან მოითხოვს გაითვალისწინონ საკუთარი საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენები და ანგარიშგება აწარმოონ მათ შესახებ. ეს ყველაფერი დავალდებულების ინსტრუმენტებს წარმოადგენს. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, ქვეყანათა მთავრობებს შემუშავებული აქვთ ნებაყოფლობითი პასუხისმგებელი საქმიანობის სტიმულირებისა და მხარდაჭერის მრავალგვარი ინსტრუმენტები.

კერძო და სამოქალაქო სექტორების მიერ შემუშავებული ინსტრუმენტები

უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში კერძო სექტორი და სამოქალაქო ორგანიზაციები სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ CSR ინსტრუმენტების ჩამოყალიბებასა და დანერგვაში. მათი ამგვარი ჩართულობა და წარმმართველი როლი არსებით სიახლეს წარმოადგენს გლობალური მმართველობის მიდგომების თვალსაზრისით. სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შემუშავებული აქვთ როგორც მატერიალური ნორმები, ისე პროცესზე ორიენტირებული ინსტრუმენტები. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ამგვარი ინსტრუმენტი ორივეს მოიცავს – როგორც ნორმატიულს, ასევე პროცესზე ორიენტირებულ ელემენტებს (მაგ. SA 8000).

ისევე, როგორც სამთავრობო ინსტრუმენტები, კერძო და სამოქალაქო სექტორების ინსტრუმენტები CSR სფეროში, ჩვეულებრივ, შეეხება CSR-ის

ერთ ან რამდენიმე ძირითად საკითხს, როგორებიცაა ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, ორგანიზაციის საქმიანობის სოციალური და ეკონომიკური ზეგავლენა.

ეს ინსტრუმენტები, რომლებიც არ წარმოადგენს სამთავრობო კანონ-შემოქმედებითი პროცესის ნაწილს (როგორცაა, მაგალითად, კონვენციების შემუშავებისა და რატიფიცირების პროცესი), ხშირად მაინც მაღალი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს, განსაკუთრებით, თუ ისინი შემუშავებული იყო ღია და გამჭვირვალე პროცესის მეშვეობით, რომელიც მოიცავდა დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს, არის სანდო და პრაქტიკულად გამოსაყენებელი. ეს არასამთავრობო ინსტრუმენტები, რომლებიც თავიანთი არსით ნებაყოფლობითი ინსტრუმენტებია, ხშირ შემთხვევაში ოფიციალურად არის აღიარებული მთავრობათა მიერ (მაგ., ISO სტანდარტები, GRI ანგარიშგების ფორმატი და სხვა).

ნორმატიული ინსტრუმენტები (მატერიალური ნორმები)

კერძო და სამოქალაქო სექტორების მიერ შემუშავებული ნორმატიული ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია ქცევის ნორმების განსაზღვრა, რომლებიც ხშირად სამთავრობო ნორმებს ეყრდნობა. მათი უმრავლესობა კონცენტრირდება ერთ კონკრეტულ საკითხზე (მაგ., ტყეების მენეჯმენტი, ადამიანის უფლებები და ა. შ.) და შეიცავს დანვრილებით ინსტრუქციებსა და მითითებებს სამართლებრივი და სოციალური ასპექტების შესახებ. ამგვარი ნორმატიული ინსტრუმენტის მაგალითია ტყეების მართვის საბჭოს“ (FSC) სტანდარტი, რომლის მიზანია ტყის მენეჯმენტის სფეროში პასუხისმგებლობის ახალი, უფრო მაღალი ნებაყოფლობითი ნორმების დამკვიდრება. მეორე მაგალითია სალივანის გლობალური პრინციპები“, რომლებიც არსებულ სამთავრობო ნორმებს ეფუძნება და ეხმარება ორგანიზაციებს მათთან შესაბამისობის მიღწევაში.

პროცესზე ორიენტირებული ინსტრუმენტები

პროცესზე ორიენტირებული ინსტრუმენტები, ნორმატიული ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით, არ აწესებს სოციალური პასუხისმგებლობის გარკვეულ ნორმებს. მათი მიზანია სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელებასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ ინსტრუქციების მიწოდება. პროცესზე ორიენტირებულ ინსტრუმენტს წარმოადგენს, მაგალითად, ISO 14000 მენეჯმენტის სისტემის სტანდარტების სერია, რომელიც არ აწესებს ქცევის მატერიალურ ნორმებს, არამედ ეხმარება ორგანიზაციებს სწორი მიდგომების შემუშავებაში საკუთარი საქმიანობით გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის კონტროლის მიზნით. ISO სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო სტანდარტი“ (ISO 26000) აგრეთვე პროცესზე ორიენტირებული სახელმძღვანელო ინსტრუმენტია და არა

ნორმატიული ინსტრუმენტი. კიდევ ერთი მაგალითია GRI სახელმძღვანელო მითითებები“, რომელიც მოიცავს საქმიანობის შედეგების შეფასებისა და ანგარიშგების საკითხებს CSR-თან დაკავშირებულ სფეროებში.

კერძო და სამოქალაქო სექტორების მიერ შემუშავებული ინსტრუმენტების განხილვისას უნდა აღინიშნოს აგრეთვე სექტორული და ორგანიზაციული დონის ინიციატივები.

- ა. *სექტორული ინიციატივები*: ზოგიერთ შემთხვევაში, ცალკეული სექტორების წარმომადგენლებმა (მაგ., ქიმიური, მომპოვებელი, ენერჯეტიკის, ტყის მეურნეობის, სათამაშოების ან ტანსაცმლის წარმოების წარმომადგენელმა ორგანიზაციებმა) შეიძლება შეიმუშაონ სპეციფიური ინსტრუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს ქცევის ნორმებს და დადებით პრაქტიკას კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან მიმართებით. ამგვარი ინსტრუმენტები ხშირად *დე ფაქტო* სექტორულ სტანდარტებად იქცევა ხოლმე. სექტორული ინსტრუმენტების მაგალითებია საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ბიზნეს ქარტია, ქიმიური ინდუსტრიის პასუხისმგებელი ქცევის ინიციატივა, წიაღისეულის მომპოვებელი სექტორის მდგრადი განვითარების პრინციპები და სხვ.
- ბ. *ცალკეულ ორგანიზაციათა ინიციატივები*: მრავალი ორგანიზაცია აგრეთვე შეიმუშავებს საკუთარ, ორგანიზაციული დონის CSR ინსტრუმენტებს, რომლებიც ამ კონკრეტული ორგანიზაციის სპეციფიკურ მოთხოვნებსა და თავისებურებებს პასუხობს. ასეთი ინსტრუმენტები, მაგალითად, ქცევის კოდექსები, ჩვეულებრივ, გამოიყენება ორგანიზაციის შიგნით და აგრეთვე მის მონოდების ჯაჭვებში. ელექტროტექნიკის მწარმოებელ მსხვილ კომპანიებს, როგორებიცაა Sony, Panasonic და Philips, შემუშავებული აქვთ დეტალური ქცევის კოდექსები, რომლებსაც ისინი იყენებენ როგორც კომპანიის შიგნით, ასევე მონოდების ჯაჭვებში. ამის მსგავსად, წიაღისეულის მომპოვებელ სექტორში მთელ რიგ კომპანიებს, მაგალითად, Alcan და Rio Tinto-ს, შემუშავებული აქვთ ქცევის კოდექსები საკუთარი საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების რეგულირების მიზნით. ორგანიზაციის შიდა ქცევის კოდექსები, უმეტესწილად, ეფუძნება და ავსებს სექტორულ ან პარტნიორულ ინიციატივებს.

* * *

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გადავიდეთ უშუალოდ CSR რეგულირების ცალკეული ინსტრუმენტების განხილვაზე.

წინამდებარე თავში ჩვენ განვიხილავთ როგორც სამთავრობო მარეგულირებელ ინსტრუმენტებს, ასევე კერძო სექტორისა და სამოქალაქო ორგანიზაციების შემუშავებულ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს.

სამთავრობო ინსტრუმენტებიდან ძირითადად შევჩერდებით საერთაშორისო ინსტრუმენტებზე და ზოგიერთ რეგიონული დონის ინსტრუმენტებზე (ევროკავშირის რეგიონული დონის ინსტრუმენტები უფრო დანვრლიებით შემდეგ თავში იქნება განხილული). ზოგიერთი მათგანის შემუშავებას დაინტერესებულ მხარეთა მასშტაბური საკონსულტაციო პროცესი ედო საფუძვლად.

რაც შეეხება ეროვნული დონის სამთავრობო ინსტრუმენტებს, ამაზე შემდეგ თავებში გვექნება საუბარი, კერძოდ, ევროკავშირის ქვეყნების ეროვნული პოლიტიკის მიმოხილვისას.

ამავე თავში წარმოდგენილია ზოგიერთი ყველაზე უფრო ცნობილი და საერთაშორისოდ აღიარებული არასამთავრობო ინიციატივაც.

განსახილველი ინსტრუმენტები დაჯგუფებულია თემატურად, იმ სფეროების მიხედვით, რომლებსაც ისინი არეგულირებს. აღსანიშნავია, რომ გარდა ზოგადი ინსტრუმენტებისა, რომელთა მიზანს წარმოადგენს CSR-თან დაკავშირებული ყველა ასპექტის რეგულირება, მრავალი საერთაშორისო ინსტრუმენტი არეგულირებს ამა თუ იმ ცალკეულ სფეროს, რომელიც CSR-ს უკავშირდება — მაგალითად, გარემოს დაცვას, ადამიანის უფლებების დაცვას და ა. შ. როგორც არაერთხელ აღგვინიშნავს, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კომპლექსური ცნებაა, რომელიც მრავალ თემასა და კომპონენტს მოიცავს. შესაბამისად, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მომწესრიგებელ სამართლებრივ დოკუმენტებად გვევლინება სწორედ ის საერთაშორისო კონვენციები, დეკლარაციები, სტანდარტები თუ სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც ამ ცალკეულ საკითხებს არეგულირებს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, წინამდებარე თავში წარმოდგენილი CSR ინსტრუმენტები შემდეგ 7 ქვეთავად არის დაჯგუფებული:

1. CSR-ის მარეგულირებელი ზოგადი სტანდარტები
2. საერთაშორისო სტანდარტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში
3. საერთაშორისო სტანდარტები შრომითი უფლებების დაცვის სფეროში
4. საერთაშორისო სტანდარტები გარემოს დაცვის სფეროში
5. საერთაშორისო სტანდარტები მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და პროდუქციაზე პასუხისმგებლობის სფეროში
6. საერთაშორისო სტანდარტები კორუფციასთან ბრძოლის სფეროში
7. მდგრადი განვითარების ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.

1. CSR-ის რეპულირების ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტები — შუთახნაგაგაბი, ინციხატივები, სახელმძღვანელო მითითებები და სტანდარტები

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისათვის⁶⁰

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (Organization for Economic Cooperation and Development/OECD) წარმოადგენს მთავრობათაშორის ორგანიზაციას, რომელსაც ამჟამად 34 წევრი ქვეყანა ჰყავს. 1960 წლის 14 დეკემბერს 20-მა ქვეყანამ მოაწერა ხელი ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის კონვენციას, რის საფუძველზეც დაარსდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია. მას შემდეგ კიდევ 14 ქვეყანა გახდა ამ ორგანიზაციის წევრი.⁶¹ ორგანიზაციის სათავო ოფისი არის პარიზში. ორგანიზაციის მიზანია დემოკრატიული მმართველობის და საბაზრო ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. მისი საქმიანობა მოიცავს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს მაკროეკონომიკით დაწყებული, ვაჭრობის, განათლების, განვითარების, მეცნიერებისა და ინოვაციების ჩათვლით. ბიზნესისა და მრეწველობის მრჩეველთა⁶² და პროფესიული კავშირების მრჩეველთა კომიტეტების⁶³ მეშვეობით OECD მჭიდროდ თანამშრომლობს ბიზნესთან და პროფკავშირებთან ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებთან.⁶⁴

1976 წელს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ შეიმუშავა საერთაშორისო ინვესტიციებისა და მრავალეროვანი საწარმოების დეკლარაცია⁶⁵, რომლის მიზანი იყო OECD-ის წევრ ქვეყნებს შორის ვაჭრობის ხელშეწყობა მრავალეროვანი საწარმოების ქცევის რეგულირების მეშვეობით. სწორედ ამ დეკლარაციის ნაწილს წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისათვის⁶⁶, რომელიც საერთაშორისო დონეზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების მარეგულირებელი ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია. მას შემდეგ სახელმძღვანელო მითითებები⁶⁷ რამდენჯერმე იქნა შესწორებული. უკანასკნელი, მეოთხე შესწორებული ვერსია დაამტკიცეს 2011 წლის 25 მაისს⁶⁸ (მასში გათვალისწინებულია წინა შესწორების, ანუ 2000

⁶⁰ OECD Guidelines for Multinational Enterprises. იხ. www.oecd.org/daf/investment/guidelines
⁶¹ წევრი ქვეყნების ჩამონათვალი იხ. ვებ-გვერდი: http://www.oecd.org/document/58/0,3343,en_2649_201185_1889402_1_1_1_1,00.html
⁶² Business and Industry Advisory Committee (BIAC).
⁶³ Trade Union Advisory Committee (TUAC).
⁶⁴ იხ. ორგანიზაციის ვებ-გვერდი: <http://www.oecd.org>
⁶⁵ OECD Declaration on International Investment and Multinational Enterprises.
⁶⁶ <http://www.oecd.org/dataoecd/43/29/48004323.pdf>

ნლის შემდეგ დაგროვილი გამოცდილება და მსოფლიოში მომხდარი ცვლილებები).

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) 34-ვე წევრი ქვეყანა ოფიციალურად შეუერთდა სახელმძღვანელო მითითებების“ უკანასკნელ შესწორებულ ვერსიას. კიდევ 8 ქვეყანა, რომელიც არ არის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი, აგრეთვე ნებაყოფლობით აღიარებს და უერთდება ამ სახელმძღვანელო მითითებებს“ (ეს ქვეყნებია: არგენტინა, ბრაზილია, ეგვიპტე, ლატვია, ლიტვა, პერუ, რუმინეთი და მაროკო).

როგორც აღვნიშნეთ, OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისათვის“ დღესდღეობით წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან CSR ინსტრუმენტს, რომელიც სხვა შესაბამის საერთაშორისო კონვენციებსა და დეკლარაციებს ეფუძნება. ეს არის კომპანიებისათვის განკუთვნილი ნებაყოფლობითი პრინციპებისა და რეკომენდაციების ნაკრები, ანუ, არსებითად, ეს არის პასუხისმგებელი ბიზნესის ქცევის კოდექსი, რომელიც მოიცავს მრავალეროვანი საწარმოების საქმიანობის სხვადასხვა სფეროს. თუმცა ამჟამად არსებობს ბიზნესის ქცევის მრავალი სხვადასხვა კოდექსი, OECD-ის სახელმძღვანელო მითითებების“ გამორჩეულობას და მნიშვნელობას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს. ერთი მხრივ, ის მოიცავს ბიზნეს საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტს, ხოლო მეორე მხრივ, ეს არის ერთადერთი სამთავრობო დონეზე აღიარებული ყოვლისმომცველი ქცევის კოდექსი.

OECD-ის წევრი ქვეყნები და დანარჩენი ქვეყნები, რომლებიც ოფიციალურად შეუერთდნენ ამ სახელმძღვანელო მითითებებს“, იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ამ პრინციპების დანერგვას როგორც საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედ კომპანიებში, ასევე იმ ნაციონალურ კომპანიებში, რომლებიც საზღვარგარეთ საქმიანობენ.

მიერთებულ სახელმწიფოთა მთავრობები იღებენ ვალდებულებას შექმნან თავიანთ ქვეყნებში ეროვნული საკონტაქტო უწყებები (National Contact Points), რომელთაც დაევალება სახელმძღვანელო მითითებების“ განხორციელების ხელშეწყობა, აგრეთვე მათი განხორციელებისას ნამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტა.

ქვეყანათა უმრავლესობაში ნაციონალური საკონტაქტო უწყებები ფუნქციონირებს ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი სამინისტროს ბაზაზე. ყოველი ქვეყნის საკონტაქტო უწყება აერთიანებს მთავრობის, სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ის აგროვებს ინფორმაციას სახელმძღვანელო მითითებების“ განხორციელების შესახებ და ყოველწლიურად საკუთარი საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს საერთაშორისო ინვესტიციებისა და მრავალეროვანი საწარმოების კომიტეტს,⁶⁷ რომელიც OECD-ის სახელმძღვანელო მითითე-

⁶⁷ Committee on International Investment and Multinational Enterprises (CIME).

ბების“ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანოა და ზედამხედველობის ფუნქცია ეკისრება.

ბიზნესისა და მრეწველობის მრჩეველთა კომიტეტს (BIAC) და პროფესიული კავშირების მრჩეველთა კომიტეტს (TUAC) ევალებათ ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთ წევრ ფედერაციებს სახელმძღვანელო მითითებების შესახებ.

სახელმძღვანელო მითითებების“ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ხდება დავის მოგვარების შესაბამისი საერთაშორისო მექანიზმების გამოყენება, არბიტრაჟის ჩათვლით, თუმცა არ არსებობს რაიმე სპეციალური ზედამხედველობითი ორგანო (როგორებიცაა, მაგ., ILO-ს და გაეროს ადამიანის უფლებათა ზედამხედველობითი ორგანოები).

ის ფაქტი, რომ OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები“ ოფიციალურად აღიარებულია სახელმწიფო დონეზე OECD-ის წევრი ქვეყნებისა და ზოგიერთი არანევრი ქვეყნის მიერ, აგრეთვე მათი დარღვევების შემთხვევაში ნაციონალური საკონტაქტო უწყებისადმი მიმართვის შესაძლებლობა, ამ სახელმძღვანელო მითითებებს“ ბევრად უფრო ავტორიტეტულ დოკუმენტად აქცევს, ვიდრე ნებაყოფლობითი პრინციპების ბევრ სხვა მსგავს ნაკრებს.

სახელმძღვანელო მითითებათა“ რეკომენდაციები გამოხატავს იმ ქვეყნების მთავრობათა და სხვა სოციალურ პარტნიორთა გაზიარებულ ფასეულობებს, რომელთაგანაც მომდინარეობს მსოფლიოს პირდაპირი საინვესტიციო ნაკადების უდიდესი ნაწილი და რომლებშიც დაარსებულია მსოფლიოს მულტინაციონალურ კომპანიათა უმრავლესობა. მათი მიზანია ხელი შეუწყოს მრავალეროვანი საწარმოების დადებით ზეგავლენას ეკონომიკაზე, ბუნებრივ გარემოსა და სოციალურ განვითარებაზე, აგრეთვე უზრუნველყოს, რომ მრავალეროვანი საწარმოები მოქმედებენ მათი მასშინძელი ქვეყნების ეკონომიკურ სისტემებთან და კანონმდებლობასთან შეთანხმებულად. სხვა სიტყვებით, ამ სახელმძღვანელო მითითებების“ მეშვეობით OECD-ის წევრი ქვეყნები ცდილობენ ხელი შეუწყოს და მოუწოდონ მრავალეროვან კომპანიებს, ნებაყოფლობითი წვლილი შეიტანონ მდგრად განვითარებაში.

როგორც აღინიშნა, OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები“ მრავალეროვანი საწარმოების საქმიანობის სხვადასხვა სფეროს მოიცავს, როგორებიცაა მონოდების ქსელები, ინფორმაციის გახსნა, დასაქმება და საწარმოო ურთიერთობები, შრომითი უფლებები, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა, მექრთამეობასთან ბრძოლა, დაბეგვრა, მომხმარებელთა ინტერესები, კეთილსინდისიერი მარკეტინგი და რეკლამა და ა. შ. სხვა მსგავსი პრინციპებისაგან (მაგალითად, გლობალური შეთანხმების“ პრინციპებისგან) განსხვავებით, OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები“ შეიცავს ბევრად უფრო დეტალურ ინფორმაციას და მათი განხორციელების პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

OECD-ის სახელმძღვანელო მითითებებში“ ჩამოყალიბებული პრინციპები შემდეგ საკითხებს და სფეროებს შეეხება:

ზოგადი პოლიტიკა:

- მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობა, ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში ჩაურევლობა, კანონმდებლობის დაცვა ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე და მისთ.

ინფორმაციის გახსნა:

- წლიური ანგარიშგება, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ინფორმაციის გახსნა, თანამშრომელთა გათვითცნობიერება კომპანიის პოლიტიკის შესახებ და ა. შ.

დასაქმება და სანარმოო ურთიერთობები:

- საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) ძირითად სტანდარტებთან შესაბამისობა სამუშაო პირობების საკითხში და სხვ.

ადამიანის უფლებები:

- ადამიანთა ყველა იმ უფლების პატივისცემა, რომლებზეც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობა, თანამშრომელთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და სხვ.

გარემოს დაცვა:

- გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების დანერგვა, გამჭვირვალე გარემოსდაცვითი ანგარიშგება და გარემოსდაცვითი აუდიტი, პრევენციული მიდგომების დანერგვა;

მექრთამეობასთან ბრძოლა:

- პირდაპირ და ირიბად ქრთამის მიღებისაგან ან შეთავაზებისაგან თავის შეკავება, მექრთამეობასთან ბრძოლის მიზნით განხორციელებულ საქმიანობათა გამჭვირვალობა და სხვ.

მომხმარებელთა ინტერესების დაცვა:

- კეთილსინდისიერი ბიზნეს პრაქტიკის, მარკეტინგისა და რეკლამირების, პროდუქციისა და მომსახურების უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფა და სხვ.

მეცნიერება და ტექნოლოგიები:

- ქვეყნის მეცნიერულ-ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვაში წვლილის შეტანა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა;

კონკურენცია:

- სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვა, კონკურენციის შემაფერხებელ შეთანხმებებში მონაწილეობის მიუღებლობა და სხვ.

დაბეგვრა და გადასახადები:

- მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტში წვლილის შეტანა, საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესრულება და სხვ.

თუმცა OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები“ მულტინაციონალური სანარმოებისათვის შემუშავდა, ისინი სახელმძღვანელო დოკუმენტს წამოადგენს აგრეთვე მრავალი საშუალო და მცირე ნაციონალური კომპანიისათვის პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის სფეროში, ეხმარება უკეთ დააკმაყოფილონ მათზე დაკისრებული სოციალური და სამართლებრივი მოთხოვნები და წარმოაჩინონ, თუ რა წვლილის შეტანა შეუძლია კომპანიას ეკონომიკის განვითარებაში, გარემოს დაცვასა და საზოგადოების კეთილდღეობაში.

წინამდებარე თავის შემდეგ პარაგრაფებში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცალკეული კომპონენტების მარეგულირებელი ინსტრუმენტების განხილვისას, უფრო დანვრილებით განვიხილავთ აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების“ ცალკეულ ნაწილებსაც.

საქართველოს კონტექსტი: სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა არ შედის იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებიც ოფიციალურად მიუერთდნენ OECD-ის სახელმძღვანელო მითითებებს“ და აიღეს მისი დანერგვისა და ხელშეწყობის ვალდებულება. ქართული კომპანიები, ფაქტიურად, არ ფლობენ ინფორმაციას ამ დოკუმენტის შესახებ. როგორც ზემოთ აღინიშნა, OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები“ სახელმძღვანელო დოკუმენტს წამოადგენს არა მხოლოდ მულტინაციონალური კომპანიებისთვის, არამედ ზოგადად ყველა ტიპის სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიისათვის. ამდენად, ისინი ძალზე სასარგებლო იქნება ქართული კომპანიებისთვისაც, რომელთაც სურთ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დანერგვა საკუთარ საქმიანობაში. სახელმძღვანელო მითითებებს“ ოფიციალურად მიუერთდნენ არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, არამედ კიდევ 8 არანევრი ქვეყანა — მათ შორისაა ყოფილი საბჭოთა ქვეყნები (ლატვია, ლიტვა), სოციალისტური ბანაკის ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპიდან (რუმინეთი,) და სხვა განვითარებადი ქვეყნები (არგენტინა, ბრაზილია, ეგვიპტე, პერუ, მაროკო). თუ საქართველოს მთავრობაც ოფიციალურად მიუერთდება OECD-ის სახელმძღვანელო მითითებებს“ და ხელს შეუწყობს მათ დანერგვას საქართველოს ბიზნეს სექტორში, ეს მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისა და ზოგადად დასავლური ბიზნეს-სტანდარტების დანერგვაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წელს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OECD) შეიმუშავა და მიიღო ორი დამატებითი ინსტრუმენტი, რომელიც კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას უკავშირდება. ესენია:

- ინვესტიციების ჩარჩო-პოლიტიკა, რომელიც 7 თავისაგან შედგება და მიზნად ისახავს დაეხმაროს მთავრობებს პასუხისმგებელი ბიზნესის ხელშეწყობაში.⁶⁸

⁶⁸ <http://www.oecd.org/dataoecd/1/31/36671400.pdf>

- OECD-ის რისკის შეფასების ინსტრუმენტი, რომლის მიზანია დაეხმაროს მრავალეროვან სანარმოებს გადაჭრან რისკებისა და ეთიკური ქცევის დილემა სუსტი მმართველობის ზონებში.⁶⁹

გაეროს გლობალური შეთანხმება⁷⁰

გაერომ, როგორც ერთ-ერთმა ქეშმარიტად გლობალურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი წვლილი შეიტანა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში.

გაეროს გლობალური შეთანხმება“ კორპორაციული მოქალაქეობის ყველაზე მასშტაბურ, ნებაყოფლობით ინიციატივას წარმოადგენს მსოფლიოში. ის არის კორპორაციებისა და სხვა ორგანიზაციათა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ მდგრადი და სოციალურად პასუხისმგებელი საქმიანობის სტანდარტების დანერგვას.

გლობალურ შეთანხმებას“ საფუძველი დაედო 1999 წელს დავოსში გამართულ მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე, სადაც გაეროს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა, ბიზნეს ლიდერებს შესთავაზა ახალი საერთაშორისო ინიციატივა, რომელიც დააკავშირებდა კერძო კომპანიებს, გაეროს სააგენტოებს, აგრეთვე შრომისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს საყოველთაოდ აღიარებული სოციალური და გარემოსდაცვითი პრინციპების მხარდასაჭერად.

გლობალური შეთანხმება“ ამოქმედდა ნიუ იორკში, გაეროს შტაბბინაში, 2000 წლის 26 ივლისს. ამ დღიდან ქსელის მონაწილეთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა. 2011 წლისათვის გლობალური შეთანხმება“ აერთიანებდა 7700-ზე მეტ ორგანიზაციას მსოფლიოს 130-ზე მეტი ქვეყნიდან, მათ შორის 5300-ზე მეტ ბიზნეს კომპანიას, ასევე პროფესიულ კავშირებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

გლობალური შეთანხმება“ ორგანიზაციების ქსელია. ის სხვადასხვა სექტორს აერთიანებს: მთავრობებს, რომლებიც განსაზღვრავენ გლობალური შეთანხმების“ ფუძემდებლურ პრინციპებს; კომპანიებს, რომელთა ქმედებებზეც გლობალური შეთანხმება“ ახდენს ზეგავლენას; პროფესიულ კავშირებსა და მშრომელებს, რომელთა ხელშია წარმოება გლობალური მასშტაბით. ქსელის დამაკავშირებელი და მისი საქმიანობის ხელშემწყობია გაერო.

გლობალური შეთანხმების“ მმართველობის ფუნქციები განაწილებულია შვიდ სხვადასხვა სუბიექტს შორის, რომელთაგან თითოეულს განსხვავებული ფუნქციები აკისრია. ესენია:

- გლობალური შეთანხმების“ ლიდერთა სამიტი;
- ადგილობრივი ქსელები;

⁶⁹ <http://www.oecd.org/dataoecd/26/21/36885821.pdf>

⁷⁰ UN Global Compact. (<http://www.unglobalcompact.org>)

- ადგილობრივი ქსელების ყოველწლიური ფორუმი;
- გლობალური შეთანხმების“ საბჭო;
- გლობალური შეთანხმების“ ოფისი;
- სააგენტოთაშორისი ჯგუფი;
- გლობალური შეთანხმების“ დონორთა ჯგუფი.

ძირითად ბირთვს წარმოადგენს გლობალური შეთანხმების“ ოფისი და გაეროს შვიდი სააგენტო: გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი კომისარიატი (OHCHR); შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO); გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა (UNEP); გაეროს ნარკოტიკების კონტროლისა და დანაშაულის პრევენციის ოფისი (UNODC); გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP); გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია (UNIDO); გაეროს ქალთა განვითარების ფონდი (UNIFEM). ეს შვიდი სააგენტო ქმნის სააგენტოთაშორის ჯგუფს, ხოლო გაეროს დანარჩენი სააგენტოები საჭიროებისამებრ ერთვებიან გლობალური შეთანხმების“ საქმიანობაში.

გლობალური შეთანხმება“ არ არის მარეგულირებელი ინსტრუმენტი, რომელიც გააკონტროლებს, გაატარებს ზომებს ან შეაფასებს კომპანიების მოქმედებას. ეს სრულიად ნებაყოფლობითი ინიციატივაა, რომელიც საჯარო ანგარიშგებას, გამჭვირვალობას, ქსელურ მუშაობასა და გამოცდილების გაზიარებას ეფუძნება. მას ორი ძირითადი მიზანი აქვს:

- ხელი შეუწყოს კომპანიებს, დანერგონ თავიანთ საქმიანობაში გლობალური შეთანხმების“ 10 ძირითადი პრინციპი;
- ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობას გაეროს გლობალური მიზნების მისაღწევად, რომელთა შორის არის, მაგალითად, ათასწლეულის განვითარების მიზნები (MDGs).

ამ მიზნების განხორციელებას გლობალური შეთანხმება“ ხელს უწყობს რამდენიმე კონკრეტული მექანიზმის მეშვეობით. ესენია:

- **ქვეყნის/რეგიონული ქსელები** – ეს არის ნებაყოფლობითი ასოციაციები, რომლებიც აერთიანებენ გლობალური შეთანხმების“ მონაწილეებს;
- **დიალოგი პოლიტიკის შესამუშავებლად** – გლობალური შეთანხმება“ საშუალებას აძლევს მის წევრებს გამართონ დიალოგი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე (როგორცაა, მაგალითად, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნა და სხვა). ქვეყნისა და რეგიონის ქსელები, თვისობრივად, ნეიტრალური ბიზნეს ფორუმებია, რომლებიც მის წევრებს საერთო ძალისხმევასა და პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას აძლევს;
- **სწავლება და გამოცდილების გაზიარება** – ქვეყნისა და რეგიონის ქსელები თავიანთ წევრ კომპანიებს საშუალებას აძლევენ გაუზიარონ

ერთმანეთს გლობალური შეთანხმების“ პრინციპების დანერგვაში და-გროვილი გამოცდილება და განიხილონ ბიზნესის როლი საზოგადოების განვითარებაში;

- **პარტნიორული პროექტები** – პარტნიორული პროექტები ხორციელდება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამგვარი პროექტები მოიცავს როგორც არაკომერციულ, ასევე კომერციულად მომგებიან პროექტებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკურ მექანიზმებზე დამყარებულ გრძელვადიან მიდგომებს ეფუძნება და განვითარების ხელშეწყობისკენაა მიმართული.

გაეროს გლობალური შეთანხმების“ 10 პრინციპი ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ უნივერსალურ კონსესუსს ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, გარემოს დაცვისა და კორუფციის დაუშვებლობის შესახებ, რომლებიც აღიარებულია შემდეგი საერთაშორისო აქტებით:

- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (Universal Declaration of Human Rights);
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ დეკლარაცია შრომის უფლებათა და ფუნდამენტური პრინციპების შესახებ (ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work);
- რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ (Rio Declaration on Environment and Development);
- გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ (UN Convention Against Corruption).

გაეროს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა (1997-2006) კოფი ანანმა გლობალური შეთანხმების“ აქტით მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებსა და ამ ქვეყნებში მოქმედ ბიზნეს კომპანიებს გაიზიარონ, მხარი დაუჭირონ და თავიანთი გავლენის სფეროებში დანერგონ ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების, გარემოს დაცვის და კორუფციის დაუშვებლობის ძირეული ფასეულობები, რომლებიც გლობალური შეთანხმების“ შემდეგ 10 ძირითად პრინციპშია ასახული:

ადამიანის უფლებები

1. ბიზნესი მხარს უნდა უჭერდეს და პატივს სცემდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანის უფლებებს;
2. ბიზნესი არ უნდა გახდეს ადამიანის უფლებების დარღვევის თანამონაწილე;

შრომითი უფლებები

3. ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს გაერთიანების თავისუფლებასა და კოლექტიური შრომითი შეთანხმების უფლების აღიარებას;
4. ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს ყველა ფორმის იძულებითი და ძალ-დატანებითი შრომის აღმოფხვრას;
5. ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს ბავშვთა შრომის რეალურ გაუქმებას;
6. ბიზნესმა მხარს უნდა უჭერდეს დასაქმებასა და შრომით საქმიანობას-თან დაკავშირებით დისკრიმინაციის აღმოფხვრას;

გარემოს დაცვა

7. ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს გარემოს მიმართ ფრთხილ დამოკიდებულებას;
8. ბიზნესმა პროპაგანდა უნდა გაუწიოს გარემოს დაცვის მიმართ მეტ პასუხისმგებლობას;
9. ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს ისეთი ტექნოლოგიების განვითარებასა და გამოყენებას, რომლებიც გარემოს არ აზიანებს;

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

10. ბიზნესმა მხარი უნდა დაუჭიროს ბრძოლას კორუფციის ნებისმიერი გამოვლენის წინააღმდეგ, გამოძალვისა და მექრთამეობის ჩათვლით.

გლობალური შეთანხმების“ მონაწილე მხარეები ვალდებულია იღებენ, დაინტერესებულ პირებს წარუდგინონ ყოველწლიური ანგარიში იმის შესახებ, თუ რა შედეგებს მიაღწიეს ზემოთ ჩამოთვლილი ათი ძირითადი პრინციპის განხორციელებისას.

საქართველოს კონტექსტის ანალიზი: გლობალურ შეთანხმებას“ მხარს უჭერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალი წევრი სახელმწიფო, მათ შორის საქართველოც. საქართველოში გლობალური შეთანხმების“ ადგილობრივი ქსელი 2006 წელს დაარსდა. 2011 წელს ის 35 ორგანიზაციას აერთიანებდა, რომელთაგან უმრავლესობა მსხვილ ბიზნეს კომპანიებს წარმოადგენს (უფრო დანვრილებით საქართველოში გლობალური შეთანხმების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.amcham.ge/globalcompact.htm>).

ევროპისა და სხვა განვითარებული ქვეყნების მთავრობები აქტიურად უჭერენ მხარს გლობალურ შეთანხმებას“ და თანამშრომლობენ რეგიონულ ქსელებთან. საქართველოს მთავრობის მხრიდანაც გლობალური შეთანხმების“ მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაზრდის ამ ქსელის ეფექტურობას და ხელს შეუწყობს კორპორაციული პასუხისმგებლობის შემდგომ განვითარებასა და დანერგვას.

გაეროს პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპები⁷¹

გაეროს მეორე მნიშვნელოვან ინიციატივას სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით წარმოადგენს გაეროს პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპები⁷², რომლებიც, გარკვეულად, გაეროს გლობალური შეთანხმების⁷³ შემავსებელია. პრინციპები ეფუძნება მოსაზრებას, რომ გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მართვის ამოცანები დროთა განმავლობაში სულ უფრო დიდ ზეგავლენას მოახდენს საინვესტიციო საქმიანობაზე, ხოლო მათ ინტეგრირებას საინვესტიციო პრაქტიკაში გრძელვადიან პერსპექტივაში მოჰყვება, ერთი მხრივ, უკეთესი ფინანსური შედეგები, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტორი ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოების მიზნების დაახლოება.

აღნიშნული მოსაზრება სულ უფრო იმკვიდრებს თავს საინვესტიციო სფეროს ექსპერტთა წრეში. ამ ტენდენციის საპასუხოდ, 2005-2006 წლებში გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ (UNEP), გაეროს გლობალურმა შეთანხმებამ⁷⁴, ბიზნეს სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს პრინციპები, რომლებიც დაეხმარებოდა ინსტიტუციურ ინვესტირებს⁷⁵ თავიანთი წარმომადგენლობითი ვალდებულებების შესრულებაში ამ საკითხებთან მიმართებით.

პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპები⁷⁶ 2006 წელს გამოქვეყნდა. ეს არის ნებაყოფლობითი პრინციპების ნაკრები, რომელიც განკუთვნილია საინვესტიციო ბიზნესის ფართო სექტორისათვის (და არა მხოლოდ სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირებისათვის⁷⁷), როგორცაა, მაგ., ეთიკური ფონდები და მისთ.). ისინი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მართვის საკითხების ინტეგრაცია საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კერძოდ, პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპები⁷⁸ შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

როდესაც ეს არ ეწინააღმდეგება მათთვის რწმუნებულ უფლებამოსილებას, ინსტიტუციური ინვესტირები, საინვესტიციო ბანკები და საინვესტიციო მრჩეველები:

1. საინვესტიციო ანალიზისა და საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ითვალისწინებენ გარემოსდაცვით, სოციალურ და კორპორაციული მართვის საკითხებს (ESG);
2. არიან აქტიური მფლობელები და ითვალისწინებენ გარემოსდაცვით, სოციალურ და კორპორაციული მართვის საკითხებს საკუთარი მფლობელობის პოლიტიკასა და საქმიანობაში;

⁷¹ UN Principles for Responsible Investment (<http://www.unpri.org>).

⁷² ინსტიტუციური ინვესტირები — ორგანიზაცია, რომლის ფუნქციაა თანხების ინვესტირება, როგორც საკუთარი თანხებისა, ასევე მისთვის სამართავად გადაცემული თანხებისა. ინსტიტუციური ინვესტირებს წარმოადგენს, მაგალითად, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო და საინვესტიციო ფონდები.

3. ითხოვენ, რომ მათი ინვესტიციების მიმღებმა ორგანიზაციებმა გახსნან ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ გარემოსდაცვითი, სოციალური და კორპორაციული მართვის სფეროებში;
4. ხელს უწყობენ პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპების დანერგვას და განხორციელებას საინვესტიციო სექტორში;
5. თანამშრომლობენ ერთმანეთთან, რათა უფრო ეფექტურად განახორციელონ ხსენებული პრინციპები;
6. თითოეული პასუხისმგებელი ინვესტორი წარმოადგენს ანგარიშს საკუთარი საქმიანობისა და ხსენებული პრინციპების განხორციელებაში მიღწეული შედეგების შესახებ.

2010 წლისთვის ამ პრინციპებს მიერთებული იყო 800 საინვესტიციო ინსტიტუტი 45 ქვეყნიდან.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები⁷³

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (International Finance Corporation /IFC) წარმოადგენს მსოფლიო ბანკის მთავრობათაშორისი ორგანიზაციების ჯგუფის წევრს. იგი დაარსდა 1956 წელს განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორის მდგრადი ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით. IFC აფინანსებს კერძო სექტორის ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში, მობილიზაციას უკეთებს კაპიტალს საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე, ეხმარება კლიენტებს სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის გაუმჯობესებაში, ტექნიკურ დახმარებასა და კონსულტირებას უწევს მთავრობებსა და ბიზნესებს.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის სათავო ოფისი ვაშინგტონში მდებარეობს. კორპორაციის 178 წევრი ქვეყნა ერთობლივად განსაზღვრავს მის პოლიტიკას. იხ. <http://www.ifc.org>

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია მრავალი წლის განმავლობაში მუშაობს სოციალურ და გარემოსდაცვით სტანდარტებზე. ჯერ კიდევ 1998 წელს მან შეიმუშავა სოციალური და გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და ინფორმაციის გახსნის პოლიტიკა.

2006 წლის აპრილში ძალაში შევიდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მდგრადი სოციალური და გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საქმიანობის ახალი სტანდარტები, რომლებიც ვრცელდება ყველა საინვესტიციო პროექტზე.⁷⁴

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ახალი სტანდარტების მიზანია შეამციროს ნეგატიური გავლენა ბუნებრივ გარემოსა და ადგილობრივ თემებზე. სტანდარტები განსაზღვრავს IFC-ის კლიენტი კომპანიების ვალდებულებ-

⁷³ <http://www.ifc.org>

⁷⁴ <http://www.ifc.org/ifcext/policyreview.nsf/Content/AboutFramework>

ბებსა და ფუნქციებს პროექტების მართვისას, ასევე აყალიბებს სავალდებულო მოთხოვნებს, რომელთა დაკმაყოფილებაც საჭიროა IFC-ის მხარდაჭერის მისაღებად. ეს მოთხოვნები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- სოციალური და გარემოსდაცვითი შეფასებისა და მენეჯმენტის სისტემები;
- შრომითი უფლებები და სამუშაო პირობები;
- გარემოს დაბინძურების პრევენცია და შემცირება;
- ადგილობრივი თემის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზრუნვა;
- მიწის შესყიდვა და იძულებითი განსახლება;
- ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა;
- ძირძველი მოსახლეობის უფლებების დაცვა;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

სტანდარტები ეფუძნება შედეგზე ორიენტირებულ მიდგომებს, რომლებიც კლიენტი კომპანიებისაგან მოითხოვს, დანერგონ ეფექტური მენეჯმენტის სისტემები სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების მართვის მიზნით.

IFC-ის ვალდებულებები და ფუნქციები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- მდგრადი სოციალური და გარემოსდაცვითი განვითარების პოლიტიკა;
- ანგარიშგებისა და ინფორმაციის მიწოდების პოლიტიკა, რომელშიც განსაზღვრულია IFC-ის ვალდებულება, გახსნას ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ;
- გარემოსდაცვითი და სოციალური განხილვის პროცედურები, რომლებიც IFC-ის ჩინოვნიკებს აწვდის რეკომენდაციებს სოციალური და გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელების შესახებ, ასევე კერძო სექტორის პროექტების განხორციელებისა და სტანდარტებთან შესაბამისობის განხილვის შესახებ.

2009 წლის სექტემბერში IFC-მა დაიწყო გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების ხელახალი შესწორებისა და გადამუშავების პროცესი, რომელიც 2011 წლის გაზაფხულზე დასრულდა. ამ პროცესის შედეგად შემუშავდა სტანდარტების განახლებული ვერსია.

ეკვატორის პრინციპები⁷⁵

IFC აქტიურად იყო ჩართული აგრეთვე ეკვატორის პრინციპების⁷⁵ შემუშავებაში. ეკვატორის პრინციპები⁷⁵ წარმოადგენს კერძო საფინანსო ინსტიტუტების ინიციატივას, რომლის მიზანია განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსებისას საერთო სოციალური და გარემოსდაცვითი პრინციპების შემუშავება და გამოყენება.

⁷⁵ Equator Principles. (<http://www.equator-principles.com>).

უკანასკნელ წლებში მრავალმა საფინანსო ინსტიტუტმა გააცნობიერა, რომ მათ აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, ხელი შეუწყონ მსოფლიოში სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარებას. ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები განსაკუთრებული სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების წინაშე დგანან არა მხოლოდ მათი ბიზნესის მულტისექტორული და საერთაშორისო ხასიათის გამო, არამედ იმ პასუხისმგებლობის გამო, რომელიც უკავშირდება დამოუკიდებელი ბიზნესების მიერ განხორციელებული პროექტების დაფინანსებას. ეკვატორის პრინციპები“ საფინანსო ინსტიტუტებს სთავაზობს ერთიან სისტემას, რომელიც გამოსადეგია ყველა სექტორის პროექტების დაფინანსებისას მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ეკვატორის პრინციპები“ წარმოადგენს პროექტების დაფინანსებისას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მართვის ნებაყოფლობითი სტანდარტების ნაკრებს. ისინი მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური შემონმების კრიტერიუმებსა და სახელმძღვანელო მითითებებს და ეფუძნება საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და მსოფლიო ბანკის სოციალურ და გარემოსდაცვით სტანდარტებს. პრინციპების მიზანია შეძლებისდაგვარად თავიდან იქნეს აცილებული პროექტებით მოხდენილი უარყოფითი ზეგავლენა ეკოსისტემებსა და ადგილობრივ თემებზე. ხოლო როდესაც ამგვარი ზეგავლენის თავიდან აცილება შეუძლებელია, მიყენებული ზიანი შემცირდეს, განეიტრალოს ან კომპენსირდეს.

ეკვატორის პრინციპების პირველი რედაქცია 2003 წელს გამოქვეყნდა. 2006 წლის ივლისში გამოქვეყნდა ეკვატორის პრინციპების მეორე განახლებული ვერსია⁷⁶, რომელშიც გაფართოებულია პრინციპების დაფარვის სფერო და გამკაცრებულია პროცედურები. ეს ახალი რედაქცია მიესადაგება განვითარებაზე ორიენტირებულ ყველა პროექტს წარმოების ყველა სექტორში, მსოფლიოს მასშტაბით, რომელთა ღირებულება 50 მილიონ აშშ დოლარს უტოლდება ან აღემატება. შესწორებული ვერსია შეიცავს და სრულად შეესაბამება IFC-ის გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს, რაც უზრუნველყოფს კერძო სექტორის პროექტების დაფინანსების ერთიანი, თანმიმდევრული სტანდარტის არსებობას ყველა იმ ბანკისა და დაწესებულებისთვის, რომელიც ამ სტანდარტებს აღიარებს.

2009 წლისათვის მსოფლიოს 60-ზე მეტმა მსხვილმა საფინანსო ინსტიტუტმა (რომლებიც ცნობილია ეკვატორის პრინციპების საფინანსო ინსტიტუტების“ სახელით (EPFIs) ნებაყოფლობით აღიარა ეკვატორის პრინციპები“, რომლებიც გადაიქცა განვითარებაზე მიმართული პროექტების შეფასების *დე ფაქტო* სტანდარტად ბანკებისა და ინვესტორებისათვის. ეს ინსტიტუტები ვალდებულია იღებენ, არ გასცენ

⁷⁶ http://www.equator-principles.com/documents/Equator_Principles.pdf

კრედიტები იმ პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც არ შეესაბამება ეკვატორის პრინციპებში⁷⁷ ჩამოყალიბებულ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს.

სალივანის გლობალური პრინციპები⁷⁷

სალივანის პრინციპების“ თავდაპირველი ვარიანტი 1970-იან წლებში შეიმუშავა აფროამერიკელმა პასტორმა ლეონ სალივანმა. ერთი კონკრეტული რეგიონის კონკრეტული პრობლემის წინააღმდეგ მიმართული ინსტრუმენტიდან სალივანის პრინციპები“ თანდათანობით გადაიქცა გლობალურ ინსტრუმენტად კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში.

1970-იან წლებში ლეონ სალივანი ჯენერალ მოტორსის“ საბჭოს წევრი იყო. იმხანად ჯენერალ მოტორსი“ შეერთებული შტატების ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კორპორაციას წარმოადგენდა. იმავდროულად, ჯენერალ მოტორსი“ სამხრეთ აფრიკაში შავკანიანთა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელი იყო. სწორედ მაშინ დაიწყო ლეონ სალივანმა მუშაობა თავის პრინციპებზე. 1977 წელს მან შეიმუშავა პრინციპების თავდაპირველი ვერსია (ერთი შესწორება მათში 1984 წელს შეიტანეს), რომელიც შვიდ მოთხოვნას შეიცავდა და ძირითადად ეხებოდა მუშაკთა თანაბარ მოპყრობას, მათი რასობრივი კუთვნილების მიუხედავად, როგორც სამუშაო ადგილზე, ისე მის გარეთ. აღნიშნული პრინციპები ღიად უპირისპირდებოდა სამხრეთ აფრიკის რასობრივი სეგრეგაციისა და არათანაბარი უფლებების იმდროინდელ პოლიტიკას. სალივანის პრინციპებმა“ ფართო აღიარება პოვა ამერიკულ კომპანიებს შორის და, როგორც არის მიჩნეული, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის დასრულებას. 125-მა ამერიკულმა კომპანიამ, რომლებიც ბიზნესს აწარმოებდნენ სამხრეთ აფრიკაში, აღიარა ეს პრინციპები; მათგან 100-მა კომპანიამ საბოლოოდ შეწყვიტა სამხრეთ აფრიკაში საქმიანობა. მიუხედავად ამისა, 1980-იან წლებში, სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის უცვლელი ბატონობის პირობებში, სალივანმა თავად აღიარა თავისი პრინციპები ნაკლებეფექტურ იარაღად სამხრეთ აფრიკის მთავრობაზე ზეწოლისათვის.

1999 წლის ნოემბერში, სალივანის პრინციპების“ თავდაპირველი ვერსიის შემუშავებიდან 22 წლისა და აპარტეიდის დამხობიდან 6 წლის შემდეგ ლეონ სალივანისა და გაეროს მაშინდელი გენერალური მდივნის, კოფი ანანის, თაოსნობით გამოქვეყნდა სალივანის პრინციპების განახლებული ვერსია, რომელიც ცნობილია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გლობალური სალივანის პრინციპების“ სახელწოდებით. თავდაპირველი ვერსიისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად მიმართული იყო სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის წინააღმდეგ, ახალი ვერსია აფართოებს მულტინაციონალური კომპანიების პასუხისმგებ-

⁷⁷ Global Sullivan Principles (http://www.thesullivanfoundation.org/about/global_sullivan_principles).

ლობას. მისი მიზანია კომპანიების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებაში საერთაშორისო დონეზე.

პრინციპების“ ამ ახალი ვერსიის პრეზენტაციაზე ლეონ სალივანმა მათი მიზანი შემდეგნაირად განსაზღვრა: პრინციპების მიზანია ხელი შეუწყოს კომპანიებს მხარი დაუჭირონ და დაამკვიდრონ ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სამართლიანობა ყველგან, სადაც ისინი ბიზნესს აწარმოებენ“. ხოლო კოფი ანანმა განაცხადა: ბიზნეს ლიდერებს კარგად ესმით, რომ მათი რეპუტაცია და მათი საქმიანობის შედეგები უშუალოდ უკავშირდება კარგ კორპორაციულ მოქალაქეობას“.

სალივანის პრინციპები“, არსებითად, წარმოადგენს ნებაყოფლობით ქცევის კოდექსს, რომელიც გამოსადეგია ნებისმიერი ზომის, ნებისმიერი ქვეყნის კომპანიებისათვის. ნაშრომი ამკვიდრებს ადამიანის ძირითად უფლებებს, თანაბარ შესაძლებლობებს, გაერთიანების თავისუფლებას, ღირსეულ ხელფასებს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას სამუშაო ადგილზე, კეთილსინდისიერ კონკურენციასა და პარტნიორულ მიდგომებს ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, სალივანის გლობალური პრინციპები კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ“ მოიცავს შემდეგს:

1. კომპანიის მიერ საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების მხარდაჭერა, განსაკუთრებით საკუთარ თანამშრომლებთან და ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობისას, ასევე იმ თემებთან ურთიერთობისას, რომლებშიც კომპანია საქმიანობას ეწევა;
2. კომპანიის თანამშრომელთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა კომპანიის საქმიანობის ყველა დონეზე, ისეთი საკითხების გათვალისწინებით, როგორებიცაა კანის ფერი, რასობრივი კუთვნილება, სქესი, ასაკი, ეთნიკური მიკუთვნება, რელიგიური წარმოდგენები და აღმსარებლობა; ასევე მუშაკთა მიმართ მიუღებელი ქცევისა და მიდგომების გამოყენების აკრძალვა, ესენია: ბავშვთა ექსპლუატაცია, ფიზიკური დასჯა, ქალთა შეურაცხყოფა, ძალდატანებითი მომსახურება და შეურაცხყოფისა თუ ძალადობის სხვა ფორმები;
3. კომპანიის თანამშრომელთა ასოციაციებში განწევრიანების უფლების პატივისცემა;
4. კომპანიის თანამშრომელთათვის ღირსეული ხელფასის უზრუნველყოფა, რომელიც მათ, სულ მცირე, ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს; ასევე თანამშრომლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობის მიცემა, რათა მათ გაიუმჯობესონ საკუთარი სოციალური და ეკონომიკური პირობები;
5. ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა, ადამიანების ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;

6. კეთილსინდისიერი კონკურენციის ხელშეწყობა, ინტელექტუალური და სხვა ტიპის საკუთრების უფლების დაცვით, ასევე ქრთამის შეთავაზების, მიცემის ან მიღების დაუმეველობა;
7. მთავრობებთან და იმ ადგილობრივ თემებთან მუშაობა, რომლებშიც კომპანია საქმიანობს მათი ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, მათი განათლების, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის ასამაღლებლად, ასევე ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში მყოფი მუშაკებისათვის ტრენინგებისა და წინსვლის შესაძლებლობათა უზრუნველყოფა;
8. ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა კომპანიის ბიზნეს პარტნიორთა თუ მომწოდებელთა და დისტრიბუტორთა შორის.

კომპანია, რომელიც აღიარებს სალივანის გლობალურ პრინციპებს⁷⁸, იცავს კანონებს, შეიმუშავებს და ახორციელებს კორპორაციულ პოლიტიკას, პროცედურებსა და ტრენინგებს, რათა უზრუნველყოს პრინციპებთან⁷⁸ შესაბამისობა საკუთარი საქმიანობის ფარგლებში. გარდა ამისა, კომპანია საჯაროდ აქვეყნებს ანგარიშს ამ პრინციპების განხორციელების შესახებ.

ათასწლეულის განვითარების შეთანხმება⁷⁸

2000 წლის სექტემბერში, გაეროს ათასწლეულის სამიტზე ნიუ იორკში 191 ქვეყნის ლიდერმა ხელი მოაწერა ათასწლეულის დეკლარაციას⁷⁸, რომლის თანახმადაც ქვეყნებმა აიღეს გლობალური თანამშრომლობის ვალდებულება უკიდურესი სიღარიბის შესამცირებლად და 2015 წლისათვის დასახეს მთელი რიგი დროში განერილი მიზნებისა, რომლებიც ათასწლეულის განვითარების მიზნების⁷⁸ სახელწოდებითაა ცნობილი.

ათასწლეულის განვითარების 8 ძირითადი მიზანი ათასწლეულის დეკლარაციის⁷⁸ რვა თავის საფუძველზე შემუშავდა და ამ დეკლარაციის შესრულების სამოქმედო გეგმის ნაწილად მოიაზრება. ეს მიზნები ეფუძნება და შეჯამებულიად ასახავს 1990-იან წლებში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებსა და სამიტებზე დასახულ განვითარების ამოცანებსა და ვალდებულებებს. ისინი ასახავს მსოფლიოს ქვეყანათა მიერ გაზიარებულ ფასეულობებს (როგორებიცაა განვითარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების უფლება, სქესთა თანასწორობა, სიღარიბის სხვადასხვა განზომილებათა აღმოფხვრა და მდგრადი ჰუმანური განვითარება) და პასუხობს დღევანდელი მსოფლიოს ძირითად გამოწვევებს.

ათასწლეულის განვითარების მიზნებია:

1. უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა;
2. საყოველთაო პირველადი განათლების დანერგვა;

⁷⁸ <http://www.un.org/millenniumgoals/>

3. სქესთა თანასწორობის ხელშეწყობა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა;
4. ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
5. დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
6. აივ/შიდსთან, მალარიასა და სხვა დაავადებებთან ბრძოლა;
7. ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა;
8. გლობალური თანამშრომლობის ჩამოყალიბება განვითარების ხელშეწყობისათვის.

ამ მიზნების შესრულების შეფასებისა და მონიტორინგის მიზნით შემუშავებულია 21 ამოცანა, ხოლო თითოეული ამოცანისათვის – რაოდენობრივად გაზომვადი ინდიკატორები (სულ 60 ინდიკატორი). 2001 წელს, მსოფლიოს ლიდერთა მოთხოვნის საპასუხოდ გაეროს გენერალურმა მდივანმა წარმოადგინა ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულების სამოქმედო გეგმა“ (Road Map Towards the Implementation of the United Nations Millennium Declaration), რომელშიც მიმოხილული იყო არსებული სიტუაცია და ჩამოყალიბებული იყო პოტენციური სტრატეგიები ათასწლეულის დეკლარაციით აღებული ვალდებულებებისა და მიზნების შესასრულებლად.

სამოქმედო გეგმას მოჰყვა ყოველწლიური ანგარიშები მიზნების შესრულების შესახებ. 2002-2004 წლების ანგარიშები რომელიმე ერთ ან ორ კომპონენტზე კონცენტრირდებოდა (მაგ., შეიარაღებული კონფლიქტის პრევენცია და ეპიდემიურ დაავადებათა, მაგ., შიდსისა და მალარიის პრევენციაში მიღწეული წარმატებები და ა. შ.). ხოლო 2005 წელს გენერალურმა მდივანმა მოამზადა პირველი ყოვლისმომცველი ხუთწლიანი ანგარიში ათასწლეულის განვითარების მიზნების“ შესრულებაში მიღწეული წარმატებების შესახებ.

თავდაპირველად შემუშავებული ამოცანები და ინდიკატორები 2007 წლამდე გამოიყენებოდა. 2007 წელს ათასწლეულის განვითარების მიზნების“ მონიტორინგის სისტემა გადაიხედა და დაემატა 4 ახალი ამოცანა, რომლებიც შეთანხმდა წვერი ქვეყნების მიერ 2005 წლის მსოფლიო სამიტზე და შემოთავაზებულ იქნა 2006 წლის გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშში გაეროს მუშაობის შესახებ.

როგორც აღინიშნა, ათასწლეულის განვითარების მიზნების“ მიღწევა დასახულია 2015 წლისათვის. ეს მიზნები მრავალი სხვადასხვა მხარის მიერ არის შეთანხმებული და მათი მიღწევა შესაძლებელია, თუ ყველა მხარე ერთად იმუშავებს. ამ თვალსაზრისით, ბიზნეს სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ათასწლეულის მიზნების მიღწევაში.⁷⁹ ევროკა-

79 უფრო დანერღებით ბიზნესის როლის შესახებ ათასწლეულის მიზნების მიღწევაში იხ. Business and the Millennium Development Goals: A Framework for Action, United Nations Development Programme and The Prince of Wales International Business Leaders Forum, 2003. (http://www.undp.org/partners/business/mdg_business.pdf).

ვშირის დოკუმენტებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გააზრებულია, როგორც ბიზნესის წვლილი მდგრად განვითარებაში (იხ. ქვემოთ, თავი VII). შესაბამისად, ათასწლეულის მიზნების მიღწევაშიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს.

საქართველოს კონტექსტის ანალიზი: საქართველომ, როგორც ათასწლეულის დეკლარაციის“ ხელმომწერმა ქვეყანამ, ზემოაღნიშნული ამოცანების შესრულების ვალდებულება აიღო. ამ ვალდებულების განხორციელება საქართველომ ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის მეშვეობით დაიწყო, მომზადდა საქართველოს რეალობის ამსახველი ეროვნული საბაზისო ანგარიში, ხორციელდება თითოეული ინდიკატორის დეტალური მონიტორინგი.

თუ საქართველოს მთავრობა უფრო აქტიურად გამოიყენებს ბიზნეს სექტორის პოტენციალს და ეფექტურ პარტნიორულ კავშირებს დაამყარებს, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხდება, ამით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელებას. ამ თვალსაზრისით კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება საქართველოში შეიძლება გავიაზროთ ათასწლეულის განვითარების მიზნების განხორციელების ხელშემწყობ ფაქტორად.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) სოციალური პასუხისმგებლობის სახელმძღვანელო სტანდარტი ISO 26000

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია“ ISO (International Organisation for Standardisation) მსოფლიოს წამყვანი ორგანიზაციაა სტანდარტიზაციის სფეროში. ის წარმოადგენს საერთაშორისო, არასამთავრობო, სტანდარტების განმსაზღვრელ ორგანიზაციას, რომელიც ამჟამად აერთიანებს 159 ეროვნულ სტანდარტიზაციის ორგანოს – თითოეული ქვეყნიდან არის ერთი წარმომადგენელი, ხოლო მთელ სისტემას კოორდინირებას უწევს ქსელის სეკრეტარიტი, რომელიც ყენევაშია განთავსებული.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია 1947 წელს დაარსდა 140-ზე მეტი ქვეყნის ეროვნული სტანდარტიზაციის ორგანოების საფუძველზე. მისი მისიაა მსოფლიოში სტანდარტიზაციისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობების განვითარება, საწარმოო სტანდარტების საერთაშორისო კოორდინირებისა და უნიფიცირების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს საქონლისა და სერვისების ურთიერთგაცვლას საერთაშორისო დონეზე, ასევე სამეცნიერო, ინტელექტუალური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური თანამშრომლობის ხელშეწყობა.

დაარსების დღიდან ISO-მ გამოაქვეყნა 18 000-ზე მეტი საერთაშორისო სტანდარტი ისეთ განსხვავებულ საკითხებზე, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა და მშენებლობა, მექანიკური ინჟინერია და სხვ.

ISO სტანდარტების შემუშავება წარმოადგენს მკარცად განერილ პროცესს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ეროვნული სტანდარტიზაციის ორგანოები, მთავრობის, ბიზნესის, მომხმარებელთა გაერთიანებების, პროფესიული კავშირებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნიებიდან. მონაწილე მხარეები იკრიბებიან სპეციალურად ჩამოყალიბებულ ორგანოში, რათა კონსენსუსის გზით შეათანხმონ შემოთავაზებული სტანდარტი. შემუშავებული სტანდარტების სამუშაო ვერსიას შემდეგ დაინტერესებულ მხარეთა უფრო ფართო სპექტრი განიხილავს. გამოქვეყნებამდე სტანდარტი უნდა მოიწონოს ISO-ს წევრი უწყებების სულ მცირე 75%-მა.

ეს სტანდარტები წარმოადგენს საერთაშორისო ნებაყოფლობით სტანდარტებს. მათში ჩამოყალიბებულია პროცესები და საქმიანობები, რომლებიც უნდა განახორციელოს ორგანიზაციამ კონკრეტული მიზნების მისაღწევად (მაგ., მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის; გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად და ა. შ.). ზოგიერთი ISO სტანდარტი სერტიფიცირებადია (მაგ., ISO 9001, ISO 14001), ხოლო სხვები წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებებსა და რეკომენდაციებს და არ ექვემდებარება სერტიფიცირებას (მაგ. ISO 26000).

ISO სტანდარტები მიესადაგება ყველა ტიპისა და ზომის ორგანიზაციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით (როგორც კერძო კომპანიებს, ისე საჯარო უწყებებს), თუმცა მათი მომხმარებლების დიდი ნაწილი კერძო სექტორს წარმოადგენს.

ISO სტანდარტების მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ის თავისებურება, რომ ქვეყანათა მთავრობებმა შეიძლება მიიღონ რომელიმე სტანდარტი და სრულად ან ნაწილობრივ ჩართონ იგი ეროვნულ საკანონმდებლო მოთხოვნებში.

თავად ISO არ აწარმოებს სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებას. ამგვარი შეფასება, ერთი მხრივ, კერძო კომპანიების კლიენტებისა და მომწოდებლების საქმეა, ხოლო, როდესაც ISO სტანდარტები ინტეგრირებულია საჯარო სამართალში, მარეგულირებელი ორგანოებისა. კერძოდ, შესაბამისობის შეფასების პროცესს ახორციელებენ სასერტიფიკაციო და სარეგისტრაციო ორგანოები. სასერტიფიკაციო ორგანოები აკრედიტებული უნდა იყოს ეროვნული სააკრედიტაციო

უწყებების მიერ, რომლებიც ოფიციალურად ადასტურებენ, რომ მათ აქვთ საკმარისი კომპეტენცია შეფასების ჩასატარებლად (<http://www.iso.org>).

ISO-ს შემუშავებული აქვს მთელი რიგი სტანდარტებისა, რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტს შეეხება. კერძოდ, ეს მოიცავს ISO 9000 სტანდარტების სერიას ხარისხის მართვის სისტემებისათვის, ISO 14000 სტანდარტების სერიას გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემებისათვის და ISO 26000 სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტს.

ISO 9000 და ISO 14000 სტანდარტებს დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ, წინამდებარე თავის შესაბამის პარაგრაფებში, რომლებიც გარემოს დაცვასა და მომხმარებელთა უფლებებს/პროდუქციაზე პასუხისმგებლობას შეეხება. ხოლო ამ პარაგრაფში შეეჩერდებით სოციალური პასუხისმგებლობის ზოგად სტანდარტზე – ISO 26000.

2004 წელს ISO-მ გამოაქვეყნა 2005-2010 წლების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარ თემას წარმოადგენდა მდგრადი განვითარების სტანდარ-

ტები“. ამ სტრატეგიული გეგმის ფარგლებში 2005 წელს ISO-მ დაიწყო მუშაობა სოციალური პასუხისმგებლობის ახალი საერთაშორისო სტანდარტის – ISO 26000 (ან უბრალოდ ISO SR) – მომზადებაზე. ამ მიზნით დაარსდა სოციალური პასუხისმგებლობის სამუშაო ჯგუფი და დაიწყო საკონსულტაციო პროცესი დაინტერესებულ მხარეებთან. სტანდარტის შემუშავებაში მონაწილეობდა 450 ექსპერტი და 210 დამკვირვებელი 99 ქვეყნიდან და 42 ორგანიზაცია სხვადასხვა სექტორიდან. 2010 წელს გამოქვეყნდა სტანდარტის ვერსია ISO 26000:2010, თუმცა კვლავ გრძელდება მუშაობა მის დახვეწაზე.

ISO 26000 სახელმძღვანელო სტანდარტი წარმოადგენს ნებაყოფლობით სტანდარტს, რომელიც მიზნად ისახავს გაითვალისწინოს და შეავსოს სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში უკვე არსებული ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორებიცაა OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები“, გლობალური შეთანხმება“, GRI ანგარიშგების სტანდარტი და სხვა წამყვანი გლობალური სტანდარტები. ის კარგად თავსებადია აგრეთვე ISO 9000 და ISO 14000 გარემოსდაცვითი და ხარისხის მართვის მენეჯმენტის სისტემების სტანდარტებთან.

ISO მენეჯმენტის სისტემების სტანდარტებისაგან განსხვავებით, ISO 26000 არ არის სერტიფიცირებადი სტანდარტი. ეს ნიშნავს, რომ ISO 26000-ის გამოყენება არ შეიძლება აუდიტის, შესაბამისობის ტესტირებისა და სერტიფიცირებისათვის, არც შესაბამისობის განაცხადების გასაკეთებლად.

ეს უფრო მეტად სახელმძღვანელო სტანდარტია და შეიცავს ინსტრუქციებსა და სახელმძღვანელო მითითებებს ორგანიზაციის სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების შესახებ. ის გამოსადეგია ყველა ტიპის ორგანიზაციისთვის როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ISO 26000 სტანდარტი შეიცავს სოციალური პასუხისმგებლობის რაობის განმარტებას და მითითებებს იმის თაობაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციაში სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა და განხორციელება.

არსებობს მრავალი განსხვავებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა რისკია სწორი მიდგომა. ეს მოსაზრებები ორ საპირისპირო ფოკუსს შორის მერყეობს — ერთ მხარეს არის მკაცრი რეგულირება, ხოლო მეორე მხარეს – სრული თავისუფლება. ჩვენ ვცდილობთ დავიცვათ დაბალანსებული პოზიცია ამ ორ უკიდურეს პოლუსს შორის, რომელიც ამკვიდრებს პატივისცემასა და პასუხისმგებლობას არსებულ დოკუმენტებზე და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, მაგრამ არ ზღუდავს შემოქმედებით მიდგომასა და განვითარებას.

ჩვენი მუშაობა მიზნად ისახავს ნებაყოფლობითი სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებას. ჩვენი მიზანია, შემუშავდეს ერთიანი, საყოველთაო მითითებები სოციალური პასუხისმგებლობის რაობის, ცნებების, განმარტებების, განხორციელებისა და შეფასების მეთოდების შესახებ“.

ISO 26000 სამუშაო ჯგუფი

2. საერთაშორისო სტანდარტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ძირითადი პასუხისმგებლობა სახელმწიფოთა მთავრობებს ეკისრებათ, თუმცა დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო მეტად არის გაცნობიერებული კერძო სექტორის როლი ადამიანის უფლებათა დარღვევების თავიდან აცილებასა და ზოგადად ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის საქმეში. საერთაშორისოდ აღიარებულ CSR ინიციატივათა უმრავლესობა შეიცავს ადამიანის უფლებათა კომპონენტებს, რომლებიც ძირითადად ეფუძნება გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას⁸⁰, თუმცა აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებათა ასპექტის მარეგულირებელი მექანიზმები ნაკლებად არის განვითარებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სხვა ასპექტებთან შედარებით.

ზოგადად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ისევე, როგორც ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა დაკავშირების მიმართულებით, აქტიურად მუშაობს გაერო.

ბიზნესსა და ადამიანის უფლებათა შორის კავშირის გამყარების მიზნით, 2005 წელს შეიქმნა ამ სფეროში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა – გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ადამიანის უფლებებისა და ტრანსნაციონალური კომპანიებისა და სხვა საწარმოების საკითხებზე“ (Special Representative of the Secretary-General on human rights and transnational corporations and other business enterprises). 2005 წელს ამ თანამდებობაზე დაინიშნა ჰარვარდის პროფესორი ჯონ რაგი (John Ruggie). მანდატის მიხედვით, სპეციალურმა წარმომადგენელმა უნდა განსაზღვროს და განმარტოს ბიზნეს კომპანიათა კორპორაციული პასუხისმგებლობის სტანდარტები ადამიანის უფლებების სფეროში. 2008 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა ჩარჩო-პოლიტიკა, რომელიც შემოთავაზებული იყო გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ 2005 წლის მანდატით განხორციელებულ საქმიანობათა ანგარიშში და კიდევ 3 წლით გააგრძელა მანდატი აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების მიზნით. აღნიშნული ჩარჩო-პოლიტიკა სამ ძირითად პრინციპს მოიცავს:

1. სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ადამიანები მათი ძირითადი უფლებების დარღვევისაგან მესამე მხარეების (მათ შორის ბიზნესის) მიერ;
2. კორპორაციული პასუხისმგებლობის ნაწილია ადამიანის უფლებათა დაცვა;
3. ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში დაზარალებულებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მათთვის მიყენებული ზიანის გამოსწორების ინსტრუმენტებზე.

⁸⁰ <http://www.un.org/Overview/rights.html>

2008 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ კვლავ 3 წლით გააგრძელა სპეციალური წარმომადგენლის“ მანდატი.⁸¹

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

არსებობს მრავალი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას არეგულირებს ზოგადად, მათ შორის ბიზნეს საქმიანობაშიც. მათგან, როგორც აღვნიშნეთ, ფუძემდებლურია გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1948 წლის 10 დეკემბერს მიიღო⁸². საქართველოში ეს დეკლარაცია ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში” ჩამოყალიბებულია საერთაშორისოდ აღიარებული და დამკვიდრებული სტანდარტები ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. დეკლარაცია შედგება 30 მუხლისაგან და იგი, როგორც წევრი სახელმწიფოებისაგან, ასევე მოცემულ ქვეყანაში მოქმედი ბიზნეს კომპანიებისაგან მოითხოვს შემდეგი ძირითადი სამოქალაქო, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების დაცვას:

- უსაფრთხო და ჯანმრთელობისათვის უვნებელი სამუშაო პირობების შექმნა;
- შეკრებების თავისუფლება;
- საკადრო რესურსების შერჩევისას, აგრეთვე მუშაობის პროცესში, პერსონალის დისკრიმინაციის აკრძალვა;
- ბავშვთა შრომისა და იძულებითი შრომის აკრძალვა;
- განათლების, ჯანმრთელობისა და ბინადრობის საბაზისო უფლებების გარანტირება;
- მოქმედი საერთაშორისო სახელმძღვანელო მითითებებისა და სტანდარტების პატივისცემა;
- ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის დაცვა;
- ადეკვატური და სამართლიანი ანაზღაურების მიღების უფლების დაცვა;
- კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლების დაცვა;
- აზრისა და გამხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გაეროს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი აქტებია:

⁸¹ <http://www.business-humanrights.org/Updates/Archive/SpecialRepresentativeMandate>

⁸² Universal Declaration of Human Rights (UDHR). <http://www.un.org/Overview/rights.html>

- ✓ „საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“⁸³. მიღებულია გაეროს მიერ 1976 წელს. საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან;
- ✓ „საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“⁸⁴. მიღებულია გაეროს მიერ 1976 წელს, ხოლო საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან;
- ✓ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატიური ოქმი“⁸⁵. მიღებულია გაეროს მიერ 1976 წელს, ხოლო საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან“, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტთან“ და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ორ ფაკულტატიურ ოქმთან“⁸⁶ ერთად შეადგენს გაეროს „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს“.⁸⁷

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ დეკლარაციული ხასიათის შეთანხმებაა, რომელიც დამტკიცებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, მას არ აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა, თუმცა გაეროს წევრი სახელმწიფოები აღიარებენ დეკლარაციაში მოცემული პრინციპების უდავო მნიშვნელობას, დეკლარაცია მათთვის უფრო ნებაყოფლობით და არა სავალდებულოდ შესასრულებელ დოკუმენტს წარმოადგენს. დეკლარაციის მხარეები აღიარებენ სახელმწიფოების მორალურ ვალდებულებას, დაიცვან დეკლარაციაში ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებები, რომლებიც საყოველთაო უფლებებად აღიარა მთელმა საერთაშორისო საზოგადოებამ და რომლებიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილს წარმოადგენს. თუმცა დეკლარაციას გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა მოაწერეს ხელი, მასში ჩამოყალიბებული პრინციპებისა და იდეალების განხორციელება საყოველთაო ვალდებულებად აღიქმება. შესაბამისად, ბიზნეს კომპანიებისთვისაც ასევე ნებაყოფლობით ვალდებულებას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვა მათი საქმიანობის ფარგლებში.

⁸³ International Covenant on Economic, Social and Cultural Rights (January 3, 1976). <http://www1.umn.edu/humanrts/instree/b2esc.htm>

⁸⁴ International Covenant on Civil and Political Rights (March 23, 1976).

<http://www2.ohchr.org/english/law/ccpr.htm>

⁸⁵ Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights (March 23, 1976) <http://www2.ohchr.org/english/law/pdf/ccpr-one.pdf>

⁸⁶ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატიური ოქმი ძალაში შევიდა 1991 წელს და მისი ხელმომწერი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, ამდენად, ამ დოკუმენტს არა აქვს კავშირი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან (იხ. <http://www2.ohchr.org/english/law/ccpr-death.htm>)

⁸⁷ <http://www.ohchr.org/Documents/Publications/FactSheet2Rev.1en.pdf>

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისაგან“ განსხვავებით, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და მისი დამატებითი ოქმი სავალდებულო ძალის მატარებელი დოკუმენტებია იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს და რატიფიცირება გაუკეთეს მათ. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ შეთანხმებებში აღიარებული სამოქალაქო, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები სავალდებულოდ შესასრულებელია თითოეული ხელმომწერი მხარისათვის და მოცემულ სახელმწიფოებში მოქმედი ბიზნეს სტრუქტურებისათვისაც.

ევროპის სოციალური ქარტია⁸⁸

მნიშვნელოვან საერთაშორისო მარეგულირებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს „ევროპის სოციალური ქარტია“, რომელიც ადამიანის სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს შეეხება. ქარტია“ მიიღეს 1961 წელს, 1996 წელს კი დაამტკიცეს მისი განახლებული და შესწორებული ვერსია, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა და ნელ-ნელა ჩაენაცვლა 1961 წლის დოკუმენტს. ქარტიაში ჩამოყალიბებულია უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც ყველა ადამიანს და მათ ყოველდღიურ ცხოვრებას შეეხება, კერძოდ:

- ჯანმრთელობის უფლება;
- ბინადრობის უფლება;
- განათლების უფლება;
- დასაქმების უფლება;
- სოციალური და სამართლებრივი დაცვის უფლება;
- ადამიანთა თავისუფალი გადაადგილების უფლება;
- არადისკრიმინაციული მოპყრობა.

სოციალურ უფლებათა ევროპის კომიტეტი (ECSR) პასუხისმგებელია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ქარტიის შესრულების მონიტორინგზე.

საქართველოს პარლამენტმა ევროპის სოციალური ქარტიის რატიფიკაცია მოახდინა 2005 წლის 1 ივლისს, თუმცა, საქართველო ამ ქარტიის ყველა მუხლს არ შეერთებია.

„ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სხვა ბიზნეს სუბიექტების პასუხისმგებლობის ნორმები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში“⁸⁹

აღნიშნული ნორმები“ გაეროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში. თუმცა ამ ნორმებში ძირითადი აქცენტი ადამიანის უფლებებზე კეთდება,

⁸⁸ The European Social Charter. (http://www.coe.int/t/dghl/monitoring/socialcharter/default_en.asp).

⁸⁹ Draft Norms on the Responsibilities of Transnational Corporations and Other Business Enterprises with Regard to Human Rights (<http://www1.umn.edu/humanrts/ata glance/index.html>).

რეალურად იგი მოიცავს ბევრად უფრო ფართო სპექტრს და არეგულირებს ისეთ საკითხებსაც, როგორებიცაა შრომითი უფლებები, გარემოს დაცვა, მონოდების ქსელები და ა. შ. ნორმები“ შემუშავდა ბიზნესთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროფესიულ კავშირებთან კონსულტაციების შედეგად. 2003 წლის 13 აგვისტოს ნორმები“ დაამტკიცა გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ქვეკომიტეტმა ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობაზე. ეს წარმოადგენდა პირველ ნაბიჯს კომპანიების პასუხისმგებელი ქცევის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტის შესაქმნელად.

გაეროს აღნიშნული ხელშეკრულება ადამიანის უფლებების დაცვისაკენ მოუწოდებს არა მხოლოდ სახელმწიფოებს, არამედ ამ სახელმწიფოებში მოქმედ კომპანიებს. ნორმები“ განსაზღვრავს კომპანიათა ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებებთან მიმართებით, რომლებიც დაჯგუფებულია რამდენიმე ძირითად თემად, ესენია:

- თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება და არადისკრიმინაციული მოპყრობა;⁹⁰
- კერძო პირთა უსაფრთხოების უფლება (ეს განსაკუთრებით შეეხება მოქალაქეთა დაცვას ომის დროს, შეიარაღებული კონფლიქტის სიტუაციისათვის დადგენილი კანონების დაცვას და უსაფრთხოების სერვისების გამოყენებას);⁹¹
- დასაქმებულთა შრომითი უფლებები;⁹²
- ადამიანის უფლებათა კავშირი კორუფციასთან ბრძოლასა და მომხმარებელთა დაცვასთან;⁹³
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები;⁹⁴
- ადამიანის უფლებათა და გარემოს დაცვის ვალდებულების კავშირი;⁹⁵
- ძირძველი მოსახლეობისა და სხვა მონყლვადი ჯგუფების უფლებებისა და ინტერესების დაცვა.⁹⁶

გარდა ამისა, ნორმები“ შეიცავს ინსტრუქციებს მათი განხორციელების თაობაზე, რაც მოიცავს შემდეგს:

- შესაბამისი პროცედურების შემუშავება და დანერგვა ნორმებთან“ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- მონოდების ქსელის მიმართ პასუხისმგებლობა (კონტრაქტორებთან, ქვეკონტრაქტორებთან, მომწოდებლებთან, გამსაღებლებთან და სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან, რომლებიც მონაწი-

⁹⁰ UN norms for transnational corporations, B

⁹¹ UN norms for transnational corporations, C

⁹² UN norms for transnational corporations, D

⁹³ UN norms for transnational corporations, E and F

⁹⁴ UN norms for transnational corporations, E

⁹⁵ UN norms for transnational corporations, G

⁹⁶ UN norms for transnational corporations, A

ლეობენ კომპანიასთან ხელშეკრულებებში, კონტრაქტებსა და სხვა ტრანსაქციებში);

- ნორმების განხორციელების პერიოდული შეფასება და ანგარიშგება;
- გამჭვირვალე და დამოუკიდებელი მონიტორინგი და გარე შეფასება გაეროსა და სხვა საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმების გამოყენებით. მონიტორინგში მონაწილეობა უნდა მიიღონ დაინტერესებულმა მხარეებმა;
- დაინტერესებულ მხარეთა მიერ საჩივრის შეტანის უფლება;
- საკომპენსაციო/ზიანის გამოსწორების ზომების უზრუნველყოფა იმ პირებისთვის და თემებისთვის, რომლებზეც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ნორმების დარღვევამ (ეს ნორმები გამოყენებული იქნება ასევე ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების მიერ მიყენებული ზიანის განსაზღვრის მიზნით);
- სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამართლებრივი და ადმინისტრაციული კონტექსტის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიების მიერ ამ ნორმებისა და სხვა შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების განხორციელებას.

როგორც აღინიშნა, მოცემული აქტი ჯერჯერობით არ არის კანონიერი ძალის მქონე, ვინაიდან მის მისაღებად საჭიროა გაეროს წევრი ქვეყნების პოლიტიკური თანხმობა. მოლაპარაკებათა და კონსულტაციების ხანგრძლივი პროცესია გასავლელი, სანამ ეს ნორმები სავალდებულო გახდება. ამდენად, კომპანიები, რომლებიც ამ ნორმებს იცავენ, წარმოადგენენ მონინავე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულ კომპანიებს.

ვინაიდან **საქართველო** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყანაა, იგი ვალდებულია დაიცვას გაეროს ეგიდით მიღებული სავალდებულო ძალის აქტები, გაითვალისწინოს და მხარდაჭერა გამოუცხადოს რეკომენდაციული ხასიათის აქტებს და ხელი შეუწყოს მათ პოპულარიზაციას ქვეყნის ბიზნეს წრეებში. გაეროს “ნებაყოფლობითი დანერგვის წახალისებაც კომპანიებში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას.

ნებაყოფლობითი პრინციპები უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების შესახებ

გარდა ზემოხსენებული საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო შეთანხმებებისა, გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი, გაცილებით ნაკლები დაფარვის სფეროს მქონე ინსტრუმენტი, რომელიც ასევე არეგულირებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ადამიანის უფლებათა დაცვის ასპექტს. ეს არის ნებაყოფლობითი პრინციპები უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების შესახებ⁹⁷. ეს არის სტანდარტების ერთობლიობა ნიაღისეულის

⁹⁷ Voluntary Principles on Security and Human Rights (<http://www.voluntaryprinciples.org>).

მომპოვებელი კომპანიებისათვის, რომლებიც კონფლიქტურ ზონებში საქმიანობენ. ამ პრინციპების მიზანია დაეხმაროს კომპანიებს უზრუნველყონ საკუთარი საქმიანობის უსაფრთხოება იმგვარად, რომ არ დაირღვეს ადამიანის უფლებები. ეს პრინციპები შემუშავდა 1999-2000 წლებში მიმდინარე კონსულტაციების შედეგად დიდი ბრიტანეთისა და ა.შ.შ.-ს მთავრობების, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნეს კომპანიების ინიციატივითა და ჰოლანდიისა და ნორვეგიის მთავრობათა მხარდაჭერით. მათ ხელი მოაწერა მრავალმა კომპანიამ, პროფესიულმა კავშირმა და CSR ორგანიზაციამ, აგრეთვე კოლუმბიის, კანადისა და შვეიცარიის მთავრობებმაც.

საქართველოს კონტექსტის ანალიზი: საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ბიზნეს სექტორის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზემოთ განხილულ კომპონენტს - ადამიანის უფლებების დაცვას. როგორც დავინახეთ, საერთაშორისო სტანდარტებითა და შიდა სამართლებრივი აქტებით გარანტირებულია ადამიანის უფლებათა პატივისცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედი ყველა უწყების მიერ. საკანონმდებლო დონეზე დეკლარირებული უფლებების პრაქტიკულად განხორციელება ბიზნეს სტრუქტურების ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო ამ ვალდებულებების შესრულების პარალელურად ადამიანის უფლებათა დაცვის დამატებითი გარანტიების ნებაყოფლობითი უზრუნველყოფა ბიზნესის დამატებით სოციალურ პასუხისმგებლობად გვევლინება. სახელმწიფომ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს ბიზნესის მიერ საკანონმდებლო აქტებით დაცული უფლებების განხორციელებაში და ასევე ადამიანის უფლებათა სფეროში ბიზნესის ნებაყოფლობითი ღონისძიებების სტიმულირებაში. ასევე მიზანშეწონილია, საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ზემოაღნიშნული კონვენციებით აღიარებული იმ საერთაშორისო ვალდებულებების შესახებ, რომლებიც საქართველოში მოქმედ ბიზნეს სექტორს აქვს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მხრივ.

3. შრომითი საქმიანობის მარაგპულირებალი საერთაშორისო სტანდარტები და ინსტრუმენტები

3.1. საერთაშორისო შეთანხმებები, კონვენციები და დეკლარაციები

შრომითი საქმიანობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებასა და დადგენაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას“ (ILO).⁹⁸

⁹⁸ International Labour Organization (<http://www.ilo.org>)

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია“ (International Labour Organization (ILO))

აერთიანებს მთავრობებს, დამსაქმებლებს ასოციაციებსა და პროფესიულ კავშირებს. მისი ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს შრომითი უფლებების დანერგვას, დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს, სოციალური დაცვისა და უზრუნველყოფის განვითარებას და შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე დიალოგის წარმართვას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია“, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, 1919 წელს დაარსდა, რათა ხელი შეეწყოს მისი ამოსავალი პრინციპის დამკვიდრებისათვის, რომლის თანახმად საყოველთაო, ხანგრძლივი მშვიდობიანი არსებობა შესაძლებელია დამყარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ეფუძნება მშრომელი ადამიანების ღირსეულ მოპყრობას. 1946 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია“ გახდა გაეროს სპეციალიზებული სააგენტო.

თავისი არსებობს მანძილზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ“ შეიმუშავა შრომითი საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტები“ (International Labour Standards (ILS)), რომელთა მიზანია უზრუნველყოს მამაკაცთა და ქალთა უფლება, ჩაერთონ პროდუქტიულ და ღირსეულ შრომით საქმიანობაში, რომელშიც დაცული იქნება თავისუფლების, თანასწორობის, უსაფრთხოებისა და ღირსების ფასეულობები. ეს ინსტრუმენტი მრავალი სხვა სოციალური ინიციატივის საფუძველს წარმოადგენს.

ILO-ს კონვენციები და დეკლარაციები სავალდებულოა მხოლოდ ILO-ს წევრი სახელმწიფოებისათვის, თუმცა ბიზნეს კომპანიებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის ამ კონვენციათა შესრულება საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ ვალდებულებად მიიჩნევა, რადგანაც ILO სამ მხარეს აერთიანებს — მთავრობებს, დამსაქმებლებსა და მშრომელებს (პროფესიულ კავშირებს).

ამჟამად შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია“ 183 წევრ ქვეყანას აერთიანებს. საქართველო აგრეთვე არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ წევრი სახელმწიფო.

ILO დეკლარაცია „შრომით საქმიანობაში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ“

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ“ შრომის უფლებათა ფუნდამენტური პრინციპები გააერთიანა მის მიერ შემუშავებულ დეკლარაციაში „შრომით საქმიანობაში ძირითადი პრინციპებისა და უფლებების შესახებ“ (1998).⁹⁹

ეს დეკლარაცია სათავეს იღებს კოპენჰაგენში 1995 წელს ჩატარებულ მსოფლიო სამიტზე სოციალური განვითარების შესახებ, რომელზეც მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოთა მეთაურებმა დაამტკიცეს მშრომელთა

⁹⁹ ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work, 1998. იხ. <http://www.ilo.org/declaration/>

ფუნდამენტური უფლებების საერთაშორისო დონეზე გამოყენების აუცილებლობა. დეკლარაცია წარმოადგენს ILO-ს ნევერი ქვეყნების ნებაყოფლობით ვალდებულებას პატივი სცენ და დანერგონ ფუნდამენტური შრომითი უფლებები, რომლებიც წარმოადგენს ცივილიზებული სოციალური და ეკონომიკური სისტემების საფუძველს. დეკლარაცია არ ექვემდებარება რატიფიცირებას და ძალაშია ILO-ს ყველა ნევერი სახელმწიფოსათვის, მათ შორის იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთაც არ გაუკეთებიათ ფუნდამენტური კონვენციების რატიფიცირება. დეკლარაცია მოიცავს აგრეთვე მისი აღსრულების მონიტორინგისა და რეაგირების მექანიზმებს.

მოცემულ დეკლარაციაში აისახა შრომის ოთხი ფუნდამენტური პრინციპი: ასოციაციებში გაერთიანებისა და კოლექტიურ ხელშეკრულებებში ჩართვის თავისუფლება; იძულებითი შრომის აკრძალვა; ბავშვთა შრომის აღმოფხვრა; დისკრიმინაციის აღმოფხვრა. ეს ოთხი ფუნდამენტური პრინციპი რვა შესაბამის კონვენციაში გამოვლინდა, კერძოდ:

1. ასოციაციებში გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური შეთანხმების ხელშეკრულებებში“ ჩართვის უფლება”¹⁰⁰

- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ 87-ე კონვენცია - „ასოციაციებში განევრიანებისა და შეკრებების ორგანიზების უფლების დაცვის კონვენცია“¹⁰¹ (1948). *საქართველოში კონვენცია ძალაშია პარლამენტის მიერ 1999 წლის 23 ივნისს მისი რატიფიკაციის შემდეგ;*
- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ 98-ე კონვენცია - „გაერთიანების შექმნის და კოლექტიური მოლაპარაკებების გამართვის უფლების შესახებ“¹⁰² (1948). *საქართველოში კონვენცია ძალაშია 1996*

¹⁰⁰ Freedom of association and the right to collective bargaining. კოლექტიური შეთანხმების ხელშეკრულება“ (Collective bargaining agreement) არის იურიდიული ძალის მქონე კოლექტიური შეთანხმება კომპანიასა და იმ პროფკავშირს შორის, რომელიც ამ კომპანიის თანამშრომელთა ინტერესებს წარმოადგენს. შეთანხმების საგანია შრომის პირობები, ხელფასის ოდენობა, სამუშაო დღისა და სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, შვებულებები და ა. შ.; ამგვარი ხელშეკრულების პირობებს მხარეები განსაზღვრავენ კოლექტიური მოლაპარაკების გზით (collective bargaining), რომელიც გარკვეული რეგულარობით ტარდება. კოლექტიური შეთანხმება, ჩვეულებრივ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოქმედებს და შემდეგ გადაიხედება. კომპანიის ან პროფკავშირის მხრიდან მოლაპარაკების პროცედურაზე უარის თქმა სასამართლოს მიერ განიხილება როგორც უსამართლო შრომითი ურთიერთობები“. კოლექტიური შეთანხმების ხელშეკრულების“ დადების უფლება მინიჭებული აქვთ მშრომელებს 1935 წლის ვაგნერის კანონით“ (Wagner Act). იხ. ასევე Labor-Management Relations Act of 1947, რომელიც მიღებულ იქნა, როგორც ვაგნერის კანონის შესწორება.

¹⁰¹ Convention no. 87: “Freedom of Association and Protection of the Right to Organize Convention”, 1948. <http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C087>

¹⁰² Convention no. 98: “Right to Organize and Collective Bargaining Convention”, 1949. <http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C098>

წლის 29 ივნისიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

2. იძულებითი შრომის აკრძალვა¹⁰³

- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ 29-ე კონვენცია „იძულებითი ან სავალდებულო შრომის შესახებ“¹⁰⁴ (1930). საქართველოში კონვენცია ძალაშია 1995 წლის 22 თებერვლიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ;
- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ 105-ე კონვენცია „იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ“¹⁰⁵ (1957). საქართველოში კონვენცია ძალაშია 1996 წლის 16 მაისიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

3. ბავშვთა შრომის აკრძალვა¹⁰⁶

- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ 138-ე კონვენცია „სამუშაოზე მისაღები მინიმალური ასაკის შესახებ“¹⁰⁷ (1973). საქართველოში კონვენცია ძალაშია 1996 წლის 16 მაისიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ;
- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ 182-ე კონვენცია „ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივი აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“¹⁰⁸ (1999). საქართველოში კონვენცია ძალაშია 2002 წლის 18 მაისიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

4. სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციის აკრძალვა¹⁰⁹

- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ 111-ე კონვენცია „შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ“¹¹⁰ (1958). საქართველოში კონვენცია ძალაშია 1995 წლის 4 მაისიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ;

¹⁰³ The abolition of forced labor

¹⁰⁴ Convention no. 29: “Forced Labor Convention”, 1930. <http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C029>

¹⁰⁵ Convention no. 105: “Abolition of Forced Labor Convention”, 1957 (<http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C105>)

¹⁰⁶ The prohibition of child labor

¹⁰⁷ Convention no. 138: “Minimum Age Convention”, 1973 (<http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C138>)

¹⁰⁸ Convention no. 182: “Worst Forms of Child Labor Convention”, 1999. (<http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C182>)

¹⁰⁹ The prohibition on discrimination in the workplace

¹¹⁰ Convention no. 111: “Discrimination (Employment and Occupation) Convention”, 1958. (<http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C111>)

- ✓ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ 100-ე კონვენცია „მამაკაცთა და ქალთა შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ“¹¹¹ (1958). საქართველოში კონვენცია ძალაშია 1996 წლის 29 მაისიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

„შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ 122-ე, 181-ე და 91-ე კონვენციები

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ მრავალრიცხოვან კონვენციათაგან, რომლებიც შრომითი საქმიანობის სფეროს არეგულირებს, აგრეთვე აღსანიშნავია შემდეგი კონვენციები:

- ✓ 122-ე კონვენცია „დასაქმების პოლიტიკის შესახებ“.¹¹² კონვენცია მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით 1964 წელს. საქართველოში კონვენცია ძალაშია 1996 წლის 16 მაისიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ;
- ✓ 181-ე კონვენცია „დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ“¹¹³. კონვენცია მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით 1997 წელს. საქართველოში კონვენცია ძალაშია 2002 წლის 7 ივნისიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ;
- ✓ 91-ე კონვენცია „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“¹¹⁴. კონვენცია მიღებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით 1949 წელს. საქართველოში კონვენცია ძალაშია 1995 წლის 22 თებერვლიდან, პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

„სამმხრივი დეკლარაცია მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობის პრინციპებისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ“

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ კიდევ ერთ ძალზე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს „სამმხრივი დეკლარაცია მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობის პრინციპებისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ“.¹¹⁵ დეკლარაციის თავდაპირველი ვარიანტი 1977 წელს მიიღეს, 2000 წელს კი მიიღეს მისი განახლებული და შესწორებული ვერსია. ეს დეკლარაცია წარმოადგენს გლობალურ ვალდებულებას, რომელიც სახელმძღვანელო პრინციპების როლს ასრულებს მთავრობების, დამსაქმებლებისა და

¹¹¹ Convention no. 100: “Convention concerning Equal Remuneration for Men and Women Workers for Work of Equal Value”, 1951 (<http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C100>)

¹¹² Convention no. 122: Employment Policy Convention, 1964 (<http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C122>).

¹¹³ Convention no. 181: Private Employment Agencies Convention, 1997 (<http://actrav.itcilo.org/actrav-english/telearn/global/ilo/law/ilo181.htm>).

¹¹⁴ Convention no. 91: Paid vacations (Seafarers) Convention (revised) 1949 (<http://www.ilo.org/ilolex/cgi-lex/convde.pl?C091>).

¹¹⁵ ILO Tripartite Declaration of Principles concerning Multinational Enterprises and Social Policy (MNE Declaration), 1977 (<http://actrav.itcilo.org/actrav-english/telearn/global/ilo/guide/triparti.htm>).

პროფესიული კავშირებისათვის დასაქმების, კვალიფიკაციის ამაღლების, სამუშაო პირობებისა და სანარმოო ურთიერთობების სფეროში.

კერძოდ, მასში გამახვილებულია ყურადღება შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ შემდეგ უფლებებსა და პრინციპებზე:

- შრომითი საქმიანობის უსაფრთხოების უფლება;
 - არსებობისათვის საჭირო მინიმალური ხელფასის უფლება;
 - შეღავათები;
 - თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა დასაქმებისას და სამუშაო ადგილზე;
 - დასაქმების მინიმალური ასაკი;
 - ტრენინგები და კვალიფიკაციის ამაღლება;
 - სამუშაო საათების მაქსიმალური რაოდენობის დანესება;
 - ასოციაციებში განწევრიანების თავისუფლება;
 - სანარმოო დავების მოგვარების უფლება;
 - საჩივრების განხილვის უფლება;
- და ა. შ.

ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს საერთაშორისო შეთანხმებას ან კონვენციას, იგი დეკლარაციული ხასიათისაა, არ არის ოფიციალურად სავალდებულო და არ საჭიროებს სანარმოს მიერ წინასწარ აღიარებას. დეკლარაციის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს იმ ფაქტის აღიარება, რომ თუმცა ILO კონვენციები და დეკლარაციები ოფიციალურად სახელმწიფოთა მთავრობებისადმი არის მიმართული და მათ მიერ უნდა იყოს რატიფიცირებული, მათი ფუძემდებლური პრინციპები ძალაშია სხვა მხარეებისათვისაც, მათ შორის ბიზნეს კომპანიებისთვის.

* * *

შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო ინსტრუმენტების განხილვისას აუცილებლად აღსანიშნავია **OECD-ის „სახელმძღვანელო მითითებები მულტინაციონალური სანარმოებისთვის“**, რომლებზეც ზემოთ გვექონდა საუბარი. აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებები მრავალ სხვა საკითხთან ერთად შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ სტანდარტებსაც მოიცავს (თავი IV, დასაქმება და სანარმოო ურთიერთობები),¹¹⁶ კერძოდ:

- რეორგანიზაციის შესახებ დროული შეტყობინება და სამუშაოდან დათხოვნისას თანასწორობის უფლების დაცვა;
- დათხოვნის შიშის გარეშე თვითორგანიზების უფლების განხორციელება;

¹¹⁶ OECD მულტინაციონალური კომპანიების სახელმძღვანელო მითითებების“ შრომითი საქმიანობის სტანდარტების კომპონენტი მეტწილად ILO საერთაშორისო შრომის სტანდარტებს ეფუძნება.

- ადგილობრივი მუშახელის მაქსიმალური დასაქმება და მისი პროფესიონალიზმის ამაღლება;
- მუშაობისას ორმაგი სტანდარტების აკრძალვა;
- გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან/კომპანიის მენეჯმენტთან პერსონალის წარმომადგენელთა მოლაპარაკებისა და კონსულტაციების უზრუნველყოფა.

შრომითი საქმიანობის სტანდარტები ხშირ შემთხვევაში **გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში**¹¹⁷ ჩამოყალიბებული უფლებების შემდგომ გაშლასა და განვითარებას წარმოადგენს. მაგალითად, ჯანმრთელობის უფლება ადამიანის ძირითად უფლებას წარმოადგენს, რომელიც დადასტურებულია როგორც ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (art. 25), ასევე გაეროს საერთაშორისო შეთანხმებაში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, 1966 წ. (art. 12).¹¹⁷

გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი (CESCR) თავის **ზოგად კომენტარებში**¹¹⁸ ყურადღებას ამახვილებს როგორც სახელმწიფოთა, ასევე სხვა სექტორების, მათ შორის ბიზნეს კომპანიების ვალდებულებებზე და იმ ფაქტზე, რომ კომპანიებმა წვლილი უნდა შეიტანონ იმ ვალდებულებათა შესრულებაში, რომლებიც სახელმწიფოებს აქვთ აღებული ადამიანის უფლებებისა და შრომითი უფლებების სფეროში, მაგ. ჯანმრთელობის ფუნდამენტური უფლების უზრუნველყოფაში. კომპანიებს განსაკუთრებული ვალდებულებები ეკისრებათ ჯანსაღი სამუშაო გარემოსა და ჯანმრთელი ბუნებრივი გარემოს უფლების უზრუნველყოფაში, რაც სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს შემდეგს:

- პროფილაქტიკური და გამაფრთხილებელი ზომების გატარების ვალდებულება, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული დაავადებები და უბედური შემთხვევები;
- სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საფრთხეების მინიმიზაცია;
- უსაფრთხო და ჰიგიენური სამუშაო პირობების უზრუნველყოფა.

გაეროს კონვენციებიდან, რომლებიც შრომით უფლებებს არეგულირებს, აღსანიშნავია აგრეთვე:

- ✓ ერთა ლიგის (მოგვიანებით გაერო) კონვენცია მონობის შესახებ, 1927 წ. ¹¹⁹
- ✓ გაეროს დამატებითი კონვენცია მონობის, მონებით ვაჭრობის,

117 International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 1966. (<http://www2.ohchr.org/english/law/cescr.htm>).

118 <http://www2.ohchr.org/english/bodies/cescr/comments.htm>

119 League of Nations Slavery Convention (<http://www2.ohchr.org/english/law/slavery.htm>).

ასევე მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და პრაქტიკის გაუქმების შესახებ, 1957 წ.¹²⁰

მნიშვნელოვან საერთაშორისო მარეგულირებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს „ევროპის სოციალური ქარტია“,¹²¹ რომელიც ადამიანის სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს შეეხება და, შესაბამისად, შრომითი საქმიანობის სფეროსაც ფარავს. მის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. საერთაშორისო სტანდარტები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში).

ამავე თავში გვინდა აღვნიშნოთ შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი კიდევ ერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი – **შრომ ითი საქმიანობის საერთაშორისო ჩარჩო-შეთანხმებები**,¹²² რომელიც შეიმუშავეს პროფესიული კავშირების საერთაშორისო ფედერაციებმა და ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა. ხსენებული ჩარჩო-შეთანხმებები განსაზღვრავს დასაქმებულთა და კომპანიების ჰარმონიული და უკონფლიქტო ურთიერთობის ძირითად პრინციპებს და შეეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა მუშაკთა უფლებები და მომნოდებლებთან ურთიერთობა.

საქართველოს კონტექსტის ანალიზი: როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შრომის უფლებათა მარეგულირებელი საერთაშორისო აქტების უმრავლესობასთან საქართველო მიერთებულია, მაგრამ საყურადღებოა, რომ არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული ვალდებულებების პრაქტიკული იმპლემენტაციის პრობლემა. მრავალ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა ასახავს კონვენციებით დადგენილ ძირითად პრინციპებს, თუმცა აუცილებელია გარკვეული საკანონმდებლო ღონისძიებები ნორმატიული ბაზის შემდგომი დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. ასეთ საკითხებს მიეკუთვნება არასრულწლოვანთა შრომითი უფლებები, დისკრიმინაციის აკრძალვა, ქალთა და მამაკაცთა შრომის თანასწორობა; მეორე მხრივ, გამოიკვეთა საკითხთა ჯგუფი, რომლებიც არაადეკვატურად არის მონესრიგებული მოქმედი კანონმდებლობით, ასეთებია გაერთიანების თავისუფლებისა და კოლექტიურ მოლაპარაკებათა საკითხები. თუ გავითვალისწინებთ, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (ILO) ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი წევრ ქვეყნებში ტრიპარტიზმის და სოციალური დიალოგის განვითარების ხელშეწყობაა, სავარაუდოდ, ILO კონვენციათა განხორციელების სტატუსის შეფასებისას ყველაზე მწვავედ სწორედ ეს საკითხები დადგება. გარდა ამისა, შრომითი ხელშეკრულების მოშლის ზედმეტად ლიბერალური

¹²⁰ United Nations Supplementary Convention on the Abolition of Slavery, the Slave Trade, and Institutions and Practices Similar to Slavery (<http://www2.ohchr.org/english/law/slavetrade.htm>).

¹²¹ The European Social Charter (http://www.coe.int/t/dghl/monitoring/socialcharter/default_en.asp).

¹²² International Framework Agreements (IFAs)/ Global Framework Agreements (GFAs) (<http://www.global-unions.org/>).

რეგულირება „ევროპის სოციალური ქარტიის“ დებულებებს ეწინააღმდეგება.

უფრო მეტიც, ევროკომისიის დოკუმენტში „2010 წლის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ“¹²³ აღნიშნულია, რომ 2006 წლის საქართველოს შრომის კოდექსი არ შეესაბამება საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის სტანდარტებს. საქართველო, პრაქტიკულად, არ ახორციელებს საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენციებით სავალდებულოდ აღიარებულ უფლებებს.¹²⁴ საქართველო ასევე არღვევს ევროკავშირის სტანდარტებს და მის მიერ 2005 წლის ივლისში რატიფიცირებულ ევროპის სოციალურ ქარტიას (სამუშაო საათების მაქსიმალურ ზღვართან და მუშაობის შეწყვეტასთან დაკავშირებით).

როგორც ცნობილია, ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 27 ივნისის 980/2005 რეგლამენტისა¹²⁵ და ევროკომისიის 2005 წლის 21 დეკემბრის 2005/924/EC¹²⁶ გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოზე ვრცელდება მდგრადი განვითარებისა და კარგი მმართველობის სპეციალური წამახალისებელი მექანიზმი, ე.წ. GSP +. იმისათვის, რომ საქართველომ ისარგებლოს ამ წამახალისებელი მექანიზმით, მან ზედმინევენით უნდა დაიცვას გაეროსა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძირითადი კონვენციები ადამიანის უფლებებისა და შრომის უფლებების სფეროში ისევე, როგორც გარემოს დაცვისა და მმართველობის სფეროში, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბიზნეს წრეების ჩართვა GSP+ ამოცანების შესრულებაში.

საქართველომ მოცემულ ხელშეკრულებებზე მიერთებით გამოსახატა ნება მათი დაცვის შესახებ. სშირ შემთხვევაში საერთაშორისო ხელშეკრულებანი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს უტოვებენ შეთანხმების აღსრულების მექანიზმების არჩევის უფლებას. ეს მექანიზმები შეიძლება გამოიხატებოდეს საკანონმდებლო რეგულირებაში, უმაღლესი ხელისუფლებების მიერ (პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო) კანონით გარანტირებული კონკრეტული უფლებების დაცვის პრაქტიკულ უზრუნველყოფაში, სხვადასხვა სახელმწიფო (სახალხო დამცველი, პოლიცია, სამინისტროები) და არასახელმწიფო უწყებების (არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობები) მიერ უფლებების დაცვის მონიტორინგში და ა.შ. ადამიანისა და შრომის უფლებათა დაცვის ამ ტრადიციულ აპრობირებულ მექანიზმებთან ერთად ისეთი ინოვაციური მექანიზმის იმპლემენტაცია, როგორცაა კორ-

¹²³ Implementation of the European Neighbourhood Policy in 2010. Country report: Georgia {COM(2011) 303} Brussels, 25/05 /2011. SEC(2011) 649, გვ. 9-10 (იხ. http://ec.europa.eu/world/enp/pdf/progress2011/sec_11_649_en.pdf).

¹²⁴ იქვე, გვ. 9-10. იხ. ასევე: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების შესახებ ექსპერტთა კომიტეტის მოხსენება, 97-ე სესია, 2008 წ.

¹²⁵ http://ec.europa.eu/trade/issues/global/gsp/legis/index_en.htm

¹²⁶ http://ec.europa.eu/trade/issues/global/gsp/legis/index_en.htm

პორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, ბევრად უფრო ეფექტური და შედეგიანი იქნება.

3.2. მენეჯმენტის სისტემების სტანდარტები შრომითი საქმიანობის სფეროში

გარდა ზემოთ განხილული საერთაშორისო შეთანხმებებისა, აღსანიშნავია საერთაშორისოდ აღიარებული მენეჯმენტის სისტემების სტანდარტები შრომითი საქმიანობის სფეროში, რომლებიც, ძირითადად შეეხება სამუშაო პირობებსა და სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მაგ.:

OHSAS 18001: სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტი¹²⁷

1996 წელს ბრიტანეთის სტანდარტების ინსტიტუტმა (British Standards Institution (BSI) გამოუშვა სტანდარტი BS 8800, რომელიც წარმოადგენდა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სახელმძღვანელო მითითებებს და არ ითვალისწინებდა სერტიფიცირებას. ამის შემდგომ რამდენიმე სხვადასხვა სასერტიფიკაციო უწყებამ BS 8800-ის საფუძველზე შეიმუშავა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკუთარი სტანდარტები, რომელთა საფუძველზეც ორგანიზაციების სერტიფიცირება იყო შესაძლებელი, რამაც ამ სფეროში დიდი მრავალფეროვნება და შეუსაბამობა გამოიწვია. რადგანაც სხვადასხვა იურისდიქციების ფარგლებში უწყებებს განსხვავებული სერტიფიცირების სქემები გააჩნდათ, მათი ურთიერთაღიარებაც რთულდებოდა. ყოველივე ამის გამო 13-მა სხვადასხვა ეროვნულმა სტანდარტიზაციის სააგენტომ და საერთაშორისო სერტიფიცირების ორგანომ ერთობლივად შეიმუშავა ახალი საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტი OHSAS 18001.

OHSAS 18001 წარმოადგენს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საერთაშორისოდ აღიარებულ მენეჯმენტის სისტემას, რომელიც ორგანიზაციებს სთავაზობს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროგრამების მართვის, რისკების პრევენციისა და ამ სფეროში მუდმივი გაუმჯობესების ინსტრუმენტებსა და მიდგომებს. ის თავსებადია ISO 9001 და ISO 14001 სტანდარტებთან.

OHSAS 18001 შესაძლებელია გამოიყენოს ნებისმიერი ზომისა და ნებისმიერ სფეროში დასაქმებულმა ორგანიზაციამ. ის განსაკუთრებულად ამხვილებს ყურადღებას პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე, საფრთხეების აღმოჩენისა და სამუშაოსთან დაკავშირებული რისკების შეფასებისა და კონტროლის მეშვეობით.

¹²⁷ Occupational Health and Safety (www.ohsas-18001-occupational-health-and-safety.com/).

OHSAS 18001 მოიცავს შემდეგ ელემენტებს: სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა, დაგეგმვა, განხორციელება და საქმიანობა, შემოწმება და გამოსწორებითი ღონისძიებები, მენეჯმენტის მიმოხილვა და მუდმივი გაუმჯობესება.

ამ სტანდარტის საფუძველზე აგრეთვე შესაძლებელია სერტიფიცირება.

ILO-OSH 2001: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ სახელმძღვანელო მითითებები სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის შესახებ¹²⁸

1996 წელს ISO-ს საერთაშორისო სემინარზე განიხილეს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ISO სტანდარტის შემუშავების შესაძლებლობა. გადაწყდა, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია“ (ILO), რომელიც სამ სხვადასხვა სექტორს აერთიანებს, ყველაზე უფრო შესაფერისი სტრუქტურაა ამგვარი მენეჯმენტის სტანდარტის/ სახელმძღვანელო დოკუმენტის შესამუშავებლად.

1998 წელს ILO-ს პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების განყოფილებამ პროფესიული ჰიგიენის საერთაშორისო ასოციაციასთან¹²⁹ თანამშრომლობით დაიწყო სახელმძღვანელო მითითებებზე მუშაობა, რომლებიც ეფუძნებოდა იმ დროისთვის არსებულ ძირითად მენეჯმენტის სისტემებს ამ სფეროში.

დოკუმენტის საბოლოო ვერსია – სახელმძღვანელო მითითებები სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის შესახებ“ (ILO-OSH 2001) 2001 წელს დაამტკიცეს.

ILO-OSH 2001 სახელმძღვანელო მითითებები“ წარმოადგენს უნიკალურ საერთაშორისო მოდელს, რომელიც თავსებადია სხვა მენეჯმენტის სისტემებთან, სტანდარტებსა და სახელმძღვანელოებთან. ის ასახავს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ ძირითად დოკუმენტებს, როგორებიცაა ILO 155-ე კონვენცია სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ“ (1981)¹³⁰ და ILO 161-ე კონვენცია სამუშაო ადგილზე სამედიცინო მომსახურების შესახებ“ (1985).¹³¹ სახელმძღვანელო მითითებები“ ხელს უწყობს სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მენეჯმენტის სისტემის ინტეგრირებას სხვა მენეჯმენტის სისტემებთან და აღნიშნავს, რომ სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნ-

¹²⁸ ILO ‘Guidelines on occupational safety and health management’ (<http://www.wbcsd.org/web/projects/cement/tf3/guidelin.pdf>).

¹²⁹ International Occupational Hygiene Association (IOHA).

¹³⁰ Occupational Safety and Health Convention, 1981 (No 155).

¹³¹ Occupational Safety and Health Convention, 1981 (No 155), and the Occupational Health Services Convention, 1985 (No 161).

ველყოფა კომპანიის მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. ამ სისტემის დანერგვა არ საჭიროებს სავალდებულო სერტიფიცირებას, თუმცა არც გამორიცხავს მას.

სახელმძღვანელო მითითებები“ შეიცავს განხორციელების ინსტრუქციებს ორ დონეზე – ეროვნულ და ორგანიზაციულ დონეებზე.

ეროვნულ დონეზე სახელმძღვანელო მითითებების“ განხორციელება გულისხმობს ეროვნული სისტემის შემუშავებას, რომელიც გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი ეროვნული კანონებითა და ნორმატიული აქტებით. ეროვნულ დონეზე განხორციელებული ქმედებები მოიცავს კომპეტენტური დანესებულების დასახელებას, ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებას დამსაქმებლებსა და პროფესიულ ორგანიზაციებთან კონსულტაციებით და ეროვნულ დონეზე ILO-OSH 2001 სისტემის ეფექტური დანერგვის სისტემის შემუშავებას.

ორგანიზაციულ დონეზე სახელმძღვანელო მითითებების“ განხორციელების მნიშვნელობა ხაზგასმულია ამავე დოკუმენტში. სახელმძღვანელო მითითებების“ ორგანიზაციულ დონეზე განხორციელება შემდეგ სისტემურ მიდგომებს მოიცავს:

- პოლიტიკის შემუშავება – გულისხმობს სამუშაოზე ჯამრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებას პერსონალის/მუშაკების მონაწილეობით;
- ორგანიზება – მოიცავს პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას, ტრენინგებს, კომუნიკაციასა და დოკუმენტირებას/მონაცემების აღრიცხვას;
- დაგეგმვა და განხორციელება – მოიცავს მიმოხილვას სანციის ეტაპზე, სისტემურ დაგეგმვას, ამოცანების განსაზღვრას და მათ განხორციელებას; საფრთხეების პრევენციას;
- შეფასება – მოიცავს მონიტორინგსა და გაზომვას, სამუშაოსთან დაკავშირებული ტრავმების, დაავადებებისა და უბედური შემთხვევების მიზეზების გამოკვლევას, აუდიტსა და მენეჯმენტის მიმოხილვას.
- გაუმჯობესებისაკენ მიმართული ქმედებები – მოიცავს პრევენციას და მიყენებული ზიანის გამოსწორებას, საქმიანობის მუდმივ გაუმჯობესებას.¹³²

Social Accountability 8000 (SA 8000)

Social Accountability 8000 (SA 8000) არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ერთდროულად სამუშაო პირობებსაც შეეხება და ანგარიშგებასაც. ის 1998 წელს შეიმუშავა ორგანიზაციამ სოციალური ანგარიშგება — საერთაშორისო“ (Social Accountability International (SAI) იმ მიზნით, რომ დახმარებოდა კომპანიებს სოციალური ანგარიშგების სისტემების შემუშავებასა და მართვაში.

¹³² http://www.pro-risk.co.za/members/Ohse/International%20Standards/ILO-OSH%202001_overview.htm

SAI, რომელიც ადრე ცნობილი იყო სახელწოდებით Council on Economic Priorities Accreditation Agency (CEPAA) წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას. ის 1997 წელს დაარსდა სოციალური პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი სტანდარტების შემუშავებისა და მათი განხორციელების კონტროლის მიზნით. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია მშრომელთა უფლებების დაცვის ხელშეწყობა ღირსეული სამუშაო პირობების, შრომითი უფლებებისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი სტანდარტების ხელშეწყობის გზით.

SA 8000 სტანდარტის შემუშავების მიზნით SAI-მ მოიწვია საერთაშორისო სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აერთიანებდა ექსპერტებს პროფკავშირებიდან, ბიზნეს სექტორიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

სტანდარტი SA 8000 ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ძირითად კონვენციებს, გაეროს ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციასა და გაეროს კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ. სტანდარტი შემდეგ საკითხებს არეგულირებს:

1. **ბავშვთა შრომა** – 15 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვების დასაქმების აკრძალვა; ზოგიერთი ქვეყნებისათვის გამონაკლისის სახით დაშვებული მინიმალური ასაკი არის 14 წელი;
2. **იძულებითი შრომა** — იძულებითი და ძალდატანებითი შრომის აკრძალვა პირადობის დამადასტურებელი საბუთების წართმევის, გადაუხდელი ვალების და ა. შ. გამოყენებით;
3. **ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე** — ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფა, სანარმოო ტრავმების პრევენციის ღონისძიებები; თანამშრომელთა რეგულარული ტრენინგი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებზე; ორგანიზაციული სისტემის დანერგვა ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების გამოსავლენად; შხაპის და დასალევი წყლის უზრუნველყოფა მუშაკებისათვის;
4. **ასოციაციებში გაერთიანებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების უფლება** – თანამშრომელთა უფლება გაერთიანდნენ პროფესიულ კავშირებში და აწარმოონ კოლექტიური მოლაპარაკებები დამქირავებელთან. იმ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობა კრძალავს ამ უფლებას, ასოციაციების შექმნის ალტერნატიული მეთოდების გაადვილება;
5. **დისკრიმინაცია** – დაუშვებელია დისკრიმინაცია ასაკის, სქესის, რასის, წარმომავლობის, რელიგიური ან ეთნიკური მიკუთვნების, სექსუალური ორიენტაციის, პოლიტიკური შეხედულებების ან რაიმე სხვა პარამეტრის მიხედვით;
6. **დისციპლინარული ღონისძიებები** – დაუშვებელია ფიზიკური დასჯა, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა ან სიტყვიერი შეურაცხყოფა;
7. **სამუშაო საათები** – უნდა შეესაბამებოდეს არსებულ კანონმდებლობას, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს კვი-

რაში და ყოველ კვირაში სულ მცირე ერთი დასვენების დღე უნდა იყოს; დამატებითი სამუშაო საათებით დატვირთვა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს კვირაში და უნდა ანაზღაურდეს პრემიალური ანაზღაურების ოდენობით;

8. **ანაზღაურება და მომწოდებლებთან ურთიერთობა** – მუშაკებისათვის გადახდილი სტანდარტული ხელფასი უნდა აკმაყოფილებდეს კანონიერ სტანდარტებს და საკმარისი იყოს მათი სასიცოცხლო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. დაუშვებელია დისციპლინარული მიზნებით ხელფასის დაქვითვა;
9. **მენეჯმენტის სისტემები** – ამ სტანდარტის მიხედვით სერტიფიკატის მისაღებად და შესანარჩუნებლად საჭირო ღონისძიებების გარდა კომპანია უნდა ცდილობდეს მეტად დახვეწოს და გააუმჯობესოს საკუთარი მენეჯმენტის სისტემა.

SA 8000 სტანდარტი ეფუძნება ‘სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის’ (ISO) ხარისხის მართვის სტანდარტს (ISO 9000) და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტანდარტს (ISO 14000).

SA 8000 სტანდარტის საფუძველზე შესაძლებელია სერტიფიკატის მიღება, რომელსაც გასცემენ SAI-ს აკრედიტებული აუდიტორები. სერტიფიკატი გაიცემა 3 წლით — ამ პერიოდის განმავლობაში კომპანიას ყოველ 6 თვეში ერთხელ უტარდება სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.¹³³

4. საერთაშორისო სტანდარტები გარემოს დაცვის სფეროში

4.1. საერთაშორისო კონვენციები, შეთანხმებები და დეკლარაციები

სანამ განვიხილავთ გარემოს დაცვის სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საერთაშორისო სტანდარტებს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ რიოს დეკლარაციაში ბუნებრივი გარემოსა და განვითარების შესახებ¹³⁴, აგრეთვე ევროპის თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში¹³⁵ არის მთელი რიგი ზოგადი პრინციპებისა, რომლებიც მიმართულია გარემოს დაცვისაკენ, ესენია:

¹³³ <http://www.sa-intl.org/>

¹³⁴ Rio Declaration on Environment and Development (1992 წლის ივნისი), მიღებული იქნა რიო დე ჟანეიროში 1992 წლის 3-14 ივნისს ჩატარებულ გაეროს კონფერენციაზე გარემოსა და განვითარების შესახებ. იხ. <http://www.unep.org/Documents.Multilingual/Default.asp?documentid=78>. იხ. ასევე: *ო რჰუსის კონვენციის განხორციელების სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის*, კიევი, უკრაინა; 2004 გვ. 4.

¹³⁵ EC Treaty/The treaty establishing the European Community (2002). იხ. http://eur-lex.europa.eu/en/treaties/dat/12002E/pdf/12002E_EN.pdf.

- პროფილაქტიკური ქმედებების პრინციპი (The principle of preventative action);¹³⁶
- პრევენციული პრინციპი (The Precautionary Principle);¹³⁷
- გარემოსათვის მიყენებული ზიანის სათავეში აღმოფხვრის პრინციპი (Approaching environmental damage at the source);¹³⁸
- პრინციპი ვინც აბინძურებს, ის იხდის“ (The principle of ‘the polluter pays’).¹³⁹

ამ ზოგადი პრინციპების გარდა, არსებობს მრავალრიცხოვანი საერთაშორისო შეთანხმებები, დეკლარაციები და სტანდარტები, რომლებიც ცალკეულ გარემოსდაცვით საკითხებს არეგულირებს.

ჰაერისა და კლიმატის დაცვა

- ✓ 1979 წლის ჟენევის კონვენცია „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ რვა დამატებით ოქმთან ერთად¹⁴⁰ საქართველოში ძალაშია 1999 წლის 13 ნოემბრიდან;
- ✓ 1985 წლის ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ¹⁴¹ და 1987 წლის მონრეალის ოქმი „ოზონის შრის გამათხელებელი ნივთიერებების შესახებ“¹⁴². ორივე ამ საერთაშორისო აქტს საქართველო 1996 წელს მიუერთდა;
- ✓ გაეროს 1992 წლის ჩარჩო კონვენცია „კლიმატის ცვლილების შესახებ“¹⁴³ და 1997 წლის კიოტოს ოქმი¹⁴⁴ საქართველოში შესაბამისად ძალაშია საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 16 მაისის დადგენილებითა და საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 28 მაისის დადგენილებით.

¹³⁶ Art. 174 (130 R, section 2) of the EC Treaty.

¹³⁷ Art. 15 of the Rio declaration and the art. 174 (130, section 2) of the EC Treaty.

¹³⁸ Art. 174 (130 R, section 2) of the EC Treaty.

¹³⁹ Art. 16 of the Rio statement and the art. 174 (130 R, section 2) of the EC Treaty.

¹⁴⁰ The 1979 Geneva Convention on Long-Range Trans-boundary Air Pollution. იხ.: <http://www.unece.org/env/lrtap/full%20text/1979.CLRTAP.e.pdf>. იხ. ასევე: <http://www.unece.org/env/lrtap>

¹⁴¹ UNEP, Vienna Convention for the protection of the ozone layer (1985). <http://sedac.ciesin.org/entries/texts/vienna.ozone.layer.protection.1985.html>

¹⁴² UNEP, The Montreal Protocol on Substances that Deplete the Ozone Layer, 1987 (შესწორებები შეიტანეს ლონდონში 1990 წ., კოპენჰაგენში 1992 წ., ვენაში 1995 წ., მონრეალში 1997 წ., პეკინში 1999 წ.) <http://www.unep.org/OZONE/pdfs/Montreal-Protocol2000.pdf>

¹⁴³ United Nations Framework Convention on Climate Change (UNFCCC or FCCC). http://unfccc.int/essential_background/convention/items/2627.php . ეს ჩარჩო-კონვენცია მიიღეს 1992 წლის, 3-14 ივნისს ჩატარებულ გაეროს კონფერენციაზე გარემოსა და განვითარების შესახებ (რომელიც ცნობილია დედამიწის სამიტის“ (Earth Summit) სახელით. კონვენციის მიზანი იყო სათბურის აირების გაფრქვევის რეგულირება. კონვენცია ძალაშია 1994 წლის 21 მარტიდან. 2009 წელს მას 192 ხელმომწერი ჰყავდა.

¹⁴⁴ Kyoto Protocol to the United Nations Framework Convention on Climate Change, 1997 (<http://unfccc.int/resource/docs/convkp/kpeng.pdf>).

ბიომრავალფეროვნების დაცვა

- ✓ რამსარის კონვენცია წყალჭარბი ტერიტორიების შესახებ¹⁴⁵, 1971.
- ✓ 1992 წლის კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ¹⁴⁶ საქართველოში ძალაშია 1994 წლის 21 აპრილის დადგენილებით;
- ✓ ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის¹⁴⁷ 2000 წლის კარტაგენას ოქმი ბიოუსაფრთხოების შესახებ¹⁴⁷ საქართველოში ძალაშია 2006 წლის 1 მარტიდან.

საშიში ნარჩენების, პროდუქტებისა და შემადგენლობების შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი კონვენციები

- ✓ 1989 წლის ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“¹⁴⁸. საქართველო მიუერთდა მოცემულ ხელშეკრულებას 1999 წლის 4 მაისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
- ✓ 1998 წლის როტერდამის კონვენცია „ნინასნარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურების შესახებ საერთაშორისო ვაჭრობაში ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდების გამოყენებისას“¹⁴⁹ საქართველო მიუერთდა მოცემულ კონვენციას 2006 წლის 1 დეკემბრის პარლამენტის დადგენილებით;
- ✓ 2001 წლის სტოკჰოლმის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ“¹⁵⁰ რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 11 აპრილს;
- ✓ 1992 წლის ჰელსინკის კონვენციას „ინდუსტრიული უბედური შემთხვევების ტრანსსასაზღვრო შედეგების შესახებ“¹⁵¹ (კონვენცია ფარავს ბალტიის ზღვის არეს) ხელი მოაწერეს ბალტიისპირა და ევროკავშირის ქვეყნებმა, ძალაში შევიდა 2000 წელს.

¹⁴⁵ Ramsar Convention on Wetlands, 1971.

(http://www.ramsar.org/cda/en/ramsar-home/main/ramsar/1%5E7715_4000_0__).

¹⁴⁶ Convention on Biological diversity, 1992. (<http://sedac.ciesin.org/entri/texts/biodiversity.1992.html>).

¹⁴⁷ Cartagena Protocol on Bio-safety to the Convention on Biological Diversity, 2000. (<http://bch.cbd.int/protocol/>).

¹⁴⁸ Basel Convention on the Control of Trans-boundary Movements of Hazardous Wastes and Their Disposal, 1989 (<http://www.basel.int/>).

¹⁴⁹ Rotterdam Convention on the Prior Informed Consent Procedure for Certain Hazardous Chemicals and Pesticides in International Trade, 1998 (<http://www.pic.int/home.php?type=s&id=77>).

¹⁵⁰ Stockholm Convention on Persistent Organic Pollutants, 2001 (<http://chm.pops.int/>).

¹⁵¹ Helsinki Convention on the Trans-boundary Effects of Industrial Accidents, 1992. (http://www.helcom.fi/Convention/en_GB/convention/).

გარემოსდაცვითი უფლებები და გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შეფასება

- ✓ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ 1998 წელს მიღებული კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვებილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ე.წ. ორჰუსის კონვენცია).¹⁵² საქართველო შეუერთდა ამ კონვენციას პარლამენტის 2000 წლის 11 თებერვლის დადგენილებით;
- ✓ კონვენცია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შეფასების შესახებ“, 1991.¹⁵³

საქართველოს კონტექსტის ანალიზი: როგორც დავინახეთ, საქართველო არის მხარე თითქმის ყველა ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი შეთანხმებისა. ქვეყანაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაღალი ტემპერატურების ზემოქმედების მიმართ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას, ევროგაერთიანების დახმარებით კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის განხორციელებას, სუფთა განვითარების მექანიზმების დანერგვას, ოზონდამმლეი ნივთიერებების ხმარებიდან ეტაპობრივ ამოღებას, ბიომრავალფეროვნების დაცვასა და სხვა გარემოსდაცვით ღონისძიებებს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელების პროცესში ბიზნეს სექტორი არ არის ჩართული, რაც ნაკლებ ეფექტურს ხდის დასახული ამოცანების შესრულებას. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება და მის ფარგლებში ბიზნესის ნებაყოფლობითი ჩართულობა აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებაში (რაც ჩვეულებრივი მოვლენაა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში), შესაძლებელს გახდის მოცემული საერთაშორისო შეთანხმებებით ქვეყნის მიერ აღებული ვალდებულებების უფრო ეფექტურ შესრულებას.

¹⁵² Convention on Access to information, Public Participation in Decision-Making and Access to Justice in Environmental Matters (Aarhus Convention), 1998. კონვენციაში პირველად არის დამყარებული კავშირი ადამიანის უფლებებსა და გარემოსდაცვით უფლებებს შორის. იგი შეიცავს მნიშვნელოვან დებულებებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის, გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. იხ. „ორჰუსის კონვენციის განხორციელების სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო მოხელეთათვის“, კიევი, უკრაინა; 2004. გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ორჰუსის კონვენცია შეაფასა, როგორც „ყველაზე უფრო ამბიციური, მიზანსწრაფული ნაბიჯი, რაც კი აქამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერით ყოფილა გადადგმული“.

¹⁵³ Convention on Environmental Impact Assessment in a Transboundary Context (Espoo Convention), 1991 (<http://www.unece.org/env/eia/eia.htm>).

4.2 გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების სტანდარტები

გარდა ზემოთ განხილული ინსტრუმენტებისა, აღსანიშნავია საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების სტანდარტები.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემები შესაძლებლობას აძლევს ორგანიზაციას განახორციელოს საკუთარი საქმიანობის გარემოსდაცვითი ასპექტებისა და პროგრამების ყოველმხრივი სისტემური, დაგეგმილი და დოკუმენტირებულ მენეჯმენტი.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის ყველაზე უფრო გავრცელებული და საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია ISO 14000.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტანდარტი ISO 14000¹⁵⁴

ISO 14000 არსებითად წარმოადგენს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტების სერიას, რომელიც მოიცავს როგორც გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემას, ასევე ამ სისტემის თანმდევი აუდიტის პროგრამას.

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (ISO)¹⁵⁵ გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი სტანდარტი სხვადასხვა გარემოსდაცვით საკითხზე (როგორიცაა: წყალი, ნიადაგი, დამაბინძურებლები და ა. შ.). 1996 წელს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (ISO) გამოაქვეყნა სტანდარტებისა და სახელმძღვანელო მითითებების სერია ISO 14000 გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სფეროში. ამ სერიის მიზანია დაეხმაროს ორგანიზაციებს შეიმუშაონ სისტემური და სტრუქტურული მიდგომები, რათა აკონტროლონ საკუთარი საქმიანობით, პროდუქციითა და სერვისებით გარემოზე მოხდენილი ზეგავლენა. ის გამოსადეგია ნებისმიერი ბიზნეს კომპანიისათვის მისი ზომის, შემოსავლების ან ადგილმდებარეობის მიუხედავად.

ISO 14000 სტანდარტების სერია შეიმუშავა ტექნიკურმა კომიტეტმა, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ 55 ქვეყნის მთავრობებისა და ბიზნეს კომპანიების წარმომადგენლები.

ISO 14001¹⁵⁶

ISO 14000 სერიის ძირითად და განმსაზღვრელ სტანდარტს წარმოადგენს ISO 14001, რომელიც 1996 წელს გამოქვეყნდა.

ISO 14001 არის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის სტანდარტი, რომელიც ეხმარება ორგანიზაციას მართოს და შეამციროს საკუთარი სა-

¹⁵⁴ <http://www.iso14000-iso14001-environmental-management.com/iso14001.htm>

¹⁵⁵ The International Organization for Standardization (ISO) - <http://www.iso.org>

¹⁵⁶ <http://www.praxiom.com/iso-14001-2004.htm>

ქმიანობით გარემოზე მოხდენილი ზეგავლენა და უწყვეტ გაუმჯობესებას მიაღწიოს ამ მიმართულებით. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა შეიძლება იქნეს გამოყენებული ორგანიზაციაში არსებული მენეჯმენტის სისტემებთან, მაგალითად, ხარისხის მართვის სისტემასთან ერთად. ISO 14001 პირველად გამოქვეყნდა 1996 წელს, ის განსაზღვრავს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის კონკრეტულ მოთხოვნებსა და პარამეტრებს. *ISO 14001 ერთადერთი სტანდარტია ISO 14000 სერიაში, რომელიც სერტიფიკაციას ექვემდებარება* გარე სასერტიფიკაციო სააგენტოს მიერ. *სერტიფიკატი გაიცემა სამი წლის ვადით.* სერტიფიკატს გასცემენ სპეციალური დამოუკიდებელი, ISO-ს მიერ აკრედიტებული სასერტიფიკაციო სააგენტოები.

ISO 14001 გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში ორგანიზაცია:

- შეიმუშავებს შესაბამის პოლიტიკას;
- განსაზღვრავს გარემოზე მოხდენილ ზეგავლენას, რისკის სფეროებს, შესაბამის კანონმდებლობასა და სხვა სახის რეგულირებას;
- დასახავს მიზნებსა და ამოცანებს;
- შეიმუშავებს/დანერგავს სტრუქტურასა და პროგრამებს პოლიტიკის განხორციელებისა და დასახული მიზნების მისაღწევად;
- ხელს უწყობს დაგეგმვის, კონტროლის, მონიტორინგის, მონაცემების გაზომვის, მიყენებული ზიანის გამოსწორების, აუდიტისა და შეფასების განხორციელებას, რათა უზრუნველყოს გარემოსდაცვით პოლიტიკაში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის ქმედითობა და ადეკვატურობა;
- შეიმუშავებს ტრენინგის, კომუნიკაციის, საქმიანობის კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურებს გარემოზე მოხდენილი იმ მნიშვნელოვანი ზეგავლენების გათვალისწინებით, რომლებიც ორგანიზაციას შეუძლია აკონტროლოს;
- მუდმივად აუმჯობესებს ამ პროცესებს.

გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის შემუშავება და განხორციელება არ გულისხმობს, რომ ორგანიზაცია შეიძლება, აკონტროლოს ყოველი კონკრეტული ზეგავლენა გარემოზე. ISO 14001 სტანდარტის დანერგვა არც იმას გულისხმობს, რომ ორგანიზაციას არასოდეს არ მოუვა ეკოლოგიური მარცხი, მაგ., გაჟონვა ან შემთხვევითი გაფრქვევა. ეს სისტემა მიგვანიშნებს, რომ ორგანიზაციაში შემუშავებული და დანერგილია გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის მართვის პროცედურები.

ISO14000 სერიის დანარჩენი სტანდარტები

ISO14000 სერიის დანარჩენი სტანდარტები არსებითად წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეხმარება ISO 14001 სტანდარტის მიხედვით სერტიფიცირებაში. ეს სტანდარტებია:

- ✓ ISO 14004 – შეიცავს ინსტრუქციებს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის და პრინციპების შემუშავებისა და დანერგვის თაობაზე, ასევე სხვა მენეჯმენტის სისტემებთან მათი კოორდინირების შესახებ;
- ✓ ISO 14010 – შეეხება გარემოსდაცვითი აუდიტის ძირითად პრინციპებს (ამჟამად მას ჩაენაცვლა ISO 19011);
- ✓ ISO 14011 – შეიცავს კონკრეტულ მითითებებს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის აუდიტის შესახებ (ამჟამად მას ჩაენაცვლა ISO 19011);
- ✓ ISO 14012 – შეიცავს ინსტრუქციებს გარემოსდაცვითი აუდიტორების საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესახებ;
- ✓ ISO 19011 – შეიცავს ინსტრუქციებს ხარისხის მართვის და/ან გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების აუდიტის შესახებ. მან ჩაენაცვლა მთელი რიგი სტანდარტებისა, მათ შორის ISO 14010, 11 და 12;
- ✓ ISO 14013/5 – შეიცავს აუდიტის პროგრამის მიმოხილვისა და შეფასების მასალებს;
- ✓ ISO 14020+ – შეეხება ეკოეტიკეტირების საკითხებს;
- ✓ ISO 14030+ – შეიცავს ინსტრუქციებს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის ფარგლებში ორგანიზაციის მიერ საკუთარი საქმიანობის შეფასებისა და მონიტორინგის შესახებ;
- ✓ ISO 14040+ – შეეხება პროდუქციისა და სერვისების სასიცოცხლო ციკლის შეფასების მეთოდოლოგიებს, პრინციპებსა და სტრუქტურებს.

ევროკავშირის ეკომენეჯმენტისა და აუდიტის სქემა (The EU Eco-Management and Audit Scheme (EMAS))

ეკომენეჯმენტისა და აუდიტის სქემა (EMAS)¹⁵⁷ წარმოადგენს მენეჯმენტის ინსტრუმენტს კომპანიებისა და სხვა ორგანიზაციებისთვის, რომელთა მიზანია შეაფასონ, გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობის გარემოსდაცვითი მაჩვენებლები (ანუ საკუთარი საქმიანობით გარემოზე მოხდენილი ზეგავლენა) და ანგარიშგება აწარმოონ მის შესახებ. ეს არის ნებაყოფლობითი სქემა, რომელიც ევროკომისიამ შემოიღო 1995 წელს ორგანიზაციათა გარემოსდაცვითი შედეგების უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

თავდაპირველად იგი მხოლოდ ინდუსტრიული/საწარმოო სექტორის კომპანიებისთვის იყო განკუთვნილი.

¹⁵⁷ http://ec.europa.eu/environment/emas/index_en.htm

2001 წელს სქემა გადაიხედა, მასში მონაწილეობა ხელმისაწვდომი გახდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორის წარმომადგენლისათვის, სქემაში შეიტანეს ანგარიშგების კომპონენტი და მოთხოვნა, რომ ორგანიზაციის თანამშრომლები ჩართული ყოფილიყვნენ სქემის განხორციელებაში. ასევე განისაზღვრა, რომ EMAS სქემის მიხედვით მოთხოვილი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა იქნება ISO 14001.

ევროკომისია და ევროპარლამენტი 2001 წლის 19 მარტის დადგენილებით¹⁵⁸ მხარს უჭერენ კომპანიების ნებაყოფლობით მონაწილეობას აღნიშნულ ეკომენეჯმენტისა და აუდიტის სქემაში.

2008 წლის ივლისში ევროკომისიამ წამოაყენა EMAS სქემის გადახედვის ინიციატივა, რათა გაზრდილიყო კომპანიათა მონაწილეობა ამ სქემაში, შემცირებულიყო ამასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სირთულეები და ხარჯები, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.

2009 წელს EMAS სქემის მარეგულირებელი წესდება ხელმეორედ გადაიხედა და შესწორდა. ევროპარლამენტისა და ევროკომისიის 2009 წლის 25 ნოემბრის დადგენილება ორგანიზაციების მიერ ეკომენეჯმენტისა და აუდიტის სქემაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის შესახებ“ გამოქვეყნდა 20 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2010 წლის 11 იანვარს.¹⁵⁹

EMAS სქემის განხორციელებასა და ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია ევროკავშირში რამდენიმე სხვადასხვა ინსტიტუტი. ევროკომისია უზრუნველყოფს სქემის სათანადო განხორციელებას, ხელს უწყობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების თანამშრომლობას და აღრიცხავს EMAS სქემაში მონაწილე დარეგისტრირებულ ორგანიზაციებს. EMAS სამეთვალყურეო კომიტეტში ჩართული არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკომისიისა და სხვა დაინტერესებული მხარეების (მაგ., გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, საწარმოებისა და სხვადასხვა გაერთიანების) წარმომადგენლები. ხოლო EMAS ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური პასუხისმგებელია წევრი ქვეყნებისაგან ინფორმაციის მოგროვებასა და ყველა დაინტერესებული მხარისათვის საინფორმაციო მომსახურების მიწოდებაზე.

EMAS ღიაა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროპული ეკონომიკური ზონის (ნორვეგია, ისლანდია და ლიხტენშტეინი) ქვეყნებისათვის. ახალგაწევრიანებული და კანდიდატი ქვეყნები სულ უფრო აქტიურად მონაწილეობენ ამ სქემაში.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები პასუხისმგებელი არიან საკუთარ ფარგლებში EMAS სქემის დანერგვაზე. ისინი რეგულარულად აწვდიან ევროკომისიას ინფორმაციას სქემის განხორციელების შესახებ. ქვეყნების შიგნით არსებობს ეროვნული პასუხისმგებელი ორგანო“, რომელიც

158 Regulation (EC) No 761/2001 of the European Parliament and of the Council of 19 March 2001 (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2001:114:0001:0029:EN:PDF>).

159 Regulation (EC) No 1221/2009. დადგენილების ტექსტის ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ%3AL%3A2009%3A342%3A0001%3A0045%3AEN%3APDF>

რეგისტრაციის პროცესს უზრუნველყოფს და სააკრედიტაციო ორგანო, რომელიც შეიმუშავებს გარემოსდაცვითი მაკონტროლებლების სიას და ადგენს მათი აკრედიტაციის ფარგლებს. EMAS მაკონტროლებლები – ორგანიზაციები ან ინდივიდუალური ექსპერტები – დამოუკიდებელი არიან იმ ორგანიზაციისაგან, რომელსაც ამოწმებენ.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აგრეთვე შეუძლიათ ტექნიკური მხარდაჭერა გაუწიონ მცირე და საშუალო სანარმოებს. რეგისტრაციისა და კონტროლის პროცედურების შესაბამისობას უზრუნველყოფენ ყველა პასუხისმგებელი და სააკრედიტაციო ორგანოს წარმომადგენლები, რომლებიც ყოველწლიურად იკრიბებიან.

სქემაში დარეგისტრირებისათვის საჭიროა, რომ ორგანიზაციამ შეიმუშაოს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც შემდეგ ვალდებულებებს მოიცავს: ყველა არსებულ გარემოსდაცვით კანონთან შესაბამისობა; დაბინძურების თავიდან აცილება; უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფა. სქემაში დარეგისტრირებისათვის საჭიროა, რომ ორგანიზაციაში ჩატარდეს თავდაპირველი გარემოსდაცვითი მიმოხილვა, რათა გამოვლინდეს ორგანიზაციის პროდუქციისა და სერვისების გარემოსდაცვითი ზეგავლენის ძირითადი სფეროები და მაჩვენებლები. შემდეგ ორგანიზაციას სთხოვენ, დაწეროს ეფექტური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა (EMS), რომლის მიზანია გაუმჯობესდეს გამოვლენილი გარემოსდაცვითი ზეგავლენები და მაჩვენებლები. დაბოლოს, ორგანიზაციამ უნდა შეადგინოს გარემოსდაცვითი საქმიანობის განაცხადი.

გარემოსდაცვითი მიმოხილვა, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სქემა, აუდიტის პროცედურა და გარემოსდაცვითი განაცხადი უნდა დაამტკიცოს აკრედიტებულმა EMAS მაკონტროლებელმა ორგანიზაციამ ან ექსპერტმა. მხოლოდ ამის შემდეგ ორგანიზაციას დაარეგისტრირებს პასუხისმგებელი ორგანო და მას უფლება ექნება გამოიყენოს EMAS ლოგო. გარემოსდაცვითი აუდიტი, რომელიც ორგანიზაციის ყველა საქმიანობას მოიცავს, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ტარდება.

EMAS და ISO 14001

ევროკავშირის ეკომენეჯმენტისა და აუდიტის სქემას (EMAS) და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტანდარტს ISO 14001 აქვს საერთო მიზანი — კარგი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის უზრუნველყოფა. 1996 წელს, როდესაც გამოქვეყნდა ISO 14000, ევროკომისიამ ამ სერიის შემადგენელი სტანდარტი ISO 14001 აღიარა როგორც პირველი ნაბიჯი EMAS სისტემის დანერგვისაკენ. 2001 წლიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ISO 14001 აღიარეს როგორც EMAS სქემის მენეჯმენტის ელემენტი, ანუ EMAS სქემის ფარგლებში გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემად მოითხოვება ISO 14001 სტანდარტის დანერგვა. ეს შესაძლე-

ბლობას აძლევს ორგანიზაციებს, რომლებსაც დანერგილი აქვთ ISO 14001 მენეჯმენტის სტანდარტი, ნელ-ნელა გადავიდნენ EMAS სქემაში მონაწილეობაზე, ძალისხმევის განმეორების გარეშე. EMAS უფრო შორს მიდის ვიდრე ISO 14001 და მას აქვს ლეგალური სტატუსი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში.

5. საერთაშორისო სტანდარტები მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და პროდუქციაზე პასუხისმგებლობის სფეროში

5.1 საერთაშორისო კონვენციები, შეთანხმებები და დეკლარაციები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროკავშირის პირველი (წინასწარი) პროგრამა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკას როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ასევე ევროპულ თანამეგობრობაში დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია.

ჯერ კიდევ 1972 წელს პარიზში გამართულ ევროპის ქვეყნების მეთაურთა კონფერენციაზე, სხვა თემებთან ერთად მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებიც იქნა განხილული და პოლიტიკოსთა აზრი ამ სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე შეჯერდა. ამ მიზნის მისაღწევად 1975 წელს ევროპის ეკონომიკურმა კავშირმა მიიღო მომხმარებელთა უფლებების დაცვის პირველი (წინასწარი) პროგრამა¹⁶⁰, რომელიც დღემდე ამ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან სტრატეგიულ დოკუმენტად მიიჩნევა.

პროგრამით განისაზღვრა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ხუთი ძირითადი მიმართულება:

1. მომხმარებლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა;
2. მომხმარებლის ეკონომიკური ინტერესების დაცვა;
3. მომხმარებლისათვის სათანადო რჩევების მიწოდება და დახმარების განევა, დადგენილ შემთხვევებში სათანადო კომპენსაციით დაკმაყოფილება;
4. მომხმარებლის ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება;
5. მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებული გადანყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებლის მონაწილეობის უზრუნველყოფა და მისი აზრის მოსმენა.

მომხმარებლის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით პროგრამაში განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები: საკვები პროდუქტები; კოსმეტიკა და სარეცხი საშუალებები; გრძელვადიანი მოხმარების

¹⁶⁰ Council Resolution of 14 April 1975 on a preliminary programme of the European Economic Community for a consumer protection and information policy. *Official Journal* [1975] EU C 92/1, p.2-16 ([http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31975Y0425\(01\):EN:NOT](http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31975Y0425(01):EN:NOT)).

საოჯახო ტექნიკა; ავტომობილები; სათამაშოები; ტანსაცმელი; საშიში ნივთიერებები; საკვებ პროდუქტებთან შეხებაში მყოფი საგნები; ნამლები; სასუქები; ცხოველების საკვები და ვეტერინარული პროდუქცია.

პროგრამის მიხედვით, მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა გულისხმობს მომხმარებლის დაცვას ვაჭრობის აგრესიული“ მეთოდებისაგან, როგორებიცაა: ხელშეკრულებით მყიდველის უფლებების შეზღუდვა, არაკეთილსინდისიერი საკრედიტო პირობები, გადახდის მოთხოვნა მომხმარებლის მიერ წინასწარ შეუკვეთავი პროდუქციის მიწოდებისას, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და სხვ. აუცილებელია აგრეთვე მომხმარებლის დაცვა ნაკლოვანი საქონლის მიწოდებით და არასათანადო მომსახურების განევით მიყენებული ზიანისგან. ზიანის ანაზღაურება უნდა ხდებოდეს სწრაფი, ეფექტური და ნაკლებად ხარჯიანი მეთოდის გამოყენებით. ამ პროცესში მომხმარებლისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონსულტაციები და დახმარება.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის პროგრამის მიღების დღიდან დღემდე მის შესასრულებლად ევროკავშირმა ათობით ნორმატიული აქტი მიიღო, რომელთა მთავარი მიზანი გამოიხატება (ა) პროდუქციის/მომსახურების უსაფრთხოების; (ბ) მომხმარებლის ადეკვატური ინფორმირებულობის; (გ) მომხმარებლის ეკონომიკური და სამართლებრივი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფაში.¹⁶¹

1985 წელს ევროპული თანამეგობრობის საბჭომ მიიღო რეზოლუცია ტექნიკური ჰარმონიზაციისა და სტანდარტებისადმი ახალი მიდგომის შესახებ¹⁶², რომელშიც განსაზღვრულია ახლებური მიდგომა პროდუქციის სტანდარტებისადმი. ძირითადი ინოვაცია იმაში მდგომარეობდა, რომ ტექნიკური სპეციფიკაციები და სტანდარტები (როგორც ეროვნული, ასევე ევროკავშირისა) ნებაყოფლობითი სტატუსის მქონე დოკუმენტებად გამოცხადდა. რეზოლუციაში ნათქვამია: მწარმოებელს შეუძლია აწარმოოს პროდუქცია, რომელიც არ შეესაბამება სტანდარტს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია დაამტკიცოს, რომ მისი პროდუქცია უსაფრთხოა.“ დღემდე ამ რეზოლუციის საფუძველზე მომზადდა დირექტივები 20-მდე ტიპის საქონლის უსაფრთხოების არსებითი მოთხოვნებისა და ამ უსაფრთხოების შემონმება-დადასტურების პროცედურების შესახებ.

იმ პროდუქციისათვის, რომლისთვისაც ახალი მიდგომის“ დირექტივები ჯერ არ შემუშავებულა, უსაფრთხოების მოთხოვნებს არეგულირებს ევროსაბჭოს 1992 წლის დირექტივა პროდუქციის უსაფრთხოების შესახებ.¹⁶³

¹⁶¹ იხ. <http://www.ecc-netitalia.it/inglese/Legislation/EU%20treaties%20and%20consumers%20rights.htm>

¹⁶² Council Resolution of 7 May 1985 on a new approach to technical harmonization and standards \ Official Journal C 136 of 04.06. 1985 ([http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga_doc?smartapi!celexapi!prod!CELEXnumdoc&lg=EN&numdoc=31985Y0604\(01\)&model=guichett](http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga_doc?smartapi!celexapi!prod!CELEXnumdoc&lg=EN&numdoc=31985Y0604(01)&model=guichett)).

¹⁶³ Council Directive 92/59/EEC of 29 June 1992 on general product safety. (http://eur-lex.europa.eu/smartapi/cgi/sga_doc?smartapi!celexapi!prod!CELEXnumdoc&lg=en&numdoc=31992L0059&model=guichett).

ზოგადად მომხმარებელთა უფლებების დაცვას დიდი ყურადღება ექცევა ევროკავშირში. ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოს – ევროკომისიის 27 კომისრიდან ერთ-ერთი მთლიანად მომხმარებელთა უფლებების დაცვით არის დაკავებული. კომისიაში შეიქმნა ცალკე გენერალური დირექტორატი ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა დაცვის საკითხებზე, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომხმარებელთა უფლებების სტრატეგიისა და მიზნების განსაზღვრასა და შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავებაში.¹⁶⁴

გაეროს „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები“¹⁶⁵

1970-იანი წლებიდან გაერომაც გააცნობიერა მომხმარებელთა უფლებების ზეგავლენა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და დაიწყო მუშაობა ამ მიმართულებით. 1977 წელს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საკითხების საბჭომ გაეროს გენერალურ მდივანს მიმართა თხოვნით მომზადებულიყო ანგარიში მომხმარებელთა უფლებების სფეროში ეროვნული კანონმდებლობებისა და ინსტიტუტების შესახებ, აგრეთვე რეკომენდაციები მთავრობებისათვის მომხმარებელთა დაცვის საკითხებზე. ხოლო ეკონომიკური და სოციალური საკითხების საბჭოს 1981 წლის მიმართვის საფუძველზე გაეროს გენერალურმა მდივანმა დაიწყო კონსულტაციები ქვეყანათა მთავრობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რის შედეგადაც 1983 წელს საბჭოს წარუდგინა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების“ სამუშაო ვერსია. ორწლიანი კონსულტაციების შემდეგ, გაეროს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 16 აპრილის რეზოლუციით მიღებულ იქნა „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები.“ ეს სახელმძღვანელო პრინციპები გაეროს წევრი სახელმწიფოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათის მითითებებს წარმოადგენს.

1999 წელს გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ შეიმუშავა „მომხმარებელთა ინტერესების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპების“ შესწორებული და გავრცობილი რედაქცია.¹⁶⁶

ამ სახელმძღვანელო მითითებებში ჩამოყალიბებულია მომხმარებელთა დაცვის 7 ძირითადი პრინციპი:

1. მომხმარებელთა უსაფრთხოების უფლება;
2. მომხმარებლების ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების ხელშეწყობა და დაცვა;

¹⁶⁴ Directorate general for health and consumers (http://ec.europa.eu/dgs/health_consumer/whoweare_en.htm).

¹⁶⁵ A/RES/39/248, 16 April 1985. (<http://www.un.org/documents/ga/res/39/a39r248.htm>).

¹⁶⁶ General Assembly decision 54/449. (http://www.un.org/esa/sustdev/publications/consumption_en.pdf).

3. მომხმარებლებისათვის შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რათა მათ ინფორმირებული არჩევანის გაკეთება შეძლონ;
4. მომხმარებელთა განათლება, რაც მოიცავს ცნობიერების ამაღლებას სამომხმარებლო არჩევანის ზეგავლენაზე გარემოსდაცვით, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე;
5. მომხმარებლის მიერ გასაჩივრების და კომპენსაციის მიღების უფლება;
6. მომხმარებელთა მიერ სხვადასხვა ასოციაციების და კავშირების შექმნის უფლება, ამასთანავე, ამ ჯგუფებს უნდა შეეძლოთ საკუთარი აზრი წარმოადგინონ სამომხმარებლო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღებისას;
7. მდგრადი სამომხმარებლო მოდელების ხელშეწყობა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) საერთაშორისო კოდექსი სარეკლამო საქმიანობის შესახებ

ამ სფეროში არსებული საერთაშორისო მარეგულირებელი დოკუმენტებიდან აღნიშნვის ღირსია აგრეთვე საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) საერთაშორისო კოდექსი სარეკლამო საქმიანობის შესახებ. ამ კოდექსის პირველი რედაქცია 1937 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ მუდმივად ხდებოდა კოდექსის შესწორება, გარემოში მომხდარი ცვლილებების საპასუხოდ. 2006 წელს ვაჭრობის საერთაშორისო პალატამ გამოაქვეყნა სარეკლამო საქმიანობის ახალი კონსოლიდირებული საერთაშორისო კოდექსი, რომელიც კოდექსის მე-8 რედაქციას წარმოადგენს. ამ ახალი კოდექსის ფარგლები გაფართოებულია. ის მოიცავს არა მხოლოდ სარეკლამო, არამედ მარკეტინგულ კომუნიკაციებს და აერთიანებს სახელმძღვანელო მითითებებს სხვადასხვა ტიპის მარკეტინგული საქმიანობის შესახებ ინტერნეტითა და ტექსტური შეტყობინებებით (SMS) რეკლამირებისა და ბავშვებთან კომუნიკაციის ჩათვლით.¹⁶⁷

საქართველოს კონტექსტის ანალიზი: საბჭოთა პერიოდთან შედარებით ამჟამად საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვას გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა როგორც სახელმწიფო დანერგულ უფლებების, ასევე კერძო სტრუქტურების მხრიდან. დღესდღეობით იქმნება მომხმარებლების უფლებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონები „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“, „სტანდარტიზაციის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“).¹⁶⁸ საკანონმდებლო სივრცის ჩამოყალიბების პარალელურად სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ ბიზნესის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციებს,

¹⁶⁷ The Consolidated ICC Code of Advertising and Marketing Communication Practice. (<http://www.iccwbo.org/policy/marketing/id8532/index.html>).

¹⁶⁸ იხ. ასევე: <http://www.momxmarebeli.ge/?menu=26>

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სფეროში კვლავ ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი, ვინაიდან არ არსებობს მომხმარებლების დაცვის ეფექტური მექანიზმი, სერიოზულ გადახედვას საჭიროებს მოქმედი საკანონმდებლო ბაზაც. საქართველოს კანონმდებლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით კვლავ შორსაა ევროპული მოდელისგან.

საქართველომ 1996 წლის 22 აპრილს მოაწერა ხელი ხელშეკრულებას „ევროკავშირი და საქართველო — შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“¹⁶⁹. მოცემული ხელშეკრულების 66-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ იკისრა ვალდებულება მომხმარებელთა დაცვის სისტემის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოცემული ვალდებულების შესრულება უახლოეს მომავალში.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის ნებაყოფლობითი წვლილი მომხმარებელთა უფლებების დაცვაში, რასაც ბიზნესის კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარება შეუწყობს ხელს.

ამჟამად მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით ბიზნესის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით წაყენებული მოთხოვნები მინიმალურია. მიუხედავად ამისა, ეს მინიმალური მოთხოვნებიც ხშირად არ სრულდება. არასაკმარისია ასევე ბიზნესის ინფორმირებულობის დონე მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი საერთაშორისო და შიდა საკანონმდებლო აქტების შესახებ, რაც საქართველოს მთავრობის მხრიდან კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. კერძოდ, საქართველომ, როგორც გაეროს წევრმა ქვეყანამ, ხელი უნდა შეუწყოს გაეროს მიერ რეკომენდებული სახელმძღვანელო მითითებების პოპულარიზაციას ქვეყანაში, აგრეთვე დაუახლოვოს ევროკავშირის კანონმდებლობას ქვეყნის სამართლებრივი ბაზა. ამასთანავე, თუ მთავრობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას, ამას მოჰყვება ბიზნესის ნებაყოფლობითი გააქტიურება მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით (რაც კორპორაციული პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს) – პასუხისმგებელი კომპანია არა მხოლოდ ასრულებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, არამედ ნებაყოფლობით იღებს საკუთარ თავზე მინიმალურ სტანდარტებზე მეტ პასუხისმგებლობას.

5.2. ხარისხის მართვის სისტემების სტანდარტები

ამ კონტექსტში მოკლედ შევჩერდებით საერთაშორისოდ აღიარებულ მენეჯმენტის სტანდარტებზე მომხმარებელთა უფლებებისა და პროდუქციაზე პასუხისმგებლობის სფეროში, კერძოდ, ხარისხის მართვის სისტემების სტანდარტებზე.

169 <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2004:0268:FIN:EN:DOC>

სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხარისხის მართვის სტანდარტების სერია ISO 9000¹⁷⁰

ხარისხის მართვის სისტემათა სტანდარტებიდან ყველაზე ფართოდ გავრცელებული და აღიარებულია სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ მიერ შემუშავებული სტანდარტების სერია ISO 9000.

ISO 9000 ისევე, როგორც ISO 14000-ის სერია, წარმოადგენს მენეჯმენტის სისტემების ზოგად სტანდარტს, რომელიც გამოსადეგია ნებისმიერი ორგანიზაციისთვის მისი საქმიანობის სფეროსა და ზომისაგან დამოუკიდებლად, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში.

ISO 9000 სერია პირველად 1987 წელს გამოქვეყნდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ხანგრძლივი საკონსულტაციო პროცესის შედეგად.

ის ასახავს საერთაშორისოდ აღიარებულ და შეთანხმებულ შეხედულებებს იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ხარისხის მენეჯმენტის ეფექტური სისტემა. გამოქვეყნების დროიდან უწყვეტად მიმდინარეობს ამ სტანდარტების გადახედვა და შესწორება მუდმივმოქმედი ტექნიკური კომიტეტებისა და საკონსულტაციო ჯგუფების მიერ.

ISO 9000 სერია ითვალისწინებს ყველა მახასიათებელს, რომელიც უნდა ჰქონდეს პროდუქციასა თუ სერვისს, რათა დააკმაყოფილოს მომხმარებლის მოთხოვნები ხარისხისადმი, აგრეთვე ეხმარება კომპანიებს საკუთარი პროდუქციის, სერვისებისა და პროცესების უწყვეტ გაუმჯობესებაში. სტანდარტის მიდგომაა: დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე და გააუმჯობესე“.

ISO 9000 სტანდარტის მიხედვით ხარისხის მართვის ძირითადი პრინციპებია:

- მომხმარებლებზე ფოკუსირება (ანუ მომხმარებელთა საჭიროებების კვლევა და გააზრება);
- ორგანიზაციის მომავლის ნათელი ხედვა;
- ორგანიზაციის ყველა დონის თანამშრომელთა ჩართულობა;
- პროცესზე დაფუძნებული მიდგომა (ანუ დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო საქმიანობათა სისტემატური გამოვლენა, აგრეთვე ამ საქმიანობათა მართვაზე პასუხისმგებლობის და ანგარიშვალდებულების განსაზღვრა);
- ორგანიზაციის საქმიანობისა და შედეგების მუდმივი გაუმჯობესება;
- ფაქტებზე დაფუძნებული მიდგომა გადანყვეტილების მიღებისას (ანუ მონაცემებისა და ინფორმაციის სათანადო სიზუსტისა და სანდოობის უზრუნველყოფა, ინფორმაციისა და მონაცემების ანალიზი ქმედითი და აპრობირებული მეთოდებით);
- ორმხრივად სასიკეთო ურთიერთობები მომწოდებლებთან (მაგ., რესურსებისა და ექსპერტიზის გაზიარება პარტნიორებთან).

¹⁷⁰ www.iso.org/iso/en/iso9000-14000/iso9000/iso9000index.html

თუმცა ეს სტანდარტები თავდაპირველად საწარმოო სფეროსათვის შემუშავდა, ამჟამად ის სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებში გამოიყენება. პროდუქტი“ ISO ტერმინოლოგიით გულისხმობს როგორც ფიზიკურ პროდუქტს, ასევე მომსახურებას ან პროგრამულ უზრუნველყოფას (კომპიუტერულ პროგრამებს).

ISO 9000 სერიის ძირითადი სტანდარტია ISO 9001, რომელიც შედგება ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებულ სტანდარტიზებულ მოთხოვნათა მთელი რიგისაგან. არსებობს ISO 9001-ის რამდენიმე ვერსია — 1987, 1994, 2000, 2008 წლების ვერსიები.

თავდაპირველად ISO 9000 სერია მოიცავდა სტანდარტებს ISO 9001, ISO 9002, ISO 9003 და ISO 9004. ISO 9001 სტანდარტის 2000 წლის ვერსიამ გააერთიანა სამი სტანდარტი: ISO 9001, ISO 9002 და ISO 9003. შესაბამისად, ISO 9002 და ISO 9003 გამოვიდა ხმარებიდან როგორც დამოუკიდებელი სტანდარტები და ინტეგრირდა ერთიან სტანდარტში ISO 9001:2000.

რაც შეეხება ISO 9004-ს, ის შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს ხარისხის მართვის სისტემების ცალკეული ელემენტებისა და მიდგომების შესახებ.

ISO 9001 სტანდარტის უკანასკნელ ვერსიას დღეისათვის წარმოადგენს ISO 9001:2008. *ეს არის ერთადერთი სტანდარტი ამ სერიაში, რომელიც სერტიფიცირებას ექვემდებარება, თუმცა სერტიფიცირება არ არის ამ სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნა.*

ISO 9001:2008 სტანდარტის ძირითადი მოთხოვნები შემდეგია:

- შესაბამისი მენეჯმენტის პროცედურების დანერგვა, რომლებიც მოიცავს ყველა ძირითად საქმიანობას;
- მენეჯმენტის პროცედურების მონიტორინგი, რომელიც მათ ეფექტურობას უზრუნველყოფს;
- შესაბამისი ჩანაწერების და აღრიცხვის წარმოება;
- პროდუქციის შემოწმება წუნზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გამოსასწორებელი ღონისძიებების განხორციელება;
- უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

კომპანიას ან ორგანიზაციას, რომელმაც გაიარა დამოუკიდებელი აუდიტი და სერტიფიცირებულია ISO 9001 სტანდარტის შესაბამისად, შეუძლია საჯაროდ განაცხადოს, რომ ის არის სერტიფიცირებული“ ან რეგისტრირებული“ ISO 9001 სტანდარტის მიხედვით.

ISO 9001 სტანდარტის მიხედვით სერტიფიცირება არ უზრუნველყოფს პროდუქციისა და სერვისების ხარისხს, არამედ ის ადასტურებს, რომ საქმიანობაში დანერგილია ფორმალიზებული მენეჯმენტის პროცედურები პროდუქციის ან სერვისების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

კომპანიათა მარკეტინგის დეპარტამენტები ხშირად სარგებლობენ ISO 9000 სერიის შესახებ მომხმარებელთა არასწორი წარმოდგენებით და აცხადებენ, რომ პროდუქტი სერტიფიცირებულია ISO 9000 სტანდარტის მიხედვით, რაც მიუთითებს ამ პროდუქტის ხარისხის შესაბამისობას სტანდარტებთან. რეალურად, ISO 9000 სტანდარტების სერია შეეხება ხარისხის მართვის სისტემებს და არა თავად პროდუქციის ხარისხს, ანუ სერტიფიცირება ხდება არა პროდუქციის ხარისხისა, არამედ პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებისა.

სერტიფიცირება: ISO თავად არ აწარმოებს ორგანიზაციების სერტიფიცირებას. მრავალ ქვეყანაში შექმნილია აკრედიტაციის ორგანოები, რომლებიც აკრედიტებას უკეთებენ სასერტიფიკაციო უწყებებს, რომლებიც, თავის მხრივ, აწარმოებენ ორგანიზაციათა აუდიტს ISO 9001-თან შესაბამისობაზე. ორგანიზაციის ხარისხის მართვის სისტემების სერტიფიცირება შესაძლებელია ISO 9001:2008 სტანდარტის მიხედვით, თუმცა მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც ISO 9000:2000 სერტიფიკატს. როგორც სააკრედიტაციო, ისე სასერტიფიკაციო უწყებები გადასახადს ითხოვენ მომსახურებისათვის. სააკრედიტაციო ორგანოებს ორმხრივი შეთანხმებები აქვთ გაფორმებული, რათა უზრუნველყონ, რომ ერთ-ერთი აკრედიტებული სასერტიფიკაციო ორგანოს მიერ გაცემული სერტიფიკატი მთელი მსოფლიოს მასშტაბით იყოს აღიარებული.

ISO სერტიფიკატი არ გაიცემა ერთხელ და სამუდამოდ. მას გარკვეული პერიოდულობით, ჩვეულებრივ, ყოველ სამ წელიწადში ერთხელ განაახლებენ.

აუდიტი: ISO სტანდარტთან შესაბამისობის დასარეგისტრირებლად ორი ტიპის აუდიტი მოითხოვება: გარე სასერტიფიკაციო ორგანოს მიერ ჩატარებული აუდიტი (გარე აუდიტი) და შიდა აუდიტი, რომელსაც ახორციელებენ ამ მიზნით მომზადებული თანამშრომლები. ამგვარი აუდიტის მიზანია შეფასების უწყვეტი პროცესის წარმართვა, რომელიც უზრუნველყოფს სისტემის სათანადო ფუნქციონირებას, გამოავლენს, სად არის საჭირო გაუმჯობესება, ასევე გამოვლენილი პრობლემების თავიდან აცილების ან გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა. უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევა, რომ შიდა აუდიტორებმა შემოწმება ჩაატარონ საკუთარი საქმიანობის მენეჯმენტის სისტემის ფარგლებს გარეთ, რაც მათ დასკვნებს გარკვეული დამოუკიდებლობის ხარისხს ანიჭებს.

ასეობის აუდიტის საგანგებო სტანდარტი ISO 9011, რომლის გამოყენება შესაძლებელია ISO 9001 მიხედვით აუდიტის ჩასატარებლად ისევე, როგორც რამდენიმე სხვა სტანდარტისათვის (მაგ. EMS (ISO 14001), FSMS (ISO 22000) და სხვა).

ხარისხის მართვის ევროპული ორგანიზაციის (EFQM) ბიზნისის წარჩინების მოდელი¹⁷¹

ხარისხის მართვის ევროპული ორგანიზაცია (European Foundation for Quality Management - EFQM) წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ, არამომგებიან ორგანიზაციას, რომელიც 1988 წელს დაარსა 14 წამყვანმა ევროპულმა კომპანიამ ევროკომისიის მხარდაჭერით. ამჟამად ეს ქსელი 800-ზე მეტ წევრს აერთიანებს. მისი მიზანია წახალისოს და დაეხმაროს ევროპულ ორგანიზაციებს, გააუმჯობესონ თავიანთი მაჩვენებლები მომხმარებელთა და თანამშრომელთა კმაყოფილების, საზოგადოებაზე მოხდენილი ზეგავლენისა და ბიზნეს შედეგების მიმართულებით.

ბიზნისის წარჩინების ევროპული მოდელი“ (European model for business excellence), რომელიც 1991 წელს შემოიღეს და რომელიც ცნობილია EFQM-ის წარჩინების მოდელის“ სახელით (EFQM excellence model), წარმოადგენს ხარისხის გაუმჯობესების ევროპულ სისტემას. მისი მიზანია გააუმჯობესოს ბიზნეს საქმიანობის შედეგები ადამიანებისათვის უკეთესი სამუშაო გარემოს, მომხმარებლებისათვის ხარისხისა და ფასის საუკეთესო კომბინაციის უზრუნველყოფით და საზოგადოებაზე ორგანიზაციის საქმიანობით მოხდენილი ზეგავლენის გათვალისწინებით. EFQM წარჩინების მოდელი წარმოადგენს თვითშეფასების პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიათა მენეჯერებს, ხარისხის მართვის პრინციპები დანერგონ კომპანიის საქმიანობასა და დაინტერესებულ მხარეებთან (თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან და ადგილობრივ თემთან) ურთიერთობაში, ასევე გაზომონ და შეაფასონ მიღწეული შედეგები.

EFQM მოდელის ძირითადი პრინციპებია:

- *შედეგზე ორიენტაცია* – ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის საჭიროებათა დაბალანსებული დაკმაყოფილება;
- *მომხმარებელზე ფოკუსირება* – მომხმარებელი არის პროდუქციისა და სერვისების ხარისხის საბოლოო შემფასებელი;
- *ლიდერობა და მიზნების უცვლელობა* – ორგანიზაციის ლიდერთა ქცევა განაპირობებს ორგანიზაციის მიზნების სიცხადესა და ერთიანობას;
- *პროცესებსა და ფაქტებზე დაფუძნებული მენეჯმენტი* – ორგანიზაცია უფრო ეფექტურია, როდესაც ყველა ურთიერთდაკავშირებული საქმიანობა ერთობლიობაში გაიაზრება და სისტემურად იმართება;
- *ადამიანური რესურსების განვითარება და ჩართულობა* – ორგანიზაციის ადამიანური რესურსების პოტენციური უფრო სრულად გამოვლინდება გაზიარებული ფასეულობების, ნდობისა და ურთიერთგაძლიერების ორგანიზაციული კულტურის პირობებში;

¹⁷¹ <http://www.efqm.org/en/>

- უწყვეტი სწავლება, ინოვაციები და გაუმჯობესება – ორგანიზაციის მიღწევები იზრდება, თუ ორგანიზაციაში დამკვიდრებულია მუდმივი სწავლების, ინოვაციებისა და გაუმჯობესების კულტურა;
- პარტნიორობის განვითარება – ორგანიზაცია უფრო ეფექტურად მუშაობს, როდესაც პარტნიორებთან აქვს ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობა, რომელიც ნდობასა და ცოდნის გაზიარებას ეფუძნება;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა – ორგანიზაციისა და მისი თანამშრომლების გრძელვადიანი ინტერესები უკეთესად მიიღწევა ეთიკური მიდგომების გამოყენებით, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და თემის მოლოდინების დაკმაყოფილების გზით.

6. საერთაშორისო სტანდარტები კორუფციასთან ბრძოლის სფეროში

დღეისათვის კორუფცია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გლობალური პრობლემაა. შესაბამისად, მასთან ბრძოლა საერთაშორისო დონის ამოცანას წარმოადგენს. მსხვილი, მულტინაციონალური კომპანიები, რომლებიც მრავალ სხვადასხვა ქვეყანაში საქმიანობენ (სადაც, ხშირად, ანტიკორუფციული კანონმდებლობა არასაკმარისად განვითარებული ან არასათანადოდ ქმედითია), ხშირად დგებიან კორუფციულ გარიგებათა საფრთხის წინაშე. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ნაციონალური დონის კომპანიათა ძალისხმევა კორუფციის აღმოფხვრის მიზნით. შესაბამისად, კორუფციასთან ბრძოლა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

დღეისათვის შემუშავებულია მთელი რიგი საერთაშორისო თუ რეგიონული ინსტრუმენტებისა, რომლებიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებენ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, აგრეთვე კონკრეტულად ბიზნეს კომპანიათა ქცევას ამ სფეროში.

ინტერამერიკული კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ¹⁷²

1996 წლის 29 მარტს კარაკასში (ვენესუელა) ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის“ (Organization of American States) წევრმა ქვეყნებმა მიიღეს ინტერ-ამერიკული კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ. ის ძალაში შევიდა 1997 წლის 6 მარტს (ამჟამად ამ კონვენციას მიერთებულია ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტის 34 სახელმწიფო). კონვენცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო შეთანხმებას მექრთამეობის წინააღმდეგ, რომელშიც დაფიქსირებულია კორუფციის საერთაშორისო მასშტაბი და დეკლარირებულია სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის აუცილებლობა მისი აღმოფხვრისათვის.

¹⁷² The Inter-American Convention Against Corruption (IACAC). <http://www.oas.org/juridico/english/Treaties/b-58.html>.

კონვენციის II პარაგრაფის თანახმად, მას ორი ძირითადი მიზანი აქვს:

1. კონვენციას მიერთებული ქვეყნების მიერ კორუფციის პრევენციის, გამოვლენის, დასჯისა და აღმოფხვრის მექანიზმების განვითარება და გაძლიერება;
2. კონვენციას მიერთებული ქვეყნების თანამშრომლობის ხელშეწყობა და რეგულირება, რამაც უნდა უზრუნველყოს საჯარო ფუნქციების აღსრულებისას კორუფციის პრევენციის, გამოვლენის, დასჯისა და აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტურობა.

კონვენციით განსაზღვრულია მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებებისა, ასევე ტრანსნაციონალური მექრთამეობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები. ის შეიცავს დებულებებს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გასაძლიერებლად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ორმხრივი სამართლებრივი მხარდაჭერა და ტექნიკური თანამშრომლობა, ექსტრადიცია და იდენტიფიკაცია, კორუფციული ქმედებების გზით მოპოვებული ან გამოყენებული ქონების მიკვლევა, დაყადაღება, კონფისკაცია და ა. შ.

კონვენციის შესრულება კონტროლდება სახელმწიფოთაშორისი მონიტორინგისა და შესაბამისობის შეფასების ყოვლისმომცველი სისტემის მეშვეობით.

გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ¹⁷³

2000 წლის 4 დეკემბრის რეზოლუციით¹⁷⁴ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა კორუფციის წინააღმდეგ ეფექტური საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტის შემუშავების საჭიროება, რომელიც დამოუკიდებელი იქნებოდა გაეროს კონვენციისაგან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ¹⁷⁵. ამგვარი ინსტრუმენტის შემუშავების მიზნით გაერომ მიიღო გადაწყვეტილება სპეციალური მიზნობრივი კომიტეტის დაარსების შესახებ.

კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ტექსტი საგანგებო კომიტეტის 2002-2003 წლებში გამართული შვიდი სესიის მსვლელობისას შეთანხმდა. კონვენციის საბოლოოდ შეთანხმებული ტექსტი გენერალურმა ასამბლეამ 2003 წლის 31 ოქტომბრის რეზოლუციით მიიღო.¹⁷⁶ იმისათვის, რომ კონვენცია ძალაში შესულიყო, საჭირო იყო მისი რატიფიცირება 30 ქვეყნის მიერ. ეკვადორი იყო ოცდამეათე ქვეყანა, რომელმაც რატიფიცირება გაუკეთა მას 2005 წლის 15 სექტემბერს. შესაბამისად, კონვენცია ძალაში შევიდა 2005 წლის 14 დეკემბერს.

¹⁷³ United Nations Convention Against Corruption (<http://www.unodc.org/unodc/en/treaties/CAC/index.html>).

¹⁷⁴ UN General Assembly resolution A/RES/55/61

¹⁷⁵ United Nations Convention against Transnational Organized Crime.

¹⁷⁶ UN General Assembly resolution A/RES/58/4

2009 წლის სექტემბრისათვის კონვენციას უკვე 140 ხელმომწერი ჰყავდა — მას რატიფიცირება გაუკეთა და დაამტკიცა 137-მა წევრმა სახელმწიფომ. საქართველო აღნიშნულ კონვენციას 2008 წლის 4 ნოემბერს შეუერთდა.

ეს კონვენცია არის პირველი საერთაშორისო სავალდებულო ინსტრუმენტი კორუფციასთან ბრძოლის სფეროში. კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ ქვეყნებს განახორციელონ ანტიკორუფციულ ღონისძიებათა ფართო სპექტრი, რაც აისახება ქვეყანათა კანონმდებლობებში, ინსტიტუტებსა და პრაქტიკაში. ამ ღონისძიებათა მიზანია ხელი შეუწყოს კორუფციის პრევენციასა და კრიმინალიზაციას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესაბამის სამართლებრივ რეგულირებას, საერთაშორისო თანამშრომლობას, ტექნიკურ მხარდაჭერასა და ინფორმაციის გაცვლას, ასევე კონვენციის განხორციელების მექანიზმების დანერგვას.

საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპები ბიზნესისათვის

2003 წელს საერთაშორისო გამჭვირვალობისა“ და საერთაშორისო სოციალური ანგარიშგების“ ერთობლივი ინიციატივის ფარგლებში, გამოქვეყნდა მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპები ბიზნესისათვის¹⁷⁷.

პრინციპები“ შეიმუშავა ექსპერტების ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან. ეს დოკუმენტი საკმაოდ საფუძვლიან და ყოვლისმომცველ ინსტრუქციებს შეიცავს კომპანიებისათვის მექრთამეობასთან საბრძოლველად. მისი მიზანია დაეხმაროს კომპანიებს, შეიმუშაონ კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმები საქმიანობის ყველა ეტაპზე.

ბიზნეს პრინციპებში“ ჩამოყალიბებულია ორი ძირითადი დებულება:

- სანარმოები წინ უნდა აღუდგნენ მექრთამეობის ნებისმიერ გამობატულლებას;
- სანარმოებმა უნდა განახორციელონ პროგრამები მექრთამეობის წინააღმდეგ (პროგრამა მოიცავს მექრთამეობის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობათა ერთობლიობას, ქცევის კოდექსს, კომპანიის პოლიტიკასა და პროცედურებს, რისკის მენეჯმენტს, შიდა და გარე კომუნიკაციას, ტრენინგსა და შიდა კონტროლს, მეთვალყურეობას, მონიტორინგსა და გარე შეფასებას).

მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპები ბიზნესისათვის საყოველთაოდ იქნა აღიარებული, როგორც ანტიკორუფციული პროგრამების ერთ-ერთი

¹⁷⁷ Transparency International Business Principles for Countering Bribery. (http://www.asce.org/files/pdf/global/tibusiness_principles2.pdf).

ძირითადი სტანდარტი. მსოფლიოს მრავალი წამყვანი კომპანია ეფუძნება ამ პრინციპებს საკუთარი ანტიკორუფციული პროგრამებისა და პოლიტიკის შემუშავებისას. ეს პრინციპები აგრეთვე საფუძველს წარმოადგენს ანტიკორუფციული ქცევის კოდექსებისა და ნებაყოფლობითი ინიციატივებისათვის.

მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპები“ შესაბამისობაშია ბოლო ხანებში ამ სფეროში შემუშავებულ ძირითად საერთაშორისო ინსტრუმენტებთან (როგორებიცაა OECD კონვენცია საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციებში უცხოელი საჯარო მოხელეების მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ, ICC ქცევის წესები მექრთამეობისა და გამომძალველობის წინააღმდეგ, OECD-ის სახელმძღვანელო მითითებების“ შესაბამისი პარაგრაფები – მათ შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი) და პრაქტიკულ რეკომენდაციებს შეიცავს მათ დასაწერად.

2009 წელს გამოქვეყნდა ამ პრინციპების მეორე, განახლებული რედაქცია, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს საჯარო ანგარიშგებას კომპანიის ანტიკორუფციული სისტემებისა და ღონისძიებების შესახებ, აგრეთვე რეკომენდაციას აძლევს საწარმოებს გარე შეფასება ჩაუტარონ საკუთარ ანტიკორუფციულ პროგრამებს.¹⁷⁸

2008 წლის იანვარში კი საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ გამოაქვეყნა მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპების ახალი ვერსია, რომელიც განკუთვნილია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის.¹⁷⁹ აქ განმარტებულია, თუ რა პროცესების მეშვეობით შეუძლიათ მცირე და საშუალო საწარმოებს ანტიკორუფციული პროგრამების შემუშავება, მათი ზომისა და რესურსების გათვალისწინებით. საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აგრეთვე ურჩევს მსხვილ კომპანიებს, გააცნონ ბიზნეს პრინციპების“ ეს რედაქცია საკუთარ მიმწოდებლებს და მოითხოვონ მათგან მექრთამეობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება და დანერგვა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) ქცევის წესები მექრთამეობისა და გამომძალველობის წინააღმდეგ¹⁸⁰

ჯერ კიდევ 1977 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატამ (International Chamber of Commerce/ICC)¹⁸¹ გამოაქვეყნა თავისი პირველი ანგარიში საერთაშორისო ბიზნეს ტრანსაქციებში გამომძალველობისა და მექრთამეობის შესახებ. ეს ანგარიში მოიცავდა გამომძალველობისა და მექრთამეობის წინააღმდეგ ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსის თავდაპირველ ვერსიას,

¹⁷⁸ 2009 წლის განახლებული რედაქცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://www.oecd.org/dataoecd/1/52/44475002.pdf>

¹⁷⁹ http://www.transparency.org/content/download/29197/443933/file/BusinessPrinciples_SME30Jan2008.pdf

¹⁸⁰ ICC Rules of Conduct to Combat Extortion and Bribery.

¹⁸¹ <http://www.iccwbo.org/>

რომლის დანერგვასაც ურჩევდა საწარმოებს საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

1990-იანი წლების კორუფციულმა სკანდალებმა კვლავ საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოაქცია კორუფციის საკითხი. 1996 წელს საერთაშორისო სავაჭრო პალატამ გამოაქვეყნა თავისი მეორე ანგარიში, რომელიც შეიცავდა მექრთამეობისა და გამომძალველობის წინააღმდეგ ქცევის წესების საფუძვლიანად განახლებულ ვერსიას.¹⁸²

2005 წელს კი გამოქვეყნდა ამ ქცევის წესების“ ახალი რედაქცია,¹⁸³ რომელიც ასახავდა უკანასკნელი წლების გამოცდილებას და ითვალისწინებდა ბოლო ხანებში შემუშავებულ საერთაშორისო ანტიკორუფციულ ინსტრუმენტებსა და ინიციატივებს (მაგ., გაეროს კონვენციას კორუფციის წინააღმდეგ, საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მექრთამეობასთან ბრძოლის პრინციპებს ბიზნესისათვის, გაეროს გლობალური შეთანხმების მე-10 პრინციპს და სხვ.).

2005 წლის განახლებული რედაქცია სამი ნაწილისაგან შედგება: პირველი ნაწილი შეიცავს ქცევის ნებაყოფლობით წესებსა და განხორციელების პროცედურებს საწარმოებისათვის; მეორე ნაწილი შეეხება ICC ანტიკორუფციული კომისიის მიერ განხორციელებულ საქმიანობას აღნიშნული ქცევის წესების დასაწერად; ხოლო მესამე ნაწილში განხილულია ICC ანტიკორუფციული კომისიის მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ეროვნულ მთავრობებთან – ეს ნაწილი მიზნად ისახავს მექრთამეობისა და გამომძალველობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეგულირების განმტკიცებას.

ICC ქცევის წესები მექრთამეობისა და გამომძალველობის წინააღმდეგ წარმოადგენს მსხვილი, საერთაშორისო კომპანიების თვითრეგულირების ინსტრუმენტს, რომელსაც მრავალი ქვეყნის მთავრობა უჭერს მხარს. მათი ნებაყოფლობითი განხორციელება კომპანიების მიერ ხელს უწყობს ბიზნეს ტრანსაქციებში პატიოსნების მაღალი სტანდარტების დანერგვას — იქნება ეს ტრანსაქციები საწარმოთა შორის თუ საწარმოებსა და სავაჭრო უწყებებს შორის.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ICC ანტიკორუფციულმა კომისიამ გამოაქვეყნა სახელმძღვანელო კორუფციასთან ბრძოლა – სახელმძღვანელო ბიზნეს კომპანიებისათვის“,¹⁸⁴ რომელშიც დანვრილებითი პრაქტიკული რჩევებია მოცემული, თუ როგორ უნდა დაიცვას კომპანიამ ICC ქცევის წესებთან და OECD კონვენციასთან შესაბამისობა და განხორციელოს ეფექტური და კარგად მართული ანტიკორუფციული პროგრამა. სახელ-

¹⁸² 1996 წლის რედაქცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.iccwbo.org/id904/index.html>

¹⁸³ 2005 წლის რედაქცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: http://www.iccwbo.org/uploadedFiles/ICC/policy/anticorruption/Statements/ICC_Rules_of_Conduct_and_Recommendations%20_2005%20Revision.pdf

¹⁸⁴ Fighting Corruption, A Corporate Practices Manual.

მძღვანელო პირველად 1999 წელს გამოქვეყნდა, ხოლო 2003 წელს მისი განახლებული რედაქცია გამოიცა.

OECD კონვენცია საერთაშორისო ბიზნეს ტრანსაქციებში უცხოელი საჯარო მოხელეების მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ¹⁸⁵

OECD-ის კონვენცია საერთაშორისო ბიზნეს ტრანსაქციებში უცხოელი საჯარო მოხელეების კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“ წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც საერთაშორისო დონეზე არეგულირებს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ანტიკორუფციულ ასპექტს.

აღნიშნულ კონვენციას ხელი მოწერა 1997 წლის 17 დეკემბერს, ხოლო 1999 წლის 15 თებერვალს კონვენცია ძალაში შევიდა. ამჟამად მას მიერთებულია OECD-ის წევრი 34 ქვეყანა და 4 არაწევრი ქვეყანა (არგენტინა, ბრაზილია, ბულგარეთი, სამხრეთ აფრიკა).¹⁸⁶ აღნიშნული ქვეყნები ვალდებულებას იღებენ, შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ ნაციონალურ კანონმდებლობაში, რაც უზრუნველყოფს კონვენციასთან შესაბამისობას.

OECD-ის კონვენცია აყალიბებს სამართლებრივად სავალდებულო სტანდარტებს საერთაშორისო ბიზნეს ტრანსაქციებში უცხოელი მოხელეების მოქრთამვის კრიმინალიზაციისთვის და განსაზღვრავს, რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო ამ სტანდარტის განსახორციელებლად. ის წარმოადგენს ერთადერთ საერთაშორისო ანტიკორუფციულ ინსტრუმენტს, რომელიც კონცენტრირდება მექრთამეობის მიმწოდებელ მხარეზე“ (ანუ ქრთამის შემთავაზებელზე).

კონვენცია უზრუნველყოფს ხელმოწერილი ქვეყნების შეთანხმებულ ქმედებებს ისეთი ეროვნული კანონმდებლობების შემუშავებისათვის, რომელიც დანაშაულად მიიჩნევა უცხოელი საჯარო მოხელეების მოქრთამვას. კონვენციაში წარმოდგენილია მექრთამეობის“ საკმაოდ ფართო განსაზღვრება; იგი მოუწოდებს ქვეყნებს აღმოუჩინონ ერთმანეთს სამართლებრივი დახმარება და დაანესონ სანქციები მექრთამეობის წინააღმდეგ.

კონვენციის ძალაში შესვლისთანავე, 1999 წელს, OECD-ის ხელმძღვანელობით დაიწყო სკურპულოზური მეთვალყურეობის პროცესი, რომლის მიზანი იყო კონვენციასთან შესაბამისობის მონიტორინგი და ეროვნულ კანონმდებლობებში შესაბამისი ცვლილებების შესატანად ქვეყნების მიერ გადადგმული ნაბიჯების შეფასება.

ზემოთ აღწერილთა გარდა, ბიზნეს საქმიანობაში ანტიკორუფციულ ღონისძიებებსა და მიდგომებს საერთაშორისო დონეზე არეგულირებს

¹⁸⁵ OECD Convention on Combating Bribery of Foreign Public Officials in International Business Transactions. (<http://www.oecd.org/dataoecd/4/18/38028044.pdf>)

¹⁸⁶ http://www.oecd.org/document/20/0,3343,en_2649_34859_2017813_1_1_1_1,00.html

აგრეთვე **მრავალეროვანი სანარმოებისათვის OECD-ის სახელმძღვანელო მითითებების**“ შესაბამისი პარაგრაფები, კერძოდ კი მისი VI თავი — მექრთამეობასთან ბრძოლა (OECD სახელმძღვანელო მითითებების შესახებ ამ თავის პირველ პარაგრაფში უკვე გვქონდა საუბარი).

საქართველოს კონტექსტის ანალიზი: უკანასკნელ წლებში საქართველოს ხელისუფლების სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს ეფექტური, პროფესიონალი, პატიოსანი და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, მმართველობის დემოკრატიული სისტემის განმტკიცება, რისთვისაც მკაცრი ანტიკორუფციული პოლიტიკის გატარება გახდა საჭირო. მთავრობა კვლავ აგრძელებს ანტიკორუფციული ღონისძიებების აღებულ კურსს და თუკი ბიზნეს სექტორიც თავის წვლილს შეიტანს მოცემულ საკითხში, პრობლემა დროულად და უფრო ეფექტურად მოგვარდება. დღესდღეობით საერთაშორისო მასშტაბით კორუფციასთან ბრძოლაში საქართველო ჩართულია როგორც კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფო ჯგუფის (GRECO) წევრი, რომლის დაარსების თაობაზე ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის 1998 წლის 27 მარტის (98) რეზოლუციას¹⁸⁷ საქართველოს პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა 1999 წლის 8 სექტემბერს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო აგრეთვე მიერთებულია გაეროს კონვენციას კორუფციის წინააღმდეგ.

სამწუხაროდ, საქართველო არ არის მიერთებული OECD კონვენციას საერთაშორისო ბიზნეს-ტრანსაქციებში უცხოელი საჯარო მოხელეების მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ. როგორც ზემოთ დავინახეთ, გარდა OECD-ის წევრი ქვეყნებისა, აღნიშნულ კონვენციასთან მიერთებულია კიდევ ოთხი ქვეყანა. საქართველოსათვისაც ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება ამ კონვენციასთან შეერთება და შესაბამისი ვალდებულებების აღება, რითაც საერთაშორისო დონეზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდება საქართველოს მთავრობის ანტიკორუფციული პოლიტიკა და, მეორე მხრივ, ჩამოყალიბდება გარკვეული სამართლებრივი ჩარჩო ანტიკორუფციულ ძალისხმევაში ბიზნესის ჩართულობისათვის.

7. მდგრადი განვითარების ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

გამჭვირვალობა და ანგარიშგება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსებითი კომპონენტებია.

დღევანდელ მსოფლიოში საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რომ კომპანია სოციალურად პასუხისმგებელი იყოს, არამედ ისიც, რომ იგი საკუთარი საქმიანობით მოხდენილი ზეგავლენის შესახებ ინფორმაციას აწვდიდეს საზოგადოებას, აგრეთვე ეფექტურ კომუნიკა-

¹⁸⁷ [http://www.coe.int/t/dg1/greco/documents/2002/Greco\(2002\)1_EN.pdf](http://www.coe.int/t/dg1/greco/documents/2002/Greco(2002)1_EN.pdf)

ციას ახორციელებდეს საზოგადოების აზრის, მოლოდინებისა და პრიორიტეტული პრობლემების გამოსავლენად. სწორედ ამგვარი კომუნიკაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს მდგრადი განვითარების ანგარიში.

„მდგრადი განვითარების ანგარიში“ ფართო მნიშვნელობის ტერმინია. ის არის სინონიმი სხვა მსგავსი ტერმინებისა, მაგ., სოციალური ანგარიში, კორპორაციული პასუხისმგებლობის ანგარიში, არაფინანსური ანგარიში და მისთ.

მდგრადი განვითარების ცნების ტრადიციული განმარტება ასეთია: *მდგრადი განვითარების მიზანია „დააკმაყოფილოს დღევანდელი მოთხოვნები ისე, რომ არ დააზარალოს მომავალი თაობები და საფრთხის წინაშე არ დააყენოს მათ მიერ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილება.“ (World Commission on Environment and Development. Our Common Future. Oxford: Oxford University Press, 1987).*

გამოყოფენ მდგრადი განვითარების სამ ძირითად ასპექტს — ეკონომიკურს, ეკოლოგიურსა და სოციალურს – რომელთა ერთობლიობაც ქმნის მდგრად განვითარებას.

მდგრადი განვითარების ანგარიშში საჯაროდ არის გაცხადებული კომპანიის საქმიანობის ზეგავლენა მდგრადი განვითარების ცნებასთან დაკავშირებულ სამ სფეროზე — ეკონომიკურზე, გარემოსდაცვითსა და სოციალურზე.

ეკონომიკურ სფეროში კომპანიის საქმიანობის ზემოქმედება განისაზღვრება იმით, თუ რა ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობა უფრო ფართო ეკონომიკურ სისტემებზე — რეგიონის და ქვეყნის ეკონომიკაზე, ტრანსნაციონალური კომპანიების შემთხვევაში – გლობალურ ეკონომიკაზე, ასევე რა ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობა დაინტერესებული მხარეების – ფინანსური კაპიტალის მომწოდებლების, ინვესტორებისა და აქციონერების ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

გარემოსდაცვით სფეროში კომპანიის საქმიანობის ზეგავლენა მოიცავს კომპანიის საქმიანობით გამოწვეულ ზეგავლენას ეკოსისტემებზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალზე, ბუნებრივ რესურსებზე, ბიომრავალფეროვნებაზე, ფლორასა და ფაუნაზე.

სოციალურ სფეროში მოხდენილი ზეგავლენა ასახავს კომპანიის საქმიანობის ზეგავლენას იმ სოციალურ სისტემებზე, რომელთა ფარგლებშიც იგი ფუნქციონირებს.

მდგრადი განვითარების ანგარიში არის დოკუმენტი, რომელიც ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეებს (მაგ., თანამშრომლებს, ინვესტორებს, აქციონერებს, პარტნიორებს, მომწოდებლებს, მომხმარებლებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვა კომპანიებს და ზოგადად საზოგადოებას) საჯაროდ აცნობს, თუ როგორია კომპანიის პრიორიტეტები და ეთიკური ფასეულობები, როგორ ურთიერთობს კომპანია მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებსა და სოციალურ ჯგუფებთან, როგორ იღებს მონაწილეობას ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებაში, სოციალური კეთილდღეობისა და ეკოლოგიური სტაბილურობის მიღწევაში.

არსებითად, მდგრადი განვითარების ანგარიში პასუხს სცემს იმ ძირითად შეკითხვებს, რომლებიც დაინტერესებულ მხარეებსა და ფართო საზოგადოებას შეიძლება გაუჩნდეს კომპანიის საქმიანობის შესახებ.

ეს ანგარიში უნდა შეიცავდეს დაბალანსებულ და დასაბუთებულ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების შესახებ.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიში ეფუძნებოდეს ანგარიშგების სტანდარტულ, საყოველთაოდ აღიარებულ ფორმატს, რაც მეტ სანდოობას ანიჭებს ანგარიშში წარმოდგენილ ინფორმაციას და ადვილად გასაგებს ხდის მონაცემებს კომპანიის საქმიანობის შესახებ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

ანგარიშგების სტანდარტები არის ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის საშუალება და იმავდროულად მენეჯმენტის ინსტრუმენტი, რომელიც კომპანიას ეხმარება უფრო სისტემური მიდგომები გამოიყენოს, გაზომოს მიღწეული შედეგები, განსაზღვროს სტრატეგია და დაისახოს მიზნები გაუმჯობესების მისაღწევად მდგრადი განვითარების კონტექსტში.

დღეისათვის ანგარიშგების ყველაზე უფრო გავრცელებული და საყოველთაოდ აღიარებულია საერთაშორისო ანგარიშგების სტანდარტები GRI და AA 1000, რომლებიც ანგარიშგების სხვადასხვა ასპექტს არეგულირებს და ურთიერთთავსებადია. წინამდებარე თავში სწორედ ამ სტანდარტებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) სტანდარტი

ანგარიშგების გლობალური ინიციატივა (Global Reporting Initiative/ GRI) 1997 წელს დაარსდა იმ მიზნით, რომ შეემუშავებინა ყველა ტიპის ორგანიზაციისათვის გამოსადეგი ანგარიშგების უნივერსალური ფორმატი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სტანდარტიზებული მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადება.

მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის, ანუ 1997 წლისათვის მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მეტი კომპანია ითვალისწინებდა თავის საქმიანობაში მდგრადი განვითარების პრინციპებს და ანგარიშებს წარმოადგენდა ცალკეული სფეროების მიხედვით, მაგალითად, გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შესახებ ან სოციალურ სფეროში შეტანილი წვლილის შესახებ, ჯერ კიდევ არ არსებობდა ერთიანი სტანდარტული ფორმატი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა მდგრადი განვითარების ყველა ასპექტის შესახებ ანგარიშის მომზადება.

სწორედ ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად GRI-მ შეიმუშავა ანგარიშგების ერთიანი სტანდარტული ფორმატი.

თავდაპირველად შეიქმნა სახელმძღვანელო მითითებების სამუშაო ვარიანტი, რომელიც გამოსცადა დაახლოებით 20 მსხვილმა კომპანიამ. 1999 წელს გამოქვეყნდა ამ ფორმატის სახელმძღვანელო მითითებების პირველი, სამუშაო ვერსია. მისი პრეზენტაცია მოხდა ლონდონის კონფერენციაზე, იგი დაეგზავნა მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა კომპანიასა და დაინტერესებულ მხარეს, რათა მათ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები და მოეხდინათ ამ სახელმძღვანელო მითითებების ტესტირება.

ამ შენიშვნებისა და კომენტარების საფუძველზე მომზადდა და 2002 წელს გამოიცა სახელმძღვანელო მითითებების მეორე ვერსია (G2). ხოლო 2006 წელს, სამწლიანი მუშაობის შედეგად, რომელშიც ჩართული იყო სხვადასხვა სექტორში დასაქმებული 3000-ზე მეტი ადამიანი მთელი მსოფლიოდან (ბიზნეს სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების, პროფკავშირებისა და სხვა პროფესიული ინსტიტუტების წარმომადგენლები), გამოვიდა კიდევ უფრო დახვეწილი და გაუმჯობესებული მესამე ვერსია (G3), რომლის პრეზენტაციაც გაიმართა 2006 წლის 4-6 ოქტომბერს, ამსტერდამში, მასშტაბურ კონფერენციაზე.

ამრიგად, ეს სახელმძღვანელო მითითებები არის მრავალი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლის ერთობლივი მუშაობის შედეგი და ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს.

ამ ფორმატის მიხედვით ანგარიშის მომზადება შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას, მისი საქმიანობის სფეროს, ზომისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად. იგი მოიცავს მდგრადი განვითარების სამივე ასპექტს და ითვალისწინებს იმ მრავალმხრივ თავისებურებებს, რომლებიც შეიძლება ახასიათებდეს როგორც მცირე საწარმოებს, ისე მსხვილ, მულტინაციონალურ კომპანიებს. ფორმატი უზრუნველყოფს, რომ შესაძლებელი იყოს ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემების გაზომვა და გადამოწმება, აგრეთვე სხვადასხვა კომპანიათა ანგარიშებში წარმოდგენილი მონაცემების ან ერთი კომპანიის წლიდან წლამდე მონაცემების შედარება. GRI ფორმატი შეთანხმებულია ანგარიშგების სხვა არსებულ ინიციატივებთან (მაგ. ISO 14000, SA 8000).

დღეისათვის GRI მესამე თაობის ანგარიშგების ფორმატი (G3) მსოფლიოში ყველაზე უფრო გავრცელებული და ფართოდ აღიარებული ფორმატია. ყოველწლიურად ასობით კომპანია მსოფლიოს ხუთივე კონტინენტიდან ამ ფორმატის მიხედვით წარმოადგენს ანგარიშებს, რომლებიც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

GRI ანგარიშგების ფორმატი ორგანიზაციებს აწვდის დეტალურ მითითებებს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ მდგრად განვითარებაში საკუთარი საქმიანობით შეტანილი წვლილისა და მოხდენილი ზეგავლენის შესახებ.

ფორმატი შეიცავს: მდგრადი განვითარების ანგარიშის სახელმძღვანელო მითითებებს“, ინდიკატორთა პროტოკოლებს, ტექნიკურ პროტოკოლებს და სექტორულ დანართებს.

ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს სახელმძღვანელო მითითებები“, რომლის მიხედვითაც უნდა მომზადდეს ანგარიში. იგი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება: ა) ანგარიშგების პრინციპებისა და ინსტრუქციების; ბ) ანგარიშის სტანდარტული კომპონენტების აღწერისაგან (ანგარიშის სტანდარტული კომპონენტები, თავის მხრივ, მოიცავს სამი ტიპის მონაცემებს: ინფორმაციას ორგანიზაციის შესახებ, ინფორმაციას მენეჯმენტის მიდგომების შესახებ და საქმიანობის შედეგების შეფასების 79 ინდიკატორს, რომლებიც დაჯგუფებულია ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით კატეგორიებად (მდგრადი განვითარების სამი ასპექტის მიხედვით).

დანარჩენი დოკუმენტები არის დანართები, რომლებიც აზუსტებს და აკონკრეტებს სახელმძღვანელო მითითებებს“, შეიცავს დამატებით ინფორმაციას სხვადასხვა სექტორისათვის და ა. შ.

კერძოდ, ინდიკატორთა პროტოკოლები და ტექნიკური პროტოკოლები გვანვდის მითითებებსა და ინსტრუქციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა წარმოვადგინოთ ინფორმაცია თითოეული ინდიკატორისათვის, აგრეთვე შეიცავს ტერმინთა განმარტებებს, მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიას და სხვა ტექნიკურ მითითებებს.

სექტორული დანართები ავსებს G3 სახელმძღვანელო მითითებებს“. ამ დანართებში ასახულია მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, რომლებიც სხვადასხვა სექტორში დასაქმებული ორგანიზაციებისათვის არის აქტუალური, მაგალითად, ნედლეულის მოპოვების, საავტომობილო, საფინანსო სფეროში დასაქმებული ორგანიზაციებისათვის, ასევე საჯარო სექტორის ორგანიზაციებისათვის და სხვ. უახლოეს მომავალში შემუშავებული იქნება ეროვნული დანართები, რომელთა გამოყენება შეიძლება სახელმძღვანელო მითითებებთან“ ერთად და რომლებიც ასახავს მდგრადი განვითარების საკითხებს ქვეყნის ან რეგიონის კონტექსტში.

ანგარიშგების სტანდარტების სერია AA(AccountAbility) 1000

სოციალური და ეთიკური ანგარიშგების ინსტიტუტი (Institute of Social and Ethical Accountability / ISEA),¹⁸⁸ რომელსაც შემოკლებით AccountAbility-ს უწოდებენ, წარმოადგენს საერთაშორისო, არამომგებიან, პროფესიულ ორგანიზაციას. მისი მიზანია ეთიკური, სოციალური და ერთიანი ორგანიზაციული ანგარიშგების ხელშეწყობა და მისი ხარისხის უზრუნველყოფა.

ინსტიტუტი 1995 წელს დაარსდა ლონდონში. მისი საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროს. მას მართავს საერთაშორისო საბჭო, რომელიც აერთიანებს ბიზ-

¹⁸⁸ <http://www.accountability.org.uk>

ნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების, საკონსულტაციო და კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. 1999 წელს სოციალური და ეთიკური ანგარიშების ინსტიტუტმა გამოაქვეყნა სტანდარტების სერია AA1000 (AccountAbility 1000).¹⁸⁹

AA1000 სერია წარმოადგენს ორგანიზაციის მდგრადი განვითარების ანგარიშების, მასთან დაკავშირებული პროცესების სანდოობისა და ხარისხის შეფასების, დადასტურებისა და გაუმჯობესების ინსტრუმენტს. ეს არის ზოგადი სტანდარტები, რომლებიც გამოსადეგია ნებისმიერი ზომის ნებისმიერ ქვეყანასა თუ რეგიონში დასაქმებული, ნებისმიერი სექტორის ორგანიზაციისათვის (ბიზნეს კომპანიების, საჯარო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩათვლით).

AA1000 სტანდარტები თავსებადია ზემოთგანხილულ GRI ანგარიშგების სტანდარტთან. მათი მიზანია დაეხმაროს ორგანიზაციებს გაუმჯობესონ მდგრადი განვითარების ანგარიშგება და საკუთარი საქმიანობის მაჩვენებლები მდგრადი განვითარების კონტექსტში, კერძოდ კი, დაეხმარონ ორგანიზაციებს ინდიკატორების, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაში, ასევე მიღწეული წარმატების გაზომვაში, საქმიანობის აუდიტსა და მის შესახებ ანგარიშგებაში, ასევე უკუკავშირის მიღების მექანიზმების ჩამოყალიბებაში.

AA1000 სერია ამჟამად შემდეგ სტანდარტებს მოიცავს:

- ✓ AA1000 APS (Accountability Principles Standard) ანგარიშგების პრინციპების სტანდარტი 2008;
- ✓ AA 1000 AS (AA100 Assurance Standard 2008) გარე შეფასების/დამოწმების სტანდარტი;
- ✓ AA 1000 SES (AA1000 Stakeholder Engagement Standard) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სტანდარტი.

თავდაპირველად, 1999 წელს გამოქვეყნდა AA1000 ჩარჩო-სტანდარტი (AA1000 Framework Standard), რომელიც მოიცავდა ცალკეულ თავებს მიზნებსა და პრინციპებზე, ინტეგრაციის სისტემაზე, გარე შეფასებაზე, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაზე. 2003 წელს გამოქვეყნდა AA 1000 AS გარე შეფასების/დამოწმების სტანდარტი, რომელიც შემუშავდა ხანგრძლივი საკონსულტაციო პროცესის შედეგად. მას მოჰყვა 2005 წელს AA 1000 SAS დაინტერესებული მხარეების ჩართულობის სტანდარტის გამოქვეყნება. ამ ორმა სტანდარტმა ჩაანაცვლა 1999 წლის თავდაპირველ ჩარჩო-სტანდარტში წარმოდგენილი ცალკეული სექციები შესაბამის საკითხებზე.

189 <http://www.accountability.org/default.aspx?id=228>

AA 1000 AS – გარე შეფასების/დამონმების სტანდარტი: როგორც აღვნიშნეთ, ამ სტანდარტის პირველი ვერსია დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით გამოქვეყნდა 2003 წელს. 2008 წელს ხანგრძლივი საკონსულტაციო პროცესის შედეგად, რომელშიც მრავალი დაინტერესებული მხარე იყო ჩართული, გამოქვეყნდა AA1000AS სტანდარტის ახალი, შესწორებული ვერსია.

AA1000AS სტანდარტი, უპირველეს ყოვლისა, შემუშავებულია შემფასებლებისათვის და შეეხება შეფასების/გადამონმების პროცესს. ის წარმოადგენს წამყვან საერთაშორისო სტანდარტს CSR ანგარიშების შესაფასებლად. გარე შეფასება/დამონმება უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების ანგარიშის ხარისხსა და სანდოობას. AA1000AS სტანდარტი მოიცავს ინსტრუქციებს შეფასების პროცესის ძირითადი ელემენტების შესახებ, ამ პროცესის უზრუნველყოფის პრინციპებს, საჯარო შეფასების/ვერიფიკაციის განაცხადის ძირითად ელემენტებს, აგრეთვე დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და კომპეტენტურობის მოთხოვნებს გარე შემფასებელთათვის. სტანდარტი მიზნად ისახავს შეავსოს GRI ანგარიშების მითითებები და სხვა სტანდარტიზებული თუ კომპანიის მიერ შემუშავებული ანგარიშების სისტემები.

სტანდარტი შემფასებლისაგან მოითხოვს ყურადღება მიაქციოს მენეჯმენტის სისტემებს, მიდგომებსა და პროცესებს, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას. შემფასებლის მიზანია დაადგინოს, თუ რამდენად შეესაბამება ორგანიზაციის საქმიანობა ანგარიშვალდებულების პრინციპებს.

AA1000 AS შეფასების სტანდარტი არ ექვემდებარება სერტიფიცირებას. ის ეხმარება ორგანიზაციას, გამოავლინოს საკუთარი სუსტი მხარეები და რეაგირება მოახდინოს მათზე. ამდენად, ეს სტანდარტი უფრო მენეჯმენტის სისტემას წარმოადგენს და არა მენეჯმენტის სისტემის სტანდარტს.

AA 1000 APS ანგარიშების პრინციპების სტანდარტი: ანგარიშების პრინციპები თავდაპირველად ინტეგრირებული იყო გარე შეფასების სტანდარტის (AA 1000 AS) 2003 წლის რედაქციაში. როდესაც 2008 წელს გამოქვეყნდა გარე შეფასების სტანდარტის ახალი რედაქცია (AA 1000 AS 2008), ანგარიშების პრინციპები გამოეყო მას და ცალკე დოკუმენტად გამოქვეყნდა (იმავე 2008 წელს), როგორც ანგარიშების პრინციპების სტანდარტი AA 1000 APS. ამ ორი სტანდარტის განცალკევების მიზანი იყო ორგანიზაციისა და გარე შემფასებლის ფუნქციებისა და როლების გამიჯვნა.

ანგარიშების პრინციპების სტანდარტი AA 1000 APS მოქნილია და სრულად მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობას. ეს პრინციპები ეხმარება ორგანიზაციას, გაიაზროს მდგრადი განვითარების საკითხები, რო-

მელთაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ მისი საქმიანობის შედეგებზე, ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და გრძელვადიანი ფინანსური შედეგების ჩათვლით, პრიორიტეტი მიანიჭოს ამ საკითხებს, ხოლო შემდეგ შეიმუშაოს პასუხისმგებელი ბიზნეს სტრატეგია და ჩამოაყალიბოს საქმიანობის მიზნები.

AA 1000 APS სტანდარტში ჩამოყალიბებული ანგარიშგების ძირითადი პრინციპებია: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პრინციპი; არსებობის პრინციპი (რაც გულისხმობს ორგანიზაციის საქმიანობისათვის არსებითი საკითხების გამოვლენას და მათზე კონცენტრირებას) და რეაგირების პრინციპი (რაც გულისხმობს რეაგირებას იმ საკითხებზე, რომლებიც ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე ახდენს ზეგავლენას მდგრადი განვითარების კონტექსტში). ეს არ არის სავალდებულო ნორმები, არამედ სახელმძღვანელო პრინციპებია. ისინი შესაძლებლობას აძლევს ორგანიზაციას ყურადღება მიაპყროს იმ საკითხებს, რომლებიც კონკრეტულად მისთვის არის არსებითი, აგრეთვე ინსტრუქციებს აწვდის, თუ როგორ უნდა გამოავლინოს და გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები და მართოს არაფინანსური რისკები.

AA 1000 SES დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სტანდარტი წარმოადგენს პირველ საერთაშორისო სტანდარტს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სფეროში. ის შეიცავს დეტალურ ინსტრუქციებს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვის ეფექტური და სანდო მექანიზმების შესახებ და ეხმარება ორგანიზაციას უზრუნველყოს, რომ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესი იყოს ჯანსაღი, ქმედითი და შედეგზე ორიენტირებული.

სტანდარტის პირველი რედაქცია 2005 წელს გამოქვეყნდა. 2009 წელს დაიწყო ამ სტანდარტის ახალ რედაქციაზე მუშაობა. ამჟამად მიმდინარეობს განხილვები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან სტანდარტის დასახვეწად.

შრომითი საქმიანობისა და სოციალური ანგარიშგების სტანდარტი SA 8000 (Social Accountability 8000)

აქვე უნდა აღინიშნოს აგრეთვე სოციალური ანგარიშგების სტანდარტი SA 8000 (Social Accountability 8000). ეს არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც ერთდროულად შრომით უფლებებს, კერძოდ კი, სამუშაო პირობებს ეხება და ანგარიშგებასაც. ის დაწვრილებით იყო განხილული ზემოთ, ამ თავის III პარაგრაფში (შრომითი საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტები და ინსტრუმენტები).

* * *

ზემოთ განხილული საერთაშორისო შეთანხმებები, სახელმძღვანელო მითითებები, კოდექსები და სტანდარტები არ წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტისა და კომპონენტის მარეგულირებელი ინსტრუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს. ამგვარი ინსტრუმენტები ბევრად უფრო მრავალრიცხოვანია. ამ თავში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტები.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დღესდღეობით საქართველოს მიერ აღიარებული საერთაშორისო შეთანხმებების, კონვენციების, ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სახელმძღვანელო მითითებების სახით უკვე არსებობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი გარკვეული საკანონმდებლო ბაზა.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ქვეყანაში მოქმედი ყველა სხვა სამართლებრივი აქტის მიმართ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ როდესაც საქართველო უერთდება ამა თუ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებას, მისი დაცვა სავალდებულო ხდება ქვეყანაში მოქმედი ყველა ბიზნეს კომპანიისათვის ისევე, როგორც ფიზიკური პირების, სხვა ორგანიზაციისა და სახელმწიფო უწყებისათვის. შესაბამისად, ბიზნეს სექტორმა კარგად უნდა გააცნობიეროს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებები.

გარდა ამისა, ზოგიერთი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტით თუ სახელმძღვანელო მითითებებით შეთანხმებული უფლებებისა და ვალდებულებების დაცვა საქართველოს ბიზნეს სექტორის ნებაყოფლობით არჩევანს წარმოადგენს, ხოლო ამ არჩევანის მასტიმულირებელი ფუნქცია საქართველოს მთავრობამ საკუთარ თავზე უნდა აიღოს.

საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ბიზნეს სექტორის ცნობიერების დონის ამაღლებას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი სტანდარტების შესახებ და უზრუნველყოს მოცემული სტანდარტების პოპულარიზაცია. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ბაზის შემდგომ დახვეწას საქართველოში და კონვენციებით აღებული ვალდებულებებისა თუ ნებაყოფლობით შეთანხმებების დეტალურ რეგლამენტაციას შიდა საკანონმდებლო აქტების საშუალებით.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ დასავლეთის განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების მთავრობები საერთაშორისო აქტებით აღიარებული უფლება-ვალდებულებების დანერგვაში აქტიურად იყენებენ ბიზნეს სექტორის ნებაყოფლობით სოციალურ მხარდაჭერას, რაც ყველა შემთხვევაში ამ ვალდებულებების წარმატებით შესრულების სანინდარია. ამ მხრივ, საქართველოს მთავრობის მიერ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობა და კერძო სექტორთან ეფექტური პარტნიორობის ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში არსებული პრიორიტეტული პრობლემების მოგვარებასა და საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულებას.

თავი VII

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობისაკენ მიმართული ევროკავშირის პოლიტიკა და ძირითადი ინიციატივები

როგორც არაერთხელ აღინიშნა, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა გლობალიზაციის, კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების შესახებ დისკუსიების სულ უფრო მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს როგორც გლობალური, ასევე ევროკავშირის მასშტაბით.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ევროკავშირში მდგრადი განვითარების ლისაბონის სტრატეგიის მიზნებს უკავშირდება. ევროკომისია მიიჩნევს, რომ სოციალურად პასუხისმგებელ საწარმოებს წვლილი შეაქვთ სხვადასხვა საერთო მიზნების განხორციელებაში, როგორებიცაა სოციალური ერთიანობა, ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება, დასაქმებულთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა, ასევე მეცნიერებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება.

შესაბამისად, ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს CSR-ის განვითარებას.

ევროპარლამენტის 2006 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ბიზნესის სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ზრდა ევროპული სოციალური მოდელის, ევროპის მდგრადი განვითარების სტრატეგიის არსებით ელემენტს წარმოადგენს და ეკონომიკური გლობალიზაციით წამოჭრილი სოციალური გამოწვევების გადაჭრის ერთ-ერთი გზაა.¹⁹⁰

სხვადასხვა ოფიციალურ დოკუმენტში ევროსაბჭო აღნიშნავს, რომ ევროკავშირი მნიშვნელოვან ძალისხმევას დაუთმობს CSR-ის განვითარებას ნევრ ქვეყნებში.¹⁹¹ იგი მოუწოდებს ევროპის ქვეყნებს ხელი შეუწყონ საწარმოებს განავითარონ საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობა,¹⁹²

¹⁹⁰ The report of the European Parliament and Resolution of 13 March 2007 “*On corporate social responsibility: a new partnership*” (2006/2133(INI).

¹⁹¹ თანამშრომლობა ზრდისა და სამუშაო ადგილებისათვის — კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ევროპის სანიმუშო ადგილად გადაქცევის შესახებ“ (2006)- იხ. ქრონოლოგიური ჩამონათვალი ქვემოთ.

¹⁹² იხ. ინტეგრირებულ სახელმძღვანელო მითითებები ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შესახებ“ (2005-2008) - იხ. ქრონოლოგიური ჩამონათვალი ქვემოთ.

ხოლო ბიზნეს კომპანიებს – საჯაროდ წარმოაჩინონ თავიანთი ერთ-გულება მდგრადი განვითარების პრინციპებისადმი და გააფართოვონ საკუთარი ვალდებულებები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით“.¹⁹³

ევროკომისიასა და ევროპარლამენტს არაერთი დოკუმენტი აქვთ მიღებული, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია CSR საკითხებზე (იხ. ქრონოლოგიური ჩამონათვალი ქვემოთ), თუმცა CSR-ისადმი ევროპული მიდგომა ძირითადად განსაზღვრულია ორ ფუძემდებლურ დოკუმენტში: ე.წ. მწვანე დოკუმენტში – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ევროპული მოდელის განვითარება“ (2001) და თეთრ დოკუმენტში – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა — ბიზნესის წვლილი მდგრად განვითარებაში“ (2002).

საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის აღიარებით და ისეთი ნებაყოფლობითი ვალდებულებების აღებით, რომლებიც სცილდება კანონით და საერთაშორისო შეთანხმებებით დადგენილ ვალდებულებებს (რომლებსაც კომპანიები ყველა შემთხვევაში უნდა ასრულებდნენ), კომპანიები ცდილობენ ასწიონ სოციალური განვითარების, გარემოს დაცვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები და მიიღონ ღია მმართველობის სისტემა, რომელშიც შეთანხმებულია სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ინტერესები ხარისხისა და მდგრადობის ერთიანი მიდგომის ფარგლებში“ (*მწვანე წიგნი*).

ევროკავშირის დოკუმენტებში CSR-ის შემდგომი განვითარების ძირითადი სირთულეები და დაბრკოლებები შემდეგნაირად არის განსაზღვრული:¹⁹⁴

- არასაკმარისი ცოდნა იმის შესახებ, თუ რა კავშირი არსებობს CSR-სა და ბიზნესის წარმატებას შორის;
- არასაკმარისი კონსენსუსი სხვადასხვა მხარეს შორის, რომლებიც ჩართული არიან გლობალურ დონეზე CSR-ის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, კერძოდ კი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივი პოლიტიკების განსხვავებულობა;
- CSR-ის მნიშვნელობის შესახებ ცოდნისა და განათლების არასაკმარისი დონე, განსაკუთრებით კი ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლებსა და სასწავლებლებში;
- მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ცოდნისა და რესურსების ნაკლებობა;

¹⁹³ ლისაბონის განახლებული სტრატეგია *პა რტნიორობა ზრდისა და სამუშაო ადგილები-სათვის“ (2005)* - იხ. ქრონოლოგიური ჩამონათვალი ქვემოთ.

¹⁹⁴ იხ. *CSR – A business contribution to Sustainable Development*, გვ. 9.

- არასაკმარისი გამჭვირვალობა, რაც გამომდინარეობს CSR პოლიტიკების შესახებ კომუნიკაციის ნაკლებობიდან, ასევე ამ პოლიტიკების შემუშავებისა და საქმიანობის მენეჯმენტის საყოველთაოდ აღიარებული ერთიანი ინსტრუმენტების დეფიციტი;
- CSR-ის არასაკმარისი აღიარება და ნახალისება მომხმარებელთა და ინვესტორთა მხრიდან;
- სახელმწიფო პოლიტიკათა არასაკმარისი ურთიერთშეთანხმებულობა.

ევროკავშირის მიერ დაგეგმილი საქმიანობები და ერთიანი პოლიტიკა სწორედ ამ ძირითადი სირთულეებისა და დაბრკოლებების გადალახვას ისახავს მიზნად. CSR განვითარების ხელშეწყობისაკენ მიმართული ევროკომისიის სტრატეგია შემდეგ ძირითად სფეროებზე კონცენტრირდება:

- ბიზნესსა და საზოგადოებაზე CSR-ის დადებითი ზეგავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლება ევროპასა და მის საზღვრებს გარეთ, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში;
- CSR სფეროში კვლევებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა;
- კომპანიებს შორის გამოცდილებისა და მიღწეული წარმატებების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ხელშეწყობა;
- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ერთობლივი ინიციატივების ხელშეწყობა;
- CSR მენეჯმენტის უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- CSR-ის დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებში;
- CSR საქმიანობათა და ინსტრუმენტთა გამჭვირვალობისა და ურთიერთშეთანხმებულობის ხელშეწყობა;
- CSR საკითხების ჩართვა ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზოგადოებრივ პოლიტიკებში და საერთაშორისო მასშტაბით მისი გავრცელების ხელშეწყობა.

ევროკომისიამ მოუწოდა ევროკავშირის ქვეყანათა მთავრობებს, გაითვალისწინონ ეს სტრატეგია და აქტიური ნაბიჯები გადადგან საკუთარ ქვეყანათა კომპანიებში CSR პრაქტიკის დასანერგად, სახელმწიფო პროგრამებისა და პოლიტიკის მეშვეობით მოახდინონ CSR-ის სტიმულირება, შექმნან ბიზნესის პასუხისმგებელი საქმიანობის ხელშეწყობი ეროვნული სისტემები, ხელი შეუწყონ შეფასებისა და მონიტორინგის ინსტრუმენტების გამოყენებას და უზრუნველყონ საერთაშორისო CSR სტრატეგიებსა და შეთანხმებებთან შესაბამისობა.

ევროკომისია აგრეთვე ცდილობს, რაც შეიძლება მეტად ჩართოს ამ სტრატეგიის განხორციელებაში ახალგაწვიანებული და კანდიდატი ქვეყნები. 2006 წელს ევროკომისიისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყო რეგიონული პროექტი CSR-ის დანერგვის

დაჩქარება ახალგანევრიანებულ და კანდიდატ ქვეყნებში¹⁹⁵. პროექტის ძირითადი მიზანი იყო CSR-ის დანერგვის დაჩქარება ევროკავშირში ახალგანევრიანებულ და კანდიდატ ქვეყნებში — ბულგარეთში, ხორვატიაში, უნგრეთში, ლიტვაში, მაკედონიაში, პოლონეთში, სლოვაკეთის რესპუბლიკასა და თურქეთში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ჰარმონიზაციას, კონკურენტუნარიანობასა და სოციალურ ერთიანობას.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ევროპული კონცეფციისა და პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებაში აქტიური წვლილი შეიტანა მრავალმა ევროპულმა ინსტიტუტმა: ევროკავშირმა, ევროპარლამენტმა, ევროპის საბჭომ, ევროკომისიამ, გენერალურმა ასამბლეამ. ევროპის საბჭოს ეგიდით არაერთხელ იყვნენ მონეული ევროკავშირის ქვეყნების უმაღლესი რანგის წარმომადგენლები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების განსახილველად. შეიქმნა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ევროალიანსი. ევროპის ქვეყნების უამრავი უწყება ევროკავშირის მასშტაბით თვალყურს ადევნებს CSR-ის ყოველწლიურ პროგრესს, ეწყობა მოცემული საკითხისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები და სიმპოზიუმები.

CSR-ის ხელშეწყობა ინტეგრირებულია ევროკავშირის პოლიტიკებში სხვადასხვა სფეროსთან მიმართებით, კერძოდ, დასაქმებისა და სოციალური საკითხების პოლიტიკაში, სანარმოთა შესახებ პოლიტიკაში, გარემოსდაცვით პოლიტიკაში, მომხმარებელთა საკითხების პოლიტიკაში, სახელმწიფო შესყიდვებისა და საგარეო ურთიერთობათა პოლიტიკებში, ასევე საჯარო ადმინისტრირების პოლიტიკაში (რაც გულისხმობს საჯარო მმართველობის უწყებების მიერ ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე, მათ შორის თავად ევროკომისიის მიერ, საკუთარ საქმიანობაში CSR პრინციპების დანერგვას).

ევროკომისიის სხვადასხვა გენერალური დირექტორატები მუშაობენ CSR-ის სხვადასხვა ასპექტების განვითარებაზე. კერძოდ, დასაქმების, სოციალური საკითხებისა და თანაბარ შესაძლებლობათა დირექტორატი, ინდუსტრიისა და სანარმოთა დირექტორატი, ვაჭრობის დირექტორატი და გარემოს დაცვის დირექტორატი მრავალრიცხოვან საქმიანობებს ახორციელებენ CSR-ის ხელშეწყობის მიზნით თავიანთი ძირითადი პასუხისმგებლობის ფარგლებში, მაგალითად, ევროკავშირის ვაჭრობის პოლიტიკაში, გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმებში, სამუშაო ბაზარზე დაუცველი ჯგუფების ინტეგრაციის პოლიტიკებში ჩართული აქვთ CSR საკითხები. სანარმოთა და მრეწველობის დირექტორატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს CSR-ის განვითარებას მცირე და საშუალო სანარმოებში.

¹⁹⁵ Accelerating CSR practices in the new EU member states and candidate countries as a vehicle for harmonization, competitiveness, and social cohesion in the EU.

ევროკავშირში დაარსებულია მრავალრიცხოვანი ქსელები, ფორუმები და საბჭოები CSR საკითხებზე, მაგალითად:

- დაინტერესებულ მხარეთა ევროპული ფორუმი CSR-ზე (*The European Multi-Stakeholder Forum on CSR*), რომელიც აერთიანებს ევროკავშირის დამსაქმებელთა ორგანიზაციებს, ბიზნეს ასოციაციებს, პროფესიულ კავშირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს. მისი მიზანია მდგრად განვითარებასა და კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას შორის არსებული მიმართების განხილვა, კვლევა და ევროკავშირის მასშტაბით ერთიანი პრინციპების შემუშავება CSR პრაქტიკისა და ინსტრუმენტების განვითარებისათვის;
- ევროპული ალიანსი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისათვის (*The European Alliance for CSR*) აერთიანებს მსხვილ ევროპულ კომპანიებს. ალიანსის მიზანია CSR-ის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება, აგრეთვე მისი წევრი კომპანიებისა და მათი დაინტერესებული მხარეების რესურსებისა და შესაძლებლობების მობილიზება მდგრადი განვითარების, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის მიზნით;
- CSR ევროპა (*CSR Europe*) – ბიზნეს კომპანიათა ქსელი. იგი აერთიანებს წამყვან მულტინაციონალურ კომპანიებსა და სხვა მსხვილ კომპანიებს, რომლებიც CSR პრინციპების ერთგული არიან და მის განვითარებას ისახავენ მიზნად;
- გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების ევროპის მრჩეველთა საბჭოები (*The European Environment and Sustainable Development Advisory Councils - EEAC*) წარმოადგენს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ დაარსებულ მრჩეველთა საბჭოების გაერთიანებას, რომლის მიზანია დამოუკიდებელი და მეცნიერულად დასაბუთებული რჩევების მიცემა გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და მდგრადი განვითარების საკითხებზე;
- ბიზნეს ეთიკის ხელშეწყობის სხვადასხვა ქსელი და გაერთიანება, მაგ. *European Business Ethics Network – EBEN; Social Venture Network Europe – SVN Europe; the European Soicla Investment Forum – Eurosif* და სხვ.

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, გთავაზობთ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის ევროკავშირის მიერ გადადგმული ძირითადი ნაბიჯების ქრონოლოგიურ ჩამონათვალს:

- 1995 ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟაკ დელორსმა და ევროპული კომპანიების ჯგუფმა მიიღეს „საწარმოთა დეკლარაცია სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ“ (*European Business De-*

claration against Social Exclusion).¹⁹⁶ დეკლარაციის ხელმომწერმა კომპანიებმა და ბიზნეს ასოციაციებმა გამოთქვეს მზაობა მონაწილეობა მიეღოთ ერთობლივ ძალისხმევაში სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ და გაეძლიერებინათ თავიანთი სოციალური პასუხისმგებლობა. ამ ინიციატივამ საფუძველი ჩაუყარა ევროპაში ბიზნესის ერთიანი ქსელის - სოციალური ერთიანობის ევროპის ბიზნეს ქსელის¹⁹⁷ ჩამოყალიბებას, რომლის მიზანი იყო ბიზნეს კომპანიათა და ორგანიზაციათა დიალოგის ხელშეწყობა, აგრეთვე ევროპაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში არსებული დადებითი გამოცდილების ურთიერთგაცვლა. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ოფიციალურად მოაწერეს ხელი მანიფესტს ლონდონის კონფერენციაზე 1995 წელს.

1998
თებერვალი,
დეკემბერი

ტრანსატლანტიკური დიალოგის ფარგლებში ევროკომისიის დასაქმებისა და სოციალური საკითხების გენერალურმა დირექტორატმა და შეერთებული შტატების შრომის დეპარტამენტმა ერთობლივად მოაწყვეს ორი სიმპოზიუმი, რომლებიც ქცევის კოდექსებს მიეძღვნა. სიმპოზიუმები გაიმართა ბრიუსელში 1998 წლის თებერვალსა და ვაშინგტონში 1998 წლის დეკემბერში. ეს სიმპოზიუმები პირველ მცდელობას წარმოადგენდა აღნიშნულ სფეროში ევროპასა და ამერიკას შორის გამოცდილების ფართომასშტაბიანი გაზიარებისა. სიმპოზიუმებზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიც არის ქცევის კოდექსების სტანდარტიზაცია, მათი დაფარვის სფერო, განხორციელება და მონიტორინგი. ძირითადი დასკვნები მოიცავდა შემდეგ დებულებებს: ქცევის კოდექსები ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში; ქცევის კოდექსები, როგორც წესი, უნდა შეიცავდეს შრომითი საქმიანობის ძირითად სტანდარტებს, ხოლო შრომითი კოდექსების ეფექტური დანერგვისათვის აუცილებელია გრძელვადიანი, თანდათანობითი და პარტნიორული მიდგომების გამოყენება.¹⁹⁸

¹⁹⁶ <http://www.csreurope.org/pages/en/declaration.html>

¹⁹⁷ European Business Network for Social Cohesion (EBNSC). ეს ქსელი შემდგომში გარდაიქმნა ქსელად CSR Europe, რომელიც დღეისთვის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში მოქმედ წამყვან ევროპულ ბიზნეს-ქსელს წარმოადგენს.

¹⁹⁸ <http://www.dol.gov/ilab/media/reports/otla/usesymp.htm>; იხ. ასევე ერთობლივი ანგარიში ამ სიმპოზიუმთა შედეგების შესახებ (Joint report on the main issues emerging from the EU-US 1 Symposium on Codes of Conduct and International Labour Standards. by EU/US Symposium on Codes of Conduct and International Labour Standards (1st 1998 Washington, D.C.) (http://openlibrary.org/b/OL82928M/Joint_report_on_the_main_issues_emerging_from_the_EU-US_1_Symposium_on_Codes_of_Conduct_and_International_Labour_Standards)).

- 1999 ევროპარლამენტმა დაამტკიცა განვითარებად ქვეყნებში მოღვაწე ევროპული საწარმოების ქცევის კოდექსი¹⁹⁹, რომელიც ეფუძნებოდა 1998 წლის დეკემბერში ევროპარლამენტის განვითარებისა და თანამშრომლობის კომიტეტის ანგარიშს სტანდარტები განვითარებად ქვეყნებში მოღვაწე ევროპული საწარმოებისათვის: ერთი ნაბიჯი ევროპული ქცევის კოდექსის შემუშავებისაკენ²⁰⁰. ეს დოკუმენტი ევროკომისიასა და ევროსაბჭოს მოუწოდებდა, შეემუშავებინათ ერთიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა ნებაყოფლობით ქცევის კოდექსსა და დამოუკიდებელი მონიტორინგის პლატფორმას ევროპული მულტინაციონალური კომპანიებისათვის, რომლებიც ე.წ. „მსოფლიოს მესამე ქვეყნებში“ საქმიანობდნენ. მოცემული ინიციატივის გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ 2000 წელს ევროპარლამენტის სესიაზე ამგვარი საწარმოების წლიური ანგარიშების მოსმენა.
- 1999 ევროკომისიამ გამოაქვეყნა მიმართვა (communication) ევროპარლამენტისადმი კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ (Fair Trade) შესახებ,²⁰¹ რომელშიც განმარტებული იყო კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ცნება და წარმოდგენილი იყო ევროკავშირის სამოქმედო კურსი კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ხელშეწყობის მიზნით.
- მარტი 2000 ლისაბონის ევროპულ სამიტზე დაისახა ახალი სტრატეგიული მიზანი 2010 წლისათვის, რომელიც გულისხმობდა ევროპის ეკონომიკის გარდაქმნას მსოფლიოში ყველაზე უფრო კონკურენტუნარიან და დინამიურ, ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკად. ევროკომისიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კომპანიების კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას და მოუწოდა მათ, გაეთვალისწინებინათ საკუთარ საქმიანობაში მდგრადი განვითარების, სოციალური ერთიანობის, თანაბარი შესაძლებლობების

¹⁹⁹ Code of conduct for European enterprises operating in developing countries (A4-0508/98). Resolution on EU standards for European enterprises operating in developing countries: towards a European Code of Conduct. (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:1999:104:0180:0184:EN:PDF>).

²⁰⁰ Report on EU standards for European Enterprises operating in developing countries: towards a European Code of Conduct (Howitt Report, 1999). (<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//NONSGML+REPORT+A4-1998-0508+0+DOC+PDF+V0//EN&language=EN>)

²⁰¹ The communication from the Commission to the Council, on “fair trade”. COM(1999) 619. (http://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2006/january/tradoc_113080.pdf).

პრინციპები, შრომითი საქმიანობის სტანდარტები და ა. შ. ლისაბონის სამიტი იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა განიხილეს, როგორც ევროკავშირის პოლიტიკური გეგმის მთავარი კომპონენტი.²⁰²

ივნისი
2000

ევროკავშირმა მიიღო სოციალური პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (Social Policy Agenda)²⁰³, რომელშიც ხაზგასმულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა ევროპის ახალ ეკონომიკურ სისტემასთან სამუშაო პირობების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. მიღებული იქნა ხუთწლიანი სამუშაო გეგმა ევროპის ფარგლებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების შესახებ.

მარტი
2001

გაიმართა ევროსაბჭოს წლიური საგაზაფხულო შეხვედრა სტოკჰოლმში სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. ევროპის საბჭომ მოინონა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისკენ მიმართული ბიზნეს სექტორის ინიციატივები. მიმდინარეობდა აგრეთვე მწვავე დისკუსიები და გეგმილი მწვანე დოკუმენტის“ შესახებ²⁰⁴;

ივლისი
2001

ევროკომისიამ გამოაქვეყნა ე.წ. ‘ მწვანე დოკუმენტი“ (Green Paper) (Promoting a European Frameworks for Corporate Social responsibility. Brussels, 18.7.2001. COM(2001) 366),²⁰⁵ რომელიც წარმოადგენს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ე.წ. ევროპის ჩარჩო-დოკუმენტს. ის მიზნად ისახავდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ერთიანი ევროპული ხედვისა და პოლიტიკის შემუშავებას. მოცემულ დოკუმენტში ვრცლად არის განხილული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის როლი ევროპის ბიზნეს სექტორის განვითარებაში. დაფიქსირებულია პოზიცია, რომ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს 2010 წლისათვის დასახული ევროკავშირის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო 2000 წლის მარტის ლისაბონის სამიტზე, ასევე მდგრადი განვითარების ევროპულ სტრატეგია-

²⁰² <http://www.euractiv.com/en/future-eu/lisbon-agenda/article-117510>

²⁰³ http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/social_agenda/c10115_en.htm

²⁰⁴ http://consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/00100-r1.%20ann-r1.en1.html

²⁰⁵ http://ew.eea.europa.eu/Industry/Reporting/cec_corporate_responsibility/com2001_0366en01.pdf

ში. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ცნების დეფინიციას, მისი ჩამოყალიბება-განვითარების ისტორიას, მისი ადგილის განსაზღვრას მდგრადი განვითარების კონტექსტში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ მიღებულ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტებს, დეკლარაციებს, სახელმძღვანელო მითითებებს; დაჯამებულია ამ დოკუმენტის შესახებ გამართული საკონსულტაციო პროცესის შედეგები, განხილულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები – ორგანიზაციის შიდა კორპორაციული პასუხისმგებლობა (ადამიანური რესურსების მართვა, დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფა, ცვლილებებისადმი ადაპტირება, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოსდაცვითი ზემოქმედების სწორი მენეჯმენტი), აგრეთვე გარე კორპორაციული პასუხისმგებლობა, ანუ გარე დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისაკენ მიმართული საქმიანობები (ადგილობრივ საზოგადოებაზე ზრუნვა, ბიზნეს პარტნიორების, მომწოდებლებისა და მომხმარებლების ინტერესთა გათვალისწინება, ადამიანის უფლებათა დაცვა, გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გათვალისწინება და ა. შ.); წარმოდგენილია CSR-ის განვითარების ევროპული სტრატეგია და აღწერილია შესაბამისი ქმედებები დასახული მიზნების მისაღწევად.

მაისი
2001

ევროკომისიამ გამოაქვეყნა მდგრადი განვითარების ევროპული სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტი მდგრადი ევროპა უკეთესი მსოფლიოსთვის - ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგია“ (ე.წ. გიოთენბურგის სტრატეგია).²⁰⁶ აღნიშნული დოკუმენტი შემდეგ თვეში განიხილეს გიოთენბურგში გამართულ ევროსაბჭოს სხდომაზე. 2001 წლის მარტში გამართულ კონსულტაციებზე დაყრდნობით, სტრატეგიის დოკუმენტში დასახულია გრძელვადიანი მიზნები და განსაზღვრულია ღონისძიებები მათ განსახორციელებლად. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობა, კლიმატის ცვლილება და ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენება, ადამიანთა ჯანმრთელობის საფრთხეების მართვა, სიღარიბის დაძლევა, სატრანსპორტო

²⁰⁶ A Sustainable Europe for a Better World: A European Union Strategy for Sustainable Development (Commission's proposal to the Gothenburg European Council), COM(2001) 264. (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2001:0264:FIN:EN:PDF>).

სისტემისა და მიწის მენეჯმენტის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნების მიღწევაში დიდი როლი ენიჭება ბიზნეს სექტორის სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც განიხილება, როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი (აღსანიშნავია, რომ ევროკავშირმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის გლობალურ დონეზე. 2002 წლის თებერვალში კომისიამ მიიღო მეორე დოკუმენტი, რომელიც ამ სფეროში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას განსაზღვრავდა).

ივლისი
2001

ევროკომისიამ გამოსცა ოფიციალური მიმართვა პარლამენტს (communication) გლობალიზაციის კონტექსტში შრომის ძირითადი სტანდარტების დაცვის ხელშეწყობისა და სოციალური მართვის გაუმჯობესების შესახებ²⁰⁷. მოცემულ დოკუმენტში ყურადღება იყო გამახვილებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელ როლზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ძირითადი კონვენციების განხორციელებაში, განსაკუთრებით შრომის საერთაშორისო ბაზარზე მათ დანერგვაში; ჩამოყალიბებულია ევროკავშირის სტრატეგია შრომითი საქმიანობის ძირითადი სტანდარტების დასაწინააღმდეგებლად როგორც საერთაშორისო, ასევე ევროკავშირის დონეზე.

2001

ბელგიის მთავრობამ, რომელიც 2001 წელს ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყანა იყო, ევროკომისიის მხარდაჭერით მოაწყო მასშტაბური ევროპული კონფერენცია CSR-ზე. მსგავსი კონფერენციები ევროკავშირის პრეზიდენტობის წლებში მოაწვევს აგრეთვე დანიის მთავრობამ (2002 წ.), იტალიის მთავრობამ (2003 წ.), ბრიტანეთის მთავრობამ (2005 წ. და ა. შ.)

ოქტომბერი
2001

ევროპის პროფკავშირების კონფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა (The European Trade Union Confederation (ETUC) მიიღო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ პოლიტიკის განმსაზღვრელი ვრცელი და მრავალმხრივი დოკუმენტი²⁰⁸. მოცემულ დოკუმენტში ევროპის პროფკავშირების კონფედერაციამ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებ-

²⁰⁷ Communication from the Commission to the Council, the European Parliament and the Economic and Social Committee - Promoting core Labour Standards and Improving Social governance in the context of globalisation (COM/2001/416) http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/international_dimension_and_enlargement/c11909_en.htm

²⁰⁸ <http://www.etuc.org/r/58>

ლობის მთავარ ამოცანად განსაზღვრა დასაქმებულთა სოციალური უფლებების დაცვა, მუშაკთა მონაწილეობა კომპანიის ხელმძღვანელთა მიერ გადამწყვეტილების მიღების პროცესში, გენდერული თანასწორობის დაცვა, შრომის ხარისხის გაუმჯობესება, დასაქმებულთა უწყვეტი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და ა.შ. (აღსანიშნავია, რომ ევროპის პროფკავშირების კონფედერაცია აქტიურად უწყობს ხელს CSR-ის განვითარებას და არაერთი ღონისძიება აქვს განხორციელებული ამ სფეროში).

ივლისი
2002

ევროკომისიამ გამოაქვეყნა ოფიციალური დოკუმენტი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ – ე.წ. თეთრი დოკუმენტი“ (White paper): „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა – ბიზნესის წვლილი მდგრად განვითარებაში“²⁰⁹. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს 2010 წლისათვის დაგეგმილი ლისაბონის მიზნების მიღწევაში, განსაზღვრულია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ერთიანი სტრატეგია და დასახულია მისი განხორციელების ღონისძიებები. მათ შორის აღსანიშნავია: ინფორმაციის გავრცელება CSR-ის დადებითი შედეგების შესახებ; CSR-ის განხორციელების გამოცდილებისა და დადებითი მაგალითების გაზიარება ბიზნეს კომპანიებს შორის, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის; CSR პროგრამების მართვის უნარების განვითარება; მცირე და საშუალო სანარმოთა სტიმულირება CSR მიდგომების დასაწერად; CSR საქმიანობათა და ინსტრუმენტთა გამჭვირვალობის ზრდა; ევროკავშირის ერთიანი მრავალმხრივი CSR-ფორუმის დაარსება და CSR-ის ინტეგრირება სხვადასხვა საკითხზე შემუშავებულ პოლიტიკებში (განსაკუთრებით საზოგადოებასთან მიმართებით). ეს დოკუმენტი, ფაქტიურად, წარმოადგენს იმ დისკუსიებისა და საკონსულტაციო პროცესის შედეგს, რომელიც მოჰყვა 2001 წელს ე.წ. მწვანე დოკუმენტის“ გამოქვეყნებას.

²⁰⁹ CSR - A business contribution to sustainable development, COM(2002) 347 final, 2 July 2002. (http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/employment_rights_and_work_organisation/n26034_en.htm).

ოქტომბერი 2002 ევროკომისიამ მოიწვია მრავალმხრივი ფორუმი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ (European CSR Multi-Stakeholder Forum).²¹⁰ ფორუმი აერთიანებდა ბიზნეს ქსელების, დამსაქმებელთა, ინვესტორებისა და მომხმარებელთა ასოციაციების, პროფესიული კავშირების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. მისი მიზანი იყო ამ სფეროში არსებული საუკეთესო გამოცდილების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, სხვადასხვა სექტორთა დიალოგის ხელშეწყობა CSR საკითხებზე და არსებული სახელმძღვანელო მითითებების შეფასება; 2003 და 2004 წლებში გაიმართა ფორუმის პლენარული შეხვედრები, ხოლო 2004 წლის 29 ივნისს ევროკომისიას წარუდგინეს ფორუმის 2 წლის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში.²¹¹ ფორუმმა ძირითადად ოთხ საკითხზე გაამახვილა ყურადღება, ესენი იყო: CSR-ის სფეროში ცოდნის ამაღლება და გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობა; მცირე და საშუალო სანარმოებში CSR-ის სტიმულირება; CSR საქმიანობისა და ინსტრუმენტების შეთანხმებულობა, მრავალფეროვნება და გამჭვირვალობა; განვითარებაზე მიმართული CSR-ის ასპექტები. ფორუმის მიგნებებმა გაამდიდრა 2006 წლის ევროკავშირის მიმართვა პარლამენტს (communication) კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ (იხ. ქვემოთ).

2003 ევროკომისიამ გამოაქვეყნა არაკეთილსინდისიერი ბიზნეს საქმიანობის შესახებ დირექტივების“ სამუშაო ვერსია, რომელიც განსახილველად შესთავაზა ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტს.²¹² (2004 წლის მარტში გამოქვეყნდა შეჯამებული საპასუხო დოკუმენტი). დირექტივების მიზანი იყო შიდა ბაზრის ეფექტური ფუნქციონირების გაუმჯობესება, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ბიზნესის განვითარების სამართლებრივი გარემოს უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად გამოიკვეთა არაკეთილსინდისიერი ბიზნეს საქმიანობის შესახებ ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონ-

²¹⁰ http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/corporate-social-responsibility/multi-stakeholder-forum/index_en.htm

²¹¹ http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/files/csr/documents/29062004/emsf_final_report_en.pdf

²¹² Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council concerning unfair business-to-consumer commercial practices in the Internal Market and amending directives 84/450/EEC, 97/7/EC and 98/27/EC (the Unfair Commercial Practices Directive) (presented by the Commission) COM (2003) 356. (http://ec.europa.eu/consumers/cons_int/safe_shop/fair_bus_pract/directive_prop_en.pdf). ამ დირექტივების შესახებ გამართული საკონსულტაციო პროცესის ამსახველი დოკუმენტები იხ. აგრეთვე ვებ-გვერდზე: <http://www.berr.gov.uk/consultations/page32079.html>

მდებლობათა ჰარმონიზაციის აუცილებლობა. სოციალური პასუხისმგებლობა არ წარმოადგენს ამ დოკუმენტის ძირითად საკითხს, თუმცა უშუალოდ უკავშირდება მას, კერძოდ კი, მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და მარკეტინგთან დაკავშირებულ CSR-ის ასპექტებს.

თებერვალი
2004

გამოქვეყნდა ევროკომისიის მიმართვა პარლამენტს (communication) სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო ჯაჭვისა და სიღარიბის შესახებ.²¹³ მოცემულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მულტინაციონალურმა სასაქონლო საწარმოებმა უნდა დაიცვან არა მარტო ადგილობრივი კანონები, არამედ OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია პრინციპებზე მულტინაციონალური საწარმოებისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ“²¹⁴. (ეს მოიცავს მთელი ქსელის მასშტაბით ანგარიშვალდებულებას, საწარმოთა პასუხისმგებლობას პროდუქციის წარმოების პირობებზე და ა. შ.). კომისიამ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვნად მიაჩნია სასაქონლო ქსელებში ქცევის კოდექსების სანდოობისა და ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას არსებული ეთიკური, მდგრადი და სამართლიანი სავაჭრო ინიციატივების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ეს, თავის მხრივ, დაეხმარება მომხმარებლებს, კომპანიებსა და პოლიტიკის განმსაზღვრელებს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ევროკომისია მიზნად ისახავს შეისწავლოს ნებაყოფლობითი ეთიკური სავაჭრო სქემების კრიტიკერიუმების შემუშავების შესაძლებლობა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით.

ივნისი
2004

ევროპის პროფკავშირების კონფედერაციამ (The European Trade Union Confederation (ETUC)) მიიღო რეზოლუცია, რომელშიც განსაზღვრულია ევროპაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პრიორიტეტები²¹⁵. აღნიშნული რეზოლუციის მიღებას წინ უძღოდა კორპორაციული სო-

²¹³ Communication from the Commission to the Council and the European Parliament on Agricultural Commodity Chains, Dependence and Poverty. A proposal for an EU Action Plan [COM(2004) 89].
<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2004:0089:FIN:EN:PDF>

²¹⁴ ILO ‘Declaration on principles concerning multinational enterprises and social policy’.

²¹⁵ <http://www.etuc.org/a/2160>; http://www.etuc.org/IMG/pdf/Priorities_2004_EN-3.pdf

ციალური პასუხისმგებლობის შესახებ ჩატარებული ოცთვიანი კვლევითი სამუშაო და აქტიური დებატები სამოქალაქო საზოგადოების, პროფკავშირებისა და სოციალური პარტნიორების მონაწილეობით. რეზოლუციამ ცალსახად გაუსვა ხაზი CSR-ის ნებაყოფლობით ხასიათს. აღნიშნული იყო, რომ CSR არ არის მხოლოდ კომპანიის საზოგადოებრივ ურთიერთობათა განყოფილების საქმე, არამედ იგი წარმოადგენს კომპანიის ბიზნეს გეგმის განუყოფელი ნაწილის, სოციალური გამოწვევების ყოველდღიური დარეგულირების მექანიზმის, ეს არის სანარმოს გრძელვადიანი ინტერესებისა და ინვესტირების სფერო.

ოქტომბერი
2004

ევროკომისიამ მიიღო „გარკვეული ტიპის კომპანიების წლიური ანგარიშებისა და კონსოლიდირებული ანგარიშების შესახებ დირექტივების“ სამუშაო ვერსია, რომელიც განსახილველად შესთავაზა ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტს.²¹⁶ დოკუმენტში მითითებულია, რომ საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულმა ევროპულმა კომპანიებმა საკუთარ წლიურ ანგარიშებში უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია კორპორაციული მმართველობის შესახებ. დირექტივებში აღნიშნულია, რომ კომპანიებმა აგრეთვე უნდა წარმოადგინონ მათი საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების ანალიზი, რაც საჭიროა მათი განვითარებისა და მიღწეული შედეგების უკეთ გასაგებად. თუმცა ანგარიშგება CSR საკითხების შესახებ სავალდებულოდ არ მიიჩნევა, დირექტივებში აღნიშნულია, რომ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები არსებითია კორპორაციული მმართველობის კონტექსტში.

ივნისი
2005

ევროკომისიის კონფერენცია მცირე და საშუალო ბიზნესში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის შესახებ.²¹⁷ ევროკომისია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს CSR-ის დანერგვას მცირე და საშუალო სანარმოებში, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნების სანარმოთა უმრავლესობას წარმოადგენს. კონფერენციაზე შეჯამებული იქნა მცირე და საშუალო სანარმოებში სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვის ერთნაირი წარმატებული გამოცდილება.

²¹⁶ Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council amending Council Directives 78/660/EEC and 83/349/EEC concerning the annual accounts of certain types of companies and consolidated accounts (presented by the Commission) (COM (2004) 725).

<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2004:0725:FIN:EN:PDF>

²¹⁷ http://ec.europa.eu/enterprise/csr/conf_2005_06_14.htm

2 თებერვალი; 22-23 მარტი 2005

ევროკომისიამ გამოაქვეყნა ლისაბონის სტრატეგიის განხორციელების შუალედური ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილი იყო ლისაბონის სტრატეგიის გადახედილი და განახლებული ვერსიის შეთავაზება (განახლებული სტრატეგია).²¹⁸ ევროსაბჭომ განიხილა აღნიშნული დოკუმენტი 22-23 მარტს, გაზაფხულის სხდომაზე. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში ევროპის ინოვაციური პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის მეშვეობით. ევროკომისიამ მოუწოდა ევროპის ბიზნეს თანამეგობრობას საჯაროდ წარმოაჩინოს მდგრადი განვითარების პრინციპების ერთგულება ეკონომიკური ზრდისა და უკეთესი სამუშაო ადგილების შექმნის გზით და გააფართოვოს საკუთარი ვალდებულებები სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. ლისაბონის განახლებული სტრატეგიის გამოქვეყნებას მოჰყვა ინტეგრირებული სახელმძღვანელო მითითებები ზრდისა და სამუშაო ადგილებისათვის“ (2005-2008).²¹⁹ ეს სახელმძღვანელო მითითებები შეიცავს ევროკომისიის რეკომენდაციებს ევროკავშირისა და წევრი ქვეყნებისათვის ეკონომიკური პოლიტიკისა და დასაქმების პოლიტიკის შესახებ. დოკუმენტი დაყოფილია სამ ნაწილად: რეკომენდაციები მაკროეკონომიკის, მიკროეკონომიკისა და საბაზრო პოლიტიკის სფეროში. ის შეიცავს 25 სახელმძღვანელო მითითებას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის. ამ სახელმძღვანელო მითითებებში ასევე მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას; ევროკომისიამ რეკომენდაცია გაუწია წევრ ქვეყნებს ხელი შეუწყონ საწარმოებს თავიანთი სოციალური პასუხისმგებლობის გაღრმავებასა და განვითარებაში“.

²¹⁸ Working together for growth and jobs A new start for the Lisbon Strategy. Communication to the spring European Council. Communication from President Barroso in agreement with Vice-President Verheugen. Brussels, 02.02.2005. COM (2005) 24. (http://ec.europa.eu/growthandjobs/pdf/COM2005_024_en.pdf).

²¹⁹ Integrated Guidelines for Growth and Jobs (2005-2008) including a Commission recommendation on the broad guidelines for the economic policies of the Member States and the Community (under Article 99 of the EC Treaty) and a Proposal for a Council decision on guidelines for the employment policies of the Member States (under Article 128 of the EC Treaty) (presented by the Commission) COM(2005) 141 final. 2005/0057 (CNS).

http://www.mee.government.bg/ind/doc_konk/IntegratedGuidelinesGrowth&Jobsfinal_en.pdf

- 9 თებერვალი 2005 ევროკომისიამ გამოაქვეყნა სამოქმედო გეგმა სოციალურ სფეროში²²⁰.²²⁰ სამოქმედო გეგმა ორ პრიორიტეტულ სფეროს გამოყოფს: სრული დასაქმების მიღწევა და უფრო ჰარმონიული და მტკიცე საზოგადოების შექმნა, რომელშიც ყველას თანაბარი შესაძლებლობები ექნება. ამ სამოქმედო გეგმაში აღნიშნულია, რომ ორივე მიზნის მისაღწევად ევროკომისია, ევროკავშირის ნევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით, განახორციელებს ინიციატივებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შემდგომი განვითარების მიზნით.
- 22 მარტი 2006 ევროკომისიამ გამოაქვეყნა ახალი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას შეეხებოდა: „თანამშრომლობა ზრდისა და სამუშაო ადგილებისათვის – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ევროპის სანიმუშო ადგილად გადაქცევის შესახებ“.²²¹ ამ დოკუმენტში შეთავაზებულია სანარმოებთან ახალი თანამშრომლობის – ახალი ალიანსის ჩამოყალიბება, რომელიც წვლილს შეიტანს: CSR-ის შესახებ ცოდნის გაღრმავებასა და ცნობიერების ამაღლებაში; თანამშრომლობით მიდგომებზე დაფუძნებული ახალი კოალიციების ჩამოყალიბებაში; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობი გარემოს შექმნაში. CSR განიხილება როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი საბაზრო ეკონომიკის გამართული ფუნქციონირებისათვის; იგი ხელს უწყობს როგორც უფრო პასუხისმგებელი ბიზნეს-თანამეგობრობის, ასევე ბიზნესისათვის უფრო კეთილმყოფელი ევროპის ჩამოყალიბებას.
- 2006 დაარსდა ევროპული CSR ალიანსი²²², რომელიც წარმოადგენდა ევროპის ბიზნეს სექტორისა და ევროკომისიის ერთობლივ ინიციატივას. ალიანსი მიზნად ისახავს ევროპულ სანარმოთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა რესურსებისა და შესაძლებლობების მობილიზაციას მდგრადი განვითარების, ეკონომიკური ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების მიზნების მისაღწევად. ევროკომისიის გადაწყვეტილებით, სამმა ბიზნეს ორგანიზაციამ

²²⁰ European Commission Communication on Social Agenda, 2005 – Brussels, 9.2.2005. COM(2005) 33 final. (http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/site/en/com/2005/com2005_0033en01.pdf).

²²¹ Implementing the Partnership for Growth and Jobs: Making Europe a pole of excellence on CSR. Brussels, 22.3.2006. COM(2006) 136 final (<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2006:0136:FIN:en:PDF>).

²²² <http://www.csreurope.org/pages/en/alliance.html>

იკისრა ალიანსის კოორდინატორისა და მისი საქმიანობის ფასილიტატორის ფუნქციები, ესენია: CSR Europe, BusinessEurope და European Association of Craft, Small and Medium-sized Enterprises (UEAPME). 2008 წელს ალიანსმა წარმოადგინა თავისი მუშაობის შედეგები, რომელთა ერთობლიობა ქმნიდა დოკუმენტს: პასუხისმგებელი და კონკურენტუნარიანი ევროპის აშენების ინსტრუმენტები.²²³ აღნიშნული დოკუმენტი შეიცავდა რეკომენდაციებს სტრატეგიულ საკითხებზე, როგორებიცაა მაგ.: პასუხისმგებელი მინოდების ჯაჭვის მენეჯმენტი; არაფინანსური ანგარიშგება ინვესტორებისათვის და ა. შ.

მარტი
2007

ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც პარტნიორობის ახალი ფორმის, შესახებ.²²⁴ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ბიზნესი არ უნდა იყოს განხილული, როგორც საჯარო ხელისუფლების ჩამანაცვლებელი, როდესაც ეს უკანასკნელი ვერ ახორციელებს სოციალურ და გარემოსდაცვით სტანდარტებთან შესაბამისობის კონტროლს, თუმცა ბიზნესის სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და მასთან დაკავშირებული კორპორაციული ანგარიშვალდებულება წარმოადგენს ევროპის სოციალური მოდელისა და ევროპის მდგრადი განვითარების სტრატეგიის არსებით ელემენტს. რეზოლუციაში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე: CSR-ისა და კონკურენტუნარიანობის კავშირი, CSR ინსტრუმენტები, CSR-ის რეგულირება, CSR-ის ინტეგრირება ევროკავშირის პროგრამებსა და პოლიტიკებში; ევროპის წვლილი გლობალურ დონეზე CSR-ის განვითარებაში.

დეკემბერი
2007

ევროკომისიამ გამოაქვეყნა ახალი ინტეგრირებული სახელმძღვანელო მითითებები ზრდისა და სამუშაო ადგილებისათვის (2008-2010)²²⁵ ეს სახელმძღვანელო მითითებები შეიცავს

²²³ Toolbox for a competitive and responsible Europe. (<http://www.csreurope.org/pages/en/toolbox.html>).

²²⁴ European Parliament resolution of 13 March 2007 on corporate social responsibility: a new partnership (2006/2133 (INI). <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?Type=TA&Reference=P6-TA-2007-0062&language=EN>

²²⁵ Integrated Guidelines for Growth and Jobs (2008-2010) including a Commission recommendation on the broad guidelines for the economic policies of the Member States and the Community (under Article 99 of the EC Treaty) and a Proposal for a Council decision on guidelines for the employment policies of the Member States (under Article 128 of the EC Treaty) (presented by the Commission). Brussels, 11.12.2007. COM(2007) 803 final.

http://ec.europa.eu/growthandjobs/pdf/european-dimension-200712-annual-progress-report/200712-annual-report-integrated-guidelines_en.pdf

http://ec.europa.eu/growthandjobs/pdf/european-dimension-200712-annual-progress-report/200712-annual-report-integrated-guidelines_en.pdf

ევროკომისიის რეკომენდაციებს ევროკავშირისა და წევრი ქვეყნებისათვის ეკონომიკური პოლიტიკისა და დასაქმების პოლიტიკის შესახებ. 2008 წლის 20 თებერვალს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია აღნიშნული ინტეგრირებული სახელმძღვანელო მითითებების შესახებ.

13-14 მარტი 2008 ევროკომისიის დოკუმენტებისა და ევროსაბჭოს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე გაზაფხულის სხდომაზე ევროსაბჭომ მიიღო ზრდისა და სამუშაო ადგილებისათვის“ ლისაბონის სტრატეგიის მეორე განახლებული ვერსია 2008-2010 წლებისათვის.²²⁶ ევროსაბჭომ დაამტკიცა ინტეგრირებული სახელმძღვანელო მითითებები“ და რეკომენდაციები თითოეული ქვეყნისათვის; აგრეთვე ხელახლა დაამტკიცა განახლებული ლისაბონის სტრატეგიის 4 ძირითადი პრიორიტეტული სფერო: ინვესტირება ცოდნასა და ინოვაციებში; ბიზნეს, განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიების, პოტენციალის განვითარება; სამუშაო ბაზრების მოდერნიზაცია; ენერგოეფექტური, გარემოს დამზოგი ეკონომიკა.

სექტემბერი 2008 ევროკავშირისა და გაეროს ერთობლივი მხარდაჭერით ლიტვაში (ვილნიუსი) ჩატარდა რეგიონული კონფერენცია სახელმწიფო პოლიტიკა და სოციალური პასუხისმგებლობა აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში“.²²⁷ შეხვედრის მიზანი იყო განხილულიყო ევროკავშირის 8 წევრი და კანდიდატი ქვეყნის ახალი ეროვნული CSR სამოქმედო გეგმები, რომლებშიც განსაზღვრულია ამ ქვეყანათა მთავრობების ძირითადი ქმედებები მომავალი 2-3 წლისათვის CSR ხელშეწყობის მიზნით.²²⁸

²²⁶ http://ec.europa.eu/growthandjobs/pdf/european-dimension-200712-annual-progress-report/200712-annual-report_en.pdf; იხ. ასევე: http://www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/ft/ec/99435.pdf.

²²⁷ <http://www.acceleratingcsr.eu/en/news/view/?id=128>

²²⁸ ევროკავშირისა და ევროკომისიის განსაკუთრებული მონოდების საპასუხოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიმართ ხელი შეეწყობა CSR-ის განვითარებისათვის, 8 წევრი და კანდიდატი ქვეყნის მთავრობები დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით 18 თვის განმავლობაში მუშაობდნენ ეროვნული CSR სამოქმედო გეგმაზე. პროექტი ხორციელდებოდა ევროკომისიისა და გაეროს მხარდაჭერით.

- 10 თებერ-
ვალი
2009
- ევროკომისიამ უმასპინძლა CSR დაინტერესებულ მხარეთა ევროპული ფორუმის (European CSR Multi-Stakeholder Forum) პლენარულ შეხვედრას.²²⁹ ფორუმზე თავი მოიყარა 250-მა მონაწილემ, რომლებიც დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებს წარმოადგენდნენ – დამსაქმებლებს, ბიზნეს ორგანიზაციებს, პროფკავშირებს, ინვესტორებს, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას. შეხვედრის მიზანი იყო CSR-ის განვითარების მიმოხილვა როგორც ევროპაში, ასევე მსოფლიო მასშტაბით, ასევე სამომავლო ერთობლივი ინიციატივების განხილვა. ამ შეხვედრის შემდეგ ევროკომისიას დაგეგმილი აქვს მჭიდროდ ითანამშრომლოს დაინტერესებულ მხარეებთან ორ საკითხზე: ბიზნესი და ადამიანის უფლებები; კორპორაციული სოციალური ანგარიშგება.
- 29-30
ნოემბერი
2010
- ევროკომისიამ უმასპინძლა CSR დაინტერესებულ მხარეთა ევროპული ფორუმის (European CSR Multi-Stakeholder Forum) პლენარულ შეხვედრას.²³⁰ შეხვედრის მიზანი იყო მოსაზრებების გაზიარება CSR-ის სფეროში ახალი ევროპული პოლიტიკის ინიციატივის მასშტაბისა და თემების შესახებ. ფორუმზე განიხილეს გასული 2 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობები და მიღწეული შედეგები და იმსჯელეს სამომავლო გეგმებზე. განსაკუთრებით დანვრილებით განხილული იყო ექვსი საკითხი: პასუხისმგებელი მოხმარება; პასუხისმგებელი ინვესტირება; კავშირი CSR-სა და კონკურენტუნარიანობას შორის; გამჭვირვალობა და არაფინანსური ანგარიშგება; ბიზნესი და ადამიანის უფლებები; კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გლობალური განზომილება.

²²⁹ http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/corporate-social-responsibility/multi-stakeholder-forum/2009-meeting/index_en.htm

²³⁰ http://ec.europa.eu/enterprise/policies/sustainable-business/corporate-social-responsibility/multi-stakeholder-forum/2010-meetings/index_en.htm

თავი VIII

CSR-ის სახელმწიფო სახელმწიფო პოლიტიკები და სამთავრობო ინიციატივები ევროკავშირის ქვეყნებში

როგორც წინა თავში დავინახეთ, ევროკომისია და ევროპარლამენტი აქტიურ და ქმედით პოლიტიკას ახორციელებენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობისა და შემდგომი დანერგვის მიზნით. ევროკომისიის მიერ შემუშავებულ არაერთ ოფიციალურ დოკუმენტში ხაზგასმულია საჯარო სექტორის როლი CSR-ის ხელშეწყობისა და სტიმულირების თვალსაზრისით. სულ უფრო მეტად არის გაცნობიერებული აგრეთვე სხვა სექტორების როლიც, მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოების როლი CSR-ის განვითარებისთვის.

ევროკავშირის დონეზე არსებობს CSR-ის კონცეფციის ერთიანი გააზრება, რომელიც გაზიარებულია ევროკომისიის, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინიციატივების მიერ, თუმცა ამ ერთიანი, გაზიარებული ხედვის ფარგლებში ცალკეულ ქვეყნებს ახასიათებს მეტნაკლებად განსხვავებული მიდგომები, პრიორიტეტები და სტრატეგიები CSR-თან მიმართებით. ეს განსხვავებები აისახება განსხვავებული პოლიტიკის ინსტრუმენტების, ინიციატივებისა და პროგრამების დონეზე, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობის მასშტაბში, ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო დონეზე CSR-ის ხელშეწყობისათვის განსხვავებული მნიშვნელობის მინიჭებაში, ბიზნეს სექტორსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე ორიენტაციაში და ა. შ.

წინამდებარე თავში შევეცდებით წარმოვადგინოთ CSR ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკათა ძირითადი მიმართულებები ევროკავშირის ქვეყნებში, აგრეთვე ამ პოლიტიკათა განხორციელებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტები, პროგრამები და ინიციატივები. მასალა დაჯგუფებულია სახელმწიფო პოლიტიკათა ძირითადი სტრატეგიული მიმართულებების და თემების მიხედვით. კერძოდ: CSR-ის განვითარების ხელშეწყობა (რაც მოიცავს: ცნობიერების ამაღლებას, კვლევებს, საზოგადოებრივი და კერძო სექტორების თანამშრომლობას, სხვადასხვა მეთოდით ბიზნესის სტიმულირებას, მენეჯმენტის მექანიზმების დანერგვას), CSR ინსტრუმენტებისა და საქმიანობათა გამჭვირვალობის ხელშეწყობა (რაც მოიცავს: ქვეყნის კოდექსების, ანგარიშგების, პროდუქციის მარკირება-

სერტიფიცირების ხელშეწყობას, სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების, პასუხისმგებელი რეკლამირების ხელშეწყობას), სხვადასხვა სფეროში შესაბამისი პოლიტიკების ჩამოყალიბება, რომლებიც ხელს უწყობს CSR-ის განვითარებას (რაც მოიცავს: მდგრადი განვითარების სტრატეგიას, სოციალურ და გარემოსდაცვით პოლიტიკას, სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკას, ფისკალურ პოლიტიკას, სავაჭრო და საექსპორტო პოლიტიკას და განვითარების პოლიტიკას).

1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა

1.1. ცნობიერების ამაღლება

კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება ყველა ევროპული ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს (2002 წლის კომუნიკეში ბიზნესის წვლილი მდგრად განვითარებაში” ევროკომისიამ საზოგადოებასა და ბიზნესზე CSR-ის დადებითი ზეგავლენის შესახებ ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის CSR სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად აღიარა).

ამ მიზნით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მრავალგვარ ღონისძიებებს ახორციელებენ.

ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთ ქმედით და გავრცელებულ ინსტრუმენტს სხვადასხვა ქვეყნების მთავრობებისათვის წარმოადგენს **სემინარების, კონფერენციების და მრგვალი მაგიდების** მოწყობა.

მაგალითად, ევროკომისიის მხარდაჭერით, ბელგიის მთავრობამ 2001 წელს, დანიის მთავრობამ 2002 წელს, იტალიის მთავრობამ 2003 წელს, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ 2005 წელს (ანუ ამ ქვეყნების ევროკავშირის პრეზიდენტობის წლებში) მოაწყვეს მასშტაბური ევროპული კონფერენციები CSR-ზე.

გერმანიაში ფედერალური მთავრობა ფინანსურ დახმარებას უწევს გაეროს გლობალური შეთანხმების“ ინიციატივას და 2002 წელს თანადაფინანსება გაუწია გლობალური შეთანხმების“ მიერ მოწყობილ მეორე სასწავლო ფორუმს ბერლინში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბიზნესის, სამეცნიერო წრეებისა და გაეროს წარმომადგენლებმა მთელი მსოფლიოდან.

სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზატორი ხშირად არის ხოლმე ერთი ან რამდენიმე სამინისტრო, სხვადასხვა ინსტიტუტთან და სექტორთან თანამშრომლობით.

მაგალითად, პორტუგალიაში სოციალური საკითხებისა და შრომის სამინისტროსთან არსებულმა სამუშაო პირობების განვითარებისა და ინს-

პექტირების ინსტიტუტმა 2003 წელს მოაწყო კონფერენცია CSR-ზე.

2004 და 2005 წლებში *გერმანიის* გარემოს დაცვის ფედერალურმა სამინისტრომ მოაწყო ექვსი სემინარი სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის მდგრადი განვითარებისა და CSR-ის საკითხებზე.

2006 წელს *ჰოლანდიის* ეკონომიკის სამინისტრომ ჩაატარა საერთაშორისო სემინარი CSR-ზე ვაჭრობის სფეროში.

საინტერესოა ამ მხრივ **აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება**, რომლებიც CSR-ის განვითარების თვალსაზრისით შედარებით საწყის ეტაპზე იმყოფებიან. აქ ცნობიერების ამაღლებას კიდევ უფრო დიდი ყურადღება ექცევა.

მაგალითად, *ბულგარეთში* 2004 წელს გაიმართა შრომითი სტანდარტების დანერგვის *ეროვნული მრგვალი მაგიდის* პირველი სესია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ბიზნეს სექტორი.

ბულგარეთში 2006 წელს საზოგადოების სხვადასხვა სექტორის მონაწილეობით გაიმართა პირველი *ეროვნული კონფერენცია* CSR-ზე (ბიზნესი, NGO, მთავრობა, საერთაშორისო ორგანიზაციები და ა. შ.).

ჩეხეთშიც 2006 წელს ჩაატარეს ეროვნული სემინარი CSR-ის საკითხებზე.

ლატვიაში ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ცნობიერების ამაღლებას, საზოგადოების სხვადასხვა სექტორთა ინფორმირებას CSR სტრატეგიის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესახებ, უცხოელი ექსპერტების ჩართვით იმ ქვეყნებიდან, რომლებშიც CSR ბევრად უფრო განვითარებულია. მაგალითად, 2006 წლის თებერვალში აქ ჩატარდა კონფერენცია CSR-ის საკითხებზე, რომლის ძირითადი მიზანი იყო ევროპის სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. ამავე წლის ნოემბერში კი ლატვიაში მოეწყო საერთაშორისო კონფერენცია სოციალური დიალოგისა და შრომის სტანდარტების ერთიან სისტემაზე, რომელზეც განხილული იყო შრომის სტანდარტების მნიშვნელობა, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა დიალოგის მნიშვნელობა და ა. შ.

ევროპის ქვეყნების მთავრობები ამგვარ კონფერენციებს სხვა, ამ თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებშიც აწყობენ, რათა ხელი შეუწყონ გლობალური მასშტაბით CSR-ის დანერგვასა და განვითარებას, გამოცდილების გაზიარებას. მაგ. 2006 წელს, ევროკომისიისა და გაეროს გლობალური შეთანხმების“ მხარდაჭერით, *დანისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და დანისის კომერციისა და კომპანიების უწყებამ ბრაზილიაში ჩაატარეს ერთობლივი ევროპულ-ლატინოამერიკული კონფერენცია CSR-ზე*. კონფერენციის მიზანი იყო ევროპასა და ლათინურ ამერიკას შორის CSR საკითხებზე თანამშრომლობის განმტკიცება და გამოცდილების გაზიარება.

კიდევ ერთი აპრობირებული ინსტრუმენტია **ტრენინგ პროგრამების, თემატური სემინარებისა და სხვა სასწავლო ღონისძიებების ორგანიზება**. ამგვარი

ლონისძიებების ორგანიზატორი შეიძლება იყოს ქვეყნის მთავრობა, ერთი ან რამდენიმე სამინისტრო, სხვადასხვა შესაბამის ორგანიზაციასა და უწყებასთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

მაგალითად, დანიის ეკონომიკისა და ბიზნესის სამინისტრომ წამოიწყო პროექტი *ადამიანები და მოგება* (People and Profit), რომელიც 2005-2007 წლებში მიმდინარეობდა (პროგრამას ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა ევროპის სოციალური ფონდი (EFS) და ქვეყნის შრომითი ბაზრის სააგენტო). პროგრამის მიზანი იყო დანიის მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდა მათ საქმიანობაში CSR-ის დასაწერად ტრენინგების ჩატარებისა და ინსტრუმენტების მიწოდებით გზით. პროექტი მიზნად ისახავდა აგრეთვე CSR-სა და კონკურენტუნარიანობას შორის არსებული უშუალო კავშირის წარმოჩენას. ჩატარდა კვლევა, რომელშიც შესწავლილი იყო დანიის მცირე და საშუალო კომპანიათა დამოკიდებულება CSR-ის მიმართ, აგრეთვე არსებული გამოცდილება. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დანიის კომერციისა და კომპანიათა სააგენტომ შეიმუშავა და განახორციელა ცნობიერების ამაღლების ტრენინგ-პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მცირე და საშუალო საწარმოების 12000 მენეჯერსა და თანამშრომელს მთელი ქვეყნის მასშტაბით უფასოდ ჩაუტარდა ტრენინგი CSR-სა და მოგებას შორის უშუალო კავშირის შესახებ. (www.overskudmedomtanke.dk)

პორტუგალიის შრომისა და სოციალური სოლიდარობის სამინისტრომ, პორტუგალიის შრომის ინსპექტორატის დახმარებით შეიმუშავა *ტრენინგ-პროგრამა CSR-ზე შრომის ინსპექტორებისათვის*, რათა მათ შეძლონ ადეკვატურად შეაფასონ დადებითი პრაქტიკები პორტუგალიურ საწარმოებში.

გერმანიაში 2003 წელს ფედერალურმა მთავრობამ ბიზნეს სექტორთან და საზოგადოებრივ სექტორთან თანამშრომლობით წამოიწყო *ტრენინგ პროგრამა CSR-ზე*. ამავე პროგრამის ფარგლებში განათლების მინისტრი სტუმრობდა კომპანიებს, რაც ხელს უწყობდა ცნობიერების ამაღლებასა და ბიზნესის სტიმულირებას.

ესპანეთის დასაქმებისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრომ სხვადასხვა სექტორისათვის (მაგ., სამშენებლო სექტორი და სხვ.) შეიმუშავა *ტრენინგ-მოდული გარემოსდაცვით საკითხებზე*, ასევე ტრენინგ-კურსები და დადებითი მაგალითების ამსახველი სახელმძღვანელოები *სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში*.

ლუქსემბურგში 2004 წელს დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის სამინისტროს, ევროკომისიისა და დამსაქმებელთა პალატის ერთობლივი დაფინანსებით მოეწყო *CSR საზაფხულო უნივერსიტეტი*.

2004 წელს ბრიტანეთის მთავრობამ დააარსა *CSR აკადემია*, რომლის მიზანია დაეხმაროს კომპანიებს გაიღრმავონ ცოდნა და კვალიფიკაცია პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის განსახორციელებლად.

CSR-ის სხვადასხვა ასპექტებზე სახელმძღვანელოების მომზადება და გამოქვეყნება. ამგვარი სახელმძღვანელოების მომზადების ინიციატორები, უმეტესწილად, შესაბამისი სფეროს სამინისტროები არიან, ხშირად კვლევით ინსტიტუტებთან და სხვა საექსპერტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

მაგალითად, 2005 წელს დანიის გარემოს დაცვის სამინისტრომ ინტერნეტით გამოაქვეყნა *გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სახელმძღვანელო*²³¹.

ლიტვაში 2006 წელს სოციალური საკითხებისა და შრომის სამინისტროსთან თანამშრომლობით მომზადდა *სახელმძღვანელო CSR-ის შესახებ*. სახელმძღვანელო მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა CSR-ის რაობა, ფორმები, განვითარების პერსპექტივები და ა. შ.)

ესპანეთის დასაქმებისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრომ შეიმუშავა *საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო გარემოსდაცვით სფეროში* სოფლის მეურნეობის, სამშენებლო და ინდუსტრიული სექტორებისათვის.

ცნობიერების ამაღლების კიდევ ერთ ინსტრუმენტს ევროპულ სახელმწიფოთა მთავრობებისათვის წარმოადგენს **საინფორმაციო კამპანიები**.

მაგალითად, 1994 წელს დანიის სოციალური საკითხების სამინისტრომ წამოიწყო კამპანია *კერძო სექტორის სოციალური პასუხისმგებლობა – ჩვენი ერთობლივი საზრუნავია*²³². კამპანიის ძირითადი მიზანი იყო იმის გაცნობიერება, რომ სოციალური კეთილდღეობა არა მხოლოდ მთავრობისა და სახელმწიფოს, არამედ ასევე ბიზნესის, მოქალაქეებისა და ადგილობრივი თემის საზრუნავიცაა. ამ ინიციატივას მოჰყვა ცნობიერების საგრძნობი ამაღლება ბიზნეს სექტორში, მედიაწარეებში, კვლევით ორგანიზაციებში, სამთავრობო სტრუქტურებში და ა. შ.

2004 წელს იტალიის შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტროს თაოსნობით ჩატარდა საკომუნიკაციო კამპანია CSR-ზე.

დანიაში 2004 წელს დასაქმების მინისტრმა²³² მოუწოდა კომპანიებს მასთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ინტერნეტდიალოგში CSR-ის შესახებ. 6000 კომპანია ჩაენერა ამ სექციაში. 2004-2006 წლებში ბიზნესის და მთავრობის 6 ერთობლივი ინტერნეტესესია გაიმართა, რომელთა შედეგად 1200 კომპანია გაერთიანდა 6 რეგიონულ ბიზნეს ქსელში.

²³¹ იხ. <http://www.mst.dk>

²³² ეს სამინისტრო ერთ-ერთი წამყვანი სამინისტროა დანიაში CSR-ის განვითარების ხელშეწყობის კუთხით, რადგანაც დანიის მთავრობის CSR პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად კონცენტრირდება სოციალური განაპირების წინააღმდეგ ბრძოლასა და უფრო ინტეგრირებული და ჰარმონიული შრომის ბაზრის განვითარებაზე.

საკომუნიკაციო კამპანიები ხშირად CSR-თან დაკავშირებულ რომელიმე ერთ-ასპექტს შეეხება.

მაგალითად კვიპროსზე ვაჭრობისა და ინდუსტრიის სამინისტრო ყოველ წელს აფინანსებს გამოფენას და ზოგე ენერჯია“, რომლის მიზანია ენერგოდაზოგი ტექნოლოგიების განვითარებისა და ენერჯიის დაზოგვის ხელშეწყობა როგორც საწარმოებში, ასევე ინდივიდუალურად.

2003-2006 წლებში იტალიის გარემოს დაცვის სამინისტრო ატარებდა მასშტაბურ ცნობიერების ამაღლების კამპანიას, რომლის მიზანი იყო ნარჩენების შემცირების, ხელმეორე გამოყენებისა და რეციკლირების ხელშეწყობა ცნობიერების ამაღლების გზით. კამპანია ასევე ხელს უწყობდა ნარჩენების მინიმიზაციის კლუბების ჩამოყალიბებას, რომლებშიც იკრიბებოდნენ ბიზნეს კომპანიათა წარმომადგენლები და ნარჩენების მინიმიზაციის ერთობლივ ღონისძიებებს გეგმავდნენ.

CSR-ის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით მრავალ ევროპულ სახელმწიფოში მთავრობებს დაარსებული აქვთ სპეციალური ვებ-გვერდები.

ეს შეიძლება იყოს ნაციონალური დონის ვებ-გვერდი, რომელზეც თავმოყრილია ინფორმაცია ეროვნული CSR პოლიტიკისა და ღონისძიებების შესახებ; ან უფრო ვიწრო თემატური ვებ-გვერდი CSR-ის რომელიმე კომპონენტთან დაკავშირებით (გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებები და სხვ.), რომელსაც ერთი ან რამდენიმე სამინისტრო აარსებს.

მაგალითად, 2006 წელს დანიის მთავრობის დაფინანსებით დაარსდა მასშტაბური ვებ-გვერდი CSR-ზე, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის არსებულ ინფორმაციას და რესურსებს CSR-ის შესახებ (<http://www.socialengagement.dk/>).

ჩეხეთში 2007 წელს დასაქმებისა და სოციალური საკითხების სამინისტრომ დაარსა ახალი ვებ-გვერდი, რომელზეც წარმოდგენილია ინფორმაცია ჩეხეთში CSR-ის განვითარებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინიციატივის შესახებ (<http://www.mpsv.cz/en/3894>).

ლიტვაში 2006 წელს დაარსდა ლიტვის ეროვნული CSR ვებ-გვერდი.

ბულგარეთში შეიქმნა ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია პასუხისმგებელი ბიზნეს კომპანიებისა და ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობოების შესახებ. ეს ვებ-გვერდი იძლევა გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობას, ასევე ქვეყანაში CSR-ის მიმართულებით არსებული მდგომარეობის ანალიზის საშუალებას.

ბრიტანეთის მთავრობას აქვს სპეციალური ვებ-გვერდი www.csr.gov.uk.

ლუქსემბურგში შეიქმნა CSR ვებ-გვერდი, რომლის მიზანია CSR ინიციატივების განვითარებისათვის ინტერაქტიური ფორუმის შექმნა, დადებითი გამოცდილების გაზიარებისა და დისკუსიების ხელშეწყობის მიზნით.

როგორც აღვნიშნეთ, ვებ-გვერდი შეიძლება CSR-ის რომელიმე ერთ კომპონენტს უკავშირდებოდეს.

მაგალითად, ლატვიაში მომხმარებელთა დაცვის ეროვნულმა ასოციაციამ დააარსა ვებ-გვერდი *მომხმარებლის გზამკვლევი*“, რომელშიც მოცემულია შესაბამისი ინფორმაცია, კანონები, რჩევები, სხვა ვებ-გვერდების ბმულები. ხოლო *გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ* დააარსა ვებ-გვერდი (www.oeko-fair.de), რათა მომხმარებლებისათვის მიენოებინა ინფორმაცია *კეთილსინდისიერი ვაჭრობის*“ (fair trade) სფეროში დასაქმებული კომპანიების, ორგანიზაციებისა და პროდუქტების შესახებ.

იტალიაში ტოსკანის რეგიონმა დააარსა ვებ-გვერდი *ეთიკური სანარმო*“ (www2.fabricaethica.it/).

გარდა ვებ-გვერდებისა, ცოდნის მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ქვეყანათა მთავრობები ან ცალკეული სამთავრობო უწყებები აგრეთვე აარსებენ სხვადასხვა **საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრებს**, აგრეთვე შეიმუშავენ და აქვეყნებენ **საინფორმაციო მასალებს CSR საკითხებზე**.

მაგალითად, *ნიდერლანდების* მთავრობამ 2002 წელს დააარსა დამოუკიდებელი *ს აგანმანათლებლო და საინფორმაციო ცენტრი CSR-ზე*“, რომლის მიზანია ამ სფეროში ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება, ასევე დიალოგის ხელშეწყობა ბიზნეს სექტორს, არასამთავრობო სექტორს, ადგილობრივ მთავრობას და მოქალაქეებს შორის. ცენტრის ძირითად სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენს ადგილობრივი მთავრობები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მცირე და საშუალო კომპანიები. ცენტრს ძირითადად აფინანსებს ეკონომიკის სამინისტრო. მისი საქმიანობა ეფუძნება ყოველწლიურ სამუშაო გეგმას, რომლის გადახედვა და შედეგების შეჯამება ხდება წლის ბოლოს. ცენტრის ბაზაზე აგრეთვე ყოველწლიურად ტარდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, საგარეო ვაჭრობის მინისტრის, წამყვანი ჰოლანდიური კომპანიების და სხვა დაინტერესებული მხარეების შეხვედრა, რომლის მიზანია CSR-თან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

2002 წელს *ავსტრიის* ინდუსტრიის ფედერაციამ ეკონომიკისა და დასაქმების ფედერალურ სამინისტროსთან და სავაჭრო პალატასთან თანამშრომლობით წამოიწყო ინიციატივა *CSR-ავსტრია*“,²³³ რომლის მიზანი იყო სემინარების მოწყობის, კვლევების ჩატარებისა და სხვა ღონისძიებების მეშვეობით CSR-ზე ცნობიერების ამაღლება და ქვეყანაში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, აგრეთვე ავსტრიის ნაციონალური სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება CSR-ზე - ეკონომიკური წარმატების მისაღწევად სოციალური პასუხისმგებლობის გზით.“

შვედეთის მომხმარებელთა უფლებების სააგენტო ხელს უწყობს მომხ-

²³³ <http://www.csr-austria.at>

მარებელთა ცნობიერების ამაღლებას CSR საკითხებზე საინფორმაციო მასალების მომზადებითა და მრგვალი მაგიდების ორგანიზების გზით.

ევროპის ქვეყანათა მთავრობები აგრეთვე **საჯაროდ აწვდიან დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციას საკუთარი პოლიტიკისა და საქმიანობების შესახებ CSR-ის ხელშეწყობის სფეროში და ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს.**

მაგ., 2001 წლიდან *ბრიტანეთის მთავრობა* აქვეყნებს ყოველწლიურ სამთავრობო ანგარიშს CSR-ის განვითარების შესახებ, რომელშიც ჩამოყალიბებულია მთავრობის სამუშაო გეგმა, განხორციელებული საქმიანობები, დასახული მიზნები და ა. შ.

2006 წელს კი *ბელგიის* მდგრადი განვითარების სამინისტროთაშორისმა კომისიამ მოაწყო ფორუმი CSR-ზე, სახელწოდებით *სოციალური პასუხისმგებლობა მომგებიანია: CSR ჩარჩო-პროგრამიდან ქმედებებისაკენ*“, რომლის მიზანი იყო CSR განვითარების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება. სხვადასხვა სექტორთა - მრჩეველთა კომიტეტების, დამსაქმებლების, დასაქმებულთა ასოციაციების, ფინანსური სექტორის, სოციალურად პასუხისმგებელ ინვესტორთა ჯგუფების, მომხმარებელთა ჯგუფების, კვლევითი ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მოიწვიეს, რომ მათ ემსჯელათ CSR-ის განვითარების პოლიტიკაზე და შემოეთავაზებინათ CSR-ის ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებები.

2002 წელს *ესპანეთის* წარმომადგენლობითმა კონგრესმა მიიღო არასავალდებულო რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც 2003 წელს შეიქმნა *ტექნიკურ მრჩეველთა საექსპერტო კომიტეტი CSR-ის* საკითხებზე. ამ კომიტეტმა სამი ანგარიში გამოუშვა, რომლებშიც განსაზღვრული იყო ესპანეთში CSR-ის განვითარების ცხრა სახელმძღვანელო მითითება. 2006 წელს კი *ესპანეთის* პარლამენტმა გამოაქვეყნა CSR-ანგარიში იმ ზომებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს CSR-ის განვითარებისათვის. ეს დოკუმენტი ეროვნულ პარლამენტში ყველა პოლიტიკურმა პარტიამ ერთსულოვნად მიიღო.

CSR სფეროში ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებები ხშირად რეგიონულ ხასიათს ატარებს.

მაგალითად, რეგიონული პროექტის *სოციალური პასუხისმგებლობა კარპატების რეგიონში*“ (სლოვაკეთი, უნგრეთი, პოლონეთი და რუმინეთი) მიზანია: ცნობიერების ამაღლება; ინფორმაციის გაცვლა, ცოდნის მიწოდება და კონკრეტული უნარების განვითარება; CSR-ის მოდელის შექმნა, რომელიც გამოსადეგი იქნება ევროკავშირის ახალი წევრი და კანდიდატი ქვეყნებისათვის.

1.2. კვლევა

CSR-თან დაკავშირებულ საკითხებზე სხვადასხვა კვლევების ჩატარება CSR-ის ხელშეწყობის ერთ-ერთი ეფექტური და გავრცელებული ინსტრუმენტია. ამდენად, ამგვარი კვლევების ხელშეწყობა თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის კომპონენტს წარმოადგენს.

კვლევის თემატიკა მრავალგვარი შეიძლება იყოს. კვლევები ეძღვნება როგორც ზოგადად CSR-ის მიმართ დამოკიდებულებას, ამ სფეროში არსებულ გამოცდილებას, სირთულეებსა და პერსპექტივებს, ისე CSR-ის კონკრეტულ ასპექტებს.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც CSR-ის სფეროში, რეალურად, პირველი ნაბიჯები იდგმება, ხშირად ტარდება ზოგადი ხასიათის კვლევები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია არსებული მდგომარეობის შეფასება, დაბრკოლებების გამოვლენა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვა.

მაგალითად, *ბულგარეთში 2005 წელს* ჩატარდა ზოგადი მდგომარეობის ამსახველი კვლევა *ბულგარული კომპანიები და სპონსორობა – დამოკიდებულება და პრაქტიკა* (კვლევით მოცული იყო 400 ბულგარული კომპანია).

2005 წელს *ბალტიისპირეთის ქვეყნებში*, ასევე *უნგრეთში*, *პოლონეთსა* და *სლოვაკეთში* ევროკომისიის დაფინანსებითა და ამ ქვეყნების მთავრობათა მხარდაჭერით ჩატარდა მასშტაბური კვლევა CSR-ის სფეროში ცნობიერების დონისა და არსებული ცოდნის გასაზომად.

კვიპროსზე 2007 წელს ჩატარდა პირველი კვლევა ეროვნულ დონეზე, რომლის მიზანი იყო მცირე საწარმოებში CSR-ის ცნების შესახებ ცნობიერების დონის გაზომვა და ამ სფეროში არსებული გამოცდილების გამოვლენა.

აღნიშნული კვლევების შედეგები ხშირად საფუძვლად ედება ქვეყნის CSR ხელშეწყობის პოლიტიკის და სამოქმედო გეგმის დოკუმენტს.

ასე მაგალითად, *ლიტვაში 2005 წელს* სოციალური უსაფრთხოებისა და დასაქმების სამინისტროს ინიციატივით დასაქმებისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტმა⁴ ჩატარა კვლევა *ლიტვაში CSR-ის განვითარების შესაძლებლობათა შეფასება და მისი განვითარების რეკომენდაციები*⁵. ამ კვლევის ძირითადი რეკომენდაციები ინტეგრირდა დოკუმენტში *ლიტვაში CSR-ის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები 2006-2008 წლებისათვის*⁶, რომელიც 2005 წელს მიიღეს ლიტვის სოციალური უსაფრთხოებისა და დასაქმების სამინისტროს ბრძანებულებით. ამ დოკუმენტში აღწერილია სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები CSR-ის სფეროში და 2006-2008 წლებში მათ მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები.

კვლევები ხშირად ეძღვნება არა ზოგადად CSR-ს, არამედ მის ცალკეულ კომპონენტებს ან მასთან მეტ-ნაკლებად დაკავშირებულ თემებს.

მაგალითად, ლატვიის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო და მისი დაქვემდებარებული უწყებები ახორციელებენ რამდენიმე სხვადასხვა კვლევით პროგრამას, რომლებიც უშუალოდ CSR-ს არ შეეხება, მაგრამ მასთან დაკავშირებულ საკითხებს მიაპყრობს ყურადღებას, როგორცაა *სამუშაო ბაზარზე გენდერული თანასწორობის* ასპექტები და სხვ.

დანიის მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება კვლევითი პროექტი, რომელიც ადამიანის უფლებათა სფეროში ზემოქმედების შეფასების“ ინსტრუმენტების შემუშავებას ისახავს მიზნად, რაც სამუშაოებს მისცემს კომპანიებს შეაფასონ საკუთარი საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით და შესაბამისი ნაბიჯები გადადგან ამ მიმართულებით.

ჰოლანდიის მთავრობის მხარდაჭერით ჩატარდა კვლევა *მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ინოვაციებისა და მდგრადობის ურთიერთკავშირზე*.

მთავრობის მხრიდან ამგვარი **კვლევების ინიცირების, ორგანიზებისა და მხარდაჭერის ფორმები** აგრეთვე მრავალგვარია.

კვლევები ხშირად უშუალოდ **რომელიმე სახელმწიფო უწყების ინიციატივით** ტარდება.

მაგალითად, დანიის ეკონომიკისა და ბიზნესის სამინისტროს ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით 2005-2007 წლებში (პროექტის ადამიანები და მოგება“ ფარგლებში) ჩატარდა კვლევა, რომელიც განახორციელეს მკვლევრებმა რამდენიმე კვლევითი დაწესებულებიდან (კოპენჰაგენის ბიზნესის სკოლიდან, სტატისტიკის დეპარტამენტიდან, აშრიჯის ბიზნესის სკოლიდან და ჰარვარდის უნივერსიტეტიდან) და რომელიც შეეხებოდა CSR-ის განვითარებას დანიის მცირე საწარმოებში.

2005-2006 წლებში ჰოლანდიის სოციალური უზრუნველყოფისა და დასაქმების სამინისტრომ დააფინანსა კვლევა ქვის მოპოვებისა და დამუშავების სექტორში CSR-ის შესახებ – კვლევის ფარგლებში შეისწავლეს, თუ როგორი სამუშაო პირობებია ამ სექტორში და როგორია გარემოზე მოხდენილი ზეგავლენა, აგრეთვე შეიმუშავეს რეკომენდაციები სიტუაციის გამოსასწორებლად.

ჰოლანდიის ეკონომიკის სამინისტრომ საერთაშორისო დონეზე CSR განვითარების მხარდასაჭერად (რაც ჰოლანდიის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს) 2006 წელს დააფინანსა მასშტაბური კვლევითი პროექტი ლათინურ ამერიკაში. ამ კვლევის შედეგებმა არა მხოლოდ გაზარდა ცნობიერების დონე ლათინურ ამერიკაში, არამედ ინფორმაცია მიანოდა იმ ჰოლანდიურ კომპანიებსაც, რომელთაც სურდათ ამ რეგიონში პასუხისმგებელი, მდგრადი ინვესტიციების განხორციელება.

კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ფორმა მთავრობის მხრიდან შეიძლება აგრეთვე იყოს **თემატური გრანტების გაცემა CSR-თან დაკავშირებულ კვლევით პროექტებზე.**

მაგალითად, *გერმანიის* განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში გასცემს გრანტებს კვლევითი საქმიანობისათვის, რომლის მიზანია ეკონომიკურ სისტემებში ინოვაციათა პოტენციალის გაზრდა თანამედროვე სამუშაო პირობების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და უწყვეტი სწავლების შესაძლებლობის უზრუნველყოფის გზით (რაც CSR-ის კომპონენტებს წარმოადგენს).

სლოვენიაში 2006 წლის იანვარის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაბამისმა სამინისტროებმა წამოაყენეს წინადადება, რომ მიზნობრივი კვლევითი პროგრამის²³⁴ ახალი კონკურსის ფარგლებში ჩატარებულიყო კვლევები CSR საკითხებზე. ასე მაგალითად, *სოფლის მეურნეობის სამინისტრო* თანადაფინანსებას უწევს მხოლოდ ორგანულ სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ კვლევებს.

სხვადასხვა ქვეყნის სამინისტროები და მთავრობები აგრეთვე **აარსებენ სპეციალურ კვლევით ცენტრებსა და მრჩეველთა კომიტეტებს**, რომელთა მიზანია CSR საკითხებთან დაკავშირებული კვლევების ჩატარება, კვლევათა თემატიკის განსაზღვრა და ა. შ.

მაგალითად, *მალტაზე 1993* წელს გარემოს დაცვის სამინისტრომ, მრეწველობის სამინისტროსა და მალტის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, მალტის უნივერსიტეტის ბაზაზე დააარსა *სუფთა ტექნოლოგიების ცენტრი* (CTC), რომლის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მწარმოებლებს უფრო სუფთა ტექნოლოგიური პროცესების დანერგვაში, რაც ნარჩენების მინიმიზაციას შეუწყობს ხელს (ეს კი CSR-ის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს გარემოსდაცვითი მიმართულების ფარგლებში).

მალტის გარემოს დაცვის სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კი ერთობლივად დააარსეს *გარემოსდაცვითი განათლებისა და კვლევების ცენტრი*, რომლის მიზნებია შესაბამისი კვლევების ჩატარება და ტრენინგ პროგრამების შემუშავება, გარემოსდაცვითი განათლების ეროვნული სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება, სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებისათვის კონსულტაციების მიწოდება

²³⁴ სლოვენის მიზნობრივი კვლევითი პროგრამები (Target Research Programs) წარმოადგენს სექტორთაშორისი თანამშრომლობის სისტემას, როელიც 2001 წელს შეიქმნა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან სფეროებში პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. ამ პროგრამების მეშვეობით მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და უმაღლესი განათლების სამინისტრო მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს სლოვენის განვითარების სტრატეგიული მიზნების დასახვასა და შესრულებაში, სხვა სამინისტროებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, რათა გაუმჯობესდეს სლოვენის კონკურენტული პოტენციალი (<http://cordis.europa.eu/erawatch/index.cfm?fuseaction=prog.document&uuiid=E0312070-ACA5-7CF9-6AFD5C24F96BDA23>).

გარემოსდაცვითი განათლების პროგრამების შემუშავების თაობაზე, გარემოსდაცვითი განათლებისა და ცნობიერების ამაღლება და სხვა.

ესპანეთის მთავრობამ 2005 წელს დასაქმებისა და სოციალური საკითხების სამინისტროსთან დააარსა *CSR-ის ტექნიკურ მრჩეველთა კომიტეტი*,²³⁵ რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი კვლევების მიმართულებებსა და მიზნებს.

იტალიის მთავრობამ 2005 წელს დააარსა *იტალიის სოციალური პასუხისმგებლობის ცენტრი* (I-CSR), რომელსაც თვითონვე აფინანსებს. ცენტრის მიზანია CSR-ის განვითარების ხელშეწყობა და CSR-ის შესახებ ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ჩატარება.

შვედეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბაზაზე ხორციელდება პროექტი *პარტნიორობა 'გლობალური პასუხისმგებლობისათვის'* (Partnership for Global Responsibility), რომელიც თანამშრომლობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან, ატარებს კვლევებს და ავრცელებს ინფორმაციას CSR-ის შესახებ. პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოქვეყნდა არაერთი პუბლიკაცია, მაგ: რა ვიცი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ? გლობალური მიწოდების ჯაჭვები, ქვეყნებისა და კომპანიების პასუხისმგებელი კონკურენტუნარიანობის ზრდა გლობალიზებულ მსოფლიოში და სხვ.

მრავალ ევროპულ ქვეყანაში არსებობს **სპეციალური კვლევითი ინსტიტუტები**, რომლებიც სპეციალიზებულია CSR-თან დაკავშირებულ საკითხებში და რომლებშიც ტარდება ფართომასშტაბიანი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევები CSR-ის სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

მაგალითად, *დანიის* დანიის სოციალურ კვლევათა ინსტიტუტი²³⁵ 1998-2009 წლებში ახორციელებდა ფართომასშტაბიან კვლევით პროგრამას, რომლის მიზანი იყო CSR-ის განვითარებაში არსებული ტენდენციების შესწავლა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ინსტიტუტი აქვეყნებს ყოველწლიურ გამოცემას.

ზალცბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში ტარდება კვლევები *ბიზნესისა და ეთიკის საკითხებზე*.

CSR-თან დაკავშირებულ საკითხებზე **კვლევებს** ხშირად სხვადასხვა **უმაღლესი სასწავლებლები ატარებენ**, სადაც ეს კვლევები სწავლებასთან არის კომბინირებული.

ფინეთში ჰელსინკის ეკონომიკის სკოლამ ჯერ კიდევ 1993 წელს წამოიწყო კორპორაციული გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამა, რომელიც კვლევასა და სწავლებას მოიცავს. პროგრამა ფოკუსირდება კორპორაციული პასუხისმგებლობისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვაზე ფინურ ბიზნესში²³⁵.

²³⁵ www.hse.fi/responsibility

ტურკუს ეკონომიკის სკოლის პასუხისმგებელი ბიზნესის ცენტრი, რომელიც 2004 წელს დაარსდა, წარმოადგენს ბიზნესის საკითხებზე მომუშავე პირველ კვლევით ცენტრს ფინეთში, რომელიც მრავალდარგოვან კვლევებში, საგანმანათლებლო და განვითარების პროექტებში სპეციალიზდება²³⁶. 2006 წელს ცენტრის ინიციატივით დაარსდა ტურკუს პასუხისმგებელი ბიზნესის ქსელი, რომელშიც გაერთიანდა სხვა სასწავლო დაწესებულებები და უნივერსიტეტები.

ავსტრიაში ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების უნივერსიტეტმა და მდგრადი განვითარების მენეჯმენტის კვლევითმა ინსტიტუტმა ერთობლივად შეიმუშავეს დიპლომი CSR სფეროში.²³⁷

ბრატისლავას ეკონომიკის უნივერსიტეტის შემდგომი განათლების ცენტრმა²³⁸ ჩაატარა კომპანიათა სოციალურად პასუხისმგებელი საქმიანობის დადებითი მაგალითების კვლევა. *პრეშოვის* უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ეთიკის ინსტიტუტი კი ატარებს კვლევებს ბიზნეს ეთიკის საკითხებზე.

სამეცნიერო თუ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში CSR-თან დაკავშირებული კვლევები ხშირად მთავრობის, სახელმწიფო უწყებებისა და საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერითა და დაფინანსებით ტარდება.

მაგალითად, დანიის მთავრობა ფინანსურ მხარდაჭერას უწევს დანიის ადამიანის უფლებათა ცენტრის²³⁹ მიერ ადამიანის უფლებათა სფეროში ზემოქმედების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებას, რომლებიც ეფუძნება საერთაშორისო კონვენციებს ადამიანის უფლებათა სფეროში და საშუალებას აძლევს კომპანიებს ნებაყოფლობით შეაფასონ საკუთარ საქმიანობაში ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკები (როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა დაცვა CSR-ის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია).

ავსტრიის ეროვნული ბანკი ფინანსურ დახმარებას უწევს პროექტს *საერთაშორისო თანამეგობრობის, სახელმწიფოთა და სანარმოთა პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა სფეროში*²⁴⁰. ეს კვლევითი პროექტი შეისწავლის სანარმოთა პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებათა სფეროში პოლიტიკური მეცნიერებისა და სამართლის კუთხით.²³⁸

ბრიტანეთის მთავრობამ 2001 წელს სამი ფუნდამენტური კვლევა შეუკვეთა კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი სექტორის შეხედულებების შესასწავლად CSR-ისა და მისი დადებითი შედეგების შესახებ.

ევროპის ქვეყანათა მთავრობები ხშირად სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებს უკვეთავენ CSR საკითხებზე კვლევების ჩატარებას.

²³⁶ www.tse.fi/cereb

²³⁷ www.sustainability.at

²³⁸ www.uni-vie.ac.at/bim/

მაგალითად, გერმანიის შრომითი საქმიანობის უსაფრთხოებისა და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის“ ფედერალური ინსტიტუტი, რომელიც ფედერალური მთავრობის მიერ ფინანსდება, ატარებს სპეციალიზებულ კვლევებს და შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებს პოლიტიკის შემქმნელთათვის. ამ ინსტიტუტის მიერ გამოშვებული წიგნები და ბროშურები მიზნად ისახავს კომპანიებში სამუშაოს უსაფრთხოებისა და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის მიმართ პასუხისმგებლობის ამაღლებას (მაგ. 2006 წელს ამ ინსტიტუტმა გამოუშვა ბროშურა: მეტი ჯანმრთელობა — უფრო მაღალი შემოსავალი: სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ეკონომიკური ეფექტურობა“).

1.3. საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა

საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა (Public-Private Partnerships/PPP) ევროპაში და საერთოდ მსოფლიოში მნიშვნელოვანი ტენდენციაა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობა/საჯარო სექტორი და ბიზნესი ერთობლივად ახორციელებენ მომგებიან ბიზნეს პროექტებს, რომლებსაც აქვთ დამატებითი სოციალური ღირებულება.

იმ სოციალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლებსაც მხოლოდ სახელმწიფო ვერ უმკლავდება, ერთობლივი ქმედებების განხორციელებისა და დაფინანსების ახალი გზების ძიებას მოჰყვება პარტნიორული პროექტების ჩამოყალიბება საჯარო სექტორსა და კომპანიებს შორის (PPP). ამგვარ პარტნიორობის მექანიზმს სწორედ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა უწყობს ხელს. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღნიშნულა მჭიდრო კავშირი CSR-სა და სოციალურ პარტნიორობას შორის. მხოლოდ საჯარო სექტორის მიერ განხორციელებულ ინიციატივებთან შედარებით, PPP მოდელი უფრო მოქნილად და ბაზარზე ორიენტირებულად მიიჩნევა.

როგორც 2009 წელს ჩატარებულ კონფერენციაზე აღნიშნა კეტი კალვინმა, გაეროს ფონდის აღმასრულებელმა ვიცეპრეზიდენტმა (UN Foundation), საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა არის საქმის გაკეთების ყველაზე ეფექტური გზა, რადგანაც დღევანდელ მსოფლიოში არც ერთი სექტორი არ ფლობს საკმარის შესაძლებლობებს, რომ მარტო გაუმკლავდეს დღევანდელი მსოფლიოს გლობალური განვითარების ამოცანებს.

საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა“ (PPP) არის ახლებური მიდგომა, რომლის მეშვეობითაც მთავრობა ცდილობს გაზარდოს კერძო სექტორის ჩართულობა საზოგადოებრივი სერვისების მიწოდებაში, განსაკუთრებით იმ სერვისებისა, რომელთაც კერძო სექტორი უფრო ეფექტურად მიაწოდებს.

არ არსებობს ერთი უნივერსალური მოდელი, რომელიც საუკეთესოდ მისადაგება PPP თანამშრომლობის ყველა პროექტს. საჯარო და კერძო

სექტორები ერთობლივად განსაზღვრავენ, თუ რომელი კონკრეტული მოდელი იქნება უმჯობესი კონკრეტული თანამშრომლობითი პროექტისათვის.

PPP თანამშრომლობის მოდელი მომგებიანია როგორც საზოგადოებისათვის, ასევე მთავრობისა და ბიზნესისათვის.

როგორც წესი, PPP თანამშრომლობითი მიდგომა, ძირითადად, გამოიყენება მაღალბიუჯეტიან პროექტებში, ისეთ სფეროებში, როგორებიცაა, მაგალითად, სპორტული ინფრასტრუქტურა, ჰოსპიტალები და პოლიკლინიკები, სამთავრობო უწყებათა შენობები, ავტომაგისტრალები, საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა (მათ შორის, მაგ., სტუდენტური საერთო საცხოვრებლები და სხვ.), ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნები, წყლის გამწმენდი და საკანალიზაციო ნაგებობები, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და სხვ.

საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა“ (PPP) წარმოადგენს გრძელვადიან თანამშრომლობით ურთიერთობას სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის. PPP პროგრამების მეშვეობით საჯარო სექტორი ცდილობს გააერთიანოს საზოგადოებრივი და კერძო სექტორების ექსპერტიზა და რესურსები, რათა საზოგადოებას სერვისები მიაწოდოს ოპტიმალური ფასისა და ხარისხის კომბინაციით.

ტრადიციულად, საჯარო სექტორი ცდილობს კერძო სექტორის ჩართვას აღჭურვილობის მოწოდების ან შენობა-ნაგებობების მშენებლობის საქმეში. შემდგომ კი სახელმწიფო სტრუქტურები ფლობენ ამ ნაგებობას თუ აღჭურვილობას და უზრუნველყოფენ მათ ფუნქციონირებას, ან ამავე მიზნით (ანუ ნაგებობის თუ აღჭურვილობის ფუნქციონირებისათვის) ისევ კერძო კომპანიებს მოიზიდავენ, რათა საზოგადოებას მიაწოდონ საჭირო მომსახურება.

PPP თანამშრომლობის კანადის საბჭო“ (The Canadian Council for Public-Private Partnerships) ასე განმარტავს ამ ცნებას: კერძო და საჯარო სექტორების ერთობლივი კომპანია, რომელიც ეფუძნება თითოეული პარტნიორის ექსპერტიზას და ზუსტად პასუხობს საზოგადოებრივ საჭიროებებს რესურსების, რისკებისა და მოგების სათანადო განთავსების გზით“.²³⁹

საჯარო სექტორისათვის PPP პროექტები წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების ალტერნატივას, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო მაქსიმალურად ხარჯთეფექტურად აგვარებს საზოგადოებრივი სერვისების მიწოდებას, აღჭურვილობის, ნაგებობებისა და ა. შ. ფლობის და ფუნქციონირების ნაცვლად.

არსებობს მრავალი სხვადასხვა მოდელი, რომელთა ფარგლებშიც საჯარო სექტორი იყენებს კერძო სექტორის რესურსებსა და ექსპერტიზას საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მათ შორისაა ერთობლივი სანარმო, სტრატეგიული პარტნიორობა სახელმწიფო ქონების ეფექტურად გამოყენების მიზნით, პირდაპირ კონტრაქტის გაფორმება კერძო კომპანიი-

²³⁹ http://www.pppcouncil.ca/aboutPPP_definition.asp

სათვის ამა თუ იმ სერვისის მიწოდებაზე, ასევე ერთობლივი პროგრამები, რომელთა მართვას საჯარო სექტორი ახორციელებს, თუმცა ისეთი ფორმატით, რომ შესაძლებელია კერძო სექტორი სხვადასხვა მასშტაბით იყოს ჩართული დაგეგმვაში, აშენებაში, ფუნქციონირებასა და ასევე ქონების დროებით მფლობელობაში, ან მთლიანად საკუთარ თავზე აიღოს ეს ფუნქციები. (ტერმინი პრივატიზაცია“ ამ კონტექსტში იხმარება PPP ფორმატისათვის, როდესაც აქტივებს მთლიანად ან მეტწილად ფლობს კერძო სექტორი, ხოლო მარეგულირებელი ფუნქცია საჯარო სექტორის ხელში რჩება).

PPP შესაძლო მოდელებია:²⁴⁰

დაგეგმვა/დიზაინი — მშენებლობა (Design-Build (DB)) — კერძო სექტორი შეიმუშავებს პროექტს და აშენებს ინფრასტრუქტურას საჯარო სექტორის მოთხოვნათა შესაბამისად, ფიქსირებულ ფასად (ეს მოდელი, ზოგიერთი დეფინიციის თანახმად, არ მოიაზრება PPP-ის სახეობად);

ფუნქციონირებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის კონტრაქტი (Operation & Maintenance Contract (O & M)) - კერძო კომპანია კონტრაქტის საფუძველზე ამუშავებს რაიმე საწარმოს, სერვის ცენტრს და ა. შ., რომელიც საჯარო სექტორის საკუთრებაშია.

დაგეგმვა-აშენება-დაფინანსება-ფუნქციონირება (Design-Build-Finance-Operate (DBFO)) – კერძო სექტორი დაგეგმავს (შეიმუშავებს პროექტს), აფინანსებს და აშენებს ახალ საწარმოს/სერვის ცენტრს/ობიექტს, გრძელვადიანი არენდის კონტრაქტის ფარგლებში და არენდის პერიოდის განმავლობაში ამუშავებს მას. ამ პერიოდის ამონაწერის შემდეგ კერძო პარტნიორი გადასცემს ობიექტს სახელმწიფოს.

საქმიანობის ლიცენზია (Operation License) – კერძო კომპანია იღებს საზოგადოებრივი სერვისის განხორციელების ლიცენზიას ან უფლებას, ჩვეულებრივ, დროის გარკვეული მონაკვეთით. ეს მოდელი მეტწილად საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს პროექტებში გამოიყენება.

აშენება-ფლობა-ფუნქციონირება (Build-Own-Operate (BOO)) – კერძო სექტორი აფინანსებს, აშენებს, ფლობს და ამუშავებს ობიექტს (საწარმოს ან სერვისის მიწოდების ობიექტს) განუსაზღვრელი ვადით. ამასთანავე, სახელმწიფო შეზღუდვები განსაზღვრულია თავდაპირველ კონტრაქტში, არსებული მარეგულირებელი ორგანოს მიერ.

აშენება-ფლობა-ფუნქციონირება-გადაცემა (Build-Own-Operate-Transfer (BOOT)) – კერძო კომპანია იღებს ლიცენზიას/უფლებას დაგეგმოს, დააფინანსოს, ააშენოს და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამუშავოს ობიექტი (საწარმო, მომსახურების სააგენტო და ა. შ.), ასევე დააწესოს მომსახურების გადასახადი. ამ პერიოდის დასრულების შემდეგ ობიექტი კვლავ საჯარო სექტორის მფლობელობაში გადადის.

²⁴⁰ კლასიფიკაციის წყარო: კერძო და საჯარო სექტორების პარტნიორობის კანადის საბჭო. <http://www.pppcouncil.ca>

ყიდვა-აშენება-ფუნქციონირება (Buy-Build-Operate (BBO) – სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი ობიექტის/ქონების გადაცემა კერძო ან ნახევრად-სახელმწიფო კომპანიისათვის, ჩვეულებრივ, ისეთი საკონტრაქტო პირობებით, რომლებიც ითვალისწინებს ობიექტის მოდერნიზაციას/განვითარებას და მის ფუნქციონირებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კონტრაქტის თანახმადვე საჯარო სექტორი ახორციელებს კონტროლს.

მხოლოდ დაფინანსება – კერძო კომპანია, უმეტესწილად საფინანსო სექტორის კომპანია, აფინანსებს პროექტს პირდაპირ ან ისეთი მექანიზმების გამოყენებით, როგორებიცაა, მაგ. ობლიგაციების გამოშვება ან გრძელვადიანი იჯარა.

ზოგიერთი მოდელის ფარგლებში დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება, ხოლო ობიექტის ფუნქციონირებას სახელმწიფო უზრუნველყოფს კერძო სექტორთან ერთობლივად (ამ შემთხვევაში კერძო კომპანიას კონტრაქტი უფორმდება); სხვა ტიპის მოდელში კაპიტალის მომწოდებელია კერძო სექტორი. საჯარო სექტორის შენატანი PPP პროექტში, გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით, შეიძლება ასევე იყოს ნატურით(მაგ., არსებული სახელმწიფო ქონების გადაცემა). პროექტებში, რომელთა მიზანია საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მაგალითად, ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართულ პროექტებში, მთავრობამ შეიძლება ერთჯერადი გრანტის სახით გასცეს სუბსიდია, რათა მიმზიდველი გახადოს პროექტი კერძო ინვესტორებისათვის. სხვა შემთხვევაში მთავრობამ შესაძლოა მხარდაჭერა გაუწიოს პროექტს შემოსავლების სუბსიდირების გზით, ვთქვათ, საგადასახადო შეღავათის ან გარკვეული პერიოდისათვის გარანტირებული წლიური შემოსავლის უზრუნველყოფის გზით.

ჩვეულებრივ, კერძო კომპანიათა კონსორციუმი აყალიბებს სპეციალურ მიზნობრივ კომპანიას“ (special purpose vehicle - SPV), რომლის მიზანია განავითაროს, ააშენოს, შეინახოს ან აამუშავოს ესა თუ ის სანარმო საკონტრაქტო პერიოდის განმავლობაში. სწორედ ეს მიზნობრივი კომპანია“ აწერს ხელს კონტრაქტს მთავრობასთან და ქვეკონტრაქტორებთან სანარმოს აშენების და/ან მისი ფუნქციონირების მიზნით. ინფრასტრუქტურის სექტორში რთული შეთანხმებები და კონტრაქტები უზრუნველყოფს თანხის უსაფრთხო ბრუნვას.

ევროპის ქვეყნებში საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლობა საკმაოდ განვითარებულია. ამასთანავე, ევროპის ქვეყანათა მთავრობები სხვადასხვა საქმიანობებს ახორციელებენ, რათა **ხელი შეუწყონ ბიზნეს კომპანიათა და სამთავრობო უწყებათა/საჯარო ხელისუფლების შეთანხმებულ მოქმედებას განვითარებაზე მიმართული პროექტების განხორციელებისას.**

ხორციელდება **პარტნიორული პროექტები** საჯარო სექტორისა და კერძო სტრუქტურების მონაწილეობით ამგვარი თანამშრომლობის ხელშეწყობისა და ბიზნეს კომპანიებში CSR-ის დანერგვის მიზნით. ასე მაგალითად:

ჰოლანდიაში მრავალი სამთავრობო უწყება და სამინისტრო არის ჩართული PPP პარტნიორობის პროექტებში, ისეთ სფეროებში, როგორე-

ბიცაა ენერჯეტიკა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და წყლის რესურსების მართვა.

იტალიის დასაქმებისა და სოციალური საკითხების სამინისტრომ ბოკონის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით შეიმუშავა CSR პროექტი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს კომპანიათა ეთიკურ ქცევას და ეროვნულ და მათ მონაწილეობას სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივ პროგრამებში. პროექტის პრეზენტაცია 2003 წელს გაიმართა.

მალტის დასაქმების სახელმწიფო უწყება დასაქმებისა და სწავლების კორპორაცია“ მუშაობს კერძო სექტორთან თანამშრომლობით, რათა დაეხმაროს არახელსაყრელ პირობებში მყოფ უმუშევარ ადამიანებს გააუმჯობესონ თავიანთი დასაქმების პოტენციალი. ეს სახელმწიფო-კერძო სტრუქტურა სკოლადამთავრებულებს სთავაზობს სტაჟირების კურსებს, ტრენინგ-პროგრამების მეშვეობით ეხმარება ახალი სამუშაოს მოძებნაში იმ ადამიანებს, რომლებიც სანარმოს რესტრუქტურის შედეგად შემცირებაში მოყვნენ, ასევე იმ ადამიანებს, რომლებიც დიდი ხანია არ ყოფილან დასაქმებული.

პორტუგალიაში ხორციელდება პარტნიორული პროექტი, კერძო კომპანიათა მონაწილეობით, რომლის მიზანია ეფექტური წონასწორობის მიღწევა ოჯახსა და სამსახურს შორის. პროექტი კონცენტრირდება ოჯახთან თავსებადი სანარმოს მოდელის კონცეპტუალიზაციასა და ტესტირებაზე. მის ფარგლებში ასევე შეიმუშავდა ნორმატიული დოკუმენტი ოჯახთან თავსებადი (family-friendly) ორგანიზაციული მენეჯმენტის სისტემის ხელშეწყობის შესახებ. ხოლო პორტუგალიის დასაქმებისა და სოციალური სოლიდარობის სამინისტროსთან არსებულმა უნარშეზღუდულ ადამიანთა რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის ეროვნულმა სააგენტომ“ მსხვილ, მულტინაციონალურ სანარმოთა ასოციაციასთან (GRACE) თანამშრომლობით, 2005 წელს მოაწყო CSR სემინარი, რომლის მიზანი იყო წარმოეჩინა კორპორაციული პასუხისმგებლობის დადებითი მაგალითები უნარშეზღუდულ ადამიანებთან მიმართებით (რამდენიმე პორტუგალიურმა სანარმომ გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით).

დანიაში 2006 წელს დაიწყო მასშტაბური პროექტი კომპანიათა და დასაქმების მუნიციპალურ ცენტრებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით (2007 წლის მუნიციპალური რეფორმის გათვალისწინებით). მისი მიზანია ახალი ინსტრუმენტებისა და ინსტრუქციების შეიმუშავება, რათა დაეხმაროს ყველაზე ნაკლებად პრივილეგირებულ ჯგუფებს სამუშაო ბაზარზე ადგილის დამკვიდრებაში.

ხშირად ამგვარ ერთობლივ პროექტებსა და საქმიანობებს წინ უძღვის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო სექტორის წარმომადგენელთა შორის შეთანხმების ხელმოწერა.

მაგალითად, ესპანეთში 2006 წელს ხანგრძლივი დიალოგის შედეგად სანარმოების და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებმა ხელი

მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიზანია დასაქმების სტაბილურობის ამაღლება და სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება. შეთანხმებაში მონაწილეობა მიიღო მთავრობამაც. შეთანხმების შედეგები აისახა სპეციალურ კანონში.

საბერძნეთში 2006 წელს შინაგან საქმეთა, სახელმწიფო მმართველობისა და დეცენტრალიზაციის სამინისტრომ და საბერძნეთის CSR ქსელმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის შეთანხმებას, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საწარმოებში გენდერულ თანასწორობას. შეთანხმება მიზნად ისახავს ერთობლივი ქმედებების განხორციელებას (მაგ. კვლევები და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობები), შრომით ბაზარზე და სამუშაო ადგილზე უთანასწორობის დასაძლევად.

საფრანგეთში 2002 წელს ხელი მოეწერა გრძელვადიან შეთანხმებას კერძო და საჯარო სექტორებს შორის დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით.

იქმნება აგრეთვე ერთობლივი საჯარო-კერძო სტრუქტურები, რომელთა მიზანია კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ხელშეწყობა და ბიზნეს კომპანიებში CSR-ის დანერგვა.

მაგალითად, 1990 წელს მალტის მთავრობამ დააარსა ადამიანური რესურსების განვითარების ცენტრი“ – ეს იყო კერძო სექტორთან ერთობლივი ინიციატივა. ფონდის ძირითადი მიზანია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების აუცილებლობის ხაზგასმა და ამის შესახებ ცნობიერების ამაღლება, ასევე კომპანიათა თანამშრომლებისათვის ადეკვატური ტრენინგების/სწავლების უზრუნველყოფა. ყოველწლიურად ფონდი აჯილდოებს რამდენიმე კომპანიას საუკეთესო HR ინიციატივებისთვის და ადამიანური რესურსების საუკეთესო მართვისათვის. ხოლო მალტის რესურსებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დააარსა ‘რეაბილიტაციის პროექტების სააგენტო“, რომლის მიზანია მოძებნოს პარტნიორები კერძო სექტორიდან კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტების განსახორციელებლად (მალტა განთქმულია მდიდარი კულტურული მემკვიდრეობით, ამიტომ ეს სფერო PPP პროექტების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს).

ევროპის ქვეყნებში PPP ხელშეწყობის ერთ-ერთი ფორმაა სხვადასხვა სახის სამმხრივი ფორუმებისა და საბჭოების დაარსება, რომლებშიც კერძო სექტორთან ერთად სხვადასხვა სოციალური პარტნიორები მონაწილეობენ – მთავრობა, დამსაქმებელთა ასოციაციები, პროფესიული კავშირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამგვარი ფორუმების ძირითადი მიზანია დიალოგის ხელშეწყობა და კონსენსუსის მიღწევა სხვადასხვა სექტორს შორის, რაც ხელს უწყობს საჯარო და კერძო სექტორების თანამშრომლო-

ბასა და კერძო სექტორის უფრო აქტიურ ჩართვას საზოგადოების პრობლემათა გადაწყვეტასა და საჭიროებათა დაკმაყოფილებაში.

ასე მაგალითად, *ფინეთში 2001* წლიდან მოქმედებს ფინეთის ეთიკური ფორუმი (Finish Ethical Forum) — კომპანიების, ორგანიზაციების, პროფკავშირების, ეკლესიისა და მთავრობის ერთობლივი ფორუმი, რომელზეც განიხილება ბიზნეს ეთიკისა და CSR-ის საკითხები. ფორუმი წელიწადში რამდენჯერმე იკრიბება შერჩეული საკითხის განსახილველად. მისი ძირითადი მიზანია CSR საკითხებზე დიალოგისათვის ერთიანი პლატფორმის შექმნა სხვადასხვა სექტორთათვის.²⁴¹

ლატვიაში, სადაც დიდი ყურადღება ეთმობა სოციალური დიალოგის განვითარებას, 1998 წელს დაარსდა სამმხრივი თანამშრომლობის ნაციონალური საბჭო“ (შედგება მთავრობის, პროფკავშირების კონფედერაციის, დამსაქმებელთა კონფედერაციის წარმომადგენლებისაგან), რომელიც გახდა პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული ინსტიტუციური ორგანოების განუყოფელი ნაწილი. მისი მიზანია ხელი შეუწყოს სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე თანამშრომლობას და კონსენსუსის მიღწევას სხვადასხვა მხარეს შორის.

ამგვარი მულტისექტორული (სამმხრივი) საკონსულტაციო ორგანოები ხშირად მონაწილეობენ აგრეთვე პოლიტიკის შემუშავებაში და კოორდინირებას უწევენ CSR-ის განვითარებას. ასეთი სამმხრივი სტრუქტურების დაარსება კეთილმოყოფელ გავლენას ახდენს სოციალური პარტნიორობის ჯანსაღი და კონსტრუქციული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე.

ასე მაგალითად, *ლიტვაში* დაარსდა CSR განვითარების კოორდინაციის მუდმივმოქმედი კომისია, რომლის მიზანია განახორციელოს, კოორდინირება გაუწიოს და შეაფასოს ლიტვაში CSR-ის განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები. კომისიაში შედიან სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები – მთავრობის, სოციალურ საკითხთა და დასაქმების სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს, გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები, პროფკავშირების, დამსაქმებელთა ასოციაციების, კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ა. შ.

კვიპროსზე არსებობს მრჩეველთა საბჭო დასაქმების საკითხებში, რომლის თავმჯდომარეა დასაქმებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო. ეს საბჭო წარმოადგენს ერთგვარ ფორუმს დასაქმებისა და სოციალურ საკითხებზე დიალოგისათვის მთავრობას, დამსაქმებელთა ფედერაციასა და პროფკავშირებს შორის. ამასთანავე, ამ ფორუმზე განიხილება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს კონსენსუსს.

1997 წელს *ჩეხეთში* დაარსდა ჩეხეთის ეკონომიკური და სოციალური თანხმობის საბჭო (Chekh Council for Economic and Social Accord), რომელიც წარმოადგენს ინსტიტუციურ პლატფორმას სოციალური დიალოგისათვის მთა-

²⁴¹ www.eettinenfoorum.org

ვრობას, პროფესიულ კავშირებსა და დამქირავებლებს შორის. მისი მიზანი იყო შეთანხმების მიღწევა ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად საკითხებზე საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებისას. მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამუშაო გარემოს, ბუნებრივი გარემოს დაცვას და შრომითი ურთიერთობების ნორმების დაცვის ზედამხედველობას.

2004 წელს იტალიის დასაქმებისა და სოციალური საკითხების სამინისტრომ დააარსა იტალიის დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებზე (Italian Multistakeholder Forum for CSR), რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სექტორისა და ჯგუფის წარმომადგენლებს (დამსაქმებლებს, პროფკავშირებს, სამოქალაქო საზოგადოებას, სხვადასხვა ინსტიტუციებს). ფორუმს თავმჯდომარეობს იტალიის დასაქმებისა და სოციალური საკითხების სამინისტრო. ის იკრიბება გენერალურ ასამბლეასა და ტექნიკურ მრგვალი მაგიდის შეხვედრებზე. ინიციატივის მიზანია დიალოგის პლათფორმის შექმნა და CSR საკითხების განვითარების ხელშეწყობა, გამჭვირვალობის ხელშეწყობა და დადებითი მაგალითების გავრცელება²⁴².

დანიასი ბიზნეს კომპანიათა აღმასრულებელი დირექტორების ნაციონალური ქსელი, რომელიც სოციალური საკითხების სამინისტროს ინიციატივით დაარსდა, აერთიანებს 16 მაღალი რანგის ბიზნეს ლიდერს კერძო და სახელმწიფო კომპანიებიდან, რომლებიც დასაქმების სამინისტროსთან მრჩეველების ფუნქციას ასრულებენ და ხელს უწყობენ CSR-ის განვითარებას.

1998 წლის შემდეგ დანიასი დაარსდა 6 რეგიონული ბიზნეს ქსელი CSR-ის განვითარების მიზნით ამ ქსელების ერთ-ერთი მიზანია პარტნიორობის განვითარება კომპანიებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ადგილობრივი სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. ქსელებს მთავრობა უწევს ფინანსურ მხარდაჭერას და ისინი 12000-ზე მეტ წევრს აერთიანებენ. ხოლო 1998 წელს დანიის მთავრობამ დააარსა კოპენჰაგენის ცენტრი“ (The Copenhagen Centre TCC) - დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც CSR საკითხებზე მუშაობს.²⁴³

ევროპის ქვეყნების მთავრობები დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე CSR-ის და PPP-ის ხელშეწყობას განვითარებად ქვეყნებში თავიანთი საგარეო პოლიტიკის მეშვეობით.

ასე მაგალითად, დანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წამოიწყო პროგრამა, რომლის მიზანია განვითარებად ქვეყნებში PPP ხელშეწყობა უკეთესი საარსებო და სამუშაო პირობების უზრუნველყოფისათვის CSR-ის განვითარების გზით. ეს პროგრამა კონსულტაციებს და ეკონომიკურ მხარდაჭერას სთავაზობს იმ კომპანიებს და ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ აღნიშნულ არეალში საქმიანობის წამოწყება.

²⁴² www.welfare.gov.it/csr

²⁴³ www.copenhagencentre.org/sw204.asp

1. 4. ბიზნესის სტიმულირება

სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებელი ბიზნეს კომპანიების სტიმულირება სხვადასხვა ხერხებით CSR-ის ხელშეწყობის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული ევროპის ქვეყნებში.

სტიმულირების ყველაზე გავრცელებული ფორმაა კონკურსები და ჯილდოები.

კონკურსები ტარდება **სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით.**

არსებობს CSR კონკურსები ზოგადად პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობისათვის.

მაგალითად, ბულგარეთში ყოველწლიურად ტარდება კონკურსი სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის ეროვნული ჯილდოს მისაღებად, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის ტერიტორიაზე მოქმედი როგორც ბულგარული, ასევე საერთაშორისო კომპანიები. ნაციონალური ჯილდო მიზნად ისახავს წაახალისოს და მხარი დაუჭიროს ბულგარეთის იმ კომპანიებს, რომლებიც სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს ახორციელებენ, გაზარდოს როგორც საზოგადოების, ასევე უცხოური ბაზრების ნდობის ხარისხი ბულგარული საწარმოების მიმართ და წაახალისოს საწარმოები ნებაყოფლობით დანერგონ და შეასრულონ საერთაშორისო კორპორატიული სტანდარტები და მოთხოვნები სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში.

ხშირია აგრეთვე თემატური კონკურსები CSR-ის ამა თუ იმ სფეროში.

მაგალითად, *პოლონეთში* 1998 წლიდან ტარდება კონკურსი სამართლიანი თამაში“ (Fair Play), რომლის მიზანია *ეთიკური ბიზნეს საქმიანობის*, სანდო და პატიოსანი ბიზნეს კომპანიების წახალისება, რომლებიც ეთიკური პრინციპებისა და კანონის დაცვით მოქმედებენ.²⁴⁴

ავსტრიაში 2005 წლიდან ტარდება კონკურსი, რომლის ფარგლებშიც გაიცემა ჯილდო შემდეგ კატეგორიებში: *საზოგადოება*“ (აჯილდოებენ კომპანიას საზოგადოების/თემის საჭიროებათა გადანწყვეტაში აქტიური ჩართულობისათვის, გარემოს დაცვის ჩათვლით); *სამუშაო ადგილი*“ (თანამშრომელთათვის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის, ტრენინგისა და მოტივაციის ღონისძიებებისათვის); *ბაზარი*“ (პროდუქციისა და სერვისებზე პასუხისმგებლობისათვის, ასევე კლიენტებისა და პარტნიორების მიმართ გახსნილობისა და გამჭვირვალობისათვის).²⁴⁵

ბრიტანეთის მთავრობა ბიზნეს კომპანიებთან და სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებს, რათა

²⁴⁴ www.fairplay.pl/

²⁴⁵ www.trigos.at

კომპანიებში აამაღლოს ცნობიერება ისეთი ჯილდოების ღირებულებისა და მნიშვნელობის შესახებ, როგორებიცაა, მაგალითად, ქსელის ბიზნესი საზოგადოებაში“ (Business in the Community) ჯილდო და საზოგადოებრივი აღიარების სხვა მსგავსი სქემები.

პოლონეთში ტარდება კონკურსი საწარმოს მეგობარი ბანკი“, რომლის მიზანია მცირე/საშუალო საწარმოებსა და ბანკებს შორის თანამშრომლობის მაღალი სტანდარტების გავრცელება. ეს სტანდარტები შეეხება მცირე მენარმეთათვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებას, ადგილობრივ მენარმეობის განვითარებაში შეტანილ წვლილს და ა. შ.

სლოვაკეთში 1998 წლიდან არსებობს ცნობილი ჯილდო VIA BONA – კომპანიათა ფილანთროპიული საქმიანობისათვის. უკანასკნელ ხანებში ეს ჯილდო კომპანიათა სოციალურ პასუხისმგებლობაზეც გავრცელდა.

ჰოლანდიის მთავრობა ყოველწლიურ ჯილდოებს გასცემს ინოვაციებში და მდგრად განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის.

ბევრ ევროპულ ქვეყანაში კონკურსები **სამუშაო პირობებსა და შრომითი უფლებებზე** ამახვილებს ყურადღებას.

მაგალითად, 2002 წლიდან ავსტრიის ეკონომიკისა და დასაქმების სამინისტრო კომპანიებს აჯილდოებს **სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის** საუკეთესო შედეგებისათვის.

პორტუგალიაში დასაქმებისა და სოციალური სოლიდარობის ინსტიტუტი 2003 წლიდან ყოველწლიურად ჯილდოს ანიჭებს იმ ბიზნეს კომპანიებს და სხვა ორგანიზაციებს, რომელთაც განსაკუთრებული მიღწევები აქვთ **სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილების** სფეროში (ინოვაციური მიდგომების დანერგვისა და ამ მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებათა ეფექტურობის ამაღლების გზით. ჯილდოს სახელწოდებაა: *Prevenir Mais Viver Melhor no Trabalho*. სპონსორია: სამუშაოზე უსაფრთხოების, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის ინსტიტუტი). კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ამ სფეროში კვლევების განვითარებასა და დადებითი მაგალითების გავრცელებას. ჯილდო 2 კატეგორიაში გაიცემა: **კვლევითი საქმიანობა“ და დადებითი პრაქტიკა“**. ჯილდოების გადაცემა ხდება საჯარო ცერემონიაზე 28 აპრილს, სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების ნაციონალურ დღეს. იგივე ინსტიტუტი ასევე გასცემს ჯილდოებს კორპორაციულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რამდენიმე სფეროში (მაგ., **უნარშეზღუდული ადამიანების დასაქმება და ინტეგრაცია, ღირსეული შრომა და სამუშაო პირობები** და ა. შ.)²⁴⁶

²⁴⁶ www.iefp.pt

ესტონეთში ტარდება კონკურსი უნარშეზღუდული ადამიანების მიმართ ყველაზე მეგობრული დამსაქმებლის“ ნომინაციაზე.

ბულგარეთში 2005 წელს დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ ჩატარა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სექტორის კომპანიებმა მთელი ქვეყნის მასშტაბით. დაჯილდოვდა ის საწარმოები, რომელთაც ყველაზე წარმატებულად მოახერხეს სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების პრევენცია. გამარჯვებულთა შერჩევის კრიტერიუმები იყო: პერიოდის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც კომპანიაში არ მომხდარა საქმიანობასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევა; რამდენად აკმაყოფილებს კომპანია სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის კანონმდებლობის მოთხოვნებს და სხვა. (კონკურსის მიზანი იყო დამსაქმებელთა ყურადღების მიპყრობა სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებისადმი, აგრეთვე წარმოჩენა, თუ რამდენად მომგებიანია როგორც კომპანიისათვის, ასევე მისი მუშაკებისათვის ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა).

საბერძნეთში სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინსტიტუტმა, რამდენიმე სოციალურ პარტნიორთან თანამშრომლობით, შეიმუშავა ყოველწლიური ჯილდო იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და აუმჯობესებენ სამუშაო პირობებს დადებითი მაგალითების დანერგვის გზით.

უნგრეთში 2001 წლიდან სოციალური საკითხებისა და დასაქმების სამინისტროს მხარდაჭერით Hewitt Inside Consulting ყოველწლიურად ატარებს კვლევას საუკეთესო სამუშაო პირობების გამოსავლენად და გამარჯვებულებს გადასცემს ჯილდოს. ამ ინიციატივის მიზანია დადებითი პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობა. კვლევაში მონაწილეობას იღებს დაახლოებით 20000 თანამშრომელი და 90 კომპანია. კვლევა გამოავლენს მუშაკთა/თანამშრომელთა კმაყოფილების დონეს კომპანიის შიდა კორპორაციული პასუხისმგებლობის სფეროში (სამუშაო პირობების, სამუშაო საათების, ხელფასების და შეღავათების, ადამიანური ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის, ტრენინგების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით). კვლევის მონაცემებს ანალიზებენ HR მენეჯერები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის მეთოდების, დიალოგისა და ეკონომიკური ეფექტურობის გათვალისწინებით.

საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა ევროპაში ოჯახთან თავსებადი“ სამუშაო პირობების დანერგვას ბიზნეს საწარმოებში, ამიტომ არა ერთ ქვეყანაში ტარდება კონკურსები ამ სფეროში.

მაგალითად, ავსტრიაში 1999 წლიდან სოციალური დაცვისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტრო ატარებს კონკურსს საუკეთესო პოლიტიკისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნ-

ველსაყოფად და ოჯახთან თავსებადი კომპანიის ნომინაციებით. კონკურსში მონაწილე კომპანიები რამდენიმე სხვადასხვა კრიტერიუმით ფასდებიან, მაგ.: ქალების რაოდენობა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ნახევარშტატიანი სამუშაო ადგილების რაოდენობა, სამუშაო საათების მოქნილობა, ბავშვიანი თანამშრომლების ხელშეწყობის პოლიტიკა და ა. შ.

უნგრეთში დასაქმებისა და სოციალურ საკითხთა სამინისტრო 2000 წლიდან ყოველწლიურად ანიჭებს ოჯახთან თავსებადი დამსაქმებლის“ ჯილდოს იმ კომპანიებს, რომელთაც ყველაზე წარმატებულად მოახერხეს პროფესიული საქმიანობის შეთავსება ოჯახთან. ჯილდოს იღებენ ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ მოქნილი სამუშაო გრაფიკი, ნახევარშტატიანი სქემები, სახელფასო პრემიები, ახალგაზრდა დედების რეინტეგრაციის პროგრამები, ტრენინგები დეკრეტულ შვებულებაში გასული დედებისათვის და ა. შ. კონკურსის მიზანია ადამიანური რესურსების მოქნილი გამოყენების ნახალისება სამუშაო რესურსების სტაბილურობისა და ადაპტურობის უზრუნველყოფა, დასაქმების ხელშეწყობა.

სლოვაკეთში შრომის, სოციალური საკითხებისა და ოჯახის სამინისტროს თანაბარ შესაძლებლობათა დეპარტამენტი აგრეთვე ყოველწლიურად გასცემს ოჯახთან თავსებადი დამსაქმებლის“ ჯილდოს. ამ კონკურსის მიზანია დამსაქმებლებს გაუჩინოს მოტივაცია, რომ თავიანთ კომპანიებში შექმნან სამუშაო პირობები, რომლებიც თავსებადია მუშაკთა ოჯახურ მოვალეობებთან და თანაბარ პირობებს უქმნის კაცებსა და ქალებს.

ხშირია კონკურსები გარემოს დაცვის სფეროში.

მაგალითად, ლატვიაში გარემოს დაცვის სამინისტრო ატარებს რამდენიმე კონკურსს. უკვე 10 წელია, რაც ტარდება კონკურსი *საუკეთესო შეფუთვა*“. კონკურსის მიზანია ნახალისოს საწარმოები, შექმნან და გამოიყენონ გარემოს დამზოგი შესაფუთი მასალა. გარემოს დაცვის სამინისტრო ასევე ატარებს კონკურსებს: *ეკოტურიზმი*; *გარემოს დამზოგი მეურნეობა*.

ირლანდიაში 2003 წელს დაარსდა მდგრადი ენერჯის ჯილდო“ (Sustainable Energy Award), რომელიც სტიმულირებას უკეთებს პასუხისმგებელი ენერგომომხარების საუკეთესო მაგალითების დანერგვას სხვადასხვა სექტორებში (ანუ ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვას, განახლებადი ენერჯის გამოყენებას და ა. შ.).

განახლებადი ენერჯის ხელშეწყობის მიზნით *გერმანიის* ფედერალური მთავრობის *განახლებადი ენერჯის ბაზრის სტიმულირების პროგრამა*“ გასცემს გრანტებს და დაბალპროცენტიან სესხებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებსა და კერძო პირებზე განახლებად ენერჯიაზე დაფუძნებული მონყობილობების შესყიდვისა და ამუშავების მიზნით. ფედერალური მთავრობა ასევე გრანტებს აძლევს მცირე საწარმოებს ენერგოდაზოგვის საკითხებზე კონსულტაციების მისაღებად.

პოლონეთის გარემოს დაცვის სამინისტრო 1996 წლიდან ყოველწლიურად ანიჭებს საწარმოებს პრესტიჟულ ჯილდოს *პოლონეთის ეკოლოგიის ლიდერი*“ გარემოს დაცვის სფეროში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის. 2001 წლიდან კონკურსი სამ კატეგორიაში ტარდება: *საწარმო* (ჯილდოვდებიან სერვისების მიწოდებისა და წარმოების სექტორის კომპანიები, რომლებიც გამოირჩევიან სისტემატური მცდელობებით, შეამცირონ მავნე ზემოქმედება გარემოზე – სუფთა ტექნოლოგიების დანერგვის, ნარჩენების შემცირების, ბუნებრივი რესურსებისა და ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებების მოხმარების შემცირების, ასევე გარემოსდაცვითი მონიტორინგის მეშვეობით. აპლიკანტები ასევე უნდა აკმაყოფილებდნენ საყოველთაოდ გავრცელებული გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სტანდარტების – ISO 14001 და EMAS-ის მოთხოვნებს); *პროდუქცია* (ამ კატეგორიაში ჯილდო გაიცემა სამი ქვეკატეგორიის მიხედვით: ტექნოლოგიები, პროდუქცია და მონყობილობა, რომლებიც არის ინოვაციური, გარემოს დამზოგი და ეკონომიკურად მომგებიანი); და *თემი*.

ზოგიერთი კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია **დაჯილდოვდეს არა მხოლოდ ბიზნეს კომპანია, არამედ ასევე მუნიციპალიტეტი ან არასამთავრობო ორგანიზაცია CSR განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.**

მაგალითად, *ლატვიაში* გარემოს დაცვის სამინისტრო გასცემს ჯილდოს *ვაშლი*“ (Apple award), რომლის ერთ-ერთი მიზანია წაახალისოს *ადგილობრივი მთავრობები*, რომლებიც მხარს უჭერენ მდგრადი განვითარების პოლიტიკას.

უნგრეთში კი შრომისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს მიერ გამართულ კონკურსში ოჯახთან თავსებადი დამსაქმებლის ნომინაციაში მსხვილ, საშუალო და მცირე კომპანიებთან ერთად *არასამთავრობო ორგანიზაციებიც* იღებენ მონაწილეობას.

კონკურსები ზოგჯერ შემოიფარგლება კომპანიის ზომის მიხედვით (მაგ., მცირე და საშუალო კომპანიები).

მაგალითად, *ბელგიაში* არსებობს სპეციალური ჯილდო, რომელიც წაახალისებს *მცირე და საშუალო* ზომის საწარმოებს, საკუთარ საქმიანობაში დანერგონ და განავითარონ პასუხისმგებელი მიდგომები სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით, როგორებიცაა: დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის მენეჯმენტი; სოციალური აუდიტი (AA 1000), მდგრადი განვითარების ანგარიშგება (GRI), მონოდების ქსელის მდგრადი მენეჯმენტი, მრავალფეროვნების მენეჯმენტი და ა. შ.

პოლონეთში გარემოს დაცვის სამინისტრო და პოლონეთის გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდი ერთობლივად გასცემენ ჯილდოებს *სუფთა ბიზნესი*“ *მცირე და საშუალო* კომპანიებისათვის *გარემოსდაცვითი* მიმართულებით განხორციელებული ინოვაციური ინიციატივებისათვის.

ბულგარეთში სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის ეროვნული ჯილდო გაიცემა შემდეგ კატეგორიებში: მიკრო და მცირე საწარმოებისათვის; საშუალო ზომის საწარმოებისათვის; მსხვილი საწარმოებისათვის.

ზოგიერთი კონკურსი ან ცალკეული ნომინაცია ამა თუ იმ სფეროში დასაქმებული კომპანიებისთვის წესდება.

მაგალითად, 2003 წელს მალტის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებულმა სუფთა ტექნოლოგიების ცენტრმა²⁴⁷ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და რამდენიმე სხვა სახელმწიფო უწყებასთან თანამშრომლობით დააარსა გარემოსდაცვითი ჯილდო ინდუსტრიული სექტორის დამსაქმებელი კომპანიებისათვის. ჯილდო გაიცემა სამ ძირითად კატეგორიაში – მენეჯმენტის პრიზი მდგრადი განვითარებისათვის; კონსერვაციის პრიზი მდგრადი განვითარებისათვის და გარემოსდაცვითი ინიციატივა. პირველ ორ კატეგორიაში გამარჯვებულებს უფლება ეძლევათ 2 წლის განმავლობაში გამოიყენონ სპეციალური ლოგო თავიანთ ნაბეჭდ და საკანცელარიო პროდუქციაზე.

ბულგარეთის ყოველწლიური ეროვნული CSR კონკურსისათვის ყოველწლიურად შეირჩევა გარკვეულ სექტორებში დასაქმებული კომპანიები.

კონკურსის ორგანიზატორი და ინიციატორი შეიძლება იყოს ესა თუ ის სამინისტრო. ყველაზე ხშირად ეს არის ხოლმე შრომისა და სოციალური საკითხების მარეგულირებელი სამინისტრო ან გარემოსდაცვითი სამინისტრო.

მაგალითად, დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო უნგრეთში გასცემს ოჯახთან თავსებადი დამსაქმებლის“ ჯილდოს; ანალოგიურ კონკურსს ატარებს სლოვაკეთის შრომის, სოციალური საკითხებისა და ოჯახის სამინისტრო. ბულგარეთის დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ 2005 წელს ჩაატარა კონკურსი კომპანიებისათვის სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების ეფექტური პრევენციის სფეროში. ავსტრიის ეკონომიკისა და დასაქმების სამინისტრო 2002 წლიდან გასცემს ჯილდოს სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სფეროში, ხოლო სოციალური დაცვისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტრო აწყობს ფედერალურ კონკურსს ოჯახთან თავსებადი სამუშაო გარემოსა და თანაბარი შესაძლებლობების სფეროში საუკეთესო პოლიტიკისათვის.

გარემოს დაცვის სამინისტრო ლატვიაში ყოველწლიურად აჯილდოებს კომპანიებს, რომლებიც გარემოს დაცვაზე ზრუნავენ, რამდენიმე სხვადასხვა ნომინაციით. მსგავსს კონკურსს ატარებს სლოვენიის გარემოს

²⁴⁷ Cleaner Technology Centre (CTC) — ეს ცენტრი 1993 წელს დაარსდა გარემოს დაცვის დეპარტამენტის, მრეწველობის დეპარტამენტისა და მალტის უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით.

დაცვის სამინისტროც. პოლონეთის გარემოს დაცვის სამინისტრო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველწლიურად ანიჭებს საწარმოებს გარემოს დაცვის სფეროში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის პრესტიჟულ ჯილდოს პოლონეთის ეკოლოგიის ლიდერი“.

კონკურსის ორგანიზატორები სხვა სამინისტროებიც არიან ხოლმე. მაგალითად, დანიის დევნილთა იმიგრაციისა და ინტეგრაციის სამინისტრო ყოველწლიურ ჯილდოს ანიჭებს კომპანიებს PPP პარტნიორული პროექტების ფარგლებში დასაქმების ძალისხმევისათვის.²⁴⁸

ხშირად კონკურსები რამდენიმე სამინისტროსა და სახელმწიფო უწყების თანამშრომლობით ეწყობა:

მაგალითად, მალტის უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სუფთა ტექნოლოგიების ცენტრი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და რამდენიმე სხვა სახელმწიფო უწყებასთან თანამშრომლობით გასცემს ჯილდოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სფეროში.

კონკურსის ორგანიზატორი და ინიციატორი შეიძლება აგრეთვე იყოს **სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა ერთობლივი ჯგუფი (მთავრობა, კერძო სექტორი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები).**

მაგალითად, კვიპროსის დამსაქმებელთა და ინდუსტრიის ფედერაცია (CEIF) გასცემს ჯილდოებს: ნომინაციებში – ინოვაციები, წარმატებული სოციალური პროექტები (განსაკუთრებით სამუშაოსა და თავისუფალი დროის დაბალანსებისკენ მიმართული საქმიანობისათვის) და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისათვის. ჯილდოებს კვიპროსის მთავრობა აფინანსებს.

სლოვენიაში მთავრობისა და კერძო სექტორის პარტნიორობით ხორციელდება პროექტი, რომლის ფარგლებშიც 2007 წელს პირველად 34 საწარმოს მიენიჭა ოჯახთან თავსებადი კომპანიის“ სერტიფიკატები.

გერმანიაში ფედერალური კანცლერის პატრონაჟით რამდენიმე კომპანიამ დააარსა კონკურსი Stratosocial. კონკურსი მიზნად ისახავს სოციალური პროექტების განხორციელების მხარდაჭერას და კომპანიათა თანამშრომლობის ხელშეწყობას. კონკურსის ფარგლებში გაიცემა გრანტები გამოცდილი ბიზნეს ტრენერების კონსულტაციების მისაღებად და ა. შ.

ესტონეთის დამსაქმებელთა ფედერაცია ატარებს კონკურსს უნარშეზღუდული ადამიანების მიმართ ყველაზე მეგობრული დამსაქმებლის“ ნომინაციაზე.

დანიის ბიზნეს კომპანიათა დირექტორების ნაციონალური ქსელი ყოველწლიურად გასცემს ჯილდოს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში.

²⁴⁸ www.miapris.dk/

პოლონეთში ჯილდოებს მცირე და საშუალო კომპანიებში ინოვაციური ეკოლოგიური ინიციატივებისათვის ერთობლივად გასცემენ გარემოს დაცვის სამინისტრო და პოლონეთის გარემოსდაცვითი პარტნიორობის ფონდი.

ბულგარეთში კონკურსი სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის ეროვნული ჯილდოს მისაღებად ტარდება სამთავრობო უწყებების - დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს, მცირე და საშუალო საწარმოების სააგენტოსა და დასაქმების ინსპექტორატის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სოციალური პარტნიორების თანამშრომლობით.

გერმანიის ინდუსტრიულ ასოციაციებთან თანამშრომლობით, ყურნალმა Wirtschaftswoche (ეკონომიკური კვირა) დააარსა კონკურსი თავისუფლება და პასუხისმგებლობა“, რომელიც ფედერალური პრეზიდენტის პატრონაჟით იმართება. კონკურსის მიზანია მცირე/საშუალო და მსხვილ კომპანიებში კორპორაციული პასუხისმგებლობის საჯარო სტიმულირება. ჯილდოები გაიცემა სხვადასხვა სფეროში განეული პასუხისმგებელი საქმიანობისათვის – კვალიფიკაციის ამაღლება და ტრენინგები, სამსახურისა და ოჯახის შეთავსება, უმცირესობათა ინტეგრირება, ბიზნესის ინტერესებისა და გარემოს დაცვის რაციონალური შეთანხმება.

ხშირად სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხარჯების ნაწილს, გარკვეულ ფინანსურ შეღავათებს უწესებს გამარჯვებულ კომპანიებს, ან დაჯილდოებულ კომპანიებს უფარავს CSR-ის დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილს.

მაგალითად, ბელგიაში Plus ჯილდოთი დაჯილდოებულ კომპანიებს (ჯილდო სტიმულირებას უკეთებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს განავითარონ საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობა) მთავრობა უფარავს ხარჯების მაქსიმუმ 50%-ს – ეს შეეხება მხოლოდ ისეთ ხარჯებს, როგორებიცაა კონსულტირება, აუდიტი, გარე კონტროლი და ა. შ. კონკურსის ფარგლებში დაფინანსების მაქსიმალური მოცულობაა 10 000 ევრო.

იტალიაში ინიციატივის ეთიკურობა ბიზნეს საქმიანობაში“ ფარგლებში ტოსკანის რეგიონი ფინანსურ დახმარებას უწევს ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომელთაც სურთ SA 8000 სერტიფიკატის მიღება – სახელმწიფო კომპანიებს უფარავს საკონსულტაციო და სერტიფიკაციის ხარჯების 50%-ს.

კონკურსების ჩატარებისას დიდი ყურადღება ექცევა, რომ გამარჯვებულთა შერჩევის კრიტერიუმები და კონკურსის პროცედურები, ასევე შემფასებელი კომისიის შეფასებები და შედეგები მაქსიმალურად გამჭვირვალე და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს, რათა თავიდან იყოს აცილებული კონკურსისადმი ნდობის დაკარგვისა და მანიპულირების საშიშროება.

1.5. მენეჯმენტის მექანიზმები

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, იმისათვის, რომ კომპანიის საქმიანობაზე CSR-ის ზეგავლენა დადებითი იყოს, აუცილებელი პირობაა სათანადო დაგეგმვა და მონიტორინგი, ანუ შესაბამისი მენეჯმენტის სისტემების დანერგვა.

CSR-თან და მის ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებული საერთაშორისოდ გავრცელებული მენეჯმენტის სქემებია: ISO 14000, SA8000, AA1000, OHSAS 18000, EMAS და სხვ.²⁴⁹ არსებობს აგრეთვე მრავალი სხვა, უფრო მცირე მასშტაბის მენეჯმენტის სქემა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის ან სექტორისთვის არის განკუთვნილი.

CSR მენეჯმენტის სქემები ეხმარება კომპანიებს, გააცნობიერონ და ეფექტურად მართონ საზოგადოებასა და გარემოზე მათი საქმიანობით მოხდენილი ზეგავლენა, ასევე გამოავლინონ და გაანეიტრალონ შესაძლო რისკები.

ევროკავშირი თავისი ერთიანი პოლიტიკის დონეზე დიდ ყურადღებას აქცევს მენეჯმენტის სქემებისა და სტანდარტების დანერგვას. ასე მაგალითად, 2001 წლის სექტემბერში ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საკუთარი ადმინისტრაციის მუშაობაში დაენერგა გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა EMAS, ხოლო 2002 წელს გამოქვეყნებულ ე.წ. თეთრ დოკუმენტში“ (White paper) „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა – ბიზნესის წვლილი მდგრად განვითარებაში“, ევროკომისიამ აიღო ვალდებულება ხელი შეეწყოს EMAS მენეჯმენტის სისტემის დანერგვა-გავრცელებისათვის ევროკავშირის ფარგლებში.

ევროკავშირის ცალკეულ სახელმწიფოთა CSR ხელშეწყობის პოლიტიკების მნიშვნელოვან კომპონენტს აგრეთვე კომპანიებში ეფექტური მენეჯმენტის მექანიზმების დანერგვის სტიმულირება წარმოადგენს (რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს CSR-ის განვითარებას).

მთავრობის მხრიდან ამგვარი ხელშეწყობის მექანიზმები მრავალგვარია, მათ შორისაა ცნობიერების ამაღლება, ცოდნის და რესურსების მონოღება, საკონსულტაციო მომსახურება მენეჯმენტის მექანიზმების შესახებ, დადებითი მაგალითების გამოვლენა და პოპულარიზაცია, სახელმძღვანელოების შედგენა სხვადასხვა მენეჯმენტის მექანიზმების შესახებ, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია CSR-ის დანერგვა კომპანიათა ძირითად საქმიანობაში და სხვ.

ცოდნის, რესურსების მონოღება (რესურს-ცენტრები, ვებ-გვერდები):

მაგალითად, ირლანდიაში ენერჯის მენეჯმენტის პროგრამის – EnergyMAP ფარგლებში ფუნქციონირებს ვებ-გვერდი, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს მართონ საკუთარ ორგანიზაციაზე მორგებული ენერჯის მენეჯმენტის პროგრამა. (www.sei.ie/energymap).

²⁴⁹ უფრო დანვრილებით მენეჯმენტის სქემების შესახებ იხ. თავი VI.

დანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ Transparency International-თან და საკონსულტაციო კომპანიასთან Global Advise Network თანამშრომლობით, 2006 წელს დააარსა ბიზნესის ანტიკორუფციული ინტერნეტ პორტალი. ეს პორტალი წარმოადგენს ვებ-გვერდზე დაფუძნებულ ანტიკორუფციულ ინსტრუმენტს (სისტემას) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში საქმიანობენ. იგი ბევრ კონკრეტულ მექანიზმს სთავაზობს კომპანიებს (www.business-anti-corruption.com).

2005 წელს ფლამანდიის (ბელგია) დასაქმებისა და განათლების მინისტრისა და სოციალური ეკონომიკისა და თანაბარი შესაძლებლობების მინისტრის ინიციატივით შეიქმნა დიგიტალური რესურს-ცენტრი (ვებ-გვერდი), რომელზეც კომპანიებს შეუძლიათ მოიძიონ CSR-თან დაკავშირებული ყველა ძირითადი ინფორმაცია, მათი დასაქმების სექტორისა და მოთხოვნების მიხედვით. (<http://rse.wallonie.be/apps/spip/>)

საკონსულტაციო მომსახურება და ტრენინგები მენეჯმენტის მექანიზმების შესახებ

კვიპროსზე დამსაქმებელთა და მენარმეთა ფედერაცია“ (The Cyprus Employers and Industrialists federation - CEIF) საკონსულტაციო მომსახურებას სთავაზობს თავის წევრებს ადამიანური რესურსების მართვისა და გარემოს დაცვის საკითხებზე, რათა ხელი შეუწყოს მათ მდგრად განვითარებას. ამ მომსახურებას მთავრობა აფინანსებს.

ავსტრიაში შემუშავებულია და მოქმედებს სხვადასხვა ტრენინგ-პროგრამა, რომელთა მიზანია დაეხმაროს კომპანიებს CSR პრინციპების დანერგვაში.

აუდიტის ჩატარება კომპანიებში სხვადასხვა CSR კომპონენტის მიხედვით

ავსტრიაში სოციალური უსაფრთხოების, თაობებისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალურმა სამინისტრომ 1998 წელს დააარსა ოჯახისა და პროფესიული კარიერის აუდიტის ინიციატივა“. ინიციატივის მიზანია, შესაძლებლობა მისცეს კომპანიებს, შეაფასონ თავიანთი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ოჯახზე ორიენტირებული ასპექტები. ამ ინიციატივის ფარგლებში კომპანიები გადიან აუდიტს ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, როგორებიცაა სამუშაო დრო და გარემო, ფინანსური სერვისები ოჯახებისათვის, პროფესიული განვითარება და ა. შ. აუდიტის დასრულების შემდეგ (რომელსაც დამოუკიდებელი კონსულტანტები ატარებენ) კომპანიას სამი წლით ანიჭებენ სერტიფიკატს ოჯახი და პროფესია“ (Family und Beruf).

თვითშეფასების ინსტრუმენტების შემუშავება – სოციალური ინდექსი
დანიაში შემუშავებულია სოციალური ინდექსი (ახლა უკვე მესამე თაობის), რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ბიზნეს კომპანიებისთვის არის განკუთვნილი, თუმცა მისი გამოყენება ნებისმიერ ორგანიზაციაში შეიძლება – დიდ,

მცირე და საშუალო, კერძო და სახელმწიფო კომპანიებში. ინდექსი წარმოადგენს თვითშეფასების ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც იზომება კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის ხარისხი (ყოველწლიურად განსაკუთრებით მახვილდება დასაქმებისა და სოციალური ჩართულობის ასპექტებზე). მენეჯერები და თანამშრომლები ახორციელებენ კომპანიის შეფასებას CSR საკითხებთან დაკავშირებით. თვითშეფასებაში ჩართული მხარეები შემდეგ უნდა შეთანხმდნენ კომპანიისათვის მისანიჭებელ ქულაზე (0-დან 100-მდე). პროცესის განმეორება საშუალებას აძლევს კომპანიას შეაფასოს წინსვლა.

დადებითი მაგალითების გამოვლენა და გავრცელება

ჰოლანდიაში არსებობს ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრი CSR-ის შესახებ“ (Dutch Knowledge and Information Centre on CSR). ეს არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც ძირითადად ეკონომიკის სამინისტრო აფინანსებს. ცენტრი“ მოიძიებს და აშუქებს კარგ და არცთუ ისე კარგ მაგალითებს CSR-თან მიმართებით, რათა გამოავლინოს წარმატებისა და წარუმატებლობის მიზეზები.

ბიზნეს საქმიანობაში CSR-ის ამა თუ იმ ასპექტის დანერგვის მეთოდოლოგიების შემუშავება

ლიტვაში 2004 წელს შემუშავდა მეთოდოლოგიის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს კომპანიისა და პროფკავშირებს შორის დადებულ კოლექტიურ შეთანხმებებში სამუშაოსა და ფუნქციების შეფასებას. 2005 წელს ხელი მოეწერა სამხრეთ ხელშეკრულებას ამ მეთოდოლოგიის ცხოვრებაში დასაწერად. მეთოდოლოგიის დანერგვა კომპანიებსა და ორგანიზაციებში გაზრდის ხელფასების თაობაზე მოლაპარაკების სისტემის გამჭვირვალობას, შეამცირებს გენდერულ საფუძველზე ხელფასის განსხვავებას და სასარგებლო იქნება სახელფასო განაკვეთების დადგენისას.

ჰოლანდიაში CSR-ის შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრის“ ბაზაზე მცირე და საშუალო კომპანიებისთვის შემუშავებულია პასუხისმგებელი ბიზნესის წარმოების მრავალი სხვადასხვა ინსტრუმენტი ცალკეული სექტორებისათვის (ამ ინსტრუმენტებს, უმეტესწილად, შეიმუშავებენ კერძო საკონსულტაციო სამსახურები და სპეციალისტთა ჯგუფები, ეკონომიკის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით). 2006 წელს ცენტრის ბაზაზე ონლაინ რეჟიმში ამოქმედდა რეკომენდაციებისა და ინსტრუმენტების“ ნ სხვადასხვა სისტემა, რომლებიც კომპანიებს ეხმარება დაგეგმონ ინვესტირება ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბრაზილია, ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი, ინდონეზია, სამხრეთ აფრიკა. თითოეული ინსტრუმენტი მორგებულია ბიზნესის წარმოებაზე ამ ქვეყანათაგან ერთ-ერთში.

დანიის შემუშავდა სახელმძღვანელო მითითებები და ინსტრუმენტები მცირე და საშუალო საწარმოებში CSR-ის განსავითარებლად (რაც წარმოადგენდა ნაწილს პროექტისა ადამიანები და მოგება“). მათ შორის არის, მაგალითად, ორი ინსტრუმენტი, თუ როგორ უნდა დაითვალოს ეკო-

ნომიკური მოგება სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და გარემოს დაბინძურების შემცირებაზე განეული ინვესტიციებიდან.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დააფინანსა კვლევა მცირე და საშუალო საწარმოებსა და CSR-ზე. ამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, მთავრობის მხარდაჭერით, 2004 წელს შეიქმნა პრაქტიკული, ვებ-გვერდზე დაფუძნებული ინსტრუმენტების სისტემა“ (www.smallbusinessjourney.com). მისი მიზანია დაეხმაროს მცირე ბიზნესებს, გაზარდონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა საქმიანობის სოციალური, გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი ზეგავლენის გაუმჯობესების გზით.

ესპანეთში შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტრო ახორციელებს პროგრამას Optima, რომლის მიზანია გენდერული თანასწორობისა და თანაბარი შესაძლებლობების, როგორც კომპანიის კარგი მენეჯმენტ-სტრატეგიის, ხელშეწყობა. კომპანიები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ პროგრამაში, შეიმუშავენ სამოქმედო გეგმას, რომლის შეფასების საფუძველზეც კომპანიას მიენიჭება სპეციალური სერტიფიკატი – ორგანიზაცია, რომელიც იღწვის გენდერული თანასწორობის დასაწერად“.

2001 და 2002 წლებში ავსტრიის დასაქმებისა და ეკონომიკის ფედერალური სამინისტრო, სხვა სამინისტროებთან ერთობლივად (კერძოდ, ეკონომიკის, გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სამინისტროებთან), მონაწილეობდა სამინისტროთაშორის პროექტში, რომლის მიზანი იყო დახმარებოდა მცირე და საშუალო კომპანიებს დაენერგათ თავიანთ საქმიანობაში გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების და ხარისხის მართვის სისტემები.

ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენს მცირე და საშუალო კომპანიებში CSR-ის დანერგვის ხელშეწყობა და ამ მიზნით მენეჯმენტის სხვადასხვა მექანიზმის შეთავაზება. ევროკავშირში კომპანიათა დიდი წილი სწორედ მცირე და საშუალო კომპანიებზე მოდის. შესაბამისად, შეუძლებელია წარმატებული CSR სტრატეგიის განხორციელება მათ გარეშე. ზემოთ განხილულთაგან მრავალი მენეჯმენტის მექანიზმი და სამთავრობო ხელშეწყობის პროგრამა სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესისთვის არის განკუთვნილი.

2. გამჭვირვალობის ხელშეწყობა

2.1. ქვეყნის კოდექსები

ბიზნეს ეთიკა პასუხისმგებელი ბიზნესის ერთ-ერთ არსებით კომპონენტს წარმოადგენს. შესაბამისად, სხვადასხვა სახის ნებაყოფლობითი ქცევების კოდექსები, ეთიკური კოდექსები, რომლებიც არეგულირებენ ბიზნესის ეთიკურ საქმიანობას, მეტად მნიშვნელოვანია CSR-ის განვითარებისათვის.

ქცევის კოდექსი იმავდროულად მენეჯმენტის ეფექტური ინსტრუმენტია ორგანიზაციის კორპორაციული ფასეულობების, პასუხისმგებლობის, ვალდებულებისა და ეთიკური პრინციპების დასაწინდებლად.

ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქცევის კოდექსებს და ამ მიმართულებით არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა. მაგალითად:

1998 წელს ქცევის კოდექსებზე ჩატარდა ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ორი ერთობლივი სიმპოზიუმი (ბრიუსელსა და ვაშინგტონში);

1999 წელს ევროპარლამენტმა დაამტკიცა განვითარებად ქვეყნებში მოღვაწე ევროპული საწარმოების ქცევის კოდექსი²⁵⁰;

2001 წელს ევროკომისიამ გამოსცა ოფიციალური დოკუმენტი ევროპარლამენტს (communication) გლობალიზაციის კონტექსტში შრომის ძირითადი სტანდარტების დაცვის ხელშეწყობისა და სოციალური მართვის გაუმჯობესების შესახებ²⁵¹, რომელიც მხარს უჭერს ILO ძირითადი შრომითი სტანდარტების გამოყენებას ნებაყოფლობით სქემებსა და კოდექსებში;

2002 წელს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ე.წ. თეთრ დოკუმენტში²⁵²: „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა – ბიზნესის წვლილი მდგრად განვითარებაში“, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ყურადღება ქცევის კოდექსებზეც არის გამახვილებული, განსაზღვრულია, თუ როგორი უნდა იყოს ქცევის კოდექსები;

2003 წლის ევროკომისიის დირექტივაში არაკეთილსინდისიერი ბიზნეს-საქმიანობის შესახებ²⁵³ სხვა საკითხებთან ერთად საუბარია აგრეთვე ქცევის კოდექსებზეც (მაგალითად, აღნიშნულია, რომ კომერციული პრაქტიკა მომხმარებლის შეცდომაში შემყვანად ჩაითვლება, თუ ის არ შეესაბამება ქცევის კოდექსებით აღიარებულ პრინციპებსა და ვალდებულებებს და ა. შ.)²⁵⁰

უკანასკნელ წლებში ევროპის სოციალურმა პარტნიორებმა შეიმუშავეს და შეათანხმეს არაერთი სექტორული ქცევის კოდექსი, მაგ: ტექსტილისა და ტანსაცმლის ინდუსტრიის, ფეხსაცმლის ინდუსტრიის, ვაჭრობის სფეროში დასაქმებული კომპანიების, შაქრის წარმოების სფეროში, ხე-ტყის მრეწველობაში დასაქმებული კომპანიების ქცევის კოდექსები.²⁵¹

²⁵⁰ ზემოთ ნახსენები დოკუმენტების შესახებ უფრო დანვრისებით იხილეთ ამავე ნაშრომის VII თავი.

²⁵¹ იხ. *ABC of the Main Instruments of CSR*. European Commission, Directorate-General for Employment and Social Affairs, 2004, გვ. 10 .

ევროპის ცალკეული ქვეყნების მთავრობები, სხვა სექტორებთან – არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნეს ასოციაციებთან აქტიური თანამშრომლობით, მხარს უჭერენ ბიზნესის ქცევის კოდექსების შემუშავებასა და დანერგვას და სხვადასხვა ინიციატივებს ახორციელებენ ამ მიმართულებით.

როგორც წესი, ქცევის კოდექსების შემუშავება **მრავალი სხვადასხვა მხარის ჩართულობით** ხდება და ამ პროცესში მთავრობას მხოლოდ ხელშეწყობისა და მხარდაჭერის ფუნქცია ეკისრება.

მაგალითად, *გერმანიაში ყავის ნარმოების, დამუშავებისა და გასაღების (მარკეტინგის)* სფეროში დასაქმებული კომპანიების ქცევის კოდექსის პროექტი შემუშავდა ევროპის ყავის ფედერაციასთან, შვედეთის მთავრობასთან, მულტინაციონალურ კომპანიებთან, მწარმოებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებთან თანამშრომლობით. კოდექსის განხორციელებას მეთვალყურეობას უწევს აგრეთვე მრავალი სხვადასხვა დაინტერესებული მხარე.

ავსტრიაში ტურისტული ბიზნესის ქცევის კოდექსი ბავშვთა სექსუალური ძალადობისაგან დასაცავად ერთობლივად შეიმუშავეს სოციალური დაცვის, თაობებისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალურმა სამინისტრომ, ინტეგრაციული ტურიზმისა და განვითარების ინსტიტუტმა Respect და აზიის ტუროპერატორმა Jumbo Touristic.

კვიპროსის კომერციულ ბანკთა ასოციაციამ (ACCB), კვიპროსის ვაჭრობისა და ინდუსტრიის პალატისა და დამსაქმებელთა და მენარმეთა ფედერაციის კონსულტაციებით შეიმუშავა რამდენიმე ქცევის კოდექსი და სახელმძღვანელო. ერთ-ერთი მათგანია, მაგალითად, *ბანკებისა და მცირე/საშუალო ბიზნესების ურთიერთობის ქცევის კოდექსი*. ეს კოდექსი ევროკომისიამ ინოვაციურად მიიჩნია და კვიპროსის კომერციულ ბანკთა ასოციაციას საუკეთესო საქმიანობის“ ჯილდო მიანიჭა.

დიდ ბრიტანეთში 1998 წელს მთავრობის დახმარებით დაარსდა ეთიკური ვაჭრობის ინიციატივა (Ethical Trading Initiative). მას შემდეგ მთავრობა მხარს უჭერს მის ფუნქციონირებას. ეს ინიციატივა წარმოადგენს სამი სექტორის – კომპანიების, არასამთავრობოებისა და პროფესიული კავშირების ალიანსს, რომლის მიზანია გააუმჯობესოს სამუშაო პირობები თავისი კორპორაციული წევრების მოწოდების ქსელებში. ინიციატივის ფარგლებში შემუშავდა სანიმუშო ქცევის კოდექსი, რომელსაც იცავენ ინიციატივას მიერთებული კომპანიები. კოდექსი ეფუძნება დაინტერესებული მხარეების მიერ კოდექსთან შესაბამისობის მონიტორინგის და შემოწმების საცდელ მეთოდოლოგიებს: კერძოდ, ინიციატივის წევრები ეწვევიან თავიანთ მომწოდებლებს, გამოავლენენ პირობებს, რომლებიც არ შეესაბამება ETI კოდექსის მოთხოვნებს და შემდეგ, მომწოდებლებთან შეთანხმებით, სიტუაციის გამოსწორების ღონისძიებებს გეგმავენ.

პოლონეთის სავაჭრო პალატის მოთხოვნით, კერძო მენარმეობის ინსტიტუტმა და პოლონეთის სავაჭრო პალატის დემოკრატიის ფონდმა 2001 წელს შეიმუშავეს ეკონომიკური საქმიანობის ეთიკური კოდექსი. ეს კოდექსი

აღიარეს, როგორც პოლონეთის სავაჭრო პალატის ოფიციალური დოკუმენტი და დაუგზავნეს პოლონეთის სავაჭრო პალატის ნევერ ორგანიზაციებს.

ფინეთში სავაჭრო პალატა ICC Finland, გლობალური ბიზნეს ორგანიზაციების ფინეთის ნაციონალური კომიტეტი და საერთაშორისო სავაჭრო პალატა ხელს უწყობენ საერთაშორისო სავაჭრო პალატის ქცევის კოდექსის დანერგვასა და გავრცელებას ფინურ კომპანიებში. ეს კოდექსი შეეხება გამომძალველობასა და მექრთამეობას, გარემოსდაცვით მენეჯმენტს, კომერციულ კომუნიკაციებს და ზოგადად კორპორაციულ პასუხისმგებლობას.

მთავრობის ხელშეწყობა შეიძლება გამოიხატოს აგრეთვე, **მრგვალი მაგიდებისა და ფორუმების მონაცემებით**, რომელთა ფარგლებშიც სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა აქვს განიხილოს და იმსჯელოს ქცევის კოდექსებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მაგალითად, *გერმანიის* მთავრობამ რამდენიმე წლის წინ ჩაატარა მრგვალი მაგიდა კორპორაციული ქცევის კოდექსების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სამინისტროებმა, სოციალურმა პარტნიორებმა, კომპანიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა. შეხვედრის მიზანი იყო სოციალური და შრომის პირობების გაუმჯობესება განვითარებად ქვეყნებში.

ზოგიერთ ქვეყანაში **მთავრობის ხელშეწყობა კანონით რეგულირდება**. ასე მაგალითად, *ესპანეთში* 2002 წელს მიღებული კანონით საზოგადოებრივი საინფორმაციო სამსახურებისა და ელ-ვაჭრობის შესახებ“ მთავრობას ევალება, ხელი შეუწყოს კომპანიების, ასოციაციების, კომერციული და მომხმარებელთა ორგანიზაციების მიერ ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსების შემუშავებასა და დანერგვას საზოგადოებრივი საინფორმაციო სამსახურების სფეროში.

ხოლო *სლოვენიაში* კომპანიათა საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესწორების მიხედვით, წლიური ანგარიშები უნდა შეიცავდეს ინფორმაციას სანარმოში არსებული ქცევის კოდექსების შესახებ, ან ანგარიშში მოცემული უნდა იყოს განმარტება, თუ რატომ არ შეიცავს იგი აღნიშნულ ინფორმაციას.

სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება ქცევის კოდექსების ხელშეწყობის კიდევ ერთი ფორმაა მთავრობის მხრიდან.

მაგალითად, *ლატვიაში* სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ და სხვა სამთავრობო ინსტიტუტებმა და სოციალურმა პარტნიორებმა გამოუშვეს რამდენიმე სხვადასხვა სახელმძღვანელო მითითება CSR-ის განმსაზღვრელი პრინციპების შესახებ. ამ სახელმძღვანელოებში დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე ქცევის კოდექსებს.

დანის ეკონომიკისა და ბიზნესის სამინისტრომ ბიზნესის განვითარების ეროვნულ საბჭოსთან ერთობლივად 2002 წელს გაავრცელა *ანგარიში ბიზნესის ეთიკის შესახებ*. ანგარიშში წარმოდგენილია ძირითადი საერ-

თაშორისო ტენდენციების ანალიზი და ასევე დანიის კომპანიების საქმიანობის, სირთულეებისა და შესაძლებლობების მიმოხილვა CSR კონტექსტში.

მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიძლება დაარსდეს რაიმე საკონსულტაციო ორგანო, მაგალითად, საბჭო, რომელიც ეთიკურ კოდებსზე იმუშავებს.

მაგალითად, *მალტის* ჯანდაცვის, მოხუცებულთა დაცვისა და საზოგადოებაზე ზრუნვის სამინისტრომ ჩამოაყალიბა სამედიცინო სფეროსა და მასთან დაკავშირებული დამხმარე პროფესიების საბჭო, რომელმაც 2004 წელს შეიმუშავა ეთიკური კოდექსი ყველა სამედიცინო პროფესიისათვის, რომელსაც ის წარმოადგენს.

გერმანიის მთავრობამ დააარსა სამუშაო ჯგუფი ადამიანის უფლებებსა და ბიზნესზე, რომელმაც შეიმუშავა ერთობლივი დეკლარაცია ბიზნესი და ადამიანის უფლებათა დაცვა საერთაშორისო დონეზე. დეკლარაციის ხელმომწერი მხარეები ვალდებულიებას იღებენ, პატივი სცენ და დაიცვან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, ასევე საერთაშორისო შეთანხმებებითა და კონვენციებით აღიარებული ადამიანის უფლებები. დეკლარაციას ხელი მოაწერა გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ, გერმანიის მწარმოებელთა ფედერაციამ, გერმანიის დამსაქმებელთა ასოციაციების კონფედერაციამ და გერმანიის პროფკავშირების ფედერაციამ, ასევე ადამიანის უფლებათა ფორუმმა და გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციების ნებაყოფლობითა ასოციაციამ (VENRO).

მთავრობა ხშირად ფინანსურ დახმარებას უწევს სხვადასხვა პარტნიორების მიერ ქცევის კოდექსების შემუშავებას.

მაგალითად, *სლოვენის* მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, რეაბილიტაციის ინსტიტუტმა და სლოვენის უნარშეზღუდულ მუშაკთა ფედერაციამ გამოაქვეყნეს ILO კოდექსი სამუშაო ადგილზე უნარშეზღუდულთა მენეჯმენტის შესახებ (Code of Practice on Managing Disability in the Workplace). კოდექსს ხელი მოაწერეს სლოვენის უნარშეზღუდულ მუშაკთა ფედერაციამ, ოთხმა პროფკავშირმა, სლოვენის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ.

განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ხშირად **რამდენიმე ქვეყნის მთავრობა თანამშრომლობს** ამა თუ იმ სფეროს მარეგულირებელი ქცევის კოდექსების შემუშავებისას. ამ პროცესში ჩართული არიან ხოლმე სხვა სექტორის ორგანიზაციებიც, მაგალითად, ბიზნეს ასოციაციები.

მაგალითად, *დიდი ბრიტანეთისა და აშშ* მთავრობებმა 2000 წელს ერთობლივად შეიმუშავეს *ნებაყოფლობითი პრინციპები უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებზე მომპოვებელ სექტორში*. ეს პრინციპები პრაქტიკულ სახელმძღვანელოს წარმოადგენს კომპანიებისათვის იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაიცვან ადამიანის ძირითადი უფლებები კონფლიქტის ზონებში, კომპანიის თანამშრომლებისა და საქმიანობის

დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარებისას. პრინციპები შემუშავდა წიაღისეულის მომპოვებელ კომპანიებთან, შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით და კონსულტაციებით.

ჰოლანდიის მთავრობა, ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს მთავრობებთან, მომპოვებელი და ენერგეტიკული სექტორის კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობს უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა ნებაყოფლობითი პრინციპების გავრცელების ხელშეწყობის ჯგუფში, რომელიც განიხილავს ადამიანის უფლებათა და CSR საკითხებს. ძირითადი მიზანია ამ პრინციპების დამკვიდრება სამიზნე ქვეყნებში, მაგ., ნიგერიასა და ინდონეზიაში.

ევროპის ქვეყნებში უმეტესწილად **სექტორული ქცევის კოდექსები** არსებობს, რომლებიც ამა თუ იმ სექტორის საქმიანობას არეგულირებს.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მომპოვებელი მრეწველობის გამჭვირვალობის ინიციატივა (The Extractive Industries Transparency Initiative (EITI), რომელიც 2002 წელს მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე წარმოადგინა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა, მიზნად ისახავს მომპოვებელ მრეწველობაში კომპანიების მოგებისა და მთავრობისათვის გადახდილი თანხების გამჭვირვალობის გაზრდას. მთავრობა სხვა პარტნიორებთან ერთად აგრეთვე მუშაობს, რომ ამ ინიციატივის ფარგლებში მიღებული შედეგები გაავრცელოს სხვა სექტორებზეც, მაგ., ჯანდაცვის, მშენებლობისა და თავდაცვის სექტორებზე. სამედიცინო სფეროში გამჭვირვალობის ალიანსი ხელს უწყობს გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას სამედიცინო შესყიდვებისა და მიწოდების ქსელში. ხოლო სამშენებლო სექტორში გამჭვირვალობის ინიციატივა მიზნად ისახავს კორუფციის შემცირებასა და აღმოფხვრას სამშენებლო სექტორში.

მაღტაზე შემუშავებულია სამედიცინო სფეროსა და მასთან დაკავშირებული დამხმარე პროფესიების ეთიკური კოდექსი.

ესპანეთში საფონდო ბირჟის ნაციონალურმა კომიტეტმა (Comision Nacional de Valores) შეიმუშავა ეფექტიანი მმართველობის ერთიანი, უნიფიცირებული ქცევის კოდექსი საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიებისათვის.

კვიპროსის კომერციულ ბანკთა ასოციაციამ (ACCB) შეიმუშავა სხვადასხვა დარგობრივი კოდექსი, როგორებიცაა საბანკო კოდექსი, ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსი იპოთეკური სესხებისათვის, ბანკებისა და მცირე და საშუალო ბიზნესების ურთიერთობის ქცევის კოდექსი (ეს კოდექსი შეეხება ყველა ტიპის საკრედიტო ოპერაციებს ბანკებსა და მცირე/საშუალო საწარმოთა შორის, საკრედიტო დაფინანსების ჩათვლით. ის იცავს თანაბარი და არადისკრიმინაციული მოპყრობის პრინციპებს მცირე/საშუალო საწარმოებთან მიმართებით და უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ზედმეტი გაჭიანურების თავიდან აცილებას).

ავსტრიაში 2005 წლიდან მოქმედებს ეთიკური ხელშეკრულება“ არასამეცნიერო სფეროში დასაქმებული უნივერსიტეტის მუშაკებისათვის. აგრეთვე შემუშავებულია ტურისტული ბიზნესის ქცევის კოდექსი სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დასაცავად. ეს უკანასკნელი შემუშავდა ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა პერსონალის ტრენინგებს მგზავრობის საწყის ქვეყანაში და ასევე დანიშნულების ადგილას; მომწოდებლებთან გაფორმებულ კონტრაქტებში სპეციალური პუნქტის ჩართვას ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის დაგმობის შესახებ; მგზავრებისათვის ინფორმაციის მიწოდებას კატალოგებით, ბილეთების გაყიდვისას, ვებ-გვერდებზე და ა. შ.

ქცევის კოდექსი შეიძლება აგრეთვე არეგულირებდეს რომელიმე ერთ საკითხს ყველა სფეროსათვის.

მაგალითად, საფრანგეთში მონტენის ინსტიტუტმა შეიმუშავა მრავალფეროვნების ქარტია“ (Diversity Charter), რომლის მიზანია ნაახალისოს კომპანიები, უკეთ ასახონ საფრანგეთის მოსახლეობის მრავალფეროვნება თავიანთ დაქირავებულ თანამშრომელთა შემადგენლობაში, აგრეთვე გაითვალისწინონ თავიანთ სტრატეგიებში მრავალფეროვნებისა და არადისკრიმინაციული მოპყრობის პრინციპები. ქარტიამ მრავალი მსხვილი კომპანიის ყურადღება მიიპყრო, რომელთაც უშუალოდ შეიტანეს ნვლილი მის შემუშავებაში საფრანგეთის კერძო კომპანიათა ასოციაციასთან ერთად. 2004 წელს 35 კომპანიის დირექტორი შეიკრიბა მონტენის ინსტიტუტში და ხელი მოაწერა ქარტიას. 2007 წელს ხელმომწერ კომპანიათა რიცხვი უკვე 15000-ს შეადგენდა.

სლოვენიაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შემუშავებულია კოდექსი სამუშაო ადგილზე უნარშეზღუდულთა მენეჯმენტის შესახებ, ხოლო გერმანიაში შემუშავებულია ქცევის კოდექსი ყავის წარმოების, დამუშავებისა და გასაღების (მარკეტინგის) სფეროებისათვის.

2.2. ანგარიშგება

კომპანიის საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი პარამეტრების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ ძირითად თემას წარმოადგენს. როგორც წესი, სოციალური ანგარიშგება პასუხისმგებელი კომპანიის ნებაყოფლობით ვალდებულებას წარმოადგენს, რომელიც პასუხობს ზოგადად საზოგადოებისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა (ინვესტორების, აქციონერების, მომხმარებლების, მთავრობათა, საფინანსო ინსტიტუტების) მოთხოვნებს კომპანიის ანგარიშვალადებულების თაობაზე. ამასთანავე, ნელ-ნელა თავს იჩენს ბიზნეს საქმიანობის ცალკეული ასპექტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის საკანონმდებლო რეგულირების ტენდენცია.

ამრიგად, კომპანიების სოციალური და გარემოსდაცვითი ანგარიშგება მრავალი ქვეყნის მთავრობათა ყურადღების საგანია.

ანგარიშების ხელშეწყობის სამთავრობო მიდგომები მოიცავს, ერთი მხრივ, საკანონმდებლო რეგულირებას და დავალდებულებას (გარკვეული სექტორის, გარკვეული ზომისა და ტიპის კომპანიებისათვის), ხოლო მეორე მხრივ, ნებაყოფლობითი ანგარიშების წახალისებას სხვადასხვა მეთოდებით.

ნებაყოფლობითი ანგარიშების ხელშეწყობის ერთ-ერთი მეთოდი მთავრობის მხრიდან არის **ანგარიშების სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება**. როგორც წესი, ამგვარი სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებაში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელი მრავალი ორგანიზაცია არის ხოლმე ჩართული სამთავრობო უწყებებთან ერთად.

ასე მაგალითად, *ავსტრიაში* ანგარიშების სახელმძღვანელო მითითებები ერთობლივად შეიმუშავა რამდენიმე საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ და სამთავრობო სტრუქტურამ - მდგრადი განვითარების ავსტრიის ინსტიტუტმა, ეკონომიკისა და დასაქმების ფედერალურმა სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის, ტყის, გარემოსა და წყლის რესურსების ფედერალურმა სამინისტრომ, მდგრადი განვითარების ავსტრიის ბიზნეს საბჭომ, ავსტრიის სამრეწველო ფედერაციამ, ავსტრიის ფედერალურმა სავაჭრო პალატამ. ეს სახელმძღვანელო მითითებები მიზნად ისახავს მდგრადი მენეჯმენტის საკითხებზე ანგარიშების გაადვილებასა და სტანდარტიზებას და ყველა ტიპის ავსტრიული საწარმოსთვის არის განკუთვნილი.

ბრიტანეთის მთავრობამ აგრეთვე შეიმუშავა გარემოსდაცვითი ანგარიშების სახელმძღვანელო მითითებები (Environmental Reporting Guidelines – Key Performance Indicators (KPIs), რომლებიც ეხმარება კომპანიებს მართონ თავიანთი ზეგავლენა გარემოზე, გამოავლინონ კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკები და ისე აწარმოონ ანგარიშება, რომ უპასუხონ დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. ეს სახელმძღვანელო მითითებები ასწავლის კომპანიებს როგორ მოაგროვონ მონაცემები, როგორ წარმოადგინონ ინფორმაცია და ა. შ.

ჰოლანდიის მთავრობის ხელშეწყობით, წლიური ანგარიშების საბჭოს ბაზაზე დაფუძნდა დაინტერესებულ მხარეთა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო ჰოლანდიური კომპანიებისთვის ანგარიშების სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება. ეს სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც რამდენიმე ძირითად საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, 2003 წელს გამოქვეყნდა ხანგრძლივი საკონსულტაციო პროცესის შედეგად.

დანიაში 2001 წელს სოციალური საკითხების სამინისტრომ გამოუშვა სოციალური და ეთიკური ანგარიშების სახელმძღვანელო მითითებები“, რომლებიც გამიზნულია როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის.

მთავრობა აგრეთვე ეხმარება კომპანიებს **თვითშეფასების მექანიზმების** დანერგვაში.

მაგალითად, *პორტუგალიაში* შრომისა და სოციალური სოლიდარობის სამინისტრომ (MTSS) პორტუგალიის შრომის ინსპექციასთან (IGT) ერთობლივად შეიმუშავა თვითშეფასების კითხვარი CSR საკითხებზე, რომე-

ლიც ყველა ტიპის კომპანიისთვის არის განკუთვნილი (მცირე და საშუალო კომპანიების ჩათვლით). მისი მიზანია დაეხმაროს კომპანიებს ჩაატარონ საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის შიდა შეფასება რამდენიმე ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც, მეტწილად, შრომის ორგანიზებას, სამუშაო ურთიერთობებს, თანამშრომელთა მიმართ გატარებულ პოლიტიკას შეეხება და საშუალებას აძლევს პორტუგალიის შრომის ინსპექციას გამოავლინოს საუკეთესო მისაბაძი მაგალითები.

2004 წელს *ჰოლანდიაში* პირველად გამოქვეყნდა გამჭვირვალობის ინდექსი, რომელმაც 175 მსხვილი კომპანიის რანჟირება მოახდინა იმის მიხედვით, თუ რამდენად გამჭვირვალეა ინფორმაცია მათი საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების შესახებ. მათ შორის იყო როგორც საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიები, ისე სხვა კომპანიებიც. რანჟირება ეფუძნებოდა ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა: ინფორმაცია კომპანიის შესახებ, კომპანიის ზეგავლენა საზოგადოებაზე, დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგი, მოწოდების ქსელი, რამდენად არის გათვალისწინებული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხები კომპანიის საქმიანობაში, როგორ აწვდის კომპანია ინფორმაციას საზოგადოებას, რამდენად გადამოწმებადია მის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ა. შ. ეს ინიციატივა წარმატებული იყო და მას შემდეგ გამჭვირვალობის ინდექსი ყოველი წლის ბოლოს, ნოემბერში, ქვეყნდება. მისი შედეგები მალევე გახდა თვალსაჩინო – ინდექსის გამოქვეყნებიდან უკვე მეორე წელს კომპანიათა 47%-მა გააუმჯობესა საკუთარი მდგრადი განვითარების ანგარიშები წინა წელთან შედარებით.

მრავალი ქვეყანა სამთავრობო დონეზე უჭერს მხარს ანგარიშგების გლობალური ინიციატივის (GRI) სტანდარტს.²⁵² მაგალითად *ჰოლანდიის* მთავრობა, რომელმაც დააფინანსა ცალკეული GRI სასწავლო გამოცემების მომზადება. 2009 წელს *შვედეთისა* და *ნორვეგიის* საგარეო საქმეთა სამინისტროებმაც განაცხადეს, რომ ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევენ ანგარიშგების გლობალური ინიციატივას. ამ ქვეყნებს აგრეთვე საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ GRI სამთავრობო მრჩეველთა საბჭოში.

მთავრობის მხრიდან კომპანიების ანგარიშგების სტიმულირების ერთ-ერთი მეთოდია **პირადი მაგალითის მიცემა**. ასე მაგალითად, *ჰოლანდიის* მთავრობის რამდენიმე დეპარტამენტმა გამოაქვეყნა წლიური ანგარიში საკუთარი საქმიანობის სოციალური მაჩვენებლების შესახებ. ამის ინიციატორი იყო *ჰოლანდიის* ეკონომიკის სამინისტრო, რომელმაც თავისი პირველი სოციალური ანგარიში 2004 წელს გამოაქვეყნა. ამის შემდეგ სხვა სამინისტროებმაც (მაგ., სოფლის მეურნეობის სამინისტრომ) ასევე გამოაქვეყნეს სოციალური ანგარიშები.

²⁵² GRI სტანდარტის შესახებ დანვრილებით იხ. თავი VI, ქვეთავი 7.

მდგრადი განვითარების ანგარიშგება (სოციალური ანგარიშგება) კომპანიათა ნებაყოფლობითი ვალდებულებაა და არც ერთ ქვეყანაში კანონმდებლობით არ არის დაწესებული ანგარიშგების საყოველთაო სავალდებულო მოთხოვნა მდგრადი განვითარების სამივე სფეროს მიხედვით. თუმცა, ზოგიერთ ქვეყანაში **კანონმდებლობით რეგულირდება** კომპანიის საქმიანობის ცალკეული ასპექტების შესახებ ინფორმაციის გახსნის ვალდებულება. ანგარიშგების სავალდებულო მოთხოვნა შეიძლება ვრცელდებოდეს ცალკეულ სექტორებში დასაქმებულ, გარკვეული ზომის კომპანიებზე, გარკვეული ხასიათის ინფორმაციის გახსნაზე და ა.შ.

საფრანგეთში 2001 წელს მიღებული კანონის თანახმად, *საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიები* ვალდებული არიან თავიანთ წლიურ ანგარიშებში წარმოადგინონ ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების შესახებ. 2002 წელს გამოქვეყნებული დეკრეტი განსაზღვრავს ამგვარი ანგარიშის რაოდენობრივ და ხარისხობრივ კრიტერიუმებს (საკმაოდ დაწვრილებითი და დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნება მოითხოვება გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე, ადგილობრივ საზოგადოებასთან მიმართებით განხორციელებულ საქმიანობაზე, თანამშრომელთა პოლიტიკაზე და ა. შ.). მოთხოვნის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს კომპანიების წახალისება, შეიმუშაონ საკუთარი საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენის შეფასების ინსტრუმენტები.

დანიასში 2008 წლის 16 დეკემბერს მიღებული კანონი დანიის 1100 უმსხვილეს კომპანიას (*საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულ კომპანიებს, სახელმწიფო კომპანიებს, ინსტიტუციურ ინვესტორებს*) ავალდებულებს წარმოადგინონ ანგარიში საკუთარი სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ან განმარტონ მიზეზი, თუ რატომ არ ამზადებენ ამგვარ ანგარიშს. შესაბამისად, კომპანიას აქვს არჩევანი – მას შეუძლია არ მოამზადოს CSR ანგარიში, თუმცა ამ შემთხვევაში ვალდებულია, საჯაროდ მიუთითოს ამის მიზეზები.²⁵³

ბელგიაში *საპენსიო ფონდებს* სპეციალური საპენსიო კანონის მიხედვით (Loi Pensions Complémentaires – LPC of 15 May 2003) მოეთხოვებათ თავიანთ წლიურ ანგარიშებში საჯაროდ გახსნან ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორია მათი საინვესტიციო სტრატეგია და რამდენად ითვალისწინებენ საკუთარ საინვესტიციო გადაწყვეტილებებში ეთიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით კრიტერიუმებს. სავალდებულო ანგარიშგების საგანია აგრეთვე ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი, რა ტიპის ინვესტიციები გახორციელდა და ა. შ. ხოლო 2004 წლის 20 ივლისს მიღებული კანონი, რომელიც კოლექტიური საინვესტიციო პორტფელის მენეჯმენტს არეგულირებს, მოითხოვს, რომ ყველა *კოლექტიურმა საინვესტიციო ინსტიტუტმა* გამოაქვეყნოს ნახევარწლიანი და ერთწლიანი ანგარიში, რომელშიც ღიად განაცხადებს, თუ

²⁵³ <http://www.globalreporting.org/NewsEventsPress/LatestNews/2009/NewsJanuary09DanishLaw.htm>

რამდენად ითვალისწინებდა იგი საკუთარ საინვესტიციო პოლიტიკაში ეთიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით კრიტერიუმებს.

მსგავსი კანონმდებლობა, რომელიც საპენსიო ფონდებისაგან მოითხოვს, წარმოადგინონ ანგარიში, თუ რამდენად გაითვალისწინეს მათ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას, ევროკავშირის კიდევ რამდენიმე წევრ ქვეყანაში არსებობს (ბელგიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, შვედეთში, დიდ ბრიტანეთში). რადგანაც საპენსიო ფონდები მეტ ინფორმაციას ითხოვენ საწარმოებისაგან, რომლებშიც ინვესტირებას ახდენენ, საწარმოები, თავის მხრივ, სულ უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევენ ინფორმაციის გამოქვეყნებას მათი საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი მახასიათებლების შესახებ.

ნორვეგიის მთავრობის 2009 წლის ე.წ. თეთრი დოკუმენტის “თანახმად, მთავრობა აპირებს განსახილველად წარუდგინოს პარლამენტს არსებული ანგარიშგების აქტის“ საკანონმდებლო შესწორება, რომლის თანახმადაც ნორვეგიულ კომპანიებს მოეთხოვებათ თავიანთ წლიურ ანგარიშებში სხვა სახის ინფორმაციასთან ერთად წარმოადგინონ ინფორმაცია, თუ რა ღონისძიებებს ატარებენ ნორვეგიის ეთიკური სახელმძღვანელო მითითებების“ დასაწერად.

საკანონმდებლო რეგულირების საგანს ხშირად წარმოადგენს **ინფორმაციის გახსნა კომპანიის საქმიანობით გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შესახებ**. ამგვარი საკანონმდებლო მოთხოვნაც გარკვეული ტიპის კომპანიებზე ვრცელდება ხოლმე.

მაგალითად, *დანიას* 1995 წელს გარემოს დაცვის სამინისტრომ გამოსცა კანონის ძალის მქონე დადგენილება, რომელიც ავალდებულებს ცალკეულ სექტორებში დასაქმებულ კომპანიებს, რომლებიც გარკვეული ტიპის გარემოს დამაბინძურებელ საქმიანობას ეწევიან, ყოველწლიურად გამოაქვეყნონ გარემოსდაცვითი ანგარიში. ეს მოთხოვნა ვრცელდება მწარმოებელი კომპანიებზე, ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი აირის მომპოვებელ და გადამამუშავებელ კომპანიებზე, ქიმიური პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებზე, ელექტროენერჯის გამომმუშავებელ კომპანიებზე და ა. შ. ამ კატეგორიაში 1000-ზე მეტი კომპანია გაერთიანდა. ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ენერჯის, წყლისა და ნედლეულის მოხმარების, წარმოების პროცესში გამოყენებული ან წარმოქმნილი დამაბინძურებლების (და მათი მოცულობის), მათი გაუვნებელყოფის მეთოდის, გამონაბოლქვის, წყალჩაშებისა და მისი გაუვნებელყოფის მეთოდების შესახებ და ა. შ.

შვედეთში 1999 წლიდან გარკვეული ზომის კომპანიებს მოეთხოვებათ თავიანთ ფინანსურ ანგარიშებში შეიტანონ ინფორმაცია გარემოსდაცვითი ზეგავლენის შესახებ (მაგ. გაფრქვევები, წყალჩაშება, ქიმიკატების გამოყენება და სხვ.).

დიდ ბრიტანეთში 2006 წელს მიღებული კომპანიების შესახებ აქტის“ თანახმად, საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულ კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ ანგარიში გარემოსდაცვით და სოციალურ

საკითხებზე, ასევე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაზე.

სლოვენიაში შეთავაზებული იყო საკანონმდებლო შესწორება, რომელიც შეეხება კომპანიათა წლიური ანგარიშების შინაარსს და რომელიც მოითხოვს, რომ ამ ანგარიშებში შეტანილი იყოს ინფორმაცია გარემოსდაცვითი საქმიანობის, თანამშრომელთა პოლიტიკისა და ქცევის კოდექსებთან შესაბამისობის შესახებ.

ესპანეთში 2004 წლიდან საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ ანგარიშები საკუთარი CSR პოლიტიკის შესახებ, რაც მოიცავს ინფორმაციას გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შესახებ. ეს ანგარიშები მეტწილად GRI სტანდარტს ეფუძნება.

2.3. მარკირება/ეტიკეტირება და სერტიფიკაციის სქემები

ბიზნესის სოციალურად პასუხისმგებელი ქცევის სტიმულირებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მეთოდია სერტიფიცირება და ეტიკეტირება.

მრავალრიცხოვანი კვლევები ცხადყოფს, რომ ევროპელ მომხმარებლებს სჭირდებათ არა მხოლოდ ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქცია, არამედ მათ სურთ იცოდნენ, ეფუძნებოდა თუ არა წარმოების პროცესი სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებს. ევროპელ მომხმარებელთა უმრავლესობისათვის კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ან მომსახურების შესყიდვისას. ეს კი საინტერესო საბაზრო შესაძლებლობებს უქმნის პასუხისმგებელ კომპანიებს, რადგანაც მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამტკიცებს, რომ მზადაა მეტი გადაიხადოს ამგვარ პროდუქციაში, თუმცა რეალურად მომხმარებელთა მხოლოდ მცირე პროცენტი იქცევა ასე (ანუ პროდუქციის შერჩევისას განმსაზღვრელი რეალურად მაინც ფასია, თუმცა თანაბარი ფასისა და ხარისხის პირობებში, ევროპელ მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა უპირატესობას სოციალურად წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებს მიანიჭებს).

კვლევების თანახმად, ყველაზე მეტად ევროპელი მომხმარებელი შემდეგ საკითხებს აქცევს ყურადღებას: თანამშრომელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებათა დაცვა კომპანიისა და მისი მიწოდების ჯაჭვის საქმიანობაში, ზოგადად გარემოს დაცვა და განსაკუთრებით ჰაერში გაფრქვევებისა და სათბურის აირების გაფრქვევების შემცირება.

ამ მზარდი ტენდენციის საპასუხოდ სულ უფრო მეტი ეტიკეტი იქმნება, რომელიც პროდუქციის წარმოების ამა თუ იმ პარამეტრზე მიუთითებს. ამ ეტიკეტებს გასცემენ ან თავად მწარმოებლები (ე.წ. თვითდეკლარირებული ეტიკეტები), ან საწარმოო სექტორები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მთავრობები. ეტიკეტები წარმოადგენს ბაზრის მოთხოვნებზე დაფუძნებულ სტიმულირების მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს დადებითი სოციალური ცვლილების განხორციელებას როგორც პროდუქციის მწარმოებლებისა და გამსაღებლების, ასევე მომხმარებელთა ცნობიერებასა და ქცევაში.

ევროკავშირის ქვეყანათა მთავრობები, სხვა სექტორებთან თანამშრომლობით, აქტიურად იყენებენ ამ ინსტრუმენტს პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის სტიმულირების მიზნით.

სერტიფიცირების/ეტიკეტირების პროგრამის მხარდაჭერა შეიძლება კანონით რეგულირდებოდეს. მაგალითად, 2002 წელს ბელგიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიზანი იყო სოციალურად პასუხისმგებელი პროდუქციის განვითარების ხელშეწყობა ნებაყოფლობითი სოციალური ეტიკეტის შემოღების გზით.

თუმცა თავად ეტიკეტირება ნებაყოფლობითი უნდა იყოს.

ეტიკეტი/სერტიფიკატი შეიძლება მიენიჭოს კომპანიას ამა თუ იმ CSR ასპექტში წარჩინებისათვის

მაგალითად, *ავსტრიაში* სოციალური უსაფრთხოების, თაობებისა და მომხმარებელთა დაცვის სამინისტრო გასცემს სერტიფიკატს *ოჯახი და პროფესია* (Familie und Beruf), ოჯახთან თავსებადი ბიზნეს პრაქტიკისათვის. ხოლო ავსტრიის კერძო სექტორში დასაქმებულ ადამიანთა პროფესიული კავშირი ავსტრიის სავაჭრო პალატასთან ერთობლივად ანიჭებს სერტიფიკატს იმ საწარმოებს, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს განათლების სფეროში.²⁵⁴

ირლანდიაში არსებობს ადამიანური რესურსების მართვის სტანდარტი *წარჩინება ადამიანური რესურსების მართვაში* (Excellence Through people) იმ კომპანიებისათვის, რომელთაც სურთ, რომ მათი ადამიანური რესურსების პოლიტიკა და პრაქტიკა დამოუკიდებელი მხარის მიერ იყოს შემოწმებული და სერტიფიცირებული. ამ პროგრამას ახორციელებს ირლანდიის ტრენინგისა და დასაქმების სახელისუფლებო უწყება (Training and Employment Authority of Ireland - FAS).

საფრანგეთში სამინისტრომ, რომელიც თანაბარ შესაძლებლობებზეა პასუხისმგებელი (შრომის, სოციალური ურთიერთობების, ოჯახისა და სოლიდარობის სამინისტრომ), 2004 წელს შემოიღო *თანასწორობის ეტიკეტი*, რომლის მიზანია მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა კომპანიებსა და საჯარო უწყებებში. ორგანიზაციებს, რომელთაც სურთ ამ ეტიკეტის მიღება, განაცხადი უნდა წარუდგინონ დამოუკიდებელ უწყებას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი მინიჭების შესახებ სპეციალურ კომიტეტთან კონსულტაციების შემდეგ (ეს კომიტეტი შედგება მთავრობის, დამსაქმებელთა ასოციაციებისა და პროფესიული კავშირების წარმომადგენლებისაგან). ეტიკეტის მინიჭება ხდება სამი სფეროს მოთხოვნების შესაბამისად: კომპანიაში გატარებული ღონისძიებები პროფესიული თანასწორობის მისაღწევად; ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა; ოჯახური ცხოვრებისა და პროფესიული ცხოვრების დასაბალანსებლად გატარებული ღონისძიებები. 2006 წელს

²⁵⁴ <http://www.bildungszertifizierung.at>

შემუშავდა სპეციალური მოთხოვნები, რომლებიც მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე არის მორგებული.²⁵⁵

2002 წელს ბელგიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიზანი იყო სოციალურად პასუხისმგებელი პროდუქციის განვითარების ხელშეწყობა ნებაყოფლობითი სოციალური ეტიკეტის შემოღების გზით. ეს კანონი საშუალებას აძლევს კომპანიებს ეტიკეტი გამოიყენონ იმ პროდუქტებზე, რომლის მთელი წარმოების ჯაჭვი აკმაყოფილებს საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) 8 ფუნდამენტურ კონვენციას. ეტიკეტს ეკონომიკის სამინისტრო გასცემს მაქსიმუმ 3 წლით, სოციალურად პასუხისმგებელი წარმოების კომიტეტის დადებითი დასკვნის საფუძველზე. კომპანიები, რომლებიც თავიანთი პროდუქტისათვის ეტიკეტის მისაღებად შეიტანენ განაცხადს, ვალდებული არიან წარადგინონ სრული ინფორმაცია კომპანიის ქვეკონტრაქტორებსა და მომწოდებლებზე, რომლებიც ამ პროდუქტის წარმოების პროცესში არიან ჩართული, ასევე ILO სტანდარტების დაცვის მტკიცებულებები.²⁵⁶

ერთ-ერთი ფორმაა **სერტიფიცირება სოციალური ინდექსის საფუძველზე** (სოციალური ინდექსები ზოგადად გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი ფორმაა). ასე მაგ., დანიაში თუ კომპანია 60-ზე მეტ ქულას მიიღებს სოციალური ინდექსით, რასაც დამოუკიდებელი აუდიტორი დაამოწმებს, მას აქვს უფლება 3 წლის განმავლობაში გამოიყენოს “S” ეტიკეტი (ეტიკეტი სოციალური პასუხისმგებლობისათვის).

ხშირად ეტიკეტი რომელიმე ერთი პროდუქტისათვის შეიძლება იყოს განკუთვნილი, რომლის წარმოებისა და დისტრიბუციის პროცესი აკმაყოფილებს სოციალური პასუხისმგებლობის გარკვეულ კრიტერიუმებს.

მაგალითად, ჰოლანდიაში შემუშავებულია კრიტერიუმების ნაკრები მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით წარმოებული ხის მასალისათვის სპეციალური ეტიკეტის მისანიჭებლად (ეს კრიტერიუმები შემუშავდა სპეციალური სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე).

გერმანიაში 1998 წელს დაარსდა ყვავილების ეტიკეტირების პროგრამა“ (Flower label Program). პროგრამის ინიციატორი იყო ორი დიდი ასოციაცია, რომელიც გერმანიაში ყვავილების ბიზნესით არის დაკავებული (Flower wholesalers and importers (BGI), The German florist's association (FDF), ასევე პროფკავშირები და ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები. პროგრამის მიზანია ყვავილებით ვაჭრობის სექტორში სათანადო სამუშაო პირობებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინება. ეს ეტიკეტი აწესებს გარემოსდაცვითი და შრომითი საქმიანობის სტანდარტებს ყვავილების ფერმებისათვის – სტანდარტები მოიცავს ILO ფუნდამენტურ კონვენციებს, სათანადო დასაქმების კონტრაქტებს, ჯანმრთელობისა და

²⁵⁵ www.femmes-egalite.gouv.fr

²⁵⁶ www.label-social.be

უსაფრთხოების საკითხებს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისადმი პასუხისმგებელ დამოკიდებულებას, ასევე ტოქსიკური პესტიციდებისა და ქიმიკატების გამოყენების აკრძალვას. ნებისმიერი ყვავილების ფერმა (სანაშენო) მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან შეიძლება გახდეს ამ ეტიკეტის მფლობელი. სტანდარტებთან შესაბამისობას ამოწმებენ სპეციალური სოციალური და გარემოსდაცვითი აუდიტორები. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები და პროფკავშირები ატარებენ შემოწმებას ადგილზე.²⁵⁷

Rugmark Label არის ეტიკეტი, რომელიც მხოლოდ ნოხებისთვის არის განკუთვნილი და მხოლოდ ერთ საკითხს ფარავს – ბავშვთა შრომის გამოყენების აკრძალვას ნოხების წარმოებაში. ეს ეტიკეტი გეოგრაფიულადაც შეზღუდულია - ის მხოლოდ ინდოეთის ნახევარკუნძულზე არსებულ ნოხების სანარმოებზე ვრცელდება, თუმცა Rugmark Foundation გერმანიაში დაარსდა 1994 წელს ამ ეტიკეტირების სქემის განხორციელების მიზნით. ფონდი კონტრაქტებს უდებს ექსპორტიორებსა და მწარმოებლებს, რომლებიც ბავშვთა შრომის აკრძალვის პრინციპს აღიარებენ და თანახმა არიან განხორციელდეს კონტროლი მათ სანარმოებში. ეტიკეტირების გადასახადი გროვდება ფონდში და მოხმარდება მწარმოებელ ქვეყნებში იმ ბავშვების განათლებას, რომლებიც ადრე დასაქმებული იყვნენ ნოხების წარმოებაში.²⁵⁸

ეტიკეტები და სერტიფიკატები შეიძლება განკუთვნილი იყოს **ამა თუ იმ სექტორის კომპანიებისთვის**. მაგ. *ჩეხეთში* არსებობს ნებაყოფლობითი პროგრამა *პასუხისმგებელი საქმიანობა ქიმიურ მრეწველობაში* (Responsible Care in Chemical Industry). პროგრამის მიზანია ქიმიური ქარხნების მუშაობისას რისკების შემცირება, ასევე ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო ადმინისტრაციისა და საზოგადოებისათვის ქიმიურ მრეწველობაში უსაფრთხოების მიდგომების შესახებ. პროგრამაში 56 ქიმიური ქარხანაა ჩართული, მათგან 34 აქვს უფლება გამოიყენოს ლოგო „Responsible Care“.

განსაკუთრებით გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში **ეკოეტიკეტები**.

ბელგიაში ეკოლოგიური ეტიკეტი (რომლის მიზანია კომპანიათა სტიმულირება, გააუმჯობესონ თავიანთი ეკოლოგიური საქმიანობა) ბრიუსელის რეგიონში მოქმედი ყველა სახის კომპანიისათვის არის განკუთვნილი. ის კონცენტრირდება კომპანიის პირდაპირ ეკოლოგიურ ზეგავლენაზე (მაგ., ქაღალდის მოხმარების შემცირება, ელექტროენერჯის დაზოგვა და ა. შ.). ეტიკეტის მისაღებად საჭირო მოთხოვნები თავსებადია ევროპის გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და აუდიტის სისტემის მოთხოვნებთან (EMAS) და საერთაშორისო სტანდარტებთან MBS, ISO 14001.²⁵⁹

ჰოლანდიაში არსებობს გარემოსდაცვითი ეტიკეტირების ფონდი, რომელმაც შეიმუშავა მწვანე ეტიკეტის“ მისანიჭებელი კრიტერიუმები სათბუ-

²⁵⁷ www.flower-label-program.org

²⁵⁸ www.rugmark.org

²⁵⁹ <http://www.ibgebim.be>

რებისათვის, ასევე კვების პროდუქტების/სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის.

აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც დაინიშნა ეკოეტიკეტების შემოღება.

მაგალითად, *ლატვიაში 2006* წელს ევროპული ყვავილების კვირეულის მსვლელობისას პირველად მიანიჭეს ეკოეტიკეტები *ყვავილი*²⁶⁰. ეს ეტიკეტი, ევროკავშირის ინიციატივის საფუძველზეა შემუშავებული. ის მიანიჭეს იმ მწარმოებლებს, რომლებიც გარემოს დამზოგ პროდუქციას აწარმოებენ.

ჩეხეთში ეკოეტიკეტირების სისტემა 1994 წლიდან არსებობს. 2000 წლიდან ჩეხეთის მთავრობა განსაკუთრებულ მხარდაჭერას უწევს გარემოს დამზოგი პროდუქციის წარმოებას, გაყიდვასა და გამოყენებას. გარემოს დამზოგი პროდუქციის მარკირების/ეტიკეტირების ეროვნული პროგრამა მიზნად ისახავს თანაბარი ხარისხობრივი მაჩვენებლების მქონე პროდუქციას შრომის ბაზარზე კონკურენტული უპირატესობა შეუქმნას შერჩევის დამატებითი კრიტერიუმის შემოტანით, რომელიც პროდუქციისთვის დამატებითი გარემოსდაცვითი კრიტერიუმების შემოღებას გულისხმობს (როგორც მოხმარების, ისე წარმოების მხრივ). მარკირება ეფუძნება პროდუქციის სერტიფიცირებას დამოუკიდებელი მესამე მხარის მიერ. სისტემის მიზანია მომხმარებელს მისცეს გარანტია (რომლის უკანაც სახელმწიფო დგას), რომ ობიექტური შეფასების საფუძველზე პროდუქტის მავნე ზეგავლენა გარემოზე მაქსიმალურად შემცირებულია. ეკოლოგიური ცნობიერების მქონე მომხმარებლისათვის ეს სისტემა წარმოადგენს ორიენტირს, რომ მან შეძლოს არჩევანის გაკეთება მსგავსი პროდუქტების ფართო სპექტრს შორის, რასაც უნდა მოჰყვეს გარემოს დამზოგი პროდუქციის გაყიდვის ზრდა.

პოლონეთში 2004 წელს დაიწყო *მწვანე ეტიკეტების*“ კამპანია.²⁶⁰ ის, ძირითადად, გათვლილი იყო 26-40 წლის მომხმარებელზე და წარმოადგენდა ორწლიანი პროგრამის ნაწილს, რომელსაც ახორციელებდა სოციალური კომუნიკაციის ფონდი“, პასუხისმგებელი ბიზნესის ფორუმი“, მომხმარებელთა დაცვისა და კონკურენციის უწყების პატრონაჟით. კამპანიის მიზანი იყო მიენოღებინა ინფორმაცია პოლონელი მომხმარებლისათვის პროდუქციის ეკო და CSR ეტიკეტების თაობაზე, დაერწმუნებინა მომხმარებელი, მეტი ყურადღება მიექცია ასეთი ეტიკეტებისათვის და ამგვარად უპირატესობა მიენიჭებინა ჯანმრთელი, უსაფრთხო და პასუხისმგებელი პროდუქციისათვის.

სლოვენიაში არსებობს *ორგანული სოფლის მეურნეობის* პროდუქციის ნაციონალური ეტიკეტი. ეს ეტიკეტი გაიცემა სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული სპეციალური ორგანიზაციის სერტიფიკატის საფუძველზე. გარდა ამისა, კერძო ასოციაციები და ინიციატივები ასევე გასცემენ ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ეტიკეტებს და მათი შეფასების კრიტერიუმები ისეთივე მკაცრია (ზოგჯერ უფრო მკაცრიც), როგორც სახელმწიფო ეტიკეტისა.

²⁶⁰ www.zieloneznaki.pl

ევროკავშირის ეკოეტიკეტი ყვავილი“ ევროკავშირის ფარგლებში მოქმედებს. ეს არის ეტიკეტირების ნებაყოფლობითი სქემა (დაარსდა 1992 წელს და 2000 წელს საფუძვლიანად გადაიხედა), რომლის მიზანია მწვანე პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების სტიმულირება. კერძოდ, ეტიკეტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ისეთი მოხმარების საგნების (საკვების, სასმელებისა და მედიკამენტების გამოკლებით) შემუშავებას, წარმოებას, რეალიზაციასა და მოხმარებას, რომლებიც მინიმალურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე მათი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში (ანუ წარმოების ეტაპიდან ნარჩენების უტილიზაციის ეტაპის ჩათვლით). აუცილებელი მოთხოვნაა გარეთვე პროდუქციისა და სერვისების გარემოსდაცვითი პარამეტრების შესახებ მომხმარებლისათვის სრული ინფორმაციის მიწოდება. კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილებაც არის საჭირო ეტიკეტის მისაღებად, შეიმუშავა ევროკავშირის ეკომარკირების საბჭომ (EUEB), რომელიც აერთიანებს წევრი ქვეყნების, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფკავშირების, მომხმარებელთა და მწარმოებელთა ასოციაციების წარმომადგენლებს. ეკოლოგიური კრიტერიუმები ითვალისწინებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპს მისი წარმოებისა და მოხმარებიდან ნარჩენების უტილიზაციის ჩათვლით. ყველა პროდუქტი, რომელსაც აქვს ეტიკეტი ყვავილი“, რეგულარულად მონმდება დამოუკიდებელი ექსპერტებისა და ორგანიზაციების მიერ კრიტერიუმებთან შესაბამისობის დასადგენად.²⁶¹

ეკოსერტიფიკატები ხშირია ტურიზმის სფეროში.

მაგალითად, ავსტრიის სოციალური უსაფრთხოების, თაობებისა და მომხმარებელთა დაცვის სამინისტრო სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, გარემოს დაცვისა და წყლის მენეჯმენტის ფედერალურ სამინისტროსთან ერთად ტურიზმის სექტორში დასაქმებულ კომპანიებს გარემოსდაცვით სერტიფიკატს ანიჭებს (გარემოს დამზოგი საქმიანობისათვის).²⁶²

ეტიკეტირების სქემების ხელშეწყობის მიზნით შეიძლება მთავრობამ გარკვეულ შემთხვევებში დაფაროს სერტიფიცირების ხარჯების ნაწილი.

მაგალითად, ბელგიის სოციალური ეტიკეტის მისაღებად კომპანიები თავადვე ფარავენ სერტიფიცირების ხარჯებს, თუმცა მათ შეიძლება მთავრობისგან მოითხოვონ ფინანსური დახმარება ხარჯების ნაწილის დასაფარად: მცირე და საშუალო კომპანიებს შეუძლიათ 50%-მდე ხარჯების დაფარვა მოითხოვონ, მსხვილ კომპანიებს უფლება აქვთ ფინანსური მხარდაჭერის მოთხოვნისა იმ შემთხვევაში, თუ მათი წარმოების/მონოდების ჯაჭვის ნაწილი განვითარებად ქვეყანაშია განთავსებული.²⁶³

პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების ეტიკეტებისაგან განსხვავებით, სოციალური და გარემოსდაცვითი ეტიკეტები ვერ გადამონმდება თა-

²⁶¹ <http://ec.europa.eu/environment/ecolabel/>

²⁶² www.umweltzeichen.at

²⁶³ www.label-social.be

ვად პროდუქციის შემონმების გზით. იმისათვის, რომ სოციალური და ეკოეთიკეტები სანდო იყოს, საჭიროა წინასწარ შეთანხმებული სტანდარტების მიხედვით სამუშაო ადგილისა და წარმოების პროცესის მუდმივი შემონმება და მინიტორინგი. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ კრიტერიუმების შეფასებისა და სერტიფიცირების პროცესში ჩართული იყოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე.

მაგალითად, იტალიაში, ემილია რომანას რეგიონში, სოციალური ეტიკეტირების სისტემა შეიმუშავა ფონდმა Istituto per il lavoro დაინტერესებული მხარეების კომიტეტის დახმარებით, რომელშიც შედიან პროფკავშირების, დამსაქმებელთა ფედერაციის, ხელისუფლებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გერმანიის ყვავილების ეტიკეტირების პროგრამის“ ფარგლებში სტანდარტებთან შესაბამისობას ამონმებენ სპეციალური სოციალური და გარემოსდაცვითი აუდიტორები, ხოლო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები და პროფკავშირები ადგილზე შემონმებას ატარებენ.²⁶⁴

ზემოთ ნახსენები ბელგიის სოციალურ ეტიკეტს ეკონომიკის სამინისტრო გასცემს სოციალურად პასუხისმგებელი წარმოების კომიტეტის დადებითი დასკვნის საფუძველზე (კომიტეტში შედიან მთავრობის წარმომადგენლები, სოციალური პარტნიორები, ბიზნეს ფედერაციების, მომხმარებელთა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები). სერტიფიკაციის პროცესს ახორციელებს ინსპექტორატი, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო აძლევს აკრედიტირებას. ეტიკეტის მისაღებად კომპანიები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვალდებული არიან წარადგინონ სრული ინფორმაცია ქვეკონტრაქტორებსა და მომწოდებლებზე, რომლებიც წარმოების პროცესში არიან ჩართული და ასევე ILO სტანდარტების დაცვის მტკიცებულებები. ინსპექტორატი ამ ინფორმაციის, მუშაკებისა და კომპანიის ხელმძღვანელების გამოკითხვის, კომპანიებში ვიზიტების, ადგილობრივ ორგანიზაციათა მიერ მოწოდებული ინფორმაციის და ა. შ. საფუძველზე მოამზადებს ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს დაინტერესებულ მხარეთა კომიტეტს“. სერტიფიკაციის პროცესს ახორციელებს ინსპექტორატი, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო აძლევს აკრედიტებას. ყოველწლიურად ეკონომიკის სამინისტრო პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს სერტიფიცირების/ეტიკეტირების განხორციელებისა და წარმატებების შესახებ.²⁶⁵

ევროკავშირის ეკოეთიკეტის მინიჭების კრიტერიუმები შეიმუშავა ევროკავშირის ეკომარკირების საბჭომ (EUEB), რომელიც აერთიანებს წევრი ქვეყნების, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფკავშირების, მომხმარებელთა და მწარმოებელთა ასოციაციების წარმომადგენლებს. ეკოლოგიური კრიტერიუმები ითვალისწინებს პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპს მისი წარმოებისა და მოხმარებიდან

²⁶⁴ www.flower-label-program.org

²⁶⁵ www.label-social.be

ნარჩენების უტილიზაციის ჩათვლით. ყველა პროდუქტს, რომელსაც აქვს ეტიკეტი ყვავილი“, რეგულარულად ამოწმებენ დამოუკიდებელი ექსპერტები კრიტერიუმებთან შესაბამისობაზე.²⁶⁶

2. 4. სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება

უკანასკნელ წლებში სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება (Socially responsible investment/SRI) მზარდ ტენდენციას წარმოადგენს ინვესტორთა შორის.

სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება (იგივე მდგრადი ინვესტირება, ეთიკური ინვესტირება) გულისხმობს საინვესტიციო სტრატეგიას, რომლის მიზანია ერთდროულად ფინანსური მოგებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმალურად გაზრდა. ამ კონცეფციაში ინვესტორთა ფინანსური მიზნები კომბინირებულია სოციალურ, გარემოსდაცვით და ეთიკურ მიზნებთან. კერძოდ, სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება გულისხმობს CSR პარამეტრების გათვალისწინებას საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამრიგად, სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება წარმოადგენს კომპანიების ქცევის ცვლილებების სტიმულირების ეფექტურ ინსტრუმენტს.

სოციალური ინვესტირება შეიძლება მხოლოდ ფინანსური მოსაზრებებით იყოს მოტივირებული (ესენია, მაგ., ფინანსური რისკის შემცირება და მოგების ზრდა), ან ასევე მორალური მოსაზრებებითაც (მაგალითად, ეთიკური/სოციალურად პასუხისმგებელი ფონდების შემთხვევაში).

ძირითადად არსებობს ორი ტიპის SRI ბაზარი, რომლებიც უკავშირდება სოციალურად პასუხისმგებელ ინვესტორთა სხვადასხვა ტიპს — სოციალურად პასუხისმგებელი ინდივიდუალური ინვესტირება, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალურ ინვესტიციებს (მაგ. პერსონალურ პენსიას), რომლებიც კეთდება კონკრეტული პიროვნებების პირადი ეთიკური ფასეულობების მიხედვით (მცირე, ინდივიდუალური ინვესტორებისათვის არსებობს ათობით ახალი ფონდი და გაერთიანებული ინვესტირების მექანიზმი. მეორე ტიპია სოციალურად პასუხისმგებელი ინსტიტუციური ინვესტირება, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებელ ინვესტიციებს სხვადასხვა საინვესტიციო ინსტიტუტების მიერ, მაგ., საპენსიო ფონდების, ეთიკური ფონდების, სადაზღვევო კომპანიების, კომერციული ბანკების ინვესტიციებს.

ევროპის ქვეყნებში სულ უფრო მეტი საპენსიო ფონდი თავიანთი თანხების დიდ ნაწილს აბანდებს სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპების მიხედვით. არსებობს აგრეთვე მწვანე, სოციალური და ეთიკური ფონდები, რომლებიც იყენებენ სოციალურ, ეთიკურ და გარემოსდაცვით კრიტერიუმებს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას. ევროპის სულ უფრო მეტი ამგვარი ფონდი ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ინვესტორებისათვისაც. ევროპის სოციალური ინვესტირების ფორუმი (European Social Investment Forum – EUROSIF) მისი ასოცირებული წევრების სახით წარმოადგენს კაპიტალს რომელიც 60 მილიარდს უტოლდება (<http://www.eurosif.org>).

²⁶⁶ <http://ec.europa.eu/environment/ecolabel/>

საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებულ კომპანიებს მოეთხოვებათ, წარადგინონ მთელი რიგი დოკუმენტებისა, რათა ინვესტორებს ადეკვატური ინფორმაცია მიანოდონ კომპანიის შესახებ. ამგვარი სავალდებულო ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების შესახებ, რაც აგრეთვე ხელს უწყობს სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების განვითარებას.

შემოღებულია აგრეთვე მთელი რიგი ეთიკური ინვესტირებისა და მდგრადი განვითარების ინდექსებისა, რომელთა მიზანია სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიების საქმიანობის ასახვა. (მაგალითად, Dow Jones Sustainability Index, the FTSE4 Good, the Domini 400 Social Index), the Ethibel Sustainability Index და სხვა). ეს ინდექსები აგრეთვე დადებითი როლს თამაშობენ SRI ფონდებსა და ფინანსურ შედეგებს შორის ურთიერთკავშირის წარმოსაჩენად და ამგვარად ხელს უწყობენ SRI-ს განვითარებას.

სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირებისას საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება ორი ძირითადი მიდგომის საფუძველზე ხორციელდება — ერთი არის ნეგატიური კრიტერიუმები (ეთიკური გაცხრილვა), ანუ გარკვეული ტიპის პროდუქციის მწარმოებელი /გარკვეულ სფეროებში დასაქმებული კომპანიების გამორიცხვა (ესენია, მაგ., შეიარაღება, პორნოგრაფიის ინდუსტრია, თამბაქო, სათამაშო ბიზნესი) ან პოზიტიური კრიტერიუმებით შეფასება, ანუ კომპანიების შერჩევა მათი სოციალური და გარემოსდაცვითი მაჩვენებლების შეფასების საფუძველზე.

თავდაპირველად SRI ითვალისწინებდა მხოლოდ პოტენციურად არაპასუხისმგებელი/არაზნეობრივი სექტორების (მაგ., სიგარეტის ბიზნესი, სათამაშო ბიზნესი) გამორიცხვას. შემდეგ განვითარდა რამდენიმე ინიციატივა შესაბამისი რისკების განსაზღვრისა და პოზიტიური კრიტერიუმების მიხედვით შეფასების მიზნით.

ფონდების მენეჯერები სულ უფრო მეტად აღნიშნავენ იმ უპირატესობას, რაც მოსდევს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას კომპანიის კორპორაციული მმართველობის, სოციალური და გარემოსდაცვითი მაჩვენებლების შეფასებას.

ამგვარი შეფასება საკმაოდ რთული პროცესია. მას, ჩვეულებრივ, ატარებენ სპეციალური ორგანიზაციები, მაგალითად: Ethibel (ბელგია), Imug (გერმანია); FundacionEcologiayDesarrollo (ესპანეთი); Avanzi (იტალია); Triodos (ჰოლანდია); EIRIS და Pirc (დიდი ბრიტანეთი), აგრეთვე ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების SRI დეპარტამენტები. არაფინანსური ანალიტიკოსები იკვლევენ და აფასებენ კომპანიის საქმიანობის ეთიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით მაჩვენებლებს სხვადასხვა კრიტერიუმის, მეთოდოლოგიისა და საზომი სისტემების მეშვეობით. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმები, ჩვეულებრივ, ფინანსურ მაჩვენებლებთან კომპლექსურად განიხილება.²⁶⁷

ევროკომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების დანერგვას ევროკავშირის ქვეყნებში. 2002 წელს გამოქვეყნებულ ე.წ. თეთრ დოკუმენტში – კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა – ბიზნესის შენატანი მდგრად განვითარებაში“ (COM(2002) 347)

²⁶⁷ უფრო დანვრლივით სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ გამოცემებში: *ABC of the main instruments of CSR*, p. 48-53; *CSR – A business contribution to Sustainable Development*, p. 21; *Socially responsible investment among European institutional investors*, Eurosif, 2003; *European survey on SRI and the financial community*, by Euronext and CSR Europe, 2001.

ევროკომისია მხარს უჭერს ინიციატივებს, რომლებიც მიმართულია საპენსიო და საინვესტიციო ფონდების საქმიანობის მონიტორინგისკენ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის კონტექსტში. გარდა ამისა, ევროკომისიამ მოუწოდა საპენსიო სქემებსა და ინდივიდუალურ ინვესტორთა ფონდებს ღიად განაცხადონ, თუ რამდენად ითვალისწინებენ სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას.

ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების მთავრობები ნაციონალური პოლიტიკის დონეზეც აქტიურად უწყობენ ხელს სოციალური ინვესტირების განვითარებას.

მაგალითად, *ავსტრიაში* სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის, გარემოს დაცვისა და წყლის რესურსების მენეჯმენტის სამინისტროს მხარდაჭერით 2001 წელს დაარსდა *სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირების პლატფორმა*⁴. პლატფორმის მიზანია ავსტრიაში სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტიციების ბაზრის გაძლიერება. იგი ხელს უწყობს საშუალოვადიანი სტრატეგიის შემუშავებას, მონოდებისა და მოთხოვნის გაძლიერებას SRI სფეროში.

ზოგიერთ ქვეყანაში საპენსიო ფონდების სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება კანონით რეგულირდება.

მაგალითად, *შვედეთში* არსებობს კანონი (Public Pension Funds Act 2000:192), რომლის მიხედვით საპენსიო ფონდებს მოეთხოვებათ საკუთარი საინვესტიციო საქმიანობისას გაითვალისწინონ გარემოსდაცვითი და ეთიკური კრიტერიუმები და ამის შესახებ ინფორმაცია წარმოადგინონ წლიურ ანგარიშში. ამ კანონის თანახმად, სახელმწიფო საპენსიო ფონდები არ უნდა ფლობდნენ იმ კომპანიათა აქციებს, რომელთა საქმიანობა ეწინააღმდეგება ფონდის პოლიტიკას ეთიკისა და გარემოს დაცვის სფეროში. შვედეთის ფინანსთა სამინისტრო აკონტროლებს საპენსიო ფონდების საქმიანობის შესაბამისობას აღნიშნულ კანონთან.

ბევრ ქვეყანაში კანონმდებლობა არ ავალდებულებს საპენსიო ფონდებს, რომ მათ განახორციელონ SRI პოლიტიკა, მაგრამ მოითხოვს **ინფორმაციის საჯაროდ გახსნას** საინვესტიციო პოლიტიკაში ეთიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების გათვალისწინების შესახებ.

ასე მაგალითად, *ბელგიაში* 2003 წლის 15 მაისის საპენსიო კანონი⁵ (Occupational pension law // Loi Pensions Complementaires) ავალდებულებს საპენსიო ფონდებს წარმოადგინონ თავიანთ წლიურ ანგარიშებში (რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომია), თუ რამდენად ითვალისწინებენ საინვესტიციო პოლიტიკაში ეთიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით კრიტერიუმებს.

მსგავსი მოთხოვნა არსებობს *გერმანიაშიც*, სადაც 2001 წლის 1 აგვისტოდან სერტიფიცირებულ კერძო და პროფესიულ საპენსიო სქემებს/

ფონდებს²⁶⁸ მოეთხოვებათ საჯაროდ წარმოადგინონ ანგარიში საკუთარ საინვესტიციო პოლიტიკაში ეთიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმების გათვალისწინების შესახებ.

საფრანგეთში 2001 წელს მიღებული კანონი საჯარო საპენსიო სარეზერვო ფონდების შესახებ²⁶⁹ მოითხოვს ინფორმაციის გახსნას ინვესტიციების სოციალური და ეთიკური კრიტერიუმების შესახებ.

დიდ ბრიტანეთში 2000 წელს ძალაში შევიდა დადგენილება, რომელიც მოითხოვს, რომ კერძო/პროფესიული საპენსიო ფონდების მეურვეებმა საინვესტიციო პრინციპების განაცხადში ჩართონ ინფორმაცია, თუ რამდენად არის გათვალისწინებული სოციალური, გარემოსდაცვითი და ეთიკური პრინციპები მათ საინვესტიციო პოლიტიკასა და სტრატეგიაში. ამის შედეგად საპენსიო ფონდებმა დაიწყეს მეტი ინფორმაციის მოთხოვნა იმ ფირმებისაგან, რომლებშიც აბანდებდნენ ფულს, რის შედეგადაც გაიზარდა ანგარიშგება კომპანიათა საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტების შესახებ ანგარიშგება.

ზოგიერთ ქვეყანაში **შემუშავებულია პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპები**, რომელთა დაკმაყოფილება საჭიროა იმისათვის, რომ საინვესტიციო ფონდი სოციალურად პასუხისმგებელ²⁶⁹ ფონდად იქნეს მიჩნეული.

მაგ. ესპანეთში საფონდო ბირჟის ეროვნულმა კომიტეტმა (Comision nacional del Mercado de Valores, CNMV) დაამტკიცა დოკუმენტი, რომელიც შეიმუშავა საპენსიო ფონდებისა და ინსტიტუციური ინვესტორების ესპანეთის ასოციაციამ. ამ დოკუმენტში განსაზღვრულია მოთხოვნები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს საინვესტიციო ფონდებმა, თუ მათ სურთ ეთიკური²⁶⁹, მწვანე²⁶⁹ ან სოციალური²⁶⁹ ფონდის სახელწოდება ჰქონდეთ. ამ მოთხოვნათაგან ერთ-ერთი იმაში მდგომარეობს, რომ ფონდმა საჯაროდ გამოაქვეყნოს ინფორმაცია საკუთარი ეთიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრინციპების შესახებ, აგრეთვე იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა საფუძველზეც იღებს საინვესტიციო განწყვეტილებებს.²⁶⁹

სოციალურად პასუხისმგებელი პრინციპების შესრულებას შეიძლება **აკონტროლებდეს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთაგან დაკომპლექტიებული სპეციალური ორგანო**.

მაგ., შვედეთის ეროვნულმა საპენსიო ფონდებმა შეიმუშავეს პასუხისმგებელი ინვესტირების პრინციპები. ამ ფონდებმა 2007 წელს ერთობლივად

²⁶⁸ Privat and occupational pension schemes - არასახელმწიფო (საწარმოო, პროფესიული) საპენსიო სქემა, რომელსაც დამქირავებელი შეიმუშავებს საკუთარი თანამშრომლებისათვის. პენსიის საფუძველს ქმნის მუშაკების ან დამქირავებლის ნებაყოფლობითი საპენსიო გადასახადები.

²⁶⁹ www.cnmv.es/index.htm

დააარსეს ეთიკური საბჭო, რომლის მიზანია გარემოსდაცვითი, ეთიკური, ადამიანის უფლებათა და შრომის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გააანალიზოს ის უცხოური კომპანიები, რომლებშიც საპენსიო ფონდები აბანდებენ კაპიტალს.

პასუხისმგებელი ინვესტირების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან შეიძლება გამოიხატოს უშუალოდ **სოციალური ფონდების დაარსებით**.

მაგალითად, ბელგიაში არსებობს სოციალური და მდგრადი ეკონომიკის ფონდები“ (The Social and Sustainable Economy Funds (Kringloopfonds)), რომლებიც დაარსებულია და იმართება ფედერალური მთავრობის მიერ (შპს სოციალური მიზნებით). ეს ფონდები მიზნად ისახავს ეთიკური ინვესტიციების სტიმულირებას და ამისათვის საკუთარი საინვესტიციო კაპიტალის მინიმუმ 70%-ს აბანდებს სოციალურად მდგრად ეკონომიკურ პროექტებში. 2003 წელს მრავალმა ინვესტორმა შეიძინა ამ ფონდის ობლიგაციები.

ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მთავრობები **ფინანსური სახის სტიმულირებასაც** მიმართავენ სოციალური ინვესტირების წასახალისებლად.

მაგალითად, ბელგიაში ინვესტორები, რომელთაც შეიძინეს ფედერალური მთავრობის მიერ დაარსებული სოციალური და მდგრადი ეკონომიკის ფონდის“ ობლიგაციები (ამ ფონდებზე ზემოთ გვექონდა საუბარი) საგადასახადო შეღავათებით სარგებლობენ.

ხოლო ჰოლანდიაში 1995 წელს მიიღეს მწვანე ინვესტიციების შესახებ დირექტივა“ (Green Investment Directive), რომელიც აადვილებს ფინანსების ხელმისაწვდომობას ეკოლოგიურად პასუხისმგებელი პროექტებისათვის. ამ დირექტივის თანახმად, მწვანე ფინანსური შუამავლების მოგება თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან (მწვანე შუამავალი არის ფინანსური შუამავალი, რომელიც გასცემს კრედიტს და ინვესტირებას ახდენს მწვანე პროექტებში, რომლებიც აკმაყოფილებს მთავრობის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს). მწვანე შუამავლებს უფლება აქვთ თავიანთი აქტივების მხოლოდ 30 პროცენტი დააბანდონ არამწვანე პროექტებში, შესაბამისად 70%-ის დაბანდება ხდება დამტკიცებულ მწვანე პროექტებში. საგანგებო სამთავრობო უწყებები აკონტროლებენ მწვანე პროექტებს და გადანყვეტილებას იღებენ, აკმაყოფილებს თუ არა პროექტი მწვანე პროექტის“ მოთხოვნებს.

2. 5. რეკლამირება

სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილს პასუხისმგებელი რეკლამირება წარმოადგენს. კომპანიები და ამა თუ იმ სექტორის მენარმეთა ასოციაციები **თვითრეგულირების მექანიზმების** მეშვეობით ცდილობენ დაარეგულირონ პასუხისმგებელი რეკლამირება.

მაგალითად, ესპანეთში სატელევიზიო და რადიო ოპერატორებმა დააარსეს რეკლამის კონტროლის ასოციაცია²⁷⁰, რომლის მიზანია თვითრეგულირების მექანიზმის შექმნა (ლეგალური მოთხოვნების მიღმა) პასუხისმგებელი რეკლამირებისათვის.

ფინეთში ცენტრალურ სავაჭრო პალატასთან არსებულ რეკლამირების ეთიკის საბჭოს²⁷¹ გამოაქვს დასკვნები, არის თუ არა ესა თუ ის რეკლამა ან სარეკლამო პრაქტიკა ეთიკურად მისაღები. ეს საბჭო ძირითადად მომხმარებელთა მოთხოვნებს პასუხობს და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავს. მომხმარებელს უფლება აქვს მოსთხოვოს საბჭოს განიხილოს და გამოსცეს დასკვნა, არის თუ არა ესა თუ ის რეკლამა ეთიკური.

არაერთ ქვეყანაში სახელმწიფო პოლიტიკა CSR-თან მიმართებით რეკლამირებასთან დაკავშირებული საკითხების **საკანონმდებლო რეგულირებასაც** მოიაზრებს.

ასე მაგალითად, 1991 წელს ბელგიაში მიიღეს კანონი ინფორმაციის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ვაჭრობის შესახებ²⁷². ეს კანონი კრძალავს რეკლამებს, რომელთაც შეცდომაში შეჰყავთ მომხმარებელი პროდუქციის ან მომსახურების გარემოზე ზემოქმედების შესახებ. აგრეთვე დაარსდა კომიტეტი, რომელიც ამ კუთხით მონიტორინგს უწევს გარემოსდაცვით ეტიკეტებსა და რეკლამას. შემუშავებულია აგრეთვე საკანონმდებლო პროექტი ისეთი რეკლამის აკრძალვის შესახებ, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი წარმოების პროცესის სოციალური პირობების შესახებ (მაგალითად ILO რვა კონვენციის შესრულების შესახებ).

ლატვიაში 2000 წელს მიიღეს კანონი, რომლითაც იკრძალება შეცდომაში შემყვანი რეკლამა.

ირლანდიაში 2001 წელს ირლანდიის სარეკლამო სტანდარტების უწყებამ²⁷³ (Advertisng Standards Authority for Ireland) გამოსცა სარეკლამო სტანდარტების ირლანდიის კოდექსი²⁷⁴ (მე-5 გამოცემა) და გაყიდვების ხელშეწყობის საქმიანობის კოდექსი²⁷⁵, რომელიც არეგულირებს კომერციულ რეკლამას მომხმარებელთა უფლებებთან მიმართებით.²⁷⁰

სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებელი რეკლამირების ხელშეწყობის ერთ-ერთ მექანიზმს აგრეთვე **საკომუნიკაციო კამპანიები და ცნობიერების ამაღლებისკენ** მიმართული სხვა ღონისძიებები წარმოადგენს.

მაგალითად, მალტაზე მომხმარებელთა და კონკურენციის დეპარტამენტი აწარმოებს საგანმანათლებლო კამპანიას მომხმარებელთა და გამსაღებელი კომპანიებისათვის მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ. ეს კამპანია ასევე ყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა საკითხების შესახებ აქტზე (Consumers Affairs Act), განსაკუთრებით კი იმ მუხლებზე, რომლებიც შეეხება შეცდომაში შემყვან რეკლამირებას.

²⁷⁰ www.asai.ie

3. CSR-ის ხელშეწყობის პოლიტიკის უმჯობესება

3.1. მდგრადი განვითარება

ვინაიდან ბიზნეს კომპანიები ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საზოგადოების განვითარებაში, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაშიც მათ არანაკლები როლი ეკისრებათ.

ევროკავშირი კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას განიხილავს, როგორც ბიზნესის შენატანს მდგრად განვითარებაში.²⁷¹ ამდენად, მდგრადი განვითარებისა და CSR ხელშეწყობის პოლიტიკები მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია ევროპაში.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შემუშავებული აქვთ მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიები, რომლებიც ეფუძნება ევროკავშირის მდგრადი განვითარების ერთიან სტრატეგიას. ამ სტრატეგიათა მნიშვნელოვან კომპონენტს სწორედ ბიზნესის კორპორაციული პასუხისმგებლობისა და ბიზნეს საქმიანობაში მდგრადი განვითარების მიზნების ჩართვის სტიმულირება წარმოადგენს. მდგრადი განვითარების მიზნები ინტეგრირებულია აგრეთვე ცალკეული სფეროების განვითარების პოლიტიკებშიც.

მაგალითად, *ავსტრიის* მდგრადი განვითარების ნაციონალური სტრატეგიის ძირითად მიზნებს შორის არის ადგილობრივი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა და ეფექტური მენეჯმენტი ეკოეფექტურობის, ენერჯისა და რესურსების მართებული ფასებისა და მდგრადი განვითარების პრინციპებით წარმოებული პროდუქციისა და სერვისების განვითარების გზით.

გერმანიაში CSR წარმოადგენს ერთ-ერთ ასპექტს მდგრადი განვითარების მრავლისმომცველი სტრატეგიისა, რომელიც ფედერალურმა საბჭომ 2002 წელს მიიღო. სტრატეგიის კონცეფცია ეფუძნება თაობათა შორის თანასწორობის, ცხოვრების ხარისხის ამაღლების, სოციალური ერთიანობისა და საერთაშორისო პასუხისმგებლობის პრინციპებს. ამოცანები მოიცავს ენერგოპროდუქტიულობას და ნედლეულის ეკონომიურ გამოყენებას, გაფრქვევების შემცირებას, განახლებადი ენერჯის მოხმარების პროპორციას, კერძო და სახელმწიფო დანახარჯებს კვლევით საქმიანობაზე, განათლებასა და განვითარებაზე, ორგანული მინათმოქმედების პროპორციულ წილს, ჰაერის დაბინძურების დონის კონტროლსა და შემცირებას, ბავშვთა მოვლის ინფრასტრუქტურის განვითარებას. ცხადია, რომ ამ მიზნების განხორციელება შეუძლებელია ბიზნესის აქტიური ჩართულობისა და საკუთარ საქმიანობაში მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინების გარეშე.

ბულგარეთის ნაციონალური მდგრადი განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტები სხვებთან ერთად მოიცავს ისეთ საკითხებს,

²⁷¹ იხ. ევროკომისიის ე.წ. თეთრი დოკუმენტი: *Corporate Social Responsibility - A Business Contribution to Sustainable Development*, European Commission, Directorate General for Employment and Social Affairs, 2002. (უფრო დანვრილებით იხ. ამავე ნაშრომის თავი VII).

რომელთა განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ პასუხისმგებელ ბიზნეს საქმიანობას ენიჭება. მაგალითად: კლიმატის ცვლილება და სუფთა ენერჯია; მდგრადი ტრანსპორტი; მდგრადი წარმოება და მოხმარება; ბუნებრივი რესურსების დაცვა და მართებული მენეჯმენტი; კარგი მმართველობა და სხვ.

ესტონეთის მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის ძირითად, წარმმართველ პრინციპს წარმოადგენს გლობალურ კონკურენციაში წარმატების მიღწევის აუცილებლობის შეთავსება მდგრადი განვითარების მოდელთან და ესტონეთის ტრადიციული ფასეულობების დაცვა-შენარჩუნებასთან“.

პოლონეთის გრძელვადიანი (2025 წლამდე) მდგრადი განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიზანია პოლონეთის ოჯახების კეთილდღეობისა და ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა სხვადასხვა ხერხით, მაგალითად, მცირე და საშუალო ბიზნესში წარმოებისა და მენეჯმენტის ეკოლოგიურად დამზოგი მეთოდების დანერგვის ხელშეწყობით. პოლონეთში აგრეთვე არსებობს სუფთა წარმოებისა და პასუხისმგებელი ბიზნესის რეესტრი, რომელიც ასახავს სისტემურ მიდგომას მოხმარებისა და წარმოების მოდელების ცვლილების მიმართ.

ევროკავშირის მრავალ ქვეყანაში არსებობს სხვადასხვა სახის **საკონსულტაციო ორგანოები**, რომლებიც მდგრადი განვითარების საკითხებს უწევენ კოორდინირებას.

მაგალითად, *ჩეხეთში* 2003 წელს დაარსდა ჩეხეთის მთავრობის მდგრადი განვითარების საბჭო (SDCG), რომელიც წარმოადგენს მთავრობის სათათბირო ორგანოს მდგრადი განვითარებისა და სტრატეგიული მენეჯმენტის საკითხებზე. მისი ძირითადი ამოცანაა ჩეხეთის რესპუბლიკის მდგრადი განვითარების ნაციონალური გეგმის განხორციელების კოორდინირება. საბჭოს საქმიანობის საგრძნობი წილი მიმართულია კომპანიათა სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისაკენ, რაც მოიცავს პროგრამებს მცირე და საშუალო საწარმოების, ასევე ქალთა ბიზნეს საქმიანობის მხარდასაჭერად. ეს პროგრამები ხორციელდება განსაკუთრებით მაღალი უმუშევრობის რეგიონებში წარმოების, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებში. პროგრამები მოიცავს საკონსულტაციო მომსახურებას, ბიზნეს გეგმების შედგენაში დახმარებასა და ფინანსურ სუბსიდიებს.

ბელგიის ფედერალურმა მთავრობამ ჩამოაყალიბა მდგრადი განვითარების ფედერალური საბჭო“ (FCSD), რომელიც კონსულტაციებს გასცემს მდგრადი განვითარების ფედერალური პოლიტიკისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების თაობაზე (როგორებიცაა: 21-ე საუკუნის დღის წესრიგი, ჩარჩო-კონვენცია კლიმატის ცვლილებაზე (FCCC), კონვენცია ბიომრავალფეროვნებაზე და ა. შ.). ეს საბჭო აგრეთვე ასრულებს ერთგვარი ფორუმის ფუნქციას, რათა სხვადასხვა ხერხით, მაგალითად, სიმპოზიუმების მოწყობის გზით, ხელი შეუწყოს დებატებს მდგრადი განვითარების საკითხებზე. 2006 წელს საბჭომ გამოსცა კორპორაციულ სოციალურ

პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ორი სტრატეგიული დოკუმენტი: CSR სამოქმედო გეგმა და CSR განვითარების ჩარჩო-დოკუმენტი.²⁷²

ბულგარეთის მინისტრთა საბჭომ 2006 წელს მიიღო გადაწყვეტილება, დაარსებულიყო სამთავრობო მრჩეველთა კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქცია იქნებოდა საქმიანობათა კოორდინირება მდგრადი განვითარების ნაციონალური სტრატეგიის მიზნების მისაღწევად.

ფინეთში 1993 წელს დაარსდა მდგრადი განვითარების ნაციონალური კომისია“, რომელიც ასევე ასრულებს ფორუმის ფუნქციას. ფორუმზე სხვადასხვა დაინტერესებული მხარე წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებებს, მიზნებსა და პროგრამებს, აგრეთვე ჩართულია დებატებში მდგრადი განვითარების საკითხებზე. კომისიის მიზანია ფინეთის მდგრადი განვითარების პროგრამის განხორციელების ხელშეწყობა და კოორდინირება, აგრეთვე ფინეთის ნაციონალური ანგარიშების მომზადება მდგრადი განვითარების გაეროს კომისიისათვის.²⁷³

ირლანდიაში მთავრობამ ჯერ კიდევ 1999 წელს დააარსა მდგრადი განვითარების ნაციონალური თანამშრომლობითი კომისია Comhar. მისი მიზანი იყო მდგრადი განვითარების ნაციონალური პროგრამის შემუშავება. კომისიის 25 წევრი საზოგადოების 5 ძირითადი სექტორის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული: საჯარო სექტორი, ეკონომიკური სექტორი, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური/თემთან მომუშავე არასამთავრობოები და პროფესიული/სამეცნიერო წრეები. 2002 წელს კომისიამ გამოაქვეყნა მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები“. ამ დოკუმენტში წარმოდგენილია შეთანხმებული პოზიცია მდგრადი განვითარების რაობისა და ირლანდიის კონტექსტში მისი მნიშვნელობისა და პრაქტიკული ასახვის შესახებ.²⁷⁴

ევროკავშირის ქვეყანათა მთავრობები არა მხოლოდ საკუთარ ქვეყნებში მოქმედი კომპანიების პასუხისმგებლობის სტიმულირებას ცდილობენ, არამედ ძალისხმევას მიმართავენ CSR-ისა და მდგრადი განვითარების სტანდარტების დასაწესებლად განვითარებად ქვეყნებში, რომლებშიც მსხვილი ევროპული მულტინაციონალური კომპანიები ფუნქციონირებენ (ამის შესახებ იხ. ქვემოთ, თავი 3.7).

3.2. სოციალური პოლიტიკა

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებასა და ხელშეწყობას დიდი ადგილი ეთმობა სხვადასხვა ქვეყანათა სოციალურ პოლიტიკებში, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ ევროპასა და ევროკავშირში ახლად განვერიანებულ ქვეყანათა სოციალურ პოლიტიკებში, რომლებიც

²⁷² www.cidd.be

²⁷³ www.environment.fi

²⁷⁴ www.comhar-nsdp.ie

უფრო სერიოზული სოციალური პრობლემების წინაშე დგანან. ამასთანავე, თავიანთ სოციალურ პოლიტიკებში სხვადასხვა ქვეყნა სხვადასხვა საკითხებზე ამხვილებს ყურადღებას.

ევროკავშირის ნევერ ქვეყანათა სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი ძალზე მნიშვნელოვანი თემა არის **თანაბარ შესაძლებლობათა ხელშეწყობა და არადისკრიმინაციული მიდგომები**. ეს თემა საკმაოდ ფართოა და მოიცავს სხვადასხვა ჯგუფის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას სამუშაო ბაზარზე თუ სანარმოებში. თანაბარი შესაძლებლობები და არადისკრიმინაციული მოპყრობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს. ამდენად, ევროპის ქვეყანათა მთავრობები მრავალგვარ მეთოდებს მიმართავენ, რათა წაახალისონ ბიზნეს კომპანიები, გაითვალისწინონ ეს საკითხი და დაწერგონ სანარმოებში მენეჯმენტის სისტემები თანაბარ შესაძლებლობათა და არადისკრიმინაციული მიდგომების უზრუნველყოფის მიზნით.

მაგალითად, *საფრანგეთში*, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანი დისკრიმინაციის აღმოფხვრაა, 2002 წელს ხელი მოეწერა გრძელვადიან ხელშეკრულებას სამთავრობო და კერძო სექტორებს შორის, დისკრიმინაციული პრაქტიკის აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით. ამავე პროგრამის ფარგლებში აგრეთვე შეიქმნა დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სახელისუფლებო უწყება დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით (Haute Autorité de Lutte contre les Discriminations, HALDE). ის კონსულტაციებს აწვდის საზოგადოების წარმომადგენლებსა და ბიზნეს კომპანიებს დადებითი პრაქტიკის კოდექსების შესახებ და შეიმუშავებს შესაბამის CSR პროცედურებს.²⁷⁵

მრავალ ქვეყანაში არსებობს ამ საკითხის საკანონმდებლო რეგულირება.

მაგალითად, *ესპანეთის* პარლამენტმა 2006 წელს დაამტკიცა კანონი თანასწორობის შესახებ, რომელიც არეგულირებს თანასწორობის საკითხებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში.

ეს ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია *უნგრეთის* სოციალური პოლიტიკისთვისაც. მთავრობა სხვადასხვაგვარად უწყობს ხელს კერძო კომპანიებს, რომ მათ საქმიანობაში დაწერგონ არადისკრიმინაციული მიდგომები, ასევე საკანონმდებლო რეგულირების მეშვეობით აგვარებს ამ საკითხს. 2003 წელს უნგრეთში მიიღეს ნორმატიული აქტი თანაბარი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ“, რომელიც შეთანხმებულია ევროკავშირის დირექტივებთან რასობრივი თანასწორობისა და დასაქმებაში თანასწორობის შესახებ.

ირლანდიაში აგრეთვე მიიღეს “The equal Status Act“, რომელიც საკანონმდებლო დონეზე არეგულირებს არადისკრიმინაციულ მოპყრობას შრომით საქმიანობაში.

²⁷⁵ <http://www.halde.fr>

სლოვენიაში მთავრობა, როგორც დამსაქმებელი, ასევე ცდილობს შექმნას არადისკრიმინაციული სამუშაო პირობები, განურჩევლად მუშაკის სქესის, უნარშეზღუდულობისა თუ სხვა პიროვნული მახასიათებლებისა. სპეციალური კანონის თანახმად, საჯარო მოხელეს ეკრძალება ნებისმიერი ფიზიკური, სიტყვიერი ან არასიტყვიერი ქცევა, რომელიც პიროვნულ მახასიათებლებზე დაყრდნობით ქმნის შეურაცხმყოფელ, დამამცირებელ, მტრულ სამუშაო გარემოს და შეურაცხყოფს მუშაკის ღირსებას.

თანაბარ შესაძლებლობათა ერთ-ერთ არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს **თანაბარი შესაძლებლობები სამუშაო ბაზარზე**. ეს გულისხმობს სამუშაო ბაზარზე იმ ადამიანების ინტეგრირებას, რომლებიც ნაკლებად მომგებიან მდგომარეობაში იმყოფებიან და გარკვეული სირთულეები აქვთ ამ თვალსაზრისით, ასეთები არიან, მაგალითად: *ხანგრძლივად დაუშაქმებელი ადამიანები, ინვალიდები, სოციალურად მარგინალიზებული და მოწყვლადი ჯგუფები, ეთნიკური უმცირესობები*. თანაბარი შესაძლებლობები სამუშაო ბაზარზე ასევე მოიცავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.

ევროკავშირის ქვეყანათა მთავრობები სხვადასხვა ხერხებით (სტიმულირება, ცნობიერების ამაღლება, ტრენინგები, ფინანსური წვლილის შეტანა ამგვარ პროექტებში, საგადასახადო შეღავათები და ა. შ.) ხელს უწყობენ კომპანიებში თანაბარ შესაძლებლობათა დანერგვას. ამას კი, თავის მხრივ, წვლილი შეაქვს დასაქმების პრობლემის გადაჭრაში, განსაკუთრებით კი სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებაში.

ევროკავშირის ყველა ქვეყნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **უნარშეზღუდული ადამიანების** თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას, მათ ინტეგრირებას სამუშაო ბაზარზე. ამ მიზნით სხვადასხვა ქვეყანათა მთავრობები დამსაქმებელთათვის სტიმულირების სხვადასხვა სქემებს ნერგავენ. ეს შეიძლება იყოს გარკვეული **ფინანსური ნახალისების სქემები, საგადასახადო შეღავათები, რომლებიც სპეციალური კანონმდებლობით რეგულირდება**.

მაგალითად, *ირლანდიის* მთავრობამ 2006 წელს 60 მილიონი გამოყო სხვადასხვა პროგრამებზე, რომლებიც უნარშეზღუდული ადამიანების დახმარებასა და უთანასწორო მოპრყობის აღმოფხვრისკენ არის მიმართული.

სლოვენიაში არსებობს კანონი დასაქმების რეაბილიტაციისა და უნარშეზღუდულთა დასაქმების შესახებ“. ამ კანონით დაწესებულია გარკვეული კვოტა უნარშეზღუდულთა დასაქმებისათვის. ის ორგანიზაცია, რომელიც მეტ უნარშეზღუდულ ადამიანს დაასაქმებს, ვიდრე ეს საკანონმდებლო კვოტით არის დაწესებული, მიიღებს სპეციალურ პრიზს და თავისუფლდება საპენსიო და უნარშეზღუდულობის სადაზღვევო გადასახადისაგან.

პოლონეთში 1997 წელს მიიღეს აქტი პროფესიული და სოციალური რეაბილიტაციისა და უნარშეზღუდულთა დასაქმების შესახებ“. ამ აქტის დებულებებთან შესაბამისად ხორციელდება უნარშეზღუდულთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები. მთავრობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან უნარშეზღუდულთა რეაბილიტაციის სახელმწიფო ფონდიდან“ ფინანსურ მხარდაჭერას უწევს დამსაქმებლებს უნარშეზღუდულთა დასაქმებლად. დამსაქმებლებს, რომლებიც დოკუმენტურად დაასაბუთებენ, რომ მათ უნარშეზღუდულთა დასაქმებასთან დაკავშირებით ხარჯები გაეზარდათ, შეუძლიათ ამ პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის ფინანსური დახმარება მიიღონ. კერძოდ, მათ შეუძლიათ მიიღონ სუბსიდიები უნარშეზღუდულ თანამშრომელთა ხელფასისთვის (ამ სუბსიდიათა ოდენობა სხვაობს ინვალიდობის ხარისხის მიხედვით); უნარშეზღუდულთა ხელფასის დანახარჯების ნაწილობრივი კომპენსაცია, მათი სოციალური დაზღვევის გადასახადის შესაბამისი ოდენობით. დამსაქმებლებმა ასევე შეიძლება მიიღონ ნაწილობრივი ანაზღაურება იმ ხარჯებისა, რომლებიც უკავშირდება: ახლადშექმნილი ან უკვე არსებული სამუშაო ადგილების, სამუშაო ნაგებობების და ა. შ. ადაპტაციას იმ მოთხოვნილებებთან, რომლებიც მუშაკის ინვალიდობიდან გამომდინარეობს; ასევე ისეთი ალჭურვილობის შეძენის ან ადაპტაციის ხარჯებისა, რომელიც ემსახურება ინვალიდების უკეთეს ფუნქციონირებას მოცემულ სამუშაო გარემოში, მათ საჭიროებათა გამოვლენას სამუშაოზე არსებულ სამედიცინო პუნქტებში; ასევე სპეციალური მუშაკების დაქირავებას, რომლებიც დახმარებას გაუწევენ უნარშეზღუდულ ადამიანებს მათი უშუალო სამუშაოს შესრულებაში ან თანამშრომლებთან უკეთეს კომუნიკაციაში.

გარდა ფინანსური სტიმულირებისა, მთავრობები ეფექტურად იყენებენ **საკომუნიკაციო კამპანიებს უნარშეზღუდულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. მთავრობათა ხელშეწყობით ტარდება აგრეთვე სპეციალური კვლევები არსებული სიტუაციის შესწავლისა და შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად და ა. შ.**

ასე მაგალითად, პოლონეთის მთავრობამ ჩაატარა საკომუნიკაციო/სოციალური კამპანია, რომლის მიზანი იყო ინვალიდების დასაქმების ხელშეწყობა, ამ ადამიანთათვის არსებული სამუშაო ბაზრის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება და დამსაქმებელთა დარწმუნება, რომ ინვალიდები შეიძლება ფასეული მუშაკები იყვნენ და მოგება მოუტანონ თავიანთ დამსაქმებლებს.

პორტუგალიაში დასაქმებისა და სოციალური სოლიდარობის სამინისტრომ უნარშეზღუდულთა რეაბილიტაციისა და ინტეგრაციის ეროვნულ ცენტრის მეშვეობით გაავრცელა კვლევა CSR და უნარშეზღუდული ადამიანები“. ეს კვლევა ჩატარდა მრავალ პორტუგალიურ საწარმოში – არა მხოლოდ მსხვილ კომპანიებში, არამედ მცირე და საშუალო ზომის კომპანიებშიც. კვლევის მიზანი იყო შემუშავებულიყო უნარშეზღუდული

ადამიანების დასაქმებისა და სამუშაო ბაზარზე ეფექტური ინტეგრაციის ხელშეწყობის გრძელვადიანი სტრატეგია.

ლატვიის დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“, ევროპის სოციალურ ფონდთან ერთად, ახორციელებს მრავალ კვლევით და საგრანტო პროგრამას, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი მიზანია, ხელი შეუწყოს სოციალურად გარიყული ჯგუფების და უნარშეზღუდული ადამიანების დასაქმებას (ასევე უმუშევართა განათლებასა და გადამზადებას, უმუშევრობის მიზეზების კვლევას და ა. შ.).

გარდა უნარშეზღუდული ადამიანებისა, ევროკავშირის ქვეყნების სოციალურ პოლიტიკებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა **სხვა მოწყვლადი, რაიმე ნიშნით მარგინალიზებული ან ნაკლებად მომგებიან მდგომარეობაში მყოფი ჯგუფების ინტეგრირებას სამუშაო ბაზარზე** (მაგ., ხანგრძლივად დაუსაქმებელი ადამიანების; სოციალურად მარგინალიზებული ჯგუფების, ეთნიკური უმცირესობებისა და სხვ.).

მაგალითად, *ირლანდიაში* ხორციელდება სახელმწიფო პროგრამა (Ready for Work), რომლის მიზანია დაეხმაროს უსახლკარო ადამიანებს განყვიტონ მოჯადოებული წრე: არ არის სამუშაო – არ არის სახლი. კომპანიები ატარებენ შეფასებას და მის საფუძველზე უსახლკარო ადამიანებს საცდელად ორკვირიან სამუშაოს სთავაზობენ. პროგრამაში ჩართულ უსახლკაროებს აგრეთვე შესაძლებლობა აქვთ გაიარონ ტრენინგები და გადამზადება.

სლოვენიაში ევროპის სოციალური ფონდის დაფინანსებით ხორციელდება ინიციატივა EQUAL. პროგრამას მართავს შრომის, ოჯახისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო. მისი მიზანია ახალი მიდგომების გამონახვა ყველაზე უფრო მოწყვლადი ჯგუფების სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისათვის (ეს პროგრამა ევროკავშირის რამდენიმე წევრ ქვეყანაში ხორციელდება). სლოვენიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრეთვე ეთნიკური უმცირესობების (უპირველეს ყოვლისა, ბოშების) დასაქმებას და ინტეგრაციას სამუშაო ბაზარზე.

უნგრეთში მთავრობა მხარს უჭერს ისეთ ინვესტიციებს, რომლებიც ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის. სოციალურად მოწყვლადი/არახელსაყრელ პირობებში მყოფი ჯგუფების (მაგ. ხანდაზმული ადამიანების, უნარშეზღუდულების, ახლად სკოლადამთავრებულების, დეკრეტიდან ახლად გამოსული ქალების, დიდი ხნის განმავლობაში დაუსაქმებელი ადამიანების) დასაქმებასთან დაკავშირებულ დანახარჯებზე მთავრობას დანესებული აქვს სპეციალური შეღავათები.

ლიტვაში 2001 წლიდან დასაქმებისა და სოციალური უსაფრთხოების სამინისტრო მხარს უჭერს დასაქმების ადგილობრივ ინიციატივებს ყველაზე მაღალი უმუშევრობის რეგიონებში. სამინისტროს პარტნიორები არიან მუნიციპალიტეტები, ადგილობრივი ბიზნეს კომპანიები და დასაქმების სააგენტოები. პარტნიორებს ფინანსური წვლილი შეაქვთ პროექტებში,

შენატანის ფორმა აგრეთვე უძრავი ქონების/შენობების, მონყობილობა-ალჭურვილობის დათმობა უფასოდ, მთავრობის მხრიდან შესაძლებელია საგადასახადო შეღავათები. ამ პროგრამის ფარგლებში კონტრაქტორი ახლად შექმნილ სამუშაო ადგილებზე ასაქმებს სოციალურად მონყლვად ჯგუფებს (დიდი ხნის უმუშევრები, ახალგაზრდები, წინასაპენსიო ასაკის ადამიანები, ინვალიდები და ა. შ.) და ამ სამუშაოს მათ 3 წლის განმავლობაში უნარჩუნებს. 2001-2004 წლებში 211 ამგვარი პროექტი განხორციელდა, სახელმწიფო სუბსიდიების მეშვეობით 1900 სამუშაო ადგილი შეიქმნა. პროექტები მომგებიანი გამოდგა – სახელმწიფო სუბსიდიები 3 წლის განმავლობაში 40%-იანი მოგებით დაბრუნდა სახელმწიფო და მუნიციპალურ ბიუჯეტებში.

პორტუგალიაში დასაქმებისა და სოციალური სოლიდარობის სამინისტრო და პროფესიული სწავლების ინსტიტუტი ერთობლივად ახორციელებენ პროგრამას, რომლის მიზანია შეიქმნას სამუშაო ადგილები ახალგაზრდებისათვის, რომელთაც სამუშაო გამოცდილება არა აქვთ და თავიანთ პირველ სამსახურს ეძებენ, ასევე სოციალურად მონყლვადი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის (მაგ., უნარშეზღუდულები, დიდი ხნის დაუსაქმებლები, სოციალურად დაუცველი ჯგუფები და ა. შ.). პროგრამა მხარს უჭერს ორგანიზაციებს, რომლებიც განსაზღვრული ვადით დებენ სამუშაო კონტრაქტს და იმავდროულად მიზნად ისახავს დახმარება და ფინანსური მხარდაჭერა გაუწიოს დამსაქმებლებს, რომლებიც მოკლევადიანი კონტრაქტის დასრულების შემდეგ კვლავ განაგრძობენ თავიანთი მუშაკების დასაქმებას და უფორმებენ მათ კონტრაქტს განუსაზღვრელი ვადით“.

სამუშაო ბაზარზე თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობისა და მონყლვადი ჯგუფების ინტეგრირების მიზნით მრავალი ქვეყნის მთავრობა სხვადასხვა ხერხით ცდილობს უზრუნველყოს, რომ ამ ჯგუფებმა შეიძინონ შემდგომი დასაქმებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამ მიზნით ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ინიცირებული სასწავლო/ტრენინგ-პროგრამები. მთავრობები აგრეთვე სხვადასხვა გზით სტიმულს აძლევენ ბიზნეს კომპანიებს, რომ მათ იზრუნონ თავიანთი თანამშრომლების, და/ან სოციალურად დაუცველი ჯგუფების განათლებაზე.

მაგალითად, *კვიპროსის* მთავრობამ შემოიღო სხვადასხვა სქემა ახალგაზრდებისა და ქალების მენარმეობის წასახალისებლად, ასევე უნარ-შეზღუდულთა და სხვა მონყლვადი ჯგუფების დასაქმების სტიმულირებისათვის. ეს ინიციატივები მოიცავს ტრენინგ-პროგრამებს სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის, რათა მათ შეიძინონ უნარ-ჩვევები, რომლებიც შემდგომ დასაქმებას გაუადვილებს.

გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა სპეციალური ტრენინგ-პროგრამა აღმოსავლეთ გერმანიის კომპანიებისათვის, რათა მათ შემდგომში შეძლონ ტრენინგი ჩაუტარონ საკუთარ თანამშრომლებს. 150-მდე ტრენინგ-დეველოპერი ფუნქციონირებს სავაჭრო პალატებისა და ასოციაციების ბაზაზე, მათ სრულად აფინანსებს ფედერალური მთავრობა. ისინი კომპანიებს პრა-

ქტიკულ დახმარებას უწევენ თავიანთი თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარებაში.

გენდერული თანასწორობა თანაბარ შესაძლებლობათა კიდეც ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც ძალიან დიდი ყურადღება ექცევა ევროკავშირში. ამ საკითხზე ევროკავშირის მრავალრიცხოვანი სპეციალური დირექტივა აქვს შემუშავებული.²⁷⁶

ესპანეთში 2007 წელს მიღებული ორგანული კანონი ესპანეთის კანონმდებლობაში ამკვიდრებს ევროკავშირის დირექტივებს გენდერული თანასწორობის შესახებ.

გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას გერმანიის ინდუსტრიის ასოციაციებთან ქალთა და მამაკაცთა თანაბარ შესაძლებლობების სტიმულირებისთვის კერძო სექტორში.

საფრანგეთში სამინისტრო, რომელიც თანაბარ უფლებებსა და პროფესიულ თანასწორობაზე აგებს პასუხს, ატარებს სპეციალურ საინფორმაციო კამპანიებს, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქალებისათვის ხელმძღვანელი თანამდებობების ხელმისაწვდომობას, პროფესიული თანასწორობისა და დროის ეფექტური მენეჯმენტის დანერგვას.

ლატვიაში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით, მთავრობამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით დაწესებულებებსა და შესაბამის ექსპერტებთან თანამშრომლობით, შეიმუშავა კონცეფციის ამსახველი დოკუმენტი. *2006* წელს მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა გენდერული თანასწორობის განხორციელების“ პროგრამა. ამავე მიზნით სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ეგიდით დაარსდა გენდერული თანასწორობის საბჭო“.

სლოვენიის მთავრობამ გამოცა ბრძანებულება, რომელიც აწესებს გენდერულად დაბალანსებული წარმომადგენლობის კრიტერიუმებს, რაც თავიდან ააცილებს ორგანიზაციებს ქალთა და მამაკაცთა ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სეგრეგაციას სამუშაოზე.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია **სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების** უზრუნველყოფა. ევროპის ქვეყანათა მთავრობები აქტიურად მუშაობენ, რათა ხელი შეუწყონ ამ პრინციპების დანერგვას ბიზნეს კომპანიათა საქმიანობაში.

მაგალითად, *სლოვენიის* მთავრობა ყოველწლიურად აწყოებს კონკურსს და გასცემს პრიზებს ამ სფეროში საუკეთესო მიღწევებისათვის.

კვიპროსის მთავრობა ატარებს კონკურსს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საუკეთესო მაგალითების გამოსავლენად და დამსაქმებელთა ნასახალისებლად. აგრეთვე შეიმუშავე-

²⁷⁶ იხ. <http://www.rosadoc.be/site/rosa/english/online%20information/europedirectives.htm>

ბული აქვს საგრანტო სქემა სამშენებლო კომპანიებისათვის სპეციალური აღჭურვილობის შესაძენად, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უფრო მაღალ სტანდარტს, ვიდრე კანონმდებლობით მოითხოვება.

CSR-ის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელსაც ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ექცევა ევროპაში, არის **ოჯახთან თავსებადი სამუშაო** (რაც მოიცავს მოქნილ სამუშაო გრაფიკს, ბავშვის მოვლის ინფრასტრუქტურას და ა. შ.).

ასე მაგალითად, *უნგრეთში* ევროპის სოციალური ფონდი მხარს უჭერს ოჯახთან თავსებადი სამუშაოს შექმნას, ინფორმაციას აწვდის დასაქმებულებს, საექსპერტო დახმარებას უწევს ორგანიზაციებს, რომ მათ შეათავსონ ოჯახის ვალდებულებები სამუშაოსთან.

სლოვენიაში მთავრობა სხვადასხვა ინიციატივას ახორციელებს, რომ ხელი შეუწყოს ოჯახთან თავსებადი სამუშაოს პრინციპების დანერგვას (ამ ინიციატივათა შორისაა სხვადასხვა პროგრამები, კონკურსები და სერტიფიკატები). ამ ინიციატივების მიზანია, რომ თანამშრომლის ოჯახი ან ოჯახის შექმნის გეგმები ხელს არ უშლიდეს მის პროფესიულ კარიერას.

გერმანიაში აგრეთვე დიდი ყურადღება ექცევა საწარმოებში ოჯახთან თავსებადი სამუშაოს დანერგვას, რაც რეალურად ზრდის კომპანიის კონკურენტუნარიანობას გამოცდილ ექსპერტთა შენარჩუნებისა და თანამშრომელთა მოტივაციის ზრდის ხარჯზე. გერმანიის მთავრობა მიზნად ისახავს ოჯახთან თავსებადობა (ანუ ოჯახისა და სამუშაოს ბალანსი) გერმანული ბიზნესის სავაჭრო მარკად აქციოს და ამ მიზნით მრავალ სხვადასხვა ღონისძიებასა და ინიციატივას ახორციელებს. 2006 წელს მთავრობამ წამოიწყო კერძო სექტორზე მიმართული პროგრამა, რომლის მიზანია, რაც შეიძლება, მეტ კომპანიაში შემუშავდეს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ოჯახთან თავსებად სამუშაოს ითვალისწინებს; 2006 წლის ბოლოსათვის უკვე 1000 კომპანია გაერთიანდა ქსელში, რომელიც მიზნად ისახავს ოჯახთან თავსებადი სამუშაოს პრინციპების დანერგვას ბიზნეს საქმიანობაში.

ოჯახის, ხანდაზმული მოქალაქეების, ქალთა და ახალგაზრდების საკითხების ფედერალური სამინისტროს თაოსნობით აგრეთვე დაარსდა ინერნეტ-პორტალი,²⁷⁷ რომელზეც მარტივად და გასაგებად არის წარმოდგენილი, რა ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით შეიძლება კომპანიაში ოჯახთან თავსებადი პოლიტიკის შემუშავება – ბავშვებზე ზრუნვის, სამუშაო გრაფიკის მოქნილობისა და სამუშაოს ორგანიზების თვალსაზრისით.

მთავრობები *სახელმწიფო უწყებებშიც ნერგავენ ოჯახთან თავსებადი სამუშაოს პრინციპებს* და ამგვარად მისაბაძი მაგალითის როლს ასრულებენ კომპანიებისათვის.

²⁷⁷ www.mittelstand-und-familie.de

მაგალითად, გერმანიის მთავრობა სახელმწიფო უწყებებშიც ნერგავს ოჯახთან თავსებად სამუშაო პირობებს, რითიც სტიმულირებას უწევს ბიზნეს კომპანიებს იგივე გააკეთონ.

ესპანეთში შეიმუშავეს პროგრამა “Plan Concilia”, ოჯახთან თავსებადი სამუშაო პირობების დანერგვისთვის საჯარო სექტორში. მთავრობის მიზანია, რომ ეს მოდელი მისაბაძი გახდეს კერძო სექტორისთვის.

სლოვენიაში მთავრობა, როგორც დამსაქმებელი, ასევე ცდილობს შექმნას ოჯახთან თავსებადი, არადისკრიმინაციული სამუშაო პირობები.

3.3. გარემოსდაცვითი პოლიტიკა

ევროპის ქვეყნებს საგულდაგულოდ დამუშავებული სტრატეგიები გააჩნიათ გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებისა და ბიზნეს საქმიანობაში მათი გათვალისწინების ხელშეწყობისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმია მთავრობის მხრიდან **გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებაზე** ზრუნვა და ცალკეულ გარემოსდაცვით ასპექტებზე ექსპერტიზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიზნეს კომპანიებისათვის, ასევე გარემოსდაცვითი ინიციატივების მხარდაჭერა.

ჩეხეთის მთავრობა სხვადასხვა მექანიზმით ცდილობს აამაღლოს საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერება, მიაწოდოს ინფორმაცია, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი განათლება და ა. შ. 2000 წელს მთავრობამ შეიმუშავა ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოსდაცვითი განათლებისა და აღზრდის სახელმწიფო პროგრამა (SP EVVO CR), ხოლო 2002 წელს მთავრობამ გამოუშვა ჩეხეთის რესპუბლიკის გარემოს დაბინძურების ინტეგრირებული რეესტრი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების, ნარჩენების გადაადგილების შესახებ და ა. შ. ეს რეესტრი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

ლუქსემბურგის მთავრობა მრავალი წლის განმავლობაში მხარს უჭერს ნარჩენების მენეჯმენტისა და რეციკლირების ინიციატივებს. სქემა Superdreckskescht ითვალისწინებს საგანმანათლებლო ინიციატივებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა ცნობიერება აამაღლოს ნარჩენების მართვის მნიშვნელობის შესახებ.

მალტაზე სოფლის მეურნეობის სამსახურისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის ბაზაზე დაარსდა ორგანული მინათმოქმედების განყოფილება. მისი მიზანია ცნობიერების ამაღლება, ორგანული მინათმოქმედების ხელშეწყობა, ასევე სათანადო ზედამხედველობის, ინსპექტირებისა და სერტიფიცირების განხორციელება.

ირლანდიის ტრენინგებისა და დასაქმების სახელმწიფო ორგანო (FÁS) მრავალფეროვან ტრენინგებს ატარებს გარემოსდაცვით საკითხებზე. ეს

პროგრამები გათვლილია სხვადასხვა რანგის თანამშრომლებზე – მენეჯერთა და ოპერატორების ჩათვლით.

მთავრობის მხრიდან მდგრადი და გარემოს დამზოგი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სტიმულირების ერთ-ერთი ინსტრუმენტი **სუბსიდიები**.

მაგალითად, *სლოვენიაში* სუბსიდიების სისტემის მეშვეობით სოფლის მეურნეობის სამინისტრო ცდილობს გაზარდოს ორგანული მინათმოქმედების მასშტაბი, რაც მნიშვნელოვან დადებით ზემოქმედებას ახდენს ბიომრავალფეროვნებისა და სასმელი წყლის წყაროების შენარჩუნებაზე (ორგანული მინათმოქმედება და ზოგადად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მდგრადი წარმოება სლოვენიის ერთ-ერთ გრძელვადიან პრიორიტეტს წარმოადგენს. ორგანული მინათმოქმედების ხელშეწყობის სტრატეგია, სუბსიდიების გარდა, მოიცავს ორგანული სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების, დამუშავებისა და ბაზარზე განთავსების ხელშეწყობას, საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას, ზედამხედველობისა და სერტიფიცირების სისტემას, კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას ამ სფეროში და ა. შ.).

ირლანდიაში მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ მიიღონ გრანტები უკვე არსებული ან ახალი პროდუქციის შესაფასებლად ნარჩენების მენეჯმენტის, წყლის განმენდის, ლაბორატორიული პროცედურების თვალსაზრისით.

სახელმწიფო სტრატეგიები და ეროვნული სამოქმედო გეგმები სხვადასხვა გარემოსდაცვითი საკითხის მოსაგვარებლად (როგორებიცაა, მაგ., ბიომრავალფეროვნების დაცვა, ეკოეფექტური ტექნოლოგიების განვითარება და ა. შ.).

ჩეხეთის მთავრობამ 2003 წელს სპეციალური რეზოლუციით დაამტკიცა 2004-2006 წლების სამოქმედო გეგმა, ხოლო 2004 წელს – სახელმწიფო გარემოსდაცვითი პოლიტიკა 2004-2010 წლებისათვის. 2000 წელს ჩეხეთის მთავრობამ აგრეთვე მიიღო ეროვნული პროგრამა „სუფთა წარმოება“. პროგრამა მიზნად ისახავს წარმოების პროცესის, პროდუქტებისა და მომსახურების მიმართ ინტეგრირებული პრევენციული სტრატეგიის გამოყენების ხელშეწყობას – ისეთი სტრატეგიისა, რომლის მიზანია როგორც ეკონომიკური მოგების მიღება, ასევე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გარემოს დაცვა. მას შემდეგ ამ სფეროში 200-ზე მეტი პროექტი განხორციელდა, რომლებიც ეფუძნება კომპანიათა ნებაყოფლობით გადაწყვეტილებას (პროგრამა მოიცავს მსუბუქ და მძიმე მრეწველობაში, ქიმიურ მრეწველობაში დასაქმებულ კომპანიებს, სატრანსპორტო კომპანიებს, სოფლის მეურნეობის კომპანიებს და ა. შ.).

ირლანდიაში 2002 წელს პირველად გამოაქვეყნა ეროვნული სამოქმედო გეგმა ბიომრავალფეროვნების შესახებ 2002-2006 წლებისათვის. ეს სამოქმედო გეგმა შესაბამისობაშია ბიომრავალფეროვნების კონვენციასთან,

რომელსაც მიერთებულია ირლანდია და რომელიც ითვალისწინებს 2010 წლისათვის საგრძნობლად შემცირდეს ბიომრავალფეროვნების დანაკარგები, ასევე ეფუძნება ევროკავშირის ბიომრავალფეროვნების სტრატეგიას“.

ამგვარი გარემოსდაცვითი სტრატეგიები ხშირად **სხვადასხვა სექტორთა თანამშრომლობას** ითვალისწინებს.

მაგალითად, 2006 წელს დანიის მთავრობამ გამოაქვეყნა ეკოეფექტური ტექნოლოგიების სტიმულირების სტრატეგია. სტრატეგიით გათვალისწინებულ სხვადასხვა საქმიანობათა შორისაა პარტნიორობა მთავრობას, საწარმოებსა და კვლევით ინსტიტუტებს შორის ეკოეფექტური ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობისათვის.

ჰოლანდიაში რამდენიმე სამინისტრო (კერძოდ, საგარეო საქმეთა, განსახლების, ტერიტორიული დაგეგმარებისა და გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის, ბუნებისა და საკვების ხარისხის სამინისტროები) ერთობლივად მუშაობს ბიომრავალფეროვნების პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც საერთაშორისო მასშტაბზეა გათვლილი და მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების დაცვის სტიმულირებას და წარმოების ჯაჭვებში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობას.

სლოვენიაში 2006 წელს მიიღეს ეროვნული გარემოსდაცვითი პროგრამა“, რომლის ძირითადი მიზანია სათბურის აირების გაფრქვევის შემცირება, ბუნებრივი სისტემების დაცვა და კონსერვაცია, მოქალაქეთა ცხოვრების მაღალი სტანდარტების ხელშეწყობა სუფთა გარემოს, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისა და ნარჩენების მართვის გზით. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების სტიმულირებას.

ამ მიზანს ემსახურება აგრეთვე **სექტორული და დარგობრივი პროგრამები და სტრატეგიები**.

მაგალითად, *პოლონეთის* მინისტრთა საბჭომ 2002 წელს დაამტკიცა სახელმძღვანელო მითითებები სექტორულ პროგრამებში გარემოსდაცვითი პრინციპების ინტეგრირების შესახებ“. ამ დოკუმენტზე დაყრდნობით შემუშავდა სხვადასხვა სექტორთა განვითარების სტრატეგიები. ეს რეკომენდაციები გადაიხედება სხვადასხვა პროგრამათა და სამოქმედო გეგმათა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის ფარგლებში.

გარემოსდაცვით სფეროში ერთ-ერთი ძალზე პრიორიტეტული საკითხია **ნარჩენების მართვა**. ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს აგრეთვე შემუშავებული აქვთ მასტიმულირებელი პოლიტიკები და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირება.

მაგალითად, *სლოვენიაში* გარემოს დაცვის სამინისტრომ შემუშავა შესაფუთი ნარჩენების პასუხისმგებელი მართვის მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები.

სლოვაკეთში 2004 წლიდან მოქმედებს ეროვნული სისტემა, რომლის ფარგლებშიც სპეციალური კომპანია განათავსებს და გადაამუშავებს შესაფუთ ნარჩენებს იმ კომპანიათა მოთხოვნით, რომლებიც პროდუქციას აწარმოებენ ან ბაზარზე გააქვთ. ეს სისტემა აგრეთვე ხელს უწყობს მომხმარებელთა მიერ ნარჩენების პასუხისმგებელ მოპყრობას მათი წარმოქმნის, განთავსებისა და უტილიზაციის თვალსაზრისით. მცდელობა მიმართულია მომხმარებელთა ქცევის მოდელის შეცვლისაკენ პროდუქციის შესყიდვისას (როდესაც მომხმარებელი ზეგავლენას ახდენს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობაზე), აგრეთვე ნარჩენების სეპარირების მიმართ პასუხისმგებელი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისაკენ.

ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ნაწილია საწარმოებში **გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების დანერგვის ხელშეწყობა.**

ამ სისტემებს, განსაკუთრებით საერთო ევროპული გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და აუდიტის სქემას (EMAS), მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ცალკეული ქვეყნების გარემოსდაცვით პოლიტიკებში. ამ ნებაყოფლობითი სქემის დანერგვის მიზნით მრავალი სხვადასხვა სახის სტიმულირება გამოიყენება, მაგალითად, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება, საგადასახადო შეღავათები, უპირატესობის მინიჭება ტენდერებში, ინსპექტირების შემცირებული გადასახადები და ა. შ. სამთავრობო უწყებები თავადაც ნერგავენ ამ სქემას და საჯაროდ აბარებენ საზოგადოებას ანგარიშს მიღწეული წარმატების შესახებ.

მაგალითად, *შვედეთის* სამთავრობო უწყებებს 1997 წლიდან ევალუატი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემები დანერგონ და ყოველწლიური ანგარიში წარმოადგინონ მიღწეული შედეგების შესახებ.

გერმანიის მთავრობა აგრეთვე მხარს უჭერს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სქემას – EMAS და შესაბამისი საქმიანობები აქვს გათვალისწინებული მომხმარებელთა დაცვის სამოქმედო გეგმაში (2003). გამოიცა აგრეთვე დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს პრივილეგიებს კომპანიებისათვის, რომელთაც ეს სქემა დანერგეს.

დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ძალზე საჭირობოროტო თემას წარმოადგენს **გლობალური დათბობა** – ამ მოვლენის პრევენციასა და მისი შედეგების აღმოფხვრაში დიდ როლი ეკისრება ბიზნეს კომპანიებსაც, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ გარემოზე. ამდენად, სხვადასხვა ქვეყანაში მთავრობები ცდილობენ ხელი შეუწყონ ბიზნესის მიერ ამ საკითხის გათვალისწინებას საკუთარ საქმიანობაში. ამგვარი პროექტები ხშირად მულტინაციონალურია და სხვადასხვა ქვეყანათა ერთობლივ ქმედებებს მოიაზრებს.

ასე მაგალითად, დიდ *ბრიტანეთში* ხორციელდება ნახშირორჟანგის გაფრქვევების შესახებ გამჭვირვალობის პროექტი (The Carbon Disclosure

Project (CDP), ეს პროექტი, ფაქტიურად, სეკრეტარიატის ფუნქციას ასრულებს ინსტიტუციურ ინვესტორთა ყველაზე ფართომასშტაბიანი თანამშრომლობისათვის, რომელიც შეეხება ბიზნესის როლსა და მნიშვნელობას კლიმატის ცვლილების პრევენციაში. პროექტის მეშვეობით მრავალი სხვადასხვა ინსტიტუციური ინვესტორი უერთდება გლობალურ მოთხოვნას სათბურის აირების გაფრქვევებზე ინფორმაციის გახსნის შესახებ. 2007 წელს ინფორმაციის გახსნის მოთხოვნა 2400 კომპანიას დაეგზავნა. ბრიტანეთის მთავრობა მხარს უჭერს CDP ინფორმაციის მოთხოვნის გავრცელებას.

სლოვენიაში 2006 წელს შემუშავებული ეროვნული გარემოსდაცვითი პროგრამის “ ერთ-ერთ ძირთად მიზანს აგრეთვე სათბურის აირების გაფრქვევის შემცირება წარმოადგენს. ამ მიზნით პროგრამა ითვალისწინებს ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენების სტიმულირებას.

2000 წელს გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ და ბიზნესმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას კიოტოს პროტოკოლით განსაზღვრული პერიოდისათვის (ანუ 2012 წლამდე), რომლის თანახმად საწარმოები ნებაყოფლობით იღებენ ვალდებულებას კიოტოს პროტოკოლით განსაზღვრული ყველა ტიპის გამონაბოლქვის შემცირებაზე. ეს ხელშეკრულება ბიზნესისა და მთავრობის თანამშრომლობის კარგ მაგალითს წარმოადგენს.

3. 4. სახელმწიფო შესყიდვები

ევროკავშირი ბოლო ხანებში დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკას და განიხილავს მას სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად. სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით შესაძლებელია ზეგავლენის მოხდენა იმ კომპანიათა საქმიანობაზე, რომელთაც სურთ ტენდერში მონაწილეობის მიღება, რათა მათ უფრო პასუხისმგებელი მიდგომები გამოიყენონ. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობები სახელმწიფო შესყიდვების დროს აუცილებელ ან სასურველ პირობად მიიჩნევენ კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობას (ან მის ცალკეულ კომპონენტებს) და მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინებას.

მაგალითად, სლოვენიაში 2007 წელს მიიღეს ორი კანონი, რომლებიც სახელმწიფო შესყიდვებს არეგულირებს და ევროკავშირის დირექტივებთან სლოვენიის კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ემსახურება. ამ კანონების თანახმად, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები სახელმწიფო შესყიდვებისას შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი უნდა იყოს და სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ტენდერში მონაწილე იმ კომპანიას, რომელიც გარემოსდაც-

ვით და სოციალურ საკითხებს ითვალისწინებს საკუთარ საქმიანობაში (ამასთანავე, კომპანიის მხრიდან გარანტირებული უნდა იყოს საქმიანობისას თანაბარი შესაძლებლობებისა და არადისკრიმინაციული მოწყობის პრინციპების დაცვა).

ესპანეთში 2007 წელს მიიღეს კანონი საზოგადოებრივ სექტორში კონტრაქტების შესახებ, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტში განსაზღვრული უნდა იყოს გარკვეული პირობები, მათ შორის სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები.

ირლანდიის ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებს არეგულირებს, სავალდებულოა, რომ შემსყიდველმა მოსთხოვოს კონტრაქტორს გაითვალისწინოს ის ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებსაც სახელმწიფო ოფიციალურად არის მიერთებული.

ევროკომისიას სპეციალური დირექტივები აქვს შემუშავებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.²⁷⁸ 2004 წლის დირექტივების თანახმად, ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანას 2006 წლისათვის უნდა მოემზადებინა **მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სამოქმედო გეგმა.**“ ამ მოთხოვნის საპასუხოდ ცალკეული ქვეყნების მთავრობები მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ.

მაგალითად, *ბელგიაში 2005 წელს დაარსდა მდგრადი განვითარების საერთაშორისო კომისიის სპეციალური კომიტეტი, რომლის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებზე ახალი კანონმდებლობის განხორციელების მონიტორინგი და მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სამოქმედო გეგმის“ შემუშავება.*

საფრანგეთის მთავრობამ 2007 წელს მიიღო მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების ეროვნული სამოქმედო გეგმა“. მისი მთავარი მიზანია მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების სტიმულირება.

ბრიტანეთის მთავრობამ 2005 წელს დააფუძნა სპეციალური კომისია, რომლის მიზანი იყო შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა მდგრად სახელმწიფო შესყიდვებზე, რათა ბრიტანეთი 2009 წლისათვის გამხდარი ერთ-ერთი ლიდერი ამ სფეროში ევროკავშირის მასშტაბით.

ხოლო ჰოლანდიის მთავრობამ მიზნად დაისახა ისეთი შესყიდვების პოლიტიკის გატარება, რომლებიც 100%-ით მდგრადია ცენტრალური ხელისუფლების დონეზე და 50%-ით – მუნიციპალურ დონეზე. ამდენად, ჰოლანდიის სახელმწიფო უწყებები დიდ ყურადღებას აქცევენ, თუ რა პრინციპების დაცვით არის წარმოებული მათ მიერ შესყიდული საქონელი. დასახული მიზნის თანახმად, ჰოლანდიის სახელმწიფო შესყიდვების 100% მდგრად შესყიდვებს უნდა წარმოადგენდეს. ეს სტიმულს მისცემს კომპანიებს, თავიანთი პროდუქცია და სერვისები მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, სოციალურად პასუხისმგებელი მიდგომებით

²⁷⁸ http://ec.europa.eu/internal_market/publicprocurement/legislation_en.htm#package

ანარმონ – სხვაგვარად მათ არ ექნებათ შანსი მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო ტენდერებში.

ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით ხდება მდგრადი განვითარების ცალკეული ასპექტების გათვალისწინების სტიმულირება. მაგ., ევროპის ქვეყნებში ამჟამად მზარდ ტენდენციას წარმოადგენს **მწვანე სახელმწიფო შესყიდვები** (ანუ შესყიდვები, რომელთა განხორციელების დროსაც პროდუქტის ან სერვისების შერჩევისას გათვალისწინებულია მისი წარმოებისას გარემოზე მოხდენილი ზემოქმედება და უპირატესობა ენიჭება იმ პროდუქციას/სერვისს, რომელიც ნედლეულის მოპოვების/შექმნის, წარმოების, შეფუთვის, გასაღების, მოხმარებისა თუ ნარჩენების გაუვნებელყოფის ეტაპებზე ნაკლებად მავნე ზემოქმედებას ახდენს გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე).²⁷⁹

ამ გზით მთავრობები საჯარო სექტორის მაღალ შემსყიდველუნარიანობას იყენებენ გარემოს დამზოგი პროდუქციისა და სერვისების განვითარების წასახალისებლად.

მაგალითად, კვიპროსის გარემოსდაცვითმა სამსახურმა 2007-2009 წლებისათვის შეიმუშავა მწვანე სახელმწიფო შესყიდვების“ სტიმულირებისა და ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა (ეს გეგმა, რომელშიც ძირითადი ყურადღება მწვანე შესყიდვებზე მახვილდება, აგრეთვე მიზნად ისახავს კერძო სექტორის სტიმულირებას უფრო მდგრადი წარმოებისა და მოხმარების მოდელის დასაწერად).

ბრიტანეთის მთავრობამ აგრეთვე შეიმუშავა მწვანე შესყიდვების ხელშეწყობი პოლიტიკა (2007 წელს ბრიტანეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქმიანობათა პაკეტის მიზანია მონოდების ჯაჭვებსა და საზოგადოებრივ მომსახურებაში წყლის მოხმარებისა და ნარჩენების მინიმიზაცია, ბიომრავალფეროვნების დაცვა და ა. შ.).

სლოვენიაში მწვანე შესყიდვები ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს გარემოს დაცვის ნაციონალურ პროგრამაში და ნაციონალურ ენერგეტიკულ პროგრამაში. ასე მაგ., სოფლის მეურნეობის, ტყის მეურნეობისა და კვების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ შესაბამის სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად უპირატესობა ორგანულ ფერმერებს ენიჭება.

ჩეხეთის კანონმდებლობის თანახმად, გარემოსდაცვითი საკითხები შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვებისას.²⁸⁰

²⁷⁹ მწვანე შესყიდვების შესახებ იხ. http://www.fivewinds.com/uploadedfiles_shared/GreenProcurement040127.pdf. ასევე ევროკომისიის მიერ ამ საკითხის რეგულირებაზე იხ. http://ec.europa.eu/environment/gpp/toolkit_en.htm

²⁸⁰ Regulation no. 240/2004 Coll. on the Public Procurement Information System, and on the Methods for Evaluating Bids According to their Economic Advantageousness.

აღსანიშნავია, რომ მწვანე შესყიდვების ნახალისება არა წარმოადგენს მხოლოდ ევროკავშირის წვერი ქვეყნების მთავრობათა პოლიტიკის ნაწილს. ასე მაგალითად, Environment Canada-ს შემუშავებული აქვს მწვანე შესყიდვების პოლიტიკა, რომელიც მხარს უჭერს სამთავრობო დეპარტამენტის საქმიანობაში მდგრადი განვითარების საკითხების ინტეგრირებას. შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის ეკოლოგიურად უკეთესი შესყიდვების პროგრამის“ (Environmentally Preferable Purchasing (EPP) program) ფარგლებში ყველა ფედერალური შესყიდვისას უპირატესობა მიენიჭება იმ პროდუქციასა და სერვისებს, რომლებიც გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უმჯობესია (Executive Order 13101 and Federal Acquisition Regulation (FAR).

ტაივანის მთავრობამ 1998 წელს დაამტკიცა კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, რომლის თანახმადაც მწვანე ეტიკეტის“ ან შესაბამისი გარემოსდაცვითი მახასიათებლების მქონე პროდუქციას სახელმწიფო შესყიდვებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს. შემდგომში ტაივანის გარემოს დაცვის სამინისტრომ და სახელმწიფო სამშენებლო კომისიამ შეიმუშავეს დადგენილებები სამთავრობო უწყებების შესყიდვებში ეკოპროდუქტებისათვის უპირატესობის მინიჭების შესახებ.

ბევრ ქვეყანაში სახელმწიფო შესყიდვების მეშვეობით მთავრობები სტიმულირებას უკეთებენ აგრეთვე **სოციალური საკითხების გათვალისწინებას** ბიზნეს საქმიანობაში. მაგ., ბელგიის მთავრობამ 2001 წელს შემოიღო ე.წ. სოციალური პუნქტი“ გარკვეული ტიპის ფედერალური სახელმწიფო შესყიდვებისათვის, რომელიც მოითხოვს კონტრაქტით გათვალისწინებულ საქმიანობაში სოციალურად დაუცველი ჯგუფების ჩართვას, მაგ., ერთ-ერთი პირობაა, რომ კონტრაქტის მთელი ღირებულების 5% დაიხარჯოს ხანგრძლივად დაუსაქმებელი ადამიანების დასაქმებაზე. ეს სოციალური პუნქტი“ ვრცელდება იმ ფედერალურ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც 10 მილიონზე მეტი ღირებულების კონტრაქტს გულისხმობს, მინიმალური ხანგრძლივობით – 60 დღე.

დანის პარლამენტმა 2001 წელს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო უწყებებს შეუძლიათ გარკვეული სოციალური ვალდებულებების შესრულება წაუყენონ პირობად იმ საწარმოებს, რომლებიც ან რაიმე სერვისებს აწვდიან სახელისუფლებო უწყებებს, ან სახელმწიფო გრანტებს იღებენ.

საფრანგეთში სახელმწიფო შესყიდვების სერიოზული რეგულირება არსებობს. 2001 წელს მიღებული კანონის თანახმად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, შესყიდვის კონტრაქტში აუცილებელ პირობად უნდა იყოს შეტანილი გარკვეული სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები. შემსყიდველმა სახელმწიფო უწყებამ, კანონმდებლობის თანახმად, შესყიდვების გარკვეული რაოდენობა შეიძლება იმ კომპანიებისაგან აწარმოოს, რომლებიც აკმაყოფილებენ უნარშეზღუდული ადამიანების დასაქმების მოთხოვნას. შემსყიდველებმა ასევე შეიძლება მოითხოვონ კონტრაქტის

პირობებში ისეთი სოციალური საკითხების შეტანა, როგორცაა, მაგ., დაუსაქმებელ ადამიანთა ან სამუშაო ბაზარზე მარგინალიზებულ ადამიანთა დაქირავება და ა. შ.

ევროპარლამენტმა ახალი დირექტივებით ევროპის წევრ ქვეყნებს ურჩია, რომ სახელმწიფო შესყიდვებისას ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენდეს შრომითი სტანდარტების დაცვა, კერძოდ, *საერთაშორისო შრომის ასოციაციის (ILO) რვა ფუნდამენტური კონვენციის დაცვა*.²⁸¹

იტალიაში (ტოსკანას რეგიონში) ზოგიერთი ტიპის სახელმწიფო შესყიდვებისათვის (მაგ., საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში) სავალდებულო მოთხოვნაა, რომ მომწოდებელს ჰქონდეს SA 8000 სერტიფიკატი.²⁸² უმბრიის რეგიონში გამოიცა იმ საწარმოთა ინდექსი, რომელთაც აქვთ SA 8000 სერტიფიკატი. ამ ჩამონათვალში შეტანილ კომპანიებს უპირატესობა ენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვებისას, ასევე ტრენინგისა და სერტიფიცირების მიზნით სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის გამოყოფისას. მათზე აგრეთვე ვრცელდება ფინანსური შეღავათები და გაადვილებული ადმინისტრაციული პროცედურები.

3.5. ფისკალური პოლიტიკა

მთავრობის მხრიდან კორპორაციული პასუხისმგებლობის ხელშეწყობის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტს შესაბამისი ფისკალური პოლიტიკა და საგადასახადო შეღავათები წარმოადგენს. მრავალი ევროპული ქვეყნის ფისკალური პოლიტიკა ითვალისწინებს გარკვეული შეღავათების სისტემას სოციალურად პასუხისმგებელი საქმიანობისათვის.

არსებობს საგადასახადო შეღავათების სხვადასხვა სქემა, რომლებიც საშუალებას აძლევს კომპანიებს თავიანთი თანხების გარკვეული წილი საქველმოქმედო საქმიანობისაკენ, სოციალური პროექტებისა ან სოციალური პასუხისმგებლობის ცალკეული კომპონენტების დანერგვისაკენ მიმართონ.

როგორც ზემოთ, ამ თავის ცალკეულ პარაგრაფში დავინახეთ, შეღავათები და ფინანსური წახალისება სახელმწიფოს მხრიდან ვრცელდება პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის ცალკეული ასპექტების დანერგვისკენ მიმართულ საქმიანობებზე. მაგ., ხშირად სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხარჯების ნაწილს, გარკვეულ ფინანსურ შეღავათებს უწესებს გამარჯვებულ კომპანიებს, ან დაჯილდოებულ კომპანიებს უფარავს CSR-ის დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილს (*იხ. ამ თავის პარაგრაფი 1.4, ბიზნესის სტიმულირება*); ბელგიაში საგადასახადო შეღავათით სარგებლობენ ინვესტორები, რომელთაც შეიძინეს ფედერალური მთავრობის მიერ დაარსე-

²⁸¹ იხ. European Directives 2004/17 and 2004/18

²⁸² SA8000 - სამუშაო პირობებისა და ანგარიშვალდებულებების საერთაშორისო სტანდარტი. უფრო დანვრილებით მის შესახებ იხ. თავი VI, ქვეთავი 3.2.

ბული სოციალური და მდგრადი ეკონომიკის ფონდის“ ობლიგაციები (იხ. ამ თავის ქვეთავი 2.4 – *სოციალურად პასუხისმგებელი ინვესტირება*); იტალიაში გარკვეული ფინანსური შეღავათები ვრცელდება კომპანიებზე, რომელთაც აქვთ SA 8000 სერტიფიკატი (იხ. ამ თავის ქვეთავი 3.4 – *სახელმწიფო შესყიდვები*); სხვადასხვა ფინანსური ნახალისების სქემა და საგადასახადო შეღავათი არსებობს კომპანიების ნასახალისებლად უნარშეზღუდული ადამიანების ან სხვა მონყლვადი და დაუცველი ჯგუფების წარმომადგენლების დასაქმებისათვის (იხ. ამ თავის ქვეთავი 3.2 – *სოციალური პოლიტიკა*) და სხვ.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, კომპანიას შეუძლია **საშემოსავლო გადასახადის გარკვეული ნაწილი (რამდენიმე პროცენტი) დახარჯოს სოციალურ/არამომგებიან პროექტებზე**. მაგ., *სლოვაკეთში* 2004 წელს მიღებული კანონის თანახმად, კომპანიებს შეუძლიათ თავიანთი გადასახადის 2% მოახმარონ შემონირულობებს, ფილანთროპიასა და სხვა CSR/არამომგებიან საქმიანობებს (არსებითად, **სლოვაკეთი** ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელმაც მიიღო მსგავსი კანონი).

შესაძლოა **საგადასახადო შეღავათი** ვრცელდებოდეს კომპანიათა **საქველმოქმედო/არამომგებიან საქმიანობაზე განსაზღვრულ სფეროებში**, რომლებიც ამ ეტაპზე პრიორიტეტულად მიიჩნევა ქვეყნისათვის. მაგ., *იტალიაში* საგადასახადო კანონი განსაზღვრავს საგადასახადო შეღავათებს კერძო კომპანიების საქველმოქმედო საქმიანობაზე რამდენიმე განსაზღვრულ სფეროში – მათ შორის *სოციალურ სფეროში*. იტალიაში დაიგეგმა აგრეთვე სოციალური რეფორმა, რომლის თანახმადაც კომპანიის რესტრუქტურისა და ცილისას ან დახურვისას შემცირებაში მოყოლილი თანამშრომლების საკომპენსაციო ფონდები თავისუფლდება გადასახადებისაგან (ამის შედეგად ყოველწლიურად გამოთავისუფლება და ბაზარზე დამატებით გამოდის საპენსიო ფონდების მილიონობით ევრო. მთავრობის მიზანია განავითაროს დამატებითი ფონდები, რომლებიც ეთიკურ პრინციპებზე დაყრდნობით იმართება).

კვიპროსის საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, საგადასახადო შეღავათი გათვალისწინებულია კომპანიებისათვის იმ თანხებზე, რომელიც მათ გაიღეს *საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქველმოქმედო ტიპის პროექტებზე* ან *საქველმოქმედო ორგანიზაციებზე*.

საგადასახადო შეღავათი შეიძლება გავრცელდეს **გარკვეული ტიპის ორგანიზაციებისათვის გაცემულ შემონირულობებზე**. მაგ., *ლატვიაში* სანარმოს მოგების გადასახადების მარეგულირებელი კანონი ითვალისწინებს, რომ კომპანიის მოგების გადასახადი შემცირდება იმ თანხის 85%-ით, რომელიც შემონირულობის სახით გადაეცა საბიუჯეტო ინსტიტუტებს/დანესებულებებს, ლატვიაში დარეგისტრირებულ ფონდებსა, რელიგიურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც სპეციალური კანონის

შესაბამისად (Public Benefit Organisations Law) მინიჭებული აქვთ საზოგადოებრივად სასიკეთო/საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

დიდ ბრიტანეთში კი არსებობს თემში/საზოგადოებრივ საქროებებზე ინვესტირების საგადასახადო შეღავათი (Community investment tax relief (CITR)). გარკვეული პირობების დაცვით, ეს შეღავათი ვრცელდება როგორც კერძო პირებზე, ასევე კომპანიებზე, რომლებიც კრედიტის, ფასიანი ქაღალდების ან სააქციო კაპიტალის მეშვეობით ინვესტირებას ახდენენ აკრედიტებულ თემის განვითარების საფინანსო ინსტიტუტებში.“ ეს საგადასახადო შეღავათი ამცირებს ინვესტორის მოგების გადასახადს ან კორპორაციის საგადასახადო ვალდებულებას და აითვლება ინვესტირებული თანხის ოდენობის შესაბამისად. კერძოდ, საგადასახადო შეღავათი წარმოადგენს ინვესტირებული თანხის 25%-ს განაწილებულს 5 წელიწადზე. ამ საგადასახადო სტიმულირების მეშვეობით მთავრობა ცდილობს წაახალისოს თემის განვითარებაზე ორიენტირებული საფინანსო ინსტიტუტების (CDFIs) შუამავლობით განხორციელებული კერძო ინვესტიციები იმ ორგანიზაციებში (როგორც არამომგებიან, ისე მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებში), რომლებიც არახელსაყრელ პირობებში მყოფ თემებში საქმიანობს.

საგადასახადო შეღავათები შეიძლება გავრცელდეს არა მხოლოდ ფინანსურ შემონირულობებზე, არამედ ნატურით ან ადამიანური რესურსებით განუღებულ დახმარებაზეც. მაგ., დიდ ბრიტანეთში მთავრობა სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს კომპანიებს, რათა წაახალისოს კორპორაციების მიერ აღჭურვილობისა და მოწყობილობების, თანამშრომელთა დროის შემონირულობა, ასევე სხვა ტიპის შემონირულობები სათემო და მოხალისეობრივი ორგანიზაციებისათვის.

3. 6. სავაჭრო და საექსპორტო პოლიტიკა

ევროკავშირის სახელმწიფოები CSR საკითხებს ითვალისწინებენ აგრეთვე საგარეო ვაჭრობისა და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას. კერძოდ, საგარეო ვაჭრობის/საექსპორტო პოლიტიკის ფარგლებში ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები ცდილობენ წაახალისონ ინვესტირება იმ უცხოურ კომპანიებსა და ქვეყნებში, სადაც მდგრად განვითარებასა და სოციალურ პასუხისმგებლობას სათანადო ყურადღება ექცევა.

მაგალითად, *ჰოლანდიის* მთავრობა მიზანმიმართულად ცდილობს დაარწმუნოს ჰოლანდიური კომპანიები არ ითანამშრომლონ ბირმის კომპანიებთან, რადგან ბირმის მთავრობა უხეშად არღვევს ადამიანისა და შრომით უფლებებს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობა ზოგადად ჰოლანდიის საგარეო ვაჭრობის ტრადიციულ ასპექტს წარმოადგენს. ეს რამდენიმე გზით ხორციელდება: ერთი მხრივ, CSR-ის მნიშვნელობაზე მუდმივად მიუთითებენ იმ კომპანიებს, რომლებიც საგარეო სავაჭრო

ხელშეკრულებებში მონაწილეობენ; მთავრობა აგრეთვე მოუწოდებს მსხვილ სავაჭრო კომპანიებს, შეიძინონ საქონელი, რომელიც სოციალური პასუხისმგებლობის ნორმების დაცვით არის დამზადებული, ხოლო მეორე მხრივ, ჰოლანდიის მთავრობა სავაჭრო ხელშეკრულებების გაფორმებისას ოფიციალურად აცნობებს პარტნიორ ქვეყანას, რომ CSR საკითხები მისთვის პრიორიტეტულია.

ბელგიის მინისტრთა საბჭომ 2002 წელს მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები გათვალისწინებული უნდა იყოს ბილატერალურ ხელშეკრულებებში (ბელგია-ლუქსემბურგის ეკონომიკურ კავშირსა და მესამე მხარეებს შორის), რომელთა მიზანს ინვესტიციების ხელშეწყობა და დაცვა წარმოადგენს.

შვედეთის პრემიერ-მინისტრმა 2002 წელს ბიზნეს კორპორაციებს მოუწოდა მონაწილეობა მიეღოთ ინიციატივაში შვედეთის პარტნიორობა გლობალური პასუხისმგებლობისათვის.²⁸³ ინიციატივის მიზანია შვედი ბიზნესმენების სტიმულირება, დაიცვან და აქტიურად დაენერგონ მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებების, ანტიკორუფციის, ღირსეული სოციალური პირობებისა და ჯანსაღი ბუნებრივი გარემოს პრინციპები. ინიციატივის ფარგლებში საქმიანობაზე ძირითადი პასუხისმგებელი ორგანო იყო საგარეო საქმეთა სამინისტრო, თუმცა ინიციატივა ხორციელდებოდა მრეწველობის, დასაქმებისა და კომუნიკაციების სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო დონეზე CSR-ის მარეგულირებელ ერთ-ერთ ჩარჩო-დოკუმენტს წარმოადგენს **OECD-ის „სახელმძღვანელო მითითებები მულტინაციონალური საწარმოებისათვის“**.²⁸⁴ ევროპულ სახელმწიფოთა მთავრობები აქტიურად უჭერენ მხარს ამ სახელმძღვანელო მითითებების“ დანერგვას. იმ ქვეყნებში, რომლებიც ოფიციალურად უერთდება და აღიარებს OECD-ის სახელმძღვანელო მითითებებს“ (ეს არის OECD-ის 34 წევრი და კიდევ 8 არაწევრი ქვეყანა) ფუნქციონირებს *ეროვნული საკონტაქტო უწყებები*“. ეს არის სამთავრობო უწყებები, რომლებიც პასუხს აგებენ მოცემულ ქვეყანაში სახელმძღვანელო მითითებების“ განხორციელებაზე და მათ შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებაზე ქვეყნის ბიზნეს კომპანიათა შორის. ეროვნული საკონტაქტო უწყებების ფუნქციაა, პასუხი გასცენ შეკითხვებს სახელმძღვანელო მითითებებთან“ დაკავშირებით; განიხილონ OECD დირექტივების დარღვევის შემთხვევები და შუამავლის როლში გამოვიდნენ; მონიტორინგი გაუწიონ მულტინაციონალური საწარმოების საქმიანობას; შეაგროვონ ინფორმაცია ქვეყანაში სახელმძღვანელო მითითებების“ განხორციელე-

²⁸³ Swedish partnership for global responsibility — Global Ansvar (www.ud.se/ga)

²⁸⁴ იხ. თავი VI.1.

ბის შესახებ და ყოველწლიურად ანგარიში წარუდგინონ სამეთვალყურეო კომიტეტს.²⁸⁵

ეროვნული საკონტაქტო უწყებები“ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სამინისტროთა ბაზაზე. ისინი აერთიანებს სხვადასხვა სექტორისა და დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს. საკონტაქტო უწყებათა შეხვედრები გარკვეული რეგულარობით იმართება (წელიწადში ერთხელ ან ორჯერ, საჭიროების შემთხვევაში უფრო ხშირადაც). შეხვედრებს შესაძლებელია უფრო მეტი დაინტერესებული მხარე, სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელი დაესწროს.

მაგალითად, *ავსტრიაში* საკონტაქტო უწყება შრომისა და ეკონომიკის სამინისტროს ბაზაზე არსებობს (ექსპორტისა და საინვესტიციო პოლიტიკის განყოფილებაში). მას დახმარებას უწევს მრჩეველთა კომიტეტი, რომელიც აერთიანებს მთავრობის, სოციალური პარტნიორებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

დანიაში OECD-ის სახელმძღვანელო მითითებების“ საკონტაქტო უწყება დასაქმების სამინისტროს ბაზაზე ფუნქციონირებს და სამი სექტორის – მთავრობის, ბიზნესისა და პროფკავშირების წარმომადგენლებისაგან შედგება.

ჩეხეთში ეროვნულ საკონტაქტო უწყებას წარმოადგენს ჩეხეთის ფინანსთა სამინისტრო. მისი წევრები არიან აგრეთვე ჩეხეთის ტრანსპორტისა და ინდუსტრიის ასოციაცია და ჩეხეთ-მორავიის ასოციაციათა კონფედერაცია; შეხვედრებს ესწრებიან აგრეთვე სხვადასხვა სამინისტროთა და სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლები.

გერმანიაში საკონტაქტო უწყება ეკონომიკისა და შრომის ფედერალური სამინისტროს ბაზაზე ფუნქციონირებს. სპეციალური სამუშაო ჯგუფის მეშვეობით მის საქმიანობაში ჩართული არიან სოციალური პარტნიორები და არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

დიდი ბრიტანეთში OECD სახელმძღვანელო მითითებების“ ნაციონალური საკონტაქტო უწყება ფუნქციონირებს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ბაზაზე.

ფინეთში 2001 წლის დეკრეტის თანახმად საერთაშორისო ინვესტიციებისა და მრავალეროვანი საწარმოების კომიტეტი“ (Monika) წარმოადგენს OECD ნაციონალურ საკონტაქტო უწყებასაც. ის აერთიანებს სხვადასხვა სამინისტროთა წარმომადგენლებსა და სოციალურ პარტნიორებს, ხოლო საქმიანობას კოორდინირებას უწევს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო.

²⁸⁵ სამეთვალყურეო კომიტეტი შედგება სხვადასხვა სექტორთა წარმომადგენლებისაგან და პასუხს აგებს სახელმძღვანელო მითითებების განხორციელებაზე, მონიტორინგზე, მასთან დაკავშირებული დავების განხილვაზე და ა. შ. კომიტეტის შეხვედრები იმართება გარკვეული რეგულარობით.

OECD-ის სახელმძღვანელო მითითებების“ დანერგვის ინსტრუმენტებს წარმოადგენს მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ფინანსური სტიმულირება. მაგ., *ჰოლანდიაში* იმ კომპანიებს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სუბსიდიებს ითხოვენ, ევალებათ წარადგინონ წერილობითი განაცხადი იმის თაობაზე, რომ კომპანია იცნობს OECD სახელმძღვანელო მითითებებს“ და შეეცდება მათ დანერგვას საკუთარ საქმიანობაში. ხოლო *შვედეთში* ყოველ კომპანიას, რომელიც მთავრობისგან რაიმე სახის სუბსიდიას ან გრანტს ითხოვს, აძლევენ OECD სახელმძღვანელო მითითებებს“.

საექსპორტო კრედიტებიც ქმედითი იარაღია OECD სახელმძღვანელო მითითებების“ დანერგვის ხელშეწყობისათვის. მაგ., *შვედეთის* ექსპორტის კრედიტების საგარანტიო საბჭო ყველა თავის მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას OECD სახელმძღვანელო მითითებების“ შესახებ, მექრთამეობაზე არსებული ნორმატიული აქტების შესახებ და ა. შ.

ფინეთის საექსპორტო კრედიტების უწყებამ 2001 წლის საექსპორტო კრედიტების სახელმწიფო გარანტიების შესახებ აქტის თანახმად, შეიმუშავა საგანგებო პრინციპები, რომლებიც აპლიკანტი კომპანიების ყურადღებას ამახვილებს OECD სახელმძღვანელო მითითებებზე“.

გერმანიის ეკონომიკისა და შრომის სამინისტროც (რომელიც OECD ეროვნულ საკონტაქტო უწყებას წარმოადგენს) სახელმძღვანელო მითითებების“ დანერგვას საექსპორტო-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით უწყობს ხელს. მაგ., სამინისტრომ გამოუშვა ბროშურა საექსპორტო კრედიტებზე, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია OECD სახელმძღვანელო მითითებების“ შესახებ, თუმცა, კომპანიებს არ მოეთხოვება, აუცილებლად განაცხადონ სახელმძღვანელო მითითებების“ აღიარების შესახებ.

ავსტრია აგრეთვე უკავშირებს ამ სახელმძღვანელო მითითებებს“ საექსპორტო კრედიტების გარანტიებს. ყველა კომპანია, რომელიც საექსპორტო კრედიტს მოითხოვს, იღებს დოკუმენტაციას სახელმძღვანელო მითითებების“ განმარტებებით, თუმცა კომპანიებს არ ავალდებულებენ, რომ შეასრულონ სახელმძღვანელო მითითებების“ მოთხოვნები და ანგარიში წარმოადგინონ ამის შესახებ.

3.7. განვითარების პოლიტიკა

ევროპის მრავალ ქვეყანაში CSR ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკა აგრეთვე მოიაზრებს განვითარებად ქვეყნებში CSR-ისა და მისი ცალკეული კომპონენტების (მაგ., გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის, ადამიანის უფლებების, შრომითი უფლებების და ა. შ.) დანერგვის ხელშეწყობას. ეს ხორციელდება, ერთი მხრივ, განვითარებად ქვეყნებში ბიზნეს საქმიანობის ხელშეწყობით, ხოლო მეორე მხრივ, მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების სტიმულირებით, რომ მათ განვითარებად ქვეყნებშიც პასუ-

ხისმგებელი ბიზნესი აწარმოონ და ხელი შეუწყონ CSR-ის დანერგვას.

ამ მიზნით ევროპის ქვეყანათა მთავრობები სხვადასხვა ხერხსა და მეთოდს მიმართავენ. ერთ-ერთი ინსტრუმენტია **მიზნობრივი საფინანსო ინსტიტუტების დაარსება** და მათი მეშვეობით **განვითარებადი ქვეყნების კომპანიების ფინანსური სტიმულირება**, რომ მათ ბიზნეს საქმიანობაში გაითვალისწინონ სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტი. მაგალითად, *ბელგიაში* დაარსდა საინვესტიციო კომპანია განვითარებადი ქვეყნებისათვის“ (The Belgian Investment Company for Developing Countries (BIO)),²⁸⁶ რომელიც ინვესტირებას ახდენს განვითარებადი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესში. ეს კომპანია დაარსდა კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობით – თითოეულმა სექტორმა კაპიტალის 50% გაიღო. გარდა ამისა, ბელგიის მთავრობამ დამატებით 97.5 მილიონი გამოყო ამ საინვესტიციო კომპანიისათვის. კანონი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა BIO, ითვალისწინებს, რომ პირდაპირი თუ არაპირდაპირი სუბსიდიები მიზნად უნდა ისახავდეს დასაქმების თანაბარი შესაძლებლობებისა და ძირითადი სოციალური უფლებების ხელშეწყობას. გარდა ამისა, საინვესტიციო კომპანიამ უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა, რომელიც მიმართულია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისაკენ კრედიტების თანაბარი განაწილების მიზნით და ა. შ. 2003 წელს დაამტკიცეს სამოქმედო სახელმძღვანელო მითითებები, რომლებშიც განსაზღვრულია ის აუცილებელი სოციალური და ეკოლოგიური კრიტერიუმები, რომლებსაც კომპანია უნდა აკმაყოფილებდეს, რათა ინვესტიცია მიიღოს BIO-სგან.

გერმანიის მთავრობამ წამოიწყო პროგრამა განვითარებად ქვეყნებში სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 10 მილიონი ევროს დაბანდება განსაზღვრული მდგრად სოფლის მეურნეობაში, კეთილსინდისიერ ვაჭრობაში“ (fair trade), ასევე სოციალური სტანდარტების დანერგვასა და ტყის მართვის სერტიფიცირების ხელშეწყობაში.

განვითარებად ქვეყნებში CSR სტანდარტების დანერგვის ერთ-ერთი მეთოდია **ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა** CSR საკითხებზე. ასე მაგალითად, *ნიდერლანდებში* რამდენიმე სამინისტრო ერთობლივად უწევს დახმარებას მესამე მსოფლიოს ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროფკავშირებს აამაღლონ ცნობიერების დონე კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ თავიანთი ქსელის წევრ და პარტნიორ ორგანიზაციებში. ეს სამინისტროები აგრეთვე ფინანსურ დახმარებას უწევენ მესამე მსოფლიოს ქვეყნების პროფკავშირების პროფესიულ გაძლიერებას.

ერთ-ერთ ინსტრუმენტად მოიაზრება აგრეთვე განვითარებად ქვეყნებში შესაბამისი **ქცევის კოდექსების დანერგვის ხელშეწყობაც**.

²⁸⁶ <http://www.b-i-o.be>

მაგალითად, გერმანიის სხვადასხვა სამინისტროთა, არასამთავრობოთა, ბიზნეს კომპანიათა და სოციალურ პარტნიორთა მონაწილეობით ჩატარდა შეხვედრა ქცევის კოდექსებზე. მისი მიზანი იყო შრომისა და სოციალური სტანდარტების გაუმჯობესება განვითარებად ქვეყნებში ქცევის კოდექსების დანერგვის გზით.

კეთილსინდისიერი ვაჭრობა (Fair Trade) ასევე წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებში სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ ინსტრუმენტს.

კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ცნება მოიაზრებს კეთილსინდისიერ სავაჭრო ოპერაციებს, რომელთა მიზანია განვითარებად ქვეყნებში მწარმოებელთა მარგინალური ჯგუფების მხარდაჭერა მათი პროდუქციისათვის ბაზრის ხელმისაწვდომობის გაადვილებით, შემოსავლის სტაბილურობისა და სამართლიანი ფასების უზრუნველყოფით და პირდაპირი გადახდების მეშვეობით.

ეს პრაქტიკა ძირითადად დამკვიდრებულია სოფლის მეურნეობის სფეროში, ასევე ხელთ ნაკეთობებით ვაჭრობაში – ამ სფეროებში დასაქმებული მწარმოებლები ხშირად ცხოვრობენ იზოლირებულ, მოშორებულ სოფლებში და არ აწარმოებენ პირდაპირი ექსპორტისათვის საჭირო რაოდენობას. კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ინიციატივის მეშვეობით მათ ეძლევათ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობა ღირსეულ ფასად, რადგანაც კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ინიციატივას განვითარებაზე ორიენტირებული მიზნები აქვს, მოგების ნაწილი, ჩვეულებრივ, ისევ ადგილობრივი განვითარების საჭიროებებზე იხარჯება.

კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ პროდუქცია, ჩვეულებრივ, მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია ალტერნატიული სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით (როგორცაა, მაგალითად, Oxfam), რომლებიც ყიდულობენ პროდუქციას პირდაპირ მცირე მწარმოებლისა და მათი კოოპერატივებისაგან, ახდენენ მის იმპორტირებას და ყიდიან სპეციალურ მაღაზიებში, როგორებიცაა World Shops. 1994 წელს დაარსდა World Shop-ების ნაციონალური ასოციაციების ევროპული ქსელი (Network of European World Shops), რომელიც კოორდინირებას უწევს ევროპაში არსებულ ამგვარ მაღაზიებს. (www.worldshops.org).

რეალიზაციის მეორე გზაა კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ პროდუქციის ეტიკეტირება და სერტიფიცირება. ორგანული ან უსაფრთხოების ეტიკეტებისგან განსხვავებით, კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ეტიკეტები ინფორმაციას აწვდის მომხმარებელს წარმოებისა და გასაღების პროცესზე (და არა პროდუქციის მახასიათებლებზე). ეს ეტიკეტები ადასტურებს, რომ პროდუქციის წარმოების მთელი ჯაჭვი კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ პრინციპებს ეფუძნება და შეესაბამება შრომის საერთაშორისო სტანდარტებს. ევროკავშირში კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ეტიკეტების მაგალითებია: Max Havelaar; Transfair; the Fairtrade Mark; Rattvisemarkt. (იხ. ასევე www.fairtrade.net).

საქონლის ეტიკეტირება ხდება კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ სპეციალიზებული სასერტიფიკაციო სააგენტოების მიერ. ამგვარად სერტიფიცირებული პროდუქციის შემომტანი და გამსაღებელი ჩვეულებრივი კომერციული კომპანია შეიძლება იყოს, ხოლო გასაღების არხები – ჩვეულებრივი მაღაზიები.

ჯერ კიდევ 1987 წელს დაარსდა ევროპის კეთილსინდისიერი ვაჭრობის ასოციაცია (EFTA -European Fair Trade Association²⁸⁷), რომელიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მრავალ იმპორტიორს აერთიანებს, რათა კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ინიციატივა უფრო ეფექტური გახდეს. ამ მიზნით ასოციაცია კონსულტაციებს უწევს და ინფორმაციას აწვდის მწარმოებლებს, ზრუნავს საზოგადოებისა და გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ცნობიერების ამაღლებაზე და ა. შ.

ევროკავშირი ცალსახად მხარს უჭერს კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ინიციატივას.

1999 წელს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ოფიციალური დოკუმენტი,²⁸⁸ რომელშიც მოცემულია კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ცნების განმარტება და განსაზღვრულია ევროკავშირის კურსი კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ხელშეწყობის მიზნით, რაც მოიცავს არსებულ სათემო პოლიტიკაში კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ ცნების ჩართვას.

1998 წელს ევროპარლამენტმა თავის ანგარიშში კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ შესახებ (Fassa Report, July 1998) მოუწოდა ევროკომისიას ხელი შეეწყოს კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ დანერგვისათვის და გაეთვალისწინებინა ეს მიზანი განვითარებისა და ვაჭრობის პოლიტიკებში.

ცალკეულ ევროპულ სახელმწიფოთა მთავრობებზეც სხვადასხვა ხერხით უწყობენ ხელს კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ განვითარებას. მაგალითად, *საფრანგეთში* არსებობს საკანონმდებლო რეგულირება, რომელიც ოფიციალურად განსაზღვრავს, თუ რა არის კეთილსინდისიერი ვაჭრობა“ (ეს პირველი მაგალითია მსოფლიოში კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ სამართლებრივი დეფინიციისა). კერძოდ, მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ 2005 წლის 2 აგვისტოს კანონის მე-60 მუხლის განმარტების თანახმად, კეთილსინდისიერი ვაჭრობა“ მდგრადი განვითარების ნაციონალური სტრატეგიის ფარგლებში უნდა მოექცეს, უნდა გააადვილოს პროდუქციისა და სერვისების გაცვლა განვითარებულ ქვეყნებსა და განვითარებადი ქვეყნების არამომგებიან პირობებში მყოფ მწარმოებლებს შორის. კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ მიზანია მდგრადი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რასაც მოჰყვება ამ მწარმოებელთა ეკონომიკური და სოციალური წინსვლა.

შვედეთში ორგანიზაციამ Fair Trade 2004-2007 წლებში მთავრობისგან მიიღო გრანტი კეთილსინდისიერი ვაჭრობის“ შესახებ მომხმარებლის ცნობიერების ასამაღლებლად და ამ საკითხზე დიალოგის გასამართად.

²⁸⁷ www.eftafairtrade.org

²⁸⁸ The Commission communication on fair trade - COM(1999) 619.

კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვას, არის **ეთიკური ვაჭრობა** (Ethical Trade). ეს ინიციატივა არეგულირებს იმ კომპანიების საქმიანობის ცალკეულ ასპექტებს, რომელთაც სურთ გააძლიერონ თავიანთი ეთიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური პასუხისმგებლობები და ხელი შეუწყონ ადამიანის უფლებების და ღირსეული შრომითი პირობების დანერგვას საკუთარ მიწოდების ჯაჭვებში მსოფლიოს მასშტაბით.

ეთიკური ვაჭრობა“ მოიცავს შემდეგ საკითხებს: შრომითი უფლებები (როგორც კომპანიის თანამშრომლებისა, ასევე მომწოდებელთა), ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების პატივისცემა, უსაფრთხოების თანამშრომლების გამოყენება, კორუფციისა და მექრთამეობის თავიდან აცილება, გარემოს დაცვა. ყველაზე უფრო მეტად ეთიკური ვაჭრობა“ გავრცელებულია მომპოვებელ სექტორსა და მოხმარების საგნების წარმოებაში.

ეთიკური ვაჭრობა“ ეფუძნება ისეთ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა ქცევის კოდექსები, ასევე მომწოდებლების ან მწარმოებელი კომპანიების შესაბამისობა მონიტორინგის, აუდიტის და/ან სერტიფიცირების კოდექსებთან. შესაბამისობას ამოწმებს ან თავად კომპანია, ან კონსულტანტი სპეციალისტი, ან მესამე მხარე. მრავალი სოციალური ეტიკეტი, რომელიც ეთიკურ ვაჭრობას“ უწყობს ხელს, ბავშვთა შრომის აკრძალვაზე ფოკუსირდება, მაგ., გერმანული ეტიკეტი Rugmark, რომელიც ინდოეთში ნოხების ინდუსტრიაზე ვრცელდება, ბრაზილიური ეტიკეტი Abrinq, ჩინეთში ფეხბურთის აღჭურვილობის წარმოების სფეროს ეტიკეტი Baden და სხვ.

თავი IX

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დასაწესებლად

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვისათვის საჯარო სექტორის როლისა და მთავრობის მხრიდან სხვადასხვა ხელშეწყობი ღონისძიებების მნიშვნელობაზე, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებაზე ამ სფეროში, აგრეთვე საქართველოსათვის CSR განვითარების მნიშვნელობასა და დადებით მხარეებზე წინა თავებში დანვრილებით გვქონდა საუბარი.

წინამდებარე თავის მიზანია, კონკრეტული რეკომენდაციები შესთავაზოს საქართველოს მთავრობას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას. რეკომენდაციები ეფუძნება როგორც ამ საკითხზე არსებულ სპეციალურ ლიტერატურას და საექსპერტო ორგანიზაციების მიერ ევროპის ქვეყნების მთავრობებისათვის შემუშავებულ რეკომენდაციებს, ისე სხვადასხვა ქვეყანათა CSR პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტებს (სამოქმედო გეგმებს, სტრატეგიებს და ა.შ.), განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების მთავრობათა მიერ განხორციელებული ინიციატივების, საქართველოს კონტექსტის, ბიზნეს-სექტორის მზაობის დონისა და სამართლებრივი გარემოს ანალიზს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენს ქვეყანაში CSR-ის დანერგვის ხელშეწყობისათვის რამდენიმე სტრატეგიული მიმართულება შეიძლება გამოიყოს:

1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის ხელშეწყობი პოლიტიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს შექმნა;
2. ცნობიერების ამაღლება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ;
3. ცოდნისა და უნარების განვითარება CSR-ის დანერგვის ხელშეწყობისათვის;
4. კომპანიის საქმიანობით გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე მოხდენილი ზეგავლენის, თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის პრინციპებისა და სხვა

სოციალური პარამეტრების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის ხელშეწყობა;

5. CSR-ის განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნა და CSR-ის სტიმულირება.

თითოეული სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში კი მრავალი სხვადასხვა ღონისძიებისა და ინიციატივის განხორციელება არის შესაძლებელი და მიზანშეწონილი. განვიხილოთ დაწვრილებით თითოეული მათგანი.

1. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის ხელშეწყობი პოლიტიკური, სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს შექმნა

CSR-ის განვითარება სპონტანურად არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა. ყველგან მას ახლავს ხელისუფლების მხრიდან ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება, რომელშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები. ხოლო მის საფუძველზე შემუშავდება კონკრეტული სამოქმედო დოკუმენტები (სტრატეგია, გეგმა და ა.შ.), გაინერება ცალკეულ სამთავრობო უწყებათა ფუნქციები და ვალდებულებები და ა. შ.

შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამაც უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით.

საქართველოში CSR ხელშეწყობი სამთავრობო ინიციატივების ეფექტური განხორციელებისა და კოორდინირების მიზნით აუცილებელია, რომ მთავრობამ საწყის ეტაპზე შეიმუშაოს ერთიანი ხედვა და ჩარჩო-პოლიტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით.

სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისას, მთავრობის როლისა და ფუნქციების განსაზღვრისას მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები და მიზნები ეროვნულ კონტექსტში, რომელთა განხორციელებასაც ხელს შეუწყობს CSR-ის განვითარება ქვეყანაში;
- ხელისუფლების ჩართულობის მასშტაბი და დონეები (ადგილობრივი, რეგიონული, ცენტრალური ხელისუფლება);
- CSR სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები და ინსტრუმენტები;
- სამთავრობო უწყებები, რომლებიც ჩართული იქნება CSR სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში და მათი ფუნქციები;
- სხვა ორგანიზაციების როლი (დაინტერესებული მხარეთა ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა);
- სამიზნე ჯგუფები, რომელთა საქმიანობის მოდელების შეცვლას ისახავს

მიზნად სამთავრობო ინიციატივები – ეს შეიძლება იყოს საქართველოში მოქმედი საერთაშორისო კომპანიები, ადგილობრივი მსხვილი კომპანიები, ადგილობრივი საშუალო და მცირე საწარმოები, ინვესტორები, მომხმარებლები, სახელმწიფო უწყებები, სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ., ასევე თითოეულ ჯგუფთან მიმართებით დასახული მიზნები;

- შედეგების შეფასების კრიტერიუმები და მონიტორინგის მექანიზმები;
- დაგეგმილ საქმიანობათა შესაძლო დაფინანსების წყაროები და ა.შ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისთვის ქვემოთ არის წარმოდგენილი.

1.1. ეროვნული პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავება

- ✓ საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს ქვეყანაში *CSR-ის განვითარების ერთიანი გრძელვადიანი სტრატეგია*, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება CSR განვითარებისა და ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკა, განსაზღვრული იქნება ძირითადი პრიორიტეტები და მიზნები.

მრავალ ქვეყანაში CSR განვითარების სტრატეგია მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიას ან უშუალოდ მის ნაწილს წარმოადგენს, რადგანაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა საბოლოოდ სწორედ მდგრადი განვითარების ეროვნული და გლობალური მიზნების მიღწევას უწყობს ხელს. მიზანშეწონილია, რომ საქართველოშიც CSR ეროვნული სახელმწიფო სტრატეგია ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნებს დაუკავშირდეს (როგორც ცნობილია, საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არსებობს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიის დოკუმენტი. მისი შემუშავების შემდეგ CSR განვითარების პოლიტიკა უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს მდგრადი განვითარების სტრატეგიას).

- ✓ პოლიტიკის ამსახველ დოკუმენტზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს *გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა* რამდენიმე წლისთვის, რომელშიც განერილი იქნება კონკრეტული ამოცანები, მათ მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები, ასევე მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. (ასეთი გეგმები შემუშავებული აქვს დასავლეთის განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების დიდ ნაწილს, ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანას და ასევე ზოგიერთ კანდიდატ ქვეყანას).

მაგალითად, ლიტვაში 2005 წელს ლიტვის სოციალური უსაფრთხოებისა და დასაქმების სამინისტროს ბრძანებულებით მიიღეს დოკუმენტი ლიტვაში CSR-ის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები 2006-2008 წლებისათვის“. ამ დოკუმენტში აღწერილია სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტები CSR-ის სფეროში, განსაზღვრულია სამი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული ამოცანა და 2006-2008 წელს მათ მისაღწევად დაგეგმილი ღონისძიებები.

2006 წელს ესპანეთის პარლამენტმა გამოაქვეყნა სამოქმედო გეგმა იმ ზომებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს CSR-ის განვითარებისათვის. ეს დოკუმენტი ეროვნულ პარლამენტში ყველა პოლიტიკურმა პარტიამ ერთსულოვნად მიიღო.

- ✓ არსებითაა, რომ CSR სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრაში, მათი განხორციელების ინსტრუმენტების შემუშავებაში ისევე, როგორც მონიტორინგსა და შედეგების შეფასებაში, ჩართული იყოს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა მაქსიმალურად ფართო სპექტრი (ბიზნესი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, კვლევითი და საერთაშორისო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, სხვადასხვა პროფესიული ასოციაცია). თუ მთავრობა ვერ უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობას, შემუშავებული პოლიტიკა და სტრატეგია არ იქნება გაზიარებული იმ მხარეების მიერ, რომლებიც მის განხორციელებაში უშუალოდ არიან ჩართული. ეს შეაფერხებს დასახული მიზნების განხორციელებას და წინააღმდეგობაში იქნება თავად CSR-ის ბუნებასთან, რადგანაც CSR პარტნიორულ მიდგომებს, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას ეფუძნება.

1.2. სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორების სისტემის შემუშავება

მნიშვნელოვანია, რომ CSR ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები გამოსახული იყოს არა მხოლოდ ხარისხობრივი, არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ამისათვის სამოქმედო გეგმაში დასახული უნდა იყოს მათი განხორციელების შეფასების ეროვნული ინდიკატორები და მექანიზმები (შეფასების ინდიკატორთა აუცილებლობაზე ყურადღება არაერთ კვლევასა და სამთავრობო რეკომენდაციაში საგანგებოდ არის გამახვილებული, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც CSR განვითარება საწყის ეტაპზეა, მაგალითად, ევროკავშირში ახალგაწევრიანებული და კანდიდატი ქვეყნებისათვის შემუშავებულ რეკომენდაციებში, პოლონეთის მთავრობისათვის მსოფლიო

ბანკის დაკვეთით შემუშავებულ რეკომენდაციებში და ა.შ.²⁸⁹). შეფასების ინდიკატორების მიზანია გაიზომოს ქვეყნის მასშტაბით CSR განვითარებაში მიღწეული წარმატება და სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების განხორციელება. ინდიკატორები უნდა შემუშავდეს საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, უცხოელი ექსპერტებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობით.

1.3. ყოველწლიური სამთავრობო ანგარიშის გამოქვეყნება CSR სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ

- ✓ მიზანშეწონილია, დაწესდეს ყოველწლიური სამთავრობო ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილი იქნება CSR განვითარების მიზნით ჩატარებული სამუშაო და მიღწეული შედეგები (სახელმწიფო სამოქმედო გეგმის მიხედვით), რაც უზრუნველყოფს საქმიანობის გამჭვირვალობასა და შედეგებზე ანგარიშვალდებულებას. ამგვარ ანგარიშს მრავალი ევროპული ქვეყნის მთავრობა აქვეყნებს. მსგავსი რჩევა მოცემულია აგრეთვე რეკომენდაციებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანათა მთავრობებისათვის.²⁹⁰

მაგალითად, ბრიტანეთის მთავრობა 2001 წლიდან მოყოლებული აქვეყნებს ყოველწლიურ სამთავრობო ანგარიშს CSR-ის განვითარების შესახებ, რომელშიც ჩამოყალიბებულია მთავრობის სამუშაო გეგმა, განხორციელებული საქმიანობები, დასახული მიზნები და მიღწეული შედეგები.

1.4. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინსტიტუციონალიზაცია სამთავრობო სტრუქტურებში

შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია, რომ მოხდეს CSR-ის ინსტიტუციონალიზაცია, ანუ ადმინისტრაციული/ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბება: ცალკეული სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების დონეზე სამოქმედო გეგმების შემუშავება, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა, საქმიანობათა კოორდინირება და ა.შ., რაც უზრუნველყოფს შემუშავებული პოლიტიკისა და სტრატეგიის რეალურ განხორციელებას.

ვინაიდან CSR-ს მრავალი განზომილება აქვს და მრავალ სხვადასხვა სფეროს მოიცავს, არ არსებობს უნივერსალური მოდელი, თუ როგორ უნდა მოხდეს CSR-ის ინსტიტუციონალიზაცია სამთავრობო სტრუქტურებში. ევროკავშირისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებული ქვეყნების გამოცდილე-

²⁸⁹ Line, M., Braun, R., *Baseline Study on CSR Practices in the New Member States and Candidate Countries. Synthesis Report of National Baseline Studies in Eight Countries: Bulgaria, Croatia, Hungary, Lithuania, Macedonia, Poland, Slovak republic and Turkey*, UNDP/EC, 2007, გვ. 55; *CSR Implementation Guide: Non-legislative Options for the Polish Government*, The World Bank, 2006.

²⁹⁰ იქვე.

ბაზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რომ მთავრობას შეუძლია CSR პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული ფუნქციები სხვადასხვაგვარად ჩართოს სხვადასხვა სამთავრობო უწყებათა საქმიანობასა და ვალდებულებებში.

ეს ფუნქციები შეიძლება დაემატოს უკვე არსებული სამთავრობო ორგანოების ფუნქციებს, შეიძლება აგრეთვე სპეციალურად ამ მიზნით შეიქმნას დამოუკიდებელი უწყებები – სამინისტრო, ბიურო, სააგენტო და სხვა (მაგ., დიდ ბრიტანეთში შეიქმნა CSR სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა). ეს ახალი უწყებები შეიძლება შეიქმნას მთავრობის უკვე არსებული ადმინისტრაციული სტრუქტურის ფარგლებში ან როგორც ავტონომიური ან ნახევრად ავტონომიური უწყებები.

კონკრეტულად, საქართველოს რეალობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია, გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- ✓ განისაზღვროს, რომელი სამინისტროები იქნება აქტიურად ჩართული CSR ეროვნული პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, გაიწეროს მათი ფუნქციები და ვალდებულებები, შემუშავდეს ამ სამინისტროთა სამოქმედო გეგმები, რომლებიც იქნება შეთანხმებული ერთმანეთთან და შესაბამისობაში იქნება ეროვნულ სახელმწიფო პოლიტიკასა და სტრატეგიასთან.

საქართველოს მთავრობის შემადგენლობის გათვალისწინებით, სამინისტროები, რომლებიც, მათი საქმიანობის შინაარსიდან გამომდინარე, აქტიურად უნდა ჩაერთონ CSR ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში, შემდეგია:

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- გარემოს დაცვის სამინისტრო;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

თითოეული სამინისტრო თავის სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს საკუთარი კომპეტენციის სფეროში CSR-ის შესაბამისი კომპონენტის დანერგვა-განვითარების მიზნით. მაგალითად, გარემოს დაცვის სამინისტრომ შეიძლება შეიმუშაოს ეროვნული კრიტერიუმები ეროვნული გარემოსდაცვითი მარკირებისათვის და დაანესოს ეროვნული გარემოსდაცვითი ეტიკეტები, ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემების დანერგვას და გამოუშვას იმ კომპანიების ყოველწლიური რეესტრი, რომელთაც აქვთ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემები, იზრუნოს გარემოს დამზოგი ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობაზე კერძო სექტორში და ა.შ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ინიცირებას გაუკეთებს და კოორდინირებას გაუწევს CSR-თან დაკავშირებულ კვლევებს, ტრენინგებსა და სემინარებს, ხელს შეუწყობს უმაღლესი სასწავლებლების პროგრა-

მეზში CSR სწავლების ჩართვას და ა. შ.; ფინანსთა სამინისტრო იზრუნებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების შერჩევის კრიტერიუმებში გათვალისწინებული იყოს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები და ა.შ.; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იზრუნებს შრომითი უსაფრთხოების ნორმების, მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობების სტანდარტების დანერგვაზე ბიზნეს საქმიანობაში და ა.შ. (CSR ხელშეწყობის აღნიშნული ინსტრუმენტების შესახებ დანვრილებით იხ. ქვემოთ, რეკომენდაციათა შემდეგ პარაგრაფებში).

- ✓ იმისათვის, რომ უკეთ მოხდეს პოლიტიკისა და საქმიანობათა კოორდინირება, აგრეთვე ეფექტურად წარიმართოს CSR საკითხებში ჩართულ სხვადასხვა სამინისტროთა ურთიერთთანამშრომლობა, მიზანშეწონილია, გამოიყოს ერთი კონკრეტული წამყვანი სამინისტრო/უნყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ქვეყნის მასშტაბით CSR ხელშეწყობ საქმიანობათა განხორციელებასა და კოორდინირებაზე. ჩვეულებრივ, ეს არის ხოლმე სამინისტრო, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ან სოციალურ საკითხებზე არის პასუხისმგებელი. საქართველოსათვის ამგვარ სამინისტროს შეიძლება წარმოადგენდეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

იტალიაში CSR სამთავრობო პოლიტიკის შექმნასა და საქმიანობათა კოორდინირებაში წამყვანი როლი ეკისრება შრომისა და სოციალური საკითხების სამინისტროს. თუმცა, გარემოსდაცვით საკითხებზე პოლიტიკას შეიმუშავებს გარემოს დაცვის სამინისტრო. მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და საჯარო ადმინისტრაცია აგრეთვე ჩართულია CSR პოლიტიკის განხორციელებაში. იტალიაში CSR საჯარო პოლიტიკის ერთერთი დამახასიათებელი თავისებურებაა მისი დეცენტრალიზაცია რეგიონალური მთავრობების ინიციატივების მეშვეობით.

დიდ ბრიტანეთში ვაჭრობისა და მრეწველობის დეპარტამენტი წარმართავს CSR საქმიანობებს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მინისტრის მეშვეობით. 12-ზე მეტი სხვადასხვა სამთავრობო უწყება ახორციელებს სხვადასხვა CSR პროგრამას მათი კომპეტენციის სფეროების მიხედვით.

კანადაში CSR-ის სხვადასხვა ასპექტზე სახელმწიფო პოლიტიკის პასუხისმგებლობა განაწილებულია ფედერალურ და რეგიონულ მთავრობებს შორის. ფედერალურ დონეზე, მრეწველობის დეპარტამენტი წამყვან როლს თამაშობს CSR-ის განვითარებაში. ის კოორდინირებას უწევს CSR საქმიანობებს რამდენიმე სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, კერძოდ, ჯანდაცვის, საგარეო საქმეთა და საერთაშორისო ვაჭრობის, ბუნებრივი რესურსების, გარემოს დაცვის, ადამიანური რესურსებისა და განვითარების სამინისტროებთან და კანადის საერთაშორისო საინვესტიციო სააგენტოსთან თანამშრომლობით.

ბელგიაში CSR საკითხები ფედერალური მთავრობის პასუხისმგებლობაშია და მათ კოორდინირებას უწევს მდგრადი განვითარების სამინისტროთაშორისი კომისია, რომელშიც წარმოდგენილია ყველა ფედერალური ადმინისტრაცია.

პოლონეთში კი შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო წარმოადგენს წამყვან სამინისტროს CSR ხელშეწყობის საქმიანობებში.

- ✓ აღნიშნულ წამყვან სამინისტროში შესაძლებელია შეიქმნას რაიმე საგანგებო უწყება, მაგ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დეპარტამენტი, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავებული CSR – ის განვითარებით. შესაძლებელია აგრეთვე CSR საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის სამინისტროთაშორისი სტრუქტურის, ანუ სამინისტროთაშორისი კომისიის შექმნა. გარდა ამისა, ზემოთ ჩამოთვლილთაგან თითოეულ სამინისტროში, რომელიც ჩართული იქნება CSR ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში (გარემოს დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ფინანსთა და ა.შ. სამინისტროები), შეიქმნას დამატებითი საშტატო ერთეულები CSR საკითხების კოორდინირებისათვის ან დაევალოს ეს საკითხები მოქმედ საჯარო მოხელეებს.

მაგალითად, რუმინეთის შრომის სამინისტროში დაარსდა კორპორაციული პასუხისმგებლობის დირექტორატი (Directorate for Corporate Social Responsibility), რომელიც აღნიშნული სამინისტროს ფარგლებში კორპორაციული პასუხისმგებლობის ხელშეწყობის საკითხებით არის დაკავებული.

სლოვენიაში ჩამოყალიბდა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის სამინისტროთაშორისი ჯგუფი, რომელიც ამზადებს CSR-ზე სლოვენის სამთავრობო პოლიტიკის საფუძვლებს და უზრუნველყოფს სხვადასხვა სამინისტროთა კოორდინირებულ საქმიანობას.

1.5. კანონმდებლობის ანალიზი და შესაბამისი ცვლილებების შემუშავება

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსებითი მახასიათებელი მისი ნებაყოფლობითი ხასიათია, ანუ პასუხისმგებელი კომპანიები საკუთარ თავზე ნებაყოფლობით იღებენ უფრო მეტ ვალდებულებებს, ვიდრე ეს მათ კანონით მოეთხოვებათ. მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო რეგულირება მჭიდროდ უკავშირდება CSR საკითხებს. ერთი მხრივ, სოციალური პასუხისმგებლობის საფუძველს სწორედ არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა წარმოადგენს (ამდენად, არსებითია, რომ მთავრობამ დაანესოს მინიმალური სავალდებულო მოთხოვნები ბიზნესისათვის სოციალურ და გარემოსდაცვით სფეროებში და უზრუნველყოს მათი შესრულება), ხოლო, მეორე მხრივ, კანონმდებლობით რეგულირდება ცალკეული მიდგომები, რომლებიც მთავრობის მხრიდან კორპორაციულ

ლი სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებასა და პასუხისმგებელი კომპანიების წახალისებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, საკანონმდებლო რეგულირება CSR-ის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის არსებით ნაწილს წარმოადგენს (საკანონმდებლო რეგულირებასა და CSR-ს შორის კავშირის შესახებ დანვრილებით იხ. ამ ნაშრომის თავი V).

ამდენად, რეკომენდებულია:

- ✓ ჩატარდეს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი იმ ფაქტორებთან მიმართებით, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს CSR-ის განვითარებას. აღნიშნული საკანონმდებლო კვლევა ხელისუფლების ინიციატივით უნდა განხორციელდეს შესაბამისი საექსპერტო-კვლევით, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.
- ✓ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები (ისეთ სფეროებში, როგორებიცაა გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, შრომითი უფლებები, მომხმარებელთა უფლებები, მრავალფეროვნება და თანაბარი შესაძლებლობები, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე, ღირსეული შრომა და ა.შ.), რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნულ სფეროებში მინიმალური სტანდარტების შესრულებას, სტიმულს მისცემს კომპანიათა პასუხისმგებელ მიდგომებს და ხელს შეუწყობს CSR-ის განვითარებას საქართველოში (ამ რეკომენდაციების შემდგომ პარაგრაფებში აგრეთვე იქნება საუბარი კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეეხება CSR-თან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვებს, პასუხისმგებელ რეკლამას, მდგრადი განვითარების ანგარიშგებას და ა. შ.).
- ✓ გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია ცალკეული CSR ასპექტების მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციების განხორციელების უზრუნველყოფა და ბიზნეს წრეებში მათი დანერგვის ხელშეწყობა. კერძოდ, ამ ნაშრომის VI თავში დანვრილებით არის განხილული საერთაშორისო ინსტრუმენტები (დეკლარაციები, კონვენციები და ა. შ.), რომლებიც არეგულირებს CSR-ის სხვადასხვა კომპონენტს (ადამიანის უფლებებს, შრომით უფლებებს, გარემოს დაცვას, კორუფციასთან ბრძოლას და ა.შ.). საქართველო მიერთებულია მათ უმრავლესობას. თუმცა, ხშირად პრობლემას წარმოადგენს აღნიშნულ საერთაშორისო შეთანხმებათა აღსრულება. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ტიპის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირებით თუ მასთან მიერთებით (მაგ. გაეროს ეგიდით მიღებული სავალდებულო ძალის აქტებით, როგორებიცაა საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და მისი დამატე-

ბიტი ოქმი, რომლებიც სავალდებულო ძალის მატარებელი დოკუმენტებია იმ ქვეყნებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს და რატიფიცირება გაუკეთეს მათ), ამ ხელშეკრულებათა დაცვა სავალდებულო ხდება ქვეყანაში მოქმედი ყველა ბიზნეს კომპანიისათვის ისევე, როგორც ფიზიკური პირების, სხვა ორგანიზაციისა და სახელმწიფო უწყებებისათვის.²⁹¹ შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ზემოხსენებული კონვენციებით აღებული ვალდებულებებისა თუ ნებაყოფლობითი შეთანხმებების დეტალური რეგლამენტაცია შიდა საკანონმდებლო აქტების საშუალებით, ისეთი სამართლებრივი და ადმინისტრაციული კონტექსტის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს კომპანიების მიერ ამ ნორმებისა და სხვა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების განხორციელებას.

ზოგიერთი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტითა თუ სახელმძღვანელო მითითებებით შეთანხმებული უფლებებისა და ვალდებულებების დაცვა კი საქართველოს ბიზნეს სექტორის ნებაყოფლობით არჩევანს წარმოადგენს (მაგ., ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა“, რომელიც დეკლარაციული ხასიათის შეთანხმებას წარმოადგენს) – ამ შემთხვევაში მთავრობის ფუნქციაა ხელი შეუწყოს და წაახალისოს ბიზნესი აღნიშნულ ვალდებულებათა შესასრულებლად.

- ✓ აგრეთვე რეკომენდებულია, რომ საქართველო მიუერთდეს CSR-ის სხვადასხვა ასპექტის მარეგულირებელ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებებსა და ინიციატივებს, რომლებსაც ჯერ-ჯერობით არ არის მიერთებული, როგორებიცაა, მაგალითად, OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები მრავალეროვანი საწარმოებისათვის“, აგრეთვე OECD-ის კონვენცია საერთაშორისო ბიზნეს ტრანსაქციებში უცხოელი საჯარო მოხელეების მექრთამეობასთან ბრძოლის შესახებ“.

OECD-ის სახელმძღვანელო მითითებები“ სახელმძღვანელო დოკუმენტს წარმოადგენს არა მხოლოდ მულტინაციონალური საწარმოებისათვის, არამედ მრავალი საშუალო და მცირე ეროვნული კომპანიისათვის პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის სფეროში. OECD წევრი ქვეყნები და დანარჩენი ქვეყნები, რომლებიც ოფიციალურად შეუერთდნენ ამ სახელმძღვანელო მითითებებს“, იღებენ ვალდებულებას ხელი შეუწყონ ამ პრინციპების დანერგვას როგორც საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედ კომპანიებში, ასევე იმ ნაციონალურ კომპანიებში, რომლებიც საზღვარგარეთ საქმიანობენ

²⁹¹ საქართველოს კონსტიტუციის, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ქვეყანაში მოქმედი ყველა სხვა სამართლებრივი აქტის მიმართ.

1.6. CSR ხელშემწყობი საერთაშორისო ორგანიზაციების, ინიციატივებისა და პროგრამების ხელშემწყობა

ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა შედარებით ახალ მოვლენას წარმოადგენს, მთავრობები აქტიურად უწყობენ ხელს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წამოწყებულ პროექტებს, რომელთა მიზანია CSR-ის დანერგვა და განვითარება.

მიზანშეწონილი იქნება, რომ საქართველოს მთავრობაც უფრო აქტიურ მხარდაჭერას უცხადებდეს სხვადასხვა საერთაშორისო ინიციატივასა და პროექტს, რომლებიც CSR-ის განვითარებისკენ არის მიმართული. ასეთია, მაგალითად, გაეროს გლობალური შეთანხმება“ (UN Global Compact) და მისი რეგიონული ქსელი საქართველოში, ანგარიშგების გლობალური ინიციატივა (Global Reporting Initiative), ბიზნეს ლიდერთა საერთაშორისო ფორუმი (International Business Leaders Forum), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმძღვანელო მითითებები მულტიინაციონალური საწარმოებისთვის“ და სხვა.²⁹²

2007 წელს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთავრობების მხარდაჭერით გაეროს განვითარების პროგრამამ ამ ქვეყნებში დაიწყო ახალი რეგიონული პროექტი, რომლის მიზანია ევროკავშირის ახალ წევრ და კანდიდატ ქვეყნებში CSR-ის დანერგვის ხელშემწყობა და დაჩქარება.

გერმანიისა და საფრანგეთის მთავრობები ფინანსურ დახმარებას უწევენ გაეროს გლობალურ შეთანხმებას“. მაგალითად, გერმანიის ფედერალური მთავრობის თანადაფინანსებით 2002 წელს მოეწყო გლობალური შეთანხმების“ მეორე სასწავლო ფორუმი ბერლინში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბიზნესის, სამეცნიერო წრეებისა და გაეროს წარმომადგენლებმა მთელი მსოფლიოდან. საფრანგეთის მთავრობა კი მოუწოდებს ფრანგულ კომპანიებს განევიწყონ გლობალური შეთანხმების“ ქსელში; მთავრობის ინიციატივით შეიქმნა აგრეთვე ეროვნული საკონტაქტო პირის თანამდებობა კომპანიების, განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიების სტიმულირებისათვის გლობალურ შეთანხმებაში“ გასაერთიანებლად და გამოცდილების გასაზიარებლად.

შვედეთის, ნორვეგიის, პოლანდიისა და სხვა ევროპულ ქვეყანათა მთავრობები აგრეთვე აქტიურად უჭერენ მხარს ანგარიშგების გლობალურ ინიციატივას“, ხოლო ბრიტანეთის მთავრობა – ინგლისში განთავსებულ საერთაშორისო ასოციაციას ბიზნესი და საზოგადოება“ (International Association for Business in the Society/EABIS), რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ინიციატივას წარმოადგენს CSR სფეროში.

²⁹² აღნიშნული საერთაშორისო ინიციატივების დანვრილებით არის განხილული ამ ნაშრომის VI თავში.

2. ცნობიერების ამაღლება და ცოდნის მიწოდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ

საქართველოსთვის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, პრაქტიკულად, ახალი სფეროა. მხოლოდ ცალკეული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ბიზნეს წრეები და ექსპერტები იცნობენ ამ საკითხს. ამდენად, CSR-ის შემდგომი დანერგვისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, ბიზნეს წრეების, საზოგადოების სხვადასხვა სექტორისა და ზოგადად მოსახლეობის, ასევე უშუალოდ სახელისუფლებო წრეებისა და სამთავრობო სტრუქტურების ცნობიერების ამაღლებას სოციალური პასუხისმგებლობის არსისა და როლის შესახებ (რაც გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს ევროპისა და სხვა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში), ხოლო მეორე მხრივ, CSR-თან დაკავშირებული საკითხების კვლევას და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნევა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

2.1. ცნობიერების ამაღლება

როგორც მომხმარებლები, ისევე ბიზნესი ჩაკეტილია წარმოებისა და მოხმარების გარკვეულ მოდელებში. არაერთ გამოკვლევამია აღნიშნული, რომ CSR ეფექტურად იმუშავებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება ქცევის მოდელების მნიშვნელოვანი ცვლილება როგორც ბიზნეს თანამეგობრობაში, ასევე მომხმარებლებში/საზოგადოებაში. ამგვარი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ ცნობიერების ამაღლების ინტენსიური კამპანიების ფონზე. მიზანშეწონილია, რომ ცნობიერების ამაღლების კამპანიის სამიზნე ჯგუფს თავდაპირველად მსხვილი და საშუალო ბიზნეს კომპანიები წარმოადგენდეს; შემდეგ ისინი მაგალითის მიმცემი გახდებიან მცირე საწარმოებისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკა ხელისუფლების მხრიდან ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის რამდენიმე ბერკეტს გვთავაზობს, რომლებიც საქართველოშიც უდავოდ გამოსადეგი იქნება:

- ✓ ყოველწლიური ფართომასშტაბიანი *CSR ეროვნული კონფერენციის* ინიცირება და მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ბიზნეს სექტორის, სახელისუფლებო წრეების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მასმედიის წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები, აგრეთვე უცხოელი ექსპერტები იმ ქვეყნიებიდან, რომლებშიც CSR ბევრად უფრო განვითარებულია. სასურველია კონფერენციის მასალების ფართო გავრცელება დაინტერესებულ მხარეთა შორის და კონფერენციის გაშუქება მედიასაშუალებების მიერ.

- ✓ მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით, სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციასთან პარტნიორობით საკომუნიკაციო კამპანიების მოწყობა როგორც ზოგადად CSR-ის არსის, ფორმებისა და მნიშვნელობის, ისე მისი ცალკეული ასპექტების შესახებ (მაგ., ადამიანის უფლებები, შრომითი უფლებები, პროდუქციაზე პასუხისმგებლობა, გარემოს დაცვა და ა.შ.). საკომუნიკაციო კამპანიების სამიზნე ჯგუფს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ზოგადად საზოგადოება, ისე ცალკეული სექტორები და ჯგუფები, მაგალითად, ბიზნეს სექტორი, მცირე და საშუალო საწარმოები, სახელმწიფო საწარმოები, ბიზნეს ასოციაციები, მედიასაშუალებები, სახელისუფლებო სტრუქტურები და ა.შ.
- ✓ *მასშედის როლი* ზოგადად ცნობიერების ამაღლებაში, როგორც წესი, განსაკუთრებულია. მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, მედიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება CSR-ის ხელშეწყობაში კომპანიათა საქმიანობის გაშუქების, უპასუხისმგებლო ქმედებათა გამოვლენისა და დადებითი მაგალითების პოპულარიზაციის, ასევე მომხმარებელთა ინფორმირების გზით. ამდენად, მიზანშეწონილია ხელისუფლების მხრიდან შეიქმნას *მასშედისთან მუშაობის ცალკე მინი-სტრატეგია*, რათა ჟურნალისტები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებულნი CSR-ის შესახებ, საზოგადოებას მიანდონ სწორი ინფორმაცია და ეფექტურად ჩაერთონ CSR საკითხების გაშუქებაში. სასურველია, მთავრობამ ხელი შეუწყოს ჟურნალისტებისათვის შესაბამისი სემინარ-ტრენინგების ციკლის ჩატარებას; სხვადასხვა გზით წახალისოს CSR-ზე სტატიების გამოქვეყნება ეროვნულ მედიასაშუალებებში; მაგალითად, შესაძლოა, მედიის სტიმულირების მიზნით, დაწესდეს სპეციალური ნომინაციები საუკეთესო CSR-სტატიის, სიუჟეტის და სხვა ამგვარი მასალის მომზადებისათვის. აგრეთვე მიზანშეწონილია, განათლების სამინისტრომ რეკომენდაცია გაუწიოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე CSR-ის სწავლების შემოღებას.
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე *მომხმარებლებისა* და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების ინფორმირებასა და ცნობიერების ამაღლებას პასუხისმგებელი სამომხმარებლო მოდელების დანერგვის მიზნით,²⁹³ რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებაში. ამ მიზნით, მიზანშეწონილია სპეციალური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, ასევე ტრენინგებისა და მრგვალი მაგიდების ორგანიზება და ა. შ.
- ✓ ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების ცალკე სამიზნე ჯგუფად უნდა გამოიყოს *სახელმწიფო უწყებები*, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, სახელმწი-

²⁹³ პასუხისმგებელი მომხმარებელი გულისხმობს მომხმარებლის მიერ პროდუქციის შერჩევისას, ხარისხისა და ფასის გარდა, წარმოების პროცესის სოციალური და გარემოსდაცვითი პარამეტრების გათვალისწინებას.

ფო კომპანიები და საჯარო სერვისის მიმწოდებელი კომპანიები, ადმინისტრაციული ორგანოები, გადანაცვლებების მიმღები პირები და ა.შ. მნიშვნელოვანია მათი ცნობიერების ამაღლება და სათანადო ცოდნის მიწოდება სემინარებისა და ტრენინგების მეშვეობით, შესაბამისი მაგალითების პოპულარიზაციის გზით და ა. შ.

2.2. კვლევები

ცნობიერების ამაღლების გარდა, CSR-ის დანერგვის ინსტრუმენტს წარმოადგენს შესაბამისი კვლევების ხელშეწყობა, რაც მრავალი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია. მიზანშეწონილია, რომ საქართველოს მთავრობამაც მხარი დაუჭიროს სხვადასხვა კვლევით პროგრამას CSR საკითხებზე – იქნება ეს ანალიტიკური კვლევები, პრაქტიკული მაგალითების შესწავლა თუ სოციოლოგიური გამოკითხვები.

კვლევების უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ქვეყანაში CSR-ის განვითარების დაბრკოლებებისა და შესაძლო სტიმულების შესწავლა, ბიზნეს კომპანიებში CSR-ის განვითარების მხარდაჭერის კონკრეტული ღონისძიებებისა და მექანიზმების გამოვლენა, დაინტერესებულ მხარეთა და კომპანიების მოლოდინებისა და მოსაზრებების შესწავლა, კორპორაციული ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და დადებითი მაგალითების გამოვლენა, ასევე მიღწეული შედეგების შეფასება, CSR-ის ზეგავლენის შესწავლა კომპანიის წარმატებასა და ბიზნეს საქმიანობაზე და ა.შ.

სათანადოდ ჩატარებული კვლევები დიდ დახმარებას გაუწევს როგორც ხელისუფლებას, ასევე ბიზნეს სექტორს და დაინტერესებულ მხარეებს CSR-ის დანერგვის სტრატეგიის სწორი ორიენტირების შერჩევაში.

მთავრობის მხრიდან კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა შეიძლება გამოიხატოს ფინანსურ მხარდაჭერაში: საექსპერტო ორგანიზაციებისათვის კვლევების დაკვეთაში, არსებული კვლევითი პროექტების თანადაფინანსებაში, თემატური გრანტების გაცემაში CSR-თან დაკავშირებულ კვლევით პროექტებზე, სპეციალური კვლევითი ინსტიტუტის დაარსებაში, რომელიც CSR საკითხებზე იმუშავებს და ა.შ.

მაგალითად, დანიის მთავრობამ დააფინანსა დანიის სოციალური კვლევების ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებული კვლევა ქვეყანაში CSR-ის განვითარების შესახებ; ასევე ეროვნული მასშტაბის კვლევა კერძო სექტორში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ.

ავსტრალიის მთავრობის დაკვეთით 2006 წელს ჩატარდა ორი მსხვილმასშტაბიანი კვლევა CSR-ის ზეგავლენის შესახებ ბიზნეს საქმიანობაზე.

ესპანეთის საპარლამენტო ქვეკომისიის ინიციატივითა და მხარდაჭერით 2006 წელს ჩატარდა იმ ინსტრუმენტებისა და გასატარებელი ღონისძიებების მიმოხილვა, რომლებიც ქვეყანაში CSR-ის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

2.3. დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობა

დაინტერესებულ მხარეთა დიალოგი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის არსებით კომპონენტს წარმოადგენს. როგორც არაერთ სპეციალურ კვლევაშია აღნიშნული, კონსტრუქციული დიალოგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის.

რადგანაც საქართველოში CSR კონცეფციის გააზრება არასაკმარისია და ცნობიერების დონე ამ საკითხზე – დაბალი, დაინტერესებულ მხარეთა დიალოგი ხელს შეუწყობს აზრთა გაზიარებასა და ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას ჩვენს ქვეყანაში CSR-ის დანერგვის მნიშვნელობისა და მექანიზმების შესახებ. შესაბამისად, მიზანშეწონილია:

- ✓ საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყოს სხვადასხვა სექტორების წარმომადგენელთა დიალოგს *თემატური მრგვალი მაგიდებისა და ფორუმების* ორგანიზებით, რომლებიც სხვადასხვა მხარეთა წარმომადგენლებს გააერთიანებს.

მაგალითად, *იტალიის* მთავრობამ დააარსა CSR დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი (multistakeholder forum), რომელიც აერთიანებს დამსაქმებელთა ასოციაციების, პროფკავშირებისა და სამოქალაქო საზოგადოების 50 წარმომადგენელს. ფორუმის პრეზიდენტია შრომისა და სოციალური საკითხების მინისტრი.

2001 წელს დაარსდა *ფინეთის* ეთიკური ფორუმი, რომელიც აერთიანებს კომპანიათა, პროფკავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს და მიზნად ისახავს ბიზნეს ეთიკისა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხების შესახებ დიალოგის ხელშეწყობას.

2006 წელს *ბელგიის* მთავრობამ მოაწყო დაინტერესებულ მხარეთა ფორუმი, რომლის მიზანი იყო CSR ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება და CSR-ის ხელშეწყობი სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებების შემოთავაზება.

- ✓ მთავრობის მხრიდან დაინტერესებულ მხარეთა დიალოგის ხელშეწყობის მექანიზმს წარმოადგენს ასევე CSR საკითხებში წამყვანი სამინისტროს ბაზაზე *მუდმივმოქმედი სამეთვალყურეო კომისიის / მრჩეველთა საბჭოს* დაარსება, რომელიც დაკომპლექტებული იქნება სხვადასხვა სექტორთა წარმომადგენლებით (მთავრობა, ბიზნეს სექტორი, ბიზნეს ასოციაციები, სამოქალაქო ორგანიზაციები, პროფკავშირები, საერთაშორისო ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები და დამოუკიდებელი ექსპერტები) და რომელიც ეროვნული მაკოორდინირებული ორგანოს როლს შეასრულებს. მისი მიზანი იქნება ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეთა დიალოგს და მათ ჩართვას CSR პოლიტიკის შემუშავების პროცესში, კოორდინირება გაუნოს CSR ხელშეწყობის სა-

ქმიანობებსა და ინიციატივებს, რეკომენდაციები მიაწოდოს მთავრობას CSR განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესახებ, აგრეთვე მონიტორინგი გაუწიოს მის განხორციელებას. ამგვარი მაკოორდინირებული ორგანოები მრავალ ევროპულ ქვეყანაში არსებობს.

ესპანეთში 2003 წელს შეიქმნა ტექნიკურ მრჩეველთა საექსპერტო კომიტეტი CSR-ის საკითხებზე. კომიტეტში შედიან სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენლები (პარლამენტის, ეკონომიკური და სოციალური საკითხების კომიტეტის, რეგიონული ადმინისტრაციების) ასევე ბიზნესის, საზოგადოებრივი სექტორის და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. კომიტეტის დასკვნები და რეკომენდაციები გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს CSR ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაზე. კომიტეტმა აგრეთვე გამოაქვეყნა რამდენიმე ანგარიში, რომლებშიც განსაზღვრული იყო სახელმძღვანელო მითითებები ესპანეთში CSR-ის განვითარებისათვის.

ლიტვაში პრემიერ-მინისტრის ბრძანებულებით 2006 წელს შეიქმნა CSR სტრატეგიის განხორციელების მაკოორდინირებელი კომისია. კომისიაში შედიან შესაბამისი სამინისტროებისა და სხვა სამთავრობო უწყებების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სოციალური და ეკონომიკური პარტნიორების, სამეცნიერო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

3. ცოდნისა და უნარების განვითარება CSR-ის დანერგვის ხელშეწყობისათვის

3.1. ბიზნეს კომპანიების მიერ CSR-ის დანერგვისათვის საჭირო ცოდნისა და კომპეტენციის შექმნის ხელშეწყობა

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვა ბიზნეს საქმიანობაში ინოვაციურ მიდგომებს, სათანადო ცოდნასა და კომპეტენციას საჭიროებს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებობდეს სოციალური პასუხისმგებლობის ფორმებისა და მექანიზმების შესახებ ცოდნისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობები, რომლებიც იქნება ხელმისაწვდომი, ადეკვატური და კომპანიების საჭიროებებს მისადაგებული.

ბიზნესისათვის ამგვარი სასწავლო-საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დასავლეთის მრავალი განვითარებული ქვეყნის მთავრობათა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენს. მით უფრო მნიშვნელოვანია სწავლისა და ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანი შესაძლებლობების არსებობა საქართველოში, სადაც CSR ახლა იწყებს განვითარებას და კომპანიათა უმრავლესობა ამ სფეროში ცოდნის მწვავე დეფიციტს განიცდის.

2007 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ქართული კომპანიები საკუთარი კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარების ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად ასახელებენ ინფორმირებულობის არასაკმარის ხარისხს სოციალური პასუხისმგებლობის განხორციელების ფორმების შესახებ, ასევე სოციალური პასუხისმგებლობის პროექტების სათანადო დაგეგმვის, მართვისა და შედეგების შეფასების შესაბამისი გამოცდილების და ცოდნის ნაკლებობას (*იხ. თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა*, 2007)

ამდენად, საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას სწორედ ბიზნეს სექტორის მიერ CSR-ის დანერგვისათვის საჭირო ცოდნისა და კომპეტენციის შექმნის ხელშეწყობა უნდა წარმოადგენდეს, რაც რამდენიმე მიმართულებით შეიძლება წარიმართოს, კერძოდ:

- ✓ მთავრობამ სხვადასხვა მეთოდით ხელი შეუწყოს ბიზნეს კომპანიათა მენეჯერებისა და თანამშრომლების ტრენინგს CSR საკითხებზე (როგორებიცაა, მაგ., CSR პროგრამების მართვა, შედეგების შეფასება და კომუნიკაცია, კომპანიის CSR პოლიტიკის შემუშავება და ა.შ.). მთავრობამ ხელი შეიძლება შეუწყოს საქართველოში სპეციალური ტრენინგ-კურსების შემუშავებას (მაგ. დააარსოს სპეციალისტების სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს CSR ტრენინგ-პროგრამას ბიზნესისათვის; უზრუნველყოს ტრენინგების კვალიფიკაციის ამაღლება CSR საკითხებზე საზღვარგარეთის საწვავლო ცენტრებში); დამოუკიდებლად ან სხვა პარტნიორებთან ერთობლივად დააფინანსოს და ორგანიზება გაუკეთოს პროგრამებს, რომელთა ფარგლებში კომპანიათა წარმომადგენლებს ჩაუტარდებათ ტრენინგები CSR საკითხებზე და ა.შ.
- ✓ მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით (შესაბამის კვლევით და საექსპერტო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით) მომზადდეს CSR სახელმძღვანელო ბიზნეს კომპანიებისათვის და მოხდეს მისი პოპულარიზაცია.²⁹⁴

²⁹⁴ აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ქართულად გამოქვეყნდა სახელმძღვანელო ბიზნესისათვის “სამართლიანად გამარჯვება”. სახელმძღვანელო მოამზადა საკოორდინაციო ჯგუფმა საქართველოში გაეროს გლობალური ინიციატივის“ პროგრამის ფარგლებში. ქართული სახელმძღვანელო ნათარგმნი და ადაპტირებულია ბრიტანული ორგანიზაციის (ბიზნესი საზოგადოებაში) მიერ მომზადებული სახელმძღვანელოდან.

CSR სახელმძღვანელოები დასავლეთის არაერთი განვითარებული ქვეყნის მთავრობათა ინიციატივითა და დაკვეთით აქვს მომზადებული სხვადასხვა საექსპერტო ფგუფს. მაგ., კანადის მთავრობის ინიციატივით მომზადდა სახელმძღვანელო: CSR – an implementing guide for Canadian Business; ევროკომისიის ინიციატივითა და დაკვეთით მომზადდა სახელმძღვანელო ბიზნესისათვის: ABC of the main instruments of corporate social responsibility; CSR სახელმძღვანელო ლიტვური კომპანიებისათვის 2006 წელს მოამზადა ლიტვის შრომისა და სოციალურ კვლევათა ინსტიტუტმა ლიტვის სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის სამინისტროს დაკვეთით და ა.შ.

- ✓ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს *CSR-ზე ცოდნისა და ექსპერტიზის ხელმისაწვდომობას მცირე და საშუალო კომპანიებისათვის* (რადგან მცირე საწარმოებს ამისათვის ხშირად არ ჰყოფნით საკუთარი რესურსები). მაგალითად, უფასო კონსულტაციების მიწოდების გზით, მათთვის სპეციალური სახელმძღვანელო მითითებების შემუშავების ან არსებულის თარგმნისა და ქართულ რეალობასთან ადაპტირების გზით, სპეციალური ტრენინგ-კურსების შემუშავების ხელშეწყობით, მცირე საწარმოებისთვის გამოცდილების გაზიარების ღონისძიებების ორგანიზებით და ა. შ.
- ✓ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს ქვეყნის მთავრობათა მიერ სპეციალური *ეროვნული CSR ვებ-გვერდის დაარსება*, რაც საქართველოშიც მიზანშეწონილი იქნება; ვებ-გვერდზე თავმოყრილი უნდა იყოს ინფორმაცია ეროვნული CSR პოლიტიკისა და გატარებული თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, ამ სფეროში განხორციელებული ინიციატივებისა და დადებითი მაგალითების შესახებ, აგრეთვე სასწავლო რესურსების, საკონსულტაციო და ტრენინგ ორგანიზაციების, ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, განთავსებული უნდა იყოს არსებული სასწავლო-საგანმანათლებლო და მეთოდური მასალები, სასარგებლო ბმულები და ა.შ. (ამგვარი ვებ-გვერდები არაერთი ქვეყნის მთავრობას აქვს დაარსებული. მაგ., დანიის მთავრობას – <http://www.csr.gov.dk>; ბრიტანეთის მთავრობას: www.csr.gov.uk).
- ✓ მთავრობამ ან რომელიმე სამთავრობო უწყებამ სასურველია აგრეთვე დააარსოს *CSR საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრი* (ამგვარი ცენტრები მრავალ ევროპულ ქვეყანაში არსებობს). ცენტრის ფუნქციებია ბიზნეს კომპანიებისათვის ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაციების გაწევა ან შესაბამისი საექსპერტო ორგანიზაციების მითითება, რომლებიც შემდგომ უფრო ჩაღრმავებულ კონსულტაციას გაუწევენ მათ, სემინარების და სხვა სასწავლო პროგრამების ორგანიზება და ა.შ.

ნიდერლანდების მთავრობამ 2002 წელს დააარსა დამოუკიდებელი საგანმანათლებლო და საინფორმაციო ცენტრი CSR-ზე“, რომელსაც ძირითადად ეკონომიკის სამინისტრო აფინანსებს.

✓ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის და მასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვა უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში. ბიზნეს სკოლებს, უნივერსიტეტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა შეუძლიათ CSR-ის დანერგვისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში. უმაღლეს სასწავლებლებში CSR-თან დაკავშირებული საკითხების სწავლების დანერგვა საფუძველს შეუქმნის ბიზნეს კომპანიათა მენეჯერების ახალი თაობის მომზადებას, რომელთაც ექნებათ CSR პროგრამების განხორციელებისა და მართვის ადეკვატური ცოდნა და უნარები.

ევროპის ქვეყნებში დიდ ყურადღებას აქცევენ CSR-ის, როგორც დამოუკიდებელი საგნის სწავლებას, ასევე CSR-ისა და მდგრადი განვითარების საკითხების ინტეგრირებას სხვადასხვა არსებულ სასწავლო კურსში.

2002 წლის დეკემბერში ლუვენის კათოლიკურმა პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა (Catholic Polytechnic of Leuven –KHLuven) ევროპის სოციალური ფონდისა და ბელგიის მთავრობის მხარდაჭერით წამოიწყო ინსტიტუტის ბიზნეს ფაკულტეტის სასწავლო კურსებში CSR-ის ინტეგრაციის პროექტი.

ვენის ეკონომიკისა და ბიზნეს ადმინისტრირების უნივერსიტეტმა (Vienna University of Economics and Business Administration) და მდგრადი განვითარების მენეჯმენტის კვლევითმა ინსტიტუტმა (Research Institute for Managing Sustainability) ერთობლივად შეიმუშავეს დიპლომი CSR სფეროში.

2003 წლის ოქტომბერში მენეჯმენტის განვითარების ევროპის ფონდმა (European Foundation for Management Development - FEMD) ხელი მოაწერა პარტნიორობის შეთანხმებას გლობალურ შეთანხმებასთან“. შეთანხმების მიზანია სწავლებისა და განათლების გზით უფრო პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის დანერგვა და ხელშეწყობა. ძირითადი მიდგომაა პასუხისმგებელი ბიზნეს ლიდერების ახალი თაობის გაზრდა უნივერსიტეტებსა და ბიზნეს სკოლებში ახალი კურიკულუმების შემუშავებითა და CSR-ის სწავლების დანერგვის მეშვეობით.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყო უმაღლეს სასწავლებლებში CSR სწავლების დანერგვას, რაც სხვადასხვა ხელშემწყობ ღონისძიებას მოიცავს:

- საქართველოს მთავრობამ, განათლების სამინისტროს მეშვეობით, მოამზადოს რეკომენდაციები CSR საკითხების ინტეგრაციის თაობაზე უმაღლესი განათლების პროგრამებში – როგორც უკვე არსებული დის-

ციპლინების სწავლებაში (მაგ., მენეჯმენტი, ბიზნეს ადმინისტრირება, საზოგადოებრივი ადმინისტრაცია და ა. შ.), ასევე მისი სწავლების შემოღების თაობაზე დამოუკიდებელ დისციპლინად (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში).

- სტუდენტებისა და პროფესორების გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა. ამ მიზნით, სასურველი იქნება უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ სამთავრობო საგრანტო პროგრამებში ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ შეიტანონ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (რაც შესაძლებელს გახდის უცხოელი პროფესორების საქართველოში მონვევასა და ქართველი სტუდენტებისა და პროფესორების საზღვარგარეთ სასწავლებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამგზავრებას).
- უმაღლეს სასწავლებლებში CSR საკითხების სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოებისა და სპეციალური ლიტერატურის შემუშავების, თარგმნისა და ადაპტირების ხელშეწყობა სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით.

3.2. მენეჯმენტის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა

მენეჯმენტის სისტემები და სქემები კომპანიის საქმიანობის სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების კიდეც ერთ გზას წარმოადგენს. მენეჯმენტის ინსტრუმენტების დანერგვა კომპანიას საშუალებას აძლევს თავიანთი ზოგადი CSR ვალდებულებები გადმოიტანონ კონკრეტულ ქმედებებში და უზრუნველყონ ამ საქმიანობათა ხარისხიანი მართვა.

არსებობს მრავალგვარი მენეჯმენტის სისტემა და სტანდარტი (მაგ., ხარისხის მართვის, გარემოსდაცვითი, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, სამუშაო პირობების სტანდარტები),²⁹⁵ რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ ორგანიზაციას სოციალური და გარემოსდაცვითი პრინციპები დანერგონ საკუთარ საქმიანობაში (ეს სისტემები, ჩვეულებრივ, მოიცავს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმების, აღრიცხვისა და შეფასების, აუდიტის, ანგარიშებისა და საქმიანობის ცალკეული ასპექტების დახვეწის ეტაპებს). ამდენად, შესაბამისი მენეჯმენტის სისტემების დანერგვა კომპანიებში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

- ✓ სასურველია, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა ფისკალური და ადმინისტრაციული სტიმულების მეშვეობით ხელი შეუწყოს ბიზნეს კომპანიებში საერთაშორისოდ აღიარებული მენეჯმენტის სტანდარტების დანერგვას (როგორებიცაა ISO სერიის სტანდარტები, AA 1000 სერიის სტანდარტები, EMAS და სხვ.). მთავრობის მხრიდან ხელშეწყობა

²⁹⁵ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სხვადასხვა ასპექტების მარეგულირებელი სტანდარტებისა და მენეჯმენტის სქემები დანვრილებით არის განხილული ნაშრომის VI თავში.

ყოფა შეიძლება გამოიხატოს სოციალური და გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სქემების დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნებთან, შესაბამისი სასერტიფიკაციო სააგენტოების განვითარების ხელშეწყობით, ცნობიერების ამაღლების კამპანიებით, ინფორმაციისა და დადებითი მაგალითების გავრცელებით, საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფით მენეჯმენტის მექანიზმების შესახებ, გარკვეული ფინანსური სტიმულებითა და ა.შ.

განვითარებული ქვეყნების მსხვილი კომპანიები ხშირად თავიანთ ბიზნეს პარტნიორებისაგან მოითხოვენ სერტიფიცირებული მენეჯმენტის სქემების დანერგვას. ამრიგად, სერტიფიცირებული სქემებისა და სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობით, ჩვენი მთავრობა ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და ქართული კომპანიების ჩართვას საერთაშორისო მინოდების ჯაჭვებში.

3.3. CSR-ის ხელშეწყობი საზოგადოებრივი და საექსპერტო ორგანიზაციების ხელშეწყობა

უშუალოდ ბიზნეს კომპანიების ცოდნისა და უნარების განვითარების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში არსებობდეს საექსპერტო-საკონსულტაციო და აუდიტორული ორგანიზაციები, რომლებიც სპეციალიზებული იქნებიან CSR-ის საკითხებში და სათანადო საექსპერტო მხარდაჭერას გაუწევენ ბიზნეს კომპანიებს. როგორც არაერთ გამოკვლევაშია აღნიშნული, ამგვარ ორგანიზაციებს შეუძლიათ კატალიზატორის ფუნქცია შეასრულონ და დაეხმარონ კომპანიებს პასუხისმგებელი მიდგომების დანერგვაში. საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ ახლა იწყებს განვითარებას და, შესაბამისად, ამ სფეროში ცოდნისა და უნარების ნაკლებობა ყველა სექტორში შეიმჩნევა. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია, რომ:

- ✓ მთავრობამ სპეციალური პროგრამების მეშვეობით ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას (მაგ., საექსპერტო ორგანიზაციების, კვლევითი ინსტიტუტების, ტრენინგ-პროვაიდერების, აუდიტორული კომპანიების და ა.შ.), რათა მათ აქტიურად იმუშაონ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დასაწერად, განავითარონ საკუთარი ცოდნა და კომპეტენცია ამ სფეროში და ბიზნეს კომპანიებს შესაბამისი საკონსულტაციო სერვისები შესთავაზონ.

მთავრობის ხელშეწყობი პროგრამები შეიძლება ითვალისწინებდეს: სამოქალაქო საკონსულტაციო ორგანიზაციებისათვის, ასევე აუდიტორული კომპანიებისათვის CSR საკითხებზე ტრენინგებისა და სპეციალური სასწავლო კურსების ორგანიზებას და/ან დაფინანსებას; იმ სამოქალაქო და საექსპერტო ორგანიზაციებისათვის, რომლებიც უკვე მუ-

შაობენ CSR სფეროში, ტრენინგებისა და საკონსულტაციო სერვისების დაკვეთას ბიზნეს კომპანიებისათვის.

- ✓ ქვეყანაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება აგრეთვე პროფკავშირების შემდგომ განვითარებას, რომელიც ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა სოციალურ-შრომით ურთიერთობებში.

4. გამჭვირვალობის ხელშეწყობა

გამჭვირვალობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. ის მოიაზრებს საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის ინფორმაციის მიწოდებას კომპანიის საქმიანობის წარმართველი ეთიკური პრინციპების, გარემოსა და საზოგადოებაზე მოხდენილი ზეგავლენის შესახებ.

4.1. ანგარიშგება

ბოლო წლებში საზოგადოებისა და დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნის საპასუხოდ, მსოფლიოს სულ უფრო მეტი კომპანია აქვეყნებს ინფორმაციას საკუთარი საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი მაჩვენებლების შესახებ, ანუ მდგრადი განვითარების ანგარიშებს/CSR ანგარიშებს. მდგრადი განვითარების ანგარიშგება ნელ-ნელა დადებით პრაქტიკად ყალიბდება დღევანდელ მსოფლიოში.

მდგრადი განვითარების ანგარიშგებამ სწრაფი ევოლუცია განიცადა: კორპორაციული ანგარიშგება გარემოსდაცვით საკითხებზე, ასევე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ 1970-იანი წლებიდან გვხვდება დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, როგორც ტრადიციული წლიური ანგარიშის დანამატი. უკანსაკნელ ხანებში, მდგრადი განვითარების საკითხების მნიშვნელობის გაცნობიერების ფონზე, გარემოსდაცვით საკითხებს ეთიკური და სოციალური საკითხებიც დაემატა. ამჟამად ტრადიციული მდგრადი განვითარების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მაჩვენებლების შესახებ.

მდგრადი განვითარების ანგარიშგება, ძირითადად, ნებაყოფლობითი ვალდებულებაა. თუმცა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში ყველა სერიოზული კომპანია საკუთარ თავზე იღებს ამ ვალდებულებას. ზოგიერთ ქვეყანაში არაფინანსური ანგარიშგების ცალკეული ასპექტები კანონით რეგულირდება (ანუ გარკვეული ტიპის კომპანიების, ზომისა და სექტორის მიხედვით, კანონით ეკისრება გარკვეული ტიპის ინფორმაციის წარმოდგენა ბუნებრივ გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის, ასევე საქმიან-

ნობის სოციალური პარამეტრების შესახებ). ეს ტენდენცია ისევე, როგორც დამოუკიდებელი მხარის მიერ ანგარიშის აუდიტის მოთხოვნის ტენდენცია, სულ უფრო მზარდია.

საფრანგეთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 2001 წელს საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირებული კომპანიებისთვის სავალდებულო გახადა მდგრადი განვითარების ანგარიშგება. ეკონომიკური საქმიანობის შესახებ კანონის თანახმად (Law No 2001-240, Art. 116) კომპანიებს მოეთხოვებათ ანგარიში წარმოადგინონ მთელი რიგი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც მოიცავს ადამიანის უფლებებს, საზოგადოებაზე/თემზე კომპანიის საქმიანობით მოხდენილ ზეგავლენას, შრომითი საქმიანობის სტანდარტებს, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას სამუშაო ადგილზე და გარემოსდაცვით საკითხებს.

რამდენიმე სხვა ევროპულ ქვეყანაშიც – მაგ., დანიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, შვედეთში არსებული კანონმდებლობით გარკვეული ტიპის კომპანიებს მოეთხოვებათ გარემოსდაცვითი ანგარიშების წარმოდგენა (დამოუკიდებელი 'მწვანე ანგარიშების' სახით ან ფინანსურ ანგარიშებთან ერთად). დიდმა ბრიტანეთმა კი გარემოსდაცვითი ანგარიშგების საგანგებო სახელმძღვანელო მითითებები შეიმუშავა.

შვედეთში 1999 წლიდან კომპანია, რომელიც ითხოვს გარკვეული სახის საქმიანობის ლიცენზიას, ვალდებულია წლიურ ფინანსურ ანგარიშში შეიტანოს ინფორმაცია გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შესახებ (მაგ., გაფრქვევების, წყლის მოხმარებისა და დაბინძურების, ქიმიკატების მოხმარების შესახებ და ა.შ.).

ანგარიშგება ზოგადად ხელს უწყობს CSR-ის განვითარებას, რადგანაც ის, ერთი მხრივ, შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს უკეთ შეაფასონ, დაგეგმონ და მართონ საკუთარი გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენები, გააუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა და ქცევის მოდელები, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს კომპანიათა სოციალურად პასუხისმგებელ საქმიანობაზე და ხელს უწყობს კონცეფციის პოპულარიზაციას, საზოგადოების მხრიდან კომპანიათა მიმართ ადეკვატური მოლოდინების ჩამოყალიბებას და, შესაბამისად, კომპანიათა პასუხისმგებლობის ზრდას.

სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები აქტიურად უწყობენ ხელს კომპანიათა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ზრდას. სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკა ამ საკითხში მოიცავს როგორც საკანონმდებლო რეგულირებას, ისე სხვადასხვა მეთოდებით ნებაყოფლობითი ანგარიშგების ნახალისებას.

საქართველოშიც CSR-ის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი წინაპირობა ანგარიშგების პრაქტიკის დამკვიდრება იქნება. სასურველი იქნება საქართველოს მთავრობამაც აქტიური ნაბიჯები გადადგას ამ მიმართულებით, კერძოდ:

- ✓ ნებაყოფლობითი ანგარიშგების სტიმულირება. მდგრადი განვითარების ანგარიშგების სტიმულირებისათვის საერთაშორისო პრაქტიკა განსხვავებულ მიდგომებს გვთავაზობს. იმ ქვეყნებისათვის, რომლებშიც CSR განვითარების სანაყის ეტაპზეა, რეკომენდებულია CSR ანგარიშგება სრულიად ნებაყოფლობითი ინიციატივა იყოს, ხოლო მისი სტიმულირება მთავრობას სხვადასხვა ხერხით შეუძლია, მაგ., ტრენინგებისა და სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებების ორგანიზებით, ცნობიერების ამაღლების კამპანიებით, ანგარიშმგებელი კომპანიების აღიარებითა და სხვადასხვაგვარი ნახალისებით, მაგ., კონკურსებისა და ჯილდოების მეშვეობით, ასევე ანგარიშგების მოთხოვნის დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვების პრაქტიკასთან და ა.შ.²⁹⁶

მაგალითად, კანადის მთავრობამ 2003 წელს კანადური კომპანიებისათვის ჩაატარა ნაციონალური მასშტაბის ტრენინგ-პროგრამა მდგრადი განვითარების ანგარიშგების საკითხებზე, ასევე მხარდაჭერა გაუწია 2001, 2003 და 2005 წლებში ჩატარებულ კვლევებს კანადური კომპანიების ანგარიშვალდებულებისა და ანგარიშგების პრაქტიკის შესახებ. კანადის მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით დაარსდა აგრეთვე სპეციალური ვებ-გვერდი სოციალურ ანგარიშგების მექანიზმებზე.

- ✓ საკანონმდებლო რეგულირების შემოღება. CSR-ის შემდგომი განვითარების კვალდაკვალ შესაძლებელია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირების შემოღება, ანუ გარკვეული ტიპის კომპანიებისათვის, მაგალითად, სახელმწიფო კომპანიებისათვის, საზოგადოებრივი მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებისათვის და ა. შ. ეტაპობრივად დაწესდეს გარკვეული ინფორმაციის გახსნის მოთხოვნა, მაგალითად, გარემოზე მოხდენილი ზეგავლენის შესახებ, სამუშაო პირობების, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, მრავალფეროვნებისა და არადისკრიმინაციული მოპყრობის, მომხმარებლებთან კომუნიკაციის შესახებ და ა.შ.

მაგალითად, *შვედეთში ყველა სახელმწიფო საწარმო ვალდებულია წარმოადგინოს ანგარიში გარემოზე, საზოგადოებასა და ეკონომიკაზე მოხდენილი ზეგავლენის შესახებ (იხ. Guidelines for external reporting by state-owned companies, Ministry of Enterprise, energy and Communications of Sweden, 2008).*

- ✓ ანგარიშგების საერთაშორისო ფორმატის დამკვიდრება. ფინანსური ანგარიშისაგან განსხვავებით, მდგრადი განვითარების ანგარიში შეიცავს მრავალ ხარისხობრივ ინფორმაციას, რომლის გაზომვაც რთულია. ამიტომ შემუშავდა საქმიანობის ზეგავლენის შეფასებისა და

²⁹⁶ აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია დასავლეთის ქვეყნებში და რეკომენდაციების სახით ასახულია სხვადასხვა სამთავრობო დოკუმენტში და მთავრობათათვის მიწოდებულ რეკომენდაციებში – იხ. მაგ. *CSR Implementation Guide: Non legislative options for the Polish government*, გვ. 36.

გაზომვის მრავალი სხვადასხვა სისტემა და ინდიკატორი. დღევანდელ მსოფლიოში სულ უფრო მზარდია ერთიანი, უნიფიცირებული, საყოველთაოდ აღიარებული ანგარიშგების სტანდარტის გამოყენების ტენდენცია. ამგვარ სტანდარტს წარმოადგენს ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (GRI) სტანდარტი.²⁹⁷ განვითარებად თუ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სტანდარტის დამკვიდრება, რაც მეტ სანდოობას ანიჭებს ანგარიშს როგორც დაინტერესებული მხარეების, ასევე უცხოელი პარტნიორებისა და ინვესტორების თვალში. საქართველოშიც ყველაზე მიზანშეწონილი იქნება ანგარიშგების ამ სტანდარტის დამკვიდრება. სასურველია მთავრობამ მხარი დაუჭიროს და ყოველნაირად წაახალისოს საქართველოში ამ სტანდარტის დამკვიდრება.²⁹⁸ აღნიშნული სტანდარტის ძირითადი დოკუმენტი სახელმძღვანელო მითითებები“ უკვე ნათარგმნია ქართულ ენაზე.²⁹⁹ მთავრობის მხარდაჭერა შეიძლება გამოიხატოს კომპანიებისათვის ტრენინგების/სემინარების ორგანიზების მხარდაჭერაში GRI მეთოდოლოგიის შესახებ, GRI სტანდარტის მხარდაჭერის დეკლარირებაში, სახელმწიფო უწყებებისა და სახელმწიფო კომპანიებისათვის GRI ფორმატით ანგარიშგების მოთხოვნაში და ა.შ.

მრავალი ქვეყანა სამთავრობო დონეზე უჭერს მხარს ანგარიშგების გლობალური ინიციატივის“ (GRI) სტანდარტს. მაგალითად, ჰოლანდიის მთავრობა, რომელმაც დააფინანსა ცალკეული GRI სასწავლო გამოცემების მომზადება. 2009 წელს *შვედეთისა და ნორვეგიის* საგარეო საქმეთა სამინისტროებმაც განაცხადეს, რომ ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევენ ანგარიშგების გლობალურ ინიციატივას“. ამ ქვეყნებს აგრეთვე საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ GRI სამთავრობო მრჩეველთა საბჭოში.

შვედეთში ყველა სახელმწიფო საწარმო ვალდებულია წარმოადგინოს მდგრადი განვითარების ანგარიში GRI ფორმატის მიხედვით.

- ✓ **სოციალური აუდიტის განვითარების ხელშეწყობა.** ანგარიშგების საკითხში არსებითია აგრეთვე გარე შეფასება. კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკისა და საქმიანობის შესახებ მისი მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ხშირად არ არის საკმარისი დაინტერესებულ მხარეთა ნდობის მოსაპოვებლად. მდგრადი განვითარების ანგარიშის /CSR ანგარიშის დამოუკიდებელი შეფასება და დადასტურება არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც ანგარიშმა შეი-

²⁹⁷ Global Reporting Initiative, იხ. <http://www.globalreporting.org/>

²⁹⁸ აღსანიშნავია, რომ მსგავსი რეკომენდაცია მიეცა ევროკავშირში ახალგანევრიანებულ და კანდიდატი ქვეყნების მთავრობებს, იხ. Line, M., Braun, R., Baseline Study on CSR Practices in the New Member States and Candidate Countries, გვ. 57.

²⁹⁹ ამ თარგმანის ნახვა შესაძლებელია ანგარიშგების გლობალური ინიციატივის ვებ-გვერდზე: <http://www.globalreporting.org/Home/LanguageBar/Georgian.htm> აგრეთვე ქართულ ვებგვერდზე: <http://csrdg.ge/>

ძლება ნდობა მოიპოვოს. ამგვარ გარე შეფასებას ხშირად სოციალური აუდიტის“ სახელით მოიხსენიებენ. მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშის გადამოწმება/გარე შეფასება დამოუკიდებელმა და ობიექტურმა ორგანიზაციამ ჩაატაროს (მაგ. სოციალურმა აუდიტორმა ან სააუდიტო კომპანიამ, დამოუკიდებელმა სერტიფიცირებულმა კონსულტანტმა). დასავლეთის ქვეყნებში არსებობს მრავალი სააუდიტო კომპანია, რომელიც სწორედ სოციალურ აუდიტზე არის სპეციალიზებული. სასურველია საქართველოშიც ხელი შეეწყოს ამგვარი სააუდიტო სერვისის განვითარებას. ამასთანავე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამგვარი აუდიტორული კომპანია ფლობდეს შესაბამის საერთაშორისო სერტიფიკატს, რაც მის მიერ ჩატარებულ შემოწმებას სანდოობას მიანიჭებს.

4.2. სოციალური ინდექსები

კომპანიის პასუხისმგებელი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის ერთ-ერთ ინსტრუმენტს ეთიკური და სოციალური ინდექსები წარმოადგენს. ამ ინდექსების მიზანია ასახოს სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიების საქმიანობა და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს ეს ინფორმაცია, რაც დამატებით სტიმულს წარმოადგენს კომპანიებისათვის და, შესაბამისად, ხელს უწყობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას.

დასავლეთის ქვეყნებში მრავალი ინდექსი არსებობს (როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო), რომლებიც შემუშავებულია კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობისა და მისი ცალკეული ასპექტების შეფასებისათვის.

სოციალური ინდექსი სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით შეიძლება ზომავდეს კომპანიის პასუხისმგებელ საქმიანობას. მაგალითად, კომპანიის პასუხისმგებლობა თანამშრომელთა მიმართ, ადამიანის უფლებებისა და შრომითი უფლებების დაცვა კომპანიის საქმიანობაში, გამჭვირვალობა და მდგრადი განვითარების ანგარიშგება, ეთიკური ქცევის კოდექსების შესრულება, გარემოს დაცვა და ა.შ.

მაგალითად, 2004 წელს წამყვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ AccountAbility და საკონსულტაციო ორგანიზაციამ CSR Network შეიმუშავეს შეფასების/რანჟინების სისტემა CSR პრინციპებთან კომპანიების საქმიანობის შესაბამისობის შესაფასებლად (The Global Accountability Rating). ეს სისტემა ექვს სხვადასხვა სფეროს მოიცავს - სტრატეგია, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა, მმართველობა, საქმიანობის მენეჯმენტი, ანგარიშგება და გარე შეფასება. მსოფლიოს ასი წამყვანი კომპანიის შეფასების შედეგები ამ სისტემის მიხედვით ქვეყნდება ჟურნალში Fortune International. გარდა ამისა, ამგვარივე სიები ქვეყნდება ცალკეული ქვეყნებისათვის – მაგალითად, 2008 წელს ამგვარი რანჟინების შედეგები უმსხვილესი კომპანიებისათვის გამოქვეყნდა რვა ქვეყნისათვის – ბულგარეთი, საბერძნეთი, უნგრეთი, იტალია, პორტუგალია, რუსეთი და სამხრეთ კორეა. 2009 წელს კი ამ სისტემის მიხედვით ოთხი ქვეყნის უმსხვილესი კომპანიების შეფასება ჩატარდა – პორტუგალია, ესპანეთი, იტალია და საბერძნეთი.

მეორე ასეთივე ცნობილი საერთაშორისო ინდექსია FTSE4Good Index Series (Financial Times Stock Exchange Index), რომელიც აგრეთვე შემუშავდა კომპანიათა საქმიანობის შესაფასებლად საერთაშორისოდ აღიარებულ CSR სტანდარტებთან შესაბამისობის მიხედვით (ძირითადი კრიტერიუმებია: კომპანიის საქმიანობის გარემოსდაცვითი მაჩვენებლები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების პატივისცემა).

ევროპაში გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს აგრეთვე ქვეყანათა მთავრობებისა და ცალკეული სამინისტროების მიერ სხვადასხვა სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით სხვადასხვა ტიპის სოციალური ინდექსებისა და რეესტრების შემუშავება და გამოქვეყნება.

მაგალითად, დანიაში 2000 წელს სოციალური საკითხების სამინისტრომ ბიზნეს კომპანიებისათვის შემოიღო სოციალური ინდექსი, რომლის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი ზომისა და სექტორის კომპანიაში. შეფასება ეფუძნება კითხვარს, რომელსაც უნდა უპასუხოთ კომპანიის თანამშრომლებმა. ამის საფუძველზე ხდება კომპანიის საქმიანობის სოციალური ასპექტის შეფასება (კერძოდ, როგორაა დაცული შრომის უფლებები, უმცირესობათა უფლებები და ა.შ.), ხოლო მესამე მხარემ უნდა დაადასტუროს კომპანიისათვის მინიჭებული ქულა. თუ კომპანია 60-ზე მეტ ქულას მიიღებს, რასაც დამოუკიდებელი აუდიტორი დაამოწმებს, მას აქვს უფლება 3 წლის განმავლობაში გამოიყენოს 'S' ეტიკეტი (ეტიკეტი სოციალური პასუხისმგებლობისათვის).

იტალიაში, უმბრიის რეგიონში, მთავრობამ შექმნა რეგიონული რეესტრი იმ ორგანიზაციებისა, რომლებიც ფლობენ SA8000 სერტიფიკატს (SA8000 წარმოადგენს მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტს სამუშაო პირობებისა და ანგარიშვალდებულების სფეროში). რეესტრში შეტანილ კომპანიებს უპირატესობა ენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვებისას, აგრეთვე ტრენინგისა და სერტიფიცირების მიზნით სახელმწიფო დაფინანსების გამოყოფისას. მათზე აგრეთვე ვრცელდება ფინანსური შეღავათები და გაადვილებული ადმინისტრაციული პროცედურები.

- ✓ საქართველოშიც სასურველი იქნება მსგავსი სოციალური ინდექსების შემოღება. ამის ინიციატორები უნდა იყვნენ სამთავრობო უწყებები სხვადასხვა სოციალურ პარტნიორებთან ერთად. ვინაიდან საქართველოში ასეთი პრაქტიკა ჯერჯერობით არ არსებობს, უმჯობესია ევროპის რომელიმე ქვეყნის (მაგ., ჰოლანდიის, დიდი ბრიტანეთის) არსებული სტანდარტის გადმოღება და ამ სტანდარტებზე დაყრდნობით შეფასებისა და რანჟირების ეროვნული სტანდარტის შემუშავება. იმისათვის, რომ ამგვარი სოციალური ინდექსები არ გადაიქცეს კორუფციის წყაროდ და ნდობას იმსახურებდეს, სავალდებულოა გამჭვირვალობის მაღალი ხარისხისა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

4.3. პროდუქციის ეკო და სოციალური ეტიკეტირება/მარკირება

სოციალური და ეკო ეტიკეტები (მარკირების სისტემები) ფართოდ არის გავრცელებული დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, როგორც მომხმარებელთა ინფორმირების ინსტრუმენტი და, იმავდროულად, მომხმარებელთა და მთავრობის მხრიდან პასუხისმგებელი კომპანიების ნახა-ლისების მექანიზმი მათ მიერ აღებული სოციალური და გარემოსდაც-ვითი ვალდებულებებისათვის. ეტიკეტები კომპანიათა სოციალური და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის განვითარების ქმედითი მექანიზმს წარმოადგენს მომხმარებელთა ქცევის ცვლილების გზით. ისინი აგრეთვე ახალ საბაზრო შესაძლებლობებს ქმნის მწარმოებელი და გამსაღებელი კომპანიებისათვის.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მომხმარებლები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, თუ როგორ ხდება პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია. ამის შედეგად წარმოიქმნება სულ უფრო მეტი სოციალური და გარემოსდაცვითი ეტიკეტი, როგორც ინდივიდუალური მწარმოებლებისაგან (თვითდეკლარირებული ეტიკეტები), ასევე წარმოების სექტორების, არასამთავრობო ორგანიზაციების, დაინტერესებულ მხარეთა ორგანიზაციებისა და ხელისუფლების ორგანოების მიერ.

ეტიკეტები წარმოადგენს ბაზარზე ორიენტირებულ ინსტრუმენტებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მომხმარებელთა შემსყიდველ გადაწყვეტილებებზე. ეს არის სიმბოლოები, რომლებიც მოწმობს, რომ წარმოებისა და რეალიზაციის პროცესი აკმაყოფილებს გარკვეულ კრიტერიუმებს.

ეტიკეტმა შეიძლება ერთ გარკვეულ საკითხთან დაკავშირებული პრინციპების დაცვაზე მიუთითოს (მაგ. ბავშვთა შრომის არგამოყენება ან ტყის კონსერვაცია), ან საკითხთა ისეთი ჯგუფი მოიცვას, როგორცაა, მაგალითად, სამუშაო პირობები, სამართლიანი ვაჭრობა (fair trade), თემის განვითარება, ბუნებრივი ეკოსისტემების დაცვა და სხვა. ზოგიერთი ეტიკეტი წარმოების მხოლოდ ერთ რომელიმე სფეროს ფარავს – მაგ., ხელით ნაქსოვი ნოხების, ფეხბურთის ბურთების ან ყვავილების ბიზნესს.

ეტიკეტირების სქემაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. ეტიკეტების მინიჭება უნდა ხდებოდეს ობიექტური, გამჭვირვალე, სანდო და არადისკრიმინაციული პროცესების მეშვეობით.

ეტიკეტის მინიჭების კრიტერიუმებსა და მოთხოვნებს, ჩვეულებრივ, განსაზღვრავს სპეციალური ეტიკეტირების ორგანიზაციები. ამ კრიტერიუმებთან მწარმოებლებისა და მოვაჭრეების შესაბამისობის სერტიფიცირებას ახდენს ან თავად ეტიკეტირების ორგანიზაცია, ან მის მიერ აკრედიტებული სერტიფიცირებული სააგენტო.

სხვადასხვა ეტიკეტებსა და სერტიფიცირების სისტემებს შორის გარკვეული განსხვავებების მიუხედავად, სერტიფიცირების პროცედურა, ჩვეულებრივ, მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1. მწარმოებელი, რომელსაც სურს ეტიკეტის მიღება, სერტიფიცირებისათვის მიმართავს შესაბამის ორგანიზაციას;
2. ტარდება წინასწარი შეფასება და ვიზიტი წარმოებაზე კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესამოწმებლად და იმ სუსტი წერტილების გამოსავლენად, რომლებიც გამოსწორებას საჭიროებს;
3. ტარდება აუდიტი, რომელიც მოიცავს წარმოებაზე ვიზიტს, ჩანაწერებისა და საბუთების შემოწმებას (მაგ., დასაქმების პირობები, სახელფასო უწყისების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ ჩანაწერების) და თანამშრომლებთან ინტერვიუებს;
4. სერტიფიცირების სააგენტო შეაფასებს, თუ რამდენად აკმაყოფილებს კომპანია ეტიკეტის კრიტერიუმებს, დადებითი პასუხის შემთხვევაში კონტრაქტის საფუძველზე ანიჭებს კომპანიას ეტიკეტის გამოყენების უფლებას და შეაქვს იგი სერტიფიცირებული ორგანიზაციების ეროვნულ ან საერთაშორისო სიაში;
5. ეტიკეტის გამოყენების უფლება, ჩვეულებრივ, გაიცემა გარკვეული ვადით (მაგ. 3 წლით) და მოიაზრებს პერიოდულ მონიტორინგსა და გადახედვას.

2007 წელს ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად, სათანადო ინფორმირების შემთხვევაში საქართველოს მომხმარებელზეც შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის სოციალურმა პასუხისმგებლობამ. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ რესპონდენტთა 60%-მა საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემწყობ ფაქტორად დაასახელა მომხმარებლის მიერ პასუხისმგებელი კომპანიის პროდუქციისათვის უპირატესობის მინიჭება”. (იხ. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართ თბილისის მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა“. თბილისი, 2007, გვ. 51).

მრავალ ქვეყანაში ნებაყოფლობითი სოციალური თუ გარემოსდაცვითი ეტიკეტირების სქემების ინიციატორი ან წარმმართველი სწორედ მთავრობაა, რაც მიზნად ისახავს სოციალურად პასუხისმგებელი ბიზნეს საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას.

მაგ. ბელგიის პარლამენტმა 2002 წელს მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც შემოიღეს ნებაყოფლობითი სოციალური ეტიკეტირება. ბელგიაში ამგვარ ეტიკეტს გასცემს ეკონომიკის სამინისტრო დაინტერესებულ მხარეთა კომიტეტის დასკვნის საფუძველზე. ამ კომიტეტში შედიან მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს ფედერაციის წარმომადგენლები, ასევე მომხმარებელთა ასოციაციებისა და პროფკავშირების წარმომადგენლები და სხვ.). კომიტეტმა შეიმუშავა პროგრამა კომპანიის საქმიანობის კონტროლის, მონიტორინგისა და სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. სერტიფიკაციას აწარმოებს ეკონომიკის სამინისტროს მიერ აკრედიტებული სპეციალური სამსახური. კომპანია, რომელიც მოითხოვს ამგვარ ეტიკეტს, ვალდებულია წარმოადგინოს სრული ინფორმაცია იმის დასასაბუთებლად, რომ თავად კომპანია, ასევე მისი მომწოდებლები და ქვეკონტრაქტორები აკმაყოფილებენ შრომით უფლებებთან დაკავშირებულ ILO ძირითად კონვენციებს.

- ✓ საქართველოში CSR-ის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია მთავრობამ ხელი შეუწყოს ნებაყოფლობითი გარემოსდაცვითი და სოციალური მარკირების / ეტიკეტირების საერთაშორისო სტემების შემოღებას პროდუქციისა და სერვისებისათვის, აგრეთვე ეკო და სოციალური მარკირების ერთიანი ეროვნული სისტემის შემუშავებასა და დანერგვას.

მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე ფინანსთა სამინისტროებმა ბიზნეს ასოციაციებთან, სავაჭრო პალატებთან, პროფკავშირებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხელი უნდა შეუწყონ სოციალური ეტიკეტირების სტემის შემუშავებასა და დანერგვას; ხოლო გარემოს დაცვის სამინისტრომ სხვადასხვა საქსპერტო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით – ეროვნული გარემოსდაცვითი ეტიკეტირების სისტემის შემოღებას. ხელშეწყობა შეიძლება გამოიხატოს სპეციალური ვებ-გვერდის შექმნით, რომელზეც განთავსებული იქნება ინფორმაცია ეტიკეტირების სტემის, შეფასების კრიტერიუმებისა და ეტიკეტის მინიჭების პროცედურის შესახებ, აგრეთვე ამ ეტიკეტის მქონე კომპანიები/პროდუქტები იქნება წარმოდგენილი. ხელშეწყობის მექანიზმია აგრეთვე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთაგან – სოციალური პარტნიორებისა და ექსპერტებისაგან შედგენილი სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც შეიმუშავებს ეროვნული ეტიკეტირების სისტემის მიხედვით სერტიფიცირებისა კრიტერიუმებს და მონიტორინგის პროცედურებს; ეფექტურია აგრეთვე ფისკალური სტიმულები, როგორებიცაა, მაგალითად, სახელმწიფო საგრანტო სტემები სერტიფიცირების ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად ან სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნათა დაკავშირება ეკო და სოციალურ ეტიკეტებთან.

ეტიკეტირების სტემების დაფინანსება, ჩვეულებრივ, ხდება ლიცენზირების გადასახადიდან, რომელსაც ეტიკეტირებულ კომპანიას აკისრებენ. ეს გადასახადი დამოკიდებულია კომპანიის გაყიდვების მოცულობასა და წლიურ ბრუნვაზე, თუმცა ასეთ შემთხვევაში არის საფრთხე, რომ სერტიფიცირების ღირებულებამ არახელმისაწვდომი გახადოს ეტიკეტირება უფრო მცირე მენარმეებისათვის და ეს ბაზარი მხოლოდ მსხვილი მწარმოებლებისთვის იყოს განკუთვნილი. ამიტომ, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ხშირად ფინანსურ დახმარებას უწევს კომპანიებს ეტიკეტირების ხარჯების დაფარვაში (განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო კომპანიებს). ასე მაგალითად, ბელგიის სოციალური ეტიკეტის მისანიჭებლად სერტიფიცირების ხარჯებს კომპანიები თავადვე ფარავენ, თუმცა მათ შეიძლება მთავრობისგან მოითხოვონ ფინანსური დახმარება ხარჯების ნაწილის ასანაზღაურებლად (მცირე და საშუალო კომპანიებს შეუძლიათ 50%-მდე ხარჯების დაფარვა მოითხოვონ, მსხვილ კომპანიებს დახმარების მოთხოვნის უფლება იმ შემთხვევაში აქვთ, თუ მათი წარმოების/მონოდების ჯაჭვის ნაწილი განვითარებად ქვეყანაშია განთავსებული).

- ✓ სასურველია საწყის ეტაპზე თავიდან იქნეს აცილებული მრავალი სხვადასხვა ეტიკეტის შემოღება, რამაც შეიძლება გაუგებრობა და დაბნეულობა გამოიწვიოს მომხმარებელთა შორის (მით უფრო, რომ მომხმარებელთა ცნობიერების დონე ეტიკეტირების სქემების შესახებ საკმაოდ დაბალია). ამის ნაცვლად რეკომენდებულია *ეტიკეტირების საყოველთაოდ აღიარებულ, საერთაშორისო და ევროპულ ინიციატივებთან მიერთება და/ან ერთიანი ეროვნული ეტიკეტირების სქემის შემუშავება*, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს დაეფუძნება.
- ✓ პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოების ეტიკეტებისაგან განსხვავებით, სოციალური და გარემოსდაცვითი ეტიკეტები ვერ გადამოწმდება თავად პროდუქციის შემოწმების გზით. იმისათვის რომ სოციალური და ეკოეტიკეტები ნდობას იმსახურებდეს და კორუფციის მექანიზმად არ გადაიქცეს, *აუცილებელია არსებობდეს გამჭვირვალობის მაღალი ხარისხი ეტიკეტირების კრიტერიუმებისა და პროცესის შესახებ*. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ სერტიფიკაციის სააგენტოები წინასწარ შეთანხმებული სტანდარტების მიხედვით ატარებდნენ სამუშაო ადგილისა და წარმოების პროცესის მუდმივ შემოწმებასა და მონიტორინგს, რათა დაადასტურონ რომ ეს საქმიანობა კვლავ შეესაბამება კრიტერიუმებს. ეტიკეტირების სქემის სანდოობისათვის უნდა არსებობდეს მონიტორინგის, გადამოწმებისა და კონტროლის გამჭვირვალე და სანდო სისტემა.
- ✓ განვითარებად ქვეყნებში, სადაც მომხმარებელთა ცნობიერება ამგვარი ეტიკეტების შესახებ ძალიან დაბალია, ეტიკეტირების ინიციატივების ზეგავლენის სფერო საკმაოდ შეზღუდულია. ამდენად, *აუცილებელია, რომ ეტიკეტირების სქემების შემოღებას თან ახლდეს მასშტაბური საკომუნიკაციო კამპანიები მომხმარებელთათვის და მომხმარებელთა უფლებებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ამგვარი ეტიკეტების არსისა და მნიშვნელობის შესახებ*. ამ კამპანიების ინიციატორი და ორგანიზატორი სასურველია იყოს მთავრობა, შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ბიზნეს ასოციაციებთან თანამშრომლობით.

მაგალითად, *პოლონეთში* სამი მსხვილი ეკოეტიკეტი შემუშავეს (Ecoland (ecological food production), Eko-znak (ecological production), Zielone Ptuka (რეგიონული). არც ერთი მათგანი არ ყოფილა წარმატებული, რადგანაც მათ არ ახლდა თან ცნობიერების ამაღლების შესაბამისი კამპანია, ხოლო მომხმარებელთა ცოდნა ამ ეტიკეტების შესახებ ძალზე დაბალი იყო (იხ. *CSR implementation guide: Non-legislative options for Polish Government*).

4.4. პასუხისმგებელი რეკლამა

პასუხისმგებელი რეკლამირება სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილს წარმოადგენს. ამ მხრივ საქართველოში მნიშვნელოვანი რეფორმებია გასატარებელი. ამ საკითხის რეგულირების ერთ-ერთი ქმედითი და აპრობირებული მეთოდია შესაბამისი საკანონმდებლო რეგულირება. ევროპის მრავალ ქვეყანაში არსებობს კანონები, რომლებიც კრძალავს ისეთ რეკლამებს, რომელთაც შეცდომაში შეჰყავთ მომხმარებელი არა მხოლოდ პროდუქციის ან მომსახურების ხარისხის შესახებ, არამედ გარემოზე მისი ზემოქმედების შესახებ, წარმოების პროცესის სოციალური მაჩვენებლების შესახებ და ა.შ.

მაგ., ბელგიაში 1991 წელს შემოიღეს ამგვარი კანონი, რომელიც კრძალავს რეკლამებს, რომელთაც შეცდომაში შეჰყავთ მომხმარებელი პროდუქციის ან მომსახურების გარემოზე ზემოქმედების შესახებ. შემუშავებულია აგრეთვე საკანონმდებლო პროექტი ისეთი რეკლამის აკრძალვის შესახებ, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს მომხმარებელი წარმოების პროცესის სოციალური პირობების შესახებ (მაგალითად ILO-ს რვა კონვენციის შესრულების შესახებ).

ირლანდიაში 2001 წელს ირლანდიის სტანდარტიზაციისა და რეკლამის დეპარტამენტმა“ გამოუშვა სარეკლამო სტანდარტების კოდექსი, რომელიც არეგულირებდა კომერციულ რეკლამას მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით.

- ✓ სასურველია, საქართველოს ხელისუფლებამ საკანონმდებლო ცვლილება შეიტანოს რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელიც აკრძალავს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას არა მხოლოდ ზოგადად პროდუქტისა და მისი ხარისხის შესახებ, არამედ კომპანიის საქმიანობითა და კონკრეტული პროდუქციით გარემოსა და საზოგადოებაზე მოხდენილი უარყოფითი ზეგავლენის შესახებ;
- ✓ მთავრობის მხრიდან პასუხისმგებელი რეკლამის ხელშეწყობის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს აგრეთვე კომერციული რეკლამისა და მარკეტინგის მარეგულირებელი ნებაყოფლობითი კოდექსების შემუშავებისა და დანერგვის ხელშეწყობა.

4.5. ქცევის კოდექსები

ქცევის კოდექსები ინოვაციურ ინსტრუმენტს წარმოადგენს კომპანიათა საქმიანობაში ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა, შრომითი საქმიანობის სტანდარტების, გარემოსდაცვითი მიდგომებისა და ანტიკორუფციული პრაქტიკის დასაწესებლად, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომლებშიც ხელისუფლება ვერ ახერხებს მინიმალური სტანდარტების დანერგვას, ან სადაც

ისეთი ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკაა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები ძალზე დაბალია (როგორც, მაგალითად, საქართველოში), თუმცა მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ქცევის კოდექსებს შეუძლიათ მხოლოდ შეავსონ საერთაშორისო თუ ეროვნული საკანონმდებლო რეგულირება და არა ჩაენაცვლონ მას.

არსებობს ცალკეულ კომპანიათა მიერ შემუშავებული ქცევის კოდექსები, რომლებიც ამ კომპანიის ფარგლებში მოქმედებს; სექტორული ქცევის კოდექსები“, რომელთაც აღიარებს კომპანიათა ერთი ჯგუფი, რომელიმე კონკრეტულ სექტორში (მაგ., სათამაშოების სექტორში და ა.შ.); ეროვნული და საერთაშორისო კოდექსები, რომლებიც შეთანხმებულია სხვადასხვა სოციალური პარტნიორის“ მიერ; მთავრობათაშორისი კოდექსები, რომლებიც შეთანხმებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და ა.შ.

ქცევის კოდექსებთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იმის უზრუნველყოფაა, რომ კოდექსი, რომელიც კომპანიამ მიიღო, რეალურად განხორციელდეს. ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისოდ აღიარებული ქცევის კოდექსების დანერგვა.

როდესაც კოდექსი ადგილობრივად არის შემუშავებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რომ ის ეფუძნებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და კონვენციებს (მაგ. ILO ფუნდამენტურ კონვენციებს და ა.შ.) და შეიცავდეს მისი განხორციელების, მონიტორინგისა და გადამონმების ცხადად ჩამოყალიბებულ ინსტრუმენტებს.

ევროკავშირი მხარს უჭერს, რომ მისი წვერი ქვეყნების მთავრობებმა, სამინისტროებმა და სხვა სამთავრობო უწყებებმა წაახალისონ ქცევის კოდექსების დანერგვა და ჩაერთონ მათ შემუშავებაში (EU Directive on Unfair Commercial Practices, May 2005). მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნებაყოფლობით ქცევის კოდექსებთან მიმართებით ცხადად იყოს განსაზღვრული მთავრობის როლი, როგორც ხელშემწყობისა, წამახალისებლისა და არა მაიძულებლისა.

ევროკომისიის რეკომენდაციით, რომელიც ჩამოყალიბებულია 2002 წლის ე.წ. თეთრ დოკუმენტში“ (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა: ბიზნესის შენატანი მდგრად განვითარებაში) განსაზღვრულია, რომ ქცევის კოდექსი მინიმალურ სავალდებულო სტანდარტად უნდა აღიარებდეს ILO ძირითად კონვენციებსა და OECD სახელმძღვანელო მითითებებს მრავალეროვანი საწარმოებისათვის“; შეიცავდეს მისი განხორციელების შეფასებისა და გადამონმების სათანადო მექანიზმებს, ასევე შესაბამისობის სისტემას; კოდექსის შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში ჩართული უნდა იყვნენ სოციალური პარტნიორები და სხვა დაინტერესებული მხარეები; კოდექსი უნდა ითვალისწინებდეს ევროპის საწარმოთა დადებით გამოცდილებას ამ სფეროში.

- ✓ საქართველოში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ ხელი შეუწყოს ბიზ-

ნეს კომპანიებში საერთაშორისო ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსების დანერგვას, აგრეთვე ადგილობრივი, სექტორული და სხვა ტიპის კოდექსების შემუშავებასა და დანერგვას, რომლებიც საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებსა და კონვენციებს დაეფუძნება. ევროპულ სახელმწიფოთა გამოცდილების მიხედვით, მთავრობის მხრიდან ამგვარი ხელშეწყობის მექანიზმები შემდეგია:

- სამთავრობო უწყებებმა მოაწყონ სხვადასხვა სახის მრგვალი მაგიდები და სემინარები, რომლებზეც კომპანიები და სხვა დაინტერესებული მხარეები განიხილავენ და იმსჯელებენ ქცევის კოდექსებთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- მთავრობის ან ცალკეული სამინისტროების ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიქმნას სხვადასხვა სექტორთა წარმომადგენლებისა და ექსპერტებისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფები/საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც შეიმუშავებენ ადგილობრივ/დარგობრივ ეთიკურ კოდექსებს და მოამზადებენ რეკომენდაციებსა და სახელმძღვანელო მითითებებს საერთაშორისო კოდექსების დანერგვის თაობაზე;
- სამინისტროებმა და სხვა სამთავრობო უწყებებმა აგრეთვე მხარი დაუჭირონ რომელიმე საერთაშორისოდ აღიარებულ ინიციატივას, რომელიც ეთიკური ბიზნეს საქმიანობის პრინციპებს შეიმუშავებს და ავრცელებს, მაგალითად, გაეროს გლობალურ შეთანხმებას⁴, რომელიც საქართველოშიც მოქმედებს.
- ამასთანავე მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსები არ გადაიქცეს თავისუფალი კონკურენციისა და ვაჭრობის შემაფერხებელ გარემოებად.

5. CSR-ის განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნა და CSR-ის სტიმულირება

5.1. სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ მაგალითის მიცემა

მთავრობის მიერ მაგალითის მიცემა პასუხისმგებელი ბიზნესის სტიმულირების აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. სხვადასხვა სამთავრობო უწყებები და სამინისტროები საკუთარ საქმიანობაში ნერგავენ სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებს, როგორებიცაა, მაგალითად, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სქემები, ოჯახთან თავსებადი სამუშაოს პრინციპები, მდგრადი განვითარების ანგარიშგების პრაქტიკა და სხვა, რითაც მისაბაძი მაგალითის როლს ასრულებენ კერძო სექტორისათვის და ღიად ახდენენ სოციალური პასუხისმგებლობის მხარდაჭერის დეკლარირებას.

მაგალითად, ბელგიის ფედერალურმა მთავრობამ 2006 წლიდან ყველა ფედერალური დეპარტამენტისათვის სავალდებულო გახადა ევროპის გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და აუდიტის სისტემის“ (EMAS) დანერგვა (აღსანიშნავია, რომ კომპანიებისათვის ეს სტანდარტი ნებაყოფლობითია). ყოველი დეპარტამენტის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემას გარე შემფასებელი აფასებს, მოქმედი ევროპული სტანდარტის საფუძველზე.

შედეგების სამთავრობო უწყებები აგრეთვე ვალდებული არიან გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სქემები დანერგონ საკუთარ საქმიანობაში და ანგარიშები მოამზადონ მიღწეული შედეგების შესახებ.

ჰოლანდიის რამდენიმე სამინისტრო აქვეყნებს ანგარიშებს საკუთარი საქმიანობის სოციალური მაჩვენებლების შესახებ (ამგვარი ანგარიშგება ჰოლანდიის ეკონომიკის სამინისტრომ დაიწყო 2004 წელს, ხოლო შემდგომ წლებში მას სხვა სამინისტროებმაც მიბაძეს).

მრავალი ევროპული ქვეყნის სამთავრობო უწყება (მაგ. ესპანეთის, გერმანიის, სლოვენიის) საკუთარ საქმიანობაში ნერგავს ოჯახთან თავსებადი სამუშაოს პრინციპებს. ესპანეთის მთავრობა კი ახორციელებს მასშტაბურ პროგრამას «Plan Concilia» საჯარო სექტორში ოჯახთან თავსებადი სამუშაო პირობების დასანერგად. მისი მიზანი არის კერძო სექტორისთვის მისაბაძი მაგალითის მიცემა.

მალტის მთავრობამ, სანამ CSR-ის ეროვნულ სტრატეგიის შემუშავებას დაიწყებდა, წამოიწყო რამდენიმე ინიციატივა, რომელთა მიზანია CSR-ის დანერგვა სახელმწიფო უწყებებში, რაც მაგალითის მიმცემი იქნება კერძო სექტორისათვის.

საქართველოს სამთავრობო უწყებების მიერ საკუთარ საქმიანობაში სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებისა და მიდგომების დანერგვა აგრეთვე მნიშვნელოვანი სტიმული იქნება კერძო სექტორისათვის სოციალური პასუხისმგებლობის განსავითარებლად. კერძოდ, სასურველია, რომ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებმა:

- ✓ გაითვალისწინონ და ჩართონ სოციალური და გარემოსდაცვითი პრიორიტეტები საკუთარ საქმიანობაში, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების განაცხადებში (რაზეც ზემოთ იყო საუბარი).
- ✓ საკუთარ საქმიანობაში დანერგონ საერთაშორისოდ აღიარებული მენეჯმენტის სქემები გარემოს დაცვისა და შრომითი საქმიანობის სფეროში (მაგ., OHSAS 18001, ILO-OSH 2001, ISO 14000, EMAS),³⁰⁰ შემდგომში შესაძლებელია მენეჯმენტის ამგვარი სისტემების დანერგვა სავალდებულო გახდეს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი კომპანიებისთვისაც.

³⁰⁰ აღნიშნული მენეჯმენტის სტანდარტების შესახებ დანვრილებით იხილეთ VI თავი.

მაგალითად, ნორვეგიის გარემოს დაცვის სამინისტრო სერტიფიცირებულია ISO 14001 სტანდარტის მიხედვით.

- ✓ შეაფასონ საკუთარი საქმიანობის სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა და გამოაქვეყნონ მდგრადი განვითარების ანგარიშები საერთაშორისოდ აღიარებული ფორმატის მიხედვით (მაგ., GRI ფორმატის მიხედვით).
- ✓ ჩაატარონ ცნობიერების ამაღლების კამპანიები საკუთარ თანამშრომლებთან. ასევე რეკომენდებულია, რომ საჯარო მოხელეების/ხელისუფლების წარმომადგენლების შერჩეულმა ჯგუფმა გაიაროს საფუძვლიანი ტრენინგი CSR საკითხებზე, რაც შემდგომში შესაძლებლობას მისცემს მათ წარმმართველი როლი ითამაშონ სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტების დანერგვაში თავიანთ სამინისტროებში/უნწყებებში.

5.2. ბიზნესის წახალისება და სტიმულირება

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას ემსახურება ხელისუფლების მიერ პასუხისმგებელი ბიზნესის წახალისება სხვადასხვა სახის არაფინანსური თუ ფინანსური სტიმულების მეშვეობით. არსებობს სტიმულირების მრავალი ინსტრუმენტი, რომლებიც ფართოდ არის დანერგილი დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში და რომელთა გამოყენება საქართველოშიც მიზანშეწონილი იქნებოდა, კერძოდ:

- ✓ *CSR-ის მნიშვნელობის ოფიციალური დეკლარირება.* პასუხისმგებელი ბიზნესის წახალისების ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ხელისუფლების წარმომადგენელთა საჯარო გამოსვლებში და ოფიციალურ დოკუმენტებში (მაგ. ე.წ. თეთრი დოკუმენტები“, სამოქმედო პროგრამები და მისთ.) ყურადღების გამახვილება CSR საკითხებზე და მისი მნიშვნელობის დეკლარირება, ასევე კომპანიების პასუხისმგებელი ინიციატივების ოფიციალური აღიარება და წახალისება.
- ✓ *კონკურსები და ჯილდოები.* არაფინანსური სტიმულირების ერთ-ერთ ეფექტურ და ფართოდ დანერგილ მეთოდს წარმოადგენს სხვადასხვა სახის პრესტიჟული კონკურსების ორგანიზება და ჯილდოების დაწესება მთავრობის ინიციატივითა და სხვადასხვა სექტორის მონაწილეობით. რეკომენდებულია, რომ საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და აქტიური მხარდაჭერით დაარსდეს ყოველწლიური CSR კონკურსი, რომლის ფარგლებშიც გაიცემა პასუხისმგებელი ბიზნესის ეროვნული ჯილდო, რომელიც CSR-ის ყველა სფეროს მოიცავს. გამარჯვებულთა შერჩევის კრიტერიუმები და კონკურსის პროცედურები მაქსიმალურად გამჭვირვალე და მკაცრად განერილი უნდა იყოს, რათა

თავიდან იქნეს აცილებული კონკურსისადმი ნდობის დაკარგვისა და მანიპულირების საშიშროება. საკონკურსო კომისია დაკომპლექტებული უნდა იყოს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთაგან (ბიზნესი, არასამთავრობო და საექსპერტო ორგანიზაციები, ხელისუფლების წარმომადგენლები). კონკურსის მარეგულირებელი მექანიზმები უნდა შემუშავდეს აგრეთვე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით.

მაგალითად, *ბულგარეთში* რამდენიმე სამთავრობო უწყების (დასაქმებისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს, მცირე და საშუალო საწარმოების სააგენტოსა და დასაქმების ინსპექტორატის) ინიციატივით, აგრეთვე არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სხვა სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით, ყოველწლიურად ტარდება კონკურსი სოციალურად პასუხისმგებელი კომპანიის ეროვნული ჯილდოს მისაღებად. კონკურსში მონაწილეობას იღებენ ბულგარეთის ტერიტორიაზე მოქმედი როგორც ბულგარული, ისე უცხოური კომპანიები.

ნაციონალური ჯილდო საზოგადოებრივი აღიარების ნიშანია და მიზნად ისახავს წახალისოს საწარმოები, რომ მათ ნებაყოფლობით დანერგონ და შეასრულონ საერთაშორისო კორპორატიული სტანდარტები და მოთხოვნები სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, აგრეთვე მხარი დაუჭიროს პასუხისმგებელ კომპანიებს და გაზარდოს როგორც საზოგადოების, ასევე უცხოური ბაზრების ნდობა ბულგარული საწარმოების მიმართ. ნაციონალური ჯილდო გაიცემა შემდეგ კატეგორიებში: მიკრო და მცირე საწარმოებისათვის; საშუალო ზომის საწარმოებისათვის; მსხვილი საწარმოებისათვის. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან მხოლოდ ის კომპანიები, რომლებიც იცავენ ბულგარეთის კანონმდებლობას სოციალურ, გარემოსდაცვით და პროდუქციაზე პასუხისმგებლობის სფეროებში. ყოველ წელს საკონკურსოდ ერთი რომელიმე სექტორი შეირჩევა და კონკურსში მონაწილეობას მხოლოდ ამ სექტორში დასაქმებული კომპანიები იღებენ.

თითოეული კატეგორიის გამარჯვებულებს გადაეცემათ ჯილდო ეროვნულ კონფერენციაზე, რომლის მიზანია ცნობიერების ამაღლება ბულგარეთის კომპანიებში სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებისა და დადებითი მაგალითების შესახებ.

- ✓ გარდა ამისა, ცალკეულმა სამინისტროებმა სხვადასხვა სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობით, შესაძლოა, მოაწყონ *თემატური კონკურსები CSR-ის ამა თუ იმ ასპექტთან დაკავშირებით*. მაგალითად, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ მოაწყოს ყოველწლიური კონკურსი და მიანიჭოს ჯილდოები იმ კომპანიებს, რომელთაც ნებაყოფლობით დანერგეს შრომით საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები (ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე, სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, ბავშვიანი დედე-

ბის ხელშეწყობის პოლიტიკა, სოციალური ინტეგრაცია და თანაბარი შესაძლებლობები, უნარშეზღუდულ ადამიანთა დასაქმება და ა. შ.); გარემოს დაცვის სამინისტრომ მოაწიეს კონკურსი გარემოს დაცვის სფეროში შეტანილი წვლილისათვის (რომელიც სტიმულს მისცემს გარემოს დამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებას, პასუხისმგებელ ენერგომომხმარებას, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სქემების დანერგვას და ა.შ.).

მაგალითად, დანიის მთავრობამ დააწესა ყოველწლიური პრიზი კომპანიებისათვის, რომლებიც საჯარო სექტორთან თანამშრომლობით ცდილობენ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრირებას დასაქმების ბაზარზე.

საბერძნეთში მთავრობამ დააწესა სპეციალური ჯილდოები იმ კომპანიებისთვის, რომლებიც საუკეთესოდ იცავენ სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას და რომლებმაც გააუმჯობესეს სამუშაო პირობები თავიანთი თანამშრომლებისათვის.

ირლანდიის მთავრობამ დააწესა ჯილდოები კომპანიებისათვის, რომლებსაც ქალაქ დუბლინში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში შეიტანეს გარკვეული წვლილი.

საქართველოში ბიზნესის წახალისებებისა და დაჯილდოების სქემა საკმაოდ კარგად მუშაობს და ბიზნესი სათანადოდ რეაგირებს ამგვარ სტიმულებზე. მაგალითად, უკვე რამდენიმე წელია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ატარებს მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურსს საუკეთესო ექსპორტიორთა, დამსაქმებელთა, მწარმოებელთა, ფერმერთა და ასე შემდეგ გამოსავლენად. ვინაიდან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა არის კორპორაციულად ორგანიზებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ამავე დროს ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობის წახალისებას სხვადასხვა მეთოდით, მან თავისუფლად შეიძლება გააფართოვოს თავისი ნომინაციების არეალი და დაანსოს ცალკე ნომინაციები კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი კომპანიებისათვის. მაგ., დაანსოს პრიზები გარემოს დამზოგი ტექნოლოგიების გამოყენებელი კომპანიებისათვის ან იმ კომპანიებისათვის, რომელთაც გააუმჯობესეს სამუშაო პირობები და სხვ.

- ✓ შემდგომში, საქართველოში CSR-ის განვითარების კვალდაკვალ, სასურველი იქნება სპეციალური კონკურსის დაწესება მცირე და საშუალო კომპანიებისათვისაც CSR-ის ამა თუ იმ ასპექტში წარჩინებისათვის, რაც ხელს შეუწყობს კორპორაციული პასუხისმგებლობის განვითარებას მცირე და საშუალო კომპანიებში.
- ✓ კომპანიათა სტიმულირების მიზნით სახელმწიფომ შეიძლება საკუთარ თავზე აიღოს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხარჯების ნაწილი, გარკვეული ფინანსური სარგებელი დაუწესოს გამარჯვებულ კომპანიებს. ეს მიდგომა ევროკავშირის ქვეყნებში ფართოდ არის დანერგილი. ამგვარი ფინანსური სტიმულები

განსაკუთრებით აქტუალური მცირე და საშუალო კომპანიებისთვის იქნება.

ბელგიაში მცირე და საშუალო კომპანიებისათვის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში დანესებულია Plus ჯილდო. დაჯილდოებულ კომპანიებს მთავრობა უფარავს კონკურსში მონაწილეობის ხარჯების მაქსიმუმ 50%-ს, მაგალითად, კონკურსის ფარგლებში კონსულტირების, აუდიტის, გარე კონტროლის ხარჯებისა და ა. შ.

- ✓ სტიმულირების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს აგრეთვე გარკვეული სახის *ლიცენზიების გაცემის გაადვილება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ სოციალური თუ გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ცალკეულ სტანდარტებს*. მაგ., საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მენეჯმენტს უწევს იმპორტიორთა ე.წ. *ოქროს სიას*“, რომელშიც სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე მოხვედრილ კომპანიებს უფრო მარტივად შეუძლიათ გაიარონ საბაჟო პროცედურები. თუ კრიტერიუმების ჩამონათვალში კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული საკითხებიც იქნება შეტანილი და მათ მიენიჭება გარკვეული ქულა, ეს ნამდვილად სტიმულის მიმცემი იქნება იმპორტიორი კომპანიებისათვის.
- ✓ მენარმეობის ნახალისების თვალსაზრისით დიდია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე ფინანსთა სამინისტროების როლი. დღეისათვის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ექსპორტიორ კომპანიებზე გასცემს საქონლის *წარმოშობის სერტიფიკატს*, რომელსაც კომპანიები წარადგენენ უცხოელ პარტნიორებთან. შესაძლებელია, რომ ამგვარ წარმოშობის სერტიფიკატში ცალკე პუნქტად შევიდეს კომპანიის პასუხისმგებელი საქმიანობის პარამეტრები, მაგალითად, კომპანიის მიერ შრომითი საქმიანობისა თუ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკატის ფლობა, მდგრადი განვითარების სტანდარტიზებული ანგარიშის (GRI ანგარიშის) გამოქვეყნება და ა.შ. ეს აგრეთვე სტიმულის მიმცემი იქნება კომპანიებისათვის, ნებაყოფლობით დანერგონ საკუთარ საქმიანობაში ცალკეული CSR სტანდარტები.

5.3. საგარეო ვაჭრობისა და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება

ევროპის ქვეყნებში შესაბამისი საგარეო ვაჭრობის და საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებისას კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშემწყობი სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინება აპრობირებული მეთოდია. სამთავრობო სტრატეგიის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებამ სასურველია შეიმუშაოს გარკვეული *პოლიტიკა საგარეო ვაჭრობის (ექსპორტის/იმპორტის) და უცხოელ ინვესტორებთან*

ურთიერთობისას სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური ხელშეკრულებების დადების დროს (ანუ, როდესაც ერთ-ერთ მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს, მაგალითად, სახელმწიფო აქტივის გაყიდვის შემთხვევაში და ა.შ.). მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სხვა ქვეყნებთან და უცხოურ კომპანიებთან სახელმწიფო დონის მნიშვნელოვანი კონტრაქტების დადებისას მთავრობამ ერთ-ერთ დამატებით პირობად (კრიტერიუმად) გაითვალისწინოს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი (შრომის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა და ა.შ.).

5.4. სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა

სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების კიდევ ერთ ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს მთავრობის მხრიდან. სოციალური პარტნიორობა გულისხმობს იმ პროექტების განხორციელებას, რომლებიც მომგებიანია ბიზნესისათვის და იმავდროულად აქვთ დამატებითი სოციალური დატვირთვა და რომლებიც ერთობლივად ხორციელდება ბიზნესის, საჯარო სექტორისა და სხვა სოციალური პარტნიორების მიერ (მაგ., არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და ა.შ.).³⁰¹ მრავალი ქვეყნის მთავრობა სხვადასხვა გზით ხელს უწყობს ბიზნეს კომპანიათა და სამთავრობო უწყებათა/საჯარო ხელისუფლების შეთანხმებულ მოქმედებას განვითარებაზე მიმართული პროექტების განსახორციელებლად.

მაგალითად, გერმანიაში ფედერალურმა მთავრობამ 2003 წელს წამოიწყო ინიციატივა სახელმწიფო და კერძო სექტორების ძალების გასაერთიანებლად უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით; გერმანიის მთავრობამ ასევე დააფინანსა პროგრამა თანასწორობა უნარშეზღუდული ადამიანებისათვის,“ რომლის ფარგლებშიც კერძო კომპანიები საშუალებას აძლევდნენ ინვალიდებს მიეღოთ პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები. ეს კომბინირებული იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ტრენინგ-კურსებთან.

ირლანდიაში კერძო და საჯარო სექტორებმა ძალზე საინტერესო ერთობლივი ინიციატივა წამოიწყეს – სკოლისა და ბიზნესის თანამშრომლობა. ინიციატივის ფარგლებში მუშაობა მიმდინარეობს საშუალო სკოლებთან, რომლებიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოყო. ამ სკოლებში მაღალი კლასების მოსწავლეთა გარიცხვისა და სკოლის მიტოვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. პროგრამა აწყვილებს სკოლებსა და ბიზნეს კომპანიებს სწავლების მიზნით: მოსწავლეებს უჩვენებენ პრეზენტაციებს სხვადასხვა სახის სამუშაოს, სამუშაო პირობების შესახებ და ა. შ. ამ პროგრამაში 100-ზე მეტი სკოლა იყო ჩართული.

³⁰¹ ამის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. თავი VIII, პარაგრაფი 1.3, აგრეთვე თავი V, პარაგრაფი 3.

- ✓ საქართველოში საჯარო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის რამდენიმენიშნობიანი პრაქტიკა არსებობს. ამ ეტაპზე აუცილებელია მთავრობამ ინიცირება გაუკეთოს სტრატეგიულ პარტნიორობას საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის, რომელიც მიმართული იქნება რთული სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტისაკენ. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი პროექტები ბიზნესისთვისაც მომგებიანი იყოს და არა თავსმოხვეული. ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანია, რომ პარტნიორულ პროექტებში ჩართული იყვნენ აგრეთვე სამოქალაქო ორგანიზაციები, ბიზნეს ასოციაციები და სხვა სოციალური პარტნიორები.
- ✓ სოციალური პარტნიორობის პრაქტიკის დამკვიდრებას ხელს შეუწყობს აგრეთვე თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა მიერ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ერთობლივი გადაჭრის მიზნით (ამგვარი შეთანხმებები გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს დასავლეთის ქვეყნებში).
- ✓ ხელშეწყობის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს აგრეთვე ერთობლივი სამმხრივი საბჭოებისა და კომიტეტების დაარსება სახელმწიფო, კერძო და საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობით, რომელთა მიზანია სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა, ცნობიერების ამაღლება მის შესახებ, აგრეთვე დიალოგის ხელშეწყობა და კონსენსუსის მიღწევა სხვადასხვა სექტორს შორის.

5.5. ფისკალური (საგადასახადო-საბიუჯეტო) პოლიტიკა

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი მასტიმულირებელი ფაქტორი საგადასახადო შეღავათებია. სხვადასხვა ქვეყანაში არსებობს ფინანსური ნახალისებისა და საგადასახადო შეღავათების სხვადასხვა სქემები, რომლებიც პასუხისმგებელ კომპანიებს საშუალებას აძლევს თანხების გარკვეული წილი საქველმოქმედო საქმიანობაზე, სოციალურ ან გარემოსდაცვით პროექტებზე, სოციალური პასუხისმგებლობის ცალკეული კომპონენტებისა თუ მათთან დაკავშირებული მენეჯმენტის სქემების დანერგვისაკენ მიმართონ.³⁰² ხშირად საგადასახადო შეღავათები ვრცელდება კომპანიათა არამომგებიან საქმიანობაზე განსაზღვრულ სფეროებში, რომლებიც ამ ეტაპზე პრიორიტეტულად მიიჩნევა ქვეყნისათვის.

- ✓ მოგების გაანგარიშებისას გარკვეული თანხების გამოქვითვის მაგალითებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს (მაგ., ქველმოქმედებაზე განეული დანახარჯების გამოქვითვა გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი თანხის 10%-ის ოდენობით). კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილი

³⁰² უფრო დანწირილებით ამის შესახებ იხ. თავი VIII, პარაგრაფი 3.5 (ფისკალური პოლიტიკა).

იქნება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყოს აგრეთვე გარკვეული ტიპის საგადასახადო შეღავათების (რამდენიმე პროცენტის ოდენობით) დანესება გარემოს დაცვით და სხვადასხვა სოციალურ პროგრამაზე განეულ დანახარჯებზე. აღნიშნული შეღავათი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დიდი დანაკარგი არ იქნება, ხოლო კომპანიებს დადებით სტიმულს მისცემს CSR პროექტების განსახორციელებლად.

მაგალითად, გერმანიის მთავრობამ შემოიღო საბაზრო სტიმულირების პროგრამა განახლებადი ენერჯის გამოყენების ხელშეწყობის მიზნით: ფედერალური მთავრობა ფინანსურ დახმარებას უწევს მცირე საწარმოებს, რომ მათ შეიმუშაონ გარემოს დამზოგი პოლიტიკა, მაგალითად, გასცემს გრანტებს და დაბალპროცენტთან სესხებს, სთავაზობს უფასო კონსულტაციებს, ტრენინგებს, გარემოსდაცვითი მენეჯმენტის დანერგვისათვის საჭირო პროფესიულ დახმარებას და სხვ.

კვიპროსზე არსებობს 10%-იანი საგადასახადო შეღავათი კომპანიებისათვის იმ თანხებზე, რომლებიც მათ გაირეს საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქველმოქმედო ტიპის პროექტებზე ან საქველმოქმედო ორგანიზაციებზე.

სლოვაკეთის კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს კომპანიებს (და აგრეთვე კერძო პირებს) თავიანთი გადასახადის 2% მოახმარონ შემოწირულობებს, ფილანთროპიასა და სხვა CSR/არამომგებიან საქმიანობებს.

ლატვიის საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის მოგების გადასახადი მცირდება იმ თანხის 85%-ით, რომელიც შემოწირულობის სახით გადაეცა საბიუჯეტო ინსტიტუტებს/დანესებულებებს, ლატვიაში დარეგისტრირებულ ფონდებსა, რელიგიურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც სპეციალური კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვთ საზოგადოებრივად სასიკეთო/საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

- ✓ აგრეთვე სასურველია ჩატარდეს საქველმოქმედო საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზემოსენებული 10%-იანი საგადასახადო შეღავათის გამოყენებისა და ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში შესწორება იქნეს შეტანილი მასში (შესწორება უნდა შეეხებოდეს არა საგადასახადო შეღავათის ოდენობას, არამედ იმ მოთხოვნებს, რომლებიც აღნიშნული შეღავათის დაშვებას ითვალისწინებს).
- ✓ კომპანიებს, რომელთა სოციალური პასუხისმგებლობა გარკვეული, წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით შეფასდება, შესაძლებელია მიეცეთ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა ძირითად საშუალებებზე ან ქონების გადასახადისაგან განთავისუფლება ქონების იმ ნაწილში, რომელიც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის რომელიმე კომპონენტის დანერგვას უკავშირდება (მაგ., გარემოს დამზოგ მონყობილობებზე, უნარშეზღუდული ადამიან-

ნების დასაქმებისათვის საჭირო სპეციალური მონყობილობების დამონტაჟებაზე, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო ნორმების უზრუნველსაყოფად საჭირო მონყობილობებზე და ა. შ.) – ეს საშუალებას მისცემდა კომპანიებს, პირველსავე წელს გაეტარებინათ ხარჯებში ამგვარი ძირითადი საშუალებების შეძენის ღირებულება. შესაბამისად, თუ ასეთი ქონება ქონების გადასახადისაგანაც განთავისუფლდებოდა, კომპანიებს ორგვარი სტიმული ექნებოდათ მათ შესაძენად – შემცირებული მოგება და ქონების გადასახადისგან განთავისუფლება.

- ✓ სასურველია აგრეთვე გარკვეული ფინანსური სტიმულები იყოს გათვალისწინებული იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ნებაყოფლობით ნერგავენ CSR-ის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ *საერთაშორისო მენეჯმენტის სქემებს და სერტიფიცირებას გადაიან მათ მიხედვით* (გარემოს დაცვის, შრომითი საქმიანობის, სამუშაო პირობებისა და ა. შ. სფეროებში. ამაზე ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. ამ რეკომენდაციების პუნქტი III. 2 — მენეჯმენტის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა). ფინანსური სტიმულები შეიძლება მოიცავდეს გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს, სხვადასხვა მიზნობრივ საგრანტო სქემებს, სერტიფიცირების ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურებას და სხვ.

მაგალითად, *მაკედონიის* ეროვნულ სამოქმედო გეგმაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ, ერთ-ერთ ამოცანად შეტანილია ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ნერგავენ CSR-თან დაკავშირებულ მენეჯმენტის სისტემებს და შესაბამის სერტიფიცირებას გადაიან (იხ. National Agenda on corporate social responsibility for the republic of Macedonia, 2008-2012, Coordinating body on CSR. Skopje, 2008, გვ. 18).

იტალიაში, ტოსკანას რეგიონში, ადგილობრივი მთავრობა ფინანსურ დახმარებას უწევს ადგილობრივ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომელთაც სურთ SA 8000 სერტიფიკატის მიღება და უფარავს საკონსულტაციო და სერტიფიკაციის ხარჯების 50%-ს.

დაფინანსების შესაძლო წყაროები. ფინანსური სტიმულების შექმნა, როგორც ვხედავთ, დამატებით ხარჯებს მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ისევე, როგორც CSR-ის განვითარებაზე მიმართული ზოგიერთი სხვა საქმიანობაც, მაგალითად, კვლევებისა და ტრენინგების ფინანსური მხარდაჭერა, კონკურსების ორგანიზება და ა.შ. ამ ხარჯების დასაფარად სხვადასხვა დაფინანსების წყაროები შეიძლება იქნეს გამოყენებული. CSR-ის განვითარება კარგად გააზრებული და წინასწარ შემუშავებული სამოქმედო გეგმების საფუძველზე მზარდ დაფინანსებას იზიდავს დონორთაგან, განსაკუთრებით ევროკავშირის ფონდებიდან,

თუმცა განვითარების სხვა საერთაშორისო სააგენტოებიც, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი (World Bank Institute), UNDP, USAID, InWent, ასევე უნევენ ფინანსურ მხარდაჭერას CSR-ის განვითარებას ცალკეული სფეროების მიხედვით.

თუ საქართველოს მთავრობას ექნება გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა და გეგმები ამ სფეროში, მას შეუძლია მოიზიდოს გარე დაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო განვითარებაზე ორიენტირებული ფონდებიდან, ამ ხარჯების ნაწილობრივ დასაფარად. გარე დაფინანსების მიუხედავად, მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ ქვეყნის ბიუჯეტიდანაც გამოყოს გარკვეული თანხები CSR-ის განვითარებაზე და ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს CSR ხელშემწყობი ღონისძიებები. ამგვარად მთავრობა არა მხოლოდ პასუხისმგებლობას აიღებს CSR-ის განვითარებაზე და მოახდენს ამ საკითხისადმი სერიოზული დამოკიდებულების დეკლარირებას, არამედ უფრო ეფექტურად მოიზიდავს დამატებით თანხებს თანადაფინანსების სახით კერძო სექტორისა და გარეშე ფონდებიდან.

5.6. სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა

სახელმწიფო შესყიდვები საკმაოდ ეფექტური ინსტრუმენტია, რომელსაც ხშირად იყენებენ სხვადასხვა ქვეყანათა მთავრობები რაიმეს დასაწერად ან წასახალისებლად, როდესაც საკანონმდებლო რეგულირების სხვა ფორმები ნაკლებად მისაღებად ან არაეფექტურად მიიჩნევა. სახელმწიფო შესყიდვები აგრეთვე ქმედითად გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტიმულირებისათვის.

კერძოდ, მრავალ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვებისას ხდება ტენდერში მონაწილე კომპანიათა საქმიანობის CSR მაჩვენებლების გათვალისწინება და სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვით წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებს (ანუ pro-CSR პროდუქციასა და სერვისებს).

გარემოსდაცვითი და სოციალური პირობების შეტანით სახელმწიფო ტენდერების პროცედურებში, მოტენდერე კომპანიებს სტიმული ეძლევათ განავითარონ თავიანთი სოციალური პასუხისმგებლობა. CSR-ზე ორიენტირებული სახელმწიფო შესყიდვები სტიმულირებას უკეთებს პასუხისმგებელ კომპანიებს მათთვის საბაზრო პირობების გაუმჯობესების გზით. ასეთი მიდგომა წაახალისებს კომპანიათა პასუხისმგებელ საქმიანობას და წარმოაჩენს მთავრობის სერიოზულ დამოკიდებულებას CSR-ის მიმართ.

შეერთებულ შტატებში ფედერალური მთავრობა სახელმწიფო შესყიდვებს იყენებს როგორც ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფს, რომ სამთავრობო უწყებათა კონტრაქტორებმა დააკმაყოფილონ კანონით დაწესებული მრავალრიცხოვანი აკრძალვები დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის თაობაზე. ეს ვალდებულებები ზოგადად დამსაქმებლებს შეეხება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნები არ მიდის ბიზნესისათვის კანონით განსაზღვრული მოთხოვნების მიღმა, არამედ ასახავს მათ.

თუმცა CSR კონტექსტში სახელმწიფო შესყიდვები გამოიყენება კომპანიათა ისეთი ქმედებების წასახალისებლად, რომლებიც მათ კანონით არ ევალება, რამედ კანონით დაწესებულ მოთხოვნათა მიღმა მიდის.

ევროკავშირში სახელმწიფო შესყიდვები განიხილება სოციალური პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად. ევროკომისია სხვადასხვა გზებით ცდილობს ხელი შეუწყოს ევროკავშირის ქვეყანათა მთავრობების მიერ მდგრადი/მწვანე სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკის ნებაყოფლობით განხორციელებას. ევროკომისიას შემუშავებული აქვს სპეციალური დირექტივები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ,³⁰³ რომლებშიც განმარტებულია სახელმწიფო შესყიდვებში CSR საკითხების ჩართვის სამართლებრივი ასპექტები. ეს ორი დირექტივა აადვილებს მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას, თუმცა სავალდებულოდ არ აწესებს მათ ევროკავშირის ქვეყნებისათვის. ამის საპასუხოდ, ევროკავშირის ქვეყნების მთავრობები მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა დაუკავშირონ სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობას.

მწვანე და მდგრადი სახელმწიფო შესყიდვები ევროკავშირის ქვეყნებში საჯარო უწყებების ნებაყოფლობითი არჩევანია. თუმცა ქვეყანათა უმრავლესობაში ამგვარი სახელმწიფო შესყიდვები აქტიურად ვითარდება. ევროკავშირის წევრმა მრავალმა ქვეყანამ გამოსცა შესაბამისი დადგენილება, დეკრეტი ან სახელმძღვანელო მითითება, რომელიც ამ ქვეყნების ადმინისტრაციისათვის სავალდებულო ძალის მქონეა. ზოგიერთმა ქვეყანამ (მაგალითად გერმანიამ და პორტუგალიამ) კანონმდებლობაშიც ჩართო ამგვარი სავალდებულო ინსტრუმენტები.

ევროკავშირის თითქმის ყველა წევრ ქვეყანას შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა მწვანე და სოციალური სახელმწიფო შესყიდვების ხელშეწყობის შესახებ, რომელიც ამ ქვეყნების სტრატეგიული მიდგომის საფუძველს წარმოადგენს. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, მწვანე სახელმწიფო შესყიდვების სამოქმედო გეგმას ამზადებს უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ესტონეთი. (იხ. *Corporate Social Responsibility, National Public Policies in European Union, European Commission, 2010*).

³⁰³ EU Directives 2004/18/EC და 2004/17/EC. იხ. ასევე ამ ნაშრომის თავი VIII, პარაგრაფი 3.4.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, საქართველოს მთავრობამაც შეიმუშაოს სახელმწიფო შესყიდვების ადეკვატური პოლიტიკა კომპანიათა სოციალური პასუხისმგებლობის ნასახალი-სებლად. კერძოდ:

- ✓ *საკანონმდებლო ცვლილების განხორციელება*. საკანონმდებლო სივრცის ანალიზის დროს (რომელზეც ამ რეკომენდაციების I თავის მე-5 პარაგრაფში იყო საუბარი) გადაიხედოს საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ³⁰⁴ და მის საფუძველზე მიღებული ელექტრონული შესყიდვების განხორციელების წესი; კანონში შევიდეს ცვლილება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს საჯარო უწყებებს სახელმწიფო შესყიდვების პირობებში გაითვალისწინონ გარკვეული სოციალური და გარემოსდაცვითი პარამეტრები, როგორც შერჩევის ერთ-ერთი კრიტერიუმი.

საფრანგეთში 2001 წლიდან მოქმედებს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც სანქციონირებს უკეთეს სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტში სხვა პუნქტებთან ერთად სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების შეტანას.

პოლონეთში სახელმწიფო შესყიდვებზე კანონის თანახმად, სახელმწიფო უწყებას, რომელიც კონტრაქტს აფორმებს, უფლება აქვს გამოიყენოს გარემოსდაცვითი კრიტერიუმები მიმწოდებლის შესარჩევად. მას უფლება აქვს შერჩევის კრიტერიუმად გამოიყენოს ფასი ან ფასისა და სხვა კრიტერიუმების კომბინაცია – სხვა კრიტერიუმთა შორის არის მოთხოვნა, რომ მიწოდებული პროდუქცია შეესაბამებოდეს ბაზარზე არსებულ ყველაზე განვითარებულ გარემოსდაცვით ტექნოლოგიებს.³⁰⁴

სლოვენიაში 2007 წელს მიღებული კანონის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვებისას შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები და სხვა თანაბარი პირობების შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ მოტენდერეს, რომელიც აღნიშნულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

ფინეთმა 2010 წელს ცვლილებები შეიტანა საკუთარ კანონში სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ეს ცვლილებები შესაძლებლობას აძლევს საჯარო უწყებებს სახელმწიფო შესყიდვებში გაითვალისწინონ სოციალური კრიტერიუმები, როგორცაა, მაგალითად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები და არადისკრიმინაციული მოპყობა და ა. შ.

- ✓ *დაფუძნდეს სპეციალური კომისია*, რომელიც შეიმუშავებს მდგრადი სახელმწიფო შესყიდვების განვითარების ეროვნულ სამოქმედო გეგმას და აწარმოებს მისი შესრულების მონიტორინგს (ეს აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნებში).

³⁰⁴ CSR Implementation Guide: Non-legislative Options for the Polish Government.

- ✓ *CSR-ის ჩართვა სახელმწიფო ტენდერების წინასწარი შერჩევის კრიტერიუმთა შორის. დიდი სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო მოთხოვნებს დაემატოს CSR-ის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებული კრიტერიუმები, კერძოდ, გარემოსდაცვითი და სოციალური კრიტერიუმები (სოციალური კრიტერიუმები, თავის მხრივ, ითვალისწინებს სამუშაო პირობებს, უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას სამუშაო ადგილზე, თანაბარ შესაძლებლობებს, არადისკრიმინაციულ მოპყრობას და ა. შ.). სასურველია ამ კრიტერიუმებს მიენიჭოს შედარებით მაღალი ქულა, რაც კომპანიებს სტიმულს მისცემს უფრო ეფექტურად დანერგონ CSR მიდგომები საკუთარ საქმიანობაში.*

გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო შესყიდვების დაკავშირება CSR კომპონენტებთან შეიძლება გახდეს კორუფციის ახალი წყარო. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, სოციალური და გარემოსდაცვითი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება ტენდერში მონაწილე კომპანიები, უნდა იყოს უაღრესად გამჭვირვალე და დეტალურად განერილი. სასურველია, ისინი ეყრდნობოდეს საერთაშორისო გამოცდილებას. ასე მაგალითად, შერჩევის კრიტერიუმთა შორის შეიძლება იყოს CSR-თან დაკავშირებული მენეჯმენტის სქემების საერთაშორისო სერტიფიკატის ფლობა კომპანიის მიერ (ასეთებია, მაგ., EMAS ან ISO 14000 გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკატი, შრომითი საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი მენეჯმენტის სქემების სერტიფიკატები – მაგ. OHSAS 18001; ILO-OSH 2001; SA 8000);³⁰⁵ ასევე ILO რვა ფუნდამენტური კონვენციის შესრულება; მდგრადი განვითარების ანგარიშის მომზადება საერთაშორისო ფორმატის მიხედვით (მაგ. GRI ფორმატის მიხედვით), რომელიც დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ იქნება შემოწმებული და ა. შ.

მაგალითად, *ევროპარლამენტის 2004 წლის დირექტივები* შეიცავს რეკომენდაციას, რომ სახელმწიფო შესყიდვებისას შერჩევის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენდეს საერთაშორისო შრომის ასოციაციის (ILO) 8 ფუნდამენტური კონვენციის დაცვა. ეს მოთხოვნა ევროკავშირის მრავალ ქვეყანას აქვს გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკაში.

იტალიაში ზოგიერთი ტიპის სახელმწიფო შესყიდვებისათვის (მაგ., საზოგადოებრივი ტრანსპორტის სფეროში) სავალდებულო მოთხოვნაა, რომ მომწოდებელს ჰქონდეს სამუშაო პირობებისა და ანგარიშგების ნებაყოფლობითი სტანდარტის სერტიფიკატი SA 8000.

³⁰⁵ აღნიშნული მენეჯმენტის სტანდარტები დანვრილებით არის განხილული ამ ნაშრომის VI თავში.

- ✓ სოციალური და გარემოსდაცვითი ვალდებულებების შეტანა სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტებში. კერძოდ, გარკვეულ ზღვარს ზემოთ განხორციელებულ შესყიდვებზე (მაგ., 50 ათას ლარს ზემოთ გამოცხადებულ ტენდერზე) სახელმწიფო შეკვეთის შემსრულებელ კომპანიებს მოეთხოვოთ დამატებითი მოთხოვნების შესრულება გარემოსდაცვით და სოციალურ სფეროში, ანუ ამა თუ იმ CSR სტანდარტის დაკმაყოფილება, რომელიც ჩვეულებრივ ნებაყოფლობითია, მაგალითად, კონტრაქტით გათვალისწინებულ სამუშაოში სოციალურად მონყვლადი ჯგუფების ჩართვა, კონტრაქტის თანხის გარკვეული პროცენტის დახარჯვა უნარშეზღუდული ადამიანების დასაქმებაზე, გარემოსდაცვითი ან შრომითი საქმიანობის სერტიფიცირებული სტანდარტების დანერგვაზე, შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვაზე, გარემოს დამზოგი ტექნოლოგიების დანერგვაზე და ა.შ.

2001 წლის ნოემბერში ბელგიის მთავრობამ დაამტკიცა გარკვეული ტიპის ფედერალური შესყიდვების კონტრაქტებში ე.წ. სოციალური პუნქტის “შეტანა, რომელიც გულისხმობს მონყვლადი (ნაკლებად მომგებიან მდგომარეობაში მყოფი) ჯგუფების ხელშეწყობას. კერძოდ კი, მთელი კონტრაქტის 5% უნდა მოხმარდეს დიდი ხნის განმავლობაში დაუსაქმებელი ადამიანების დასაქმებას.

დანის პარლამენტმა 2001 წელს დაამტკიცა კანონი, რომელიც სახელმწიფო უწყებებს საშუალებას აძლევს სახელმწიფო დაკვეთების განმხორციელებელ კერძო კომპანიებს აუცილებელ პირობად წაუყენონ გარკვეული სოციალური მოთხოვნები (დასაქმებულთა უფლებების დაცვა, ადამიანის უფლებების დაცვა, ეთიკური კოდექსების განხორციელება და ა.შ.).

ირლანდიის კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების კონტრაქტით მოითხოვება, რომ კონტრაქტორმა გაითვალისწინოს ის საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებსაც სახელმწიფო ოფიციალურად არის მიერთებული.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც არსებობს საფრთხე, რომ ამგვარი მოთხოვნა გადაიქცევა ფორმალურ ვალდებულებად, ერთგვარ ხარკის გადახდად“ ბიზნესის მხრიდან. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ სოციალურ მოთხოვნებს, რომლებიც უნარშეზღუდული და მონყვლადი ჯგუფების დასაქმებას შეეხება. ამდენად, სოციალური პუნქტების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს გარკვეული მიქანიზმები ამგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რათა დასაქმებული ადამიანები, ერთი მხრივ, რეალურად ქმედითი მუშაკები აღმოჩნდნენ, ხოლო მეორე მხრივ, შეიძინონ სათანადო ცოდნა და გამოცდილება შემდგომი დასაქმებისათვის.

- ✓ სასურველია აგრეთვე მთავრობამ მოაწყოს სპეციალური საინფორმაციო სემინარები საჯარო მოხელეებისათვის და ბიზნეს კომპანიე-

ბისათვის, რომლებზეც განმარტებული იქნება სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შემცველი ტენდერის შემუშავების ძირითადი მეთოდოლოგიური საკითხები, ასევე ის პოტენციური დადებითი შედეგები, რასაც სოციალურად პასუხისმგებელი სახელმწიფო შესყიდვები მოუტანს როგორც ბიზნესს, ასევე საზოგადოებას.

ამგვარი ტრენინგების ჩატარება სახელმწიფო მოხელეთათვის ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს ევროკავშირის ქვეყნებში. მაგალითად, ბრიტანეთში სპეციალური ცენტრიც კი არსებობს – მდგრადი შესყიდვების საქსპერტო ცენტრი“ (Centre of Expertise in Sustainable Procurement), რომელიც ატარებს სიტუაციის მოკვლევას საჭიროებათა გამოსავლენად და შესაბამისი ტრენინგების დასაგეგმად.

საფრანგეთში რამდენიმე სამინისტრო (მათ შორის გარემოს დაცვის და ენერჯეტიკის სამინისტროები) ერთობლივად აწყობენ ტრენინგებს რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო შესყიდვების საკითხზე.

**THE ROLE OF GOVERNMENT AND PUBLIC
POLICIES IN PROMOTING CORPORATE
SOCIAL RESPONSIBILITY**

The Center for Strategic Research and Development of Georgia and the authors of this book are grateful to Dr. Bill McCabe (United Kingdom) for work on the redrafting and preparation of final English text.

AN ANALYTICAL OVERVIEW OF INTERNATIONAL EXPERIENCE AND GEORGIAN CONTEXT

Executive Summary

INTRODUCTION

Corporate social responsibility (CSR) is an issue of global relevance in the modern world. It is commonly recognized that the private sector is one of the strongest and most influential players in the market economy. Neither global nor local issues can be solved without an active participation by business.

Companies are able to contribute to improving both their own and public welfare, provided they consider and manage the impact their activity has on the environmental and socio-economic systems, as well as on their own employees, customers, partners, investors, local communities and the public in general.
